

ო. მთავრიშვილისა და ამხანაგობის წიგნის მალაჩის გამოცემა

კავშირულსიტყვიერებითი კრისტომატია

ჩვენი ძველი მწერლობა

და

ხალხური კოფია

შედგენალი

ს. რ. გორგაძის მიერ

მ თ ა წ

1915

ს ა რ ჩ ე გ ი

ძველი მწერლობა:

შესავალი

გვ. 3

I

უძველესი პერიოდი:

საზოგადო მიმოხილვა	7
I იოვანე საბანის ძე (VIII საუკ.):	
საბიოგრაფიო ცნობანი	9
«ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოხისი»	10
II იოვანე მტბევეარი (X საუკ.):	
საბიოგრაფიო უენიშენანი	14
«ქრისტოს შობის საგალობელნი»	15
III მიქაელ მოღრეკილი (X საუკ.):	
საბიოგრაფიო ცნობანი	17
1 «ნათლისღების საგალობელნი»	18
2 «აღდგომის საგალობელნი»	21

II

კლასიკური პერიოდი:

საზოგადო მიმოხილვა	27
IV მოსე ხონელი (XI—XII საუკ.):	
საბიოგრაფიო უენიშენანი	28
«ამირან-დარეჯანიანი»	29
V «ვის-რამიანი» (XII საუკ.):	
წინასწარი უენიშენანი	42
ტექსტი	43
VI იოანე შავთელი (XII საუკ.):	
საბიოგრაფიო უენიშენანი	64
«აბდულ-მესია»	65

VII ჩახრუხაძე (XII—XIII საუკ.):

საბიოგრაფიო შენიშვნები	70
«თამარინი»: 1-ელი ოდიდგან.	71
მე-2-ე ოდიდგან	72
მე-12-ე ოდიდგან	73

VIII შოთა რუსთაველი (XII—XIII საუკ.):

წინასწარი შენიშვნანი	76
«ვეფხისტყაოსანი»	78

III

განახლების პერიოდი:

საზოგადო მიმოხილვა	113
IX მეფე თეიმურაზ I-ელი (1591—1663):	
ბიოგრაფია	115
«ეარდ-ბულბულიანი»	117
X არჩილ მეფე (1647—1712):	
საბიოგრაფიო ცნობანი	125
«არჩილიანი»	126
XI—XII სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ-მეფე:	
ბიოგრაფია	140
«სიბრძნე-სიცრუვისა»: ა. აღზრდა მემკვიდრისა.	143
ბ. რჩეული არაკები.	162
«ქილილა და დამანა»-დგან ოთხი არაკი	172
XIII დავით გურამიშვილი (1705—1787):	
ბიოგრაფია.	179
«გურამიანი»: ა. ისტორიული ლექსები	181
ბ. ავტობიოგრაფიული ლექსები.	185
გ. დიდაქტიური ლექსები	190
დ. სასულიერო ოდები	196
«მზიარული ზაფხული»	199
XIV ბესარიონ გაბაშვილი (1750—1791):	
ბიოგრაფია	204
ა. სატრფიალო ლექსები	206
ბ. საისტორიო ოდები	213

ხ ა ლ ხ უ რ ი კ ო მ ე ზ ი ა :

შესავალი

გვ. 223

I

ლექსები და შაირები:

1. უძველესი ლოცვა-საგალობლები და საოჯახო ლექსები	225
2. სატრფიალო ლექსები	229
3. სავაჟაკო და საისტორიო ლექსები.	233

II

ანდაზები და გამოსტანები:

1. გამოცანები	237
2. ანდაზები და სიტყვის მასალა	240

III

ზღაპრები და არაკები:

1. წიქარა	248
2. მარგალიტის კრემლი	253
3. მზის ქალი	261
4. ნაცარქექია	271
5. გველეჯი	274
6. ამირანი	279
7. ხათაგანი და შუათაგანი	295
8. ჩვენ ამ წუთისოფლის სტუმრები ვართ.	304
9. კატა და ლომი	306
10. ძეძვის ბუჩქი ორ სამარეს შუა .	307

მ ვ ე ზ ო

მ წ ე ზ ზ ო ბ ა

შენსახალი

ღღეს თითქმის ყველა მკვლევარი თანახმაა იმ აზრისა, რომ ქართველებს «მწიგნობრობა» ქრისტიანობამდისაც გვექონია. მაგრამ ქართული მწერლობის ისტორიას, ჩვეულებრივ, ქრისტეს შემდეგ მე-V-ე საუკუნიდგან იწყებენ, რადგან ამაზე აღრინდელს ქართულ სალიტერატურო ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუწევია.

მეხუთე საუკუნიდგან იწყება ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია და თავდება მეთვრამეტე საუკუნით: მაშასადამე, იგი შეიცავს სრულს თოთხმეტე საუკუნეს. მაგრამ ჩვენს კრებულში მარტო უმთავრეს პერიოდებზე შევჩერდებით. ეს პერიოდებია:

I უძველესი პერიოდი ანუ მოსამზადებელი ხანა, მე-V—XI-ე საუკუნე;

II ძველი პერიოდი ანუ კლასიკური ხანა, მე-XII-ე საუკუნე;

III განახლების პერიოდი ანუ მე-XVII—XVIII-ე საუკუნე.

კლასიკურ ხანას უკან მისდევდა და განახლების პერიოდს წინ უძღოდა მწერლობის დაცემის პერიოდი (მე-XIII—XVI-ე საუკუნეები), რომელსაც აქ არ შევხვებით.

ჩვენი მიზანია: მკითხველს გაეაცნოთ მხოლოდ კაზმულსიტყვიერებითი ნაწერები. ამიტომ არაკაზმულსიტყვიერებითს ნაწარმოებს მკითხველი ამ წიგნში ვერ შეხვდება.

აზრად გვაქვს: მკითხველს მიეაწოდოთ უმთავრესად საერო ორიგინალურ ნაწარმოებთა ნიმუშები. ამიტომ სასულიეროსა და ნათარგმნ თხზულებათ აქ შედარებით მცირე ადგილი აქვსთ დათმობილი.

ჩვენი სურვილია: მკითხველს წარუდგინოთ კაზმულსიტყვიერების მხოლოდ საუკეთესო ნიმუშები, რომელთაც ჩვენს მწერ-

ლობაში ახალი რამ შემოუტანიათ ან ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნისთ. ამიტომ ჩვენს კრებულში ყველა საერო მგოსანს როდი აქვს ადგილი დათმობილი, და პირველხარისხოვან მწერალთა ნაწერებიც მხოლოდ შემოკლებულად და ამოკრეფით წარმოდგენილია, მაგრამ ისე კი, რომ ამოკრეფილ ნაწილთა შორის კავშირი დაცულია.

ყოველი პერიოდის თავში მისი მოკლე საზოგადო მიმოხილვა გვაქვს მოთავსებული. ხოლო თვითეულის მწერლის ნაწარმოებთ წინ მოკლე საბიოგრაფიო ცნობები და შემოქმედების ან მიმართულების დამახასიათებელი შენიშვნები მიუძღვის.

ტექსტების ძველებური მართლწერა მხოლოდ პირველი პერიოდის ნიმუშებში გვაქვს დაცული. დანარჩენი პერიოდების ტექსტები კი ჩვენის დროის გამარტივებული ანბანით იბეჭდება.

კითხვის გასაადვილებლად საძნელო სიტყვები ყველგან ახსნილია, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, სიტყვების მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობაა ნაჩვენები; მათის ნართაული მნიშვნელობის გამორკვევა კი თვით მასწავლებლისა და მოწაფეთა საქმეა.

I

უკველესი პერიოდი

საზოგადო მიმოხილვა

ჩვენი მწერლობის პირველი პერიოდი, ანუ უძველესი ხანა, იწყება მე-V-ე საუკუნიდგან და გრძელდება მე-XI-ე საუკუნის დამლევამდე. ამ პერიოდში ქართული მწერლობა უმთავრესად საეკლესიო და ნათარგმნი იყო, თუმცა ორიგინალური და საერთო შინაარსის ნაწერებიც საკმაოდ გვხვდება.

თარგმანებს ჩვენი მწერლობის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მათის წყალობით გამოიღწა, მოიქნა და უმადლესად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, — რამაც ფრიად ნაყოფიერი მასალა მოუმზადა კლასიკური პერიოდის სამწერლო ენას.

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა პირველი პერიოდის ორიგინალურ ნაწერებსაც, რომელთა შორის ქართულ კაზიმულსიტევიკების ისტორიისათვის განსაკუთრებულ ინტერესს სასულიერო ოდები წარმოადგენს. ამ ოდებს მაშინ «ქებასა» და «საგალობელს» ეძახდნენ და უმთავრესად საუთლო დღესასწაულებისა და წმიდათა სადიდებლად სთხზავდნენ. ზოგი ამ საგალობელთაგანი ურთიმო და ღარიბობითიანი ლექსით არის დაწერილი, ზოგიც (უმრავლესობა) გაულექსავია, მაგრამ მათი ენა დიდად მუსიკალურია და სურათოვანი. ამ ოდებში შემუშავდა შესხმითი ჰოეზიის სტილი: სამგონო ტრამპები და ფიგურები, პოეტური შედარებანი, თვით ლექსთაწეობა და სხვანი, ერთი სიტყვით, უველაფერი, რაც საკაზიმულსიტევაო, საპოეტო, ენის დამახასიათებელს თვისებას შეადგენს; და ეს განძი შემდეგ კლასიკური პერიოდის მწერლებს გადმოეცათ.

ასეთი ქართული მწერლობის უძველესი პერიოდი, რომელსაც ზოგიერთნი სამართლიანად «მოსამზადებელ ხანასაც» ეძახიან.¹

ამ პერიოდის სამწერლო ენისა და სტილის დასახასიათებლად ქვემოთ რამოდენიმე რჩეული ნიმუში იბეჭდება, რომელნიც მერვე და მეათე საუკუნეს ეკუთვნიან.

¹ ზოგიერთი მკვლევარი (ნ. შარტი) ამ პერიოდს გაყოფს ორ პერიოდად: პირველი V—VIII საუკუნეები, მეორე—IX—XI საუკუნეები.

ამ ნიმუშებში ყველგან დედნის ორთოგრაფიას დაცული¹, რისგამოც იქ მკითხველი შეხვდება ასოებს: ძ, წ, ჯ, კ და ჯ, რომელნიც დღეს ზედმეტ ასოებად არიან ჩათვლილნი და მწერლობაში ჯღარ იხმარებიან.

ამას გარდა საჭიროა შემდეგიც გვანსოვდეს:

ასო უ ზოგიერთ სიტყვაში გამოითქმოდა როგორც ნახევარი უ, დღეს კი იმავე სიტყვებში გამოითქმის და იწერება ვ, მაგალითად: ჩუენ = ჩვენ, კუალად = კვალად, გაქუს = გაქვს, განვანხუნეთ = განვანხვნეთ, შეხუ-ეული = შეხვეული და სხვანი. ამ სიტყვებში ასო უ უცვლელად დავტოვეთ; წაკითხვის დროს კი ისე შეიძლება გამოითქვას, როგორც დღეს გამო-ვსთქვამთ, ე. ი. ვ-ნად.



¹ ერთის გამონაკლით: ორასოიანის «ოჯ»-ის ნაცვლად ყველგან დაბეჭდილი გვაქვს ერთი ასო უ, რომელიც იმავე ორასოიანისაგან წარმოდგა.

I იოვანე საბანის ძე

მე-VIII-ე საუკუნე

მოსამზადებელი პერიოდის სასულიერო მწერალ-მგოსანთა შორის ერთი პირველ ადგილთაგანი იოვანე საბანის ძეს ეკუთვნის. სამწუხაროდ, მისი ცხოვრებისა და ვინაობის შესახებ თითქმის არავითარი მასალა არ მოგვეპოვება. დანამდვილებით ვიცით მხოლოდ, რომ მას უცხოვრია მე-VIII-ე საუკუნის მეორე ნახევარში, პირადი ნაცნობობა ჰქონია აბო თფილელისა, მოსწრებია მის წამებას და, ქართლის კათალიკოზის სამოელის წინადადებით, აუწერია «წამებაჲ» და «ქებაჲ» წმიდისა აბოსი.

აბო ჩამომავლობით იყო ბაღდადელი არაბი. თერამეტის წლისა იქნებოდა, როცა საქართველოში შემოვიდა. აქ დიდად შეიყვარა ქართველობა, ქართული ენა და ქრისტიანობა. შემდეგ კიდევაც მოინათლა. ეს გაუგეს თფილისში მცხოვრებმა არაბებმა (მაშინ საქართველო არაბების ხელში იყო) და თფილისის ემირს მოახსენეს. ემირმა, მაჰმადიანობის უარყოფისთვის, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. აბო საწამებელ მოედანზე გაიყვანეს და ხმლით თავი წარჰკვეთეს. მისი სხეული დასწვეს, ხოლო ძვლები მტკვარში ჩაჰყარეს. ეს მოხდა 786 წელს. მალე ხალხში ხმა გავრცელდა: იმ ადგილს, სადაც აბო აწამეს, ზეციდან უცნაური ცეცხლი გადმოვიდა და აბოს ხორცი დასწვაო; ხოლო, სადაც ძვლები ჩაჰყარეს, იქ ყოველდღე ვარსკვლავი დგება და უხვად სხივებსა ჰფენსო, აგრეთვე მტკვრის ტალღები „განსაკვირებელს ნათელს“ გამოსცემენო.

ასეთია ისტორიული ამბავი, რომელიც საფუძვლად დასდებია იოვანე საბანის ძის შესხმითს საგალობელს: «ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოასისი». შინაარსით ეს ნაწარმოები სამ მთავარ ნაწილად განიყოფა: ა) შესავალი, ბ) თვით ქება და გ) ეპილოგი. მაგრამ აი თვით საგალობელი მცირეოდენის შემოკლებით და ორთოგრაფიის ოდნავ შეცვლით (უ ნაცვლად ორასიონის «ოჯ»-სა).

«ქებაჲ წმიდისა მოწამისა¹ ჰაბოაძისი»

ა

მოვედით², ქრისტეს მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ კსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად³ ჩუენდა ქრისტემან მოგუანიქა⁴! და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ⁵ საუნჯენი⁶ გულთა და გონებათა ჩუენთანი, და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილადმოლუაწებასა მისსა და ვიტყოდეთ:

«გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ, რამეთუ⁷ შენ მიემსგავსე უკუანაახსენელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა⁸ განგდებითა და ქრისტეს, ძისა ღმრთისა, აღსარებითა⁹! მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა¹⁰!».

აწ ვინმე ღირსად გაქებდეს შენ, კეშმარიტად საქებელსა?

მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ¹¹, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოებათა¹² შენთაჲ! და კულად მეშინის მე დადუმებად¹³, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტესმიერთა სიყუარულითა შემეყუარე მე, ვიღრე იყავლა სოფელსა¹⁴ ამას შინა ჩუენსა,— აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთჳსცა მოლუაწებაჲ მეოხებისა¹⁵ შენისაჲ ქრისტეს მიმართ!

აწ, შენ მიერვე მოღებითა მადლისა მის ქრისტესისაჲთა, მსგავსად ძალისა ჩემისა გაქებდე შენ, შუენიერებითა შემკულო უფლისა მიერ!

¹ მოწამე—რჯულისათვის თავადებული, ვინც სიცოცხლე შესწირა რჯულს, სარწმუნოებას. ² მოდით. ³ მეოხი—შუამდგომელი, შემწე. ⁴ მოგვცა, გვიბოძა. ⁵ განხმა—გადება, გახსნა; განვახუნეთ—გავაღოთ, გავხსნათ. ⁶ საუნჯე—განძეულობის, ძვირფასეულობის საწყობი ან შესანახი ადგილი, სიგანძღრი. ⁷ რამეთუ—რადგან. ⁸ მოძღურება—სწავლა. ⁹ აღსარება—დაუფარავად რწმენა, თვისი რწმენის დაუფარავად გამოთქმა. ¹⁰ მოკვეთა—მოკრა. ¹¹ ვერ ვიკადრებ—ვერა ვბედავ. ¹² სათნოება—კეთილი საქმე ან ხასიათის კეთილი თვისება, ღირსება. ¹³ დადუმება—გაჩუმება. ¹⁴ სოფელი—ქვეყანა, მხარე. ¹⁵ მეოხება—შუამდგომლობა, შემწეობა.

ზიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ, რამეთუ შენ მამამან ზეცათამან მხოლოდშობილისა ძისა თვისისა მიერ გვრგვინოსან გყო და სულისა წმიდისა მდლითა აღგავსო! შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა¹ და სულმან წმიდამან გადიდა! შენ სულმან წმიდამან შეგიყუარა და მამისა და ძისა თანა ერთობითა თვისითა პატივ გცა და ლუაწლისა მძლედ გამოგაჩინა!

შენ ზედა განუკვრდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ, ვითარცა² უკარცომან, დაითმინე სიკუდილი ქრისტსსთვს! შენ ზედა მამათმთავარნი³ იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრაჰამ თვსთა ნაშობთავან შეგიწყნარა წიალთა⁴ თვსთა ქრისტსსთვს, რომელი იგი კარავსა თვსსა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესაეთა გამოუჩნდა მამად! შენ ქრისტსს მოწამეთა მათ ნაყოფ ექმენ და მოციქულთა მოწაფე! შენ მოწამეთა მათ შორის ზეცისა მეუფისასა მას მატთანსა⁵ სახელით დაიწერე და მარტვლთა⁶ თანა გვრგვინოსან იქმენ! შენ აღმსარებელთა მათ თანა განეწესე და მართალთა თანა დიდებულ ხარ!

შენ თვს ფრიად დამიკვრდების⁷ ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ, ჟამსა⁸ ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთაჲსა⁹, დიდებასა შენ ნეფსით¹⁰ სიმდაბლს ქრისტსსთვს აღირჩიე და მახვლითა¹¹ პერობილი იგი შჯული განაგდე და ქეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცუმულსა მას თაყუანის ეც უფლად და ღმრთად!

ვინაჲ¹² ანუ ვისგან ისწავე¹³ ქრისტსსთვს ესოდენი ცნობაჲ? რომელმან საკვრველებამან¹⁴ აღგიყვანა შენ დიდებასა სასუფეველისასა? შენ ქეშმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა ემსგავსე, რამეთუ გაქუნდა შენცა ერთი შენ თანა პერობილთავანი, ნაშობი ქრისტეანეთაჲ, რომელი განდრეკილ¹⁵ იყო ქრისტსსგან და მიდევნებულ შჯულსა უცხოსა; ხოლო კულად ქრისტსს აღსარებისათვს შენ თანა განიკითხვოდა¹⁶; არამედ¹⁷ საწყალობელსა მას კულადცა უბრკუმ¹⁸

1 შეწყნარება—მიღება, შეტკობა. 2 როგორც. 3 პატრიარქნი: აღამ, ნოე, აბრაამ, ისაკ და სხვანი. 4 წიალი—კალთა, უბე. 5 მატთანნი—წელთაღწერა. 6 მარტვლი—რჯულისთვის წამებული, მოწამე. 7 ფრიად დამიკვრდების—ძალიან მივირის. 8 ჟამი—დრო. 9 ისმაიტელი—ისმაილის (აბრაამის უკანონო შვილის) ჩამომავალი, არაბი. 10 ნებით. 11 მახელი—ხმალი. 12 ვინაჲ—საიდგან. 13 ისწავლე. 14 საკვრველება—საოცრება, სასწაული. 15 განდრეკილი—განდგომილი, მოდალატე. 16 განიკითხვა—დასჯა, გასამართლება. 17 არამედ—მაგრამ. 18 ბრკობა—წაფერება, წაბორძიება, ფეხის გადაცდენა.

და დაეცა, რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროჲ¹ ესე შეიყუარა და საუკუნოჲ იგი წარწყმიდა², მტერმან ბოროტმან აღი-ტაცა და ცხოვარი³ იგი ქრისტსი ნამგლევე⁴ იქმნა, რამეთუ, მწყემსსა მას კეთილსა განემორა და არგანი⁵ იგი ქრისტს ძლიერებისაჲ განაგდო კელთაგან თვსთა; ამისთვისცა იძლია და განვარდა სამწყსოჲსაგან პირმეტყუელთა ცხოვართაჲსა! ხოლო შენ, სანატრელო მოწამეო, კუერთხითა⁶ მით, ჯუართა თვსითა, დაგიცვა მსგავსად ძლიერისა მის სარწმუნოებისა შენისა მისა მიმართ!

შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განეწესე! შენ კარი იგი სამოთხისაჲ განალე ჯუართა ქრისტსითა და მცველთა მათ ქერობინთა⁷ ცეცხლის მსგავსთა ვერ განგეკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ!

და რაჲღამე ვთქუა უფროჲს⁸? რამეთუ უფალმან ივნო⁹ ჩუენ-თვს, უბრალომან¹⁰ ბრალეულთათვს დასთხია¹¹ სისხლი თვისი უბიწოჲ¹², ხოლო შენ გადაიკადე თანანადები¹³, რამეთუ შენცა დასთხიე სისხლი თვისი სიყუარულისა მისისათვს! ამისთვისცა ძლევისა გვრგვინთა შეგამკო შენ და სასუფეველსა მისსა მკვდრად გამოგაჩინა!

შენგამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტსი ჩუენ-დამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ კულად განახლდა: რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შეჯულითა განდგომილსა ქრისტსგან, ნათესავესა საწუთროჲსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნო-სა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქუმასა¹⁴ გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა¹⁵ უსასონი¹⁶ ქრისტსგან და დამეიწყებელნი საუკუნოჲსა ცხოვრებისანი¹⁷,—ხოლო აწ¹⁸ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტს და ჩუენ გულისხმა¹⁹ ვყავთ კულად შიში მისი და სიყუარული მისი და მადლსა მისსა ღირს ვიქმნენით და სიყუარულსა მისსა და წყალობასა ღლითი-ღლედ²⁰ მრავალთა სასწაულთა და კურნებათა²¹ ჩუენ შორის²² გამოჩინებითა!

¹ საწუთრო—წუთისოფელი, სააქო ცხოვრება, ეს ქვეყანა. ² წარწყმედა—დაღუპვა, და-კარგვა. ³ ცხოვარი. ⁴ ნამგლევი—მგლისაგან მოტაცებული. ⁵ არგანი—ჯოხი. ⁶ კუერთხი—სა-ბუენი ჯოხი. ⁷ ქერობინი—ანგელოზთა უმაღლესი ხარისხი. ⁸ მუტეტი. ⁹ იტანჯა, ვნება მიიღო. ¹⁰ უბრალო—უღანაშაულო. ¹¹ დათხევა—დაღერა. ¹² უბიწო—უტოღველი, წმიდა. ¹³ თანანა-დები—ვალი, ვალდებულება, მოვალეობა. ¹⁴ გულისთქმა—გულისწადილი, სურვილი, გუ-ლისხვნება. ¹⁵ როგორც. ¹⁶ უსასო—უიმედო. ¹⁷ ცხოვება—ცხოვრება. ¹⁸ აწ—ესხლა. ¹⁹ გულის-ხმა—მიწვედრილობა, შეგნება, გაგება; გულ-სხმა ვყავ—მივხვდი, ვაივგე, შევიგინე. ²⁰ ღლი-თიღლედ—ყოველ ღლედ, მუღამ. ²¹ კურნება—მორჩენა (სენისაგან). ²² შორის—შუა.

შენ, უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახვლითა¹ და ცეცხლითა უმეტეს ალისა განგაბრწყინვეს შენ! ვერ გულისხმა ყვეს უგულისხმოთა მათ სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, ვითარმედ: «იყოს ყოველმან, რომელმან მოგწყვდნეს² თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა!»

ჰ უგუნურებაჲ და უმეტეს უგუნურებაჲ იგი მათი! რამეთუ რომელი იგი პირველ არაჲინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესაჲისაგან³, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯულითა სცხონდებოდე, — აწ ესერა უნებლებით⁴ წარმოგაჩინეს საცნაურად, ქრისტეს აღმსარებელად ჭ მარტულად⁵ ყოველთა შეგისწავეს შენ, ყოველთა დაბადებულთა პატივ გცეს!

რამეთუ ცაჲ მოწამე არს სიმატლესა შენსა უცხოესა ცეცხლისა გარდამოვლინებითა⁶ ადგილსა მას ზედა, რომელსა ვითარცა კრავი უმანკოა⁷ შეიწირე, შემწუარი ცეცხლითა!

შენ ქუეყანამან მსხუერპლად წმიდად სათნოდ⁸ მიგიპყრა ღმერთსა, მას ზედა დაწუვითა პატიოსნისა გუამისა⁹ შენისაჲთა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველი¹⁰ იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი და ელიაჲსი, რომელნი იგი მრგულიად დასაწუველთა¹¹ მათ ტარიგთა¹² შესწირვიდეს ღმრთისა!

შენ მდინარეთა მაგათ შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტეს მარტული, ხლოო ქრისტემან ღმერთმან სიღრმეთაჲ მათ სიბნელს ზეცისა ნათლითა განაბრწყინე!

შენ ნათესაეთა შენთა უცხო და განგდებულ გყვეს, ხლოო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია და მიგიპყრა¹³ თვისსა მას ეკლესიასა! შენ, ველური ეგე ზეთისხილი, მოგილო¹⁴ ქრისტემან და მტილსა¹⁵ მას შინა, თვისსა სამკვდრებელსა, ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა! და ნაყოფითა მით სარწმუნოებისა შენისაჲთა ახარა ეკლესიასა, რომელსა შინა იშუებენ¹⁶ ქრისტეს მორწმუნენი და ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუაწებასა, შენსა მას სიმკნესა, შენსა მას მარტულობასა, შენსა მას გვრგვნოსნებასა!

¹ მახვილი—ხმალი. ² მოწყუედა—ამოწყუედა, დახოცვა. ³ ნათესაჲი—გვარი, ტომი, ჩამომავლობა. ⁴ უნებურათ. ⁵ მარტული—რჯულისთვის წამებული. ⁶ გარდამოვლინება—ზეცილგან გადმოგზავნა. ⁷ უმანკო—უნაკლულო, უცოდველი, წმიდა. ⁸ სათნო—საამო, კეთილმისაღები. ⁹ გეამი—სხეული, ხორცი. ¹⁰ სამსხვერპლო. ¹¹ მრგულიად დასაწუველი—მთლად დასაწუველი (მსხვერპლი). ¹² ტარიგი—სამსხვერპლო ცხოველი. ¹³ პყრობა—დაქერა; მიგიპყრა—დაგიპყრა. ¹⁴ მოღება—მოტანა. ¹⁵ მტილი—ბაღი. ¹⁶ შუება—ლხენა; იშუებენ—მოიღუნენ, იხარებენ.

შითარმე გაქებდე შენ, ლუაწლისა მძლეო წმიდაო მოწამეო, რაჟეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტს მორწმუნს, მოძღუარ¹ ჩუენდა იქმენ, სწავლულნი უფროაჲს² გულისხმიერ³ ჰყვენ, შერყეულნი უფროაჲს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ⁴ ჰყვენ ქრისტს მონებად, საკსენებელი მარტვლობისა შენისაჲ ჩუენ დაგვტევე, სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმნენით!

აწ ვევედრებით⁵ შენსა ქრისტსმოყუარებასა: მეოხმცა⁶ ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთათჳს, რომელნი შენ მიერ ითხოვენ წყალობასა ქრისტს-ღმრთისაგან, რომლისაჲ არს დიდებაჲ და პატივი და ძლიერებაჲ. თანა მამით და ყოვლად წმიდით სულითურთ, აწ და მარადის⁷ და უკუნითი-უკუნისამდე. ამცნ!⁸

II იოვანე მტბეჳარი

მე-X-ე საუკუნე

იოვანე მტბეჳარის შესახებაც ძლიერ ცოტა საბიოგრაფიო მასალა მოგვეპოება. ვიცით მხოლოდ, რომ იგი მე-X-ე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა: 995 წლამდე ტბეთის ეპისკოპოსად იყო (აქედგან მიიღო სახელი «მტბეჳარი»), ხოლო ამ წლის მახლობლად მაწყვერობა მიიღო (აწყვერის ეპისკოპოსობა). მისი საგალობლები, რომელთაც ჩვენამდე მოაწიეს, 988 წლამდეა დაწერილი. ქვემოდ დაბეჭდილი ნიმუშები საკმაო წარმოდგენას იძლევა იოვანე მტბეჳარის სამგონსო სტილისა და სარწმუნოებრივი აღმჯგერენის შესახებ.

¹ მოძღუარი—მასწავლებელი. ² უმეტეს. ³ გულისხმიერი—შეგნებულნი. შესმენილი. ⁴ წადიერი—მსურველი. ⁵ ვედრება—თხოვნა, ხვეწნა. ⁶ მეოხი—შემწე, შუამავალი. ⁷ მუდამ, ყოველთვის. ⁸ ამინ—აგურ იყოს.

ქრისტეს შობის საგალობელი:

ა. იხარებდით ცანი და იშუებდით¹ ქუეყანაჲ და ზღუაჲ მკვდრთა თვსთა თანა დღეს ღირსად! ბეთლემ, განემზადე! და შეიმკვე, ქუაბო²! და შენ აწ, ბაგაო³, შეიწყნარე⁴ ნათელი ზეცით! რამეთუ აჩრდილი განქარდა, ღმერთი რაჲ კაც იქმნა ჩუენთვის, ადამ ღალადებს⁵ ევაჲს თანა: «მოვიდა მკსნელი მაცხოვრად⁶ ჩუენდა!»

ბ. მოვედით⁷ ქრისტეშემოსილნო⁸ ერნო! იხილეთ საკვრველი, რომელი უაღრეს⁹ არს ცნობისა! სიწმიდით უგალობდეთ და შიშით თავყუანის ვსცემდეთ! დღეს ბეთლემდ¹⁰ მოვალს ქალწული, მუცლადღებული¹¹, შობად ყოველთა ღმრთისა? ანგელოზთა გუნდნი წინა უძღვან და შიშით ესრტთ კომბენ¹²: «რაჲ არს საიდუმლოჲსა¹³ შენისა განგებაჲ, ქალწულო, ვითარ პირველ¹⁴ ეამთა შობილი ძკ გიტვრთავს, რომელმან წამისყოფით¹⁵ დაჰბადა ყოველივე, ვითარცა ინება!».

გ. ისმინე შენ აწ, ცაო! და ყურად იღე¹⁶, ქუეყანაო! შიშით ძრწოდეთ¹⁷ საფუძველნი¹⁸ ქუესკნელისანი! რამეთუ ღმერთი უხილაჲი განკორციელდა და, რომელი ზის ზედა ქერობინთა, საშოსა ქალწულისასა დატევენული, შობად მოვალს დღეს! ზ სიღრმესა ღმრთისა სიბრძნისასა გამოუთქუმელსა! რამეთუ ღმერთი განკაცნა¹⁹ უქცეველად²⁰, რაჲთა²¹ განაღმრთოს კაცებაჲ დაცემული და სუფევედ ღირს ყოს.

დ. საიდუმლოჲ გამოუთქუმელი დღეს ბეთლემს განცხადნა, რამეთუ სიტყუაჲ ღმრთისაჲ, პირველ ხილული ღმრთისმხილველთაჲ, მას შინა იშვების კორცითა უსძლოჲსაგან²² ქალწულისა და სახუეველითა შეიხუევის აღამის შემოქმედი! ამისთვისცა იხარებდით ცანი მალაონი და გალობდინ²³ ქუეყანაჲ! დაჰბერეთ ნესტუსა²⁴ საფუძველთა

¹ ილხენდით. ² გამოქვაბულო. ³ ბაგა—საქონლის საქმლის ჩასაყრელი, რომელთანაც საქონელი აბია და სკაჲს საკვებს. ⁴ მიიღე. ⁵ ღალადი—ზმამალა ძახილი. ⁶ მაცხოვარი—ცხოვრების მომცემელი, მაცოცხლებელი. ⁷ მოდით, ⁸ ქრისტეს მატარებელი, ქრისტიანი. ⁹ უაღრესი—უმადლესი, მეტი. ¹⁰ ბეთლემის ქალაქი. ¹¹ ორსული. ¹² გალობენ. ¹³ საიდუმლო—დაფარული. ¹⁴ პირველ—წინეთ, ადრე. ¹⁵ წამისყოფა—ნიშნის მიცემა (თვალით), თვალის დახამხამება. ¹⁶ ყურად იღება—გაგონება, მოსმენა. ¹⁷ ძრწოლა—კანკალი. ¹⁸ საძირკვლები. ¹⁹ კაცობა მიიღო. ²⁰ შეუცვლელად. ²¹ რათა—იმ მიზნით, რომ. ²² სძალი—საცოლო; უსძლო—ისეთი კალი, რომელიც არავისი საცოლო არ ყოფილა. ²³ გალობდეს. ²⁴ ნესტვი—სტირი, საყვირი, სალაბური.

სოფლისათა¹! და განსცხრებოდენ² ზღუაჲ ოხრითურთ³ და ყოველი, რაჲ არს მას შინა! მწყემსნი ზეცისა მგალობელთა თანა ერთობით აქებდით და მოგუთა⁴ თანა სამეუფოსა ძღუენსა შესწირევდით, წარმართთა ერნო, მეუფისა⁵! და ერთობით ყოველნი შესხმითა⁶ მით სულიერითა უღალადებდეთ⁷ ჩჩვლად⁸ შობილსა ახალსა ყრმასა ჩუენთჳს და ღმერთსა პირველ საუკუნეთა შემოქმედსა და ესრტთ ვიტყოდით: «გამოუთქუმელო ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა!»).

მ. ნაყოფისაგან სიძარტლისა აღმოსცენდა ხს ცხოვრებისაჲ, რომელმანცა გამოიღო ყუაველი სულნელი⁹, ვითარცა თქუა პირველ სოლომონ, იგავთა სიბრძნით გამომეტყუელმან; რამეთუ აჰა ესერა¹⁰ ქუეყანისა¹¹ მისგან სიწმიდისა აღმოსცენდა დაუთესველად საზრდელი სულიერი და სამეუფოჲსაგან ვენაკისა მოვისთულეთ¹² ტევანი, მომწყდართა განმაცხოველებელი, რომელმან განაქარვა სიმწარც პირველი ხისა ცნობადისაჲ¹³ და მომცა ჩუენ სასუმელი ცხოვრებისაჲ, რომლითა დაჰკსნა პირველი განსაზღვრებული იგი პატიჲ¹⁴ მოკუდავებისაჲ უკუდავებისა მფლობელმან ღმერთმან!

გ. შოვედით, ქრისტეს მოყუარენო! ერთობით ვიხარებდეთ ამის ახლისა შესხმისათჳს! განვიწმიდნეთ სულნი და კორცნი და საშუმინველნი¹⁵ და განზადებულნი მივიწინეთ¹⁶ ჩუენ საკვრველსა შობასა უფლისასა და ბრწყინვალედ განვეწყვნეთ და მოგუთა თანა შევეწირით ძღუნად გალობაჲ სულიერი, ხოლო ქერობინთა თანა შიშით ვიტყოდეთ: «წმიდა არს მამაჲ, წმიდა არს ძს, წმიდა არს სული წმიდაჲ, განუყოფელად ღმერთი, რომელი სუფევს უკუნისამდე!»).

¹ სოფელი—ქვეყანა. ² განსცხრება—შხიარულება, შექცევა. ³ ოხრა—ტალღების ხმაური. ⁴ მოგუთა—ცეცხლის ან მნათობთა მსახური, ვარსკვლავთ შრიცხველი, ბრძენი. ⁵ მეუფე—მეფე. ⁶ შესხმა—შეშკობა. ⁷ ღალადი—ხმამალა ძახილი. ⁸ ჩჩვილი—ნორჩი ბავშვი, ყმაწვილი. ⁹ სურნელთვანი. ¹⁰ აჰა ესერა—აი. ¹¹ ქვეყანა—მიწა. ¹² მოსთელა—მოკრეფა. ¹³ ხე ცნობადისა—სამოთხის ხე, რომლის ნაყოფს ვინცა სჭამდა, გაიგებდა (=სცნობდა) რა არის კეთილი და რაა ბზროტი. ¹⁴ პატიჲ—სასჯელი. ¹⁵ სასუნთქველი, სუნთქვა. ¹⁶ მივიდეთ.

III მიქაელ მოდრეკილი

მე-X-ე საუკუნე

მიქაელ მოდრეკილიც მეთე საუკუნის მეორე ნახევრის სასულიერო მწერალ-მგოსანია. მისი სახელით ჩვენამდე მრავალმა გაულექსავმა და გალექსილმა (იამბიკობად) საგალობელმა მოაწია. მაგრამ ძვირფასი ის არის, რომ ეს საგალობლები თვით ავტორის ხელით გადაწერილს ტყავის ხელნაწერში შენახულა, რომელიც მიქაელს 978—988 წლებს შუა გადაუწერია, რის გამოც მთელ ხელნაწერს „მიქაელ მოდრეკილის კრებულს“ ეძახიან. ამ ძვირფას კრებულში სხვა ავტორების საგალობლებიც მრავლად მოიპოვება. ეს კრებული ფასდაუდებელია ეგრეთვე იმიტაც, რომ მასში პირველად გვხვდება უძველესი ქართული საგალობელი ნიშნები (ნოტები), რომელთა მნიშვნელობა, სამწუხაროდ, დღემდე გამოურკვეველია.

«მოდრეკილი» მიქაელის ზედმეტი სახელია და მის საბერო ცხოვრებას აღნიშნავს, მაგრამ მას უფრო სხვა პსევდონიმით წერა ჰყვარებია; მისი საგალობლების უდიდეს ნაწილს ასეთი წარწერა აქვს:

«თქმულნი ორმოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი», რაც ნიშნავს; «თქმულნი მიქაელისანი», რადგან რიცხვები «ორმოცი, ათი, ექვსასი, ერთი, ხუთი და ოცდაათი» ასოებით რომ გამოვხატოთ, მივიღებთ ავტორის სახელს: მიქაელ.

ქვემოდ დაბეჭდილ ორ თხზულებაში პირველი მიქაელის ულექსო სტილის ნიმუშს იძლევა, მეორე—გალექსილისას. „იამბიკოში“ მიქაელს პირველად შემოეტანია ზომა და რიტმი: ამაზე უფრო ადრე ცეზურიანი ლექსი ჩვენ არა გვხვდება. ამიტომ სამართლიანად ჰფიქრობენ, რომ ამ ზომის ლექსს-«მიქაელური» უნდა დაერქვას¹.

¹ საზოგადოდ ქართული ლექსისა და კერძოდ სასულიერო „იამბიკოს“ შესახებ იხ. ჩვენი „ქართული წყობილისტიკაობა“, ტფილისი, 1912 წ., გვ. 52.

1 ნათლისღების საკალობელნი

თქუმულნი ორმოციისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა,
ხუთისა და ოცდაათისანი.

ა

ჭირსტემან ნათელს ილო კორცითა და განანათლა მან სოფელი¹ საღმრთოჲსა მის ნათლისა მიფენითა: იხარებდით დღეს ცანი! განსცხრებოდენ² ქუეყანაჲ! დაჰბერეთ ნესტუსა³ სოფლისა საფუძველთა! აღიძარნ ზღუჲა სავსებითურთ⁴! იშუებდით⁵ მთანი წინაშე პირსა უფლისასა! დღეს მოვიდა ნათლისღებად დაუბადებელი ნათელი უსხეულოჲ, დაბადებულთა დამბადებელი!

საცნაურისა ბრწყინვალისა ნათლისა მიფენითა მოსძარცუენ⁶ გულსა ჩემსა ბნელი წყუღიადი⁷ უმეცრებისაჲ, ღმრთისა სიტყუაო⁸, რომელი ეგე ხარ ბრწყინვალეჲა დიდებისაჲ დაუსაბამოჲსა⁹ მამისაჲ, რაჲთა¹⁰ ღირსად შევამკობდე დღეს დღესასწაულსა ამას, ბრწყინვალედ ნათლითა შემოსილსა!

ტაძარსა¹¹ შინა, სავსესა საღმრთოჲთა დიდებითა, შემოგვრბეთ კათოლიკე¹² ეკლესიასა, ღმერთშემოსილთა ერთა კრებულნო, და საღმრთოჲსა ებნისა¹³ სახიობითა¹⁴ დიდების ვმეტყუელებდეთ¹⁵ ღმერთსა, კორცითა გამოჩინებულსა, რომელი დღეს განცხადნა ნათლისღებითა იორდანისა წყალთა!

ბ

მართი ძს მხოლოჲ ორითა ბუნებითა სრულითა გიცანთ დღეს იორდანეს, ღმრთისა სიტყუაო, ღმერთი ჰეშმარიტი¹⁶ ღმრთისაგან ჰეშმარიტისა, ნათელი ნათლისაგანი, ნათლისღებად ჩუენთჲს მოსრული, ვითარცა კაცი, იორდანეს, რომელი ზეგარდამო¹⁷ მამისაგან იწამენ¹⁸ ძედ საყუარელად!

¹ ქიეყნიერება. ² განსხრომა—მოღვნა, შექცევა. ³ ნესტეი—სტერიი, საყვირი, საღამური. ⁴ სავსება ზღვისა, ე. ი. რაც ზღვაში იშვოფება, რითაც ზღვა სავსეა, ზღვის ცხოველნი და მცენარენი, თვალ-მარგალიტნი და სხვანი. ⁵ იხარებდით, მოიღვინეთ. ⁶ მოძარცვა—მოხდა, მოგლეჯა, ჩამოცლა. ⁷ წყუღიადი—თვალგაუვალი სიბნელე. ⁸ ღმრთის სიტყუა—ქ. ღმრთისა, უფალი იესო ქრისტე. ⁹ დაუსაბამო—რასაც დასაბამი ე. ი. დასაწყისი არა აქვს. ¹⁰ რაჲთა—რათა, იმ მიზნით რომ. ¹¹ ტაძარი—საყადარი, სალოცველო სახლი. ¹² კათოლიკე—საყოველთაო, მსოფლიო. ¹³ ებანი—ჩანგი, არფა. ¹⁴ სახიობა—სამუსიკო იარაღთა დაკვრა. ¹⁵ ჰეშმან ვეტყუდეთ, ვაქებდეთ. ¹⁶ ნამდვილი, უტყუარი, მართალი. ¹⁷ ზეციდგან. ¹⁸ იწამენ—დამოწმებულ იქნენ.

საიდუმლოა, უზეშთავს¹ ცნობათა აღმატებული, უცნაური ძალთაგან², იორდანეს საცნაურ იქმნა: უხილავი ღმერთი იხილვა კორცითა უკორცოთა შემოქმედი, განშიშვლებული მდგომარე, რაჟთა განმძარცოს³ წყევისა⁴ სამოსელი⁵!

იხარებდ⁶, ღმრთისმეტყუელო ესაია⁷! აჰა აღესრულა იგავით ქადაგებული შენი კეშმარიტად: «ერსა, რომელი სხდა ბნელსა და სიკუდილისა აჩრდილთა⁸, გამოუბრწყინდა ნათელი უკუდავებისაჲ», რამეთუ ქრისტე მოვიდა დღეს, დაუსაბამოჲ⁹ იგი ნათელი, ნათლისღებად იორდანისა წყალთა.

ღრუბლით გამო ოხრითა¹⁰ საღმრთოჲსა მის ქადაგებისაჲთა იწამე¹¹ მამისა მიერ ძედ საყუარელად, ქრისტე, და სული წმიდაჲ შენ ზედა მსგავსებითა მით მტრედისაჲთა გარდამოკდა, რომლისა მიერ განცხადნა ერთარსებაჲ სამებისაჲ ნათლისღებასა შენსა კორცითა დღეს იორდანეს, ღმრთისა სიტყუა!

უპირატესი ჟამთაჲ¹², ყოველთავე არსთა არსებისა მიზეზი, სიტყუაჲ უჟამოჲ¹³, პირველ ჟამთა¹⁴ შობილი, ღმერთი ძლიერი და კელმწიფს, მთავარი იგი მთავრობათა ზეცისათა, დღეს მოვიდა იორდანეს, ვითარცა კაცი, ნათლისღებად, უცოდველი, რაჟთა აღიხუნეს¹⁵ ცოდვანი ყოელისა სოფლისანი!

დაუსაბამოჲ ღმერთი უხილავი იხილვა კორცითა, ადამის ხატითა¹⁶ მოსრული იორდანეს! გარეშეუწერელი¹⁷ შეიმოს¹⁸ წყალთა, რაჟთა წყარო ცხოვრებისა ყოს იორდანე მორწმუნეთათჳს. ამას შიშით თავყუანის ვსცემდეთ და უკორცოთა თანა ვაქებდეთ ღმერთსა, კორცითა ჩუენთჳს მოსრულსა!

ერნი ნათლისანი გარემოჲს დღეს საღმრთოსა მას საბანელსა და წმიდაარსობით¹⁹ შეამკობდეს ერთობით კორცითა ნათლისღებად მოსრულსა ჩუენთჳს იორდანეს ღმრთისა სიტყუასა. მათ თანა

1 უმაღლეს. 2 იგულისხმებიან ზეცის ძალნი, ე. ი. ანგელოზები. 3 გამზადოს, გამძარცოს. 4 წყევლისა. 5 ტანსაცმელი. 6 იხარებდეთ. 7 ისაია წინასწარმეტყუელი. 8 სიკუდილისა აჩრდილნი—შიცვალბულნი. მკუდართ სამყოფელი ადგილი. 9 რომელსაც დასაწყისი (=დასაბამი) არა აქვს. 10 ოხრა—ხმა, ხმაური. 11 იწამე—შემოწმებულ იქმენ. 12 უპირატესი ჟამთაჲ—ვინც დროთა უწინარეს ცხოვრობდა, ე. ი. საუკუნო, მარად მყოფი. 13 უჟამო—უდროო, რომელიც დრო—ჟამით არ გაიზომება. 14 პირველ ჟამთა—დროთა უწინ, სანამ დროები დაიწყებოდა. 15 აიღოს; აღიხმა—ადება. 16 ხატი—სახე. 17 გარეშეუწერელი—წრეშემოუვლებელი, შეუზღუდველი. 18 შეიმოსეა—ტანთ ჩაცმა. 19. ე. ი. გალობით: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს“.

ჩუენცა, მორწმუნენი, ღმერთსა, შობილსა ღმრთისაგან ქეშმარიტი-
სა და კარცითა მოსრულსა, ვაკურთხევედეთ მხოლოსა¹ აწ და
უკუნისამდე!

8

ნეტარებაჲ პირველი მოილო ღღეს ადამ, რაჲამს² სათნო იჩინე³
განბანაჲ, უცოდველო, იორდანეს, მკსნელო, და გუელი იგი მაც-
თური მოაშთვე⁴ წყალთა შინა, სახიერ⁵, და საცთური⁶ პირველი
შესწვ⁷ ღმრთეებისა ცეცხლითა, ღმრთისა სიტყუაო! ამისთვის ყოველ-
ნი გილაღდებთ⁸ და ვიტყვთ: „მომიკსენენ ჩუენ, უფალო, ოღეს⁹
მოხვდე სუფევეითა¹⁰ შენითა!“

ნეტარებაჲ პირველი ღღეს ევას ეხარა, რამეთუ იორდანეს ნათ-
ლისღებად მოვიდა კარცითა სიმდაბლით შეუხებელი ნათელი უპი-
რატსი¹¹ საუკუნეთაჲ, და განმიხუნა¹² სახიერებით ედემისა¹³ ბჰენი¹⁴,
პირველ დაკშულნი¹⁵, რომელსა ყოველნი ულაღდებთ და ვიტყვთ:
„მომიკსენენ ჩუენ, უფალო, ოღეს მოხვდე სუფევეითა შენითა!“

ნეტარებაჲ პირველი პოვა ღღეს სოფელმან¹⁶, რამეთუ ქეშმარი-
ტად სოფლისა შემოკშმედი მოვალს იორდანეს ნათლისღებად იოვა-
ნესა. ამისთვისცა მთანი იხარებენ წინაშე პირსა უფლისასა და ბორ-
ცუნი¹⁷ სიხარულით განსცხრებიან¹⁸, ხოლო ჩუენ, მორწმუნენი,
ვლაღდებთ და ვიტყვთ: „მომიკსენენ ჩუენ, უფალო, ოღეს მოხვ-
დე სუფევეითა შენითა!“

ღ

შენ, რომელი იმსახურები ზეცას მკედრობათაგან უკორკოათასა¹⁹,
რომელი უხილავ ხარ ქერობინთაგან და თუალთშეუღდამ²⁰ სერო-
ბინთაგან²¹, რომელსა მხოლოსა გაქუს უკუდავებაჲ და ნათელსა

¹ მარტოსა, ერთსა. ² როცა. ³ სათნო იჩინე—სასიამოვნოდ მიიჩნიე, მოისურვე, ინებე.
⁴ მოშთომა—მოდრჩობა, დადრჩობა, გაგუღდა. ⁵ სახიერი—კეთილი, ტკბილ-მოწყალე. ⁶ საც-
თური—ცდომა, შეცოდება; საცთური პირველი—იგულისხმება ევასი და ადამის პირველი
შეცოდება სამოთხეში. ⁷ დასწვი. ⁸ ხმაღლა გეუბნებით. ⁹ როცა. ¹⁰ სუფევა—მეფობა. ¹¹ უფ-
როსი, უადრესი. ¹² განმლო. ¹³ ედემო—სამოთხის ბაღი. ¹⁴ ბჰე—კარები, კიშკარი. ¹⁵ დაკე-
ტილნი. ¹⁶ ქეყენიერებამ. ¹⁷ ბორცვი—სერი, გორაკი. ¹⁸ ილხენენ, მხიარულობენ. ¹⁹ მხედრობა-
ნი უბორკოთანი—ანგელოზთა გუნდნი. ²⁰ თუალთშეუღდამი—თუალშეუმართავი, რასაც
თუალს ვერ გაუსწორებთ (როგორცაა, მაგალითად, მზის შუქი). ²¹ სერობინნი—სერაფიმნი,
ანგელოზთა უმაღლესი გვარია.

მყოფ ხარ თუალთშეუდგამსა, რომელი შეიწირავ უძლოურისაგან ბუნებისა მიწისაგანთა¹ გალობასა! დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვრველ არიან საქმენი შენნი! შენ გარდაართხენ² ცანი ბრძანებით და დააფუძნე ქუეყანაჲ განგებულებით! შენ ოთხთაგან წესთა³ შეამკვე სოფელი და სამყაროთა⁴ შინა განაწესენ მნათობნი! და შენგან ძრწიან⁵ ყოველნი ძალნი ნათლისანი! შენ გიგალობს მზს, შენ გადიდებს მთავარს⁶, შენ გაქებენ ვარსკულაენი, შენგან ძრწიან უფსკრულნი⁷, შენ გიგალობენ მთავრობანი, შენ გადიდებენ კელმწიფებანი, შენ თაყუანის გცემენ მეუფებანი და ყოველნი დასნი ზეცისა მღვდარეთანი⁸ იფარვენ პირთა მათთა მიუწლომელისაგან დიდებისა შენისა და თუალთშეუდგამად კობენ წმიდაარსობისა გალობასა: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ⁹, რომელი სუფევს უკუნითი უკუნისამდე. აღელუია!¹⁰“

2 აღდგომის საგალობელი

იამბიკო¹¹

მხოლოდშობილო¹² ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო!
რათამს¹³ კორცითა აღმაღლდი ჯუარსა ზედა,
უბიწოათა¹⁴ მით სისხლითა მოიყიდე
და დაიწინდე¹⁵ ეკლესიაჲ წარმართთაჲ,
ვითარცა სძალი¹⁶, უკუდავმან მეუფემან!

მხოლოდშობილო ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო!
რათამს დაიდევ ნეფსით¹⁷ თვისით საფლავსა,

¹ მიწისაგანნი—მიწის შვილნი, ადამიანები. ² გარდაართხენ—გადაკვიმვა, გადაფენა, გაშლა. ³ „ოთხი წესი“—აქ იგულისხმება ოთხი სტიქიონი ანუ ოთხი დასებაჲ: მიწა, წყალი, ქარი და ცეცხლი, რომელთაგანაც, ძველთა წარმოდგენით, შესდგებოდა მთელი ხილული ქვეყნიერება. ⁴ სამყარო—ცა. ⁵ კანკალებენ. ⁶ მთვარე. ⁷ უფსკრული—უძირო ზღვა. იგულისხმებიან ანგელოზები. ⁸ „საბაოთი“—ებრაული სიტყვაჲ, ნიშნავს „მხედრობას“; ასე ეწოდება ბიბლიაში თვით ღმერცხს. ⁹ „აღილუია“—ებრაული სიტყვაჲ, ნიშნავს: „აქებდეთ უფალსა!“ ¹⁰ იამბიკო—თორმეტმარცვლოვანი ურითმო ლექსია, უფრო სასულიერო მწერლობაში გვხვდება (შეად. ჩვენი „ქართული წყობილისიტყუაობა“). ¹¹ მხოლოდშობილი—მარტოშობილი, ვამის ან დედის ერთა. ¹² როცა. ¹³ უბიწო—უბანკო, უცოდველი, წმიდა. ¹⁴ დაწინდე—დანიშნა; დაგირავება. ¹⁵ სასძლო, საცლო. ¹⁶ ნებით.

საფლავით მკუდარნი აღადგინენ კელმწიფედ,
რამეთუ მიხუედ სულთა საპყრობილესა
და შეწყუდომილნი¹ მას შინა გამოიქსნენ!

მხოლოდშობილო ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო!
რაჲმს უკუდავი ღმერთი აღსდევ საფლავით,
დაჰსენ სიკუდილი, განაქარვე ხრწნილება²
და მორწმუნეთა მოგუმაღლე³ უხრწნილება⁴
და უკუდავება მოკუდავთა მოგუანიკე!

ზურწამს მორწმუნეთა ერთი ქრისტე, ძე მხოლოდ⁵,
დაუსაბამო⁶, ორითა ბუნებითა:
ღმერთი და კაცი, უკუდავი და მოკუდავი,
რომელი მოკუდა კორცითა და ღღეს აღდგა
უძლეველითა ღმრთეებისა ძალითა!

ბატრიე⁷, ქრისტე, ცუარი ცხოველსყოფელი⁸
უნაყოფოსა სულსა ჩემსა, სახიერ⁹,
და დაშრიტე¹⁰ აწ შემწუველობაჲ ცოდვისაჲ
ნაკადულითა სისხლისა და წყლისაჲთა,
რომელი გუერდით შენით გარდამოცე¹¹!

მიჰხედენ, ღირსო, ძესა შენსა ჯუარსცუმულსა,
უენებელსა მას, კორციელად დაშჯილსა,
ღმრთისა დედაო, და ესევი¹² აწ ძალსა
მისსა ძლიერსა, რამეთუ მან თავადმან¹³
მოკლას სიკუდილი და მკუდარნი აღადგინენს!

მიჰხედენ, მკსნელო, ჯუარსცუმულმან, კორციელად
მშობელსა შენსა, უბიწოსა¹⁴ ქალწულსა,
შეურვებულსა¹⁵, ეტყოდე შენ, სულგრძელო:¹⁶
«ნუ მწუხარე ხარ, ღირსო, ვნებასა¹⁷ ჩემსა,
რამეთუ აღდგე მკუდრეთით¹⁸, ვითარცა ღმერთ ვარ!»

¹ შემწყუდეული, დატუსადებული. ² ხრწნილება—სხეულის დაშლა, დარღვევა. ³ მოგვეცი, გვიწყალობე. ⁴ უხრწნილება—სხეულის დაურღვეველობა, უკუდავება. ⁵ მარტო, ერთი. ⁶ რომელსაც არ აქვს დასაბამი (დასაწყისი). ⁷ ცვრევა—წვეთ-წვეთად დასხმა, სხურება. ⁸ სიკუდილის მოშველი, შაცხველი. ⁹ სახიერი—კეთილი. ¹⁰ დაშრიტა—დავსება, დაქრობა, დაშრობა. ¹¹ გადმოვიდა. ¹² ვესავ—იმიედი მაქვს; ესევი—იმიედი გქონდეს; სასოება—იმიედი. ¹³ თავადი—თვით, თვითონ. ¹⁴ უბიწო—უმანკო, უცოდველი. ¹⁵ შეურვებული—შეწყუბებული. ¹⁶ სულგრძელი—მოშობენი. ¹⁷ ტანჯვასა. ¹⁸ მკუდრეთით—მკუდრების ქვეყანა, საიქიო.

მიისწრაფე აწ საფლავად, ღმრთისმშობელო,
და იხილე¹ ძს შენი და ღმერთი ჩუენი,
რომელმან ივნო და მოკუდა კორციელად:
აღდგომილ არს დღეს ღმრთეებისა ძალითა
და აღვალს ზეცად უხრწნელსა სუფევასა!

მოგუმადლე², მხსნელო, მოტევებაჲ ცოდვათაჲ
და შეიწირე უღირსთაგან ბაგეთა³
უძლური შესხმაჲ⁴ ღმრთეებისა შენისაჲ!
მოჰმადლე ძლევაჲ მეფესა მორწმუნესა
და წარგვმართე გზასა მშკლობისასა!



¹ ნახე. ² გვიწყალობე, მოგვეც. ³ ბაგე—ტუჩი, პირი. ⁴ შესხმა—შემკობა.

II

კლასიკური პერიოდი

საზოგადო მიმოხილვა

მე-XI-ე საუკუნის დამლევადგან, დავით აღმაშენებლის მეუბობაში (1089—1125 წ.), საქართველომ შესამჩნევად იწყო ზრდა და განვითარება. ამ მოვლენას სხვათა შორის ხელი შეუწყო ჯვაროსანთა ომებმა, რომელთაც ჩვენი მშინდელი მტრების, თურქების, უმთავრესი ძალა და უურადლება ჰალესტინისაკენ მიჰმართეს. ამით ისარგებლა ახალგაზრდა მეფემ დავით აღმაშენებელმა და მცირე ხნის განმავლობაში თავისი სამფლობელო გარეშე მტერთაგან გასწმინდა. დავითის ღვაწლი მისმა შემკვიდრებმა განაგრძეს; და თამარის დროს (1184—1213 წ.) საქართველოს სამეფოს საზღვრები უკვე შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და კავკასიონის ქედიდან მდინარე არეზამდე (არაქსამდე) აღწევდა, ხოლო მისი პოლიტიკური გავლენა ტრაპიზონის იმპერიასა და აღმოსავლეთის სუსლდონოსაც სწვდებოდა.

პოლიტიკურ გაძლიერებას თან მოჰყვა კულტურული გაძლიერებაც, რომელსაც საფუძვლად ორი მეზობელი კულტურის გავლენა დაედო: ბიზანტიურისა და სპარსულის. ქართველმა მეფეებმა თავისი კარის ცხოვრება სპარსეთის საკარო ცხოვრების მსგავსად მორთეს. გაჩნდა საკარო ანუ საკარისკაცო მწერლობა, რომელიც პირველ ხანად ნათარგმნი და მიმბაძველობითი იყო. ამ დარგის ნაწარმოებთა საგანს გმირობა და სქესთა შორის სიყვარული შეადგენდა. ასეთია, მაგალითად, «ამირან-დარეჯანიანი» და «ვის-რამიანი», რომელთაგან პირველი უფრო გადმოკეთებულ თხზულებასა ჰგავს და საგმირო მოთხრობას წარმოადგენს, ხოლო მეორე ნათარგმნია და ქალ-ჯათა სიყვარულის ამბავს შეიცავს.

სატრფიალო და საგმირო მოთხრობათა მწერლებს გვერდში ამოუდგნენ კარის მგოსნები, რომელთაც თავისი ჩანგის საგნად დიდებულ მეფე-დედოფალთა და გამოჩენილ გმირთა ღვაწლის შემკობა დაისახეს. ამგვარად წარმოიშვა შესხმითი პოეზია, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები შავთელი და ჩახრუხაძე არიან.—ხოლო მთელი პერიოდის მშვენიერება და გვირგვინი რუსთაველის «ვეფხისტყაოსანია»: ამ პოემაში ჰერმონიულად შეზავდა ზემოდასახელებულ მოთხრობათა მთავარი საგნები (გმირობა და სიყვარული, ახალი საგნის—მეგობრობის დართვით) და შესხმითი პოეზიის საუკეთესო ელემენტები.

IV მოსე ხონელი

საგმირო მოთხრობა, რომელმაც ჩვენ დრომდე «ამირან-დარეჯანიანის» სახელით მოაწია, მოსე ხონელის კალამს ეკუთვნის. სამწუხაროდ თვით ავტორის ვინაობა და ცხოვრება ბურუსით მოკულია. «ხონელი» იმ დაბას გვიჩვენებს, სადაც ავტორი დაბადებული ან აღზრდილა. რაც შეეხება მისი ცხოვრების დროს, უძველესი გარდამოცემა, რომელიც «ვეფხისტყაოსნის» ბოლოსიტყვაობაშია დაცული, მოსე ხონელს იოანე შავთელის წინ ათავსებს, ხოლო, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, ეს უკანასკნელი დავით აღმაშენებლის (1089—1125 წ.) თანამედროვე იყო; მაშასადამე, მოსე ხონელიც დავითის თანამედროვედ უნდა ჩაითვალოს.

«ამირან-დარეჯანიანი» ტიპიური საგმირო მოთხრობაა, რომელშიაც ცენტრალური ადგილი მთავარ გმირს ამირან დარეჯანის ძეს უჭირავს. საერთოდ მოთხრობა ზღაპრულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ამ ზღაპარში შიგა და შიგ მოხდენილად ჩაქსოვილია ეპოქის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოტივები და შეხედულებანი. ასეთია, მაგალითად, მეფისა და პატრონთათვის ყმური თავისდადება, მეფის პიროვნებისადმი უზომო პატივისცემა, საშუალსაუკუნეთა ტურნირები და სხვანი. მთელი მოთხრობა 12 კარად განიყოფა, რომელთაგან პირველი კარი შესავალს წარმოადგენს. ქვემოთ იბეჭდება დამახასიათებელი ადგილები 1-ელ, მე-7-ე და მე-8-ე კარებიდგან.

« ა მ ი რ ი ნ - დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი »

I

აბესალომ ინდოთ მეფის ანბავი

იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორკმული¹, განგებიანი², და არა იყო შეკირეება³ გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი: ება ასი ავაზი⁴, ექვსასი ქორი მწყაზარი⁵; ჰყვა⁶ სამი ათასი ღიღებულნი. ორშაბათსა, სამშაბათსა, ოთხშაბათსა, ამა სამსა ღღესა უხმის⁷ ათას-ათასნი ღიღებულნი ნადიმსა⁸ ზედა და გასცემდის საბოძვარსა⁹ საზომისაებრ¹⁰, რაცა ვის ხედებოდის. ამა ღიღებასა და განსვენებასა იყვის. ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და განისვენებდის. კვირასა ღღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის: სამართალსა უზმიდის, ციხეთა, ქალაქთა და ქვეყანათა რიგსა აღასრულებდის.

ღღესა ერთსა ბრძანა ნადირობად გასულა: „ჩემსა მზესა¹¹, წადით, ახლოს ნადირი მომინახეთო“. წავიდნენ მომნახენი და ეგზომი¹² ნადირი ჰპოეს, რომ ანგარიში არ იქნებოდა. ერთი ქურციკი¹³ ნახეს, რომე მას ესხნეს რქანი ოქროს ფერნი, თვალი და ქლიქნი შავნი, მუცელი თეთრი და ზურგი წითელი, ვითა ძოწეული¹⁴. შემობრუნდა მნახავი იგი და მოვიდა წინაშე მეფისა და მოახსენა. შეეკაზმა მეფე და ყოველნი ღიღებულნი მისნი. თანა წაიტანა კაცი იგი, და წარუძღვა, რომელსაცა_ენახა. მივიდეს მინდორსა შიგან და ნახეს ქურციკი იგი, მითვე სახითა, მასვე ალაგსა. და თქვა მეფე-

¹ მორკმული—მდიდარი და სახელოვანი. ² განგებიანი—საზრიანი, გამჭრიახი. ³ შეკირეება—მწყაზარება. ⁴ ავაზი—ვეფხვის ჯიშის სანადირო ცხოველი, სანადირო ლეოპარდი. ⁵ მწყაზარი—მშენიერი; თეთრი; ქორი მწყაზარი—გაწრთენილ-დაგეშილი სანადირო ქორი. ⁶ ჰყვა—ჰყვანდა. ⁷ ხმობა—მოხმობა, მოწვევა. ⁸ ნადიმი—წვეულობა, ღვინო. ⁹ საბოძვარი—საჩუქარი. ¹⁰ საზომისაებრ—შეზომილად, იმისდა კვალად თუ ვის როგორ შეეფერებოდა. ¹¹ „ჩემსა მზესა“—ძველი დროის ფიცია, რომელიც ღღესაც დარჩენილია ჩვენს ხალხში. ¹² ეგზომი—ეგოდენი, იმოდენი. ¹³ ქურციკი—ჯეირანი, გარეული თხა, ¹⁴ ძოწეული—წითელი მარჯნის ფერი.

მან:—«ამა ყოველმან კაცმან ცხენებით შეუტივეთ და სიკვდილსა ეკრძაღენით¹». ყოველთა შეუტივეს; და წავიდა ქურციკი იგი. არბივეს ღლისა სავალი; მოსწყდათ² სხვა კაცი ყოველნივე; მეფე და სამნი დიდებულნი მისნი შერჩეს; მისდივეს ვიდრე მწუხრამდე³ და გავლეს მუნ⁴ შვიდი ღლის სავალი. ვერცა მოეწივნეს და არცა მოეშვნეს.

მივიდა ქურციკი ადგილსა ერთსა კლდოვანსა და ჩაიხვეწა⁵ და უჩინო იქმნა. ოდეს⁶ დახედეს ქვეყანასა მას უცხოსა, ვერა-რა სცნეს და ვერცა სადა ნახეს ქალაქნი და სოფელნი და ვერცა ნადირნი. ქვეყანა იგი უცხოდ აუჩნდათ⁷ და არცა იცოდეს, თუმცა სადა წარსულ იყვნეს. მიიხედა მეფემან და ნახა სახლი ერთი ქვით-კირისა. გაუკვირდა და თქვა: «რა არის ესე სახლი ამ უკაცურსა ალაგსაო?». შევიდეს და ნახეს: იყვნეს ცალკერძ⁸ ქაბუკნი⁹ დაწე-რილნი¹⁰ და მათს შუა სახე ქალისა, რომე კაცისა თვალსა ეგეთნი არა რა უნახავს. ერთი დიდი კაცი იყო, შვენიერი ქაბუკი, ჯაჭვი ტანსა ეცვა და ხმალი ხელთა ჰქონდა. ზედან ესრეთ ეწერა, ვითა: «მე ვარ ამირან დარეჯანის ძე და ესე—ყმანი ჩემნი: სავარსამიძე» და სხვანიო. გაუკვირდათ მეფესა და დიდებულთა მისთა და თქვეს: «ვინ ყოფილან ესე ქაბუკნი და ანუ რომელსა ჟამსა¹¹ და რომლისა-მე ქვეყანისანი ყოფილ არიანო?» ამას იტყოდეს და ანბავსა ვე-რასა სცნობდეს.

უკმოიქცეს¹² და მეშვიდესა დღესა ძლივ გამოაგნეს და სამე-ფოსა სახლსა მოვიდეს. შემოკრბეს დიდებულნი და ნახეს მეფე დაღრე-ჯილად¹³: შექირვება¹⁴ შექმნოდა ამა ანბისა უცნობელობისათვის; აღარც შექმნა პურობა¹⁵, აღარც გავიდა ნადირობად და აღარც გარ-დაიხადა ნადიმი¹⁶. გაითქვა ესე ანბავი ყოველსა ქვეყანასა შიგან, ვი-თა: აბესალომ ინდოთ მეფესა მინდორსა შიგან სახლი რამე უნახავს და შექირვება შექმნიაო. ზოგნი ზოგსა მიზეზსა იტყოდეს და ზოგ-ნი სხვასა.

¹ კრძალვა—შორიდება. ² მოსწყდა—ჩამოშორდა. ³ მწუხრი—შელამება, საღამო, შე-ბინდება. ⁴ მუნ—იქ. ⁵ ჩაიხვეწა—ჩაკარგვა, ჩავარდა. ⁶ ოდეს—როდესაც, როცა. ⁷ აუჩნდათ—ეჩვენათ. ⁸ ცალკერძ—ცალმხარეზე. ⁹ ქაბუკი—გმირი, ვაჟკაცი, ¹⁰ დაწერილი—დახატული. ¹¹ ჟამი—დრო. ¹² უკმოიქცევა—უკან მობრუნება. ¹³ დაღრეჯა—დაღონება, დანადვლიანება. ¹⁴ შექირვება—მწუხარება. ¹⁵ პურობა—პურისქებით გამასპინძლება, ¹⁶ ნადიმი—წვეულობა, ღონი.

ბევრი ძებნისა და გამოკითხვის შემდეგ აბესალომ მეფემ შეიტყო, რომ ბაღდადის ქალაქში ცხოვრობს ამირანის ერთი ყმათაგანი, ღრმად მოხუცებული სავარსამიძე, თვითონ ამირანი კი ცოცხალი აღარ არისო. მეფემ დიდის ამბით მიიწვია თავის სამეფოში სავარსამიძე და დაწვრილებით აამბობინა ამირანის გმირობის ამბები. აი, სხვათა შორის, რა უამბო სავარსამიძემ აბესალომ-მეფეს:

II

მნათობთა ანბავი

ოსმინე, მეფეთ მეფეო, ცხონდი¹ უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხვინოს ორგულთა თქვენთა!

ბაღდადელი² ამირ-მული³ ნადიმად ჯდა და გვერდთა ახლდეს აბრამ ვაზირთა⁴ უხუცესი⁵ და აჯერ ეჯიბთა⁶ უხუცესი. მას ჟამსა შემოიარეს სამთა ძეთა მათ ამირ-მულისათა, მათ მშვენიერთა ნაყოფთა, მოწიფულთა⁷; და არა ესეათ⁸ ერთსაცა მათგანსა ცოლი. შეხედნეს მათ დიდებულთა, რომელნი მას ნადიმსა შიგან სხდეს და სთქვეს: «არა შეილობითა მეფეთათა ვჰყოთ და ვსთქვათ სიტყვა სიმართლით; მაგრამ ნაყოფნი მათებრნი ბაღდადის ქალაქთა შიგან არა ოდეს ყოფილან და არცა მამათა ჩვენთაგან გვსმენიაო». შემოვიდეს და დასხდეს იგი ძენი მეფისანი. მაშინ ადგეს აბრამ ვაზირთა უხუცესი და აჯერ ეჯიბთა უხუცესი და მოახსენეს ბაღდადისა ამირ-მულსა.

„ცხონდი, მეფეთ მეფეო, უკუნისამდე! ძენი თქვენნი ესეთნი ნაყოფნი არიან, რომე მსგავსნი მათნი არა ვისმე უნახავს; მოწიფულობისა და ქაბუკობისა ჟამნი აქვსთ, და ერთსაცა მათგანსა არა ჰყავს ცოლი; და ესე დიდად სამძიმარი არის სამეფოთა თქვენთაო“.

¹ ცხონება—ცხოვრება, სიცოცხლე; ცხონდი—იცოცხლე. ² ბაღდადი—ქალაქია მდინ. ტიგრზე (ოსმალეთში), ძველად კი სარტაბო ქალაქი იყო არაბთა ხალიფებისა (762 წლიდან—1268 წლამდე), ³ ამირ-მული, ამირ-მუმილი, ამირ-მუმინი—ხალიფი, არაბთა ხელმწიფე. ⁴ ვაზირი—ვეზირი, მეფის მრჩეველი და თანაშემწე, მინისტრი. ⁵ უხუცესი—უფროსი. ⁶ ეჯიბი—მეფის მსლემელი კარისკაცი, რომელსაც უფლება ჰქონდა მეფესთან ყოველ დროს შესულიყო (წინასწარ მოუხსენებლად) და მეფის სურვილი ან ბრძანება შეეტყო და აესრულებია, კამერგერი. ⁷ მოწიფული—ასაკში მოსული. ⁸ სემა—ყოლა; მივის—მყავს, მესვა—მყავდა, ესეა—ჰყავდა.

რა ესე მოისმინა ბალდადელმა ამირ-მულმან, უბრძანა: „იცი ლმერთმან, მნებაეს, მაგრამ ვერ სადა მიპოვნია ცოლნი შესატყვისნი¹ სიკეთისა მათისანი. ვიცი, რომელ მექენებიან² ბერძენთა მეფისა ასული, ინდოთ მეფისა ასული³ და ხაზართა⁴ მეფისა ასული,—და არ არიან შესატყვისნი შვილთა ჩემთანი“—ო. მაშინ მოახსენა აბრამ ვეზირთა უხუცესმან და აჯერ ეჯიბთა უხუცესმან: „ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! ამის საქმისათვის ჩვენი ღონე ამირან დარეჯანის ძე არის, ქველი⁵ გულითა, ბრძენი მეცნიერებითა და მცდელი ხელოვნებითა. მას უვლიან. ქვეყანანი მრავალნი და ყოველივე უწყის⁶ საქმენი მათ უცხოთა თემთანი⁷: ანუ ენახნეს და ანუ ასმოდეს⁸, თუ ქვეყანასა ზედან სად არიან მშვენიერნი ქალნი მეფეთა ვისთაგანნი,—და მოგახსენოთ. თუმცა თხოვნით მოიყვანნეთ,—ჯერ არს მოყვანება ჩვენგანვე; და თუმცა შორს ქვეყანასა იყოს ომით მოსაყვანებელი,—და მისგანვე ხამს⁹ მოყვანება“. მაშინ ბრძანა ამირ-მულმან: „აჰა, წავიდეთ სახლსა ამირან დარეჯანის ძისასა და მუნ¹⁰ ვიურგოთ¹¹ ესე საქმე მასთანაო“.

მართლაც, იმავე დღეს ამირ-მული, მისი ორი ვეზირი და სამი ვაჟი ამირან დარეჯანის ძეს ეწვივნენ. მეფემ ამირანს თავისი სურვილი გაუმელა და სთხოვა, ამ საქმეში დახმარებოდა.

თაყვანი სცა ამირან დარეჯანის ძემან და მოახსენა: „ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! გობრძანებით პირველ საცოლონი შვილთა თქვენთათვის და პასუხი ესევე გკადრო¹², რომელ ყოველი ქვეყანა მომიმართებია¹³, მაგრამ მათისა სიკეთისა შესატყვისნი ქალნი არა სადმე მინახავს. ვიცი, რომე გექენების ბერძენთა მეფისა ასული, ინდოთ მეფისა ასული, და ხაზართ მეფისა ასული,—და გარნა¹⁴, ვითარსა ლამით¹⁵, ეგეთნი არა არიან! აწ მე ამასვე გკადრებ და მოვახსენებ მეფობასა თქვენსა: რომელსაც ქვეყანასა შემიჩინოთ, თავი ჩემი არ შევიწყალო, ანუ მოგკედე და ანუ აღვასრულო საწადელი¹⁶ გულისა თქვენისაო“.

¹ შესატყვისი—შესაბამი, შესაფერისი, საკადრისი. ² ქენება—ხვეწა. ³ ასული—ქალი შვილი. ⁴ ხაზარნი—ხალხი იყო, რომელიც ფლობდა და ცხოვრობდა კავკასიონის ქედს გაღალმა (ჩრდილოეთით) შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე (VII—XI საუკ.). ⁵ ქველი—კეთილი, მამაცი, მხნე. ⁶ უწყება—ცოდნა, შეტყობა. ⁷ თემი—ხალხი, ტომი. ⁸ ასმოდეს—სწენოდეს, გაგონილი ქონდეს. ⁹ ხამს—შეფერება; შამს—შეფერება; ხამს—შეფერება, შეშვენის, სათანადოა, რიგია. ¹⁰ მუნ—იქ. ¹¹ ურგა—ზრუნვა, ფიქრი. ¹² კადრება—გაბედვა. ¹³ მომართება—მოვლა, შემოვლა; მომიმართებია—შემომოვილია (გავემართე—გავესწიე, წავივლი). ¹⁴ გარნა—მაგრამ, ხოლო. ¹⁵ ლამით, ლამა—სურვა, ნდობა; ელამი—მსურს, მინდა; ლამით—გსურსთ, გნებაეთ. ¹⁶ საწადელი—სურვილი.

გავიდა მცირეოდენი ხანი. ამირ-მულის ვეზირებმა შეიტყვეს: ერთ შორეულ ქვეყანაში, რომელსაც «მნათობთა ქვეყანას» ეძახიან, ცხოვრობს ასფან-მეფე და მას ჰყავს შვიდი მნათობი ასული, რომელთა სიმშვენიერე კაცის ენით არ გამოითქმისო. ეს ამბავი ამირ-მულს მოახსენეს. ამან მაშინვე ამირანი დაიბარა და პირობა მოაგონა. ამირანმა შეჰყარა თავისი ექვსი ერთგული ყმა, მათ შორის საეარსამიძეც, და გაემართა უცხო ქვეყნისაკენ. გზაში გმირებმა ბევრი ომი და ვაჟაკობა გადაიხადეს და ბოლოს შევიდნენ ასფან-მეფის სატახტო ქალაქში.

იქ მათ სხვა გმირებიც დახვდნენ, რომელნიც, აგრეთვე, ასფან-მეფის მნათობ-ქალთა საძიებლად მოსულიყვნენ. ესენი იყვნენ: სვიმონ სინთა მეფის ძე, ხოსრო ხაზართა მეფის ძე, იამან ჰაბუკი (იამანთა მეფის ძე) და ლასურ დელამთა მეფის ძე.

როცა ასფან-მეფემ ამირანის მისვლა შეიტყო, ზემოჩამოთვლილს მეფის შვილებს შემოუთვალა: თუ ჩემი ქალები გინდათ, თქვენ და ამირანი შეიბენით და «ვნახოთ, თუ რა რიგი ჰაბუკინ ხართო».

ამირანი წინააღმდეგი იყო: «მე ყოველთა მეფეთა მონა ვარ და ვერცერთ მათგანს ომს ვერ გავუბედავო», მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა დასთანხმებოდა. დასკვნეს ომი ხვალისად. ასფან მეფეს შემოუთვალა: «ამირან დარეჯანის ძე ჩემი არს და ჩემდა წილად გამოგზავნიო».

რა დილა გათენდა და მზის ნათელი ქვეყანასა ზედან მოეფინა, დაჯდა ასფან-მეფე ბანთა¹ ზედან, დაუჯდა გვერდით თვისი დედოფალი, დაისხნა მნათობნი ასულნი თვისნი და ეგრევე დიდებულნი თვისნი ყოველნი; დაიდვა ნადიმი, მღერდეს მგოსანნი და მოშაითნი². მას ჟამსა შეეკაზმა ამირან დარეჯანის ძე და გავიდა მოედანსა შიგან. და სთქვა ყოველმა კაცმან: „არავის უნახავს ჰაბუკი³ მგზავსი ამისი და ნურცა იქადიან ომსა სწორად ვინმე ამისადო“. მაშინ გამოვიდა სვიმონ სინთა⁴ მეფისა ძე. ხედვიდეს ყოველნი ერნი; მოდგეს ბუკთა⁵ მკერელნი და დაბდაფთა⁶ ხმისაგან არღარა იყო სმენა ყურსა კაცისასა. შემოუვლეს მგრგვლივ ნავარდი ერთმანერთსა, შეუზახნეს⁷ და შეიბნეს. სვიმონ სინთა მეფისა ძე დიდად ფიც-

¹ ბანი—სახლის ვაკე სახურავი (აღმოსავლეთის ქვეყნებში). ² მგოსანი—მგალობელი, მომღერალი; მოშაითი—მუშაითი, ჯამბაზი, თოკზე მოსიარულე. ³ ჰაბუკი—გმირი, ვაჟაკი, რაინდი. ⁴ სინნი—ჩინელნი. ⁵ ბუკი—საყვირი (სამუსიკო იარაღი). ⁶ დაბდაფი—დოლი, ორისმხრით ტყავგადაკრული სამუსიკო ინსტრუმენტი. ⁷ შეზახება—შეძახება, შეყვირება.

ხად¹ ებრძოდა, და ამირან დარეჯანის ძე მას ვერა სძალობდა²: „თუმცა არ მოკვდეს ხელითა ჩემითაო“. და სვიმონს ეს არ ეგონა და არცა იცოდა, თუ დარეჯანის ძესა ესდენ³ შეძლება ექმნებისო.

მას ჟამსა განიშორა ცხენი ამირან დარეჯენის ძემან, შემოიქცა⁴, შემოუტევა და უყვილა⁵: „სვიმონ მეფეო! გამიფრთხილდი, მოველ პირის-პირ შენსა, აღარა გეკრძალვი⁶ ჩამოგდებისათვის, და მოგკლავო!“ არა ფიცხლად მიუხდა⁷, უკრა ხმალი ცხენსა, მოუკვეთა თავი და, მინამ ჩამოიქრებოდა, ჰკრა ხელი და, ვითა ცოტა⁸ ყმა⁹, ესრეთ მკლავთა ზედან აიყვანა და ჰრქვა: „შემინდევ, სვიმონ მეფეო! რად გინდოდა ომი ჩემიო?“

მას დღესა გავიყარენით თავი-თავსა კარავსა. და დაუძძიმდა¹⁰ ესე სვიმონ სინთა მეფისა ძესა, მაგრამ რასაღა იქმოდა.

მეორეს დღესა გამოეგზავნა კაცი ასთან-მეფესა ხვასრო ხაზართა მეფის ძესთანა და ესრეთ შემოეთვალა: „თუმცა გწადდეს, შენცა შეგები ამირან დარეჯანის ძესა და უშველვე მოძმესა შენსაო“. მაშინ სთქვა ხვასრო ხაზართა მეფისა ძემან: „ამაზედან წვევა რათ მინდოდა? ზენაარმა ღვთისამან¹¹, ორპირვე¹² შევებმიო!“ და კულავ სთქვა ამირან დარეჯანის ძემან, ვითა: „უწყის ღმერთმან, მე ნებითა ჩემითა არ ვებრძვი ხელმწიფეთა, ამად რომე, არამცა იქმნეს ფათერაკი¹³ და მოკვდეს რომელიმე ხელითა ჩემითაო არა ჯერ-არს¹⁴ აზნაურთაგან ხელმწიფეთა სიკვდილიო“.

მიუხედავად ამისა, ომი მაინც მოხდა და ამირანმა სასტიკად დაამარცხა როგორც ხვასრო ხაზართა მეფის ძე, ისე დანარჩენი მისი ამხანაგები, თუმცა სიკვდილით არცერთისათვის არა უვნია რა.

მეორეს დღესა მიუგზავნეს კაცი მათ ხელმწიფეთა შვილთა ასთან-მეფესა და შეუთვალეს, ვითა: „მეფეო! კმა¹⁵ არს ესე და მიზეზიცა არღარა გიც¹⁶ რა; აწე, მოგვეც მნათობნი ასულნი შენნი ცოლად ჩვენად, და მიეც მას ამირან დარეჯანის ძესაცა პატრონისა თვისისა შვილთათვისო“. მერმე მან მეფემან მოსცა პასუხი: „გაგი-

¹ ფიცხი, ფიცხელი—სასტიკი, მძინეარე, სწრაფი. ² ძალობა—ძალება, ძალის დატანება. ³ ესდენ, ესოდენი—ამოდენი. ⁴ შემოქცევა—შემობრუნება. ⁵ ყვილი—კივილი. ⁶ კრძალვა—მორიდება, გაფრთხილება. ⁷ მიხდომა, მიხტომა—მივიარდა. ⁸ ცოტა—პატარა. ⁹ ყმა—ყმაწვილი. ¹⁰ დაძძიმება—წყევლა; დაუძძიმდა—უწყინა, ¹¹ ზენაარმან ღვთისამან—ფიცია: „ღვთის ზეციერ ძალსა ვფიცავ!“ ¹² ორპირვე—ორჯერვე. ¹³ ფათერაკი—უბედური რამ შემთხვევა, ხიფათი. ¹⁴ ჯერ-არს—ჯერია, რიგია, შესაფერისია; არა ჯერარს—წყესი არაა, არ შეუფერება. ¹⁵ კმა—საკმაო. ¹⁶ გიც—გიძს, გაქვს; მიც—მიძს, მაქვს; უც—უძს, აქვს.

ხვამ¹ კართა ქალაქისათა და თვით გამოიყვანეთო“. იამა მათ ჰაბუკთა ყოველთა და მოახსენეს: „ღია², ღმერთო, აგრე ვქნათო!“

იყვენენ შეიღნი ქორნი³ სამყოფნი შეიღთავე მათ ქალთანი; და უღგამსთ კართა ზედან მცველნი: მათ სამთა უკეთესთა სამ-სამნი ათასნი და მათ ოთხთა ათას-ათასნი რჩეულნი კაცნი. და უფრო ძნელად საბრძოლო ყოველთა ომთასა იგი იყო.

გათენდა რა ღილა, დაეკაზმნეს იგი მეფენი საომრად; და ამირან დარეჯანის ძე იყო საქვეითოთა აბჯრითა⁴ შეკაზმული; და იგი მცველნი მათნიცა მზად იქმნნეს. მაშინ ჰკრეს ბუკთა და დაბდაფთა, გაგვიხვნეს კარნი მის ქალაქისანი; შეუხედით ზედან. მას ღღესა გარდავიხადეთ ომნი ფიცხელნი, მაგრამ იგი ციხეთა მცველნიცა მეტად რჩეულნი კაცნი იყვენეს და ციხეთა გზანიცა საჭირონი⁵ შეველიდა.

ამაზედან ლამემან გვისწრა და ველარ ავხსენით ციხენი მნათობთანი. მეორესავე ღღესა კვლავ შევებენით უფიცხედ⁶. მასვე ღღესა დაიხოცა ხელითა ჩვენითა მეტად ღიღნი და ურცხენი ლაშქარნი მათნი. ვძლიეთ ძალითა ღვთისათა და შეველწენით კარნი ციხეთანი. მანამდის იგი ოთხნი თვითოს ქალს გამოიყვანდეს, ვიდრემდის ჩვენ სამნი უმშვენიერესნი მნათობნი ასულნი მეფისანი გამოვიყვანენით, რომელთა უთქს⁷ სამ-ათას-სამ-ათასნი მცველნი. და გამოიყვანეს მათცა უვნებლად და მივედით წინაშე ასუფან-მეფისა.

მას ჟამსა⁸ გამოგვეგება იგი მეფე, მნათობთა თანა, მხიარულითა გულითა და სთქვა: „კურთხეულმცა არს ჰაბუკობა თქვენი და მარჯვენე თქვენი, რომელ არა არს ჰაბუკი თქვენებრი პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო“. მიგვიწვიენა, დავსხედით მცირეს ჟამს; მაშურალნი⁹ ვიყვენით და მას ღღესა არლარა ეგებოდა¹⁰ რა.

ოდეს გათენდა ჟამად სიხარულისად, დაჯდა ასუფან-მეფე და შემოიკრიბნა ყოველნი ღიდებულნი თვისნი და ერნი ქალაქისანი. დაუდგა ტახტნი ძოწეულისანი¹¹ მათ ოთხთავე ხელმწიფეთა და შემუკო სრანი¹² სანადიმონი¹³; უქმნა ქორწილნი ეგეთნი, რომე არა ითქმის კაცისა ენისაგან; და მისცა ქალნი მნათობნი, რომელნიცა

¹ განხემა—გაღება. ² ღია—ღიად. ³ ქორნი—სართული სახლისა, ოთახი. ⁴ აბჯარი—საომარი იარაღი. ⁵ საჭირო—სამწელო, გასაჭირო. ⁶ უფიცხედ—უფიცხესად, უფრო სასტიკად. ⁷ უთქს—უღგას, უღგას. ⁸ ჟამი—დრო. ⁹ მაშურალი—დაღლილი, დაქანცული. ¹⁰ გება—კეთება; არლარა ეგებოდა—აღარაფერი გაკეთდებოდა. ¹¹ ძოწეული—წითელი ფერისა (ძოწი—წითელი მარჯანი). ¹² სრა—სასახლე, სახლი. ¹³ სანადიმო—სალხინო.

მათ გამოეყვანნეს; და მიანიჭა მზითვენი, რომლისა არა იქნების რიცხვი საკურკლეთა¹ და თვალ-მარგალიტთა. და წარვიდეს თვის-თვისად იგი ოთხნი მეფეთა ძენი.

მას ჟამსა დაერჩით ჩვენ და დავყავით ღღენი მრავალნი წინა-შე მათსა. და გვიბრძანა ასუფან-მეფემან, ვითა: „ჯერეთ თქვენ ვერ გაგიშვებთ, და, რა ჟამი იქნება, თვით მე გაგზავნიო“. მას ჟამსა მოახსენა ამირან დარეჯანის ძემან: „ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! აწე, მე წინაშე თქვენსა ყოფა დიდათ სიხარულად მიჩნს, მაგრამ დამიყოფიან მრავალნი ხანნი და ისწრაფის პატრონი ჩემი მისეგლად ჩვენდა, და ჟამი არს, მეფეო, ფარმანისა² ჩემისაო!“ მაშინ უბრძანა: „ღია, ღმერთო, გაგზავნი, ვითარმცა გწადს, ეგრეო!“ მერე გაახენა³ კარნი საკურკლეთანი და შეეკაზმა მზითვენი უთვალავნი: ოქრო, კურკელნი, თვალ-მარგალიტნი და სტავრა⁴, ორი ათასი აქლემი კიდებულნი⁵ და ათასი ჯორი; ამას გარდა მისცა საჯინიბო ცხენი ათასი და სახეღარი ათასი, მისითა აკაზმულობითა. ესე მზითვენი შეუმზადა; და უბოძა ამირან დარეჯანის ძესაცა: ოქრო, მარგალიტი, თვალი, სტავრა კერული და უკერავი, ასი ჯორი კიდებული; და ჩვენ, მისთა ყმათა ყოველთა, გვიბოძა საბოძვარი⁶ დიდი.

შეკაზმეს კუბონი⁷ მოთვალ-მომარგალიტულნი და კუბონი სხვანიცა მრავალნი და ტურფანი⁸. გამოიყვანა მნათობნი ასულნი თვისნი და მოჰყვებოდეს მხეველნი⁹, პირ-მთვარე ბანოვანი¹⁰ ხალუმნი¹¹ და მონანი, ოქროს სარტყელ შერთყმულნი, ურიცხვნი. მიიხმეს ამირან დარეჯანის ძე. მოაბარნა მეფემან და დედოფალმან მნათობნი თვისნი ურიცხვისა მხეველ-ხალუმითა, მონითა და მზითვითა უთვალავითა.

გამოვემართენით სახელსა ზედან ღეთისასა. გამოგვყვა თვით მეფე ღღისა ერთისა საეალსა; გამოვესალმენით; შეიქცა¹² მეფე თვალ-ცრემლიანი პირმზეთა ასულთა თვისთა გაყრისათვის; და იგი ასულნი მისნიცა იყვნეს მწუხარენი. წამოვედით გზასა ბაღდადისასა; ვვლეთ¹³

¹ საკურკლე—განმეულობა, ძვირფასეულობა (იარაღი, სამკაული, კურკელი, ოქრო-ვერცხლი და ქსოვილები). ² ფარმანი, ფირმანი—ნებართვა დასტური. ³ გაახენა—გააღო, გახსნა. ⁴ სტავრა—ფარჩა ოქრონაქსოვი. ⁵ კიდებული—დატვირთული. ⁶ საბოძვარი—საჩუქარი.

⁷ კუბო—ტაბრეანი (საჯდომი ტახტი, რომელზედაც გვირგვინი ადგას). ⁸ ტურფა—მშენიერი, ლამაზი. ⁹ მხეველი—მოახლე, მონა-ქალი. ¹⁰ ბანოვანი—თავისუფალი წოდების ქალი. ¹¹ ხალუმი—მსახური ქალი. ¹² შეიქცევა—უკან მიბრუნება. ¹³ ვვლეთ—ვიარეთ (ვლა, სვლა).

ღა მოვედით წინაშე ბაღდადელისა ამირ-მულისა. და მოჰგვარნა პატრონისა თვისისა შვილთა ცოლნი ნაყოფნი ეგეთნი, რომელ არ ნახულა უმშვენიერესნი კაცისა თვალთა. გაეხარნეს უზომოდ ბაღდადელსა ამირ-მულსა. აწვიენა¹ დიდებულნი საბრძანებელისა თვისისისანი და უქმნა ქორწილნი ეგეთნი, რომელ არ ითქმის მზგავსი მისნი კაცისა ენისაგან; და იყო ღვინი სასიხარულო თვესა სამსა. და მაშინ უბოძა² საბოძვარი აურაცხელი³ ამირან დარეჯანის ძესა და ჩვენ მისთა ყმათა ყოველთა.

აქა დასრულდა კარი მნათობთა და ქმნული ამირან დარეჯანის ძისა, ამაზედან. ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხონდი⁴ უკუნისამდე! დიდებულმცა არს სუფევა⁵ მეფობისა თქვენისა და დაუსრულებელმცა ჰგიეს⁶ აღსრულებამდე ჟამთა მრავალთა, შეძინებითა წელთათა. ამინ!

III

თილისმათ ანბავი

ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხეინოს ორგულთა თქვენთა! ყმა მოვიდა მესაწოლე პატრონისა ჩემისა დილასა ერთსა და ეგრე მი-თხრა, ვითა: „გობრძანებს ამირან დარეჯანის ძე: ჩემსა მზესა, აღრე მოდიო!“ მას ჟამსა ზე ავდექ და წაველ. მეგონა: ამბავი რამე ის-მოდა-მეთქი. მივედ წინაშე პატრონისა ჩემისა, —ენახე: საგებელსა ზედან იჯდა დაღრეჯილი და შუბლსა ზედან ხელნი მოეგდო. დამი-მძიმდა მისი ეგრე დაღრეჯით⁷ ყოფნა. ოდენ შვევედი და ვნახე: ეტ-რატით⁸ დაკრული ქალისა სახე კედელსა ზედან ეწერეს⁹, რომლისა უმშვენიერესი არა ეგებოდა¹⁰; და მიბრძანა: „აქა ზედ დაჯედ, აწ, ღმერთო, განა რომელი მე ვიცი გითხრაო!“ წარმოვიდგენ¹¹ ოქროსა

¹ აწვიენა—მოიწვია, მოიპატრონა. ² ბოძება—ჩუქება. ³ აურაცხელი—უთვალავი, ურიცხვი. ⁴ ცხონდი—იცოცხლე. ⁵ სუფევა—შვიდობით ყოფნა, მეფობა. ⁶ გება—ყოფნა, არსებობა; ჰგიეს—იყოს. ⁷ დაღრეჯა—მოწყენა, დაღონება. ⁸ ეტრათი—პერგამენტი, საწერი ტყავი. ⁹ იყო დაწერილი. ¹⁰ გება—ყოფნა, არსებობა, ქმნა; არ ეგებოდა—არ იქმნებოდა. ¹¹ წარმოვდგი, წინ დავდგი.

სელნი¹ და დავედ. მაშინ მიბრძანა: „ძოლან² დიაცი³ ვინმე მომად-
გა ზედან მძინარესა, და ეგრე მითხრა, ვითა: ამირან დარეჯანის ძეო,
პირი არს შენისა ჭაბუკობისაგან⁴, თუმცა მზე ქვეყანასა ზედან იყოს
და შენ არა ნახოო? გამელვიძნეს მას ზედან და გამიკვირდეს დიდათ;
ვსთქვი გულსა შინა ჩემს: ეშმაკი არს და ყური არ მიუპყრაო. ლა-
მე მრავალჯერ მოვიდის, მითხრის, მაგრამ კიდევ ეშმაკური მეგონის.
აწ, წუხელის მოვიდა და ეგრე მრქვა⁵ მანვე დიაცმან: ამირან, ჩე-
მი სიტყვა არად მოისმინე; აწ მის ქალისა სახე, რომელსა გეტყო-
დი, კედელსა ზედან დამიწერნიაო! გამელვიძნეს მას ზედან და იგი
კედელსა ზედან ეწერნეს. თქვა: სხვა აღარა ვიციო, და უჩინო
იქმნაო“.

ეს რომ სთქვა, ამირანმა გადაჭრით გამოუცხადა სავარსამიძეს:
დაუყონებლივ უნდა წავიდე იმ ქალის საძებრადო. უშალა სავარ-
სამიძემ: «რომ მიხვალ, სად მიხვალ? არც ვინაობა იცი იმ ქა-
ლისა და არც მისი ქვეყანაო»,—მაგრამ ამირანმა მტკიცედ უპასუ-
ხა: «გაუშვი ეგე საუბარი, სავარსამიძეო! დასტურად ანუ გავიღებ
გზასა ამის საქმისასა და ანუ მისსა ძებნასა შიგან მოვიკლავ თავსაო!»
თქმა და ასრულება ერთი იყო: მეორე დღესვე დაემზადნენ და გზას
გაუდგნენ თვით ამირანი და მისი სამი ყმა: სავარსამიძე, აბან ქა-
ბანის ძე და ქოოს ქოსიძე. მალე გზის მასწავლებელიც იშოვეს
და რამოდენისამე ხნის შემდეგ უკვე თილისმათა ქვეყანაში შევიდნენ,
სადაც ცხოვრობდა ის მზეთუნახავი—სახელად ხვარეშანი და მისი
დედა—დედოფალი; მამა ცოცხალი აღარა ჰყავდა. მგზავრობაში
სხვა და სხვა თილისმის დამარცხება მოუხდათ: ერთგან ამირანმა
სპილენძის კაცი დაამხვებია, რომელიც გზაში გადადგომოდით და
არავის უშვებდა, მეორეგან სპილენძის ლომი დაფშენეს და ბოლოს
სატახტო ქალაქშიაც შევიდნენ. დედოფალმა სიამოვნებით დაისიძა
სახელოვანი გმირთა-გმირი ამირანი. ქვეშევრდომნიც დიდად მად-
ლობელნი და კმაყოფილნი იყვნენ თავისი ახალი პატრონისა. ერთ
დღეს ამირანმა. შეიტყო, რომ ამ ქვეყანაში სამოთხისებური წალ-
კოტია, მაგრამ შიგ ვერავინ შესულა და მისი ზილით ვერ უსარ-
გებლნიათ, რადგან მცველად ორი, თილისმით შექმნილი, ვეშაპი
ჰყავსო: ერთი მათგანი დიდია, მეორე—პატარაო. ამირანმა გადა-
სწყვიტა, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა წალკოტი ვეშაპთაგან.
ბევრი უშალეს, მაგრამ არ დაიშალა.

¹ სელი—სკამი. ² ძოლან—წოდება, ამას წინად. ³ დიაცი—დედაკაცი. ⁴ ჭაბუკობა—ვაჟ-
კაცობა, რაინდობა, გმირობა. ⁵ რქვა—თქმა; ვარკვი—ვუთხარი; რქვა—უთხრა; მრქვა—
მითხრა.

დაასკენს¹ ხვალისად ომი. და გაისმა ყოველსა ქალაქსა შიგან და სამეფოსა მათსა, ვითა ამირან დარეჯანის ძე წავალს მის ვეშაპისა ომად; და შეკრბა სიმრავლე ერისა: მამათა და დედათა; და თქვეს: „თუცა წავიდეთ და ვნახოთ, მაშა, მათ წინ დავიხოცნეთო“. მაშინ მოვიდა დედოფალი ტირილითა და სთქვა, ვითა: „პატივ ეც სიბერესა ჩემსა და ნუ წახვალო.“ მაგრამ მან არა უსმინა; ველარა დაუშალა; აღარცა დადგა დედოფალი და არცა ხვარეშან ქალი, და წაჰყვენ თანა იგინცა და მის ქვეყანისა კაცნიცა ყოველნი, ზოგნი ომად და ზოგნი ნახვად. ვითა წავედით და მივეახლენით დღისა ერთისა საფალსა, მის გარეშე არა იპოებოდა რა სულიერი მის ვეშაპისა შიშითა. მივედით და ვნახეთ შორით ზღუდე წალკოტისა² და ჰქონდა სიმაღლე მილიონისა³ ერთისა; და შორს გვეცა სული სურნელთა მის წალკოტისაგან უცხოოდ მოსაყნოსელი. რა მივედით, ჯერეთ ვერა ვნახეთ რა: ვერცა ვეშაპი და ვერცა სხვა რამე სულიერი. ორნი კარნი იყვნეს მის წალკოტისანი: ერთისა კარისა მცველი იყო იგი საშინელი ვეშაპი, და მეორისა კარისა მცველი იგი უმცროსი ვეშაპი; და ორნივე კარნი ესხნეს სპილენძისანი. ვნახეთ: იგი ვეშაპი ისროდეს ქვათა დიდროვანთა, რომელ, თუმცა მოხედის ვისმე, წამსა შინა განაქარვის. ვითა მივეახლენით, წარმოდგა კაცი, შემოგვხედნა, და, რა ჩვენ გენახა, უყვილა⁴ ფიცხლად; და გამოვიდა იგი საშინელი ვეშაპი, რომელ მის ოდენი არსად არ მინახავს; დაეშკმა⁵ პირი და აღმოსდიოდა ცეცხლი პირისა მისისაგან; და ჰქონდა ხმა საზარო⁶, ვითარცა გრგვინვა ზღვისა. მეორის კარისაგან გამოვიდა იგი უმცროსი ვეშაპი. წარმოდგეს ზედან კაცი სპილენძისანი და მათ კაცთაგან გამოვიდოდა ხმანი საკვირველნი. ისმენდინ, მეფეთ-მეფეო! თქვენმა მზემან, იგი დღე საზაროდ კმარ იყო, და აღარავისთან იყო სული გვამთა შიგან მის ქვეყანისა კაცთა, არა თუმცა ომად ვინმე მისულიყვნეს. დაავიწყდათ მის დღისა ომი. მაშინ მოახსენეს ამირან დარეჯანის ძესა, ვითა: „იმა უმცროსსა ვეშაპსა შეებიო!“ და სთქვა ამირან დარეჯანის ძემან, ვითა: „ეგე არა კარგი განზრახვა არის: ვირემდი⁷ იგი დიდი

¹ დასკენა—გადაწყვეტა. ² ზღუდე—გალაფანი, კედელი; წალკოტი—ბაღი. ³ მილიონი—სიგრძის საზომია, იგივე „მილი“ ანუ 1000 ნახიჯი, გინა 2000 წურთა (ობ.) ⁴ უვილი —კივილი. ⁵ დაშკმა—დაღება, ვაღება. ⁶ ზარი—შიში; საზარო—საშინელი. ⁷ ვირემდი—ვიდრემდი, სანამდი.

ვეშაპი არ მოკვდებოდა, უმცროსისა არა საზღვებელი არისო“. და მერმე უბრძანა მის სამეფოთა კაცთა ყოველთა, ვითა: „უმცროსსა ვეშაპსა ზედან თქვენ მიდით და შეეებნითო“. მათ არა გამოსცეს პასუხი. მაშინ ითხოვა ცხენი უკეთესი ამირან დარეჯანის ძემან. და შეიკურვა¹ ტანსა საკურველნი² თვისნი; და ტიროდა ყოველი კაცი: ზოგი შიშითა მის ვეშაპისათა და ზოგთა უმძიმდათ ომი მეფისა. მიხედნა ამირან დარეჯანის ძემან ხვარეშან ქალსა და ნახა თვალცრემლიანი; მერმე ესრე ჰრქვა³: „ნუ სტირ, მზეო ჩემო! აწ ნახე კაბუკობა⁴ ჩემი და სიმტკიცე მკლავისა ჩემისაო!“ მან ტირილისაგან პასუხი ველარ გამოსცა და მოვიდა, თუმცა არა გაეშვა. გაიცინა ამირან დარეჯანის ძემან და ვგრე ჰრქვა: „თუმცა შენ დამიკერ, მზეო ჩემო, მაშა ვეშაპთა ომი ვითარ შემოძლიანო?“ და ჩვენ გვიბრძანა, ვითა: „მიდით თქვენ სამნივე იმა უმცროსსა ვეშაპსა ზედან! მე ვხედავ იმა კაცთა, რომე ვერა მივლენო“. და მე ვგრე მოვახსენე: „წინაშე თქვენსა ვიყო მეთქი“. და კვლავ მიბრძანა: „მე არ მინდა მეშველი, წადი შენცაო“. მე არა უსმინე, დავზღექ მასთანა. წავიდეს აბან ქაბანის ძე და ქოლს ქოსიძე. ამირან დარეჯანის ძემან შეიბნა ორნი ხმალი, აიხვნა⁵ ხისტი⁶ და შეუტივა. მაშინ ხედვიდა დედოფალი, მისი მზე და ყოველნი ერნი. წარმოდგეს ზედან იგი კაცი სპილენძისანი, ისროდეს ქვათა საშინელთა, დაუცეს ცხენისა თავსა ამირან დარეჯანის ძესა, მოუკლეს ცხენი და მას ვერა აენეს რა. დააგლო ცხენი და მიუხდა⁷ ქვევითი, ვითა ვეფხვი. დასცეს ქვა მრავალი, გარნა ვერა აენეს რა. მიუხდა წინა ვეშაპი, დააშკმო⁸ პირი ჩასანთქმელად⁹; ჰკრა აშკმულსა პირსა ხისტი და დააღეწა ზედან; მერე გამოიწვავდა ხმალი და იგიცა დააღეწა; ამოიღო მეორე ხმალი, ჰკრა თავსა და ტვინამდი შეჰკვეთა; შემოიღელარქნა ვეშაპი იგი,—ზე შეუხლტა დარეჯანის ძე;—და შემხტარსა ორივე ფეხი მუხლამდი ჩაუნთქა. ამაზედან მიველ მე, დავკარ ზურგსა ხმალი, მაგრამ დიდი ვერა ვაენე რა. იბრძოდეს იგი ვეშაპი და ამირან დარეჯანის ძე; და ველარა ჩანთქა, ამითაც რომე ვცემდი ხმალსა და დიდროვანსა უკვეთდი; მაგრამ ვერ დავაგდებინე იგი ამირან დარეჯანის ძე. იყო

¹ შეკურვა—ასხმა იარაღისა, შეიარაღება. ² საკურველი—საომარი საცმელი და იარაღი. ³ რქვა—თქვა, თხრობა. ⁴ კაბუკობა—გმირობა, ვაჟკაცობა. ⁵ ახმა, აღხმა—აღება. ⁶ ხისტი—პირგრძელი ლახვარი (შუბი). ⁷ მიხლომა—მიხტომა, მივარდნა. ⁸ გაეღო. ⁹ ჩანთქმა—ჩაყლაპვა.

ტირილი და ზრუნვა საშინელი. ამაზედან ამოიღო ამირანმა დაშნა¹, რომელი ეგრ² მოგვსა³ შიგან, ჰკრა სასასა მისსა. შეკრთა იგი ვეშაპი და წამსვე წამოაგდო პირისაგან. რა გაუშვა, კვლავცა ჰკრა ხმალი და თავსა დიდი შეჰკვეთა. მან შემომიტივა, ჩამთქა წელთამდის ცხენითურთ და გაიქცა. მოეწივა პატრონი ჩემი ამირან დარეჯანის ძე, ჰკრა ხმალი და წმინდათ გაჰკვეთა. ეზდენ⁴ დიდი იყო იგი ვეშაპი, რომე მე და ჩემი ცხენი ხორხსა⁵ მისსა შიგან თავისუფლად ვღეგით, და კიდევ გამოგვიხსნა ცხენი და კაცი უქირველად. მერმე ნახა აბან ქაბანის ძე და ქოოს ქოსიძე, რომე მას მეორესა ვეშაპსა ებრძოდეს. მაშინ შეიპყრა⁶ ვეშაპმან აბან ქაბანის ძე ცხენითურთ; ეზომ⁷ დიდი არ იყო, რომე ჩაენთქა, აიხვნა⁸ ცხენი და კაცი ორივე და გააქცივა. მიეწია ქოოს ქოსიძე, ჰკრა ხმალი და მოჰკლა იგიცა. რა იგი ორნივე ვეშაპნი დავბოცენით, იგი სპილენძისა კაცნი სრულებით დაიღეწნეს და განქარდეს. შეიქნა სიხარული დიდი მას სამეფოსა შიგან, და ამას იტყოდეს, ვითა: „არავინ ყოფილა კაცთა ნათესავი⁹ ამირან დარეჯანის ძისებრი, და არცა ვის ამათებრი ყმანი ჰყოლიათო“. მერმე დედოფალსა შეასხმიდეს ქებასა ამისთვის, რომელ „გამოაჩინეთ ამისთანა ჰბაჟი მეფედ ჩვენდაო“. მერმე შევედით მას წალკოტსა შიგან ეგეთსა, რომელ არა დგას წალკოტი მისებრი პირსა ყოვლისა ქვეყანისასა. და ვნახეთ ხენი საკვირველნი და მას შიგან წყალნი მშვენიერნი; რომელ, რაცა ღვთისა დაბადებული სურნელი არის და ყოველი ფერი ხილი, მას შიგან იყო. და ხენი ვნახეთ ერთი მშვენიერი, გარე შემოზღუდვილი; და ამას იტყოდეს, ვითა: „ზეთი გამოვალს მათ ხეთაგან ასეთი, რომელ, სნეულსა შეასვან, გამთელდების; თუმცა ბრმასა თვალთა უწვევთონ, აღეხილების და ყოველსა სენსა ჰკურნებსო¹⁰“. და არა ითქმის სიკეთე¹¹ მის წალკოტისა კაცისა ენისაგან. დავყავით მუნ მრავალნი ღღენი, განვისვენეთ და ვინადირეთ; იყო გარეშემო მის წალკოტისა სანადირო. და წამოვედით მუნითგან¹² სიხარულითა დიდითა. ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! ცოლსა თვისსა ესრეთ გაეჩვენა¹³, რა-

¹ დაშნა—მოკლე ხმალი, დანა. ² ეგრ—ქონდა ზოდზე. ³ მოგვი—ყელმადალი ფეხსაცმელი, ჩექმა. ⁴ ეზდენ—ესოდენ, იმოდენად. ⁵ ხორხი—ხახა, სასის ქვემოთი ნაწილი, სასულე. ⁶ შეიპყრა—პირის ან ხელის დატაცება, დაქერა. ⁷ ეზომ—იმზომად, იმდენად. ⁸ ახვნა—აღება, ატაცება. ⁹ ნათესავი—ჩამომავალი, გვარი. ¹⁰ კურნება—მორჩენა, გასაღება. ¹¹ სიკეთე—სიმშვენიერე. ¹² მუნითგან—იქიდან. ¹³ გაჩვენება—თავის გამოჩენა.

მე უკეთ აღარ ეგებოდა¹, და მოვედით ქალაქად, სიხარულითა დი-
ლითა. მერმე ამირან დარეჯანის ძესა მოართვეს ეგზომი² და მის სა-
მეფოთა ციხეთა და ქალაქთა კლიტენი ყოველნი. დავეყენით სიხა-
რულთა შიგან დღეთა მრავალთა. მერე წამოვედით ბაღდადსა გამარ-
ჯვებულნი და გახელმწიფებულნი; და გამოგვეყვა აზნაურნი და ლაშ-
ქარნი იგი სამეფოსა მისისანი. და ვვლეთ³ დიდებითა დიდითა და
ნიკითა⁴ უმრავლესითა.

აქა დასრულდა კარი თილისშათა. ისმინე, მეფეთ მეფეო! იგი
სახლი, რომელ თქვენ გინახავსთ, მუნ მოვედით, იქავ; მაშინ
მოიყვანა მხატვარი, დააწერინა თავი თვისი, იგი მზისა და ჩვენ ყმა-
ნი მისნი ყოველნი. დაუსრულებელ ჰყოს ღმერთმან სუფევით მეფო-
ბა თქვენი უკუნისამდე. ამინ!

V « ვ ი ს - რ ა მ ი ა ნ ი »

წინასწარნი შენიშვნანი

როგორც ზემოდ შევნიშნეთ, კლასიკური ხანის საერო მწერლობა თარ-
გმანებით დაიწყო. ნათარგმნ თხზულებათაგან თავისი უძველესი სახით ჩვენამ-
დე მხოლოდ «ვის-რამიანი» შენახულა. იგი ნათარგმნია სპარსული ენიდგან, მაგ-
რამ, სამწუხაროდ, არ ვიცით, ვინ იყო მისი მთარგმნელი. მართალია, გარდამო-
ცემა „ვის-რამიანის“ მთარგმნელად სარგის თმოგველს ასახელებს (ცხოვრობდა
თამარ-მეფის დროს 1184—1213 წ.), მაგრამ, როგორც ვხედავთ თანდათან ირ-
კვევა, კლასიკური პერიოდის მწერალ-მგოსანთა ვინაობის შესახებ გადმოცემანი
ძლიერ საეჭვო ცნობებს იძლევიან; «ვის-რამიანის» ენა კი საბუთს იძლევა და-
ვასკვნათ, რომ ეს თარგმანი აღნიშნულის პერიოდის პირველ ნახევარს უფრო
უნდა ეკუთვნოდეს, ვინემ მის დასასრულს, როცა სარგის თმოგველი ცხოვრობდა.

«ვის-რამიანის» ენა ქართულის სადასიტყვაობის საუკეთესო ნიმუშს წარ-
მოადგენს, რომლის მსგავსი ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად არა გვხვდებ-
ა. სწორედ ამიტომ ამ მოთხრობიდგან ქვემოდ ტექსტი საკმაოდ გვაქვს შემო-
ტანილი.

¹ გება—ყოფნა. კმნა; ეგებოდა—იკმნებოდა; „აღარ ეგებოდა“—აღარ შეიძლებოდა
(კმნა). ² ეგზომი—იმღენი. ³ ვლა—სვლა; ვვლეთ—ვიარეთ. ⁴ ნიკი—საბოძვარი, საჩუქარი,
ძღვენი.

« ვ ი ს - რ ა მ ი ა ნ ი »

ტექსტი

I

უცნაური პირობა, ნიშნობა და ქალის გატაცება

იყო დიდი და მალალი ხელმწიფე ადრაბადაგანისა¹ და ყოველ-
თა თემთა² და ქუეყანათა მპყრობელი და დიდთა საკურქელეთა³ პა-
ტრონი. ჰქონდა ხორასანი, თურქისტანი, ერაყი, ადრაბადაგანი,
ქოისტანი და ხუარაზმი⁴. ხმელთა⁵ და ზღუათა პატრონი იყო და
ყოველსა სპარსეთსა ზედა მორკმული⁶. მრავალნი ხელმწიფენი ჰყუეს
სვიანი⁷ და შეუფრობელი⁸ და მას ეამსა⁹ შიგან მისი სიტყუისა
უმორჩილო არეინ იყო. ცეცხლისა მსახური იყო თუით მეფე და
სახელმწიფო სრული. ესე ხელმწიფე ქრისტეს მოსვლასა წინათ იყო
და სახელი მისი შაჰი მოაბად. ესეა ძმა ერთი, ერქუა სახელად ზარ-
დი და ვაზირი¹⁰ იყო შაჰი მოაბადისი.

ეს მეფე ხშირად ჰმართავდა ხოლმე წვეულებას, რომელზედაც დაჰპატი-
ებდა თავის ერთგულ დიდებულებს მათის ტურფა ცოლებითურთ.

იყო ხელმწიფე შაჰი მოაბად დედათა მოყუარული: უქვრეტდა¹¹,
იხარებდა და გასცემდა, და მუტრიბთა¹² ამღერებდა¹³; ზოგთა ასპარეზ-
თა¹⁴ აცემინებდა, ზოგთა შუბითა ამღერებდა და კეკლუცთა ქალთა
შუშპართა¹⁵ აქნევდა.

კუირასა ერთსა გაიხარნა დიდითა სიხარულითა. რაცა მის სმი-

¹ ადრაბადაგანი—ადრბეიჯანი, სპარსეთის ჩრდილო ნაწილი. რომელიც კასპის ზღვის დასავლეთად და არაქსის სამხრეთად მდებარეობს. ² თემი—ოლქი ან მაზრა, მხარე; აგრეთვე თემში მცხოვრები ხალხი. ³ საკურქელე—საგანძური, სიმდიდრე. ⁴ აქ ჩამოთვლილი ქვეყნები ძველი სპარსეთის ნაწილები იყო. ⁵ ხმელნი—ხმელეთი. ⁶ მორკმული—ძლიერი, სახელგანთიანი, დოვლათიანი. ⁷ სვიანი—ბედნიერი. ⁸ შეფრობა—შეკირვება, შეწყუება; შეუფრობელი—შეუწყუებელი, შეუკირვებელი. ⁹ ეამი—დრო. ¹⁰ ვაზირი—ვეზირი, მთავარი მოხელე და უახლოესი პირი, უახლოესი მრჩეველი მეფისა, მინისტრი. ¹¹ უქვრეტა—ცქერა, ყურება. ¹² მუტრიბი—მეფუსიკე, დამყვრელი. ¹³ მღერა—თამაში, დაკვრა. აგრეთვე სიმღერაც. ¹⁴ ასპარეზი—სარბიელი, სავარჯიშო მოედანი. ¹⁵ შუშპარი—სამაია, ცეკვა.

სა და სიხარულისა მეჯლიშში¹ თუალი, მარგალიტი და საქურკლე იყო, ყუელა გასცა. აავსო დიდი და პატარა, არავინ დარჩა იქი უშოვარი.

იმ დღეს მოწვეულთა შორის იყო სიტურფით განთქმული, ყარან აღრებადაგანელის ცოლი, შაქრო, რომელსაც მოაბადმა ქება შეასხა და ქალი სთხოვა საცოლოდ. რადგან შაქროს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა (სახელად ვირო) და ქალი კი არა, — პირობა დასდევს, ან, როგორც თვით ავტორი ამბობს, «საფიცი წიგნი დასწერეს და პაემანი შეუქნეს ერთმანერთსა: შაქროს ასული მიეცეს, მოაბადის ცოლი იყოს».

მათსა პაემანსა² ზედა გარდაიარა მრავალი წელიწადი და ყოველსა კაცსა დაავიწყდა; მათი ამბავი დაძველდა, მათი საქმე აღარავის მოეგონებოდა. ამაზედა მოესმა შაპი მოაბადს დაორსულება მეოცდაათესა წელსა შაქროსი მის ძვირფასითა მარგალიტითა. რა ცხრა თვე გარდავიდა, მისგან გამოვიდა ელვარე მთუარე: არ მუცელი იყო, გარნა³ აღმოსავლეთი იყო და მისგან გამოვიდა მნათობი მზე. ესეთი ასული შობა შაქრომან, რომე მისითა შობითა ბნელი ღამე ნათლად შეიქნა. გარდიხადეს ძეობა⁴ და დაარქუეს მას მნათობსა სახელი ვის. და მაშინვე მიიბარეს კაი გვარიანს⁵ გამდელსა გასაზრდელად.

ესვა⁶ მოაბად ხელმწიფესა ძმა, სახელად რამინ, ვისისავე ჟამთა შიგან დაბადებული. უყუარდა მოაბად მეფესა შვილად და წალმართად მას ხელეიდა. და საზრდელად ხუზისტანსვე⁷ გამოგზავნა ჰაერისა და ქუეყნისა სიკეთისათუის. ვისი და იგი ერთსა ქუეყანასა შიგან იზრდებოდეს, ვითა ერთსა ბაღსა შიგან ორნი ყუავილნი: აღრაგუნ⁸ და ნასრანი⁹.

როცა ვისი მოიზარდა, საოცრად დაშვენდა, მის ნახვას აღარაფერი სჯობდა. მაშინ ღეღამ ქალი შინ მოაყვანინა.

რა მოიყვანეს და შაქრომან ნახა, შვილობისაგანცა უფრო საყუარელი პირი და ტანი მისი ასულისა გაიცადა¹⁰, ხელაპყრობით მადლი მისცა ღმერთსა და მისითავე სახელითა შეულოცა და პირ-

¹ მეჯლიში, მეჯლისი—სანადიმო შეკრებილება, წვეულობა. ² პაემანი—ვადა, შეპირებული დრო. ³ გარნა—მაგრამ, არამედ. ⁴ ძეობა—შვილის დაბადების გამო ქალთა წვეულება. ⁵ კაი გვარიანი—ე. ი. კარგის (დიდის და გამოჩენილის) გვარის შვილი. ⁶ ესვა—ჰყავდა. ⁷ ხუზისტანი—სპარსეთის ნაწილი, მდებარე სპარსეთის ზღვის პირას მდინარე ტიგრის შესართავთან; ვისის გამდელიც ხუზისტანელი ქალი იყო. ⁸ აღრაგუნი—ერთგვარი მშვენიერი ფერის ყუავილი. ⁹ ნასრანი, ნასარი—თეთრი და პატარა ვარდი. ¹⁰ განცდა—დანახვა.

სა შევბერა, რომე თუალი არ ეცესო. მერმე გლახათა ზედა ურიცხვი ოქრო და საქონელი ვასცა და თავისა წინა ტახტსა ზედა დასვა. შაპრო უქვრეტდა, მზესა და მას შუა საცილობელი შეექნა, თუ რომელ რომელიაო; და, ვითა მოყუარულისა მშობლისა წესია, ვგრე დაუწყო კაზმა: სცხო მუშკი-ამბარი¹ და მრავალფერი სურნელი, და შემოსნა ოქრო-ქსოვილიანი შესამოსელნი, ალვა² და მუშკი უკმივა და ესრე შეკაზმა, ვითა მანეჩინელისა სახე; რაზომცა უაუგო, სრული და კეკლუცი იყოს და, ვინცა ნახოს, ყუელასა მოეწონოს და, რა კაზმა დაუწყონ ოქროთა და მარგალიტითა, დაშვენდებისო; და ვისის ფერის მიცემისაგან ოქრო გაწითლდებოდის.

რა დედამან ესრე შუენება მოკარბებული ნახა ასული, ვგრე არკუა³:

— ჰე, ყოვლისა ქუეყნისა მაშვენებელო! რადგან შენი სწორი შესაფერი ქუეყანასა ზედა არავენ არის, ჩემგან უფროსსა ზედან შენი გაცემა არ ეგების⁴. არა რომელსა ქუეყანასა არის შენი ჯუფთი⁵ და სწორი ჩემისა ძისა ვიროსაგან კიდე⁶. შენ ეცოლე მას და ნატამალი⁷ გაგუიმრავლე და ამა მზახლობისაგან⁸ მე გამახარენ. ვიროს ცოლი იყავ—საქებარი დაჲ მისი, სძალი⁹ ჩემი იყავ—შვენერი ასული ჩემი. ჩემსა საწუთროსა¹⁰ ჩემთვის სისრულე და სიამე მაშინ აქუს, რა ჩემისა გულისა სანდო სანდომსა შევერთო და შევედრო¹¹.

რა ესე სიტყუა ესმა ვისისა, დიდისა სირცხვილისაგან გაწითლდა და გულსა ცეცხლი ჩაეგზნა¹² ძმისა სიყუარულისათვის და პასუხი აღარ ვასცა, მინდა თუ არაო. უგრძნეს¹³ სხუათა დედათა და ვისის დედასა არქუეს შაპროს, ვითა სულისა დაღება¹⁴ ქალისაგან ნდომისა ნიშანი არისო. დედამანცა შეუტყო, მით რომე ბერი¹⁵ მონახული დიაცი¹⁶ იყო და სიყმესა¹⁷ მისსა იგივე საქმე წაჰკიდებოდა¹⁸ ქრმისა შერთვისა ჟამსა¹⁹.

¹ მუშკი—მუსკუსი, სურნელოვანი ნივთიერება (გრთის პატარა ცხოველისა); ამბარი—სურნელოვანი მცენარეა (ზღვაში იშოვება). ² ალვა, ალოი—საქმეველი, საქმეველის ბე. ³ რკუმა—თქმა; არკუა—უთხრა. ⁴ ვება—ქმნა, ყოფნა; არ ეგების—არ იქნება. ⁵ ჯუფთი—ტოლი, წყვილის ცალი. ⁶ კიდე—გარდა. ⁷ ნატამალი—ჩამომავლობა. ⁸ მზახლობა. მზახლობა—დაქორწინებით ნათესაობა. ⁹ სძალი—რძალი. ¹⁰ საწუთრო—წუთისოფელი. ¹¹ შევედრება—ჩაბარება (ხვეწით). ¹² ჩაეგზნება—ჩანთება. ¹³ უგრძნეს—შეუტყვეს. ¹⁴ სულისა დაღება—გაწულება. ¹⁵ ბერი—მოხუცი, ხანში შესული. ¹⁶ დიაცი—დედაცაი. ¹⁷ სიყმე—ახალგაზრობა. ¹⁸ მოსვლოდა, დამართოდა. ¹⁹ ჟამი—დრო.

რა დაუდასტურდა¹ ქალისაგან ნდომა ვიროსი, მასვე წამსა უხმნა², რაცა მისსა ბრძანებასა და ფარმანსა³ ქუეშე მუნეჯიმი⁴ და მეცნიერნი იყუნეს, ამიანით, გორაბით⁵ და ყუელგნით, მათისა ეტლისა⁶ და საწუთროსათვის, თუ რა წაეკიდების, ანუ ვით გაიხარებენ ასული ჩემი და ძე ჩემი ვირო მათისა ქორწილისაგანო? გამოარჩიეს მუნეჯიმა კარგი დღე და ყოველნი ერთგან⁷ დასხდეს. ძებნეს და გამოარჩიეს, ნახეს ბედი და ეტლი მისისა ასულისა ვისისი და ძისა მისისა ვიროსი და სვიანი⁸ დღე უპაემნეს⁹. და მათსა ეტლსა და პაემანსა ზედა მივიდა შაჰრო და უხმო ძე თუისი ვირო და ასული ვისი დარბაზსა მისსა. ზედა კოშკი იყო აგებული და მას კოშკსა შიგან სხდეს სამნივე: დედა—სიდედრი, ძე—სიძე, ასული—სძალი. დედამან—დედამთილმან გამოულო¹⁰ ვისის ხელი და ძმასა მისსა ვიროს ხელსა ჩაუდგა და შეჰვედრა¹¹, ვითა მათი წესი იყო, დალოცნა და ცოლად შერთო, და ეგრე არქუა¹²:

— თქუენ არცა უტხონი ხართ და არცა უმეცარნი¹³ ერთმანერთისანი. არცა სძალსა შეკაზმა უნდა—თუით ღმერთსა შეუკაზმავს; არცა ზითევი უნდა. თქუენ ორნი ერთნი ხართ, არცავენ მოწამე გინდა, არცა შეუამდგომელი,—ღმერთი კმა¹⁴ თქუენად მოწამად და ანგელოზნი მისნი.

შევედრნა მან მარტომან ერთმანერთსა, დალოცნა და ეგრე უთხრა:

— ღმერთმან დამბადებელმან განგახარნეს ერთმანერთისაგან და მრავალი თქუენი შვილი მიჩვენოს და გამაზრდევენოს, ვითა მე მინდაო.

ამას შემდეგ გაიმართა ვისისა და ვიროს ქორწილი. მაგრამ ვისის იმ თავითვე ბედი არ სწყალობდა: სწორედ ქორწილის დროს მოაბადის მოციქული მოვიდა, რომელმაც შაჰროს მოაგონა ფიცი და პაემანი. მალე თვითონ შაჰიც დიდის ლაშქრით თავს დაესხა ვიროს ქალაქს, მაგრამ დამარცხდა და გაიქცა. სამწუხაროდ, სწორედ ამ დროს ვიროს ქვეყანას სულ სხვა მტერი შეესია და ვიროს იძულებული შეიქნა მათ გასარეკად გალაშქრებულიყო. ამით ისარ-

¹ დასტური—დათანხმება. ² ხმობა—მოწოდება, დაძახება. ³ ფარმანი—ბრძანება, განკარგულება. ⁴ მუნეჯიმი, მუნეჯიბი—ასტრონომი, ვარსკვლავთმრიცხველი. ⁵ ამიანი და გორაბი სპარსეთის პროვინციები იყო. ⁶ ეტლი—ბედის ვარსკვლავი. ⁷ ერთგან—ერთად. ⁸ სვიანი—ბედნიერი. ⁹ უპაემნეს—ედა დაუნდნეს. ¹⁰ გამოლოება—გამორთმევა. ¹¹ შევედრება—ჩაბარება. ¹² არქუა—უთხრა. ¹³ უმეცარი, უცნობი. ¹⁴ კმა—საკმაო.

გებლა მოაბადმა და კელავ თავს დაესხა ვიროს ქალაქს. მაგრამ ძალით რომ ვერაფერს გახდა, ქრთამითა და მოსყიდვით დაიწყო მოქმედება. დიდძალი ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი მიუგზავნა შაჰროს და თან წერილით ფიცი მოაგონა, რომელიც ღვთის წინაშე ჰქონდათ დადებული.

რა შაჰრო ნახა ეგზომი¹ თვალ-მარგალიტი, ოქრო და ყუელასთანა სახელმწიფო ძღვენი, ეგზომ მრავლად კიდებულნი აქლემნი და ჯორნი ლარითა², მთურალისაებრ ცნობა წაუვიდა და დაავიწყდა ძეცა და ასულიცა. რა შელამდა, ციხისა კარი გააღო და ელვარე მთუარე მოაბადს ხელთა მისცა, ღმრთისაგანცა შეეშინდა და მოაბადისა წიგნისაგანცა ბუნება³ მოექცა. მას ციხესა ზედა დაიწყო საწუთრულად⁴ ქცევა ჰაერმან. შაჰროს ესწავლა ეტლთაგან წამსა და წამსა სხვაებრად ქცევა. რა კარი გააღო ციხისა, მოაბადს ქალი ხელთა მისცა, სიბნელითა წეროს ფერად შავი იყო. მოყუარულთა გაყრა დია⁵ მწარეა. ცასა ზედა მთუარე და მარსკულაენი⁶ აღარა ჩნდეს, ქუეყანა ლილის ფერად ქნილიყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგუანდა მთუარისა საფარად ამოკრულსა: ჰაერმან, თუ სთქუა, საგლოველი შეიმოსა მისისა საქმისათუის; მზემან და მთუარემან თავისა ლაშქრითა დასავლეთისაკე ილაშქრეს, მუნვე დაიმაღლეს და უჩინო იქნეს; ლაშქარნი⁷ თავის თავისთა ადგილთა განიადაგდეს⁸; ეტლნი⁹ რკინისა კლდეთა გუანდეს და მარსკულაენი მათგან აბეზარქმნილთა; ვერძნი¹⁰ და მოზუერნი¹¹, დაღრეჯით¹² დამალულნი, თრთოდეს ლომისა¹³ შიშითა და თავისა ადგილი დაეგდოთ; თუ სთქუა, ლომი უსულო დგას და მეტყუბარი¹⁴ ორთა მოყუარეთაებრ მწოლთა დაქედით უძრავ ქნილიყუნეს; კირჩხიბი¹⁵ გამწყრალი კულამობზეკილი, ლომისა ჯანგთა¹⁶ ქუეშე იყო; ქალწული¹⁷ დიაცისაებრ დგა, ხელთა ტევანნი დაეკირნეს; სასწორო¹⁸ დაშლილი და

¹ ეგზომი—ამდენი. ² ლარი—განძი, სიმდიდრე. ³ ბუნება—ხასიათი, გუნება.

⁴ საწუთრულად—როგორც საწუთროს (წუთისოფელს) შეეფერება, ე. ი. ცვალებადობით. ⁵ დია—დაიბ. ⁶ მარსკულაენი—ვარსკლავი. ⁷ ლაშქარი—იგულისხმებთან ცის ლაშქარნი, ანუ ვარსკლავები. ⁸ განიადაგება—მუდამ ყოფნა; ერთ ადგილს განიადაგება—ერთს ადგილს გაჩერება, დადგომა. ⁹ ეტლნი—ცის ეტლნი, პლანეტები, აგრეთვე ცის ბუჯნი ანუ მნათობთა ჯგუფები. ¹⁰ ვერძი—ცის ვერძი (ბურჯია). ¹¹ მოზუერი—ცის მოზუერი (ბურჯია). ¹² დაღრეჯა—დაღრევა, მოწყენა. ¹³ ლომი—ცის ლომი (ბურჯია) ¹⁴ მეტყუბარი—ტყუბი, მარჩბივი (ესეც ცის ბურჯია). ¹⁵ კირჩხიბი—კობო (ცის ბურჯია). ¹⁶ ჯანგთა—ქანგი. ¹⁷ ქალწული—ცის ქალწული (ბურჯია). ¹⁸ სასწორო—ცის სასწორო (ბურჯია).

დახლათული უხმარ ქნილიყო; ღრიანკალი¹ ერთგან მოდრეკილიყო², ვითა გველი გაცივებული; მშვილდოსანსა³, ვითა კერპსა⁴, მშვილდითა ომი არ შეეძლო; თხა⁵ ისრისაგან უშიშრად ქუე დაწოლილიყო; წყლის-საქანელი⁶ ქასა შიგან ჩაქრილი და მისი მზიდავი⁷ ბედითად⁸ მომცდარი; თევზი⁹ ბადისაგან დაბმული და ვითა ხმელთა¹⁰ ზედა გაქრილი¹¹ დაღრჩომისაგან უიმედოა ქნილიყო. ასეთითა ავითა ეტლითა და უბედურითა ნახა შაჰინ-შაჰ¹² თავისა ცოლი, — ღც. ათმან სხუასა ნუ ვის ზედან მოილოს ესეთი ეტლი.

რა ციხესა შიგან შევიდა მოაბად და ამა ეტლითა ნახა, ღამისა სიბნელისაგან თუალით წინა არ რა ჩნდა, მაგრა ვისის პირისა სინათლემან და სულნელებამან აპოვინა უებროდ¹³ მოსაწონელი ცოლი. მივიდა და მოჰკიდა ხელთა ბროლისა მსგავსთა და ციხისაგან თრევითა ჩამოიყუანა, ამით რომელ ნებით არ მოჰყუებოდა და იგი ქუე აღარ დააგდებდა. ჩამოიყუანა და შევედრა¹⁴ თავისა მისანდოთა¹⁵ კარგთა მებაჯრეთა¹⁶ და ხოჯათა¹⁷. მასვე წამსა შესვა კუბოსა¹⁸ და გამოემართა ესრე ფიცხლა¹⁹, რომე ვერცა ქარი ეწეოდა.

II

სიყვარული, ფიცი და განსაცდელი

მივიდოდეს მოაბად და მისნი ძმანი და ღაშქარნი და ვისის კუბოსა ხოჯანი მიჰყუებოდეს. ანაზღად²⁰ ღმრთისა განგებისაგან ადგა დიდი ქარი და მოგლიჯა კუბოსა სახურავი ფარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა ანუ ანაზღად მზე ამოვიდა, გამოჩნდა

¹ ღრიანკალი—ცის ღრიანკალი, მორიელი (ბურჯია). ² მოდრეკა—მოხრა, მოკაცვა. ³ მშვილდოსანი—ესეც ცის ბურჯია. ⁴ კერპი—ქანდაკება, უძრავი და უსულლო ძეგლი კაცი-სა, ძეგლად ღმერთად სწამათ. ⁵ თხა—ცის თხა, „თხის-რქა“ (ბურჯია). ⁶ წყლის-საქანელი—ცის ბურჯია. ⁷ მზიდავი—მეტლე. ⁸ ბედითად—საწყლად, საბრალოდ. ⁹ თევზი—ცის თევზი (ბურჯია). ¹⁰ ხმელნი—ხმელეთი. ¹¹ გაქრა—გავარდნა, გასვლა. ¹² შაჰინ-შაჰ—მეფეთა მეფე. ¹³ უებრო—შეუღარებელი, უტოლო. ¹⁴ შევედრა—ჩააბარა. ¹⁵ მისანდო—სანდო. ¹⁶ მებაჯრე—მეიარადე; საშუალო საუკუნეებში ყოველ რაინდს თან ახლდა თავისი მებაჯრე, რომელსაც ეება რაინდის აბჯარი (იარაღი). ¹⁷ ხოჯა—საკურისი, დაკოდელი კაცი (რომელსაც ჩაბარებული ჰყავდა მეფისა და დიდებულის ცოლები); აგრეთვე—მასწავლებელი. ¹⁸ კუბო—ტაბატრეანი, დიდებულ პირთა სატარებლად (ხელით ან აქლემებით). ¹⁹ ფიცხლა—სწრაფად. ²⁰ ანაზღად—უეცრად, მოულოდნელად.

ვისის პირი და მისისა გამოჩენისაგან დატყუებდა რამინის გული. თუ სთქუა, გრძელმან¹ მოწამლა რამინ, რომელ ერთითა ნახუითა სული წაულო².

რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი³ ისარი სცემოდა, ცხენისაგან ფურცელის ოდნად სუბუქად ჩამოიჭრა⁴, მოედვა მიჯნურობისა⁵ ცეცხლი გულსა, დაუწუა ტვინი და გონება წაულო, წამსა თუალისასა დაუმკუიდრა მიჯნურობა, წაულო სიყუარულმან სული და გული. მისისა მიჯნურობისაგან ხე ესეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ველად გაქრა⁶ და გახელება⁷ იყო. რა ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბნდა⁸ და დიდხან უქკოდ იღვა. პირი მისი, ვარდისა მგზავსი, ზაფრანად გარდაექცა და ბაგე⁹, წითლისა იაგუნდისა¹⁰ მგზავსი, ცის ფერად შეექნა; სიცოცხლისაგან უიმედო იქმნა. ვინცა დიდებულნი და მოყმენი იახლნეს, ქუეითნი და ცხენოსანნი მოეხუიენეს რამინს, ზედა უჭკრეტდეს და ვერავინ შეატყუა, თუ ესრე უგრძნეულოდ რა წაეკიდაო. მისისა ასრე გასვლისათუის ყოველი კაცი ტიროდა და მისისა კირისათუის ყუელა მისგან უძნელეს იყო.

რა დიდხან აგრე უსულო კმნილი იღვა, არცა ყვილი¹¹ შეესმოდა, არცა სურნელთა კმევა და ვარდის წყლის სხმა ერგებოდა.¹² მერმე შეიწყალა ღმერთმან და ცოტად ცნობად მოვიდა, ენისა ხმარებისა ძალი არა ჰქონდა და ცრემლნი სდიოდეს.

მოაბაღმა იქორწილა ვისისთან, მაგრამ ვისი თავის თავს მოაბადის ცოლად არა სთვლიდა: მისი გული თავის გმირი ძმის ვიროსაკენ იყო. ამავე ღროს რამინიც ცდილობდა ვისის გული მოეგო და მისი სიყვარულის ღირსი გამხდარიყო. შემწედ რამინს ვისის ძიძა გამოუჩნდა, რომელმაც ბევრის შეგონებით და მომხიბლავის ენით ვისის ძმა სრულიად გადააიწყვა და გულში რამინის სიყვარული აღუძრა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი.

ძიძის სიტყვებით დამედებულმა რამინმა მოკეთება იწყო და მალე სრულიად გასაღდა. ეს რომ მოაბაღმა შეიტყო, საყვარელი ძმის პატივსაცემლად წვეულება გამართა.

რამინის ბედისაგან შაჰი მოაბად დარბაზნი შეაკაზმინა. რამინ

¹ გრძელნი, გრძნეული—ჯადოქარი, თილისმა. ² წაართვა. ³ უტევანი—საზომია: ასი მხარი. ⁴ ჩამოიჭრა—სწრაფად ჩამოსვლა, ჩამოვარდნა. ⁵ მიჯნურობა—ტრფილაება, სიყვარული. ⁶ გაქრა—გასვლა, გავარდნა. ⁷ გახელება—გავიყვება. ⁸ დაბნდა, ცნობა დაკარგა. ⁹ ბაგე—ტუჩები. ¹⁰ იაგუნდი—ძვირფასი ქვა, წითელის ფერისა. ¹¹ ყვილი—ძახილი, კვილი. ¹² კრგებდა, კშველოდა.

უხმო და სრულად დიდებულნი და აზნაურნი ყულანნი ერთობით სმად და სიხარულად დასხდეს. მუტრიბთა¹ ამღერებდეს, ცისებრ აფსილიყო დარბაზი მზისა, მთუარისა და ვარსკულავთაგან. სიხარული ჰქონდათ დიდი.

მოაბადის ამირსპასალართა² შიგან რამინ ესრე ჩნდა, ვითა მასკულავთა შიგან მთუარე. გაზრახვით³ მოქარბებით შეკაზმულიყოცა. მუშკი⁴ და ქაფური⁵ ვარდრეული აშუენებდა. მიწყითისა⁶ გონებისა⁷ და შეჭირვებისაგან⁸ გული მისი წელთავე დამსგავსებულიყო სიწლოთი⁹ და საწუთრო დანაღვლებოდა. სმად ნადიმად¹⁰ და სიხარულად მჯდომი მუტრიბთა თანა წყალსა შიგან მრჩვალსა გუანდა. მიჯნურობისა და ღვინისაგან ორფერი სიმთურაღე ჰქონდა. ღვინისაგან პირი ყაყაზისა დამსგავსებოდა, მიჯნურობისაგან გულმძინარესა. ვისის გონება ტუინსა გასჯდომოდა და სახე მისი თულთაგან არ მიეფარებოდა. ვისი თუით ძიძასა მოეყუნა, მალეით სარკმელითა აქურეტიებდა მსმელთა დიდებულთა და რამინს. თუით ძიძამან განალამცა¹¹ ეგრე მოახსენა ვისის:

— ჰე, თულთა ჩემთა სინათლეო; ნახეცა ვინ რამინისა უკეკლუცესი ლაშქართა შიგან? მიბრძანე, შენსა მზესა, არ წყლიანია და უმიზნოა? არ დია¹² გავს რამინის პირი ვიროს პირსა? არ ღმრთისა წყალობაა, რომელ შაჰი მოაბადის დარბაზი მისგან ელავს? ხამს¹³ თუ ისი უსწორო გიყუარდეს და ერთმანერთისაგან გაიხარნეთო?

ვისი, ვითაც უქურეტდა რამინს, ეგრევე სიყუარული მოემატებოდა. რა კარგად გაიცადა¹⁴ რამინ, ვიროს სიყუარული სრულად დაავიწყდა. გულსა შიგან ამას იტყოდა: აჰა, ნეტარძი მას, ვისცა ესეთი ქრმად მიხულა¹⁵! ნეტარ, რას უბედურობასა მომახუდერებს მისი ნახუა, რომელ ვირო იმან ისრე სრულად დამავიწყა! აწ რადგან ძმისა და დედისაგან მოწყუედილვარ¹⁶, მიწყით¹⁷ რად ვიწვი, რალა სარგებელია? რად ვზი მარტოდ ეზომსა ხანსა? ვირემდის¹⁸ კი-

¹ მუტრიბი—მემუსიკე, დამკვრელი. ² ამირსპასალარი—მთავარსარდალი, ჯარების უფროსთა უფროსი. ³ გაზრახვით—განგებ; განზრახ. ⁴ მუშკი—სურნელოვანი სითხეა, რომელსაც ერთი პატარა ნადირისაგან შოულდობენ. ⁵ ქაფური—ესეც ცხარე სუნიანი სითხეა. ⁶ მიწყითი—მუღდმეი, განწუყვეტელი. ⁷ გონება—მოგონება, ფიქრი. ⁸ შეჭირვება—წუხილი. ⁹ სიწლო—სიწორილე. ¹⁰ ნადიმი—წვეულობა, ლხინი. ¹¹ განალამცა—ღიაღაც. ¹² დია—ღიახ, ნამდვილად. ¹³ ხამს—ჯერარს, რიგია, უნდა. ¹⁴ გაიცადა—დანახუა. ¹⁵ მიხულდომ—შეხედომა, შეხედვრა, რკება. ¹⁶ მოწყუედა—მოწყვეტა, მოშორება. ¹⁷ მიწყით—განიდაგებით, მუღამ. ¹⁸ ვირემდის—სანამდის.

რი გავსდლო? არ რკინა ვარ. ამისა უკეთესა მოყუარესა ვერა ვჰპოვებ. მიჯობს, მისი წადილი ავასრულო.

ესეგუარსა რასმე იგონებდა გულსა შინა და მათ დღეთა ცუდად წახდომასა ინანდა. მას სიყუარული არა გამოუცხადა, თუცა მისისა მიჯნურობისაგან გახელბულიყო და ცეცხლი ეგზებოდა¹. ეგრე უთხრა:

— ეგეთია რამინ, ვითარსა იტყოდი, დია კეკლუცი და წყლიანი არის. გუარიანობაცა² აჩნდა და ჩემსა ძმასა ვიროსაცა გავს. მაგრა რასაცა ეძებს, ესეცა იცოდი, ვერ ჰპოვებს. თუცა ჩემი პირი მზეცა იყოს, მას ზედა არ ნათობს. არცა თავსა ჩემსა მისებრ გავჰხდი და ვაჰირევებ, არცა აუგითა³ ავივისები და არცა ჭირსა შიგან ჩავიჭრები⁴. მას ღმერთმან ჩემად ნაცულად სხუა ვინმე მისცეს და ჩემი სახელი და სიყუარული დაავიწყოსო.

რა ვისი სარკმელთაგან⁵ ქუე ჩამოვიდა, თავისა დარბაზსა შევიდა, თუალთა აღარ უჩნდა რამინის სიყუარულითა. და გონებანი აღარა ჰქონდეს; ფერი ჰკრთებოდა და გული ერთსა აღაგსა ველარ ექირა მძლე⁶ ეშმა⁷ მისად ომად მისულიყო, მისსა გულსა შიგან ჰანგო ჩაემაგრა და მითვე ჰანგითა წაელო პირისაგან ფერი, ტანისაგან ძალი და გულისაგან თმობა⁸.

მაღე ძიძამ შეყვარებულნი ერთად შეჰყარა და მათ ფიცი უთხრეს ერთმანეთს.

შეჰფიცა რამინ მტკიცითა საფიცრითა: ყოვლისა დამბადებელი-სა ღმრთისა ძალითა და სახელითა, ელვართა მშითა და მთუარითა, რაცა ცასა ზედა არის, — ყუელათა; ცითა და ქუეყანითა, ღმრთისა სჯულითა და ყოვლითა საფიცითა, — რომელ: ვირე⁹ სულნი ედგნენ, ვირე მათა ზედა ქარი ქროდეს და ზლუათა შიგან წყალი და თევზი იპოებოდეს, ბნელსა ღამესა სიშავე ჰქონდეს, ცათა შიგან ვარსკულავი იპოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უყუარდეს, — ვისის სიყუარულსა არ ინანდეს რამინ, არცა მისი ფიცი გატეხოს, არცა მისისა პირისაგან კიდე¹⁰ სხუა პირი მოეწონოს, არცა ვინ სხუა მისგან კიდე უნდეს, არცა ვისი სიყუარულისა თუალითა შეხედოს და არცა რა ვისის უნებელი ჰქნას.

¹ გზება, გზნება—გაჩაღება, მოკიდება (ცეცხლისა). ² გუარიანობა—გვარიშვილობა, კაი გვარის ჩამოშავლობა. ³ აუგი—ძრახი, ძვირი. ⁴ ჩაჭრა—ჩაუარდნა. ⁵ სარკმელი—ფანჯარა, სანათური. ⁶ მძლე—ძლიერი. ⁷ ეშმა—ეშმაკი, ბოროტი სული. ⁸ თმობა—მოთმინება. ⁹ ვირე—ვიდრე, სანამ. ¹⁰ კიდე—გარდა.

რა რამინ ესე შეჰფიცა და შეაჯერა¹, მერმე ვისიცა შეჰფიცა აგრევე მტკიცედ, რომელ სიცოცხლესა მისსა შიგან რამინს არ ეც-რუოს და არცა მისსა სიყუარულსა არ მოაკლდეს. ერთი იისა კო-ნა მისცა ხელთა რამინს და ეგრე უთხრა:

— ჩემგან ნიშნად ესე დაისწავლე: სადაცა ახალსა იასა ნახე-დე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავ-ჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო. მეცა ვარდსა ნიშნად დავისწავლი. სადაცა წალკოტსა² შიგან ვარდსა ვნახავ, ამა დღესა და ფიცსა მოვიგონებ. ვარდისაებრმცა³ დღე მოკლე ვარ, ოდესცა ეს ფიცი გავტეხო და ღმერთი უარ ექნაო.

რა ერთმანეთსა ესე შეჰფიცეს, დამბადებელი მოწმად დაიყენეს.

მაგრამ ხანგრძლივი არ იყო მათი ბედნიერება. მოაბადმა შე-უტყო სიყვარული, ამის გამო ვისისთან დიდი უსიამოვნება მოუვიდა, რაიც იმით დათავდა, რომ შაჰმა ვისი გაუშვა, ე. ი. თავის ძმასა და დედას დაუბრუნა. მაგრამ რამინმა არც აქ დაიშალა სიარული. მაშინ მოაბადმა გადასწყვიტა, საქვეყნოდ დაესაჯა ვისი. მაგრამ შე-ყვარებულნი გაიპარნენ და რეს-ქალაქში შეაფარეს თავი საიდუმ-ლოდ, ერთი სანდო კაცის სახლში. ეს რომ მოაბადმა გაიგო, კინა-ლამ ჰკუაზე შეიშალა: ვისი მასაც გაგიჟებით უყვარდა. დროებით ხელი აიღო მეფობაზე და ველად გაიჭრა, «გალარიბდა»⁴, ვისის სა-ძებრად წავიდა. ნახევარ წელიწადს ეძებდა, მაგრამ ვერა შეიტყო რა; დაიქანცა, დასნეულდა, თანაც შიში მიეცა: „ჩემი სამეფო სხვამ არავინ დაირჩინოსო“, და გაეშურა თავის სატახტო ქალაქ მარავისაკენ. აქ მან შეიტყო, სადაც იმალებოდნენ გაქცეულნი. ამ ამბავმა ისე გაახბა-რა მოაბადის გული, რომ სულ დაავიწყდა, რაც ტირი გამოეგლო. ბრძანა, ვისი შინ მოეყვანათ და რამინსაც აპატივა შეცოდება.— ერთ დღეს მოაბადს სიღვდრი (შაჰრო) და ცოლიძმა (ვირო) ეწვიე-ნენ, რის გამოც მოაბადმა დიდი ნადიმი გამართა.

ზათხულისა ჟამი იყო: დღე ამო; მინდორნი, ველნი და წალ-კოტნი საშობესა გვანდეს; ხენი ნაყოფიანნი, წყალნი მდინარენი და მფრინველნი ზედა დამღეროდეს; ნარგისნი⁴ მწდეთა⁵ გუანდის და იანი თავჩამოგდებულობითა მთურალთა; შტონი ნაყოფისაგან—ნოშრევანისა⁶ გუირგუინსა სიტურფითა; ველნი სიმწუანითა ზურ-

¹ შეჯერება—ფიცით დაკმაყოფილება, დარწმუნება. ² წალკოტი—ბაღი. ³ ღარიბი—ყარიბი, უცხოობაში და მარტობაში მყოფი; გაღარიბება—უცხო ქვეყნებში სამარტოდ წასვლა. ⁴ ნარგისი სურნელოვანი ყვავილია. ⁵ მწდე—მეღვინე, ღვინის დამსხმელი. ⁶ ნოშრე-ვანი—ხოსრო ანუ შირვანი, სპარსეთის შაჰი იყო (მე-6-ე საუკუნეში ქრ. შემდეგ).

მუხტსა¹ და მთანი ბეჟმედსა²; ყოველი ქუეყანა ყუზაველითა, სიტურ-
ფითა და სულნელობითა ავსილიყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ³
ნაზობდა.

ჯდა წალკოტსა შიგან შაჰინ-შაჰ და უჯდა გუერდით პირმზე
ვისი; მარჯუნით უჯდა ვირო, მარცხუნენსა მხარსა შაჰრო, პირის-
პირ ჯდა რამინ და წინა სხდეს ხანსი⁴ და მუტრიბნი⁵, იმღერდეს, სმი-
დეს და გაიხარებდეს. იყო დიდებულთა ჯალაბობა⁶. მგოსანმან სიმ-
ღერა თქუა ვისისა და რამინის მიჯნურობისა⁷ ზედა; ვინცა კარგად
გაიგონებდა, შეეტყუებოდა⁸ ძალი სათქმელსა. იამა შაჰინ-შასა, ეგ-
რე უბრძანა:

— ამოდ თქუი ეგე სიმღერა. აწ ვისის და რამინის მიჯნურო-
ბასა ზედა სხუა სიმღერა თქუი და გამოაცხადე მათი საქმეო.

ვისი რა ესე მოისმინა, მუტრიბსა საბოძვარი⁹ უბოძა და ეგრე
უბრძანა:

— რადგან შაჰინ-შას ჩემისა საქმისა გამოცხადება სწადიან, ვის-
ლა უმაღავე, თქუიო!

მუტრიბმან იგივე სიმღერა თქუა, ვითა: „ენახე ხე დიდი და
თავი მისი ცათამდის, ჩრდილსა ქუეშე დაეპყრა ქუეყანა და მზისა-
ებრ ნათობდა. ქუეშე წყარო კეკლუცი დიოდა და მიდამო ია და
ვარდი ყუაოდა, სუმბული¹⁰ და სოსანი¹¹. მისსა სიახლესა მოზვერი
იყო მსუქანი, ზოგჯერ სათიბსა მოსძოვს. მიწყითმცა¹² წყარო იგი
მდინარეა დაუღეენელი, სათიბი მწუანედ, მოზვერი მსუქნად და მძოვ-
ნელად, ხე ნაყოფიანად!¹³ ხედ შაჰინ-შა ეთქვა, წყაროდ—ვისი და
ლალი¹³ მოზვერი რამინი იყო. რა ესე სიმღერა გამოცხადებითა კარ-
გად გაიგონა, მოაბად ზე აიქრა¹⁴ საჯდომთაგან და რამინს თმანი
შესტაცნა, მოიწვალა დანა და ეგრე უთხრა:

— შემომფიცე აწვე¹⁵, რომე ვისის სიყუარული აღარ გქონ-
დეს და არცალა ოდეს დაეკარო, თუარე აწვე ავიღებ თავსა შენ-
სა ტანისა შენისაგან, რადგან ტანი ჩემი შენისა აუგისაგან¹⁶ უთავო
იარებისო.

¹ ზურმუხტი—მწვანე ფერის ძვირფასი ქვა. ² ბეჟმედი—ესეც მწვანე ფერის ძვირფასი
თვალია. ³ სძალი—რძალი, პატარძალი. ⁴ ხასი—სამეფო სასახლის კაცი. ⁵ მუტრიბი—მემუ-
სიკე, დამკერელი. ⁶ ჯალაბობა—კრება, შეყრილობა. ⁷ მიჯნურობა—სიყვარული. ⁸ შეტყუ-
ება—შეფერება, შეთანხმება. ⁹ საბოძვარი—საჩუქარი, წყალობა. ¹⁰ სუმბული—ნარდიყვავი-
ლი, გაიცინტი. ¹¹ სოსანი—მოლურჯო ფერის ყვავილია. ¹² მიწყით—მუღამ, განუწყვეტლივ.
¹³ ლალი—თამბი, თავისუფალი. ¹⁴ ავარდა, წამოვარდა. ¹⁵ ახლავე. ¹⁶ აუგი—ძრახი, წუნი.

რამინ ეგრე შეჭტიცა მათითა საფიცითა მტკიცედ,—პირველ ღმრთითა, მერმე ცეცხლითა, მზითა და მთუარითა, რომელ: „ვირე¹ სულნი მედგან, არცა დავადებ და არცა მისისა ძებნისაგან მოვისვენებ. ჩემთა დღეთა მას შევაწვევ, ასრე არ გავსწირავ. თქუენ სალოცავად მზე გიჩანს ცისა და მე ვისის პირი. იგი სული არის ჩემი და თავისა ნებითა კაცისაგან სულთა ლეეა არ ეგების. შენ თუ გწადიან, მომკალ, და გწადიან; დამარჩინე. მე მისსა სიყუარულსა ვერ ველევიო“.

შაჰინ-შას რა ესე ესმა, მეტად გაუწყრა და გინება დაუწყო; ქუე დადვა, თავისა მოკვეთასა ჰლამოდა² და, სადაცა ეხოზ³ ძნელი სიყუარული სკირს, მის ადგილისა⁴ დანითა გამოკუეთასა. რა რამინ მოკულა დაისკუნა, ორნივე ხელნი დაუჭირნა მოაბადს, ხელთა დანა გამოულო⁵ და წამოვიდა.

მოაბადს თუით ერთო და ამას ზედა სმა გაიყარა, დაეძინა. დილასა აღარ ახსოვდა მოაბადს, თუ რა წაჰკიდებოდა. მიჯნურობისა და სიმთურალობისაგან კიდე⁶ ცნობა გაქცეოდა.

III

ლალატი და კვლავ მობრუნება

ზემოაღნიშნულ შემთხვევის შემდგომ ვისისა და რამინის ურთიერთობა დიდად შეიცვალა. ამ შემთხვევამ თითქოს ერთიკ და მეორეც გამოათხიზლა: ორივემ აშკარად დაინახა, რომ ძალიან შორს წასულან, საქმე საქვეყნოდ გაუხდათ. ეს კი არც ერთის დედოფლობას შეეფერება და არც მეორის—ვაჟკაცობას. გონიერ პირთა ჩავონებით რამინი ვისის განშორდა და, თავისი ძმის ნებართვით, სამმართველოდ მისი სამეფოს შორეული ოლქი აირჩია. აქ იმან სამაგალითო ნიჭი და გამპკრიახობა გამოიჩინა: თავისი კუთხე სამოთხის ბაღს დაამსგავსა. მისი წყალობით «ესრე უშიშრად გახდა გურგანი (იმ კუთხის სახელია), რომელ ცხუარნი და მგელნი ერთად იყვნინან და ცხუართა მგელნი უჩობნობდიან»⁷.

აქ რამინმა ერთი მშვენიერი ქალწული გაიცნო, სახელად გული, დიდად მოეწონა, შეუყვარდა და მალე კიდევაც იქორწილა მას-

¹ ვირე—ვიდრე. ² ლამა—ნდობა, პირება; ჰლამოდა—აპირებდა, უნდოდა. ³ ეხოზ—ესოდენ, ამოდენად. ⁴ იგულისხმება გული. ⁵ გამოლება—გამორთმევა. ⁶ კიდე—გარდა. ⁷ ჩობანი—მწყემსი, მეცხვარე; უჩობნობდიან—უმწყესავდნენ.

თან. ეს რომ ვისმა შეიტყო, კინალამ შეიშალა: არ მოელოდა რამინისაგან ასე ადვილად გაწირვას; დასწეულდა, ლოგინად ჩავარდა და თავის მოკვლაც დააპირა, მაგრამ ჯერ სცადა საყვედურებითა და წერილებით მოეღბო რამინის გული. ძიძაც კი გაუგზავნა შუამავლად, მაგრამ, როცა რამინმა ძიძას ხეირიანი პასუხიც არ აღიარა, მაშინ დაიბარა თავისი ერთგული მწიგნობარი (მწერალი) მიშკინ და რამინთან გასაგზავნი წერილები დაამზადებინა. ეს მწიგნობარი სიტყვის ნამდვილი ჯადოსანი იყო: მან ისეთი წერილები დაამზადა, რომ მათის წამკითხავის გული, ქვაც რომ ყოფილიყო, დადნებოდა. აი ერთი მათგანი:

«მსე წიგნი გამხმარისა ნაძვისაგან—ამწვანებულსა მხიარულად მოზრდილსა კუიპაროხსა¹ წინაშე, მთუარისა დაბნელებულისა და მილეულისა—ცათა დამაშვენებელსა ელვარესა მთუარესა, აოხრებულისა და გამხმარისა ვენახისა—ახალშენსა სამოთხისაებრსა წალკოტსა², ცარიელისა და ბედითვისა სადაფისა—გაუპობელსა თუალ-მარგალიტიანსა სადაფსა, მზისა ჩასულისა და დაღრეჯილისა³—აღმოსავლეთით ახლა აღმოსრულსა მზესა, დამქენარისა და წახდომილისა ფურცლისა—ახალ ამოსრულსა წითელსა ვარდსა, დამშრალისა ზღუისა—თუალ-მარგალიტიანსა ჰომანისა ზღუასა, გაუბედურებულისა და დასაწყლებულისა—ყოველთაგან სანატრელსა ბედნიერსა, სიყუარულისა სიკუდილისა დღემდი მიმტანებელისა—გამწირავსა და უხანოსა⁴, დასაწყლებულისა და გაბეჩავებულისა—ყოვლისა ქუეყანისა მორკმულსა⁵ ხელმწიფესა წინაშე; დამიწერია ესეთი წიგნი, ესეთსა ყოფასა შინა მყოფსა, რომელ ტანი სულისაგან და სული ტანისაგან აბეზარ⁶ მქნია.

«მე კიდევანობისა⁷ ცეცხლითა ვიწვი, და შენ სმასა და სიხარულსა შინა ნიშატიანობ⁸. მე სიყუარულისა საკურკლისა მეკურკლე⁹ ვარ, და შენ მტერობისა ხელისა უფალი¹⁰. აწ ამას გაფიცებ ჩემსა სიყუარულსა და შეყრასა, და თუით დამბადებელსა ცისა და ქუეყანისა ღმერთსა გაფიცებ, რომელ ესე წიგნი სრულად წაიკითხო, ჩემნი ქირნი სცნენ და, რაცა მომიხსენებია, გაიგონო.

¹ კუიპაროხი—მუდამ შწვანით მოსილი მაღალი და ლამაზი ზეა. ² წალკოტი—ბაღი. ³ დაღრეჯილი—დაღონებული, დაღვრემილი. ⁴ უხანო—დაუდევარი, ცვალებადი. ⁵ მორკმული—ცხოვრებით კმაყოფილი და ბედნიერი, ძლიერი და სახელოვანი. ⁶ აბეზარი—მობეზრებული. ⁷ კიდევანობა—განშორება. ⁸ ნიშატი—მოღონა. ⁹ საკურკლე—საგანძურის ძვირფასეულობის ანუ განძის საცაი: მეკურკლე—საგანძურის მცველი. ¹⁰ ხელის-უფალი—განმეგებელი, მმართველი.

«იციცა, რამინ, რომელ საწუთრო¹ მბრუნავია? კაცი ზოგჯერ სნეულია, ზოგჯერ მრთელია; ზოგჯერ კირვეულია და ზოგჯერ ლხინიანი. ზოგისათვის სიცოცხლეა, თუ ავად თუ კარგად, ბოლოდ ეგრეცა სიკუდილია; ზოგისათვის სიკუდილი შემდგომად განკითხვა² და ნაცვლისა მოზღვევა³. ამას სოფელსა ამბავი ოდენ დარჩების. ჩუენი ამბავი ავთა და კარგთა ყუელათაგან იცნობვის, თუ რას მოქმენდი ვართ. შენ თუით იცი, თუ ჩუენ ორთა შუა რომელი უფრო აუგიანი⁴ ვართ, რომელსა უფრო უწრფელობითა⁵ თავისა ნება გვიძებნია. მე იგი წმიდა ვიყავ, რომელ გინახავ ყოველსა ქუეყანასა ზედა, რომელ სიწმიდითა ცისა ცვარსა ვგვანდი და სიტურფითა ვარდისა ფურცელსა; ვერა რომელსა მამაცსა ეპოვნა ჩემთანა გულის ნება და საწუთროსა არ დაედვა ჩემზედა აუგი. შენ იყავ ჩემი მკვლელი და მამაყინებელი⁶, შენ დამიდგი გზასა უწრფელობისა ბადე და დამაბი. აწ მარტო ორმოსა შიგან ჩავიგდღეარ და წამსვლიხარ! მამალორვე⁷, მომატუნვე და აწ გამწირე... უზენაარო⁸! შენი ფიცი ქარსა ჰგავს უხანოსა⁹, შენი ზენაარი წყლისაებრ მდინარე და წამავალი არის. შენ ჰაერსა ჰგავ, მრავალფერად იქცევი; ოქრო ხარ, ავთა და კარგთა მიხუდები¹⁰. არ ჩემებრ ხანიერი მოყუარე¹¹, თუ შენ ჩემსა გუერდით არა ხარ, სხუასა დიდხან ვის გუერდით ხარ?

«ნახენ, თუ რაზომნი ავნი ნაქმარნი გიქნიან: უპატიოდ გამზადე შეცა და შენიცა თავიცა, დიდისა ხელმწიფისა ცოლი მომატუნვე, თავისა გუარი და ნატამალნი¹² აუგიან ქმნენ ცრუ ფიცად გაჰხე¹³, გაუწირავი და ზენარიანი¹⁴ მოყუარე გასწირე, წახუე ჩემგან შეუცოდებლად და დაუმიძიმებლად, და ესეთისა მოყუარისა აუგნი მოსთუალენ, რომელ მას შენგან კიდე არავინ უვის¹⁵... მე იგი ვისი ვარ, რომელ შზეა ჩემი პირი და თმა მუშკი¹⁶; მე იგი ვარ, რომელ პირისა სისაესე თხუტმეტისა დლისა მთუარესა მიგავს და ბაგე¹⁷

¹ საწუთრო—წუთისოფელი, სააქაო ცხოვრება. ² განკითხვა—გასამართლება. ³ მოზღვევა—სამაგიეროს გადახდა, მოცემა. ⁴ აუგი—ძრახი; აუგიანი—საძრახი, ვასაკიცი. ⁵ წრფელობა—სისწორე, სიმართლე; უწრფელობა—სიმრუდე, უმართლობა. ⁶ მოყინება—შერცხვენა, სახელის ფატება. ⁷ მლორება—მოტყუება, ვაწბილება. ⁸ უზენაარო—უღვთო; ფიცის გამტეხი, ფიცის არ შემნახავი. ⁹ უხანო—ცვალებადი, დაუდგეარი. ¹⁰ ე. ი. შეხედები, ერგები, ხელში ჩაუვარდები. ¹¹ ხანიერი მოყუარე—ვინც სიყვარულში მტკიცეა, ხანგრძლივ მოყვარული. ¹² ნატამალი—ჩამომავალი, ჩამომავლობა. ¹³ ე. ი. გამხელი, გახდი, გადაიქცი. ¹⁴ ზენარიანი—მტკიცე ფიციანი, ღვთიანი. ¹⁵ უვის—ჰყავს. ¹⁶ მუშკი—სურნელოვანი სითხე, რომელსაც ერთი პატარა ნადირისგან იღებენ. ¹⁷ ბაგე—პირი, ტუჩები.

უკუდავებასა; მე იგი წყლიანი ვარ, რომელ სიყუარული ჩემი ხანგრძლია; მე ტურფათა დედოფალი ვარ და გრძნეულთა¹ ხელმწიფე. მე შენგან უკეთესსა ხელმწიფესა დია² ვპოვებ, მაგრამ შენ ჩემებრსა ველარავის. მე ოდესცა გამწირო და წამიხვიდე, შემოქცეული³ გუიანადლა მპოვებ.

«ნუ იქმ, რამინ,—რა ინანდე, ვისისაგან კიდე⁴ წამალსა ვერას პპოვებ; ნუ იქმ, რამინ, რა გულისაგან⁵ გასძლე, კაბუკობითა⁶ ვისის ველარ მოიხელებ⁷; ნუ იქმ, რამინ,—აწ შენ მთურალი ხარ და სიმთურალითა გაგიტეხია ზენაარი; ნუ იქმ, რამინ, რა მოფხიზლდე, რომელ უცლოო და უმოყურო დარჩე! გნახვე ესეთსა, რომელ ჩემსა წინა სტიროდე და პირსა ჩემისა დარბაზისა კარსა დასდებდე; მტერობა სიყუარულად მოაქციო, მე მეძებდე და ველარა მომხუდე⁸! მე რა შენგან ჭირნი მოვიგონენე, ცეცხლი ტუინამდის გამიხდების⁹ და თუალთა ჯეონი¹⁰ მდინდების. რაზომი ჭირი ენახე შენთვის და ბოლოსა ესრე მომიხდა, რომელ ჰა შენ მითხარე, ძიძამან შიგან ჩამავლო და ორნივე ამოდ¹¹ დასხდომილხართ. შენ შეშა მოილე,¹² ძიძამან ცეცხლი შეავზნა¹³ და ორთავე უნებლიე შიგან ჩამწვით. არ ვიცი, შენგან ვჩიოდე თუ მისგან: ჩემისა ჭირისა სათაენო¹⁴ ორთაგანვე იქნა. რაზომცა შენგან მტერობა ვცან, კიდეგანობისა¹⁵ ბორკილითა დამქედე და გულსა ცეცხლი ჩამიგზენ, თუალთა სისხლი მადინე, სისხლისა ტბასა ჩამავდე და ჯეონსა შიგან ჩამრჩევე. მე გული არცა ვგრე შეტყუის შენსა წყველასა და შენგან ღმერთსა წინა ჩივილსა. ღმერთმან შენი ჭირი მე ნურა მომასმინოს: მე შენი ჭირი შენგან უფრო მეტკიენების! თუარა მუნამდის¹⁶ ვგრეცა ვსწერ წიგნსა, ვირემდისცა¹⁷ კალამმან სისხლითა წერა არ დაიწყოს და ვირემდინცა არ გნახო, რომელ ღმერთმან ნუთუმცა შენი უნახავი არ მომკლოა.

«თუ შევიდნივე ცანი ქალღალდად მქონდეს, სრულად ვარსკულაენი მწიგნობრად¹⁸ მყუეს, ლამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი

¹ გრძნეული—თილისმის მოქმედი, ჯადოქარი, მოშობლავი. ² დია—დიახ. ³ შემოქცევა—შემობრუნება. ⁴ კიდე—გარდა. ⁵ გული—სახელია რამინის ცოლისა. ⁶ კაბუკობა—ვაჟაკობა, რაინდობა. ⁷ მოხელეება—ხელში ჩაგდება, შოვნა. ⁸ მოხუდობა—შეხედობა, შეხვედრა. ⁹ გახდობა—გასვლა; გამიხდების—გამივილის. ¹⁰ ჯეონი—მდინარის სახელია. ¹¹ ამოდ—საამოდ. ¹² მოლეა—მოტანა. ¹³ შევზნება—შეკიდება, ანთება. ¹⁴ სათაენო—საძირკველი, სათუქველი, დასაწყისი. ¹⁵ კიდეგანობა—განშორება. ¹⁶ მუნამდის—იქამდე. ¹⁷ ვირემდისცა—საღამდისცა. ¹⁸ მწიგნობარი—მწერალი.

ფურცელთა, ქუიშათა და თევზთაებრ ხშირად სხდენ, — აღსასრულამდინ იმედი და ნატრა ჩემისა მოყურისა¹ ნახუსათუინ მქონდეს, — შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავსწერ სურვილსა».

ვისის წერილებმა რამინზე ძლიერი გავლენა იქონია. ამასობაში თვითონ რამინსაც მოჰბეზრდა ერთგვარობა, თავის ცოლზე გული აიყარა და კვლავ ვისისთან დაბრუნება გადასწყვიტა. აი როგორ ასწერს ამ ამბავს რომანის ავტორი:

რა რამინ ხანი დაჰყო გულსა თანა, მისებურად გაძღა; მოახლეობითა² მისითა მოეწყინა, მისებური უხანობა მოუნდა. რა გაძღა და დაითრო, მათისა სიხარულისა ვარდიცა დაჰქნა; მათისა სიყუარულისა ქარი დადგა, მათი ნავი — უტაროსობითა³. რა სიყუარულისა მათისა მშვილდი გატყდა, მიჯნურობისა⁴ მათისა ისარიცა დაილეწა, მათისა სიხარულისა შესამოსელსა აღმასიცა დაუძველდა, მათისა სიამოვნისა წყარო დაშრა. რამინის გორაბს⁵ ყოფა ამას გვანდა, რომელ კოკა რა ახალი იყოს, წყალსა კარგად დაიჭირავს; რამინის მიჯნურობა ხარბსა კაცსა გვანდა: გულისაგან ღვინო მხიარულად და კარგად სუა; ვირე ფხიზელი იყო, უნდოდა; მერმე სიმთურალითა მისი სიყუარული წავიდა. რა კაცსა ღვინო ზადსა⁶ შეაყოლებს, თუ უკუდადებაცა არის, ადრე აღარ მოუნდების. აგრევე რამინ ცოტად გარემადლარიყო გულისა მოახლეობითა. არცაღა ადრიდგან ვისი ენახა და მისი რამე გონება და მოახლეობა კულა საგონებლად შეექნა.

გაზაფხულისა პირსა ველსა თამაშად გავიდა და ნახა ახალ ამოსული ყუავილი მრავალფერი; მიწა, ხენი, ველი და წალკოტნი ყუელა აყუავებულიყო და დაშვენებულიყო. ერთსა ვისმე კაცსა, მას წინაშე მყოფსა, იისა კონა ჰქონდა ხელთა და რამინს მოახსენა⁷. რამინ რა ისი კონა ნახა, იგი დღე მოეგონა, რომელ როგორითა ფიცითა შეეფიცა ვისის და უცრუელობა, ოდეს შაჰინ-შას⁸ ტახტსა ზედა სხდეს და პირველისა ფიცისა შედგეად ვისი იისა კონა მისცა და ეგრე უთხრა: „ეს ჩემგან ნიშნად დაისწავლე, სადაცა ახალსა იას ნახვიდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრე

¹ მოყუარე — საყვარელი, მიჯნური. ² მოახლეობა — სიახლოვე, ახლო ყოფნა. ³ უტაროსობა — უამინდობა. ⁴ მიჯნურობა — სიყვარული, ტრფიალება. ⁵ გორაბი — სპარსეთის ერთი ოლქია, სადაც მაშინ რამინი იმყოფებოდა. ⁶ ზადი — წყენა, ნაკლი, ნაკლულევანება. ⁷ მოახსენება — მირთმევა. ⁸ შაჰინ-შა, შაჰინ-შაჰ — მეფეთა მეფე.

ლურჯი და თავჩამოგდებული ხარ და დღემოკლე, თუ ჩემი ფიცი გასტეხო და მეცრუოცა; და ნიშნად ვარდსა დავისწავლი, რომელ აგრემცა დღე მოკლე ვარ და ღმრთისაგან აბეზარ ქმნილი¹, ოდესცა შენი ფიცი გავსტეხოა“.

რამინს იგი ჟამი² და დღე მოეგონა, ასრე გახდა, რომელ საწუთრო³ დაუბნელდა. გაზაფხულისა ღრუბელი შავია და ეზომსა აწვიმებს, რომელ ღვართა აღენს; აგრევე მას, რა გული დაუბნელდა, ეზომი თვალთაგან ცრემლი იდინა, რომელ ახალნი ზღუანი დააყენნა. რა მოეგონნეს პირველ მისგან ვისისთვის ქირგადახდილობანი, ვისისგან მისი სიყუარული და მის ჟამისა⁴ გულგაუტეხელობა მისთვის და რამინისგან მის ფიცისა გატეხა, ვგრე თქუა: „რა მიქნია! ღმერთი, სჯული, ფიცი და სული ყუელა გამიწირაეს ვისის გაყრითა!“

კულა გაუძნელდა მიჯნურობა და გაუახლდა სამისო სიყუარული. რა მზე ღრუბლისაგან გამოვიდეს, სიცხე მაშინ უფრო აქუს; ვგრევე რამინს გაუახლდა სიყუარული. პირველისაგანცა⁵ უფროსი მიჯნურობა მოერია. თავი ვმრუდებოდა და მოყუარე ეზენარიანებოდა⁶, სიყუარულისა გაახლებულობა და მოსურვებულობა რეედა, სიარულისა ძალა არ ჰქონდა და ფერი ჰკრთებოდა. გზასა გარდაუქცია, ლაშქარნი დაყარნა, მარტოდ გარდაჰხდა ცხენსა გულგატეხილი და ფერმკრთალი: თუალთად სისხლისა ცრემლსა აღენდა; მოსურვებულობითა და ნახუის მონდომულობითა, ვითა ცხროიანი⁷, თრთოდა და იწუებოდა; სწყევდა საწუთროსა და თავისა გულსა, რომელ ამათგან გამოსვენება არაოდეს ჰქონდა.

ბოლოს, რამინმა ვედარ გაუძლო სიყვარულის ცეცხლს და ისევე თავის პირველ სატრფოს დაუბრუნდა. თავისი ძმის სატანტო ქალაქში (მარავში) ისეთს დროს შევიდა, რომ არა კაცს არ შეუტყვია. მალულად მივიდა იმ ციხის კედელთან, სადაც ვისი იმყოფებოდა. ვისის დიდხანს არა სჯეროდა მისი გულწრფელობა და ციხეში არ უშვებდა. ბოლოს, სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა, და რამინი და ვისი, ძმის დახმარებით, კვლავ შეიყარნენ საიდუმლოდ. მთელ ორ თვეს ამ ყოფაში იყვნენ შეყვარებულები,

¹ აბეზარქმნილი—მოძულეებული. ² ჟამი—დრო, საათი. ³ საწუთრო—წუთისოფელი, სიცოცხლე. ⁴ მის ჟამისა—იმ დროის. ⁵ იჯულისხმება პირუანდელი სიყვარული რამინისა ვისისადმი. ⁶ ზენარიანი—პირმტკიცე, ფიცის შემნახავი. ⁷ ცხროიანი—ცხელგბიანი.

და მოაბად-მეფემ ამისი არა იცოდა რა: ის დარწმუნებული იყო, რამინი თავის სამფლობელოში თავის ცოლთანაა.

ბოლოს რამინმა გადასწყვიტა მეფეს გამოსჩენოდა, მაგრამ თავი ისე მოაჩენა, თითქოს თავისი სამფლობელოდგან ახლად მოსული ყოფილიყო. მოაბადმა სიხარულით მიიღო უნცროსი ძმა და კვლავინდებურად იწყო მასთან გართობა და დროს ტარება.

IV

დასასრული

რა გაზაფხული მოვიდა, მათა და ბართა სიმშვენვარე დაიწყეს, მინდორნი აყუავდეს, საწუთრო¹ და ჰაერი სამოთხესა დაემსგავსა, მიწა შუენებითა—ცასა; ბერი ქუეყანა გაყმდა² ვარდისა, იისა და მრავალ ფერთა ყუავილთაგან; ხელმწიფეთა საქურქლესა³ დაემსგავსა ქუეყანა, მფრინველთა ჭიკჭიკება დაიწყეს და იადონნი⁴ ვარდთა ზედა მრავალთა ფერთა ხმათა იტყოდეს. ქუეყანა მრავალ-ფერობითა ჩინურისა სტავრისაებრ⁵ გასრულიყო; ცამან ჰაერი გარდაიწმიდა და ქუეყანა ნამისაგან მოცინარობდა; ნადირთა მინდორს სიარული დაიწყეს და ხეთა შტომან ხმელმან სინეღლე დაიწყო და ყუავილისა გამოღება; ნარგისმან⁶ თრობა დაიწყო. ბლნი და წალკოტნი⁷ შვენებითა კეკლუცთა ქალთა დაემსგავნეს და ქუეყანა სახელმწიფოსა მეჯლიშისაებრ⁸ გახდა გულ-მხიარული. ვინ იყო თუ შეპირებული⁹, ყუელასა თამაში მოუნდა ველსა; ფეროვანისა ღვინითა ჭიქასა ესრე არ გაუშვებდეს, ვითა ხუასროვ-შირინისა¹⁰ ხელსა. ოდეს წალკოტსა იყუნიან, ოქროსა და გუარსა¹¹ აყრიდეს ნიავი თავსა და მოყუარეთა სიხარულად მოყუარეთა სულსა მიაართმოდის. წვიმამან მდელოსა¹² და მდელომან კაცთა გულსა ჯანგი¹³ მოჰხოცის. მარავის¹⁴ მიდამო ესრე შვენოდა და ეღვიდა, ვითა სამოთხე.

¹ საწუთრო—ქვეყანა. ² გაყმდა—წვილიდა, გაახალგაზდავდა. ³ საქურქლე—საგანძღური, სიმდიდრის საცავი. ⁴ იადონი—ბუღბუღი. ⁵ სტავრა—ოქროქსოვილი ფარჩა. ⁶ ნარგისი, ნარგისი—მეტად სურნელი თეთრი ფერის ყუავილია. ⁷ წალკოტი—საყუავილე, ბალი, ბაღა. ⁸ მეჯლიში—მეჯლისი, დიდი წვეულობა, ლხინი. ⁹ შეპირებული—შეწუხებული, მწუხარე. ¹⁰ ხუასროვ-შირინი—სპარსეთის ცნობილი მეფე ხოსრო (V) საუკ. ქრ. შემდეგ. ¹¹ გუარი, გუპარი—მარგალიტი. ¹² მდელი—მწვანელი, ბაღახი. ¹³ ჯანგი—ჯანგი, ქუქუი. ¹⁴ მარავი—სატანტო ქალაქი იყო მოაბადისა.

გაზაფხულმა მოაბადი სანადიროდ გაიტყუა. მოაბადი დიდის ლაშქრითა და რამინის თანხლებით გურგანის ქვეყანას წაივდა, სადაც კარგი სანადირო ადგილები ეგულებოდა. ვისი კი თავისი უფროსი ძმის ზარდის მზრუნველობის ქვეშ დასტოვა მარავის-ქალაქის ერთ-ერთ ძველ ციხეში, რომელსაც მუდამ მცველები სდარაჯობდნენ. ურამინობით ვისის ძლიერ მოეწყინა, ნამდვილ მგლოვია-რეს დაემსგავსა. მაშინ ძიძამ მოახსენა: «რად იკლავ თავს? რატომ ახლავე საქმეს არ შეუდგები? ხომ იცი, მოაბადს ბევრი მტერი ჰყავს, მისი გულთვიცხობით თითქმის ყველა მოუმდურებია. ისარგებლე ამ შემთხვევით, დაიბარე რამინი, მოიძხრე მოაბადის გაორგულებული ყმანი, და რამინი მეფედ გამოაცხადეო». ვისის ტკუაში დაუჯდა ეს რჩევა, რამინი წერილით დაიბარა, ზარდი მოაკვლევინა, ხოლო მთელი სახელმწიფო ზახინა (საგანძური, საკურტლე) ხელში ჩაიგდო. რამინს ბევრი თანამგობნი გამოუჩნდა და მცირე ხნის განმავლობაში რამინის გარშემო დიდძალი ლაშქარი შეგროვდა.

ეს რომ მოაბადმა შეიტყო, შეუდგა ომის სამზადისს. მაგრამ ერთ დღეს გარეული ტახისაგან დაიჭრა და გარდაიცვალა. ამგვარად, რამინი უომრად შეიქმნა მთელის სპარსეთის მფლობელი და ბატონ-პატრონი. მალე მან მთელი ერის სიყვარული და მადლობა დაიმსახურა.

მოაბადისაგან დია მისქირებოდა¹ ქუეყანასა და მისითა სიკუდილითა ყუელა დახსნილიყო ქირთაგან. მოაბადის უსამართლობისაგან იხსნენ და რამინის მოსამართლეობისაგან გამხიარულდეს, ასრე ვითამცა ყუელა ჯოჯოხეთისაგან ხსნილიყო. ავისა მოქმედთა მიწყით² ავი წაეკიდების და უკუნისამდინ წყევა დარჩების. მართალი არაკი თქუა ხუასრომან³, თუ: «ღმერთსა აენი ამისთუის დაუბადებთან, რომელ ჯოჯოხეთი არ დაცარიელდეს; რომლისა მიწისაგან დაბადა, ბოლოსა ყამსა მუნვე მიიყუანს⁴».

რა რამინ ესეთი მოსამართლეობა დაიწყო, ფათერაკმან⁵ დაიძინა ქუეყანასა შიგან, დამშვიდებამან გაიღვიძნა. სითცა ლაშქარნი გაგზავნნა, ყოველგნით გამარჯუებულნი შემოიქცნეს. ჩინით⁶ ბარბარამდის⁶ ყოელი ქუეყანა დაიჭირა, თუითოსა ქალაქსა შიგან თუითო დიდებულნი გაგზავნა და შევედრა⁷, და თუითოსა ციხესა ში-

¹ მისქირებოდა—შეწყუბება. ² მიწყით—მუდამ. ³ ხუასრო, ხოსრო—სპარსეთის მეფე მე-6-ე საუკუნისა ქრ. შემდეგ. ⁴ ფათერაკი—უბედურება, მოულოდნელი განსაცდელი. ⁵ ჩინი—ჩინეთი. ⁶ ბარბარი. ბერბერი—აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ეგვიპტის მახლობლად. ⁷ შევედრება—ჩაბარება.

გან თუითო ციხის-თავი¹ გაგზავნა და დააყენა. რაცა ქუეყანანი აოხრებულნი იყუნენ, მისითა ბრძანებითა აშენდეს. ათასი ქალაქი უფრო ააშენა და სოფელი. გარნალამცა² ავის მოქმედნი ამოსწყუიტნა და დახოცნა. ყოველთა გზათა ზედა ზვითო ფუნდუკი³ საქარავნო ააგო და სოფლები შესწირნა მგზავრთა მადლისათვის, და დასცალა ქუეყანა ავის მოქმედთა და გზის მღეწელთაგან. ეზომი⁴ ოქრო და საქონელი გასცა, რომე ძვირთა სახელი ამოჰხოცა—ყოველსა ქუეყანასა დაავიწყდა პირველი ჭირი და უსამართლობა, ყოველნი გალხინიანდეს. მთხოელნი გამდიდრდეს, მცხუარნი მგელთა თანა ძოვდეს.

ას და ათი წელიწადი დაჰყო რამინ, ოთხმოც და სამი ხელმწიფეობასა შიგან დაყუეს მან და ვისმან. ბედნიერი და სუიანი⁵ იყო თავისა ქუეყანისათვის: ზოგჯერ სმასა, სიხარულსა და გაცემასა შეექცის, ზოგჯერ სამეცნიეროთა წიგნთა და სასულიეროსა საურავს⁶ შეექცის, ზოგჯერ ხორასანს⁷ ინადირებდის, ზოგჯერ ქოისტანს⁸, ზოგჯერ დარბისტანს⁹ იყუის და ზოგჯერ ხუზისტანს¹⁰ და ბალდასს¹¹. რაზომნიცა¹² ციხენი და ქალაქნი ააშენნა, ყოელგან წყაროს თვალნი გამოადინნა. იყო ესე მორკმით¹³ რამინ, რომე არავინ ჩნდა მისი მეუნებლე¹⁴.

მიეცნეს ორნი ძენი ვისისაგან, დედისა და მამისებრნი ტურფანნი, და გონიერნი ჭაბუკნი შეიქნეს. ერთსა სახელად ხორშედ უხმეს¹⁵ და მეორესა ჯიმშედ. ყოელთა ხელმწიფეთაგან სანატრელნი და უკლებნი კარგითა ზნითა შეიქნეს.

რამინ დიდხან მორკმულობასა შიგან ხელმწიფობდა და ყოელნი საწადელ-სათხოელნი აუსრულდეს ღმრთისაგან. ესრე გრძლად ცოცხალიყუნეს, რომელ შვილისშვილნიცა მოესწრნეს.

რა ვისმან რამინის გუერდით ოთხმოც და ერთი წელიწადი დაჰყო, სიბერიითა ძალი მოელო¹⁶, სიკუდილად მიეხარნეს, რომე სხუისა მომლოდეობა აღარასა ჰქონდა. ინატრა ღმრთისაგან, რომელ რამინის შედეგად იგი არ დაჩჩეს, რამინ უჭირველი დააგდოს.

¹ ციხის-თავი—ციხის უფროსი. ² განალამცა—დიდაც. ³ ფუნდუკი—მგზავრთ სადგური, ქარვასლა. ⁴ ეზომი—იმოდენი. ⁵ სუიანი—ბედნიერი. ⁶ საურავი—საზრუნავი, ზრუნვა. ⁷—¹¹ ხორასანი, ქოისტანი, დარბისტანი, ხუზისტანი—სპარსეთის სხვა და სხვა ნაწილების სახელებია: ბალდად—ერთი უძველესი ქალაქთაგანი (არაბების მიერ დაარსებული მე-8-ე საუკუნეში) მდ. ტიგრის პირად, ერთდროს სპარსეთს ეკუთნოდა, ეხლა კი ოსმალების ხელშია. ¹² რაზომი—რამდენი. ¹³ მორკმა—სახელი-მლიერება და სიმდიდრე. ¹⁴ მეუნებლე—მოწინააღმდეგე. ¹⁵ უხმეს—დაარქვეს უწოდეს. ¹⁶ მოელო—წაერთვა.

ამისად შედეგად გალეული მთუარე მოკუდა. რამინის გული მისისა სიკუდილისაგან კირთა სადგომად შეიქნა და თუალთა მიწყით¹ შეუშრობლად ცრემლთა ადენდა.

მოსთქმიდა საბრალოდ და ტიროდის დაუცხრომელად ვისსა ზედა. სამარხავი ააგო მისადვე შესაფერად კარგი ოქროსა და ლაჟვარდისა² და თავისათვისცა. ეგრე თქუა მისად შედეგად დარჩომისათვის: „მკუდარიცა ვიგლოვ ამა ღლესაო“. მისსავე სიახლესა საცეცხლე სახლი ააგო სალოცავად, რომელ თავი მისი ღრუბელთამდის მიუწუდებოდა და მაგარი, უკუნისამდინ არ დასარღვეველი. ღღე და ლამე მუნ შიგან ღალიასა³ და სურნელსა აკუამლოდის.

თავისა უხუცესი შვილი ხორშედ უხმო⁴, დიდებულნი და ლაშქარნი. და ხორშედ სახელმწიფოსა ტახტსა ზედა დასვა, თავისა გურიგუინი დაარქუა⁵, წელთა ხრმალი შეარტყა, მეფედ დალოცა და სახელად ხუასროვ უხმო.

შევედრა⁶ თავის გურიგუინი, ტახტი, სამეფო, ლაშქარნი და საქურქლენი⁷. იგი ვისის შედეგად სიკუდილისა მისისა სამარხავისაგან არ გამოვიდა და არცა ლა კარი გაალო, არცაეინ ნახა.



¹ მიწყით—მუღმივ. ² ლაჟვარდი—ცისფერი (მოლურჯო) ძვირფასი ქვა. ³ ღალია—სურნელი ზეთი. ⁴ უხმო—მიიხმო. ⁵ დარქუმა—დახურვა (სარქველი, სარქველი—სახურავი). ⁶ შევედრება—ჩაბარება. ⁷ საქურქლე—საგანძური, ხაზინა.

VI იოანე შაკთელი

კლასიკური პერიოდის ქართველ მეხოტბეთა შორის ქრონოლოგიურად პირველი ადგილი იოანე შავთელს უჭირავს. როგორც ჭფიქრობენ, იგი ბერი ყოფილა და დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125 წ.) უცხოვრია (ნ. მარტი). თავისი ჩანგის საგნად იოანე შავთელს ამ დიდებული მეფის ღვაწლთა შემკობა დაუსახავს. მის ოდას, რომელიც ერთხანად დაკარგული ეგონათ, სახელად „აბდულ-მესია“ ჰქვია. ამ ოდაში, რომლის სახელი „ქრისტეს მონას“ აღნიშნავს, ერთად-ერთი პირია ნაქები; და ეს პირი დავით აღმაშენებელია— ნამდვილი „მონა“ და „მსახური“ ქრისტესი.

„აბდულ-მესია“ პირველი ქართული საერო ოდაა, რომელსაც ჩვენს დრომდე მოუწევია. როგორც შინაარსით, ისე სტილის ტექნიკური მხრით ეს ოდა ქართული პოეზიის ძვირფას მარგალიტს წარმოადგენს. მთელი ოდა 107 ხანისაგან შესდგება და თვითველ ხანაში რვა ათ-ათმარცვლოვანი ტაეპია (სალექსო სტრიქონი). ოდა მდიდარია რითმით: ყოველი ხანის რწყვილი ტაეპები ერთმანეთთან რითმით შეთანხმებულია, ხოლო ყოველი კენტი ტაეპი შინაგან რითმებს ატარებს.

შინაარსით ეს ოდა სამ მთავარ ნაწილად შეგვიძლია გავყოთ: ა) შესავალი, ბ) თვით ქება და გ) ეპილოგი. ქვემოდ ოდის შესავალი მთლად გვაქვს მოტანილი, ხოლო ქებიდგან და ეპილოგიდგან რამოდენიმე საუკეთესო ადგილი ამოვიღეთ, მაგრამ ისე კი, რომ მოტანილ ადგილთა შორის ლოგიური კავშირი არსებობდს.

სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად!
გიძღვენ ქებანი: მწადს² აქ ებანი³
დავითის⁴, დავით⁵, ვსჯდე მუსიკობად!⁶
მესმა ზევსური⁷: რა ვნახე, ვსური,
რომ სიტყვა მეთხზენს⁸ მე მისად ძნობად;⁹
მუნ¹⁰ გულისხმობით¹¹ თვით გულის, ხმობით¹²
კარის სიბრძნისა სულელთა ცნობად!

შემოკრებით, ბრძენო ათინელთ¹³ ძენო,
დავითს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა¹⁴,
კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს¹⁵,
ჩინ-მაჩინეთსა, თარშის¹⁶ ქებულსა!
რომელნი ელნით¹⁷, რომელნი ელნით¹⁸
თავს სოკრატისებრ¹⁹, სწავლით გებულსა²⁰
ვარსკვლავთმრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო,
ვერ ძალგამსთ²¹ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა²²!

ძე ადამისი მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ²³, მამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით, მოგვცა სამ-ოთხით²⁴

¹ შონა მესიისა ანუ ქრისტესი. ² მსურს, მინდა. ³ სიმებნიან საკრავი, ჩანვი; ქნარი. ⁴ დავით წინასწარმეტყველის. ⁵ ეს სიტყვა მიმართუა დავით აღმაშენებლისადმი. ⁶ სამუსიკოდ, სამღერლად. ⁷ ზევსური გალობა, საღმრთო, მაღალი სიმღერა. ⁸ თხზვა—შექმნა, შედგენა, გამოთქმა. ⁹ ძნობა—დამღერება, გალობა. ¹⁰ მუნ—იქ, მაშინ. ¹¹ გულისხმობა—გაგონება, შესმენა, შეგნება. ¹² ხმობა—განხმობა, გაღება. ¹³ იგულისხმებთან ათინელი ბერძნის ფილოსოფოსები. ¹⁴ ცხებული—შირონცხებული, ნაკურთხი. ¹⁵ კრიტი—კუნძული ხმელთაშუა ზღვაზე; ალაბი—ალექპო, ქალაქია სირიაში; მალრიბი—დასავლეთი; მაშრიყი—აღმოსავლეთი. ¹⁶ ჩინ-მაჩინეთი—ჩინეთი და მანჯურია; თარში—ტარსუ, ქალაქია მცირე აზიაში. ¹⁷ ელენი—ელინი, ბერძენი; ელნით—ელინით, ე. ი. საბერძნეთით ან ბერძენთაგან. ¹⁸ ელნით—პლამით, სთვლით. ¹⁹ სოკრატ ფილოსოფოსი ელლინებისა ანუ ბერძნებისა. ²⁰ გება—ყოფნა, არსებობა; გებული—ყოფი, არსებული. ²¹ ვერ ძალგამსთ—ძალა არა გაქვსთ, არ შეგიძლიათ; ძალშიძს—ძალა მაქვს, ძალუძს—ძალა აქვს. ²² ვნებული—დასჯილი, დატანჯული. ²³ ეხილვონ—ენახოსთ. ²⁴ სამ-ოთხი—სამი და ოთხი, ე. ი. შეიდი; შეიდი მნათობი ცისა.

ეთერბრწყინვალე¹, მზეებრ სადარი.
აღმოსავლეთით და დასავლეთით
სამხრით ჩრდილომდის ჰპოონ სადარი!
ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით²,
უკანასკნელით უფსკრულს³ ადარი!

ბ

შიწყოლა ქებად, ძლიე შეკადრებად:
მსმენელთ ვაუწყო⁴ ქვეყნის მპყრობელი,
მხნე, ლმობიერი⁵, ქველი⁶, ძლიერი,
ჰაეროვანი⁷, მტკიცედ მფლობელი,
შარაევანდ-გმირი⁸, ორგულთ გამგმირი⁹,
მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,
რიტორი¹⁰, ბრძენი, მეფეთა ძენი¹¹,
ასპარესთაზედ მსპარაზნობელი¹².

აქვს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით
სიბრძნის დასაბამ¹³ — შიში უფლისა,
ნათელი წრფელი, უბრწუნელმყოფელი¹⁴,
შემწყნარებელი¹⁵ დავრდომილისა¹⁶...
აქვს სასოება¹⁷ და სათნოება¹⁸,
სარწმუნოება სიყვარულითა...
უსხეულონი ზეცისა ძალნი¹⁹
მისთვის იშვებენ²⁰ სიხარულითა.

¹ ეთერი — მეტად თხელი ნივთიერება, რომლის რხვევისაგანაც წარმოადგება სინათლე.
² ზესკნელი — ზეცა; ქვესკნელი — დედამიწის ქვეშ მყოფი ქვეყანა; გარესკნელი — ბნელეთი, წყვედიადის მხარე. ³ უფსკრული — უშირო (ე. ი. ფრიად ღრმა) ზღვა, თვალჩაუწდომელი სიღრმე. ⁴ ვაცნობო, გაუაცნო. ⁵ ლმობიერი — გულშემატკივარი, მოწყალე. ⁶ ქველი — ეთილი. ⁷ მშენიერი; მხნე, მამატი. ⁸ შარაევანდი — გვირგვინი; შარაევანდგმირი — გვირგვინოსანი გმირი, ე. ი. მეფე-გმირი. ⁹ განგმირვა — იარაღით გახვრეტა. ¹⁰ რიტორი — ორატორი; პოეტი. ¹¹ აქ მრავლობითი რიცხვი „ძენი“ ნახმარია მხოლოდობითის ნაცვლად (იგულისხმება მეფის ძე დავით აღმაშენებელი), პატრიისცემის ნიშნად. ¹² ასპარეზი — სავარჯიშო მოედანი; სპარაზნობა — ამგვარს მოედანზე ვარჯიში, თამაში; მსპარაზნობელი — მოვარჯიშე, მოთამაშე. ¹³ დასაბამი — დასაწყისი. ¹⁴ უბრწუნელობის (უკვდავების) მომცემი, უკვდავყოფელი. ¹⁵ შემბრალებელი, მიმღებელი. ¹⁶ დავრდომილი — დაცემული, დავარდნილი. ¹⁷ სასოება — იმედი. ¹⁸ სათნოება — კეთილი საქმე, ხასიათის კეთილი თვისება. ¹⁹ იგულისხმებიან ანგულოზები. ²⁰ მოიღუპენ, გაიხარებენ.

გუნდ-მწყობრი დასი მას ბევრ-ათასი¹
ყავს დიდებულთა, დიდგვარ თავადთა.
იოსებს² თვალად, დიდ სამფსონს³ ძალად,
სჯობს ნებროს⁴ გულად ნაყოფი მსთვალდა⁵...
მზრდელ არს მონათა⁶, ზეცით მონათა⁷
ივლისის მზემან ზედ ლომთა⁸ ჯდომით.
ტომნი და ერნი, ყრმანი და ბერნი⁹
ადიდებდიან შევებით და ხლდომით¹⁰...

ვაქებდეთ, ერნო, ყრმანო და ბერნო,
საუნჯელ¹¹ ჩვენთვის მონიკებულსა¹²
ქრისტეს მხედარსა¹³, მხნე-ახოვანსა¹⁴,
პირად-პირად¹⁵ განშვენებულსა,
ნათლად ბნელისა გარდმოფენილსა,
ეთერთა¹⁶ ელვად დასახებულსა,
სიწმიდის ბაზმად¹⁷, არ ბილწად¹⁸ კაზმად¹⁹,
ნათლის ემბაზად²⁰ დაარსებულსა!

ვით ვუძლო ქებად, შესხმად²¹, დიდებად
თქვენდა, მსაჯულო სიმართლისაო!
მთავრობ და სუფევ²², ათავისუფლებ
პყრობილთა, ბრძმედო²³ სიწმიდისაო!...
ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალება,
მუშკს²⁴ სუნნელება შენგან მიეცა...
წმიდათ მემწყობრე²⁵, მათთან მოსაგრე²⁶,
ზეცისა ძალთა ხარ მოდასეცა²⁷!...

¹ ბევრი—ათიათასი; ბევრ-ათასი—10000000. ² იოსები—ივლისისმება იაკობის შვილი იოსები. ³ სამსონი—ებრაელების მსაჯული-გმირი. ⁴ ნებროთი—ბიბლიით, გმირი დამპარსებელი ბაბილონისა. ⁵ მსთვადი—განთიადი, განთიადის მნათობი. ⁶ მონებისა. ⁷ გამონათა. ⁸ „ლომი“—აქ იშნავს ლომის ზოდიაქს (ვარსკვლავთა გუნდს, რომელსაც ასტრონომები „ლომს“ უწოდებენ); „ლომი“ ორგვარია: დიდი და პატარა. ⁹ ბერი—მოხუცი. ¹⁰ ხლდომა—ხტომა. ¹¹ საუნჯე—საგანძორი; განძი, სიმდიდრე. ¹² მოკებულსა. ¹³ მეომარსა. ¹⁴ ახოვანი—ტანოვანი; გულადი. ¹⁵ პირად-პირად—ფერად-ფერადად, სხვა და სხვა ფერად. ¹⁶ სინათლის გამშკე-მი ფრიად თხელი ნივთიერება. ¹⁷ ბაზმი—ლამპარი. ¹⁸ ბილწი—უწმინდური; არ ბილწი—არა უწმინდური, ე. ი. წმინდა. ¹⁹ კაზმი—სამკაული. ²⁰ ემბაზი—სანათლებო კურკელი, რომელშიაც ნათელენ ქრისტიანებს. ²¹ შეშკობად. ²² მეფობ. ²³ ბრძმედი—ოქროვერცხლისა და სხვა ლითონთა სადნობი კურა. ²⁴ მუშკი—სურნელოვანი სითხეა, რომელსაც იძლევა ერთგვარი ნადირი (მუშკიანი კაბარგა). ²⁵ მემწყობრე—წვერი მწყობრისა, გუნდისა, დასისა. ²⁶ მოსაგრე—თანამოღვაწე; მოლაშქრე. ²⁷ მოდასე—დასის წვერი; ზეცისა ძალთა მოდასე—ანგელოზთა დასის წვერი.

თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა ჰური, უსახლო სართული¹,
მამა ობოლთა, მსაჯული ქერივთა,
შიშველთ სამოსლად მონიკებული;
მოხუცებულთა, შრომით რებულთა²,
სიმტკიცის კვერთხად³ მისაყრდნობელი⁴.
მოგვეფენ სიბრძნესა, წერილთ⁵ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ, მადლთა მთხრობელი!...

როს მესა მესით⁶, თვით მესამე⁷ სით
დაჯდეს განკითხვად⁸ სულთა ყოველთა,
ოხერიდენ⁹ ზღვანი, გრგვინვიდენ ცანი,
ზარი¹⁰ გამოჩნდეს ცეცხლთა შემწველთა,
მსწრაფლადლა სტიერი ძნელ-დასაყვირი
წარმოადგენდეს სულთა ყოველთა,—
მაშინ გალხინოს, თვით მიგაელინოს
თქვენ უოხჰნოთა¹¹ მათ საშეებელთა¹².

ქრისტეს სასძლოსა¹³ ვინმცა ასძლოსა¹⁴,
განწმედით ქმნილსა, გაბრწყინებულსა?
თვით მას ედემსა, ნათლად მიმდემსა¹⁵,
პირველვე შენთვის სახლად გებულსა,
სასუფეველსა ყოველად ცხოველსა¹⁶,
საფუფუნებლად¹⁷ შენთვის დასხმულსა,
ეხედავ ჯეროვნად მარად¹⁸ სამოვნად¹⁹
შენდა განკუთვნით განმზადებულსა!....

¹ საბლი, ბინა. ² რება—სვლა; რებული—მხეცილი, ნასიარულევი. ³ კვერთხი—ჯოხი. ⁴ მისაყრდნობელი—მისაბჯენი. ⁵ იგულისხმება საღმრთო წერილის წიგნები, რომელნიც საუცხოოდ შესწავლილი ჰქონდა დაეით აღმაშენებელს. ⁶ მესა—მესია, ქრისტე; მესით—მამადმერთით. ⁷ მესამე პირი სამებისა, სულიწმიდა. ⁸ განკითხვა—გასამართლება, განსჯა. ⁹ ოხრა—ზღვის ხმაური, გერგვინვა. ¹⁰ ზარი—შიშის აღმძვრელი დიდი ხმა ან შესახვედობა. ¹¹ ოხჰანი—დასასრული, ბოლო; უოხჰნო—დაუსრულებელი, საუკუნო. ¹² საშეებელი—სანეტარო ადგილი, საშობე. ¹³ სასძლო—ოთახი, რომელშიაც ბინა მიეცემოდა ხოლმე სძალსა (პატარძალს). ¹⁴ ასძლოსა—შესძლოს ასვლა, აწიოს. ¹⁵ მიმდემი—მუდმივი, განუწყვეტელი. ¹⁶ ცხოველი—ცოცხალი, სიცოცხლის მომცემი. ¹⁷ ფუფუნება—განცხრომა, შვება-ლხენა, ნეტარება. ¹⁸ მუდამ. ¹⁹ სამოვნად—სამოვნად, სასიამოვნოდ, სანეტაროდ.

8

შენ გონიერო, გულისხმიერო¹,
თვით მეცნიერო მეფევე, ძლიერო,
მიუხდომელო², მიუწდომელო,
მიუთხრობელო³, წრფელსახიერო,
განათლებულო, განახლებულო,
განბრწყინებულო მზეო ციერო,
გალაღებულო⁴, გალომებულო,
კვლავ გოლიათო⁵ გულღმობიერო⁶!...

მეფევე მაღალო, ქცევამდაბალო,
ლომისა მსგავსო ძალად და გულად,
აღვისა⁷ რტოო, ყოვლად მარტოო,
მკვრეტთ სასურველო მოსარხეველად,
ვარდზედ გაშლილო ყორნისა ბოლო,
ქმნილო სუნნელთა⁸ მოსაფრქვეველად⁹,
შუქთა მფენებო¹⁰, თვით განმთენებო,
ზედ სამყაროსა¹¹, მერმე ქვე¹² ველად!...

ხელოყავ¹³ საქმესა ძნელსა რამესა
უგუნურებით, თვით სულელობით:
ქებასა გრძელსა, სათქმელად ძნელსა
ვერ ვუძლე, ვიქმენ ენაბრგენილობით¹⁴;
შესხმა-მოკობანი, მუსიკობანი,
ვუწყი, ვერ გიძლვენ თქვენ საფერობით¹⁵, —
მაგრა ვით წვლილნი¹⁶, ქრისტეს მითვილილნი,
მიქმენ მადლობის შემწირველობით!

¹ გულისხმიერი—შეგნებულო, ღრმა გონების პატრონი. ² მიუხდომელი—რომელსაც კაცი ვერ მიხვდება, გონებით ვერ მისწვდება. ³ მიუთხრობელი—გამოუთქმელი. ⁴ გალაღებული—გათამამებულო; ლაღობა—თამამი და თავისუფალი ქცევა. ⁵ გოლიათი—ახოვანი და გმირი, ბუმბერაზი. ⁶ გულღმობიერი—გულმტკიცენულო, გულმოწყალე. ⁷ აღვა—აღვის ხე. ⁸ სუნნელი—სურნელები, სასიამოვნო სუნი. ⁹ მოფრქვევა—მოზნევა; მოკვრება. ¹⁰ მფენები—მიმფენი, მიმყენებელი. ¹¹ სამყარო—ცა. ¹² ქვე—ძირს. ¹³ ხელოყვა—ხელის მოკიდება, დაწყება. ¹⁴ ენაბრგენილი—ენაჩღუნგი, ენამოტეხილი. ¹⁵ შესაფერისად. ¹⁶ წვლილი—ძლიერ მცირე შესაწირავი.

VII ჩ ა ხ რ უ ხ ა მ ე

ჩახრუხაძე ზამარის დროის (1184—1213 წ.) მგოსანია. სამწუხაროდ მისი ცხოვრებისა და ვინაობის შესახებ თითქმის არავითარი რეალური ცნობა არ მოგვეპოვება. ჰფიქრობენ, ვითომც ჩახრუხაძე და რუსთაველი ერთი და იგივე პირი ყოფილიყოს (ნიკ. მარრი და სხვანი).

ჩახრუხაძემ დაგვიტოვა თორმეტი ოდისკრებული, რომელსაც «თამარიანი» ეწოდება და რომელშიაც თამარისა და მისი მეუღლის, დავით სოსლანის, ქებაა გამოთქმული. თითქმის მთელი კრებული შავთელური ლექსითაა დაწერილი (ათ-ათმარცვლოვანი ტაეპები). მაგრამ ჩახრუხაძეს საკუთარი ზომაც შემოუტანია ქართულ მწერლობაში, სახელდობრ რვა-რვა მარცვლოვანი ტაეპი, რომელიც შესდგება ორ-ორი მუხლისაგან და თვითველს მუხლში ოთხ-ოთხი მარცვლია¹. ამ ზომითაა დაწერილი მეორე ოდის დასასრული, რომელსაც ქვემოდ ვათავსებთ.

მოგვაქვს საუკეთესო ადგილები პირველისა, მეორისა და მეთორმეტე ოდებიდან.

¹ ამ ზომის ლექსს ჩვენ „ჩახრუხაძულ შაირს“ ვეძახით (იხ. ამის შესახებ ჩვენი „ქართული წყობილსიტყვაობა“, გვ. 44—47).

«თ ა მ ა რ ი ა ნ ი»

1 ზირველი ოდიღან

შო, ფილოსოფნო, სიტყვითა მყოფნო¹,
თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა²!
დიონოსისგან³, ვით ენოსისგან⁴,
სრულნი ქებანი ამ მძლეთ ძლიერსა⁵!
სოკრატ⁶ სიბრძნითა, სარამარ⁷ გრძნითა
ვიყენეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა⁸...
არისტოტელი⁹, ბრძენთა ტომელი,
თუ არ, რა შესძლებს ენა ძლიერსა?...

ხელგვყოთ კადრებად, ქებად დარებად,
მქვერეტსა¹⁰ ვაუწყოთ¹¹ გონებიერსა:
ლაწვი¹² მწყაზარი¹³—ა მულღაზარი¹⁴!
უგავს ელობა¹⁵ კრონოს¹⁶ ციერსა.
ნაელვებითა მზისა ვნებითა
ცისკროვნად¹⁷ ვხედავ შუქმოსიერსა¹⁸.
აჰა მზიანად მიზეზიანად
მთვარესა გახდის უნათლიერსა¹⁹...

¹ სიტყვითა მყოფი—გონებით («სიტყვა») მყოფი, გონიერი, ბრძენი. ² გულისხმიერი—გონიერი, შეგნებული. ³ დიონოსი—დიონისი არეოპაგელი, რომელიც პავლე მოციქულმა მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. ⁴ ენოსი—ცნობილი საეკლესიო მწერალი მე-8-ე საუკუნისა, ავტორი თხზულებისა სულის უკვდავების შესახებ. ⁵ მძლეთა ძლიერი—ძლიერთა ძლიერი, უძლეველი. ⁶ სოკრატ—ბერძენთ ფილოსოფოსი. ⁷ სარამარ—საკუთარი სახელია გრძნეულისა. ⁸ საწადელს, სასურველს. ⁹ დიდებული ბერძენთ ფილოსოფოსი. ¹⁰ მნახველსა. ¹¹ ვამცნოთ, შევატყობინოთ. ¹² ლაწვი—ლოყა. ¹³ მწყაზარი—თეთრი. ¹⁴ მულღაზარი—ყვავილოვანი ველი, ყვავილნარი. ¹⁵ ელობა—ელვარება. ¹⁶ კრონოსი—პლანეტა სატურნი (მნათობი). ¹⁷ ცისკარი—განთიადი; ცისკროვნად—განთიადისებურად. ¹⁸ შუქმოსილს, გაბრწყინებულს. ¹⁹ უსინათლოს, შებინდებულს.

ვინ ზეცის ძალნი¹, დაჰყვნა რა წყალნი,
დაჰბადა ხანსა ერთწამიერსა,
ვინცა ქმნა სწადა², ადამ მიწადა
შექმნა სახესა თვითსახიერსა³,
მისთავე გვერდით ყოფად მის გვერდით
ევა უცხოელა⁴ სულ-ცხოვლიერსა⁵,—
მან ჰყო მოზენით⁶, მოჰმადლა⁷ ზენით⁸
თამარ უუქმფენი⁹ ნათელი, ერსა;

მისცნა დაეალნი¹⁰, ხმელთა¹¹ დაეალნი¹²,
სკიპტრამპყრობელ¹³ ჰყო არსთამიერსა;
სიტყვითა მრჩევსა, ელვათა, მრჩევსა
სცისკრობს¹⁴ მოხედვა მონახმიერსა¹⁵;
მტკიცედ აქვს სჯული, სჩანს მართლმსაჯული,
მას რომ უხმობენ¹⁶ ღვთისსახიერსა¹⁷;
უძრწის¹⁸ ავარი¹⁹, სტურფობს²⁰ ჯავარი²¹
მშვიდსა და წრფელსა²² და ლმობიერსა²³.

2 მეორე ოდიდგან

თამარ, შენ გიძნობ²⁴! ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი, უუქმომფინარი,
ელვა-ეთერი²⁵ და სიტყვიერი²⁶
დარმანის²⁷ ველი, ედემს მალნარი²⁸;

¹ ზეცის ძალნი—ანგელოზები. ² სწადა—მოინდომა, ისურვა. ³ თვითსახიერი—თავისი სახისა, თავისი მსგავსი. ⁴ ცოცხალ არსებად გააჩინა. ⁵ სულცხოვლიერი—ცოცხალი სულიერი. ⁶ მოზე—ზეციერი, უმადლესი არსება. ⁷ მოანიჭა, მოსცა. ⁸ ზეცით. ⁹ ბრწყინვალე. ¹⁰ დავალი—არაბული სიტყვაა: სახელმწიფო. ¹¹ ხმელნი—ხმელეთი. ¹² დავალი—საზღვარი, ნაპირი. ¹³ სკიპტრა—სამეფო ჯოხი; მპყრობელი—მპყრელი, მფლობელი; სკიპტრა-მპყრობელი—მეფე-მმრძანებელი. ¹⁴ სცისკრობს—ცისკარივით (განთიადივით) შეენის. ¹⁵ მონახმიერი—მონახმობა, მოხმობილი, მოწოდებული (საშველად). ¹⁶ უწოდებენ, ეძახიან. ¹⁷ ღვთისსახიერი—ღვთისმსგავსი, ღმერთივით მშვენიერი. ¹⁸ ძრწოლა—კანკალი, შიში, ¹⁹ ავარი—ავარელი (ხალხია დაღესტანში). ²⁰ შვენის; ამკობს. ²¹ ჯავარი—ძვირფასი ქვაა (არაბულად); წყალ-ჯავარი. ²² წრფელი—გულმართალი, უბოროტო. ²³ ლმობიერი—გულმტკივნეული, გულმოწყალე. ²⁴ ძნობა—გალობა; გალობით შემკობა. ²⁵ ეთერი—მეტათ თხელი ნივთიერება, რომლის რხევისაგანაც წარმოდგება სინათლე. ²⁶ სიტყვიერი—გონებით წარმოსადგენი (სიტყვა—გონება). ²⁷ დარმანი—წაშალი. ²⁸ მალნარი—ხშირი ტყე.

ხარ ცნობათ მოთხე¹, ვითა სამოთხე
წყალად წყალი მრწყველი, მუნვე² მდინარი,
სიუხვით ზღვებრი, სიმალლით ცებრი³,
მდაბალოთ მოწყალე, კერეტად⁴ ნარნარი⁵,
მძლეთა მძლეველი⁶, თვით უძლეველი,
კედრით კედრამდის⁷ მძლედ სასმენარი.
დიდსა მსაჯულსა უმტკიცებ სჯულსა,
ღმერთმან მით მოგცა მისი საქნარი⁸:
კაცები გმონებს და გიპატრონებს
ვეფხთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი⁹...
ვერ მიგწვდნენ ქებად, სხდენ თვისე ვნებად¹⁰
პლატონის¹¹ ენა, დავითის¹² ქნარი¹³.

თამარ წყნარი, შესაწყნარი¹⁴,
ხმანარნარი¹⁵, პირმცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი¹⁶,
წყალი მქნარი, მომდინარი.
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი
არსით მთქნარი¹⁷, უჩინარი.
ვარდ-შამბნარი¹⁸, შამბ-მალნარი¹⁹,
ლაწვეწყაზარი²⁰, შუქმფინარი!

3 მეთორმეტე ოდიდჯან

მოსეს ფიცარსა²¹, მთას ნაფიცარსა,
ეწერნეს თქვენი ძლევა გებულად²².
გიწოდა შენ თვის²³, როკვიდა²⁴ შენთვის

¹ მოთხე—კოლოფი; უჯრა. ² იქვე. ³ ცებრი—ცასავით (მალალი). ⁴ შესახედავად.
⁵ ნარნარი—ნაზი და ტურფა. ⁶ მძლეთა მძლეველი—ძლიერთა დამამარცხებელი. ⁷ კედრით
კედრამდის—ერთი კუთხიდან კუთხემდე, ერთი შრიდან მეორე მხარემდე. ⁸ საქნარი—საქმე
გასაკეთებელი. ⁹ შამბნარი—ღერწოვანი ალაგი, მალაბალახიანი ადგილი. ¹⁰ ვნება—ტან-
ჯვა, დასჯა. ¹¹ პლატონი—ბერძენთ დიდებული ფილოსოფოსი. ¹² დავით—ებრაელთა მეფე-
წინასწარმეტყველი. ¹³ ქნარი—ჩანგი, სიმებიანი საკრავი. ¹⁴ შესაწყნარი—კეთილად მისაღები.
¹⁵ ხმანაზი, ხმამშვენიერი. ¹⁶ საჩინარი—გამოჩინებული. ¹⁷ არსით მთქნარი—სრულიად ხმაგა-
მენდილი, დამუნჯებული. ¹⁸ ვარდი აქ ნიშნავს სახეს, შამბნარი—გრძელ წამწამს. ¹⁹ შამბ-მალ-
ნარი—იგულისხმება წამწამები და წარბები. ²⁰ ლაწვი—ლოყა; მწყაზარი—თეთრი. ²¹ იგუ-
ლისმება მოსე წინასწარმეტყველის ათი მცნების ფიცარი. ²² გება—არსებობა, ყოფნა; გე-
ბული—არსებული, მყოფი. ²³ თვისად, თვისად. ²⁴ როკვა—ცეკვა.

პირველი დავით¹ განცხადებულად.
თვალად ძე მისი, შენ რა ესმ², ისი
სოლომონ³ გხმობდა სახელდებულად:
„ასულო ჩემო, მკერეტთა შემჩემო⁴,
სჩან სიკეთითა განშევენებულად!“

რომელმან ღამე, დღე ჰყო⁵,—ესთქვა-ლა მე,
ჰვენს შუქსა მზეებრ განათლებულად,
მოწყალე სული, მშვიდ-წრფელ⁶ ასული
გიცნა გონებით მისა ცხებულად⁷:
მოუნდა არსთა, მიდთა⁸ და სპარსთა
ერთსამწყსოობა⁹ ერთუფლებულათ¹⁰,
მოგყვა, მო ნებად—შენდა მონებად
აღძრნა ყოველნი თავდადებულად.

ესკერეტ ნიშსა¹¹ ცხადსა: თვით გულითადასა
შენსა სახელსდგა მოწოდებულად:
დავით¹² მხნე ბრძენი, რომელსა ზენი¹³
ხლადჰყოფენ¹⁴ ზესთა¹⁵ წარჩინებულად,
ისერის ისარსა, ვიტყვი: ის არსა
ეთრემის¹⁶ ძირთა აღმორჩებულად¹⁷,
რომლისა ძემან, უბინდოდ მზემან,
ლაშა¹⁸ ყე გიმზო¹⁹ წარმართებულად!...

გამოაჩნდა ზეავი²⁰, მძლედ ჰქონდა თავი,
იბრღღვენდა²¹ მხეცებრ განძვინებულად²²...
ურიცხვი ერი, მოყმე²³ და ბერი²⁴

¹ დავით წინასწარმეტყველი-მეფე. ² შენ რა ესმ—შენ როცა მოესმი, ე. ი. როცა შენი სხეუბა მოესმა. ³ სოლომონ—ებრაელთა მეფე, დავითის ძე. ⁴ შეჩემება—თავისად (ჩემად) გახდა, დასაკუთრება; შემჩემი—დასაკუთრებელი, დაშორილებელი. ⁵ იგულისხმება ღმერთი, რომელმაც გააჩინა („ჰყო“) დღე და ღამე. ⁶ წრფელი—მართალი, უბოროტო. ⁷ ცხებული—მირანცხებული; მეფე. ⁸ მიდნი—მიდიელები, ძველი დროის ხალხი ირანულის მოდგმისა, კასპის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდა. ⁹ ერთი სამწყსო—ერთი საპატრონო, ერთი სამეფო. ¹⁰ ერთუფლებული—ერთი მფლობელ-პატრონის ზღლში მყოფი. ¹¹ ნიშნი—წინასწარ მომასწავებელი ნიშანი. ¹² იგულისხმება დავით სოსლანი, თამარის მეუღლე. ¹³ ზეციერი ძალნი, ანგელოზები. ¹⁴ ეძახიან, უწოდებენ. ¹⁵ უმაღლესად. ¹⁶ ეთრემი—იოსების ვაჟი, რომლის სახელითაც ცნობილი იყო ებრაელთა ერთი თორმეტ თემთაგანი. ¹⁷ აღმორჩებული—აღმოცენებული. ¹⁸ ლაშა—თამარის ძე ლაშა-გიორგი. ¹⁹ გიმზო—მზედ მოგცა; „ყე გიმზო“—თქვენ მოგცათ მზედ (როგორც ახლაც ამბობენ ზოგიერთ პროვინციაში: „მოგცათ-ყე“). ²⁰ ამაყი, ამაართიანი, თავმოწონე. ²¹ ბრღღენია—ღრიალი, შრისხანედ ყვირილი. ²² განძვინებული—გაბრაზებული, გაანჩხლებული. ²³ ახლგაზდა. ²⁴ მოხუცებული.

წამოცაეიდა ამხედრებულად...

რა გესმა მშვიდსა, საქმესა შვიდსა

ხელყავ¹ სიბრძნითა, არ შფოთებულად:

განამხნენ მხნენი, თავის კლვად მთნენი²

თქვენთა სჯულთათვის სისხლწამებულად³...

დაასკენეს⁴ ომი, წარუძღვა ლომი

დავით დავითის მიბადებულად...

თქვენგანმან ოცმან, ბევრისა⁵ მხოცმან,

სძლო მათთა სპათა⁶ დამატებულად;

მოჰმადის⁷ ტომნი უკრავ-უომნი

მოსრნეს⁸, მოსწყვიდნეს⁹ განქიქებულად¹⁰;

ადიგსნეს ტყვიითა, ლარ-პირუტყვიითა¹¹,

არ დარჩა კაცი არშოებულად¹²...

ჩვენ, ერნი შენნი, შენ მიერ შენნი¹³,

ერთხმობით¹⁴ ვიტყვით განმარტებულად:

«რა არს—ქმნა¹⁵ იყოს, ვირე¹⁶ თვით იყოს,

ღმერთმან თქვენცა გყვნეს ძითურთ გებულად¹⁷!»



¹ ხელყოფა—ხელის მოკიდება, დაწყება. ² მთნე—მსურველი. ³ წამებული—მოწამე, დასჯილი. ⁴ გადასწყვიტეს. ⁵ ბერი—10000. ⁶ სპა—ჯარი. ⁷ მამადის. ⁸ გამუსრეს, გაკლიტეს. ⁹ გასწყვიტეს. ¹⁰ შერცხვენილ-გაწბილებულად. ¹¹ ლარი—ოქრო და ვერცხლელი. ¹² არშოებული—უშოვარი, რომელსაც არა უშოვნია რა. ¹³ შენნი—შენებულნი. ¹⁴ შეთანხმებულად, ერთხმად. ¹⁵ არს-ქმნა—გაჩენა-დაბადება. ¹⁶ ვირე, სანამ. ¹⁷ გებული—ზოფი; გყვნესთ გებულად—გამყოფოსთ, გაცოცხლოსთ.

VIII შოთა რუსთაველი

მე-XII-ე საუკუნის მგოსანთა შორის პირველი ადგილი შოთა რუსთაველს ეკუთვნის. იგი ცხოვრობდა თამარ მეფის დროს (1184—1213 წ.) და, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ, გვარად ჩახრუხაძე უნდა ყოფილიყო; სიტყვა „რუსთაველი“ კი იმ დაბის (რუსთავი) მაჩვენებელია, სადაც შოთა დაბადებულია და ყმავილობა გაუტარებია (ძველ მესხეთში). განათლება შოთას საბერძნეთში მიუღია, მაგრამ როგორც სჩანს, სპარსული მწერლობაც გაცნობილი ჰქონია.

მან დაგვიტოვა უკვლავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის სიუჟეტად, როგორც თვითონ ამბობს, ერთი სპარსული ამბავი აუღია; მაგრამ მის უკვდავ ნიჟს ეს ამბავი იმდენად შეუცვლია და გარდაუქმნია, იმდენად დუაზლოვებია და შეუთანხმებია ქართველი ხალხის ცხოვრებასთან, მის სულსა და გულთან, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ნამდვილს ეროვნულს ნაწარმოებს და სპარსულ მწერლობაში დღეს მის მსგავსს ვეღარას ვპოვებთ.

პოემას წინ მიუძღვის წინასიტყვაობა და უკან მისდევს მოკლე ბოლოსიტყვაობა, რომელნიც ავტორს მიეწერებიან და რომლებშიაც ლაპარაკია პოემის დაწერის მიზანზე, სიუჟეტზე, საზოგადოდ მიჯნურობაზე და სამგოსნო ხელოვნებაზე ანუ შაირობაზე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ წინა და ბოლოსიტყვაობის ყველა ხანა თუ არა, ზოგიერთი მაინც შესაძლოა პოემის ავტორს ეკუთვნოდეს.

„ვეფხისტყაოსანს“ რომ ეს ორი ნაწილი (წინა და ბოლოსიტყვაობა) ჩამოვაშორათ, მივიღებთ პოემას, რომელიც თავიდან ბოლომდე წარმოადგენს ძლევაგამოსილის სიყვარულის, გმირობისა და მეგობრობის აღფრთოვანებულს საგალობელს. ამ საგალობლის უმთავრესი მოტივი—ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის უმწიკვლო, იდეალური სიყვარულია, რომელსაც თანმისდევენ დანარჩენი მოტივები (გმირობა და მეგობრობა), მომხიბლავის ჰარმონიით ეხმატკბილებიან მას და მასში ჰპოებენ თვის ძალას და მნიშვნელობას. ასეთია პოემის შინაგანი ჰარმონია.

ამ შინაგანს ჰარმონიას ამშვენებს და აძლიერებს პოემის გარეგანი სიმეტრია, სახელდობრ მის მთავარ ნაწილთა მწყობრი თანამიმდევრობა ანუ პოემის დედააზრთან შეთანხმებული გეგმა, რომელიც დაახლოებით შემდეგია.

შინაარსის მიხედვით პოემა ხუთ მთავარ ნაწილად განიყოფა:

პირველი ნაწილი იწყება არაბეთში როსტევანის ამბით და თავდება გამოკვებაბულში ავთანდილის ტარიელთან გაცნობით. ეს ნაწილი პოემის ერთგვარს შესავალს წარმოადგენს.

ამას მოსდევს მეორე ნაწილი, რომლის შინაარსს ტარიელის მიერ ნაამ-

ბობი თავისი და ნესტან-დარეჯანის თავგადასავალი შეადგენს: ნესტან-დარეჯანისა—მის დაკარგვამდე და ტარიელისა—ავთანდილთან გაცნობამდე.

მესამე ნაწილში მოთხრობილია: ავთანდილის არაბეთშივე დაბრუნება და კვლავ ტარიელის საშველად გამგზავრება, ნესტან-დარეჯანის საძებრად წასვლა და გულანშაროში ფატმანის გაცნობა. ეს ნაწილი ერთგვარს გადასაველს წარმოადგენს მეორიდგან მეოთხე ნაწილზე.

მეოთხე ნაწილი იწყება ფატმანის მიერ ნესტან-დარეჯანის ამბის მოთხრობით და თავდება ქაჯთა ციხის აღებით. აქ ამ ნაწილში, და, კერძოდ, ამ უკანასკნელ ფაქტში (ქაჯთა ციხის აღება ნესტანის განსათავისუფლებლად), პოემის შინაგანი ჰარმონია, მისი დედააზრის გამოხატულება პირდაპირ შეუდარებელია: ნესტანის სიყვარულით აღფრთოვანებული ტარიელ და მეგობრობის გრძნობით გამსკვალულნი ფრიდონ და ავთანდილ საარაკო გმირობას გადაიხდიან: სამასი კაცით ათიათას ქაჯს ისე გასწყვეტენ, რომ მთხრობელსაც არ დააგდებენ.

ამას მოსდევს **მეხუთე (და უკანასკნელი) ნაწილი**, რომელიც ერთს მთლიანს საქორწილო ნაღიმების ამბავს წარმოადგენს. ეს ნაწილი თავდება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სამშობლო ტახტზე გამეფებით და სამთა სამეგობრო კავშირით, რომლის შესახებაც ავტორი მოკრით შენიშნავს: «შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდესო». ეს ნაწილი მთელი პოემის უპილოვი ანუ დასასრულია: გამარჯვებული სიყვარული საქორწილო ნაღიმებით თავდება, ხოლო ძლევაშოსილი მეგობრობა სამთა კავშირით გვირგვინდება.

პოემის ენა შეუდარებელია, ლექსთაწყობილება—სამაგალითო¹. ხოლო პოემაში აქა-იქ გაბნეულს აზრებსა და მომზიბლავ სურათებს თავისი სიცხოველე და მნიშვნელობა დღემდისაც არ დაუკარგავს. ძველად კი «ვეფხისტყაოსანი» ყოველი განათლებული ქართველისთვის სათაყვანებელ წიგნს წარმოადგენდა: ბევრმა კაცმა და ქალმა პოემის მთელი გვერდები და თავები ზეპირად იცოდა, ზოგს მთელი პოემაც კი ზეპირად ჰქონდა დასწავილილი. თავადაზნაურთა ოჯახებში დღესაც არიან ძველი დროის პირები, რომელთაც «ვეფხისტყაოსნის» ლექსები ზეპირად იციან. მისი ბრძნული აზრები ხომ მდაბიო ხალხშიაც ბლომად არის ანდაზებად მოფენილი.

¹ მთელი პოემა ორგვარის „შაირითა“ დაწერილი: „ჩახრუხაული შაირითა“ და „რუსთაველურით“ (იხ. ამის შესახებ ჩენი „ქართული წყობილისტყვაობა“, გვ. 44—47). ჩენის განმარტებით ორივე გვარის შაირის თვითველ ტაეპში რვა-რვა მარცვლია, მაგრამ ძველ ხელნაწერებში შაირი მუდამ თექვსმეტმარცვლოვან სტრიქონებადაა დაწერილი, ე. ი. თვითო სტრიქონში ორ-ორი ტაეპია მოთავსებული. ჩენც აღარ ვარდევთ ამ წესს და ქვემოდ, «ძველ მწერლობაში», შაირებს ყველგან ტრადიციულის წესით ვებქდავთ, ე. ი. თექვსმეტმარცვლოვან სტრიქონებად.

« ვ ე შ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი »

წინასიტყვაობიდან

1 მიმართვა და პოემის სიუჟეტი

რომელმან შექმნა სამყარო¹ ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო² არსნი სულითა ჰყვნა, ზეცით მონაბერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,— მისგან არს ყოველი³ ხელმწიფე სახითა მისმიერითა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული⁴! ვსტკვენი ქებანი ვისნიმე არ ავად გამორჩეული, მელნად ვიხმარე გიშრის⁵ ტბა და კალმად ნაი რხეული⁶; ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი⁷ გულსა ხეული⁸.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი, მისებრი მართ⁹ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი! დავსჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარსობილი¹⁰, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი¹¹.

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები¹², ვით მარგალიტი ობოლი¹³ ხელის-ხელ საგოგმანები¹⁴, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საკოკმანები¹⁵; ჩემმან ხელმქმნელმან¹⁶ დამართო¹⁷ ლაღმა¹⁸ და ლამაზმა ნები¹⁹.

¹ სამყარო—ცა. ² ზეგარდმო—ზეციდან; ზეციერი. ³ ყოველი. ⁴ ცრემლდაქცეული. მტირალი. ⁵ გიშერი—შავი ქარა. ⁶ ნაი—ლერწამი; რხეული—რწეული. ⁷ ლახვარი—შუბი. ⁸ გულსა ხეული—გულის გამპობი. ⁹ მართ—სწორედ, ნამდვილად. ¹⁰ შუბით გულგაპობილი, გულში შუბგარკობილი. ¹¹ მარგალიტი წყობილი—მძივად აცმული მარგალიტი. ¹² თარგმანება—აზნა-განმარტება; ნათარგმანები—აზნო-განმარტებულნი. ¹³ ობოლი მარგალიტი—იშვითი ძვირფასი მარგალიტი. ¹⁴ საგოგმანები—სათამაშებელი, საგორებელი. ¹⁵ საკოკმანები—თავამოსადები, თაფოსაწონი, სასახელო. ¹⁶ ხელი—გივი, ხელმქმნელი—გამაგიეხელი. ¹⁷ დამართო—დამართო. ¹⁸ ლაღი—თამაში, გამბედავი, ¹⁹ ნები—ხელისგული; „ნების დართვა“—დასტურის დაცემა, დათანხმება, მოწონება; „დამართო ნები“—დამართო ნება, მომიწონა, დამეთანხმა.

2 მიჯნურობა¹

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს²:
 მუშა მიწყვი³ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს,
 კვლავ მიჯნურსა⁴ მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
 არცა ვისგან დაეწუნის, არცა სხვათა უწუნობდეს⁵.

მიჯნურობა არის ტურფა⁶, საცოდნელად ძნელი გვარი.
 მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა⁷ დასადარი:
 იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი⁸;
 ნურ-ვინ გარევთ ერთმანეთსა! გესმისთ ჩემი ნაუბარი⁹?

არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა კირთა, მალეა,
 თავის წინა იგონებდეს ნიადაგმცა¹⁰ ჰქონდეს ხალვა¹¹,
 შორით ბნედა¹², შორით კვლომა, შორით დაგვა¹³, შორით ალვა¹⁴,
 დასთმოს¹⁵ წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა¹⁶.

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობთ¹⁷ მიჯნურობასა,
 დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს¹⁸ გაყრისა ღმობასა¹⁹:
 ესე მღერასა²⁰ ბედითსა²¹ ჰგავს ვაჟთა, ყმაწვილობასა.
 კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა²².

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს²³ მართ²⁴ ვითა მზეობა,
 სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
 ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა;
 ვისცა ეს სრულად არა სკირს²⁵, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

3 შ ა ი რ ო ბ ა

შაირობა²⁶ პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი²⁷,
 საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი²⁸:

¹ მიჯნურობა—ტრფილება, სიყვარული. ² ღაპარაკობდეს. ³ მიწყვი—მუდამ. ⁴ მიჯნური—შეყვარებული. ⁵ უწუნობდეს—დაუწუნებდეს. ⁶ მშენიერი. ⁷ სიძვა—მრუშება, გარყვნილება (მოსეს მე-11-ე მცნების დარღვევა). ⁸ საზღვარი; „დიდი ზღვარი“—დიდი მანძილი. ⁹ ნაუბარი—ნათქვამი. ¹⁰ მუდამ. ¹¹ ხალვა—მარტობა. ¹² დაბნედა, გულისწასვლა. ¹³ დადაგვა, დაწვა, დახრაკვა. ¹⁴ ალვა—ალმოკიდება. ¹⁵ დათმობა—ატანა, მოთმენა. ¹⁶ კრძალვა—მორიდება, ხათრი. ¹⁷ ნუ უხმობთ—ნუ ეძახით. ¹⁸ ითმენდეს, აიტანდეს. ¹⁹ ღმობა—ტყეილი, ტანჯვა. ²⁰ მღერა—გართობა, თამაში. ²¹ ბედითი—ამაო, ტყუილ-უბრალო. ²² სოფელი—წუთის-სოფელი, სააქაო ცხოვრება; „სოფლის თმობა“—წუთისსოფლის ატანა, გაძლევა, გამკლავება. ²³ სკირდება, უნდა ჰქონდეს. ²⁴ მართ—სწორეთ, ნამდვილ. ²⁵ „არა სკირს“—არა აქვს. ²⁶ შაირობა—მგონობა, პოეზია. ²⁷ დარგი—ნაწილი, გვარი. ²⁸ მარგი—მარგებელი.

კვლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი¹.
გრძელი სიტყვა² მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ³ კარგი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა---მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ⁴ აგრევე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა⁵,
რა მისკირდეს⁶ საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშვერობა,
რა ველარ მიხვდეს ქართულსა⁷, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,—
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა,
ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა⁸, იხმაროს დიდი გმირობა.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვამს ერთი, ორი;
თავი ყოლა⁹ ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განალა¹⁰ სთქვას ერთი, ორი, უმსგავსო დუ შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს¹¹ ვითა ჯორი.

მეორე ლექსი ცოტაი¹², ნაწილი¹³ მოშაირეთა,
არ ძალუძსთ¹⁴ სრულქმნა სიტყვათა; გულნიკა გასაგმირეთა,—
ვამსგავსე მშვილდი ბედიითი¹⁵ ყმაწვილითა მჩანდირეთა:
დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვსთ ხოცა ნადირთა მცირეთა.

არს მესამე ლექსი კარგი სანადიმოდ¹⁶, სამღერელად¹⁷,
სააშოკოდ¹⁸, სალადობოდ¹⁹, ამხანაგთა სათრეველად²⁰;
ჩვენ მათიცა გვიამების, რაცა ოდენ სთქვან ნათელად;—
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ხამს²¹ მელექსე ნაკირეებსა²² მისსა ცუდად არ აბრკვობდეს²³,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშოკობდეს,
ყოვლსა²⁴ მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე²⁵ ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს²⁶.

¹ ვარგი—რიგანი, შესმენლ-განვითარებული, მოშაადებული. ² სიტყვა—აზრი. ³ ამ-
იდ—ამისთვის, ამიტომ. ⁴ მართ—სწორედ, ნამდვილ. ⁵ ხევა—უკან დახევა (სამგონსო მერანისა).
⁶ მისკირდეს—გაუქირდეს, გაუძნელდეს, შემოელიოს. ⁷ ევლარ მიხვდეს ქართულსა—ველარ
მისწვდეს, ე. ი. აღარ ეყოს „ქართული“ (ლაპარაკი, ენა). ⁸ ჩოგანი—საბურთაო იარაღია.
⁹ სრულიად; „ყოლა ნუ“—ტყუილა ნუ. ¹⁰ განალა—დიადაც. ¹¹ უცილობლობს—გუიუტობს,
თავისას გაიძანის, სხვას არ უსმენს. ¹² ცოტა—პატარა. ¹³ ნაწილი—ხვედრი. ¹⁴ არ ძალუძსთ—
არ შეუძლიათ. ¹⁵ ბედიითი—ბეჩაი, საბრალო. ¹⁶ ნადიმი—ლხინი, წვეულება. ¹⁷ მღერა—თა-
მაში, მოლხენა. ¹⁸ სატრფიალოდ. ¹⁹ სახუმაროდ. ²⁰ თრევა, გათრევა—გალანძლეა. ²¹ უნდა,
რიგია. ²² ნაკირეები—ნაშრომი, ნალაწი. ²³ არ აბრკვობდეს—არ ფანტავდეს. ²⁴ ყოველსავე.
²⁵ კიდე—გარდა; მისგან კიდე—მის გარდა. ²⁶ ენა მუსიკობდეს—მღერდეს, მგონსობდეს.

ჩემი აწ სცანით ყოველმან: მას ვაქებ, ვინ ცამ იქია¹;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია²;
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია³;
მისი სახელი შეფარვით⁴ ქვემოზე მითქვამს, მიქია.

პირველი ნაწილიდან

‡ როსტევან, თინათინ და ავთანდილ

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი⁵,
მალალი, უხვი, მდაბალი⁶, ლაშქარმრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული⁷, განგებანი⁸,
თვით მეომარი უებრო⁹, კვლავ მოუბარი¹⁰ წყლიანი¹¹.

სხვა ძე¹² არ ესვა¹³ მეფესა, მართ¹⁴ ოდენ¹⁵ მარტო ასული,
სოფლისა¹⁶ მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული¹⁷;
მან მისთა მკვრეტა¹⁸ წაულის¹⁹ გული, გონება და სული;
ბრძენი ხამს²⁰ მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული²¹.

მისი სახელი თინათინ—არს ესე საცოდნარია:
რა გაიზარდა, გაივსო²², მზე მისგან საწუნარია.
მეფემან იხმნა²³ ვეზირნი²⁴, თვით ზის ლალი²⁵ და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო²⁶ საუბარია.

უბრძანა: „გკითხავთ საქმესა, ერთგან²⁷ სასაუბაროსა:
რა ვარდმან მისი ყვაეილი გაახმოს, დაამკენაროსა,
იგი წაევა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა²⁸,—
მზე ჩავვისევენდა, ბენელსა ესკვრეტთ ლამესა ჩვენ უმთვაროსა.

¹ „ვინ ცამ იქია“—ვინც ცამ მიიღო, ვისაც ცამ უკვე ბინა განუშადა (იქ), ბინა და-
უთმო. ² გაქიქება—შერცხვენა. ³ ჯიქი—ველური და შეუბრალებელი (ხალხი იყო). ⁴ დამალ-
ვით, მსვედონივით. ⁵ სვიანი—ბედნიერი. ⁶ თავმდაბალი. ⁷ მორკმული—ძლიერი, მდიდარი
და საწვლავანი. ⁸ განგებანი—საზრიანი, გამკრაიანი. ⁹ მეუღარებელი. ¹⁰ მოუბარი—მოლაპა-
რაკე. ¹¹ წყლიანი—ტბილი, მკვერმეტყველი. ¹² ძე—შვილი. ¹³ არ ესვა—არ ჰყავდა; მივის-
მყავს; უვის—ჰყავს. ¹⁴ მართ—ნამდვილი, სწორედ. ¹⁵ ოდენ—ხოლოდ. ¹⁶ სოფელი—ქვეყანა,
ქვეყნიერება. ¹⁷ დასი—გუნდი; მზის დასი—მნათობთა გუნდი; „მზისაცა დასთა დასული“—
მნათობთა გუნდში წვერად ჩარიცხული. ¹⁸ მკვრეტი—მაყურებელი, მხედველი. ¹⁹ წაღება—
წართმევა. ²⁰ ხამს—საქიროა, უნდა. ²¹ „ასული“—ასეული; „ბევრი“—ათი ათასი; „ბევრად
ასული“—ათითასჯერ ასეული (100×10000), ე. ი. მილიონი. ²² გაივსო—დასრულდა (სა-
ხით მთვარესავით), გაიშალა. ²³ მოხმო. ²⁴ ვეზირი, ვაზირი—მინისტრი, უმაღლესი სახელ-
მწიფო მოხელე. ²⁵ ლალი—თამაში. ²⁶ ამო—საამო, სასიამოვნო, ტბილი. ²⁷ ერთგან—ერთად.
²⁸ საბაღნარო—საბაღე ადგილი, ბაღნარი.

მე გარდავსრულვარ¹, სიბერე მკირს, ქირთა უფრო ძნელია; დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი² ასრე მკმნელია. რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?

ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

ვეზირთა ჰკადრეს: „მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგქნობია, თქვენნი თათბირი³ ავიცა სხვისა კარგისა მჯობია; ხმდა⁴ განაღამცა⁵ სათქმელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია⁶, სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“⁷.

„თუცა⁸ ქალია, ხელმწიფედ მართ ღვთისა დანაბადია; არ გათნევთ⁹, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლავ დია¹⁰; შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზეებრ განაცხადია.

ლევკვი ლომისა სწორია, ძუ¹¹ იყოს, თუნდა ხვადია“¹².

ავთანდილ იყო სპასპეტი¹³, ძე ამირსპასალარისა¹⁴, საროსა¹⁵ მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთეარისა, ჯერ უწვერული, სადარო¹⁶ ბროლ-მინა¹⁷ საცნობარისა; მას თინათინის შვენება ჰკლევდის¹⁸ წამწამთა ჯარისა¹⁹.

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად; რა მოშორდის. ვერმკვრეტელმან ვარდი შექმნის ფერნაკლულად, ნახის²⁰, ცეცხლნი გაუახლდის, წყლული²¹ გახდის უფრო წყლულად; საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად.

რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა, ავთანდილს მიხვდა²² სიამე, ვსება²³ სკირს მის სოქალისა²⁴.

სთქვა: „ზედა-ზედა მომხვდების²⁵ ნახვა მის ბროლ-ფიქალისა²⁶, ნუთუ²⁷ მით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერგამქრქალისა²⁸“.

¹ დაებრებულვარ. ² სოფელი—წუთისოფელი. ³ თათბირი—ჩრევა. ⁴ ხმდა—რიგი იყო. ⁵ განაღამცა—ღიაღაც. ⁶ გლმობა—ტყვილი; „გულსა გლმობია“—გულში ტყვილად ჩაგ-ქრია. ⁷ შენაფლობია—დაფლობილია. დამორჩილებულია. ⁸ თუმცა. ⁹ თნევა—პირში მიფერე-ბა: არ გათნევთ—არ მოგეყურებით. ¹⁰ დია—ღიაღაც. ¹¹ ძუ—დედლი (მდედრი). ¹² ხვადი—მამალი (მამრი). ¹³ სპასპეტი—ჯარისუფროსი, სარდალი. ¹⁴ ამირსპასალარი—მთავარსარდა-ლი. ¹⁵ სარო—კვიპაროზის ხე სწორი და მაღალი. ¹⁶ სადარო—მსგავსი, ¹⁷ ბროლმინა—ძლი-ერ წმინდა და მაღალი ღირსების შუშა; „ბროლი“ პოემაში იხმარება არაჩვეულებრივი სი-თეთრის აღსანიშნავად. ¹⁸ კლავდა. ¹⁹ წამწამთა ჯარი—ხშირი წამწამები. ²⁰ ნახის—ნახავდა. ²¹ წყლული—ქრილობა, იარა. ²² მიხვდა—ერგო, ეწია. ²³ ვსება—დავსება, გაქრობა. ²⁴ სო-ქალი—უანის ერთგვარი ავადმყოფობა: სიყვითლეს დასცემს და გაახმობს. ²⁵ მომხვდება, შემავდება. ²⁶ ბროლ-ფიქალი—ძვირფასი ბროლი (იგულისხმება თინათინის სითეთრე); ფი-ქალი—თეთრი ქვა ფიცრად გათლილ-გაწმენდილი. ²⁷ ნუთუ—ეგებ, იქნება. ²⁸ ფერგამქრქა-ლობა—ფერმკრთალობა, სიყვითლე სახისა.

5 თინათინის გამეფება

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან;
მოდით და ჰნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან“.

მოვიდეს¹ სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:²
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი³ ლაშქრისა ბევრათასისა⁴,
ვეზირი სოგრატი, მოახლე⁵ მეფისა დასთა დასისა⁶.
მათ რომე დასდგეს საჯდომი, სთქვეს: „უთქმელია ფასისა!“
თინათინ მოჰყავს მამსა პირითა მით ნათელითა;

დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა,
მისცა სკიპტრა⁷ და შემოსა მეფეთა სამოსელითა⁸;
ქალი მზებრ უქვერეტს ყოველთა ცნობითა ზემხედველითა⁹.
უკუსდგეს¹⁰ და თაყვანი სცეს მეფემა და მისთა სპათა¹¹,
დაჰლოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუქსა¹² ჰკრეს და წინწილანი¹³ დაატკობდეს ტუბილთა ხმათა;
ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს¹⁴, ჰხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა¹⁵.

მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა;
ამად¹⁶ სტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა.
მეფე სწრთენის¹⁷: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა¹⁸,
ამისად ქნამდის¹⁹ დამწველი ცეცხლი არ დამევესებოდა“.

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:²⁰
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი²¹,
აქათგან²² ესე სამეფო მართ შენია მონდობილი,
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი²³“.

¹ მოვიდეს—მოვიდნენ. ² ხასი—მეფის საკუთარი ყმა; დარბაისელი. ³ სპასპეტი—ჯარის უფროსი. ⁴ ბევრი—10000; ბევრათასი—10,000000, უთვალავი. ⁵ მოახლე—მზღებელი, თანამყოფი. ⁶ „მეფისა დასთა დასი“—მეფის საუკეთესო კრებული, დარბაისელთა კრებული. ⁷ სკიპტრა—სამეფო ჯოხი. ⁸ სამოსელი—ტანისამოსი. ⁹ ზემხედველი—გამპირიანი. ¹⁰ უკუსდგეს—უკან დაიწიეს, მოშორებით დადგნენ. ¹¹ სპათა—ჯარებმა. ¹² ბუქი—სულის ჩაბერვით დასაკრავი სამუსიკო იარაღია. ¹³ წინწილა—ლითონის თევშები (სამუსიკო იარაღია). ¹⁴ აფრქვევს—ქღერის. ¹⁵ ყორნის ბოლო-ფრთა—აქ ნიშნავს წაწმენას. ¹⁶ ამად—ამიტომ, ამისთვის. ¹⁷ სწრთენა—დარიგება. ¹⁸ ითავსებოდა—ინაცვლებოდა; „მამა ძისაგან ითავსებოდა“—მამის შვილი ენაცვლებოდა, ე. ი. მამის მაგიერობას შვილი სწევდა, მამის ადგილს შვილი იკერდა. ¹⁹ ამისად ქნამდის—სანამ ეს იქმნებოდა, სანამ ამას ვიქმნოდი. ²⁰ ნათქვამი. ²¹ ხმობილი—წოდებული. ²² აქათგან—ამას იქით, დღეის შემდგომ. ²³ ცნობილი—გონიერი.

-ვარდთა და ნეხვთა ვინადგან¹ მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა: შენმცა ნუ მოგეწყინების; უხვი² ახსნილსა³ დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების⁴; უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.

-მეფეთა შიგან⁵ სიუხვე ვით ედემს ალვა⁶ რგულია, უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია; სმა-ჰამა—დიდად შესარგი, დება⁷ რა სავარგულია⁸? რასაცა გასცემ—შენია, რაც არა—დაკარგულია!⁹

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა⁹, ისმენდა, წრთენასა არ მოიწყინებდა; მეფე სმასა და მღერასა¹⁰ იქმს, მეტად მოილხინებდა; თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა¹¹.

მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი; უბრძანა: „ჩემი საკურკლე¹², შენგან დანაბეკდულევი¹³, მომართვით ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი¹⁴“. მოართვეს; გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

მას დღეს გასცემს ყველაკასა¹⁵ სივთისა¹⁶ მოგებულსა, რომე სრულად ამოაგებს¹⁷ მცირესა და დიდებულსა. მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა; ჩემსა ნუენ ნუ დამალავს საკურკლესა დადებულსა“.

უბრძანა: „წადით გახსენით, რაცა სად საკურკლენია! ამილახორო¹⁸, მოასხი¹⁹ რემა²⁰, ჯოგი და ცხენია!“ მოიღეს;²¹ გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია. ლარსა²² ჰხვეტდიან ლაშქარნი, მართ²³ ვითა მეკობრენია²⁴.

ალათობდეს²⁵ საკურკლესა მისსა, ვითა ნათურქალსა²⁶,

¹ რადგან. ² უხვი—ვისაც თვისი ქონება არა შურს გასაცემად. ³ ახსნილი—თავისუფალი; ურჩი. ⁴ ების—დაეხის, დამორჩილდების. ⁵ შიგან—შორის; ში. ⁶ ალვა—ალვის ხე. ⁷ დება—უსარგებლოდ, გამოუყენებლად დადება, შენახვა. ⁸ სავარგული—სასარგებლო. ⁹ უგდებდა, მიიპყრობდა. ¹⁰ მღერა—გართობა, თამაში. ¹¹ თინათინი—მზის შუქს ნიშნავს. ¹² საკურკლე—სავანძური, ძვირფასი კურკლისა, თვალმარჯალიტისა და ფულის შესანახი ოთახი; აგრეთვე თვით ეს განძი. ¹³ დაბეკდილი. ¹⁴ უფლისწული—ბატონის შვილი, მეფის შვილი, მეფის მეგვიდრე; ნაუფლისწულევი—იმ დროინდელი, როცა მეფე ჯერ კიდევ არ იყო გამეფებული, არამედ მხოლოდ ტახტის მეგვიდრედ ითვლებოდა. ¹⁵ ყველაკა—ყველაფერი, ყოველივე. ¹⁶ სივთე—ახალგაზღობა. ¹⁷ ამოაგება—აშენება, გამოიდრება. ¹⁸ ამილახორი—მეფის მეჯინბეთა უფროსი. ¹⁹ მორეკე. ²⁰ რემა—ვირი, ვირის ჯოგი. ²¹ მოღება—მოტანა, მოყვანა. ²² ლარი—ხაზინა, განძი. ²³ მართ—სწორედ, ნამდვილ. ²⁴ მეკობრე—ყაჩაღი. ²⁵ იტაცებდნენ. ²⁶ ნათურქალი—თურქების ნაქონი.

მას ტაიქსა¹ არაბულსა, ქვენაბამსა², ნასუქალსა,
რომე ჰგევანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
არ დაარჩენს ცარიელსა არც ყმასა და არცა ქალსა.

ნ ა დ ი რ ო ბ ა

თინათინის გამეფების მეორე დღეს მეფემა და ავთანდილმა ნადირობა გამოართვეს.

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი³,
ძოწეულითა⁴ მოსილი, პირად ბროლ-ბადახჩოსანი⁵;
პირს ოქროს რიდე⁶ ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი⁷;
მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრტაიქოსანი⁸.

შეეკაზმა მეფე, შესჯდა; ნადირობას გამოვიდეს;
მრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყად⁹ გარედ შემოჰკვირდეს;
ზეიმი¹⁰ და ზარი¹¹ იყო, სპანი¹² ველთა დაჰფარვიდეს;
ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან ჰსვრიდეს.

უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა¹³,
მშვილდსა ფიცხელსა¹⁴ მოგვეცემდით, ისარსა მოგვემართმედიტა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!“
დაიწყო მოსვლა ნადირთა ყოვლთა¹⁵ მინდორთა კიდითა¹⁶.

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმიუწვდომელი:
ირემი, თხა და კანჯარი¹⁷, ქურციკი¹⁸ მალლამბტომელი;
მას პატრონ-ყმანი¹⁹ გაუხდეს²⁰, კერეტადმცა²¹ სჯობდეს რომელი!
აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი²²!

ცხენთა მათთა ნატერფალნი²³ მზესა შუქთა წაუხშიდეს²⁴;
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მიახშიდეს:

¹ ტაიქი—ცხენი. ² ქვენაბამი—ნაპატივები, კარგად მოვლილი. ³ სოსანი—სწორ და მაღალფეროვანი ლამაზი ყვავილია. ⁴ ძოწეული—ძოწის ფერი, წითელი (ძოწი—წითელი მარჯანი). ⁵ ბროლი—სითეთრეს აღნიშნავს; ბადახჩი, ბადახში—საუკეთესო ლალი, რუბინი (წითელი ფერის ძვირფასი ქვა). ⁶ რიდე—მოსახვევი, პირისაბური. ⁷ ე. ი. ხმლიანი. ⁸ თეთრცხენიანი. ⁹ ალყა—წრე, სალტა; გარს შემორტყმა. ¹⁰ ზეიმი—აყალ-მყალი, დიდი ხმაური. ¹¹ ზარი—აქ ნიშნავს სასიხარულო ხმაურობას; ზოგჯერ კი იგი ნიშნავს შიშის ზარს—თავზარს. ¹² სპა—ჯარი. ¹³ ვლიდით—იარეთ. ¹⁴ ფიცხელი—სასტიკი და სწრაფი. ¹⁵ ყოვლი—ყოველი. ¹⁶ კიდე—ნაპირი, კუთხე. ¹⁷ კანჯარი—გარეული ვირი. ¹⁸ ქურციკი—ჯეირანი, გარუთხა. ¹⁹ პატრონ-ყმა—ბატონი და ყმა (ე. ი. როსტვეან და ავთანდილი). ²⁰ გაუხდენ—მიუხტენ, მიესივნენ და გამოუღდენ. ²¹ საცქერლად, სანახავად. ²² დაუშრომელი—დაუღალავი, დაუქანცავი. ²³ ნატერფალი—ნაფეხური, ფეხისაგან აყენებული მტერი. ²⁴ წახმა—წართმევა.

რა ისარნი დაელივენეს, მონანი ყე მოართმიდეს;
მხეცნი, მათგან დაკოდილნი¹, წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.

იგი მინდორი დალივეს მართ მათგან განარბენია;
მინდორსა იქით წყალი სდის და წყლისა პირსა კლდენია:
ნალირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია;
იგი მაშვრალნი² ორნივე მოსწყედეს³, რაზომცა⁴. მხნენია.

იგი ორნივე საგრილად გარდანდეს⁵ ძირთა ხეთასა;
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოსდგეს უფროსი⁶ ბზეთასა;
ახლოს უდგს⁷ მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა;
თამაშობდეს და უქვრეტდეს წყალსა და პირსა ხეთასა.

7 უცხო ყმის ნახვა

ნახეს: უცხო მოყმე⁸ ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა⁹ ჰყვა¹⁰ ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა¹¹,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი¹² თავისა,
ხელთა ნაჭერი მათრახი ჰქონდა უმხნოსი მკლავისა.
ჰნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა.

წავიდა მონა საუბრად¹³ მის ყმისა გულმდულარისად,
თაფხამოვდებით მტირლისა, არ ქვრეტით მოლიზლარისად¹⁴;
მუნვე¹⁵ სწვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ლარი სად¹⁶;
ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად.

მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი,
მათ ლაშქართა ზახილისა¹⁷ იყო ერთობ¹⁸ უგრძნობარი,

¹ დაკოდილი—დაქრილი. ² მაშვრალი—დადლილი. ³ მოსწყედენ, დაიქანცენ. ⁴ რაზომცა—თუმცა დიდად, თუმც ძალიან. ⁵ ჩამოხტნენ (ცხენებიდან). ⁶ უფროსი—უმეტესი. ⁷ უდგას. ⁸ მოყმე—რაინდი, გმირი. ⁹ სადავე—ლაგამის საჭერი თასმები; სადავითა ჰყვა—ჰყავდა წამოსადავებული. ¹⁰ ჰყვა—ჰყვანდა. ¹¹ აბჯარი—ჯაქვის ჩასაცმელი (კაცისა და ცხენისა); აბჯარი ნიშნავს—საომარ იარაღსა. ¹² სარქმელი—დასახურავი. ¹³ სალაპარაკოდ. ¹⁴ მოლიზლარი—მოხუჭარი. ¹⁵ იქვე. ¹⁶ ჰგია—იმყოფება, არის; „ჰგია გიშრისა ლარი სად“—სადაც არის გიშრის ლარი (ე. ი. შავი წამწებები),—თვალეები. ¹⁷ ზახილი—ძახილი, ხმაურობა, ყრია-მული. ¹⁸ ერთობ—სრულადად.

უცხოდ რამე ამოსვენოდა გული ცეცხლთა ნადებარი;
ცრემლსა სისხლი ერეოდა, — გასდის, ვითა ნაგუბარი.

სხევაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!¹
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლავ ჰკადრა მონამან.
არცა დაავდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
არცა გახლიჩნა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან².

რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა;
როსტენს ჰკადრა: „შემიტყვია იმას თქვენი არა უნდა;
თვალნი მზეებრ გამირეტდეს³, გული მეტად შემიძრწუნდა⁴;
ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე⁵ ხანი მუნდა⁶“.

მეფე გაჰკვირდა, გაცასწყრა, გული უძს⁷ მისთვის მწყრომარე;
გაჰზავნა მონა თორმეტი, მისა წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი⁸ თქვენ საომარე,
მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი⁹ მჯდომარე!“

მონანი მისდგეს, მივიდეს, გაჰხდა აბჯრისა ჩხარია¹⁰;
მაშინლა შცკრთა იგი ყმა, სტირს მეტად გულმდულარია,
თვალნი მოარნა¹¹ ყოველგან, ჰნახა ლაშქართა ჯარია,
ერთხელ ესე სთქვა: „ვა¹² მეო!“ სხვად არას მოუპარია.

თვალთა ხელნი უკუივლო¹³, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
ხმალ-კაპარქნი¹⁴ მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა,
ცხენსა შესჯდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა! —
სხვასა მხარსა გაემართა, მათნი ქირნი არ განჰკურნა.

მონათა ხელი გაჰმართეს მის ყმისა შესაპყრობელად¹⁵;
მან, გლახ, იგინი დაჰხადნა მტერთაცა საწყალობელად,
ჰკრა ერთმანერთსა, დაჰხოცნა, თავის ხელალუპყრობელად¹⁶,
ზოგსა გარდაჰკრის მათრახი, მკერდამდის გასაპობელად.

შესხდეს მეფე და აეთანდილ მის ყმისა მისაწვევლად:
იგი ლალი¹⁷ და უკადრი¹⁸ მივა ტანისა მრხვევლად;

¹ „მისმან თავისა წონამან“ — ფიციკა, როგორც ახლა იტყვიან: „მისმა მზემ“ — ლ. ² ბაგე — ტური; ვარდის კონა — პირისაზე; „არა გახლიჩნა ბაგეთათ“, ე. ი. ტუჩები არ დააშორა ერთმანეთს, პირი არ გააღო (სალაპარაკოდ). ³ მზეებრ გამირეტდეს — გამოშტერდნენ როგორც მზისაგან. ⁴ შემდრწუნება — შეშინება. ⁵ დაევაგვიანე. ⁶ მუნდა — იქ. ⁷ უძს — აქვს; მისს — მაქვს; გიძს — გაქვს (ზმნისაგან: დება). ⁸ აბჯარი — საომარი იარაღი. ⁹ იქი — იქ. ¹⁰ ჩხარია — ჩხარა-ჩხური. ¹¹ შიშოაულო. ¹² ვა — ვაჟ. ¹³ უკუივლო — იტაცა. ¹⁴ კაპარქი — ისრის ქარქაში; ისრები. ¹⁵ დასაპყრად. ¹⁶ ხელალუპყრობელად — ისე, რომ მათ ხელისაღებაც ვერ მოასწრეს. ¹⁷ თამაში. ¹⁸ თავმოშწონე.

ტაიქი¹ მიუგს მერანსა², მიეფინების მზე ველად;
შეიგნა³ მისვლა მეფისა მისად უკანა მდეველად.

რა სცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა,
მასვე წამსა დაიკარგა,—არ უნახავს თვალსა ჩვენსა;
ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა:
ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.

8 თინათინისა და ავთანდილის ფიცი

თინათინის რჩევით როსტვეანმა ოთხსავე კუთხეს კაცები დაჰგზავნა, უცხო
ყმა მთელ წელიწადს აძებნინა, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. მეფემ იფიქრა: „უზ-
რალა ჩვენება ყოფილაო“ და დაეიწყებინა მისცა ეს შემთხვევა. მაგრამ თინა-
თინს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა. ერთხელ:

ავთანდილ სჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ⁴ მართ პერანგი,
იმღერდა⁵ და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი⁶,
შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი⁷,
მოახსენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა⁸, პირი მანგი.“⁹

ავთანდილს მიჰხვდა¹⁰ მოსმენა საქმისა სანატრელისა,
ადგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ქრელისა¹¹;
უხარის შეყრა¹² ვარდისა, არ ერთგან¹³ შეუყურელისა,—
ამოა ქვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!

ავთანდილ ლალი, უკადრი მივა, არვისგან რცხვენოდა,
მას ჰნახავს, ვისთა ვამთავან¹⁴ ცრემლი მრავალჯერ სდენოდა.
იგი უებრო კუშად¹⁵ სჯდა, ელვისა მსგავსად შევენოდა,
მთვარესა მისთა შუქთავან უკუნნი¹⁶ გარდაჰფენოდა.

გაძრცვილსა¹⁷ ტანსა ემოსნეს ყარყუმნი¹⁸ უსაპირონი,
ებრუნეს¹⁹ მოშლით რიდენი²⁰, ფასის თქმად გასაჰპირონი,

¹ ცხენი. ² ზღაპრული ცხენი, საუცხოო მატარებელი. ³ შეიგნა—შეიტყო, სცნო, მიხვდა. ⁴ მხოლოდ. ⁵ უკრავდა, ერთობოდა. ⁶ ჩანგი—სიმებიანი საკრავი ინსტრუმენტი. ⁷ ზანგი—შუკანიანი, ნეგრი. ⁸ ალვის ხე. ⁹ მანგი—მთვარე. ¹⁰ მიხვდა—წილად ზედა, ერგო, ეღირსა. ¹¹ ქრელი—ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი (ტანისამოსი იგულისხმება). ¹² შეხვედრა. ¹³ ერთად. ¹⁴ ვამი—ვაემა, ნადველი, ვაგლანი. ¹⁵ კუში—მწყრალი. ¹⁶ უკუნნი—ბნელი. ¹⁷ გაძრცვილი—შილიფი (იხ. ეს სიტყვა ორბ.). ¹⁸ ყარყუმი—თეთრბუნევიანი ნადირია, რომლის ტყავსაც ტანისამოსზე იკერებენ. ¹⁹ მოხვეული ჰქონდა. ²⁰ რიდე—მოსახვევი, პირსაბური.

ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი არუხშირონი.

ღალრეჯით¹ იყო მჯდომარე ძოწეულითა² რიდითა;
ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა.
მონამან სელნი³ დაუდგნა, დასჯდა კრძალვით⁴ და რიდითა,
პირის-პირ პირსა უქვერეტდა, საესე ლხინითა დიდითა.

ავთანდილი ძალიან შეაწუხა და შეაფიქრიანა ქალის ასეთმა ღალრეჯილობამ. მაგრამ ქალმა მალე გამოიყვანა ამ მღვდმარეობიდან. უბრძანა:

„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა?

მასუკანით გონებამან⁵ მისმან ასე დამამხო ცა,—

შენ გენუკვი⁶ მონახვასა, კილით კიდე მოლაზო-ცა,⁷

„აქანამდის საუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,

მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია,

ვიცი, რომე გაუწყვეტლად თვალთა დაწვი გისეტყვია⁸,

შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია⁹.

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:

პირველ ყმა¹⁰ ხარ, ხორციელი არვინა გყავს შენად სწორად,

მერმე ჩემი მიჯნური¹¹ ხარ, დასტურია¹²; არ ნაქორად;—

წადი, იგი მოყმე სძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად.

„სამსა სძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი;

ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარული მოუბარი;

ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი;

კოკობი და დაუფრკვენილი¹³ ვარდი დაგხვდე დაუმკენარი.

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე¹⁴ თუ შევიერთო რაცა, ქმარი,

მხეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი¹⁵,

სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი¹⁶;

შენი მკლევდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი¹⁷“.

ავთანდილმა პირნათლად შეასრულა თინათინის დავალება: ბევრი სძებნა იგი ყმა, ბოლოს იპოვა ერთ გამოქვამულში, სადაც მასთან მისი დობილი ას-

¹ ღალრეჯა—ღალრეჯა, მოწყენა. ² ძოწეული—წითელი. ³ სელი—სკამი. ⁴ კრძალვა—
მოხატობა, შორიდება. ⁵ გონება—მოგონება, ფიქრი. ⁶ გეხვეწები, გთხოვ. ⁷ „კილით კიდე
მოლაზო-ცა“—ხმელეთის ყოველი კუთხე მოიარო. ⁸ დაწვი—ლოყა: „თვალთა დაწვი გისეტ-
ყვია“, ე. ი. ბევრი ცრემლი გიღვრიო. ⁹ ე. ი. დაუტყვევებია. ¹⁰ ყმა—ვაჟაკი, რაინდი.
¹¹ მიჯნური—საყვარელი. ¹² დასტურია—ნამდვილია. ¹³ დაუფრკვენილი—ძალით გაშლა, გაფურ-
ჩქნა; „დაუფრკვენილი“—გაუფურჩქნელი, გაუშლელი. ¹⁴ კიდე—გარდა. ¹⁵ შექმნილი, გაჩენი-
ლი. ¹⁶ დასანთქმა—ჩაღუბვა; დასანთქმარი—ჩასაღუბავი. ¹⁷ ასაქმარი—ამკუწავი, დამკრული.

მათი ცხოვრობდა. და ყოველი მისი ამბავი შეიტყო. უ ხო ყმა¹ ტარიელი ერქვა. აი რა უამბო ტარიელმა ავთანდილს:

მიორე ნაწილიდან:

1) ტარიელის მშობლები და ბავშობა

„ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა, საუბართა და საქმეთა, ვითა ძლივ ვათქმევ ენასა; იგი, ვინ ხელმქმნა¹, მოველი მისგან აროდეს ღებენასა, ვისგან შეუტავ სევდათა², სისხლისა ღვართა დენასა.

ინდოეთს შეიღთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი: ექესი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი, უხვი, მდიდარი, უკადრი³, მეფეთა ზედა მფლობელი, ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე⁴, რაზმთა⁵ მწყობელი.

მამა ჩემი სჯდა მეშიდე, მეფე, მებრძოლთა მზარავი⁶, სარიდან ერქვა სახელი, მტერთა სვრად⁷ დაუფარავი; ვერვინ ჰკადრებდა წყენასა, ყერ ცხადი, ვერცა მპარავი; ნადირობდის და იშვებდის⁸ საწუთროგაუმწარავი⁹.

ხალვა¹⁰ მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა¹¹ ჯარები. სთქვა: „წამილია¹² მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები¹³ ყოვლგნით გამისხმან¹⁴, მორკმით¹⁵ ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები¹⁶;“ ჰბრძანა: „წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები¹⁷“.

ფარსადანს წინა დაასკვნა¹⁸ გაგზავნა მოციქულისა. შესთვალა: „შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა. სრულისა, აწ მე მწადს¹⁹, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა²⁰; სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად სამსახურისა“.

ფარსადან შეჰქმნა ზეიმი²¹, ამა ამბისა მცნობელმან. შესთვალა: „ღმერთსა მადლობა შეეწირე ხმელთა²² მფლობელმან,

¹ ხელმქმნა—გამაგიყა. ² სედა—ნაღველი. ³ უკადრი—თავმოშწონე. ⁴ მძლე—ძლიერი, გამარჯვებული. ⁵ რაზმი—ლაშქრის მცირე ნაწილი. ⁶ მზარავი—შიშის, თავზარის დამცემი. ⁷ სვრა—გამუსვრა, ხოცვა. ⁸ შვება—ღებენა. ⁹ საწუთრო—წუთისოფელი, სააქაო ცხოვრება; საწუთროგაუმწარავი—ბედნიერი. ¹⁰ ხალვა—მარტოობა. ¹¹ კაეშანი—დარდი. ¹² წამირთმევი. ¹³ არე—მზარე. კუთხე. ¹⁴ გამისხმან—გამირეკია. ¹⁵ მორკმა—სახელი. ¹⁶ ზეიმი და ზარი—აქ ნიშნავს სამხიარულო ხმაურობას, ღებინის ყვირისას. ¹⁷ შევეწყნარები—მორჩილებას გამოვეუცხადებ. ¹⁸ გადასწყვიტა. ¹⁹ მსურს, მინდა. ²⁰ ძალი გულისა—ერთგულობა, სიყვარული. ²¹ ზეიმი—ღებინი, ხმაურობა, ერთი ამბავი. ²² ხმელნი—ხმელეთი.

რადგან ეგე ჰქმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მჯდომელმან.
აწ მოდი, ასრე პატივგცე, ვითა ძმამან და მშობელმან“.

ერთი სამეფო, საკარგემო¹, უბოძა ამირბარობა².
—თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა³—
მეფე რა დასჯდა, არა სკირს ხელისა მიუმცდარობა⁴,
სხვად პატრონია⁵, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა⁶.

თვით მეფემან მამა ჩემი დაიჭირა სწორად თავსა.
სთქვა: „ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისცა ჰყავსა!“
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევიდან მტერნი ზავსა⁷.
მას არა ვგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა.

ძე არ ესვა⁸ მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა,
ქმუნვა⁹ ჰქონდათ, ჟამი იყო, მით აებუნეს სპანი ზარსა¹⁰;
ვაი კრულა¹¹ დღემცა იგი, მე მივეცი¹² ამირბარსა!
მეფემან სთქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა.“

მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად¹³;
მოვიწიფე¹⁴, დავემზგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად¹⁵.

ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერმიხდილისა¹⁶, —
მზესა მე ვჯობდი შევენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;
იტყოდეს ჩემი მნახავნი: „მზგავსია ედემს ზრდილისა¹⁷.“
აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ¹⁸ ჩრდილისა.“

10 ნესტან-დარეჯანი, მისი აღზრდა და ტარიელის დაობლება

„მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი.“
ესე რა სთქვა, ყმამან სულჰოქმენა¹⁹, ცრემლით ბრძანა: „შობა ქალი“.

¹ საკარგემო—კარგი საყმო, სამელობელო. ² ამირბარობა—სახლავო ჯარის უფროს-
თა უფროსობა. ³ ამირსპასალარობა—სრულის ლაშქრის მთავარსარდლობა. ⁴ ხელი—ხელის-
უფლება; მიუმცდარობა—მიუმწედარობა, მიუწდომლობა; „არა სკირს ხელისა მიუმცდარო-
ბა“—არა აქვს უფლების მიუწდომლობა, ე. ი. სრულუფლებიანია. ⁵ სხვაფრივ ბატონია.
მფლობელია. ⁶ ოდენ არა აქვს კეისარობა—მხოლოდ არ არის ხელმწიფე (კეისარი). ⁷ ზა-
ვი—მშვიდობიანობის კავშირი. ⁸ არ ესვა—არ ჰყავდა. ⁹ ქმუნვა—წუხილი, ნაღველი. ¹⁰ აებ-
უნეს—აეყვანა, აეტანა; ზარი—შიშის ზარი, თავზარი. ¹¹ კრული—დაწყველილი. ¹² მივეცი—
გავუწიდი. ¹³ ბრძენ კაცებს მიმბარეს სახელმწიფო საქმეებისა და ქცევის (ზნეჩეულების) სასწავ-
ლებლად. ¹⁴ მოვიწიდი. ¹⁵ ნაკვთი—მოყვანილობა. ¹⁶ ფერმიხდილი—ფერწასულობა. ¹⁷ „ედემს
ზრდილი“—სამოთხის ბაღში აღზრდილი. ¹⁸ ოდენ—მხოლოდ. ¹⁹ სულთქმენა—ამოიხვენე შა.

დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი.

სთქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი!

ქება არ ითქმის ენითა, აწ ჩემგან ნაუბარითა.

ფარსადან დასჯდა ხარებად ზეიმითა და ზარითა;
ყოვლგნით მოვიდეს მეფენი ნიკითა¹ მრავალგვარითა;
საქურკლე² გასცეს; აივსნეს ლაშქარნი საბოძვართა.

საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა.
მართ³ მაშინვე ჰგვანდა იგი მზისა შუქთა ნასამალსა⁴.

ვლყვარდით და სწორად ვუჩნდით მეფესა და დედოფალსა.
აწ ვახსენებ, ვისგან ჩემი დაუდაგავს გული აღსა!⁴

ყმა დაბნდა⁵, რა სახელისა ხსენებასა მიეწურა⁶;
ავთანდილსცა აეტირა, მისმან ცეცხლმან გულსა ჰმურა⁷;
ქალმან სულად მოაქცია⁸, მკერდსა წყალი მოაპკურა⁹;
სთქვა: „ისმენდი, მაგრამ ჩემი სიკვდილისა დღე დასტურ¹⁰ა.

მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმობილი.
შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი¹¹,
მთვარისა მზგავსი, მზისაგან შვენებით არ შეფერობილი¹².

მისსა ვით გასძლებს გაყარასა გული აღმასი¹³, წდობილი¹⁴!

იგი ასრე მოიწიფა¹⁵, მე შემეძლო შესვლა ომსა.
მეფე ქალსა ვით ჰხედვიდა მეფობისა ქმნისა მწდომსა¹⁶,
მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა;
ვბურთობდი და ვთამაშობდი, ვით კატასა, ვხოციდი ლომსა.

მეფემან სახლი ააგო¹⁷, შიგან სამყოფი ქალისა;
ქვად ფაზარი¹⁸ სხდა დათლილი იაგუნდისა-ლალისა¹⁹,
პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი²⁰ ვარდის წყალისა;
იგი მუნ²¹ იყვის²², მედების ვისგან სახმილი²³ აღისა!
დღე და ღამე მუჯამრითა²⁴ ეკემოდის აღეა²⁵ თლილი;

¹ ნიკი—ძღვენი, საჩუქარი. ² საქურკლე—განძი, საგანძური. ³ მართ—ნამდვილ, სწორედ. ⁴ ნასამალი—მესამედი. ⁵ დაბნდა—დაიბნა, გრძობა დაკარგა. ⁶ მიეწურა—მიუახლოვდა. ⁷ მურა—ქვარტლის მოკიდება. ⁸ სულად მოქცევა—მოსულიერება, ცნობაზე მოყვანა. ⁹ მოაპკურა—წვეთ-წვეთად დასხმა, სხურება. ¹⁰ დასტურ—ნამდვილად. ¹¹ ცნობილი—გონიერი. ¹² შეფერობა—შემსგავსება, შედარება; „არ შეფერობილი“—შედარებელი, შეუმსგავსებელი. ¹³ აღმასი—მაგარი და საუკეთესო ღირსების შუშა, რომლითაც შემსგავსებულს სქრიან. ¹⁴ წდობა—ცეცხლში გატარება, გამოწევა. ¹⁵ მოიწიფა—მოიზარდა. ¹⁶ მწდომი—შემწდომი, შემძლებელი. ¹⁷ აგება—აშენება. ¹⁸ ფაზარი—კარგად გათლილი ქვა. ¹⁹ იაგუნდი-ლალი, მალაღირსების წითელი ფერის ძვირფასი ქვა. ²⁰ სარაჯი—შადრეანი. ²¹ მუნ—იქ. ²² იყვის—იყო ხოლმე; იყო, ებოვრება. ²³ სახმილი—ქურა, ცეცხლი. ²⁴ მუჯამარი—საცეცხური. ²⁵ აღეა—საქმელის ხე, სურნელოვანი საქმეველი.

ზოგჯერ კოშკს სჯდის, ზოგჯერ ბაღჩას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი.
დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი, —
მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი.

სრა¹ ედგა მოფარდაგული² ოქსინოთა³ და შადითა⁴;
ვერვინ ვხედვედით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა⁵;
ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის⁶ ნარდითა;
მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს განაზარდითა⁷.

მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა;
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა⁸ და ნიშისა⁹;
მათ გაეხარნეს, ვის ზარი დაჰლევდის მტრისა შიშისა;
ერთგულთა შექქმნეს ვაება, მტერთა ხსენება იშისა¹⁰.

მე წელიწადმდის ბნელსა ვსჯე საწუთროგაკუდებული¹¹,
დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულდაღებული¹²;
გაყვანად ხასნი¹³ მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული:
ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული;

ჩვენ უფრო გეტკივის იგი, ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა.“
ასი ებოძა საკურკლე¹⁴, ებრძანა ახლა შავისა,
ბოძება მისეულისა¹⁵ სრულისა საკარგავისა¹⁶:
„შენ გქონდეს ამირბარობა¹⁷, ქმნა მისვე საურავისა¹⁸“.

ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტომელთა¹⁹;
უკუნის²⁰ გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა;
გამოსვლისათვის ზეიმი²¹ შექქმნეს ინდოეთს მფლობელთა;
შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა.

მათ საჯდომთა ახლოს დამსვეს, პატივსმცემდეს ძისა დარად²²,
მის ხელისა საურავი²³ მათ ორთავე მითხრეს წყნარად;

¹ სრა—სასახლე. ² მოფარდაგული—ფარდაგით შორთული, მოფარებული. ³ ოქსინო—
ძვირფასი ფარჩა, ოქროქსოვილი ზაფრდი. ⁴ შადი—ძვირფასი ქსოვილი. ⁵ მინა—შუშა (სი-
თეთრეს გამოხატავს). ⁶ მღერა—თამაში, გართობა. ⁷ გაბაონი—პალესტინაშია (იერუსალი-
მის მახლობლად), ძველად განთქმული ყოფილა ბაღებით; „გაბაონს განაზარდი“—გაბაონის ბა-
ღებში გაზარდილი ხე. ⁸ ნიშატი—სიხარული, მოღვნება. ⁹ ნიში—დღესასწაულობა, მზიარუ-
ლება. ¹⁰ იში—იშ! იშ! სიხარულის გამოშატველი შორისდებულია. ¹¹ საწუთროგაკუდუ-
ბული—სიცოცხლე-გამწარებული. ¹² სულის დაღება—დამწევილება. ¹³ ხასი—კარის-კაცი, დი-
დებული. ¹⁴ საკურკლე—საგანძური. ¹⁵ იგულისხმება ტარიელის მამის, სარიდანისეული.
¹⁶ საკარგავი—გასამგებლო, სამართავი. ¹⁷ ამირბარი—მთავარსარდალი. ¹⁸ საურავი—თანამდ-
ბობა. ¹⁹ დაუშრტელი, დაუხსებელი, დაუქრობელი. ²⁰ უკუნი—ბნელი (ოთახი). ²¹ ზეიმი—
დიდი ამბავი, მოღვნება. ²² დარად—მსგავსად. ²³ ხელისა საურავი—თანამდებობა, გასამგებლო.

ურჩევემენ¹, და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად²;
არ მომეშენეს, დავმორჩილდი, თაყვანი ვეც ამირბარად.³

11 ტარიელის პირველი სიუჟარული

ძელავ დაიწყო თქმა ამბისა მან, რა ხანნი მოიტირა:
..ღლესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდით. გვენადირა;
მიბრძანა თუ: «ქალი ვნახოთ», ხელი ხელსა დამიკირა...
მის ჟამისა⁴ მხსენებელი მე სულდგმული არ გიკვირა?!

ბაღჩა ვნახე უტურფესი⁵ ყოვლისავე საღბინოსა;
მფრინველთაგან ხმა ისმოდა ჟამესი სირინოსა⁶;
პრავლად იყო სარაჯები⁷ ვარდის წყლისა აბანოსა;
კარსა ზედა მოჭფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა.

მეფემან ახმა⁸ ღურაჯთა⁹ მითხრა მიტანად ქალისა;
გამოვუხვენ და წავედით ჩემად სადებლად ალისა;
მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა¹⁰ ვალისა,—
აღმასისა ხამს¹¹ ლახვარი¹² ლახვრად გულისა სალისა¹²!

ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახეა მის, მზისა დარისა,—
მე გარედ ვდევ და მეფემან შექვლო ფარდაგი კარისა;
ვერას ვხედვიდი, ოდენ¹³ ხმა მესმოდა საუბარისა.
ასმათს უბრძანა გამოხმა¹⁴ ღურაჯთა ამირბარისა.

ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარედ ვდექ მოფარდაგულსა;
ქალსა შევხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა.
მოვიდა, მივეცენ ღურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა¹⁵.
ვამე, მას აქეთ სახმილსა დავუწვევ ნიადაგულსა!¹⁶“

აწ წახდეს¹⁷ იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი,—
მისი ვერ გასძლო ხსენება, დაბნდა და სულჰოქმნა¹⁸ მწარენი;
ყმა და ასმათი სტიროდეს, ხმას სცემდეს იგი არენი¹⁹.
ქმუნვით²⁰ სთქვეს: «მკლავნი ცულქმნილან, ვაი, გმირთ მემუქარენი!»

¹ ურჩევემენ—არ დავემორჩილე. ² მიჩნდა ზარად—თავზარსა მცემდა, შიშის მგვრიდა.
³ ჟამი—დრო, საათი. ⁴ ტურფა—ღამაზი, მშენიერი. ⁵ სირინო—ზღვის ქალი (ზღაპრული)
ტყბილად მგალობელი. ⁶ სარაჯი—შადრევანი. ⁷ ახმა—ადება. ⁸ ღურაჯი—ტყის ქათამი, კაკა-
ბი. ⁹ საწუთრო—წუთისოფელი. ¹⁰ ხამს—საქიროა, უნდა. ¹¹ ლახვარი—შუბი. ¹² სალი—კლდე.
¹³ ოდენ—მარტო. ¹⁴ გამოხმა—გამორთმევა. ¹⁵ დაგული—დამწვარი. ¹⁶ ნიადაგული—მუდმივი.
განუწყვეტელი. ¹⁷ წახდენ—გაქრენ. ¹⁸ სულჰოქმნა—ამოიხვეწა. ¹⁹ არე—მარე, მიდამო. ²⁰ ქმუნ-
ვა—ნაღველი, მწუხარება.

ასმათმან წყალი დაასხა; ცნობად მოვიდა ტარია¹;
დიდხან ვერ რა სთქვა, — სევდამან გული შეუკრა, დარია².
დასჯდა და მწარედ სულითქმნა, ცრემლი მიწასა გარია;
სთქვა: „ჩემგან მისი ხსენება, ვამე³, რა დიდი ზარია!

„დურაჯნი მთხოვნეს; გავიღე სხვა ვერა გზალა თავისა, —
დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა.
რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა⁴;
გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომი ნავისა.

სრულნი მუყრნი⁵ და მულიმნი⁶ მე გარეშემო მცვიდიან:
მათ ხელთა ჰქონდათ მუსაფი⁷, ყოველნი იკითხვიდიან;
მტერდაცემული⁸ ვეგონე, არ ვიცი, რას ჰჩმახვიდიან⁹;
სამ დღემდინ ვიყავ უსულო, ცეცხლნი უშრეტნი¹⁰ მწვიდიან.“

სამი დღის შემდეგ ტარიელი უკეთ შეიქმნა და შინ წავიდა. მაგრამ ერთხელვე აღძრული ძლიერი გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. ერთ დღეს, როცა ტარიელი ამხანაგებში ერთობოდა, — ასმათი ეახლა და ნესტან-დარეჯანის წერილი გადასცა.

1:2 ნესტან-დარეჯანის პირველი წერილი

„წიგნი ენახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა;
მოეწერა მზისა შუქსა: «ნუ დაიჩნევ, ლომო, წყლულსა¹¹;
მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრა ბნედა¹² ცული მძულსა;
აწ ასმათი მოგახსენებს ყველაქასა ჩემგან თქმულსა.

ბედითი¹³ ბნედა, სიკვილი რა მიჯნურობა¹⁴ გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია:
ხატაეთს¹⁵ მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია¹⁶,
აწ მათი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია.

შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მდომია,
მაგრამ აქამდღი საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია;

¹ ტარიელი. ² დარევა—მორევა, ჯობნება. ³ ვამე—ვამე. ⁴ ვისა—„ვინა“-სა. ⁵ მუყრი—
მოლა, სჯულის მასწავლებელი. ⁶ მულიმი—სჯულის მოძღვარი, მასწავლებელი. ⁷ მუსაფი—
ყურანი, მაჰმადიანთ სჯულის წიგნი. ⁸ მტერ-დაცემული—ეშმაკისაგან ნაენები, ეშმაკეული.
⁹ ჩმახვა—მიღებ-მოღება. ¹⁰ უშრეტი—დაუკრობელი. ¹¹ წყლული—ქრილობა; ნაღველი.
¹² ბნედა—დაბნედა, გულისწასვლა. ¹³ ბედითი—ბეჩაყი, საბრალო. ¹⁴ მიჯნურობა—სიყვარუ-
ლი, აღფრთოვანებული ტრფიალება. ¹⁵ ხატაეთი—ჩინეთი. ¹⁶ სახარაჯო—მოხარკე, ხარაჯის
მომცემი.

ძულან¹ ხელქმნილსა² გიქვრეტლი კუბოსა³ შიგან მჯდომია,
მანდა, ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია.

მართლა გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე:
წა. შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენე;
გიჯობს. ცულად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე!⁴
მზემან მეტი რალა გიყოს, აჰა, ბნელი გაგიოთენე!».

13 ხატათზე ლაშქრობა და გამარჯვება

ნესტან-დარეჯანის წერილმა გადასწყვიტა ხატაელების ბედი. ტარიელმა ხატეთის მეფეს რამაზს ჯერ წერილი მისწერა: დაგვმორჩილდი და ხარკი გვაძლიეო. მაგრამ, როცა მისგან შეურაცხყოფელი პასუხი მიიღო, ბრძანა ლაშქრის შეკრება.

„ზუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია⁵;
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია⁶,
შორით და ახლოს ყველანი მართ ჩემკენ მონასხპანია⁷;
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია⁸.

ფიცხლა მოვიდეს, არ ექმნათ მათ შინა ხანდაზმულობა⁹;
აღლუმო¹⁰ ვნახე, მეკეთა¹¹ ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე¹² და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა¹³,
ტაიქო¹⁴ მათთა სიმაღლე, აბჯრისა¹⁵ ხვარაზმულობა¹⁶.

ავმართე დროშა მეფისა, აღმითა¹⁷ წითელ-შავითა,
დილასა ებრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა.

თავსა ვტიროლდი, ვიტყოლდი ბედითა მეტად ავითა:
მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარო ვითა და ვითა!»....

ტარიელმა ინახულა თავისი „მზე“—ნესტან-დარეჯანი, გამოეთხოვა და გაემართა ხატეთისაკენ. გზაში ერთი ხატაელისაგან შეიტყო, რომ რამაზ მეფე მოციქულებს ჰგზავნის, ვითომ მშვიდობის სათხოვნელად, ნამდვილად კი ლალა-

¹ ძულან—ამას წინეთ, იმ დღეს. ² ხელქმნილი—გაგიყვებული, გახვლებული. ³ კუბო—ტაბურეკი, ხელით ან აქლემებით სარტარბელი ჩასაჯდომი. ⁴ დატენა—დასველება, დანაშვა (ნესტი). ⁵ მარზაპანი—განაპირა კუთხის მმართველი, უფროსი. ⁶ სპა—ჯარი. ⁷ მონასხპანი—გამოშურებული. ⁸ კაპანი—ხევი, დრე. ⁹ ხანდაზმა—დაგვიანება. ¹⁰ აღლუმო—ჯარის გასინჯვა. ¹¹ მეკეთა—კეთილად ანუ კარგად შეჩვენა, მომწონა. ¹² სიჩაუქე—სიმარჯვე, ყოჩაღობა. ¹³ დარაზმულობა—დაწყობა რაზმებად, დას-დასად. ¹⁴ ტაიქო—ცხენი. ¹⁵ აბჯარი—საომარი იარაღი. ¹⁶ ხვარაზმულობა—ხვარაზმულად ნაკეთობა; ხვარაზმი—სპარსეთის ჩრდილოეთის კუთხეა. ¹⁷ აღამი—დროშის ქსოვილი ნაწილი.

ტი აქვს გულში: უნდა მოვლოდნელად თავს დაესხას ინდოეთის ლაშქარს და გასწვიტოსო.

ქელსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტვერი დაეინახე; ვთქვი თუ: „მოვა რამაზ მეფე, ჩემთვის უღვამს თუმცა მახე, ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხმალი ბასრი¹, შუბი ახე²“.

მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დაუსახე;

ვთქვი თუ: „ძმანო, იგი კაცი ჩვენ ლალატსა გვიდგებიან, მკლავთა თქვენთა სიმაგრენი ამისთვისმცა რად დაღბიან!

ვინმცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.

აწ შევებნეთ ხატაელთა, ხმალი ცუდად რად გვაბიან!“

ვუბრძანე ჩაგმა აბჯრისა ლალმან სიტყვითა ხაფითა³;

დავეკაზმენით საომრად ჯაქვ-ჯავშანითა⁴, ქაფითა⁵;

რაზმი დავაწყევ, მივმართე, წაველ დიდითა სწრაფითა;

მას დღესა ჩემი მეგრძოლი ჩემმანვე ხმალმან დაფითა⁶...

შიგან ასრე გავერივე, გნოლის⁷ ჯოგსა ვითა ქორი,

კაცი კაცსა შემოვტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;

კაცი ჩემგან განატყორცი⁸ ბრუნავს ვითა ტანაჯორი⁹;

ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძი რაზმი ორი...

სხვათ რა ჰნახეს, გასაქცეველად გაემართნეს; შეევკიეღენით;

ვკლნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითავე გარდავეღენით;

რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხმღენით;

მისნი სპანი ყველანივე დავიპყრენით, არ მოვკლენით.

უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,

დაუწყეს პურობა¹⁰, ჩამოყრა შეშინებულთა, ძღვეულთა,

ძილისა მიხედა ნაცვალი ძილმკრთალთა, ლამეთეულთა,

ტყვეთა მრთელთაცა არ აკლდა კენესა, მართ ვითა სნეულთა.

გავგზავნე ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე¹¹,

ერთობ სავსენი მოვიდეს, თავი ვაალაღებინე¹².

სისხლსა მძებნელთა ჩემთასა მინდორი შევალებინე,

არ ვბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავალებინე.

¹ ბასრი—მკრელი, პირმოღესილი. ² ახე—სწორე; უტყუარი, დაუმტდარი. ³ ხაფი—
რიხიანი, მრისხანე. ⁴ ჯავშანი—ცხენის ან მეომრის ჩასაცმელი ჯაჭვი. ⁵ ქაფი—სამზრე. მზრების
დასაფარავი აბჯარი. ⁶ დაფითა—დაფლითა, დაქუფა. ⁷ გნოლი—კაკაბის მსგავსი ფრინველი.
⁸ განატყორცი—განასროლი. ⁹ ტანაჯორი—პატარა ბუზია. ¹⁰ პურობა—დაქერა, დეტყვევება.
¹¹ ალაფი—დავლა, ხარკი. ¹² ვალაღება—გათავისუფლება, გათამაშება.

14 ნესტან-დარეჯანის დაკარგვის ამბავი

ზამარჯვებული ტარიელ დიდის ამბით მიიღო ინდოთ მეფემ ფარსადანმა. ნესტან-დარეჯანის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

სამწუხაროდ, მათი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა. მეფემა და დედოფალმა განიზრახეს, ნესტან-დარეჯანი სპარსეთის (ხვარაზმის) მეფის შვილზე გაეთხოვებინათ. ამ ამბავმა გადასწყვიტა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ბედი.

როცა სასიძო უკვე სატახტო ქალაქში იყო თითქმის შემოსული, ტარიელმა, ნესტან-დარეჯანის ჩაგონებით, მოჰკლა იგი და მეფეს შეუთვალა: „ინდოეთის ერთად-ერთი მემკვიდრე მე ვარ და ჩემს სამკვიდროს უსისხლოდ არავის დაეუთმობო“.

მეფემ რომ ამ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი გაიგო, მის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა: პირველად გადასწყვიტა, შური თავის დაზე, დეარ დედოფალზე, ეძიებია, რადგან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარულს მასაბრალებდა. მაგრამ დეარმა დაასწრო და ნესტან-დარეჯანი ქაჯებს მისცა გალასაკარგავად, თვითონ კი დანა დაიცა და თავი მოიკლა.

ამას შემდეგ ტარიელმა ნესტან-დარეჯანისა აღარაფერი იცოდა. იგი ველად გაპრილიყო და დიდი ხნის უწყალოდ ძებნის შემდეგ ამ გამოქვაბულში დაბინავებულიყო; მთელს ქვეყანაზე გულაყრილი და გაველურებული მხოლოდ სიკვდილსა ნატრულობდა; და შეიძლება, თავი კიდევ მოეკლა, რომ გამამხნევებლად და მანუგეშებლად ერთგული ასმათი არა ჰყოლოდა.

ავთანდილმა რომ ეს ამბავი მოისმინა, ტარიელს აღთქმა მისცა—ნესტანის ძებნაში გიშველიო, და, რადგან უკვე სამწლოვანი ვადა უთავდებოდა, დროებით გამოემშვიდობა და არაბეთს დაბრუნდა.

მესამე ნაწილიდან:

15 ავთანდილის ანდერძი

როსტევანს აღარ უნდოდა ავთანდილი გაეშვა, მაგრამ, თინათინის ნებართვით, ავთანდილი გაიპარა, ხოლო მეფეს ანდერძი დაუტოვა.

დაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად:

„ჰე, მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემდა საძებრისად; ვერ დავდგები შეუწყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად. შემინდევ¹ და წამატანე მოწყალება ღვთაებრისად!

¹ შენდობა—პატიება.

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ! ამა ჩემსა განზრახულსა: კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა; მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა: სიცრუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერმე სულსა.

„არას გარგებს სიმძიმელი², უსარგებლო ცრემლთა დენა: არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა³; წესი არის მამათაგან მოქირვება, კირთა თმენა; არვის ძალუძს⁴ ხორციელსა განგებისა⁵ გარდავლენა.

„ვერ დაიქირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი⁶: ბოლოს შეჰყარნეს მიწამან ერთად მოყმე და მსცოვანი. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან, ღარიბი მოვევდე ღარიბად⁷, ვერ დამიტროს მშობელმან, ველარ შემსუდრონ⁸ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,— მუნ⁹ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მლომბელმან¹⁰.

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,— მიეც გლახაკთა საკურკლე, ათავისუფლე მონები; შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არასმქონები: მიღეწიან¹¹, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საკურკლესა დასადებლად, მიეც ზოგი ხანაგათა¹², ზოგი ხიდთა გასადებლად; ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად; შენგან კიდე¹³ არვინ მივის¹⁴ ცეცხლთა ცხელთა დაშავებლად.

„გვედრებ, მეფეო, შერმადინს¹⁵, მონასა ჩემსა რჩეულსა,— ნაკად¹⁶ აქვს ჰირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა,— ნუგეშინი ეც წყალობით ჩემგან წყალობაჩეულსა, ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლთა, სისხლითა ფრკვეულსა¹⁷.

¹ დამგობა—დამძანვა, გაიციხვა. ² სიმძიმელი—სამძიმარი, მწუხარება. ³ ზენა—ზეციერი.

⁴ ძალუძს—უძუძლია. ⁵ განგება—ღვთის განგება, ღვთაებრივი გამგება და მზრუნველობა ქვეყნისა და ადამიანის შესახებ. ⁶ ძალგულოვანი—გამბედავი, გულმაგარი. ⁷ ღარიბი—უთვის-ტომო, უცხოებაში მყოფი, ყარიბი. ⁸ შესუდრა—სამკედრო ზეწარში (სუდარში) შეხვევა. ⁹ მუნ—მაშინ; იქ. ¹⁰ მლომბელი—შემატიყარი, შემბრალებელი. ¹¹ მიღეწიან—იზრუნებენ ჩემთვის. ¹² ხანაგა—საობლო სახლი; დევრიშების მონასტერი. ¹³ კიდე—გარდა. ¹⁴ მივის—ჰყავს. ¹⁵ შერმადინი—ერქვა აეთანდილის პორაჟს. ¹⁶ ნაკად—ზედმეტად. ¹⁷ ფრკვეული—დაღვრილი.

გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა;
აჰა, გამზრდელი, მოგშორდი, წაველ გულითა ხელითა!¹
ნუ სკმუნავთ² ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილი ბნელითა,
სუფევითმა³ ხართ თავითა, მტერთაგან საკრძაღველითა⁴!“.

16 ავთანდილის მოთქმა

ავთანდილი დაბრუნდა ტარიელთან. უკანასკნელს, ავთანდილს გარდა, მეორე ძმადნაფიციც ჰყავდა, სახელდობრ მულღაზანხარის მფლობელი ნურედინ ფრიღონი. ავთანდილმა გადასწყვიტა, ჯერ ამ ფრიღონისას წასულიყო და იქილგან დაეწყო ნესტან-დარეჯანის ძებნა. გამოემშვიდობა ტარიელს. შეჯდა თავის მერანზე და გასწია. გზაში თავის სატრფოს (თინათინს) იგონებდა და თავის დარდს ცის მნათობებს უხიარებდა. ეს მოთქმა ავთანდილისა უმაღლესი პოეზიით აღსავეს ადგილია მთელს პოემაში.

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების; ეტყვის მზესა:

„აჰა, მზეო, გეაჯები⁵ შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა⁶,
ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სევსა⁷,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ლამედ დღესა!

„მოდო, მარიხო⁸, უწყალოდ დამქერ ლახვრითა⁹ შენითა,
შეცამლებე¹⁰ და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა;
მას უთხარენ¹¹ ჩემნი პატიენი¹², მას გააგონენ ენითა;
როგორ¹³ გავსრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა!

„მო, მთვარეო, შემობრალე, ვილევო და შენებრ ვმკლდები¹⁴;
მზე გამავესებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ესხვლდები¹⁵, ზოგჯერ
[ეწვლდები¹⁶;

მას უამბენ სჯანი¹⁷ ჩემნი, რა მჭირს, ანუ როგორ ებნდები¹⁸;
მიდი, უთხარ: „ნუ გასწირავ!“ მისი ვარ და მისთვის ცკვდები.

„ეჲ, სოფელო¹⁹, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

¹ ხელი—გახვლებული, გაგვიებული. ² კმუნვა—წუხილი. ³ სუფევა—მეფობა. ⁴ საკრძაღველი—საშიში, მოსარიდებელი. ⁵ აჯა—ვედრება, თხოვნა. ⁶ მძლეთა მძლე—ძლიერთა ძლიერი, ფრიად ღონიერი. ⁷ სვე—ბელი. ⁸ მარიხო—ცთომილი მნათობია (პლანეტა), მარსი, რომელიც ძველად ბრძოლის ღმერთად მიიჩნდათ. ⁹ ლახვარი—შუბი. ¹⁰ შე-ცა-მლებე—შემღებეცა. ¹¹ უთხარ. ¹² პატიეი—ტანჯვა, სასჯელი. ¹³ როგორ—რაც რომ. ¹⁴ ვმკლდები. სიმსუქნეს ვკარგავ, ვხდები. ¹⁵ ესხვილდები. ¹⁶ ეწერილდები. ¹⁷ სჯა—ტანჯვა, დასჯა. ¹⁸ ებნდები. ¹⁹ სოფელი—წუთისოფელი, საქაო ცხოვრება, სიცოცხლე.

ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;
სად წაიყვან სადაურსა; სად აღუფხვრი სადით ძირსა?
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!“

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან;
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოხსდიან;
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

მეოთხე ნაწილიდან:

17 ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი

ბევრი ძეგნის შემდეგ ავთანდილმა ნესტანის კვალს მიაგნო: ნესტან-დარეჯანი „ქაჯებს“ (ხალხს) შეეპყროთ და მიუვალ ციხეში ჰყავდათ დამალული. ერთი ვაჟის ცოლის (ფატმანის) შემწეობით ავთანდილმა ნესტან-დარეჯანის ამბავი შეიტყო და უკანასკნელისაგან ტარიელს წერილიც კი წამოუღო, რომელშიაც ტურფა ტუსალი შემდეგსა სწერდა თავის საქმროს:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი¹ არს ჩემგან მონაღვაწები²:

ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველში ამონაწები;

მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსა ვაწები...

გულო; შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები³!

ჰხედავცა, ჩემო, სოფელი⁴ რათა საქმეთა მქმნელია?

რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია!

ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან საწუნელია.

უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!

შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,

გულისა ერთობ წყლულისა⁵ და ასრე დადაგულისად!

მომიგონებდე, გახსოვდე მე, შენთვის დაკარგული სად!

ვზი მზრდელად სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად.

ციხეს ვზი ეზომ⁶ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან;

გზა გვირაბითა⁷ შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან;

¹ უსტარი—ბარათი, წერილი. ² მონაღვაწები—ნაშრომი, ნათხზი. ³ ები—დაები. ⁴ წუთისოფელი. ⁵ წყლული—დაკრილი, დაკოდლი. ⁶ ეზომ—ემზომად, იმზომად. ⁷ გვირაბი—ხერული, ტონელი.

დღისით და ღამით მოყმენი¹ ნობათსა² არ დასცდებიან,
მათა შემბზელთა დაზხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ნუთუ³ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!

ნუცა მე მომკლავ ჰირითა ამისგან უარესითა:

შენ მკედარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბელი კვესითა;

მოგშორდი, დამომე გულითა კლდისაცა უმაგრესითა.

წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რამ ჩემსა შშობელსა,

მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელალუპყრობელსა⁴,

გულსა აღხინე ჩემისა მოშორებებისა მთმობელსა⁵,

მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლწმეუშრობელსა!⁶

18 გმირთა თათბირი და ქაჯეთის ციხის აღება

ბეთანდილმა წამოიღო ნესტანის წერილი და გამოეშურა ტარიელისაკენ. წერილი რომ წაიკითხა, ტარიელი დაუყონებლივ მზადებას შეუდგა. ფრიდონ-მაც სამასი რჩეული მეომარი მოაშველა და სამნივ ქაჯეთის ციხისაკენ გაემართნენ.

ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან⁶ ძმად შეფიცებულთა;

ფრიდონ გზა იცის, იარეს, დღისით და ღამით რებულთა⁷.

ფრიდონ სთქვა: „ვახლავთ არეთა ჩვენ ქაჯეთს მიახლებულთა;

აქათგან ღამით სვლა გვინდა, მით არას გამეღავენებულთა⁸“.

ამა ფრიდონის თათბირსა⁹ სამნივე ერთგან ჰზმიდიან¹⁰.

რა გაუთენდის, დადგიან და ღამით ფიცხლად ვლიდიან.

მივიდეს, აჩნდა¹¹ ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდიან;

გარე კლდე იყო, გუშაგთა¹² ხმა ჯარვით გაადიდიან.

გვირაბის¹³ კარსა ქაბუკი¹⁴ ათი ათასი მცველია.

მათ ლომთა ჰნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია;

სთქვეს: „ვითათბიროთ, ვითა სჯობს, აწ გამორჩევა ძნელია;

ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“.

¹ მოყმე—გმირი ქაბუკი, რჩეული მეომარი, რაინდი. ² ნობათი—დარაჯობა, ყარაულ-ლობა. ³ ნუთუ—ეგებ. ⁴ ხელალუპყრობელი—ხელგაუმართველი, შეუწვენელი. ⁵ მთმობელი—მომთმენი, ამტანი. ⁶ ერთგან—ერთად. ⁷ რებული—ნასიარულევი. გამეღავენებული—გამხე-ლილი. ⁸ თათბირი—რჩევა. ⁹ ჰზმიდიან—იზამდენ, ასრულებდენ. ¹⁰ აჩნდა—გამოჩნდა ¹¹ გუ-შაგი—დარაჯი. ¹² გვირაბი—ხვრელი. ¹³ ქაბუკი—გმირი, რაინდი.

ფრიდონ სთქვა: «ვიტყვი სიტყვასა, ვექვ ჩემი არ დამცდარია: ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია; პირის-პირ ომი არ ძალგვაქვს, არ ჟამი საკეხარია; ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დაგვიხმან¹ კარია.

«ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ² მზრდიდიან, მასწავლნეს მათნი საქმენი, მახტუნებდიან, მწერთნიდიან; ასრე გავიდი საბელსა³, რომ თვალნი ვერ მომკიდიან; ვინცა მკვრეტდიან⁴ ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.

«აწ ვინცა იცით უკეთა შეტყორცა⁵ საგდებელისა⁶, მას ერთსა ბურჯსა⁷ ვარდევადოთ წვერი საბლისა გრძელისა; მას ზედა გავლა ადვილად მიჩანს მართ ვითა ველისა; თქვენ ჰირად გიყო შიგნითა პოვნა კაცისა მრთელისა.

«აბჯრითა⁸ გავლა არად მჩანს ჰირად, გატანა ფარისა, შიგან ჩავხტები კისკასად⁹, ვეცემი მზგავსად ქარისა, ლაშქართა დახვოც, გაეახვამ¹⁰, — მნახოთ გაღება კარისა, — თქვენცა მუნ¹¹ მოდით, სადაცა გესმათ ზრიალი ზარისა»¹².

ავთანდილ უთხრა: «ჰე, ფრიდონ, მოყვანსი¹³ ვერ გიჩივიან; ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი¹⁴ გტკივიან; სთათბირობ ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ-ივიან¹⁵, მაგრა, თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ჰყივიან¹⁶!

რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმას აბჯრისა ჩხერება¹⁷, გიგრძნობენ, თოქსა მოჰკვეთენ, ამისი ხამს¹⁸ დაჯერება; წაგინდეს ცულად ყველაი, დაგრჩეს ცული-ლა ფერება¹⁹; ეგე თათბირი არ ვარგა, სხვებრ ვქმნათ თავისა ტერება²⁰.

სჯობს, დადევით დამალულნი თქვენ ადგილსა იღუმალსა²¹, — ისი კაცნი არ იჰირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა — სავაქროდა შევეკახში, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა²², ერთსა ჯორსა გარდაეკიდებ მუზარადსა²³, ჯაქვსა, ხმალსა.

¹ დახშვა—დაკეტვა. ² მუშაითობა—ჯამბაზობა. ³ საბელი—თოკი. ⁴ მკვრეტა—ხედვა, ცქერა. ⁵ შეტყორცა—გასროლა, მალა აგდება. ⁶ საგდებელი—გრძელი თოკი. ⁷ ბურჯი—მალაი კოშკი. ⁸ აბჯარი—საომარი იარაღი და ჩაცმულობა. ⁹ კისკასი—ცქვიტი, მარდი. ¹⁰ გახამა—გაღება. ¹¹ მუნ—იქ. ¹² ზარი—ხმაურობა. ¹³ მოყვანი—მეგობარი. ¹⁴ წყლული—პრილობა. ¹⁵ ივაგლახ-ივიან—«ვაგლახ-სა და «ვაჟ-ს (=«ვიჟ-ს) იტყვიან. ¹⁶ ყივილი—კივილი, ძახილი. ¹⁷ ჩხერება—ჩხარა-ჩხური. ¹⁸ ხამს—უნდა, რიგია. ¹⁹ ფერება—გამოჩენა. ²⁰ ტერება—პატრონობა, შევლა, მოკლა. ²¹ იღუმალი—საიდუმლო, დაფარული. ²² მუხთალი—ღალატანი. ²³ მუზარადი—რკინის ჩაბალახი, ჩაჩანი.

სამთავე შესვლა არ ვარგა: თუ გვიგრძნან, არს სათუები¹;
 მე მარტო შევალ ვაქრულად და კარგად შევეტყუები²,
 მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გაეჩნდები, გავეცრუები.
 ღმერთმან ჰქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები.

შიგნითა მკველთა მოვიკლი მე უნახავად ჯარისად;
 თქვენ გარეთ კართა ეცენით, ყოველნი მზგავსად ქარისად;
 კლიტეთა დავლენ, გაეახვამ, მნახოთ გამღებად კარისად.
 თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ჰბრძანეთ, ვარ მრჩეველად ამა გვარისად».

ტარიელ უხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა,
 თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა:
 ვიცი, გწადთ ომი ფიცხელი, არ ცული ხმალთა ღირობა³.
 კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან შეჰქმნას ჭირობა.

მაგრა⁴ იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
 ხმა ესმას ჩემსა ხელმკნელსა⁵, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა,
 თქვენ გქონდეთ ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა!
 ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა⁶.

მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახსენები:
 გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები.
 სამთავე სამგნით მიემართოთ, ფიცხლავ დავსხლიტოთ ცხენები;
 მოგვეგებინან, ვემცრობით⁷, ჩვენ ხმალსა მივცეთ მძლე ნები⁸.

ფიცხლა შევებნეთ, შევეჯარნეთ⁹, ვერ მოგვასწორებენ კარებსა,
 სამთაგან ერთი შეუვალთ, სხვა გარეთ ვცემდეთ ბარებსა¹⁰,
 მან ერთმან შიგნით შიგანი მივსცეთ სისხლისა ღვარებსა.
 ხელი კვლავ ვხალოთ¹¹ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლედ ნახმარებსა“.

კვლავ ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ პირმკვახები,
 დაასკენეს¹² იგი თათბირი, ტარიას განაზრახები¹³:
 გაიყუეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები;
 ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები.

იგი ქაპუკნი შუქითა ენახენ მზისაცა მეტითა:
 მათ სამთა შეიღნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა,

¹ სათუები—საეკველი. ² შეტყუება—მოტყუებით გასაღება. ³ ღირობა—მოღერება, მოქნევა. ⁴ მაგრა—მაგრამ. ⁵ ხელმკნელი—გამაიჭებელი (იგულისხმება ხესტან-დარეჯანი).
⁶ სათნევი—პირფერობით სათქმელი. ⁷ ვემცრობით—მცირედ (ყოტად) ვეჩვენებით. ⁸ ნები—ხელისგული; ნება. ⁹ შეჯარვა—მისევა, შეგროვება. ¹⁰ ბარი—მიწის სათბრელი რკინის იარაღი. ¹¹ ეხალოთ—მიყვით. ¹² დასკენა—გადაწყვეტა. ¹³ განაზრახული, მოთქმული, წარმოთქმული.

ტარიელ შავსა ზედან¹ ზის ტანითა მით წერწეტითა²,
დაჰლივენეს მტერნი ომითა, ვითა მკვრეტელნი, კვრეტითა.

ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა სწვიმდენ ღრუბელნი და მათათა აღტყდეს ღვარია,
მოვა და ხვეთა მოჰგრაგნის³, ისმის ზათქი⁴ და ზარია,
მაგრა, რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეთა წყნარია.

თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთემიუწდომია,
მაგრა ტარია შემბმელი არვისგან მოსანდომია:
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცალა ნათლად ხომია⁵.
აწ იყურები, მსმენელო? გესმნეს ფიცხელი ომია!

სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები;
თანა ჰყავთ კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები⁶.
მას ღამით უქმნეს სადარნო⁷, უცრუო, ანაჩქარები;
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავის-თავ ჰქონდათ ფარები.

ანაზლად⁸ ცხენი გაჰქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.
რა ჰნახეს, კარნი გაახენეს⁹, ქალაქით გაჰხდა ზრიალი.
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი¹⁰,
იკრეს ნობსა¹¹ და დაბდაბსა¹², შეიქმნა ბუკთა ტყრციალი¹³.

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა¹⁴ ღვთისა:
კრონოს¹⁵, წყრომით შემხედველმან, მოიშორა სიტკბო მზისა:
მათვე რისხვით გარღუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა.
ველნი მკედართა ვერ იტევდა, გაღიადდა ჯარი მკედრისა.

ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან¹⁶ შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიტნეს, სისხლნი მათნი მოელვარნეს,
იყივლეს და ერთმანეთი ჰნახეს, დიდად გაეხარნეს;
სთქვეს: „ტარიელ რა იქმნაო?“ მისად კვრეტად თვალნი არნეს¹⁷.

ერთმანცა არა იცოდა, ვერა სცნეს ტარიელისა.
ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდათ მტერისა;

¹ შავსაზედან—შავ ცხენზედ. ² წერწეტი—წელში წერილი და მაღალი. ³ მოჰგრაგნის—მიხვევ-მოხვევით მოდის. ⁴ ზათქი—დიდი ხმაურობა. ⁵ ხომი—ხომლი, ვარსკვლავთ კრებუ-ლი. ⁶ დარი—მსვავსი, ტოლი. ⁷ სადარნო—დაზვერვა, დათვლიერება. ⁸ ანაზლად—უცხად. ⁹ გაახენეს—გააღეს. ¹⁰ რიალი მარცხი; ფათერაკი. ¹¹ ნობი—სალაშქრო საყვირი. ¹² დაბდა-ბი—დაფი. ¹³ ტყრციალი—ბუკის (საყვირის) ხმა, ყვრილი. ¹⁴ რისხვა—წყრომა. ¹⁵ კრონოს—სატურნი ანუ ზუალი (ცთომილი მნათობია). ¹⁶ ერთგან—ერთად. ¹⁷ არნეს—შიშოავლეს.

მუნ¹ ჰნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხმალთა წვერისა,
ათი ათასი ნობათი² უსულო, მსგავსი მტვერისა.

ციხისა მცველი ყველაი იღვა, მართ ვითა სნეული,
თავით ფერხამდი დაქრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი³, კართა ნალეწი სრეული⁴.
სცნეს ნაქმრად ტარიელისად, სთქვეს: „საქმე ჯრს მისეული“.

გზანი დახვდეს შეკაზმული, შევიდეს და გაძვრეს ხერელსა;
ჰნახეს: მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა,
მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმასა ლელსა⁵,
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაექდო ყელი ყელსა.

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინართა,
აკოცა მისთა მშველელთა ლაღმან⁶ ცნობითა წყნართა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნართა⁷.
ორნივე ერთგან უბნობდეს ტურფითა საუბართა.

ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს⁸,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს;
არა სქირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,
თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს⁹.

სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა;
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა, მაგრა ერთკერძ¹⁰ უხაროდა;
მოჰნახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი ღარჩომოდა;
რომე ჰპოვეს საქურქლენი, აწმცა თვალვით ვით ითქმოდა!

მოჰკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით ჰპოვეს მალეები;
სამი-ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალეები;
იგი მზე შეჰსვეს კუბოსა¹¹, არს მათგან განაკრძალეები¹².

სამოცი კაცი დაადდეს, ქაჯეთის ციხის მცველია.
წამოიყვანეს იგი მზე, —მათილა წაგვრა ძნელია; —

¹ მუნ—იქ. ² ნობათი—დარაჯი, ყარაული. ³ განხმული—გაღებულნი. ⁴ სრეული—განა-
ტყორცი, მიყრილი-მოყრილი. ⁵ ლელი—წერილი ლერწამი; „თმა ლელი“—შეიძლება ნიშ-
ნადდეს წმინდა თმას. ⁶ ლაღი—თამაში. ⁷ ნარნარი—ნაზი და საამური. ⁸ ალვის მორჩი ხე—
ალვის ნორჩი ხე. ⁹ იშვლეს, ითხეს—შვლად და თხად აქციეს. ¹⁰ ერთკერძ—ერთი მხრით.
¹¹ კუბო—ხელითან აქლემით სატარებელი ტახტრევეანი. ¹² განაკრძალეები—მორიდებულნი.

ზღვათა ქალაქსა დაჰმართეს¹, თუცა გზა მუნით² გრძელია; სთქვეს: „ფატმან ვნახოთ, მუქათა³ გვაძს⁴ მისი გარდუხდელია“.

მეხუთე ნაწილიდან:

19 ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა

ძაჯეთის ციხიდან წაწოსულმა გმირებმა ჯერ ფატმანი ინახულეს და შემდეგ ფრიდონისას შეიარეს (მულაზანზარში), სადაც ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი მოხდა.

მათ ქალ-ყმათათვის საჯდომი დაედგა თეთრ-ძოწეული⁵, წითელ-ყვითლითა თვალითა ზედა კეკლუცად ფრქვეული⁶; ავთანდილისთვის ყვითელი და შავი ერთგან⁷ რეული.

მივიდეს, დასხდეს; მკვრეტელნი ვცან მათი სულდალეული.

მგოსნები⁸ მოდგეს, ისმოდეს ხმა სიმღერისა ტკბილისა; ქორწილი ჰქმნეს და გამრავლდა ძნობა ლარისა⁹ ღობილისა ფრიდონის, პურად კარგისა, არ მასპინძლისა წბილისა¹⁰. ნესტან-დარეჯანს უშეენის ღიმილი, ჩენა კბილისა.

მოიღეს¹¹ ძღვენი უსახო¹² ფრიდონის არ აღქატისა¹³, ცხრა მარგალიტი სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა, კვლავ ერთი თვალი, სამზგავსო მზისა შუქმონამატისა: მას წინა ღამით ძაღვდვას¹⁴ მხატვარსა ხატვა ხატისა.

კვლავ უძღვნა თვითო ფარლული¹⁵, გარდასაყრელი ყელისა, მრგვლად დათლილისა თვალისა, იაგუნდისა¹⁶ მრთელისა; კვლავ მოაქვს ერთი ტაბაკი¹⁷, მძლედ საჭირავი ხელისა, ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა¹⁸.

იგი ტაბაკი საესვა მარგალიტითა სხვილითა.

ავთანდილს უძღვნა ყველაი არა სიტყვითა წბილითა.

¹ დამართვა—დაშურება, მიმართვა. ² მუნით—იქიდან. ³ მუქათა—სამაგიერო, სანაცვლო. ⁴ გვაძს—გვაქვს, გვაძევს ვალად. ⁵ ძოწეული—წითელი. ⁶ ფრქვეული—მოფანტული. ⁷ ერთად. ⁸ მგოსანი—მომღერალი. ⁹ ლარი—ქონება, ძვირფასეულობა; ლარი ღობილი—ფარჩეული, აბრეშუმეული. ¹⁰ წბილი—შერცხვენილი. ¹¹ მოღება—მოტანა. ¹² უსახო—უზომო, ურიცხვი. ¹³ აღქატი—ღარიბი, გლახა. ¹⁴ ძაღვდვას—შეძლოს. ¹⁵ ფარლული—ყელსაბამი მძივი. ¹⁶ იაგუნდი—მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა. ¹⁷ ტაბაკი—მისართმევი ხონა. ¹⁸ ქველი—უხვი.

აივსო სახლი სტავრითა¹ და ოქსინოთა² ლბილითა.

ტარიელ მაღლი უბრძანა ლალმან სიტყვითა ტკბილითა.

ფრიდონისგან უსაზომო³ ქორწილია დღესა რვასა;
ყოვლთა დღეთა მიართმევდენ უფასოსა ძღვენსა მზასა;
დღე და ღამე არ გასწყვეტდის ჩაღანა⁴ და ჩანგი ხმასა;
აჰა, მიჰხედეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.

20 დასასრული

მულაზანზარიდგან გმირები არაბეთს გაემგზაურნენ, სადაც ასეთისავე ამბით ავთანდილისა და თინათინის ქორწილი გადაიხადეს. შემდეგ როსტევეანმა ტარიელს წაატანა 80.000 მხედარი ინდოეთის განსათავისუფლებლად, რომელიც მტრებისაგან იყო დიდად შევიწროებული. ტარიელს და ნესტან-დარეჯანს თან ვაჰყვნენ ავთანდილი და ფრიდონი.

ზემართეს და წავიდეს დია სპითა და ბარგითა
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ თავითა მეტად კარგითა;
კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა.
მივლენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა...

ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხედა⁵ მათი საწადელი:
შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი⁶.
მათ პატიჟთა⁷ დაავიწყებს ღვინი ესე აწინდელი.
ყოლა⁸ ღვინთა ვერ იამებს კაცი, ღვინთა გარდუხდელი...

ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს, მისსა შეკდომილსა:
„არაჲა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ გამზრდელსა, არაჲა ზრდილსა;
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა ერიასა წილსა
ზედან დაგვამ, შენი იყოს, გემსახურებდი ტკბილი ტკბილსა.

ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე,
მუნიღალმე⁹ გემსახურებდი, თავი შენი დაგვამონე“.
ასმათ ფერხნი გარდუკონა: „შენგანაო ჩემი ღონე,
მონებისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე!“

¹ სტავრა—ძვირფასი ქსოვილი. ² ოქსინო—ოქროქსოვილი ზავერდი. ³ უსაზომო + ჩაღანა—ტაშის ცემა. ⁴ მიჰხედა—ერგო, აუსრულდა. ⁵ საშვებელი—სალხენი; გაუცდელი—უჩანავი. ⁶ პატიჟი—ტანჯვა. ⁷ ყოლა—ყოვლად, სრულიად. ⁸ მუნიღალმე—იქიდგან.

ერთგან სამთავე ძმოზილთა დაჰყევს ცოტაი დღენია.
თამაშობდიან, უსახო მიუდიოდის ძღვენია.
რა მარგალიტი ღარიბი¹, რა უკეთესი ცხენია:
მაგრა აეთანდილს სურვილმან დაღრეჯა² დააჩენია.

ამიტომ აეთანდილი გამოეთხოვა ტარიელს და ნესტან-დარეჯანს და გაე-
შურა არაბეთისაკენ; მასთან ერთად ფრიდონიც თავის სამეფოში დაბრუნდა.
ამიერიდგან ამ სამთა შორის სამაგალითო კავშირი დამყარდა:

მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ჰნახვიდიან, საწადელი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხმალთად დავეწყულულდეს³,
მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორკმულდეს⁴.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვერივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

ბოლოსიტყვაობიდან:

ძართველთა ღეთისა⁵, დავითი⁶ ვის-მზეს მსახურებს მა-რებლად⁷,
ესე ამბავი გავლექსე მე მისად საკუმარებლად⁸,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა⁹ მარებლად¹⁰,
ორგულთა მისთა დამწველად, ერთგულთა დამახმარებლად.

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია—მავთელსა, ლექსი მას უქქეს რომელსა,

¹ ღარიბი—ობოლი, იშვიათი. ² დაღრეჯა—დაღვრემილობა, მოწყენა. ³ მათთა ხმალ-
თად დავეწყულულდეს—მათისავე ხმლით დაიკონენ, შეიმუსრნენ. ⁴ გამორკმულდება—გაბედ-
ნიერება, გადიდება, გაძლიერება. ⁵ ძართველთა ღმერთად აქ წოდებულია თამარ-მეფე.
⁶ დავითი—თამარის ქმარი დავით სოსლანი (თამარმა შეირთო 1189 წელს; გარდაიცვალა
1207 წელს). ⁷ მა—მამ (სპარსულია), მთვარე; რებელი—მრებელი, მსვლელი, მგზავრი;
„მარებლად“—თანამგზავრ მთვარედ. ⁸ კუმარი—თამაში, გართობა; საკუმარებლად—გა-
სართობად. ⁹ ზარი—თავზარი, შიში. ¹⁰ მარებელი—მავლინებელი; „ზართა მარებლად“—ზი-
შის მავლინებლად, თავზარის დამცემად.

დილარგეთ—სარგის თმოგველსა¹, მას ენადაუშრობელსა,
ტარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა².



¹ „დილარგეთი“ ანუ „დილარი“ მთავარი გზირი სარგის თმოგველის დაკარგული რომანისა „დილარიანისა“ ანუ „დილარგეთიანისა“. სარგის თმოგველი იყო თამარისა და მისი უახლოესი მეგობრების დროის მოღვაწე და მგოსანი.

² ამ ხანაში რუსთაველზე ლაპარაკია როგორც მესამე პიროზე, რაც ცხადყოფს, რომ ხანა თვით რუსთაველს არ ეკუთვნის, არამედ სხვა მწიგნობრის ნაწარმოებია. ამ ხანაში დაცულია სალიტერატურო გადმოცემა კლასიკური პერიოდის ქართველ მწერალთა შესახებ და ჩვენც ამიტომ შემოგვაქვს ჩვენს ქრისტომატიაში.

III

განახლების პერიოდი

საზოგადო მომოსილვა

მე-XIII-ე საუკუნიდგან, მონგოლთა შემოსევის წყალობით, საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა: შეერთებული ქვეყანა დაირღვა პოლიტიკურად და ჩამოქვეითდა კულტურულად, რასაც თან მოჰყვა მწერლობის დაცემაც. მე-XV-ე საუკუნის მეორე ნახევარში ამ პროცესს კიდევ სული შეუწყო ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობამ (1453 წ.), რამაც საქართველო დიდის ხნით ჩამოაშორა საქრისტიანო სწავლა-განათლების ცენტრებს. ამ მდგომარეობამ გასტანა მე-XVI-ე საუკუნემდე.

მე-XVI-ე საუკუნეში აღმოსავლეთის საქართველო პოლიტიკურად სპარსეთის გავლენას დაემორჩილა, დასავლეთის საქართველო და შესესეთი კი—ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამ ორ ძლიერ მესობელთა შორის კულტურული უპირობობა სპარსეთს ეკუთვნოდა, ოსმალეთი კი სწავლაგანათლებით საქართველოზე ბევრით დაბლა იდგა. სწორედ ამის გამო ქართული მწერლობის განახლების ხანა იმ მხარეში დაიწყო, რომელიც შედარებით უკეთეს კულტურულ პირობებში იმყოფებოდა: სპარსეთის შაჰის კარზე აღზრდილმა ქართლ-კახეთის მეფე-დიდებულებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართული მწერლობის განახლებას. გადმოითარგმნა მრავალი სპარსული ზოგადად და საგმირო მოთხრობა, იგავ-არაკები და სხვანი; წარმოიშვა მრავალი მიმბაძველობითი ნაწარმოები; მხოლოდ, ახლა ჰბაძავდნენ არა მარტო სპარსულ ორიგინალებს, არამედ კლასიკური პერიოდის ქართულ ნაწერებსაც. ერთი სიტყვით, აქაც დაახლოებით იგივე მოხდა, რაც საქართველოში მწერლობის კლასიკურ პერიოდში: განახლების ხანაც თარგმანებითა და მიმბაძველობით დაიწყო. ამ მიმართულების მგონათა შორის ერთი პირველ ადგილთაგანია თეიმურაზ-I-მეფეს უჭირავს.

მაგრამ თარგმანები და მიმბაძველობა მხოლოდ ერთი მხარე იყო ამ პერიოდის ქართულის მწერლობისა. პოლიტიკურმა და ეროვნულმა ბრძოლამ სპარსელებთან ქართველ ხალხში გამოადგია ეროვნული სული, ნაციონალური გრძობა, მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი და ინტერესი

თვასის ეროვნული წარსულისადმი. ქართველ მგოსანთა მთელმა რიგმა უკუკადო სპარსული ზღაპრული და ეროტიული (სატრფიალო) სიუჟეტები და უმთავრესი ეურადღეობა ქართველი ისტორიული პირების დახასიათებასა და ნამდვილი ცხოვრების დასურათებას მიაქცია. ამ ჯგუფის მწერალთა შორის ქრონოლოგიურად **არჩილ მეფეს** პირველი ადგილი უნდა დაეთმოს; მაგრამ პოეტურის აღმაფრენით დავით გურამიშვილს ვერავინ შეედრება.

IX მეფე თეიმურაზ I-ელი

1591—1663

თეიმურაზ I-ელი დაიბადა 1591 წლის მახლობლად. მამა მისი, დავით ალექსანდრეს ძე, მხოლოდ 6 თვეს ითვლებოდა კახეთის მეფედ. დედა მისი ქეთევან, რომელიც სპარსელებმა 1624 წელს აწამეს და დღეს ქართველ წმინდანთა შორისაა ჩარიცხული, მუხრან-ბატონის ასული იყო. მამის სიკვდილის შემდეგ, 1603 წელს, თერთმეტი წლის თეიმურაზი შაჰაბაზ I-ელმა სპარსეთს გაიწვია, ხოლო 1605 წელს, როცა ბიძამისმა, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ, თავისი მამა (ალექსანდრე II) და ძმა (გიორგი) მოჰკლა,— შაჰმა 13 წლის თეიმურაზს კახეთის მეფობა უბოძა და დიდის ამბით გამოისტუმრა სამშობლოსკენ. ახალგაზდა მეფე ხალხმა აღტაცებით მიიღო გრემის სასახლეში. მალე იგი მეფედაც აკურთხეს, ხოლო სამი წლის შემდეგ, 16 წლის თეიმურაზს დედა მისმა ცოლად მოჰკვარა გურიელის, გურიის მთავრის, ასული ანნა. მაგრამ ორი წლის შემდეგ ანნა-დედოფალი გარდაიცვალა და თეიმურაზს დაუტოვა ორი ობოლი: ლევანი და ალექსანდრე, რომელნიც, შემდეგში, თეიმურაზზე გაბრახებულმა შაჰ-აბაზმა სპარსეთს გაიწვია და გამოასაქურისა, რისგამოც ერთი გარდაიცვალა, ხოლო მეორე კჳუხე შეცდა.—ბევრი მწუხარება და ვაი-ვაგლახი გამოსცადა როგორც თეიმურაზმა, ისე მთელმა საქართველომ შაჰ-აბაზის წყალობით.

მე-XVI საუკუნიდგან კახეთის მეფეებს საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდათ რუსეთის მეფეებთან და ზოგიერთმა მათგანმა ერთგულობაც კი შეჰფიცა მოსკოვის მეფეებს. ამას ვერას გზით ვერ ურიგდებოდა შაჰაბაზ I-ელი და ყოველ ღონეს ხმარობდა სრულიად მოესპო ქართველებში რუსეთთან დაახლოების სურვილი და ყველაფერი, რაც ამ სურვილს ხელს უწყობდა. შაჰაბაზი ცდილობდა ქართველებში მაჰმადიანობა შემოეტანა; და, როცა ეს ვერ მოახერხა, ათასობით და ასი-ათასობით დაუწყო ქართველებს სპარსეთში გადასახლება, და მათ ადგილებზე თავისი ერთგული სპარსელები გადმოასახლა (კახეთში).—თეიმურაზს სიკვდილამდე მოსვენება არ უნახავს: იგი რამდენჯერმე აიყვანეს კახეთისა და ქართლის ტახტზე და იმდენჯერვე ჩამოაგდეს ტახტიდგან; თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს გარეშე გაატარა: რამდენჯერმე მიმართა რუსეთს, იყო თვით სპარსეთის სასახლეშიაც, ბევრჯელ თავი დაიმცირა, რომ ტახტი

დაებრუნებია როგორმე, მაგრამ ამოდ: ერთხელვე საუკულმართოდ გადაბრუნებული ბედის ჩარხი წალმა აღარ დაბრუნებია. ამ ვაი-ვაგლახსა და უცხოობაში ყოფნის დროს გვირგვინოსანი მეფე ერთად-ერთს ნუგეშს მოსწონებაში ჰპოებდა, რითაც იმავე დროს საშობლო ლიტერატურის გამოცოცხლებასაც ხელს უწყობდა. იგი გარდაიცვალა 1663 წელს, სპარსეთში, ქალ. ასტრადადს. გარდაცვალების წინ მრავალტანჯულმა მეფემ ბერობა მიიღო. შაჰის ნებართვით ქართველებმა მისი გვამი საშობლოში გადმოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს.

როგორც ზემოდ შევნიშნეთ, ვაი-ვაგლახსა და უცხოობაში მყოფი მეფე ერთად-ერთს ნუგეშს მწერლობაში ჰპოებდა, რითაც იმავე დროს საშობლო ლიტერატურის გამოცოცხლებასაც ხელს უწყობდა. რადგან ბავშობიდან სპარსეთის კარზე აღზრდილი იყო და სპარსულ მწერლობას კარგად იცნობდა, თავისი ჩანგის საგნად სპარსულ სიუჟეტებს უფრო ეტანებოდა, პირდაპირ სთარგმნიდა ან თავისებურად გადმოაკეთებდა ხოლმე. თეიმურაზის ნაწერთა ამ ჯგუფს ეკუთვნის: «ვარდ-ბუღბულიანი», «შამი-ფარვანიანი» (სანოელი და ჰეპელა), «ლეილ-მეჯნუნიანი» და სხვანი. თეიმურაზ-მეფემ ორიგინალური ლექსებიც დაგვიტოვა, როგორცაა, მაგალითად, პატარა ლექსი «ქართველები» (ქართველ ტომთა დახასიათება) და ვრცელი ჰოემა «მაჯამა»¹. მისი სტილისა და მიმართულების დასახასიათებლად სანიმუშოდ ვებეჭდეთ «ვარდ-ბუღბულიანს» შემოკლებით და თავებად დაყოფით, რაც ორიგინალში არაა.

¹ მაჯამა—ისეთს ლექსსა ჰქვია, რომელშიაც ვგრეთწოდებული „ზმა“ არის, მაგალითად:

ზამბამა პირი გაშალა, იგ თავის სულ მან დახარა.

ვთქვი: „ჩემთანც მოდი საყოფსა, ბაღშიგან, სულ მან და ხარა!“

«მარდ-ბულბულიანი»

შემოკლებით

I

შესავალი

ჰე, არისა¹ შემოქმედო! შენგან არის ყოვლიფერი:
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი², დარი შისა მონაფერი.
ვერვის ძალ-უც³ ხორციელსა ქება შენი შესაფერი.
შენმცა მრისხავ, მოწყალეო, თუ ტყუილად მოგეფერი!..

ვარდისა და ბულბულისა ვის გაბჰობა⁴ არ ასმოდეს,—
მას იამოს ეს ანბავი, თუ ვისთვისმე ხელი⁵ რბოდეს;
ვის მახელი⁶ გულად ედვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწოოდეს⁷,
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს.

II

ვარდობა

ზღვა დაწყნარდა ლელვისაგან, შეიცვალა ქაჩკეთილად,
ვითა გული გამწყარალისა დამშვიდდა და იქმნა ლბილად;
მყინვარება, ზამთრის ყინვა დადნა, გალხვა, ვითა ცვილად⁸;
ხეთა იწყეს შემოსადვე პირველისა დანაწყვილად⁹.

წელიწადის მოქცევამან¹⁰ მიწის პირი განაახლა;
იგ ოსტატი ხელოვანი პირველ¹¹ იყო, განა ახლა!

¹ არსი—ყველაფერი რაც არსებობს, რაც არის. ² ხმელი—ხმელეთი. ³ ძალ-უც, ძალ-უმს—შეუძლია. ⁴ გაბჰობა—კაშათი. ⁵ ხელი—გაბეღებულის, გაშმაგებულის, გივი. ⁶ მახელი—ხმალი. ⁷ სწვეოდეს. ⁸ ცვილი—თაფლის სანთელი. ⁹ „პირველისა დანაწყვილად“—როგორც თავდაპირველიდგან იყო დაწყობილ-დაწყესებული. ¹⁰ მოქცევა—შემობრუნება. ¹¹ პირველ—თავდაპირველ, თავიდაგანვე.

ქარი, მიწა, ცეცხლი, წყალი ერთმანერთსა თან აახლა;
ცა ყინვაზედ, ყინვა წყალზედ აღრიდგანვე დაასახლა.

და უსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან;
მოგვართვა სული სურნელი; იგ საყნოსელომან¹ იამა²;
თავ-მოდრეკილმან სიმდაბლით, არ თავი გაიზვია³ მან;
ტკბილად შეხედნა თვალმან და გულისა კარმან ღიამან...

ზამბახმან⁴ პირი გაშალა, იგ თავის სულმან დახარა,
ავგავსო სურნელეებითა, ზედ ყოველმან სულმან დაჰხარა⁵;
ვთქვი: „ჩემთანც მოდი სამყოფსა, ბალშიგან—სულ მანდა ხარა;
ფვიცავ, ან ძმა ხარ ვარდისა, ან,—ჩემმან სულმან,—და ხარა!“...

ნარგისი⁶ მოვა შევენებით, ყვითლითა შემოსილაო;
არ ვიცი, ვის ჰგავს, სით მოვა, მისი გვარი დავსილაო;
მისითა სურნელეებითა წალკოტი⁷ სულ ავსილაო,
გამდიდრებულა ბალი და მებაღე არ დავსილაო.

ყაყაო და არღაევანა⁸ ერთმანერთსა ედარების:
„სიტურფით და შევენებითა ფერად ვერვინ გვედარების;
სურნელეებით გვაქარბებენ, ჩენი გული ამით ჰკნების,
მივიდეთ და გავერივნეთ, მათში ნურვინ გამოსწყდების!“

სოსანმან⁹ უთხრა რიანსა¹⁰: „ქუფრი¹¹ გაქვს თალხი ფერები,
გიგავს რამ მგლოვიარესა, გული გჩანს დანაბერები,
შენ სული გიდის სურნელი, ტურფა რამ მონაბერები;
სული გაქვსა და შევენება, მათ თან მეც შევეფერები!“

ვით გიამბო რიცხვი, ზომი მათ ყვავილთა გარეგანთა?...
სურნელნი და მრავალ-ფერნი, არ თუ მსგავსნი ეკალ-ნართა!...

თქვეს: „მოველით უკეთესსა; მოვა,—საქმე წარგვემართა;
ჰფერობს ჩენი ხელმწიფობა... რად დაყოვნდა¹², არ მოგვემართა?!“

თქვეს: „რა გვექმნების უმისოდ ვარდისა მომლოდინესა?
ჩვენ თავი დაგვიძს¹³ სამონოდ, მისთვის გლახ ცრემლთა მდინესა!“

¹ საყნოსელი—ყნოსვა, გრძობა ყნოსვისა, ორღანო ყნოსვისა. ² იამა—სასიამოვნოდ მიიღო. ³ გაზვიადება—გაბერვა, გადიდება; თავის გაზვიადება—გაამაყება, გაამაპრტუნება. ⁴ ზამბახი—შროშანა (ყვაილია). ⁵ დაჰხარა—გაიხარა, ისიამოვნა. ⁶ ნარგისი—მეტად სურნელი თეთრიფერის ყვაილი. ⁷ წალკოტი—ყვაილეების ბალი. ⁸ არღაევანა—წითელი ფერის ყვაილია. ⁹ სოსანი—მოლურჯო ფერის ყვაილი. ¹⁰ რიანი, რეპანი—შაშპრა, სურნელოვანი ყვაილ-მტენარეა. ¹¹ ქუფრი—შავი ფერი. ¹² დაყოვნება—დაგვიანება. ¹³ დაგვიძს—გადადებულნი გვაქვს.

მოვიდა, ნახეს გაშლილი, თქვეს: „ეგზომ ტურფა ვინ ესა?!“
თაყვანი სცეს და შეიტკბეს, გალიმდეს, გაიცინესა.

მათ შუა დასვეს ხელმწიფედ,—იგი მისებრივე შვენოდა;
ეგზომი მათი სიტურფე მასთან არ გამოჩნდებოდა;
მეფე, გლახა და მდიდარი იშვებდენ¹, არ მოსწყენოდა;
იგ მისთვის ხელი² ბულბული თავს ევლებოდა, მდეროდა.

ბალი, ბაღა და წალკოტი შეამკო, დააშვენა მან;
მან მონად შექმნა ყოველი, თეთრ-წითლად შუქთამფენამან;
სრულ საყნოსელი აავსო სურნელებისა დენამან.

ველარა ჰქმნა რა სევდამან, შექირვებამან³, წყენამან.

ყველამ მომართა სალხინოდ იგ ვისცა სცაღდა, ვის არა.
რცხვენინან ქირისუფალსა, თვარ შექირვებით ზის არა...

შელეწეს ზლუდე-კარები, ლობემან ველარ ისარა⁴...

რალა იციან ლამისა, ან მზისა ამოსვლისა რა!

III

ვარდი და მებაღე

ბულბულისა რალა გითხრა მრავალგვარად ყეფა-მღერა?
მისმან ეგზომ ხელობამან ყოვლი სული შეაჯერა.

იგ სულისა დაუღებლად⁵, ზახილი⁶ და ცრემლთა დენა
ვარდმან ნახა, ითაკილა, შეუვიდა გულსა წყენა.

მან ერთ დღე იხმო მებაღე ხალვათად⁷ თავის წინარე;
თქვა: «გკითხავ რასმე, მიანბე, თვარე გყო ცრემლთა მდინარე!
ბევრ-მრავალგვარად მხმობელი⁸, მითხარ ეს ჩიტი ვინ არე?⁹
კვდების, იწვის და იძახის, არვის უნახავს მძინარე.

«რა მე მოვსრულვარ, მას აქათ ბრუნავს ამ ჩემსა არესა;
დაფრინავს სრულა ხე-და-ხე, იძახის, კვენესის მწარესა,
რა გამეღვიძოს, აქ ვნახავ ჩემზედა დამბრუნვარესა,
ჰირს არ შეიღებს, არ გავლის გარეთ ბალისა კარესა.

¹ შეება—მოღენა. ² ხელი—გაგიყვებული. ³ შექირვება—მწუხარება. ⁴ ისარა—სარობა
ველარ გასწია, ველარ შეიმაგრა თავი, ველარ გაუძლო. ⁵ სულის დაღება—შეჩერება, შესვე-
ნება. ⁶ ზახილი—ძახილი, ხმაურობა. ⁷ ხალვათად—მარტოდ. ⁸ მხმობელი—მგალობელი.
⁹ არე—არის.

«ბევრჯელ მინახავს უსულოდ ეკალთა ძირთა მდებარე. გავბედავ უთხრა: „დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებაღე“; იტყვის: -ცოცხალ ვარ, რადმმარხავთ? გულსა ცეცხლი მწვაეს მდებარე!“ აწ მითხარ, მე და ეს ბალი შენს ხელთ ვართ, შენ მოგებარე!»

მებაღე ჰკადრებს: «ტურფაო თვალად, ფერად და სულადო! იხარებს ყოვლი ქვეყანა, ამოხვალ კარგ-უსულადო²; მე შენი სამსახური მაქვს ჩემად სიცოცხლედ სრულადო, მე ვხედავ ამა საწყალსა, ჰკვისაგან, გარდასულადო!

«მიბრძანე: „მითხარ მართალი“, თვარ ვიკადრებდი მე რადო? შენთვის კვდების და იწვეების პირის-პირ გიზის მზერადო; თავსა გვეღვების ხელქმნილი³, ზედ დაკეკიკეკებს მღერადო, აწ შენცა ჰკითხე, გიამბოს; უბრძანე: „დამკვენს მე რადო?“

«რა წახვალ, დაიკარგების; რა მოხვალ, მოვა ესეცო; გაკვდების თავგაწირული, ხედავ? ლახვარსა⁴ ეს ეცო! უსახლკარო და ლარიბი, ცოტა რამ ტანსა ეს ეცო, რას გერჩის, თვარემ შენ იცი, გაგვაგდებინო ესეცო.

თუ რასმე მკითხავ, დაეხსენ: იყოს ამ შენსა არესა, ამოა⁵ ტკბილი მხმობელი, ნუ მოშლი ბალის კარესა, ბრალია აქ არ იძახდეს, კაცმან გააგდოს გარესა». არ დაიშალა, ბულბულსა სიტყვასა ეტყვის მწარესა.

IV

ვარდი და ბულბული

აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მქისე⁶ რამე, არ თუ ტკბილი: «სადა მე და ან ვინ შენა, ხელი⁷ ხარ და ან შეშლილი! ჰყეფ, ⁸ იძახი დღე და ღამე, გამიკრთების თვალთა ძილი, საქმე ხელად აგილია, ერთობ ძნელი, არ ადვილი».

¹ მოგებარე—მოგებარეთ. ² უსული—ლამაზი, ტურფა. ³ ხელქმნილი—გაგიჟებული. ⁴ ლახვარი—შუბი. ⁵ ამო—საამო. ⁶ მქისე—მკეხე, უზრდელი. ⁷ ხელი—გიჟი. ⁸ ყეფას ჩვენი პოეტები ხშირად ეძახიან ბულბულის კვნესას, გალობას.

რა ბუღბუღის ესმა, იამა ვარდისა გაუბნებოა,
უზომოს სიხარულითა, ველარ ზის, ზე-ქვე ხლტებოა:
«ჩემისა სიკვდილისაგან მითხარ, თუ რა გერგებოა?
თუ გაგეყრები ცოცხალი, მე სული ამომხდებოა!»

ვარდმან უბრძანა ბუღბუღსა: «უქვეო ვინმე ხარ ხელადო¹,
იგ შენი ვინმე საფერი სჯობდა აგელო ხელადო,
უფრო სხვა გვარი უნდოდა ჩემთვის გაქირლი² ველადო,
ხელმწიფეთ სატრფიალოსა რად გამხდი საკიცხველადო?»...

კვალად უბრძანა: «ღეთის მადლსა დამეხსენ, გამეცალეო!
გვერდს მახლვან ტურფა ყვავილნი, ამისთვის მომეცალეო!
სტუმრად ვართ, ცოტა ხანი გვიც³, ეს ბალი დაგვიცალეო,
სხვაგან ჰქმენ შენი ბუნაგი⁴, ადგილი გარდიცვალეო!»

აწ გაახშირებს ბუღბუღი ტირილსა, სულთქმა-უშვებსა⁵,
იგ სისხლის ფერად ნაღებსა გლახ ცრემლსა გარდმოუშვებსა;
ეტყვის: «სად მაგდებ საწყალსა, ტყვესა აწ შენგან უშვებსა⁶?
მეც ვიცი, შენი შეენება კაცს ცოცხალს არ გაუშვებსა!

«არ გაგეყრები ცოცხალი. რომ წერილად დამახვეინო,
შენს ეკალზედან ავეცმი, სხვა შტო არ ვიცი ხე ვინო,
ფერხთ ქვეშ მოგიკვდე, ჩემზედა საყელო გარდვახვეინო,
ჩემისა სიბრალულითა სიცოცხლე დაგაწყევინო.»

ტირილით ხმობდა: მარგეთ რა, მოდით, მიჯნურნო, მორებით⁷,
წყლული⁸ მინახეთ ულხენი, იგ რომ თქვენცა გქირს სწორებით,
ჩემგან ისწავეთ ხელობა ახლო,—ნუ ერთობ შორებით;
ვერა მარგოთ რა,—დამმარხეთ, საფლავად მიმაგორებით.

«ეს ვის ასმია სულდგმულსა, ხელს უთხრას: ნუ ხარ ხელიო,
ცეცხლსა მოგიდებ უშრეტსა⁹, ნუ დაგეწვების მწველიო;
გატირებ სისხლის ცრემლითა, ლაწენი¹⁰ ნუ გაქვან სველიო,
წადი და სხვათა უქვრიტე, ჩემთან ხარ ნუ მომსვლელიო!

«მე წამეკიდა ეს ჰირი, სხვათა მიჯნურთა მეტადო,
ვისთვის მოვკვდი და ვეწამე, აღარ მიმიშვა ქვრეტადო,

¹ ე. ი. გივადო. ² გაქრა—გასვლა, გავარდნა. ³ გვიც—გვიძს, გვაქვს. ⁴ ბუნაგი—ბინა.
⁵ უში—ხენვა, კენესა. ⁶ უშვები—უღბნელი, უნდუეშვებელი. ⁷ მორება—მოსვლა. ⁸ წყლუ-
ლი—ქრილობა, იარა. ⁹ უშრეტი—დაუქრობელი, უქრობი. ¹⁰ ლაწენი—ლოყა.

მე ამას დავეჯერებულვარ, პირსა გიქვერეტდე რეტადო,
ისწრაფი ჩემსა სიკვდილსა, ნაცვლად ცეცხლისა შრეტადო».

ვარდმან თქვა: «მესმა, ბულბულო, შენის სიტყვისა მიგება,
მეწყალვი, ვნახე გლახ შენი ჩემთვის ლახვარხედ¹ მიგება;
მაგრამ არ გამართებს შენ სხვათა მიჯნურთა თვალის მიგება,
შენსა უღირსსა საქმესა წინა მისწრობა, მიგება².

«მე ერთი ტურფა, უებრო³, ვარ ყოვლთა საქებარადო,
მთას ავეყავედები მას უკან, როდეს მომკრეფენ ბარადო,
თეთრი ვარ ბროლის უთეთრე, ყირმიზი⁴ ლალის გვარადო,
საქვერეტლად შევნიერი ვარ, სურნელი მუშკ-ამბარადო»⁵.

ბულბულმან სულთქმნა⁶ საბრალოდ, ამოიკენესა მწარენი,
კრემლნი დასთხია⁷ თვალთაგან სისხლის ფერისა დარენი⁸,
მისის სულთქმისა კვამლითა სრულ დაწვა იგი არენი,
ვითამც თქვა სიტყვა ამაყი იგ, არ თუ სამუდარენი⁹.

უთხრა: «თუ თავი არ მომაქვს მე შენად საკადრისადო,
ერთიცა არ დამცდომია, მანდეთ ლახვარი მკრი სადო,
ხამს, სიბრალული გაქონდეს შენთვის უწყალოდ მკედრისადო,
ბრძანე თუ: ფილასოფოსთა, თუ არ შენთვის მთქვეს, ვისადო?

«ყვავილში შენ ხარ ლარიბი¹⁰, ფრინველში მე ვარ, მგონია,
დაგვეწერეს აშიყ-მაშიყად¹¹, მგონი თქვენც გაგიგონია,
ესეოდენი უცხო ხმა შენს ეშხზედ მომიგონია,
შენს გზაზედ მოვკვდე, წავეგო, იგ ვერეც მომიგონია?

მკვრელნი¹², მთქმელნი და რიტორნი¹³, მგოსანნი¹⁴, მოშაირენი,
ვარდ-ბულბულს გაიძახიან, ყოველი სული იმთენი.
აწლა¹⁵ დამიწყე წუნობა, გამტრიცე¹⁶, გამაყვითენი,
შენი ბრალია შემშალე, თეთრ-წითლად პირი მითენი!»

ვარდმან უბრძანა ბულბულსა: «შენს ლაყათს¹⁷ ვინ აუაო,
ხმა და უსული¹⁸ კარგი გაქვს, არა ხარ ხარაბუაო¹⁹;

¹ ლახვარი—შუბი. ² ე. ი. მიგება. ³ უებრო—შეუღარებელი. ⁴ ყირმიზი—წითელი.
⁵ მუშკი და ამბარი—სურნელოვანი საცხებელი. ⁶ სულთქმა—ამოხენეშა. ⁷ დათხევა—დაღერა.
⁸ დარე—მსგავსი. ⁹ სამუდარე—სათხივარი. ¹⁰ ლარიბი—მარტოობაში მყოფი, უთვისტომო.
¹¹ აშიყ-მაშიყი—შეყვარებულები, მიჯნურნი. ¹² მკვრელი—მუსიკის დამკვრელი. ¹³ რიტორი—
ორატორი; პოეტი. ¹⁴ მგოსანი—მოძღვრალი. ¹⁵ აწლა—ენლა-და. ¹⁶ გატრეცა—ფერის წარ-
მთევა. ¹⁷ ლაყაფი—ლაყბობა. ¹⁸ უსული—სიტყრფე. ¹⁹ ხარაბუა—შავი, შოდიდო და უშნო
მწერია.

შენმან ეგზომმან ზახილმან მე ერთობ დამაყრუაო;
თუ ერთხელ წავიკიდებით, ვინ ჩამოგვივა შუაო?

«მელექსეთაგან ნათქვამი სიტყვა მოიღე პირადო,
დაგწერეს ჩემად მიჯნურად, არ მიმაჩნისხარ ჩირადო,
რუსთველმანც მაქო, შენც იცი, ეკლიანად და ძირადო,
შორს წადი, იყავ მიჯნური, აქ ჩემთან დაიწვი რადო!»

ბულბულს რა ესმა, ცრემლთაგან დააყენებდა მორევსა:
«რად მეტყვი, სულთა წამლებო, სიტყვასა მოსაშორევსა!
„სხვა გიყვარდესო“, ეგ სიტყვა გულში ლახვარსა მორევსა¹,
შენსა ეშხსა და სურვილსა სხვისა ვისიმცა მორევსა²!»

ესე თქვა, დაბნდა³ უსულოდ ეკალში დანაცემობდა⁴,
მას უბედურსა-საწყალსა გულზედან დანა სცემობდა.
ვარდს შეებრალდა, რა ნახა, თვალთ ცრემლი გარდმომცემობდა⁵,
წყალსა ასხამდა გულზედა, ძლივ კკუვას მონაცემობდა.

უთხრა: «რად შემიქმ, ბულბულო, შენის სისხლისა მზღვეველად⁶?
სხვანიც ყოფილან მიჯნურნი, არ ეგრე დასაწვეველად,
არ ჩამომეხსენ, არ ვიყავ შენი მე აქა მწვეველად,
მოკვდები, ცოდვა მომხვდების, ვიცი, თუ გაგაგდო ველად.

«ნება დამირთავს, აწ იყავ ბალისა ამ მიდამოსა,
მას აღიდებდი, ყვავილნი ვინ ესრეთ ტურფად დამოსა⁷,
გაიცდიდი⁸ და სინჯვედი თეთრ-წითლად, ყვითელ-მწვანოსა,
შენიმც ბრალი აქვს, ვინც შენი გაგდება შეიწამოსა⁹».

ბულბულს რა ესმა, გაცოცხლდა, უძრავად აღარ ბნდებოდა,
სიკვდილისაგან დახსნასა სიკოცხლეს იმედებოდა;
სისხლისა ცრემლი შეაშრა, ცეცხლი არ ისევ სდებოდა,
ვარდსა დაუწყო ყველაი, მის შესაფერად მქებობდა.

თქვა: «შენ მან მოგცეს მუქაფი¹⁰, ვინ ეგრე ტურფად გშენაო¹¹,
ვინ ლხინად ყოვლთა სულდგმულთა შეგამკო, დაგაშვენაო:
სიკვდილს მომტაცე, სიკოცხლე მიბოძე მე აქ შენაო,
დამწყვიტე დენა ცრემლისა, სულთქმა, კენესა და ქშენაო.

¹ დაატრიალებს. ² მოკრევა, დასძლევს. ³ დაბნდა—დაიბნდა, ცნობა დაკარგა. ⁴ ე. ი. დაეცემოდა. ⁵ გადმოდრიდა. ⁶ ზღვევა—გარდახდა. ⁷ ტანისამოსი ჩააცვა, გამოაწყო. ⁸ გაცდა—დანახდა, მზერა. ⁹ შეწამება—მიღება, მონღომება, განზრახვა. ¹⁰ მუქაფი—სამაგიერო ჯილდო, სანაცულო. ¹¹ გშენა—აგაშენო, შეგქმნაო.

«შენით შეენის და იხარებს წალკოტი, ბაღია ბაღადო, ღმერთმან დაგბადა ყვავილთა, თუ არ ხელმწიფედ, რაღადო? შენი გაყრა და შორს ყოფა აღარ დამასვი დაღადო, მუსიკთა ყოვლთა უტკბესად მე შენი ქება ვღაღადო!»

ბულბულმან მისი პასუხი ვეღარ თქვა, ენა დაება, სიახლოვითა ეფონა² ცოტა რამ ქირი და ვება³. ამა სიტყვაზედ გარდასწყდა მათი ბრძოლა და დაეება⁴. მეც მომეწყინა ტყუვილი, ეს ცუდი გალაცება⁵!

V

ბოლოსიტყვაობა

ჰე ღმერთო, დაუწყებელო, უკვდავო, დაუბერაო⁶, არარსის არსად მომყვანო, უსულოთ სულთა მბერაო, ვინ უწყის⁷ მოსეს, ელიას მთაზედა უამბე რაო?

კრემლნი პეტრესნი მომბადლენ, იუღად ნუ გამბერაო!

შენ მომიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი, რომელმან ცითა უწვიმე და დარი მიეც მზიანი, ცოდვასა ზედან სულგრძელებ, შერისხვა⁸ იცი გვიანი. ვაჰმე, ცუდისა ლაცბითა თუ სული დავაზიანი!

¹ ღაღადი—ხმამაღლა გაღობა. ან ხმამაღალი ლაპარაკი. ² ფონება—საღაეთი, შემსუბუქება. ³ ეება—ვაება. ⁴ დაეება—დაეა, გაბქობა. ⁵ გალაცება—ლაცობა, უმნიშვნელო ლაპარაკი. ⁶ დაუბერებელო. ⁷ უწყის—იცის. ⁸ შერისხვა—შეჩვენება, გაწყრომა, დასჯა.

X არჩილ მეფე

1647—1712

არჩილი ქართლის მეფის ვახტანგ მე-V-ის (შაჰნავაზის) უფროსი შვილი იყო. დაიბადა 1647 წელს. თოთხმეტის წლისა რომ შეიქნა, მამა მისმა იმერეთის ტახტზე გაამეფა (1662 წ.), მაგრამ, რადგან იმერეთში ამ დროს დიდი არეულობა იყო, არჩილი იძულებული გახდა ორი წლის შემდეგ იმერეთის ტახტი მიეტოვებია. 1664 წელს იგი კახეთში გაამეფეს; მაგრამ ბედი არც აქ სწყალობდა. ხუთჯერ დაიპირა არჩილმა სამეფო ტახტი და იმდენჯერვე დაჰკარგა. ბოლოს რუსეთში გადავიდა და იქ გარდაიცვალა 1712 წელს, ქ. მოსკოვში.

არჩილ მეფე განახლების ხანის იმ მგოსანთა წრეს ეკუთვნის, რომელთაც ქართულ საერო მწერლობაში ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება შემოიტანეს, ე. ი. უკუაგდეს სპარსული ზღაპრული და სატრფიალო სიუჟეტები და უმთავრესი ყურადღება ნამდვილს ცხოვრებასა და ისტორიული პირობების თავგადასავალს მიაქციეს. არჩილ-მეფის მთავარ თხზულებას „არჩილიანი“ ეწოდება, მაგრამ ეს სახელი მართა ავტორის მაჩვენებელია და არა თხზულების შინაარსისა, რომლის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ჩვენი ისტორიის ორი ეპოქის (თამარისა და თეიმურაზ I-ელის დროისა, ანუ მე-XII და მე-XVII საუკუნის) შედარება კულტურულისა და პოლიტიკური მხრით. ამ საგნის მიხედვით „არჩილიანი“ შემდეგი ნაწილები გვხვდება: შოთა რუსთაველისა და თეიმურაზ-მეფის გაბაასება, თეიმურაზ I-ელის თავგადასავალი და თამარ-მეფის ცხოვრების უმთავრესი ფაქტების აღწერა. თავის თავგადასავალს თეიმურაზ-მეფე თვითონ მოგვითხრობს, თამარის ისტორიას კი ავტორი შოთა რუსთაველს ალაპარაკებს. ავტორის სიტყვით პოემა დაწერილია 1681 წელს.

ქვემოდ მოტანილი ნაწყვეტები, ვგონებთ, საკმაო წარმოდგენას უნდა იძლეოდეს არჩილის ენაზე და მისი ჩანგის საზოგადო მიმართულებაზე.

« ა რ ჩ ი ლ ი ა ნ ი »

გამოკრეფით

1 წინა და ბოლოსიტყვაობიღვანე:

პირველ უნდა ღვთის შიშზედა კაცმა გული დაამყაროს¹,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება² არ გაჰყაროს,
აზროვნება უეჭველი, ყოლე³ იქვი არ შეყაროს,
ქონებასა არ დამონდეს, გლახაკთ მისცეს სასაპყაროს⁴...

ვექვ, ესე ჩემი ნათქვამი, კარგი რამ გასაგონარი,
არ არს საიციხი ამბავი, —ამოა⁵, მოსაწონარი,
არ სხვათ ზღაპრულთა შაირთებრ ტყუილად გასაგონარი!...
ესე ვარჩიე ღუმილსა⁶: „წაწყმდაო ყოვლი მცონარი⁷“...

რაც მასმოდა, ან მენახა, ამბები ვთქვი მე მართლები:
ანუ კირი, ანუ ღხინი, ერთმანეთზე დანათვლები,
სიმართლე და კვლავ სიმრუდე, ვინ ბნელი ქნა ან ნათლები.
თუ შენდობას⁸ არ მიბრძანებთ, წყევას⁹ არვინ მემართლები.

ცხრას თვეს ყველა გავათავე სულ ამაზე არ მოცლილმა:
ოსეთს ვიწყე, ფაიქომში¹⁰, საქართველოს გამოცლილმა,
რად ამაზე მომაცალა სოფლის¹¹ ბრუნვამ, ვითა ჩრდილმა.
აქ, აშთარხანს¹², გავათავე არჩილ მეფემ, ასე ჩრდილმა.

¹ დამყარება—დაფუძნება, დამტკიცება. ² სასოება—იმედი ³ ყოლე—ყოვლად, სრულ-
ლიად. ⁴ სასაპყარო—საპყარი, დაფარნილი, უფეხო, კუტი; ტუსალი. ⁵ ამო—საამო. ⁶ ღუ-
მილი—გაჩუქება. ⁷ მცონარი—უსაქმური, ზარმატი. ⁸ შენდობა—შეცოდების მიტევება. ⁹ წყე-
ვა—წყევლა. ¹⁰ ფაიქომი—სოფელია ოსეთში. ¹¹ სოფელი—წუთისოფელი. ¹² აშთარხანი—ას-
ტრახანი (ქალაქი ვოლგის პირად).

2 თეიმურაზ მეფისა და რუსთველის გაბაასება:

თვით შეეკმნათ მათ ცილება¹, სხვათ მელექსეთ არ ირევენ,
სიტყვას ღრმასა, ბრძნად სასმენსა შეაწყობენ, არ არევენ,
სწორს აასმენ მარგალიტსა, არ თუ მრუდსა გაურევენ,
მათსა პირსა ტბილი წყარო წმინდად მოსდის, არ ამღვრევენ.

თეიმურაზ

რუსთველო, ყური მომაპყარ², გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე შეტყვის: «შოთამ გაჯობა შენაო»;
ხან კიდევ გამაგულისეს, მათი მომინდა შენაო³,
საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართო ენაო.

რუსთაველი

მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას? ამხანაგი შემადარონ:
ჩემისთანა ვერსად ჰპოვონ, სულ ხმელეთი მოიარონ,
გრძნებაც⁴ რამ ჰქმნან, ცა ღრუბლითა შეპყრობილი⁵ მოადარონ⁶,
სულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღვდელი არონ⁷.

თეიმურაზ

სულ მელექსეთ უფროსობა რისთვის ბრძანე? არ გამართებდა.
არ მეც მათთან დამატანე,—ეგ მე ჯავრით ამანთებდა.
ვით ჩამოგყვე, ვითაემდაბლო? ჩემ კერძ⁸ მყოფთ ვერ ვაამებ, და...
სხვას ვის გინდ რომ ეუფროსო,—ბოლოს მოსულს⁹ არ ეძებ, და?!..

რუსთაველი

მეფეო, გიხამს¹⁰ დიდება, მუდამ ქვეშ თენა ნახლისა¹¹;
შენმა მტერმა და ორგულმა თავი მიწასა ახლისა!

¹ ცილება—კამათი, დაეა. ² მოპყრობა ყურისა—ყურისგდება, მოსმენა. ³ ე. ი. და შენა, ცემა. ⁴ გრძნება—ჯადო, თილისმა. ⁵ შეპყრობილი—გარემოცული, დაფარული. ⁶ მოდარება—გამოდარება, გადაწმენდა (ცისა). ⁷ არონ—ებრაელების მღვდელმთავარი (ძმა მოსე წინასწარმეტყველისა). ⁸ ჩემკერძ—ჩემკენ. ⁹ ბოლოს მოსული—იგულისხმება თვით თეიმურაზი, როგორც ახალი დროის პოეტი. ¹⁰ გიხამს—შენთვის რიგია, შესაფერია, შეგშენის. ¹¹ ნახლი—ოქრომკედით ნაქარგი ფარჩა.

საღვთოს სწავლისა მოსურნე ყველანი შენ გახლისა,
თვით უწყი¹, სადა სწერია ძველი უმჯობეს ახლისა!..

თეიმურაზ

მართალია, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა;
ახლა ჩემმა დააქარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა!
მთვარე ღამეს გაანათლებს, მერე ჰფარავს შუქი მზისა:
ჩემმა წიგმან დააქარბა, შენს წიგნს ვინც სწერს, ცუდათ ზისა.

რუსთაველი

სხვისგან ჩემს ქებას წყენულობ, მე ვითლა გაგაგულისო?²
თქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამს მიჯნურთ³ ან მარგე⁴ სულისო,
შვიდის სარწმუნოს კრებისა ნიშები⁵ სასწაულისო,
მაგრამ ნაყოფი მოგისთლავს⁶ მის ჩემგან დანერგულისო...
მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსობა ჩემზედ შენობს.
ამაზედან რასთვის წუხხარ, პირად მზეო, იკრავ შენ ობს?
ლექსი ჩემი საამოა, გან⁷ საწყენად მონაშენობს⁸?!..
ნუ ექვ მჯობდე, სიხარულით ცუდად იკრავ დაბდაბს⁹ შენ, ნობს⁹!..

პირველ ხელყოფა¹⁰ საქმისა თქმულა შემდგომთა უძნელად¹¹:
სად არ ნათობდეს მზის შუქი, ყოველი იქმნას მუნ¹² ბნელად.
შოთამ დაგასწარ მელექსეთ, თუმცა მობრძანდით თქვენ ნელად;
მე ვსთქვი სრულად და უკლებლად, თქვენ მოგეც შესაძინელად...

არც მეფედ შეგედარები და არცა ომსა ხელითა,
არც ძალად, გულად, სიფიცხით, რომე გკრა ხელსა ხელითა;
თუ მელექსედა მედრები, ჩვენა ვართ არ ერთ ხელითა:
მე რიტორი¹³ ვარ, მიჯნურნი შევამკე ხელი-ხელითა...

¹ უწყი—იცი. ² მიჯნური—შეყვარებული. ³ მარგე—მარგებელი, სასარგებლო. ⁴ ნიშები—მოძველის წინამომასწავლებელი რამ ჩვენება ან ანბანი; აქ იგულისხმება ის ნიშები-სასწაულები, რომელნიც ეგვიპტეში მოახდინა მოსე წინასწარმეტყველმა; ეს ნიშები „არჩილიანში“ თეიმურაზის პირითაა ლექსად მოთხრობილი. ⁵ მოსთვლა, სთველი—მოკრეფა ყურძნისა. ⁶ გან—განა. ⁷ მონაშენობს—მოშენებულია, აგებულია, ⁸ დაბდაბი—დაფი. ⁹ ნობი—ნობა, საყვირი. ¹⁰ ხელყოფა—დაწყება, ხელისმოკიდება. ¹¹ ე. ი. უძნელესად. ¹² მუნ—იქ. ¹³ რიტორი—ორატორი: პოეტი.

ჩემს ზამბახს¹ რა დააქნობს? არ გავუწყვეტ ცრემლთა ნამსა; მიჯნური ვარ, ვის მნათობნი ვერ ურჩ² ექმნეს ვერცა წამსა, დაუჭრია გული ლახვარს³, შავთა რაზმთა⁴ წარბ-წამწამსა!... ვით შემიქმნა მე ზამბახი ღიყად, ვინ რომ სულს მიდგამსა!!

3 თეიმურაზის პაპა და მხოგელ-ნათესავეები

ოსმინე ჩემი ამბავი უმაწვილობიდან კაცებად, სიბერით სიკვდილამდისინ სამუდამოდ ცეცხლთა მოდებდა!

პაპა-ჩემი ჯდა ხელმწიფედ კახეთს ღვთისაგან წყალობით: მშვიდი, მოწყალე, მდაბალი, რჯულზედან ერთობ მკრძალობით⁵. ქვრივთა, ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზე ძალობით, კვლავ მშვილდოსანი უსახო, ცხენ-მალი, მშვილდფიცხალობით⁶.

პაპის ჩემისა ქებასა ვერ ვიტყვი მე ერთხელადა: ღვთის მოშიში და მლოცავი იგ⁷ არ თუ იყო ხელადა, მტერთა მძლეველი, ძლიერი, ღომი მიაჩნდა მელადა, მუდამ მას ჟინად ნადირთ სერა⁸ აელო ერთობ ხელადა.

ოთხი შვილი ჰყვა; იმათი აწ მოგახსენო სახელი: დავით, ერეკლე, გიორგი—იყვნენ სიკეთით ერთხელი, მეოთხე კოსტანტინეა, სხეფე კარგი, ქუჟანათხელი, გულჯავრიანი, ამაყი, შეუპოვარი ვით ხელი⁹.

ამ ოთხთაგან ერეკლე სტამბოლს წავიდა, მამაზე და ძმებზე გამწყრალი; კოსტანტინე სპარსეთის ყვენის კარზე იზრდებოდა; დარჩნენ დავითი (თეიმურაზის მამა) და გიორგი. მათი მამა, ალექსანდრე-მეფე მოხუცებული იყო. გიორგიმ დააპირა დავითის მოკლა, რომ შემკვიდრეობა პირდაპირ მას დარჩენოდა. ეს შეუტყო დავითმა, გაჯავრდა, მმა დაატყვევა, მამას ტახტი ჩამოართვა და თვითონ გამეფდა. მაგრამ ექვს თვეზე მეტი არ უცოცხლია. დარჩა ქვრივი—ქეთევან დედოფალი და მცირეწლოვანი ვაჟი—თეიმურაზი. კახეთის ტახტზე ისევ მოხუცებული ალექსანდრე ავიდა. სპარსეთის შაჰის წყალობით ამ ამბავს თან მოჰყვა საშინელი ტრაგედია:

¹ ზამბახი—შროშანა (ყვავილია). ² ურჩი—წინააღმდეგი, არმორჩილი. ³ ლახვარი—შუბი. ⁴ რაზმი—ჯარის ნაწილი, მწყობრი. ⁵ მკრძალობა—შიში, მორიდება, მოწიწება. ⁶ ფიცხალი—ფიცხელი, სწრაფი. ⁷ იგ—იგი. ⁸ სერა—ხოცვა. ⁹ ხელი—გოყი.

ეს ამბავი ყენს¹ ესმა, კარგა წვრილად გაიგონა;
ამაზედან ეშმაკისა საქმე იმან მოიგონა:
კოსტანტინეს დაუძახა, ამით თურე² წაიგონა³:
„აწლა დაგრჩა კახეთიო, მეც შენ მოგეც, მგონი-მგონა“.

კოსტანტინე შემოვიდა კახეთში. მოჰკლა ვერაგულად მოხუცი მამა (ალექსანდრე მეფე) და ძმა (გიორგი) და თვითონ გაამეფა.

რა ესე ქნა, ადვილად სჩნდა მას, ურწმუნოს, ყოვლი ავი:
მოინდომა დედა-ჩემი, უცხო რამე, შესართავი,
მოციქულნი გაუგზავნა, შეაძლია თურე თავი,
შეუთვალა: „არ შემირთავ, ძალად გშოებ, მითქვამს დავი⁴!“

გაიგონა დედა-ჩემმა, ბრძანა: „ესე ვით და ვით მე?⁵
ვინცა მკადრა უკადრისი! დავივიწყო ან დავით⁶ მე?⁷
ვინ ჩიქილა შემირცხვინოს და სუმბული⁸, რომ დავითმე,
ღმერთმან მისის რისხვით მკითხოს, შემოუშო იქვი რითმე!“

შეუთვალა: „ღვთის მგმობარო⁹, მამის მკვლელო და ძმისაო,
ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ უღირსო სულთდგმისაო,
ყოვლის კაცის საძაგელო, სულ მოქმედო ავისაო!
ღვთით ადრე, ვეკვ¹⁰, შეგანანო ჩემი თხოვნა თავისაო!

მოციქულთა მიუტანეს, მას ეს საქმე დააჯერეს,
კიდევ ცდასა აპირებდა, მაგრამ სიტყვით შეიჯერეს⁹;
მწვე¹⁰ გაჯავრდა თათრებიან, ჯავრით გული გაიჯერეს...
სხვა ამბავსა ჩამოვეხსნათ, გაფათათ, მოდი, ჯერ ეს!

4 თეიმურაზის აღზრდა და გამეფება

ამ საქმების წინას ხნითვე დედამ ყენს შემახვეწა:
აქ გიორგის შეუშინდა, ამაღ სპარსეთს გარდამხვეწა¹¹.

¹ ყენი—სპარსეთის მეფე, შაჰი. ² თურე—თურმე. ³ წაიტყუა, შეაცდინა. ⁴ დავი—დავა, ცილობა, საჩივარი. ⁵ დავით—მამა თეიმურაზისა და ქმარი ქეთევანისა. ⁶ ს უ მ ბ უ ლ ი — გ ი ა ც ი ნ ტ ი (ყვავილია). ⁷ გმობა—შელტაცუთა, გაკიცხვა. ⁸ ვეკვ—ფიქრობ. ⁹ შეჯერება—დარწმუნება, დაკმაყოფილება. ¹⁰ მწვე—მწვავედ, მწარედ, ცხარედ. ¹¹ გარდახვეწვა—გადაკარგვა.

მან შემიტკბო ვითა შვილი, არ თუ შიშით მე დამხევეწა¹;
გამიხარდა მასთან მისვლა, ლაწვი² ცრემლმა არ დახევეწა³.

მე შერმაზან თან გამომყეა—ზნეობისა სასწავლებლად;
მწვრთნილის⁴ საღეთო-საკაცობოს, თავი ჰქონდა თავსავლებლად,
ქირსა შიგან გამამაგრის, გული შექნის ვით სალებლად⁵,
მამისადა⁶ მმსახურებდის, ლაწვისა მწყეპდა არ სალებლად⁷.

კოსტანტინეს თან ხლებოდა შირვანელი და ყაჯარი⁸:
ბაზარს იდგა, წამოვიდა ეშმაკისგან დასაჯარი;
აქათ⁹ ამას შეეყარა თვისნი ყმანი კახთა ჯარი,
შებმულიყენენ, მოცაეკლათ, თუმც ეხმარა ხმალ-ხანჯარი¹⁰.

ჩვენცა გვესმა ეს ამბავი, რაც ქმნილიყო და რაც არა:
ყენს ვეხმე, მიმიყვანეს, მიმატანეს დანაც არა.

შერმაზან თქო, სახლთხუცესმა: „გითქვამს ცოდნა არამც არა,
ამ ეშმაკის დაგრეხილი საბელიო¹¹ დაგეცარა¹²!“

შემომძახა: „მირზავ¹³, იცი კახეთს ქნილა დიდი ძალა:
შებმულან და კოსტანტინე დედაშენს მოუკლავს მალა¹⁴;
მეც მიამა, კარგა ქნილა: მოინდომა რისთვის რძალა¹⁵?!
ავის მქნელსა ასე უნდა: რა იქნება ჩემი ნალა¹⁶!“

მიბრძანა, თუ: „აქამდიცა მე მინდოდა შენთვის კარგი,
მოდრი, მადლი გარდინხადე, ეს წყალობა მტკიცედ დარგი¹⁷:
რადგან შენი სამკვიდროა, ან მე რასთვის დაგიკარგი,
ჩქარად წადი, მალ მიბრძანდი, თუ-უნდა-კი¹⁸ დაგრჩეს ბარგი!“

5 თეიმურაზის კახეთს მოსვლა

ზამომისტუმრა, წამოველ, მიბოძა ბედაურები¹⁹,
ცხენები, ოქროთ ნაკაზმი, არ იყენენ უსუსურები²⁰,

¹ დახევეწა—დაწმენდა, დათხევა, დაღვევა (მაგალ., ძაფის დახევეწა—ძაფის დაწმენდა დათხევათ). ² ლაწვი—ლოყა. ³ დახევეწა—ჩამოწმენდა, ჩამორეცხვა. ⁴ წრთენა—სწავლება.

⁵ სალებლად—საღ კლდესავით მაგრად (სალი—მაგარი კლდე). ⁶ მამისადა—მამასავით, მამის მსგავსად. ⁷ სალებლად—დასალურჯებლად (დაღებება—ცემით დაღურჯება, დაბეგვა).

⁸ იგულისხმება შირვანელთა და ყაჯართა ლაშქარი. ⁹ აქათ—აქედან, აქეთკენ. ¹⁰ ხანჯარი—ხანჯალი. ¹¹ საბელიო—თოკი, ბაწარი. ¹² დაცარეა—დაგრეხილის დარღვევა. ¹³ შ ი რ ზ ა —

უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (მეფის ძე). ¹⁴ მალა—მალად, ჩქარა. ¹⁵ რძალი.

¹⁶ ნ ა ლ ა — ნ ა ლ ი. ¹⁷ დარგი—დარგე. ¹⁸ ე. ი. თუნდაც კი. ¹⁹ ბედაური—კარგი ცხენი.

²⁰ უსუსური—უსტი.

შესამოსელი სალუქი¹, მნახავთგან მოსასურვები²,
სუფრისა გაწყობილობა, მურასა³ თასებ-სურები.

წამოვედით მადრიელნი პირველ ღვთისა, მერმე მისგან;
სიარულსა არ ვითმენდით, რა განათლდის ღამე მზისგან,
შევამოკლეთ გრძლად სავალი, ისრე ფიცხად ჩვენის სვლისგან,
უეკველად პატრონობა დავიქირე მე თვით ღვთისგან.

ქიზიყს მიველ ერთს სოფელსა უმეცარად,⁴ შეუტყობრად;
ერთი კაცი მოგვეგება, მას ვეგონეთ ჩვენ მეკობრად⁵;
რა გამოცნა, თაყვანისმცა, ენა იწყო შესამკობრად,
მადლი ჰკადრა შემოკმედსა: „ნეტარი ჩემს ამ დროთ მოყრათ!“

დაიძახა: „მე საბრალო არას ღირსვარ პატრონისას:
მოვახსენო მობრძანება ჩემსა ვითა სართულისას⁶?
ჩამოხდებით, არას დავჰკლავ, თავსა ვფიცავ შენის მზისას,
მეფევე, უწყი, ისერებდა⁷ ქრისტე სიმონ კეთროვნისას⁸!“

მან შერმაზანს სახლთხუცესსა⁹ უთხრა: „შენ ხარ ჩემი ღონე:
მოახსენე ერთი სიტყვა, ნულარ უფრო დამაღონე,
თავი, სახლი, საქონელი ყველა მე შენ მოგიძღონე¹⁰,
ერთი ღვინო დამილიეთ, ხვალ წინ მევე წამიძღონე!“

ვთქვი, თუ: „რალა გაეწყობა ასე გულით მოპატიჯეს!
მოვეწიოთ მხიარულსა, ნურას ვუზამო საპატიჯეს¹¹“.

გარდავბე¹² და კარს შევედით, ღობეს ვერ ვინ გარდაბიჯეს,
დავჯე, გარე შემომისხდეს: ვგვანდი, მთვარე ბაკით¹³ იჯდეს.

ღმერთს თურე¹⁴ წყალობა ექნა: აღარ იღებდა ვაზშმითა,
ბევრი რამ ჰქონდა მზად მისად, არ გვიკეთებდა ხაშმითა¹⁵,
უცხოდ დავგიხვდა მებეგრე¹⁶ მცირეს თავისა ვაზშმითა,
მან აღრე აღარ გაგვიშვა ღვინითა ერთ სახაშმითა¹⁷.

მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აკვნებითა, შიგ ჩაკრულნი:
„ვიცი, არას გამამართომ, ძღვენი გიძღვნა თუცა სრული,

¹ სალუქი—სუფთა, კაწწა. ² მოსასურვები—მოსანდომი. ³ მურასა—ძვირფასი თევლებით შემკული. ⁴ უმეცარად—უეცრად, მოულოდნელად. ⁵ მეკობარი—ყაჩაღი. ⁶ სართული—ბინა, სახლი; ბანი. ⁷ სერობა—ვაზშობა, საღამოს პურისქამა. ⁸ კეთროვნება—ერთგვარი მძიმე სწულეება (უფრო აღმოსავლეთში იყო გავრცელებული). ⁹ სახლთხუცესი—სასახლის მინისტრი, მოურავი. ¹⁰ მოგიძღონე—მოგიძღვენი, მოგართვი ძღვნად. ¹¹ საპატიჯე—საპატივე, სასჯელი, შესაწუხებელი. ¹² გარდავბე—გარდავბედით, ცხენებიდან ჩამოვხტით. ¹³ ბაკი—შუქი მთვარის გარშემო. ¹⁴ თურე—თურმე. ¹⁵ ხაშმი—შხამი, საწამლავეი. ¹⁶ მებეგრე—ბეგარის გაღანადელი, ქვეშეურღობი. ¹⁷ ერთ სახაშმი—ხალხის მოსაწამლავეი (დასათრობი).

სულამც შენა გენაცვლება დედ-მამიან შენთენ სრული,
შენის კირის ჩვენ სანაცვლოდ სული გექონდეს ამოსული!»

დიალ გათენდა, ხმა გახდა ყველგან მოსვლისა ჩემისა:
მუნ სიხარული შეიქნა გულით არ შესაჩემისა,
სხვანი ნახულნი ჩემთანა უკვირდის, არ ეჩემისა,
იტყოდენ: „ამას შეშვენის მპყრობლობა თემთა-თემისა!“

6 თეიმურაზ-მეფის ძორწილი

როს ჰასაკით¹ მოვიწიფე²,—ჩემს ქებასა ვიტყვი არა,—
მაგრამ სხვანი მას უბნობდეს: „მზემ ღრუბელი მოადარა³;
მისმან მზემან⁴,—ხმელეთზედა ვერ ვინ ჰპოოს ამის დარა⁵,
თუ ეს არის ამისთანა, იქნებაო ამის და რა?“

დედა-ჩემი თვისად სარძლოდ დაემძახლა გურიელსა:
მალ მომგვარეს შესართავად, არ უხანეს⁶ მას ნათელსა,
შემომყარეს ჟამიერად⁷ მხიარულსა, ლხინთა მშემელსა⁸...
ეს სოფელი⁹ ველარ შეიქმს სხვას მისებრსა სულიერსა!...

თოლას ვიდექით, როდის ვჰქენ ქორწილი—გამოჩვენება¹⁰:
ცხადად არ დაიჯერება, თუ იყო ძილ-მოჩვენება;
მუნ¹¹ ორმოც დღემდი ზედა-ზედ სმა, ლხინი, არ მოსვენება,
ბურთობა, ყაბახის სროლა¹², ვის რა ასპარეზს¹³ ენება.

დილას შევესხდით, ვინადირით, შუადღისას შემოვიქცით,
აწ ბურთობას ხელი მივჰყვით, მუნ საძილოდ არ გავიქცით,
მერმე დავესხდით ერთად ჰამად, ლხინი ლხინზე ზედ დავიციით,
ვზემდით¹⁴, ვმღერდით, ღვინოს ვსმიდით, ვიდრემდისა გარდავიქცით!...

ზევითა ვთქვი რიცხვი დღეთა, ვირემ¹⁵ იყო ქორწილობა;
აწ გათავდა მისი საქმე, გაიყარა შეყრილობა,
მაყრებიცა გავისტუმრე, ბევრი მიხვდა ლართ წილობა¹⁶,
დატვირთულთა საბოძვრითა¹⁷ არ შეექმნათ მათ წბილობა¹⁸.

1 ჰასაკი—წლოვანება. 2 მოწიფე—მოზრდა. 3 მოსწინდა. 4 „მისმან მზემან“—თიცია.
5 დარი—მსგავსი. 6 ხანება—დაგვიანება. 7 დროით, თავის დროზე. 8 მშემელი—მქელი. 9 წუ-
თისოფელი. 10 გამოჩვენება—დიდებულად გამოსვლა. 11 მუნ—იქ. 12 ყაბახი—გრძელი
ქოგრი, რომელზედაც დასდებდნენ ზოლზე თასს ან სხვა ნივთს, ნიშანში სასროლად.
13 ასპარეზი—მოედანი საეარჯიშო. 14 ზმა—საზოგადოდ ლაპარაკი; ზოგჯერ კი იგი აღნიშნავს
სიტყვების ისეთ თამაშს, როცა ორი მეზობელი სიტყვადგან შესაძენ სიტყვა გამოდის; მაგალ.
„სულელი“. 15 ვირემ—ვიდრე, სანამ. 16 ლარი—ოქრო-ვერცხლი, თვალმარგალიტი და სხვა
განძი. 17 საბოძვარი—საჩუქარი. 18 წბილობა—შერცხენა.

ვინ მომგვარა დედა-ჩემმა, ის რებეკა, თვითონ სარა¹:
ტბა მელნისა უცხოდ რამე გარ გიშრითა მოესარა;
ბალსა შიგან ვემაწვილობდით, სადა გვედგა ტურფა სარა²...
ვაჟ, გაარმდა³ ეს სოფელი: ჩემთვინ შემრჩა დიდხანს არა!

7 თეიმურაზ-მეფის დაქვრივება და გლოვა

შამი გარდახდა შვებისა⁴, მოვიდა გლოვა-წუხილი,
ლხინმა მიმრიდა⁵, შემექენა გულს ურვა⁶, თვალთა წუხილი:
ღვარად მდიოდა სისხლისა ცრემლი, ისმოდა ქუხილი;
ნადიმი⁷ აღკრბა, სერობა⁸, ოდენ⁹ მაკამეს წუ ხილი¹⁰,

მოვთქვამდი: „მზეო, დამაგდე, ცეცხლი მომიდევ, წამ ალი!
მე გლახ უშენოდ ოხერმა¹¹ ჩემი ვერ ვპოვე წამალი:
ბროლი და ლალი შეთხზნილი¹² მიწათა შიგან წამალი¹³,
სუფევა ჰპოვე უკვდავი, წმიდათა თანა წა მალი¹⁴!...“

ვაიმე, წახდა, ვის ჰქონდა ყელი ბროლისა სურათა, —
ვერ გამოხატოს მხატვარმა ჩინელმა მისი სურათა¹⁵! —
მკურეტელთა¹⁶ სატრფიალოო, უნახთა მოსასურათა,
ვიჰ, რა უბრალოდ გამწირე, სისხლის ცრემლ-გასაცურადა!...

მე გამწირე, საყვარელო, — ლევან რად ჰყავ საბრალობლად?
აღექსანდრე¹⁷ ნებიერი ვით დამიგდე მე ეს ობლად?
შენ უდროოდ ტახტს აოხრებ, თავსა შეიქმ საბრალობლად...
მე გამხადე მტერთ გულისად, ბედისა და სოფლის მემობლად¹⁸!

გვირგვინის ნაცვლად ჩაჩს¹⁹ მბურავ²⁰, სკიპტრად²¹ მომძლევ
| შავ ჯოხსა,
პორფირად მძლევ ძაძასა²², ტახტად დამიდგამ ბნელს ქოხსა...

¹ სარა — ისააკის დედა; რებეკა — მისი ცოლი. ² სარა — სასახლე. ³ არამი — უსამართლო. ⁴ შვება — ლხენა. ⁵ მომშორდა. ⁶ ურვა — სევდა, ნაღველი, მოუსვენარობა. ⁷ ნადიმი — ლხინი. ⁸ სერობა — ეახშამი. ⁹ ოდენ — მარტო. ¹⁰ წუ — მკავე ხილი. ¹¹ ოხერი — უპატრონო. ¹² შეერთებული. ¹³ ე. ი. შენ დამალეო. ¹⁴ წადი მალე. ¹⁵ სურათი, სახე. ¹⁶ მნახველთა. ¹⁷ ლევან და აღექსანდრე თეიმურაზის ვაჟებს ერქვა; შემდეგში შაჰაბაზ I-ელმა ეს ყმაწვილები გამოასაკურისა, რისგამოც ერთი მათგანი გაგიჟდა, სოლო მეორე მოკვდა. ¹⁸ სოფლის — წუთისოფლის; მემობელი — მკიცხველი, მაგინებელი. ¹⁹ ჩაჩი — უბრალო ქული. ²⁰ მბურავ — მბურავი. ²¹ სკიპტრა — სამეფო ჯოხი. ²² ძაძა — შავი, სამგლოვიარო ტანისამოსი.

გამაბედითე¹, დამავდე, ვჰკვირვარ მე გუშინ დამნახსა²:
უდროოდ ამ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საძრახსა!“...
ორმოცამდისი³ ბნელსა ვჯექ, სინათლეს მე სად ვნახევდი?

თავსა ვიცემდი, ვსტიროდი, ცრემლითა ლაწვსა⁴ დავხვედი:
შენც შემობრალე, არიფო⁵, მოდი და ჩემთან ახვედი⁶,
ნუგეშინის მეც სიტყვითა, ღონეს რას მომინახევდი!

8 ქართლ-კახელსა რჩევა მარაბდის ომის წინ

1624 წელს ამიერ საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა: თეიმურაზ პირველზე და ქართლ-კახეთზე გაბრაზებულმა შაჰაბაზმა საქართველოსკენ დიდძალი ჯარი გამოგზავნა ყორჩიბაშ ისა-ხანის წინამძღოლობით. ეს ჯარი დაბანაკდა მდ. ალგეთის პირად, მარაბდის თავს. ქართლ-კახელებმაც დაუყოვნებლივ თავი შეიყარეს, ავიდნენ ტაბახმელას და გამართეს ომის წინ თათბირი. აქ იყვნენ: დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, მოწინავე ჯარის სარდალი ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონები, იესე ქსნის ერისთავი, ბაადურ კიციშვილი, მანუჩარ სამცხის ათაბაგი, კახელი ღიდებულები და ქართლ-კახელი ვაჟაკები.

აი როგორ აგვიწერს ამ რჩევას თვით არჩილ-მეფე:

შეიქმნა რჩევა ომისა, იქ შებმისა და მოცდისა,—
კაცსა მხნესა და ჯაბანსა⁷ დღე ამისთანა დასცდისა⁸,—
ზოგთა უცდურად არჩიეს და ზოგისა კი დასცდისა:
ზენაა⁹ გამმარჯვებელი, თვარემ კაცთ რჩევა მოსცდისა!

გიორგი სააკაძე

მოურავმა თქვა: დრო არის მართლის თქმად ხანდახანისად:
გეტყვით, კახნო და ქართლელნო, ხან ესე ვთქვათ და ხან ისა;
მაგრამ იცითა, ყუინთან ვარ დამყოფელი ხანისა,—
სულ ერანს¹⁰ გამოგზავნიდა, იქ არ დამკერი ხანისა.

„ქვეითობა¹¹ იქ არ ვარგა: სიცხეა და მისქირდება¹²,—
ღმერთმა ნუ ქნას, დაგვიმარცხდეს,—სულ ერთპირად ამოწყდება;

¹ გამაბედითება—გასაწყულებია. ² დამნახსავსა, მნახველსა. ³ ე.ი. 40 დღემდე. ⁴ ლაწვი—ლოყა. ⁵ არიფი—ამხანაგი, მოზიარე. ⁶ ახვედი—იძახე „ახ“, იგლოვე. ⁷ ჯაბანი—მხდალი, მშიშარა. ⁸ დაცდა—გამოცდა. ⁹ ზენა—ღმერთი. ¹⁰ ერანი—ირანი, სპარსეთი. ¹¹ „ქვეითობა“—ანუ ქვეითი ჯარი ძველად ჩვენში გლეხობისაგან შესდგებოდა. ¹² შეწყუბდება.

მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიდ-მოღება;
ეს არ სჯობდეს, დაისწავლეთ, რჩევა ნუ ვის დაგვიწყდება.

„მე ამას ვარჩევ: მინდორად ნუ ჩავალთ, მუ შევებმითა:
ჩვენს აქ დგომასა ვერ სცნობენ, თუ აწვე¹ არ წავებმითა;
ქალაქს შემოვლენ თავწვრილად; აქ დავხვდეთ, — შევიქმთ ვებითა². . .
მე ეს მითქვამს და აწ თქვენ თქვით, თუ იქ ომს არ შევებმითა!“

ბარათშავილი

ბარათა ბარათაშვილი, მოწინავეთა სარდალი³,
აქებდენ დიად მას სარდლად, მტერსა შეაქმნის ბანდალი⁴:
„საქართველოს შეყრილისა ყოვნა⁵ არ არს სამართალი:
დაგვეფანტვის აქეთ-იქით!“ მოუწონეს, — თქვა მართალი.

კახელი დარბაისლები

ძახთა არჩივს ერთპირად შებმა და მათი ომია;
თქვეს: „არსად წავლენ იქიდამ, — ეს ადვილ მისახედომია;
ორჯელ გალახულთ შევებათ, ვინცა ხართ ომის მდომია;
ზოგსა გეწადს ომი ახალი, ზოგს ბევრი გადაგვხდომია“.

ბაადურ ციციშვილი

ბაადურ თქვა ციციშვილმა, ამ რჩევაზედ არ დაქმუნდა⁶:
„ჟამი⁷ არის ეს სიცხისა, მზემ ჰაერი დააბუნდა;
დაგვიმარცხდეს ქვეითობა, რითლა მორჩის? თქმა არ უნდა:
თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა⁸!“

მანუჩარ ათაბაგი⁹

მოახსენეს ათაბაგსა: „რად არ ბრძანებ უმჯობესსა,
თქვენგან უფრო ნაომარი არ ვინ არის აქა დღესა?“

¹ აწვე — ახლავ. ² ვება — ვაება. ³ ჯარის უფროსი. ⁴ ბანდალი — ფეხარვეთ სირბილი.

⁵ დაგვენება, ცდა. ⁶ ქმუნვა — მწუხარება, შეწუნება. ⁷ ჟამი — დრო. ⁸ დაძაბუნება — დასუსტება.

⁹ ათაბაგი — ასე ეძახდენ მესხეთის (სამცხის) ერისთავს.

მან უბძანა: «კარგად არჩევთ. მე რას ვიტყვი უკეთესსა, მაგრამ ძველად ნათქომია: ომი საზღვრავს მესამზღვრესა!

„მერე არის ორი რაზმი: დაახლოვდეს ერთმანეთზედ; ვინც მიუხდეს¹ მეორესა არ ყოვნებით იმავე ღღეზედ, მისი ჯარი გათამამდეს... მისი დადგეს ძლივლა ფეხზედ... ხანგრძლივ რჩევა ცული არის: გამარჯვება არის ღმერთზედ!“

ქართლ-კახელი ვაჟკაცები

შაჟკაცები ისწრაფოდეს, თითქმის კბილებს იმსხვრევდიან: ჰე, რას ყოვნით² მათზე მისელას? ისინი აქ არ მოდიან!.. მეფის შუმან, — უსაცლოდ ჩვენგან იმათ სისხლი სდიან!.. მინდორად სჯობს ომი ცხენზე, სიმაგრეში რასა ჰქვიან?³

ომის საკითხი ხმის უმეტესობით გადაწყდა: ქართველები მედგრად მიესივნენ სპარსელებს, პირველ შეტაკებაზე კიდევ გაიმარჯვეს, მაგრამ მალე დამარცხდნენ და უკუიქცნენ. ბრძოლის ველზე სპარსელებმა დასტოვეს 14,000 მეომარი, ხოლო ქართველებმა თითქმის 10,000 ქვეითი და ცხენოსანი. არჩილის სიტყვით, ამათ რიცხვში ერივნენ: თეიმურაზ მუხრან-ბატონი, შეიღნი ძმანი ხერხეულიძენი, ბაადურ ციციშვილი და მრავალნი „კარგნი ყმანი“, რომელთაც თავი დასდევს მამულისათვის.

9 თეიმურაზის სიზმარი და გარდაცვალება

რაზომ⁴ გამსარჯა⁵ სოფელმა, ცდა არ დაეკეღ სიკვდიმი⁶, არ გავსტყდი, არ შევეუზარდი⁷, ვიდრე⁸ არ მოვკვდი, მანამდი, მოსკოვის, სტამბოლის და ისპაანს⁹, მას შიგნით მთა და ბარამდი, ჩემის სახელის ძეგლები ყოვლგან დავასევ მანამდი⁹...

ბოლოს წავეღ ყენთანა, მივეღ, დამხედა დიად კარგა. რას ღღეს მივეღ, მასევ ღამეს, — ჯერ მართლაც არ ღამებარგა, —

¹ მიხდომა — მიხტომა, თედასხმა. ² აგვიანებთ. ³ რაზომ — რამდენადაც. ⁴ გარჯა — შეწუხება, დატანჯვა. ⁵ სიკვდილამდე. ⁶ შეზარება — შეშინება. ⁷ ვიდრე, სანამ. ⁸ ისპაანი — ქალაქი სპარსეთში (შაჰების სატახტო ქალაქი იყო მე-XVII-XVIII-ე საუკუნეში). ⁹ მანა — მარგილი, პალო.

მოვიდა და მიდარბაზა¹: ეს რასთვის-ლა დამიკარგა?
ძველის მტრისა სიკეთემა ბოლომდისა არ ივარგა.

ის ღამე და მეორე დღე ჩემ სადგომს სეა მხიარულად,
დაღალულსა შორიელსა არ მაცალა ძილად-რულად²,
მიალერსა, მამასა ვით, თავმდაბლად და ტკბილად, სრულად,
კვლავ მიბოძა უსაზომო³, მას არ ექნა დაკარგულად...

დღე ერთ იყო ოთხშაბათი, როს ჯვარმცმელთა⁴ ექნა რჩევა, —
ამ დღეს ერთი დიდებული ყენს თურმე ენადლევა:

«მას თუ ხორცი შენ აქამო, ჩამოგართოს შენა ძლევა,
ნადლევი ვარ: რაც მიბძანო, ჩემგან წამ ერთ⁵ მოგერთმევა.

მიველ. ხორცი მოიტანეს. მითხრა: «ხანო⁶, ესე სჯამე!»

მოვახსენე: „მარხო არის, სად ეს სიტყვა და სადა მე?!“

მიბრძანა, თუ: «რა იქნება? დამიჯერე, მე მამამე!»

კვლავ ხმამალლა უარი ვთქვი: „ვკამო, ღმერთი არ ვისამე?!“

გაგულისდა, თასი⁸, სავსე ღვინით, პირსა შემეპქცია;

მეც მალალი სიტყვა ვუთხარ: „ვინ გნადლეობს თვალთმაქცია?!

მე როგორ და მარხვის ქამა! სხვას რჯულზე ვინ მომეპქცია!?“

მერმე მოტკბა, მიალერსა, კიდევ რითმე შემეპქცია...

ამ შეურაცხყოფის შემდეგ თეიმურაზს დიდხანს აღარ უტოცხლნია. სიბე-
რის გამო იგი დაუძღურდა და სპარსეთშივე გარდაიცვალა.

სოფელი ჩემის ცემითა არ დაშერა, რაზომ დამჯილა⁹.

ველარ გაგიძელ სიცოცხლევ! რა მოვკვდე, იქაც დამრჯი-ლა?

ყოვლის ლახერითა¹⁰ დამკოდე, ერთი გაკლია ბარჯი-ლა¹¹!...

ჩოხა¹² ჩამიცვამს, მიცვლილვარ: აღარ დამასვა თავს ჯილა¹³!...

თეიმურაზის გვამი სპარსეთიდან კახეთს გადმოასვენეს და ალავერდის
ტაძარში დაკრძალეს მისი დედის, ქეთევან დედოფლის, მახლობლად. ამაზე
არჩილ მეფე ამბობს:

¹ დარბაზში შეწვია, მინახულა. ² რული—იგივე ძილია. ³ უზომო, უთვალავი.

⁴ ე. ი. ქრისტეს ჯვარმცმელთა; მაშასადამე, ეს დღე ყოფილა დიდი ოთხშაბათი (ენების
კვირაში). ⁵ წამ ერთ—ერთ წამს. ⁶ ხანი—შპართელი, მეფე. ⁷ „არ ვისამე“—სამ პირად არ
ვიწამე. ⁸ თასი—ღვინის სასმისია ვერცხლისა. ⁹ დამჯილვა—მჯილით (მუშტით) ცემა. ¹⁰ ლა-
ხარი—შუბი. ¹¹ ბარჯი—გრძელი რკინის კაიანი ჯოხი თევზებისათვის. ¹² ჩოხის ჩაცმა—
საბერო ტანისამოსის ჩაცმა: თეიმურაზი სიკვდილის წინ ბერად შედგა. ¹³ ჯილა—მარ-
გალირებით შემკული ფრთა (თავის მოსართავად).

დადუმდა ენა რიტორი¹, ორღანო მზრახი², წინწილი³.
აქ გამოგზავნა ყეენმა, ვნახეთ წმინდათებრ ნაწილი⁴.
მან აღიარა სამება, ერთი ღვთაება სამწილი:
მას კარგანხმული⁵ დაუხვდა სასძლოი⁶ მუნ, საქორწილი.



¹ რიტორი—ორატორი; პოეტი. ² ზრახეა—ლაპარაკი; მზრახი—მოლაპარაკე. ³ წინწილი—სამუსიკო საკრავი, ორი თეფშის მსგავსად. ⁴ წმიდა ნაწილი—სხეულის ნაშთი, მიცვალებულის გვამი. ⁵ განხმული—გალებული. ⁶ სასძლო—სძალის (პატარძლის) ოთახი, საქორწილო ოთახი.

XI-XII სუღხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ-მეფე

სუღხან ორბელიანისა და ვახტანგ მე-11-ის ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა მკიდროდ შეკავშირებულია ერთმანეთთან. ამიტომ მათს ბიოგრაფიას ერთად წარმოვადგენთ.

სუღხან ორბელიანი დაიბადა 1658 წელს. იგი იყო შვილი ქართლის მსაჯულის ყაფლან ორბელიანისა, რომელიც ლეიძლი ბიძა (დედის ძმა) იყო არჩილ-მეფისა, გიორგი მე-XI-ისა და ლეონ-ბატონიშვილისა. სუღხანმა ადრევე მიიქცია ყურადღება თვისი მახვილი გონებითა და სამწერლო ნიჭით. მას, როგორც ქართული მწერლობის ღრმა მცოდნეს, ლეონ-ბატონიშვილმა მიანდო თავისი შვილის ვახტანგ-ბატონიშვილის (შემდეგში ვახტანგ VI) აღზრდა. ეს უნდა მომხდარიყო 1683 ან 1684 წელს, როცა ვახტანგ ბატონიშვილი 8 ან 9 წლისა იყო (დაიბადა 15 სექტემბერს 1675 წელს), ხოლო თვით სუღხანი 25 ან 26 წლის კაბუკი იქნებოდა. როგორც ეტყობა, ამ დროს შეუდგენია სუღხან ორბელიანს თვისი იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუვისა“, რომლის დედააზრს შეადგენს ტახტის მემკვიდრის დემოკრატიული აღზრდა და რომელშიაც მეფის მემკვიდრის აღმზრდელად გამოყვანილია ვინმე კაბუკი ლეონ.

ორმოც წლამდე სუღხან ორბელიანი საერო სამსახურს ეწეოდა; 1698 წელს კი ბერად შედგა საბას სახელით, თუმცა სახელმწიფო სამსახურზე არც ამას შემდეგ აუღია ხელი.

1703 წელს სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფე გიორგი მე-XI-ე სპარსეთში გაიწვია, ხოლო ქართლის გამგებლობა მის ძმისწულს ვახტანგ-ბატონიშვილს ჩააბარა. სუღხან-საბა ორბელიანი ამ დროს ვახტანგის მარჯვენა ხელი შეიქნა, განსაკუთრებით დიდს დახმარებას უწევდა თავის გაზრდილ ბატონიშვილს მის სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობაში. ეს მოღვაწეობა კი ფრიად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო. საბას მსგავსი პირების დახმარებით ვახტანგმა გამოსცა კანონების სრული კრებული ანუ „სამართლის წიგნი“, შეაგროვა, შეასწორა და გამოსცა საქართველოს ისტორია ანუ «ქართლის ცხოვრება» და 1709 წელს ტფილსში დააარსა პირველი ქართული სტამბა.

ამასობაში სულხან-საბა ორბელიანი ძლიერ დაუახლოვდა კათოლიკეთა მისიონერებს, რომელნიც ცნობილნი იყვნენ თვისი განათლებით, და მალე მათი აღსარებაც მიიღო. 1709 წელს იგი უკვე კათოლიკედ არის მოხსენებული. ამ ნიადაგზე საბას ბევრი უსიამოვნების ატანა შეხვდა, მაგრამ მუდამ ვახტანგი იყო მისი მფარველი და მტრები აშკარად ვეღარას აკლებდნენ.

იმავე 1709 წელს გიორგი მე-XI-ე სპარსეთში მოკლულ იქმნა და ქართლის ტახტი ვახტანგის ძმის ქაიხოსროს ხელში გადავიდა, რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა და მაჰმადიანობა ჰქონდა მიღებული. მაგრამ ქაიხოსროს დიდხანს არ უმეფნია: 1711 წელს იგიც მოკლულ იქმნა სპარსეთში. წესით ტახტი ვახტანგს უნდა რგებოდა, მაგრამ სპარსეთის შაჰმა ვახტანგს რჯულის გამოცვლა (მაჰმადიანობის მიღება) მოსთხოვა, რაზედაც ვახტანგისაგან მტკიცე უარი მიიღო, რისამოც 1712 წელს (25 აპრილს) ვახტანგი სპარსეთში გაწვეული იქმნა. მას თან გაჰყვა მისი ერთგული აღმზრდელი საბა ორბელიანიც. ვახტანგისავე მინდობილობით საბამ ევროპაშიაც იმგზავრა, ლიუდოვიკო მე-XII-ის კარზე (1713—1714 წელს), საიდგანაც 1716 წელს დაბრუნდა. ეს მოგზაურობა შემდეგ ცალკე წიგნდაც აღწერა. იმავე წელს ვახტანგმა ქართლის ტახტი მიიღო, მაგრამ ჩქარა ისევ სპარსეთში გაიწვიეს. ვახტანგს კარგა ხანს მოუგვიანდა სპარსეთში, მაგრამ ნუგეშს განათლებული მეფე მწერლობაში ჰპოებდა: სწორედ ამ დროს გადმოსთარგმნა სპარსულიდან ინდოელთა სიბრძნის ნაყოფი იგავ-არაკთა წიგნი «ქილილა და დამანა»; მაგრამ, რადგან სპარსული თვითონ კარგად არ იცოდა, თავისი თარგმანი შემდეგ სულხან ორბელიანს გამოუგზავნა შესასწორებლად. სულხანმა სიამოვნებით იტვირთა და სინდისიერადაც შესარულა ეს მინდობილობა.

ბოლოს 1719 წელს ვახტანგი განმეორებით დაამტკიცეს ქართლის ტახტზე და იგი დაბრუნდა თავის სამშობლოში. მაგრამ დიდხანს არც ეხლა უმეფნია: რუსეთის იმპერატორ პეტრე დიდთან კავშირის გამო (1722 წ.), მან ტახტი დაჰკარგა და იძულებული შეიქნა რუსეთში გადასახლებულიყო (1724 წ.) მას თან გაჰყვა 1200 ქართველი და მათ რიცხვში მისი ერთგული სულხან-საბა ორბელიანიც. ეს უკანასკნელი 1725 წელს გადაიკვალა, ხოლო ვახტანგ-მეფე — 1737 წელს, ქალაქ ასტრახანში, სადაც დასაფლავებულია.

ასე დაესრულა ამ ორი ბრწყინვალე გვამის ნაყოფიერი ცხოვრება.

სულხან ორბელიანის დამსახურება მშობელი ერის წინაშე მრავალგვარია. მაგრამ იგი უფრო ცნობილია როგორც მწერალი და მერაკე. მან დაგვიტოვა ფრიად სერიოზული შრომა «ქართული ლექსიკონი», ევროპაში მოგზაურობის აღწერა და არაკების კრებული, რომელსაც «სიბრძნე სიცრუვისა» ეწოდება. ჩვენ აქ უმთავრესად უკანასკნელი ნაწარმოები გვაინტერესებს. მთელი ეს კრებული 166 პატარ-პატარა მოთხრობისაგან შესდგება, მაგრამ მოთხრობანი ერთი დედააზრით არიან შეკავშირებულნი; ეს დედააზრია—დემოკრატიული აღზრდა მეფის მემკვიდრისა. იმავე დროს თითქმის ყოველი მოთხრობა სრულიად დამთავრებულს არაკს წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი დედააზრიცა

აქვს და ცალკე ინტერესით იკითხება. თავისი წიგნით სულხან-საბა ორბელიანმა განახლების პერიოდის მწერლობაში საკმაოდ ძლიერი დიდაქტიური ნაკადული შეიტანა. რა თქმა უნდა, ამ ნაკადულის ნიადაგად იგივე ისტორიული ცხოვრება უნდა ჩაითვალოს, რომელმაც საფუძველი მისცა ისტორიულ-ეროვნულ მიმართულებას ჩვენს მწერლობაში: თანამედროვე საზოგადოების ზნედაცემულობა აიძულებდა მწერალს, დიდაქტიური საშუალებისათვის (იგავ-არაკებისათვის) მიემართა, რომ ამ გზით შეესუსტებინა გაბატონებული ბოროტება და საზოგადოებაში საღი იდეალები შეეტანა. ეს დიდაქტიური ნაკადული იმავე ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების ტოტს წარმოადგენს. ამიტომ ქვემოთ მთელს ამ მიმართულებას ჩვენ **ეროვნულ-დიდაქტიურს** მიმართულებას ვუწოდებთ. ამავე მიმართულებამ წარმოშობა ვახტანგ-მეფისა და სულხან-საბა ორბელიანის თარგმანი ინდოური არაკებისა «ქილილა და დამანა».

ეს უკანასკნელიც მხატვრულ-დიდაქტიური ნაწარმოებია. მასში შემოკრებილია აღმოსავლეთის ხალხთა (უმთავრესად ინდოელთა) მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკული სიბრძნე, განსაკუთრებით ისეთი სიბრძნე, რომელიც მეფეთა და მმართველთათვის საჭიროა. მეფედ აქ გამოყვანილია ერთი **ლოში**, რომელსაც ჰყავს მრავალი მრჩეველი და მათ შორის **ორი ტურა: ქილილა და დამანა** (აქედან წარმომდგარა თვით წიგნის სახელიც). როგორც ეს ორი ტურა, ისე სხვა მხეცებიც ლომს (მეფეს) რჩევას აძლევენ და თავ-თავისი აზრის დასასურათებლად (გამოსახატავად) არაკები მოჰყავთ, სწორედ ისე, როგორც საბა ორბელიანის წიგნშია.

ქვემოთ იბეჭდება 40 მოთხრობა ორბელიანის წიგნიდან და რამოდენიმე ნიმუში «ქილილა და დამანა»-დან. ამ წიგნის ენა საუკეთესო პროზად ითვლება ძველ ქართულ მწერლობაში. და, მართლაც, „ვის-რამიანის“ ქართული თარგმანის შემდგომ, ამ პროზას ბადალი არ მოეპოება მთელს ძველ ქართულს საერო ლიტერატურაში.

« ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ვ ი ს ა »

ა. აღზარდა მამაკვიდრისა

1 მეფე, ვეზირი და საკურისი

იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არაეისაგან მოიგონებინან, რომელსა სიკეთისა და სიქველისაგან¹ ეგოდენი მოწყალე-ბანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, რომ თავად არ აღირაცხოდა; სიფიცხე და უწყალოება ჯავრისანი შეეკრიბნა გულსა თვისსა და ღვთის შიშისა ნიავეთა გაექარებინა; სიუხვე მისის ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი² ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა; მისნი შიშნი და ზარნი³ ესრედ განფენილიყო პირსა ყოველისა ქვეყნისასა, რომელ მეხისტების უსაზარელესად მიაჩნდათ; მისნი სიტკბო და აღერსნი ესრედ შეეტკბოთ,—ჩჩვილთა წულთაებრ⁴ სძისა⁵ და ძძძუთა უსაყვარელესად მიეზიდათ.

იყო სახელი დიდისა მის და მალღისა მეფისა ფინეზ.

ჰყვა ვეზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილი-იყო, კკუითა ხმელეთთა სიგრძე და სიგანე სრულიად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთ⁶ მიწვენილიყო, ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულისა ფიცართა გამოეწერა; ესეთი სიტყვის სიტკბოება ჰქონდა,—მხეტთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა⁷ ცვილებრ⁸ დაადნობდის და მფრინველთა კაცურებ აუბნებდის⁹. იყო სახელი ვეზირისა მის სედრაქ. დიდად უყვარდა მეფესა ვეზირი იგი.

და არა იყო ზრუნვა მეფისა გულსა, გინა შეპირებება¹⁰ უძეობისა კიდე¹¹, რომე შვილი არ ესვა¹².

იყო საკურისი¹³ მეფისა გულქარი და ფიცხელი; სეფეთუხუცესი¹⁴ იყო და გულითადი მეფისა; რომელსა ერქვა რუქა.

¹ სიქველე—სიკეთე; სიუხვე. ² საჩუქარი, წყალობა. ³ ზარი—შიში. ⁴ წული—შვილი; ჩჩვილი—ნორჩი. ⁵ სძე—რძე. ⁶ უფსკრული—უძირო სიღრმე. ⁷ ტინი—კლდე, ქვა. ⁸ ცვილი—თაფლის სანთელი. ⁹ უბნობა—ლაპარაკი. ¹⁰ შეწუხება, ნაღველი. ¹¹ უძეობისა კიდე—უშვილობის გარდა. ¹² არ ესვა—არა ჰყავდა. ¹³ საკურისი—ვენუხი, დაკოდილი (ე. ი. კაცობაწართმეული) მამაკაცი. ¹⁴ სეფეთუხუცესი—სამეფო კარის (ანუ სასახლის) წევრთა უფროსი.

2 მემკვიდრის დალოცვა

ზამოხდენ ჟამნი¹ რაოდენნიმე. შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე ესეთი, რომე სინათლითა მზე მეშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთავარე ნათელს მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცივიფრებინა, შავნი მერცხლის მხარნი ბროლოთა ზედან განპყრობით განეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანერთში აეყვავებინა. სახელად **ჯუმბერ** უწოდეს.

რა მოიზარდა, გამოიყვანა მეფემან, ვეზირსა თვისსა სედრაქს და საპატრონოთა თვისთა აჩვენა. აიყვანა ვეზირმა, დალოცა და მოახსენა: „მეფეო, ღმერთმან გაცოცხლოს! ბედნიერმცა არის ძე შენი ესე და კურთხეულ ამიერთგან უკუნისამდე! და მიეცეს ამას გულისხმიერობა² ვირისა, ერთგულება ძაღლისა და ძალი კიანკელისა“.

ესმა რა ესე რუქას-საქურისსა, აღშფოთდა და უთხრა ვეზირსა: „რად მოიღე წყევა ძესა ზედა მეფისასა? ვეზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს³, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფსა ხუთნი საქმენი უნდა სკირდეს: პირველი ერთი—სიტყვა უნდა ტკბილი აქნდეს; მეორე—გამწყრალი დააწყნაროს, არა-თუ მხიარული გააწყრომოს; მესამე—პირიდამ ავი და ცუდი სიტყვა არ წაიციდინოს; მეოთხე—სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს; მეხუთე—რაც სთქვას, ყოველს კაცსა მოაწონოს“.

შეჰხედა სედრაქ და ჰრქვა: „შენ ყოველსა მართალს იტყვი, მაგრამ მე ძე მეფისა არ დამიწყევლია. თუცა გინებს⁴, ადრე სცნობ: ვირი ერთსა უყსა⁵ ტალახსა შიგან გაატარე, რათა დაეფლას; მერმე გაახმე გზა იგი; თუცა შენ ვირი გზასა მას ზედან გაატარო, უგუნურმცა არს. ძაღლი კაცისა გლახაკისა, მკლე, მეტად უსუქარი, მოიყვანე და მდიდარსა კაცსა მიიბარე, რათა გაასუქოს; მერმე ორთავე უხმონ; თუცა პირველი, დამამკლობელი, დაუტეოს, და, რომელმან გაასუქა, მას გაჰყვეს,—ორგულ არს. კიანკელი შეიპყარ⁶ და ერთსა კიქასა ათორმეტნი⁷ დღენი დააყოფინე შში-

¹ ჟამი—დრო. ² გულისხმიერობა—მიხედვილობა, შეგნება. ³ უნდა იყოს. ⁴ გინებს—გნებაჲს. ⁵ უყი—უყე, ლია, საფლობი. ⁶ შეპყრობა—დაჭერა. ⁷ თორმეტი.

ერსა; მერმე გამოუტევე¹; თუცა თვისისა ზომისაგან ოთხი წილი მეტი არ აიღოს წაღებად, — უსუსურ² არს“.

მოასხნეს³ სამნივე და უყვეს ეგრეთ და ყოველივე თქმულებრი იყო. იხარებდა მეფე დიდად ვეზირისა სიტყვასა და ძისა მისისა სიკეთესა ზედა.

ჰ მემკვიდრის აღმზრდელი

ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა კაბუკი⁴ ვინმე მშვენიერი, მსგავსი ლომისა, მხნე, ახოვანი⁵, პირმწყაზარი⁶, ტანსარო⁷, ახლად სუბული⁸ ამოსვლოდა და მცირედ ქუფრი⁹ მოჰხვეოდა, საყვარლად სახილველი. უთხრა მეფესა: „ღმერთმან გიღლეგრძელოს ძე ეგე შენი, და თუცა არა მომაშორებ, ნებად შენდა ვერვინ გასწვართოს¹⁰; თუ მეძებო, მპოვო; თუ არა, შენვე ინანდე“. სახე თვისი, ეტრატსა¹¹ ზედან გამოწერილი, ხელთა მისცა და უთხრა: „მეძებე და მპოვო, თავმან შენმანო!“ და თვით წავიდა.

გაელვიძა მეფესა და ჰნახა, ხელთა ეტრატი ჰქონდა, სხვა არავინ იყო მის თანა.

შემოვიდა ვეზირი. მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს სანადიროდ წასულიყვნენ. დიდძალმა ხალხმა შეიყარა თავი. ნადირობა რვა დღეს გაგრძელდა.

ნადირი ურიცხვი მოსწყვიდეს¹². შემოიქცეს¹³ და მოვიდეს ადგილსა ერთსა.

კვიპაროზი იდგა მშვენიერი, ძირსა წყარონი დინდეს, კორდნი¹⁴ ყვავილითა შემკულნი. მნახავსა სევდანი გაექცეოდეს. ხის ჩრდილსა კაბუკი მძინარე იწვა, თან აკაზმული ცხენი ბმული.

მოუწოდეს კაბუკსა მას. მოვიდა, და ჰნახა მეფემან. ჰფუცა: „მსგავსი მის ეტრატისა სახისა არისო!“ ყოველს კაცს უკვირდა სიკეთე მისი. წარმოდგა ყრპა იგი, მეფე დალოცა, დიდი ქება შეასხა, ხელს აკოცა. მეფემ აღსვა ცხენსა და წაიტანა თანა. ჰკითხა სადაურობა, ვინაობა და სადმიმავალობა. მოახსენა მან:

¹ გამოუტევი. ² უსუსური—უღონო, სუსტი. ³ მოიყვანეს. ⁴ კაბუკი—ახალგაზდა; გმირი. ⁵ ახოვანი—ტანოვანი, წარმოსადგევი. ⁶ მწყაზარი—თეთრი. ⁷ სარო—კვიპაროზის ხე. სწორი და მაღალი. ⁸ სუბული—აკ ნიშნავს წვერს. ⁹ ქუფრი—შავი ფერი. ¹⁰ გაწვართვა—აღზრდა. ¹¹ ეტრატი—ჰერგამენტი, გაწმენდილი ტყაფი (საწერად). ¹² ამოსწყვიტეს. ¹³ შემოქცევა—შემობრუნება. ¹⁴ კორდი—გორაკი, დაბალი ხერი.

„მე არ ვიცი, სადაური ვარ. მეფობასა წინაშე რა ვკადრო? ეს ვიცი, ლეონ მქვიან. მამა ჩემი დედისა ჩემისა ჩემზედა ორსულობასა მომკვდარა და დედა ჩემი ჩემსა შობასა, და მე აქა-იქ სლვით გავზდილვარ“.

ჰრქვა¹ რუქამ ლეონს: „თავმან მეფისამან², დიდად ბედუკულ-მართი თურე ხარო!“

შემოხედა ლეონ და სცნა საქურისობა მისი; უთხრა: „მართალსა იტყვი: თუცა ბედკეთილი ვყოფილიყავ, დღეს შენ არა გნახედიო“. უბრძანა მეფემ: „თუცა დამემორჩილო და წამომყევი, მეფობისა ჩემისა კიდევ³, რომელიცა მთხოვო, მოგცეო!“

სთქვა რუქამ არაკი:

‡ ბოროტმოქმედი

ძაცი ვინმე იყო ყოვლისა ბოროტისა მოქმედი და დიდად მლოცავი. რა ბოროტისაგან მოიცალის, დაიწყის ლოცვა და ტირილი. ანგელოზი მოვიდა და უთხრა კაცსა მას: „აენაქმართა შენთათვის სამოთხე არ მოგცა უფალმა და, რადგან ესრეთი მლოცავი ხარ, სამოთხისა კიდე, რაც ითხოვო, მოგცე!“ მან კაცმა ესრე უთხრა: „თუცა სამოთხე არ მომეცემის და სხვას სათხოვარს აღმისრულებთ, ესრეთ დიდი შემქმნას, ჩემგან მეტი ჯოჯოხეთში ვერვინ დაეტიოს“. ეს ველარ ჰყო ღმერთმან და ისრევე სამოთხე მისცა მას კაცს.

ეგე ეგეთის გრძნების⁴ მოქმედია, ესრეთს რასმე გვითხრობს, მისი ქმნა არ ეგებოდეს⁵ და მეფობავე შენი მიიღოს⁶.

გაეცინა ლეონს და სთქვა არაკი:

§ მოხუცი და ჭაბუკი

მართი ბერი⁷ უკბილო კაცი და ერთი ცოტა⁸ ყრმა ერთად სხდეს და საქმელსა სჯამდეს. ორთავე ტირილი იწყეს. ჰკითხეს ბერსა: „რად სტირიო?“ სთქვა ბერმან: „მე კბილი არა მაქვსო და ცოხნა⁹ არ ძალმიძს¹⁰. ამ ყრმამან სულ შესქამა და მე მშიერი

¹ ჰრქვა—უთხრა. ² „თავმან მეფისამან“—ფიცია, როგორც „მეფის მზემან“. ³ კიდე—გარდა ⁴ გრძნება—ჯაღო, თილისმა. ⁵ არ ეგებოდეს—არ ხერხდებოდეს. ⁶ მიიღოს—წავერთვას, ჩამოგერთვას. ⁷ ბერი—ბებერი, მოხუცი. ⁸ ცოტა—პატარა. ⁹ დაღეკვა. ¹⁰ ძალმიძს—შემიძლია.

დავრჩიო“. ყრმასა ჰკითხეს: „შენ რად სტირიო?“ მან ეგრე სთქვა: „მე ვირემ¹ გამოვიცოხნილდე, მან მთლიე შთანთქა², და მე მშიერი დავრჩიო“. მათი რომელი უმართლეს³ იყო, ყველამ იცოდეს, მაგრამ ერთმანეთს აბრალებდენ.

აწ მის მსგავსად: ჩვენც ყოველნი გვხედვენ, ვინ აენი ვართ და ვინ კარგნი, და მეფეცა სცნობს ღვთითა.

6 მძიმე მოვალეობა

ლეონს ძლიერ უძძიმდა, მეფეს გაჰყოლოდა, განსაკუთრებით რ-ცა ისეთი ბოროტი საქურისი გაიცნო, როგორც რუქა იყო.

შბრძანა მეფემან ლეონს: „რასათვის ძნიალ⁴ გიჩნს ყოფა ჩემთანა?“ მოახსენა ლეონ: „მეფესა თანა მყოფი კაცი და ზამთარს დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორეა: თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს; თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს⁵... მეფისა კარსა მდგომნი კაცნი მრავალს ოცნებას იქმონენ და ხერხს და ხრიკს ცდილობენ, რათა შეაძაგონ იგი“. უბრძანა მეფემან: „რა გინდა ბევრი იუბნა⁶, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია. აჰა ნიშანი შენი, რომელი შენვე მომეც ძილსა შინა!“

ჰნახა სახე თვისი, თაყვანისცა მეფესა, დაჰმორჩილდა, წამოჰყვა. წამოვიდნენ. მოვიდნენ ქალაქსა მეფისასა. დაიდევს ნადიმი⁷, განისვენეს.

ოდეს⁸ განთენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლისა აღთა მსგავსისა მზისა შუქითა დაიხია, მისი ელვარე მოციქულნი ხმელეთსა განდინა,—წავიდა, მეფემან ამოიყვანა ძე თვისი საყვარელი ჯუმბერ, მისცა ხელთა ლეონს და უთხრა: „ეგე ღვთისათვის და შენდა შემომივედრებია⁹!“

მოახსენა ლეონ: „დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისა. მე მონა შენი ვარ და დაგემონო. ძისა შენისა გაწვრთნა არ ძალმიძს¹⁰. მე მითაც ველოდი ჩემს წახდენასა და შესმენასა¹¹ მტერ-

¹ ეიდრე, სანამ. ² შთანთქმა—ჩაყლაპვა. ³ უმართლესი. ⁴ ძნიალ—ძნელად. ⁵ გაჰყინავს. ⁶ ილაპარაკო. ⁷ ღვთისი. ⁸ როცა. ⁹ ჩამიბარებია, მომიბარებია. ¹⁰ არ ძალმიძს—არ შემიძლია. ¹¹ შესმენა—დაბეზღება.

თავან წინაშე მეფობისა თქვენისა. აწ ამით უდიდესი შემცოდე ვიპოვები“.

სთქვა ლეონ არაკი:

7 მეფე და მხატვარი

მეფე იყო ლავდიკისა¹ ცალთვალის. ჰყვანდა მხატვარი ხელოვანი და მიზეზს ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა: „მიხმს², ჩემი მსგავსი სახე დამიხატო!“ სთქვა გულსა შინა მხატვარმან: „აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა³ ჩემისაო! თუ ბრმა დაეხატო, მომკლავს: „ვით მკადრეო“; თუცა ორთვალის, მომკვეთს თავს: „ოდეს არს მსგავსი ჩემიო?“ მოიპოვა ესე ლონე: დახატა ირემი, მეფეს ხელთა თოფი მისცა, ბრმა თვალის დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმით მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი.

აწ ვხედავ, მიზეზი ჩემი ესე არს, აწვე⁴ მომკლა, ვინ დაგიშლის, ან ვინ დაგგმობს⁵?

უბრძანა მეფემან: „არა ნდომითა ჩემითა არს: ბედთავან მოცემული ხარო“. მოახსენა ლეონ: „ხელითწერილი⁶ მომეც ფიცისა, ვირემ⁷ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინო, და ეგრე ვიქო“.

მისცა მეფემან ხელითწერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, შექედა ოქროთი და დაიდვა თავსა ზედან. აღაშენა სახლი სამეფო და დაჯდა მუნ⁸; უწყყო ჯუმბერს ზრდა: ასწავლიდა დღივ და ღამ და მეფის წინაშე აღარ მოიყვანის ხშირად.

ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით⁹ სვა. ჯუმბერ მწდელ¹⁰ დაიყენა, არც დასვა და არცა-რა აქამა. ფეხზე დგომით და შიმშილით ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ქამა პურისა.

რუქა დიდად მტერი იყო ლეონისა. მან სცნა ესე და სთქვა არაკი:

¹ ლავდიკია—ქალაქი და სამეფო მცირე აზიაში. ² მიხმს—მინდა, მსურს. ³ აღსასრული—სიკვდილი. ⁴ აწვე—ახლავე. ⁵ გააკიცხავს. ⁶ ხელწერილი—პირობის წერილი. ⁷ ვირემ. ⁸ მუნ—იქ. ⁹ წაბმით, ზედი-ზედ. ¹⁰ მწდელ—ღვინის დამსხმელი მსახური.

8 მელა, მამალი, ძერა და ოფოფი

მრთი მელა დაცანცალეზდა. ძველითგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო. სამღებროს ქვეერი, ლილით სავსე; პირღია დარჩომილიყო. სღვასა იქი-აქა, თურე შიგ ჩავარდა, ამობორტყდა, ამოვიდა, მელა შავად შეღებული შეიქმნა. დაიწყო სიარული.

ერთი მამალი შემოეყარა. ჰკითხა მელასა: „რა დავმართებია?“ მელამ უთხრა: „ჩემი დღენი ცოდვის ქმნით დავალამე, ახლა ჰქუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდევ, იერუსალიმს მინდა წავიდეო“. მამალმა უთხრა: „რადგან ცოდვისაგან ხელი აგიღია და ქველისსაქმეს¹ იმრავლებ, მეც წამიტანე, მადლი მოგხვდებო!“ მელამ წაიტანა და წავიდნენ.

შემოეყარათ ძერა. უთხრა მამალსა: „რას უცდენიხარ, ვის მისდევ?“ მან უთხრა: „მელა ბერად შემდგარა და იერუსალიმს მივა, მეც მივდევო“. მოეწონა ძერასა და იგიც გაჰყვა.

შემოეყარა ოფოფი და იგიც გაჰყვა.

შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი. მელა სოროსაკენ გაუძღვა, თავისი ხერხიანი ენა ტკბილად აუბნა² და ვგრე უთხრა: „შვილებო, იერუსალიმს უმოძღვროდ კაცს არ მივსვლება, ცოდვის აღსარება უნდა გამანდოთ³ და მონანული წავიდეთო“. იგინი დამორჩილდნენ. სოროში შეასხა⁴: „სამოძღვრო სახლიაო“. თვით კარისაკენ დაუჯდა. უთხრა: „ორ-ორის ცოდვის შენდობა შემიძლიან და მესამეს კი ველარ შეგინდობო!“ მათ მადლი მოახსენეს: „თუცა ორს ცოდვას შეგვინდობ, მესამის შენდობას ვინღა ითხოვსო?“ მათ თავნი უბრალონი⁵ ეგონათ და მელი მიზეზს ეძებდა.

უბრძანა პირველს მოწაფეს მამალსა: „ღმერთმან ქათმის ყვილი გათენებისას ბრძანა, და შენ ვახშამს უკან რად წაიცდენ ხოლმეო?“ მისი შენდობა მოითხოვა, აღარქმნის აღთქმა დაღვა. მანც შეუწდო. მერმე ეს უბრძანა: „ყოველს კაცს თითო ცოლი ჰყავს და შენ ათსაც არ დასჯერდები, ვისაც იბრიყვებ შენს ამხანაგს, მასაც წაჰგვირო⁶“. მისიც აღთქმა დაუღვა, და მანც შეუწდო. მესამედ უთხრა: „მხედარი⁷ არა ხარ და მშვილდოსანი, დეზები რად

¹ ქველისსაქმე—კეთილი საქმე. ² აღაპარაკა. ³ მითხრათ. ⁴ შეიყვანა. ⁵ უბრალო—უღანაშაულო. ⁶ წაგვრა—წართმევა. ⁷ მხედარი—ცხენოსანი მომარა.

გაკრავს, შენ ხომ მისეამში¹ ცხენს არა მჯდარხარო?“ მამალი მესამეს ცოდვად რაღას იტყობა? მოსწყვიტა თავი და წინ დაიდვა.

უბრძანა ძერას: „ეს რომ ავი მგალობელი ხარ, არც სტევნა გივარგა და არც ძახილი,—მუდამ რად ჰყვიო?“ ძერამ აღთქმა დადვა, და მანც შეუნდო. მეორედ უთხრა: „ღმერთმან შენ საზრდოდ ხელიკი და თავი მოგცა; ერთს ქვრივს დედაკაცს სარჩოდ ერთი ქათამი ეგულეების, წიწილას რასათვის მოსტაცებო?“ ესეც შეუნდო. მესამედ უთხრა: „ექვს თვეს მამლობ და ექვს თვეს დედლობ,—ეგ რა არისო?“ მოსწყვიტა თავი და დაიდვა წინა.

სანამდისინ მელი ამ ორისაგან მოიცილიდა, მინამდისინ ოფოფმა ესეთი ხერხები მოიგონა და არჩივა, მელის ოსტატობას გარდაამეტა.

ოფოფს ჰკითხა მელამ: „სამეფო თომარ-ჯილა² ვინ მოგცაო?“ ოფოფმან უთხრა: „სოლომონ ბრძენმან თავისი ხელით დამხურაო“, მელამ უთხრა „მოწამე ვინა გყავსო?“ ოფოფმა უთხრა: „ერთი მსუქანი ბატი და ერთი მსუქანი იხვიო“. მელას სიხარბით და მსუნაგობით კჳუა და ცნება დაეკარგა; ასე სთქვა გულში: „ეს ოფოფი ერთ ლუკმად არ მეყოფა და ერთი იხვი და ერთი ბატი ერთს კვირას მეყოფაო“. ბევრის ნდობა კაცს ასე წახადენს. მამალი და ძერა იქავ შეუქმელი დარჩა და თან გაჰყვა.

ოფოფმა მელა ერთს ხევში დააწვინა. მონადირე ვინმე დაჰხვდა ქორითა, მწვერითა და ძაღლებითა. ოფოფი წინ დაუჯდა; სეფქა³ უნდა ესროლათ; აფრინდა, მელას ახლო დაუჯდა. მიჰყვნენ მონადირენი. მან იმდენი ჰქმნა, იმ ხევში ჩაიყვანა. მეძებართ⁴ კვალი ჰნახეს: მელი გაიხტუნეს, ასრე გაჰხადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს. ძლივ, დაჩქქვილმან, სული გარდაახწვივა⁵.

ოფოფმა დაუძახა: „მელავ, მოწამე ვერ გიშოვეო?“ მელამ უთხრა: „რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაჰმართებიაო!“ ოფოფმან ჯავრი კი ამოიყარა, მაგრამ მამალს და ძერას-კი არა ეშველა. რა.

ეგ კაცი ის მელა არის და ბევრგან ნავალი. ასეთს საქმესა იქმს, შენვე თავს შემოიკრა და არღარა გეშველოს რა.

¹ მისეამში—მისდღეში, არასოდეს. ² თომარ-ჯილა—მარგალიტებით მორთული ფრთა (თავის სამკაული). ³ სეფქა—ფრთხვადალი ისარი. ⁴ მეძებარი—ძაღლი, რომელიც ეძებს ნადირს. ⁵ გადაირჩინა.

9 ნადირობა

ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ჰზრუნევდა. დღესა ერთსა წავიდა ნადირობად. თვით თოხარკისა ცხენსა შეჯდა, ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვარა; საღამომდე არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულსა¹ ადევნა. მეორეს დღეს მწვერები მისცა ხელთა, მათა და გორათა არბენინა. ფერხთსაცმელი გასცივდა და ფეხი დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო. მესამეს დღესა წინ შიკრიკად² გამოიმძღვარა. მეტად დაშვრა³, მალ-მალ დაეცემოდის. და არ მოეშვა, მანობამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა.

ესმა ესეცა რუქას და შეასმინა მეფესა. სთქვა რუქამ არაკი:

10 ყრუთა საუბარი

მრთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა, საძებნელად წავიდა. ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო. თურე ის კაცი უფრო ყრუ იყო და ვირი თურე ებოვნა. მან ხარისა ვერა შეიტყო რა; ასე უთხრა: „ვირი თუ შენია, საპოვნელა მაინც მომეციო!“ ერთმანერთისა ვერა გაიგეს რა. ერთი ცხენოსანი კაცი მოვიდოდა და ქალი ვინმე გავას⁴ უჯდა. მივიდნენ მასთან. ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურე ის უფრო ყრუ იყო, ეგონა დიაცს⁵ მართმევსო. ფიცი სთქვა: „ცოლი მომიკვდა, ეს მისი მოახლე არის, სხვისას ნუ ჰგონებთო!“ ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა. ყადთან⁶ წავიდენ, ყველამ თავიანთი საჩივარი სთქვეს. ყადი თურე სიბერით დაყრუებულყო. რამაზანი⁷ იყო. ეს მოჩივარნი მთოვარის⁸ გამოჩენის მოაბმენი ეგონა. სთქვა: „რადგან მთოვარე უნახავთ, ნალარას⁹ ჰკარითო!“ ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა.

აწე¹⁰ ჩვენც ვიცით, დიდი და პატარანი ყველანი დაყრუებულვართ, თვარემ რატომ არ გვესმის, ლამის იგი ყრმა მოჰკლასო.

უშლიდა ვეზირი, არათქმასა ეტყოდა. სთქვა ვეზირმან არაკი:

¹ ნაბული—შეშინებული. ² შიკრიკი—ამბის მიმტანი სწრაფბევალი. ³ დაშვრომა—დალაღვა, დაქანცვა. ⁴ გავა—ცხენის ზურგის უკანა ნაწილი. ⁵ დიაცი—ქალი, დედაკაცი. ⁶ ყადი—მოსამართლე. ⁷ რამაზანი—მამადლიანთ წელიწადის მეცხრე თვე, მარხვა. ⁸ მთოვარე—მთვარე. ⁹ ნალარა—ბუცი, საყვირი, დუმბული. ¹⁰ აწე—ახლა.

11 მთიული და კაკლის ხე

ძაცი ვინმე იყო, ზეგანთა¹ ადგილთა მყოფი, რომელსა წალკოტი² არ ენახა. ჩამოვიდა ბართა³ ადგილთა, წალკოტი ნახა. შევიდა ზიგან. ყოველივე ნახა ხეხილი და მწვანილი. დია მოეწონა და ღმერთს მადლი მისცა: „ღმერთო, ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავადო: ცოტას⁴ ბალახისათვის ნესვი მოგიბამს და დიდის ხისათვის ნიგოზიო!“ მიიარ-მოიარა და ნიგოზთა ძირსა დაეძინა. მოვიდა ყვავი, ზე შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცს შუბლსა დაეცა და განუტება. აღდგა კაცი იგი და სთქვა: „ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებია: თუ აქ ამისგან უდიდესი ჰბმოდა, თავს გამიქყლეტდაო!“

ეგებ, ის კაცი უკეთ იქმოდეს და ისრე სჯობდეს და შენ მეფის წინ სრულ მის აუგს⁵ იტყვი.

სთქვა რუქამ არაკი:

12 მამალი, ძაღლი და მელა

მრთი ძაღლი და ერთი მამალი დამშობილდნენ: „სოფელი ავაშენოთო“. ძაღლმა უთხრა: „როგორ ავაშენოთო?“ მამალმა უთხრა: „შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებო“. წავიდნენ ტყეში. ძაღლმა ყეფა დაიწყო, დაეძინა. მამალი ხეზედ შესჯდა, ყივილი დაიწყო. მელას ხმა ესმა, მოვიდა, მამალს ჰკითხა: „მანდ რასა იქო?“ მამალმა უთხრა: „სოფელს ვაშენებო“. მელამ უთხრა: „ჩამოდი, სახლის ადგილი მომიზომეო!“ მამალმა უთხრა: „მამასახლისი მანდა წევს; გააღვიძე, ეგ მოგიზომსო!“ მელი მამლის ნდომითა სცდა, ველარა გაიგო—რა, ძაღლთან მივიდა. წამოდგა ძაღლი, მელას კუდი მოსწყვიტა. დაკოდილი⁶ წავიდა, გაგლეჯილი, ნათრევი, გორაზე⁷ წამოდგა და დაუძახა: „მე ხომ ჩემი ქკუისა დამემართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო!“

თქვენ, ლეონ და სედრაქ, პირი შეგიკრავთ. ვიცი, წაუხდენელს არ გამიშვებთ; თუ მეფის ძე კარგად გაზარდოთ, მე თურგ⁸ არა ვიცი რაო.

¹ ზეგანი—მალღობი, მთიანი. ² წალკოტი—ბაღჩა. ³ ბარი—დაბლობი ადგილი. ⁴ ცოტა—პატარა. ⁵ აუგო—ძრახი, ლანძღვა. ⁶ დაკოდილი—დაჭრილ-დაშეიებული. ⁷ გორა—სერი. ⁸ თურგე, ვითომც.

13 უცნაური აღმზრდელი

ღღესა ერთსა ლეონ გაწყრა ცუდად, ჯუმბერ შეიპყრა უბრალოდ და ერგასი¹ ჯოხი ჰკრა, დიდად ჰგვემა.

სცნა რუქამ, მოვიდა განრისხებული, არაკობა აღარ დაიწყო, მეფეს ეგრე უთხრა: „ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგივლინა. შენ მიეცი ერთ ღვთის წყრომით აღესილოს კაცს: შეუპყრია, ასი არგანი² უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდინ სულის ვერ მიატანს, და ლეონ შენ ძედ ისვი³ და ჩვენ პატრონად“.

მრავალი ეგვეითარი საუბარი წარსტქვა, ვითა მტერთა წესია: რა დროს დაიციე⁴, მაშინ ეცდება მტერობას. მეფე ერთობ შეაქირვა⁵ და დიდად განარისხა, რომე ცეცხლისა აღი მისის ჯავრის კვამლს მიჰრიდებდა⁶, მისის გაშმაგებისაგან⁷ ძრწოდა⁸. რუქა ცეცხლის გზნებას⁹ უმატებდა.

მრისხანე მეფემ ვეზირი გააძო¹⁰. ლეონს კაცი გაუსიეს¹¹ და თრევით მოიღეს¹². მოკვლას ჰლაშობდა¹³. ეგრე ჰკადრა ლეონ: „ვერ მომკლავ, მეფეო, ვერა! აჰა საფიკარი შენი: ამ ღღისათვის მინდოდა და გამოგართვი, ამას ველოდი და ვიცოდი. შე ეს წინ შედვა. ვერ მომკლავ უსამართლოდ!“

მოესხენა მეფესა ფიცი და უთხრა რისხვით: „მოვედ¹⁴ და ვისამართლოთ!“

ლეონ მოახსენა: „არა, ჯერედ მოწყალებისა ქართთა მრისხანებისა ღველფი¹⁵ განაბნივე, სიტკბოსა წყლითა მისი აღი დაშრიტე¹⁶, და მერმე გეტყოდე!“

სიტყვასა მას ზედა მოვიდა მეფე ცნობასა, დაწყნარდა და დამშვიდდა.

ლეონ მყოვარეამ¹⁷ დაღუმებით სდგა. მერმე აუბნა¹⁸ თავის ბუღბუღის უტკბესი ენა. ყოველს კაცს ასე ეგონა, პირსა იადონი¹⁹ უბუღობ-

¹ ერგასი—ორმოცდაათი. ² არგანი—ჯოხი. ³ ისვი—იყოლიე. ⁴ იშოვის. ⁵ შექირვება—შეუწყება. ⁶ მიჰრიდებდა—გაეჭკვოდა. ⁷ გაშმაგება—გაცოფება, გაბრაზება. ⁸ ძრწოლა—კანკალი. ⁹ გზნება—ანთება. ¹⁰ გაძევა—განდევნა. ¹¹ გასევა—გადევენება. ¹² მოიყვანეს. ¹³ ღლაშობდა—აპირობდა. ¹⁴ მოვედ—მოდი. ¹⁵ ღველფი—ნაღვერდალი, გავარყალებული ნაცარი. ¹⁶ დააქრე, დაავსე. ¹⁷ დიდხანს. ¹⁸ ალაპარაკა. ¹⁹ ბუღბუღი.

სო, ან მერცხალი ჭიკჭიკობსო. თუ რამ იცოდა, რაღა დღისათვის დაეჭირებოდა?

მოახსენა: „მეფეო, დიდად ვმადლობ გულისა შენისა სიმღოვრესა¹ და შენს ეგზომსა სულგრძელებასა. რაზომ აღგაშფოთა კაცობისა მარცხვენელმან და გაუკითხავად არ მომკალ! აწ ესე ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ძე შენი სამეფოდ გინდა, თუ მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგევანთა² მეფეთა. მწყემსი ჰხამს³, ცხოვართათვის იჭირვოდეს⁴, კეთილთა ბალახთა აძოვოს, ამოდ⁵ ატაროს, დაკოდილი⁶ შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ჰყოს, სამწყსო შეუშვირდეს. ეგრეთვე მეფე ესეთი ჰხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჰამა და მიცემა იცოდეს.

თუცა ჯუმბერ ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწოდეთა⁷ ჭირი, თუ ზემდგომსა რა ჭირი აქვს? თვით მეფე ჰზის, უნებს⁸ აღდგება, უნებს. დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მოიჭირებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ.

თუცა შიმშილით არ მომყმარიყო⁹, რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა ჰშიან, ანუ სხვათა ვისმე საქმელი აკლია? იგი ყოველს კეთილსა ჰსევამს და სკამს, არ მოიმშვეს. არაკად თქმულა: „მადლარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშენეტდა და ზედ დაჰყვედრიდა: რა ღორულად სკამო!“

თუცა უცხინოდ სლვა და ფეხთშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა¹⁰, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა ჰსცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალოს? იგი მერანთა ანუ თახარიკთა ცხენთა სჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს.

არგნისა¹¹ სიმწარე არ ენახა, რა მწყარალ-იყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა.

აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მის-

¹ სიმღოვრე—სიწყნარე. ² უგევანი—უხვირო. ³ ხამს—უნდა. ⁴ შეუხვებოდეს. ⁵ საამოდ. ⁶ დაკრილი; ჭრილობა. ⁷ მწოდ—მერიკიფე, ღვინის დამსხველი. ⁸ უნებს—სურს, ნებაჲს. ⁹ მომყმარი—მოშიებული, მშიერი. ¹⁰ ბაზიერი—სანადირო ფრინველების დამგურშველი და მეთალყურე. ¹¹ არგანი—ჯოხი.

წავებია და ამისა შემდგომად ჰნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისა?*

ჰნახა მეფემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი, დიდად მოეწონა და იხანა, რაც ლეონისათვის ავი ექმნა; მოეხვია ყელსა და უთხრა: „რა ვჰყო, შეილო! მიმძიმს: ავთა კაცთა ენამან და შეილისა სიმწარემან აღმაშფოთა... საქურისისა და დიაცისა გული უსუსურია, და ნუ დაიხსოვნებო“.

მოახსენა ლეონ არაკი:

14 კაცი და დათვი

მრთი კაცი და ერთი დათვი დამშობილდნენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა და გამოესალმა. მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცინა დათვისათვის. დიაცს რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და სთქვა: „პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო!“ წავიდა ეს დათვი. მერმე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო: „მით შეშას დაეკოდ¹ და წამოვიღებო!“ მოვიდა დათვი და, რაც იმათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსა. მერმე დათვმა დაუყინა: „თაეზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!“ მან კაცმა უარი სთქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა. მეორეს თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმა უთხრა: „ძმაო, შენის ცულით დაკოდელი თავი კი გამიმთელდაო, და შენის ცოლის ენით დაჰკრილი გული კი არაო“.

ეჰა, მეფეო, ენით მოკვდება კაცი, სხვით არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ველარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს² ელხინოს.

დრო გადიოდა. ლეონი ჯუმბერის აღზრდას განაგრძობდა, თუმცა ხშირად უსიამოვნება მოსდიოდა რუქასთან. მათ მოსარიგებლად ბრძანა მეფემ არაკი:

15 მეფე და მისი ვაჟები

მეფე ვინმე იყო დიდებული. ოც-და-ათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოადებინა

¹ დაკოდა—დაჰკრა. ² წყლული—ჰკრილობა, დაჰკრილი.

ოც-და-ათი ისარი, შეჰკრა მაგრად და მოიზიდა, რათა გასტეხოს. და ვერ გასტეხა. მერმე თითო-თითო მოიზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შვილთა თვისთა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი ეგრეთ ვერ გაგსტეხთ, ვითა წელან მე შეკრული ისარი ვერ გავსტეხე; თუ გაიყარენით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თვითცა მოგსთხაროთ და მოყვარეცა“.

აწე თქვენი საქმე მას ჰგავს. თქვენი სიტყვა თუცა ერთი იყოს, დაემყაროს მეფობა ჩემი. რადგან მტერნი ხართ, ჩემს საქმეს წაუხდენელს არ გაუშვებთო.

16 გამოცდა მეფის ძისა

ზავიდა ხანი. ერთ დღეს უბრძანა მეფემ ლეონს: „ესოდენი ხანია, ძე ჩემი არ ვიცი, ვითარის სწავლის პატრონია; მაჩვენეო!“ მოახსენა ლეონ: „მეფეო, კაცი უბოძე, მოიყვანე და მისგან კითხვით სცანო!“ გაგზავნა ხელარგნოსანი¹, აწვია ძე თვისი ჯუმბერ, და არ მოვიდა მით. გაგზავნა დარბაზთუხუცესი² და არა მოვიდა მით. გაგზავნა მესტუმრეთუხუცესი³ და არა მოვიდა მით. გაგზავნა ვეზირი⁴ და არც მით მოვიდა. მერმე მოლარე⁵ გაგზავნა; დაჯდა სპილოსა ზედა და მოვიდა. ჩამოჰხდა სპილოდამ, შემოიხსნა სარტყელი, სპილოსა ზედან დადვა, ცალის ხელით მიწა აიღო, ცალის ხელით ქვა, მამას მოართვა, თაყვანისცა და ხელს აკოცა. უბრძანა მეფემან შვილსა: „სიცოცხლეო გულისა ჩემისაო და ნათელო თვალთა ჩემთაო! ხელარგნოსანი გაახელ, რად არ მოხველ?“ ჯუმბერ მოახსენა: „შეცოდება არა მქონდა“. ჰრქვა მეფემ: „დარბაზთუხუცესი გამოგიგზავნე და არ მოხველ“. ჯუმბერ მოახსენა: „არა მონათაგანი ვიყავ, ჩემზე ხელი არა უძს⁶“. ჰრქვა⁷ მეფემ: „მესტუმრეთუხუცესს რად არ მოჰყევ? ჩემი უდიდესი თავადი არის“. ჯუმბერ სთქვა: „მასპინძელი ვინღა იყო, თუცა მე მესტუმრეს შევდგომოდი?“ ჰრქვა მეფემან: „ჩემს ვეზირს რად არ მოჰყევ?“ ჯუმბერ მოახსენა: „ნუთუ მეფობასა ვსცდილობდე?! ღმერთმან ნუ ჰყოს! ვეზირი მეფესთან ხამს⁸“. ჰრქვა მეფემან: „მოლარეს რად მოჰყევ, უგანსა

¹ ხელჯოხიანი, პოლიციელი. ² მეფის დარბაზის მსახურთა უფროსი. ³ მესტუმრე მსახურთა უფროსი. ⁴ ვეზირი—მეფის უახლოესი პირი, მისი თანამეხაიდუმლე და მოთათბირემრჩეველი. ⁵ მოლარე—ლარის (ე. ი. განძის, სიმდიდრის) მცველი. ⁶ არ უძს—არ აქვს. ⁷ უთხრა. ⁸ შედგომა—გაყოლა, მიღვნა. ⁹ უნდა.

მოხელესა და ცუდსა ქაბუქსა?“ ჯუმბერ მოახსენა: „სხვათა თანა ეგე უგვანია და არც მიივლინება, თვარემ ჩემთანა მოლარის მოგზავნა ხამს: მე ვარ შენი საუნჯე¹, განძი და ლარი²“.

მოეწონა მეფესა სიტყვა ესე. ჰკითხა ჯუმბერს: „რად შესჯავგ სპილოსა ზედა და მოხველ მით?“ ჯუმბერ უთხრა: „დიდებისათვის, რომე მეფეთა გვარი და დიდკაცი დიდსა რასამე ზედა უნდა სჯდეს“.

უთხრა ვეზირმან: „სარტყელი რად შემოიხსენ და სპილოსა ზედან მიაგდე?“ ჯუმბერ სთქვა: „რაყამს³ მეფე ანუ დიდი ვინმე საჯდომით თვისით სიჩქარით აღდგეს, ესრეთ ხამს, თვისი ძლიერება თვისსავე საჯდომს დაუტევოს და თვითონ თავი იცნას, რომე იგი საჯდომი არს დიდი ჰუბუტი⁴, თვარემ უმისოდ ყოველივე გარე შემოეცრცვება. არაკად თქმულა: „ლოდი მაშინ მძიმეა, რა აღვიღს ძევს, და რა აღვიღით დაიძრას, გასუბუქდესო“.

უთხრა მამამან: „ქვა და მიწა რად მიძღვენ?“ მოახსენა ძემან: „მიწა ეს არის, რა გინდ დიდებული და ძმლავრი მეფე იყო, სცან, ესე მიწა ხარ და ესრეთი შეიქმნები, ლეთის სათნო⁵ გიჯობს კაცთა სათნოსა. და ქვა ეს არის: რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარებ, ქვა და ოქრო სწორეა კაცისათვის“.

ჰკითხა მეფემან: „რადგან სიბრძნის სწავლას სჩემობ, რა უფროსად სასიამეა კაცისა და რა საწყენი და სამძიმებელი?“

მოახსენა ჯუმბერ არაკი:

17 მეფე და სამი მისი ძე

მართი მეფე იყო დიდებული და სამი ძე ესეა. სთქვა მეფემან: „გამოვსცადო შეილნი ჩემნიო, რომელსა აქვს სამეფო კეუა?“ ჰკითხა სამთავე: „რა უფრო კეკლუცია, რა უფრო მსუქანია და რა უფრო მალიაო?“ უხუცესმა⁶ ძემ მოახსენა: „ცოლი ჩემი კეკლუც არს, ცხენი ჩემი მსუქან და ქორი ჩემი მალ. მათი მჯობი არსად იპოვოს!“ მამამან უთხრა. „მეფობამან ვერ გიხილოს შენაო!“ საშუალომა სთქვა ფერობა მამისა და მოახსენა: „დედოფლის ულამაზესი, მეფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შავარდნის უმაღლესი არ

¹ საუნჯე—სიმდიდრე, სიმდიდრის საცავი, საგანძური. ² ლარი—ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლი და ქსოვილები, თვალმარგალიტი და სხვა, ყოველი განძი. ³ რაცა. ⁴ ჰუბუტი—საჯდომი. ⁵ სათნო—სასიამოვნო. ⁶ უხუცესი—უფროსი.

იქმნებოდა“. მასცა უბრძანა მეფემან: „სამეფო წილი არა გხვდესო!“ ჰკითხა უმცროსსა და სთქვა: „გაზაფხულის უკეკლუცესი, შემოდგომის უმსუქნესი და თვალთა უმაღლესი არარა იქმნების პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასაო“. მოეწონა მამასა და სამეფოდ იგი შეინახა.

მეფის ძის გამოცდას რუქაც დაესწრო. ჩვეულებრივ ვერ მოითმინა და დაცინვით უთხრა ჯუმბერს:

„რადგან ესე ბრძნობ, იგავს დაგიდგამ, და იგი ჰქმენ შენ და შენმა ლეონ“. ჯუმბერ უთხრა: „რაო?“

რუქამ უთხრა:

18 მგელი, თხა და თივა

მართს ვიწრო ხიდს დაგიდებ და ზედ ერთი მგელი, ერთი თხა და ერთი ზურგი თივა ესრეთ თითო-თითო გაიტანე, მგელმა თხა არ მოჰკლას და თხამ თივა არ შესქამოს.

დაჰყვა ძე მეფისა. დადვა რუქამ ხიდი. მოასხეს მგელი და თხა და ერთი ხორომი¹ თივა მოიღეს².

მოვიდა ჯუმბერ, აიყვანა თხა, გაჰხდა³ ხიდსა და დასვა მუნ გამოხდა, აიყვანა მგელი, გაჰხდა ხიდსა, მგელი მუნ დაუტევა და თხა ამიერ⁴ გიმოიყვანა. თხა დასვა, თივა აიღო, გაჰხდა ხიდსა და და თივა მგელთან დადვა. გამოხდა, თხა აიყვანა, გაიყვანა იგიც იმიერ⁵.

19 მოჩივარნი

მოვიდნენ მოჩივარად სამნი ძმანი წინაშე მეფისა, რომელნი გაყრილიყვნენ ძმობისაგან. ყველა გაეყოთ და ოც-და-ათი თხა ჰყვათ, იგი ვერც გაეწილათ და ვერც ჰრიგდებოდნენ. მოახსენეს მეფესა თხათა მათათვის: „ათს თხას თითო თიკანი ჰყავს, ათს—ორ-ორი და ათს—სამ-სამი; ესრეთ გვინებს გაყოფა, არცა რომელმან ძმამან ძმაზე მეტი აიღოს, და არცა თიკანი თხას მოსწყდეს“.

შეიქმნა ცილობა და თქმა. ვერა რომელმან გაუყო. ჰკითხეს ჯუმბერს, ძესა მეფისასა, და მან სთქვა; „ოც-და-ათი თხა არის და

¹ ხორომი—თვის მომცრო ზინი. ² მოიტანეს. ³ გავიდა. ⁴ აქეთ. ⁵ იქით.

სამოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა ორ-ორი თიკანი ჰყავს, მიეცით უხუცესსა, — რომელი არს ათი თხა და ოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა სამ-სამი თიკანი ჰყავს, ხუთი თხა საშვალს მიეცით და ხუთი მრწემსა, — რომელი იქნება ხუთ-ხუთი თხა და თხუთმეტ-თხუთმეტი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა თითო ჰყავს, იგიცა ხუთ-ხუთი მიეცით მათ ორთავე, რომელი იქნება ათ-ათი თხა და ოც-ოცი თიკანი. არცა ძმასა ძმაზედან მეტი მაჰხვდეს¹ და არცა თიკანი დედასა მოსწყდეს²“.

რა ესრე გაჰყენა, მეფეს დიდად იამა, ლეონს მადლი უბრძანა, სამეფო სამოსელი შეჰმოსა, თვისსა სახედროსა ტაიქზედ³ აღსვა და ფრიადი⁴ საუნჯე მიანიჭა⁵.

რუქამ სუქვა: „თხათა და ცხოვართა განყოფა უსწავლებია, და ესოდენი დიდება მიანიჭა; თუცა სამეფო წესი და კაბუჯთ⁶ ზნენი ესწავლებინა, თავის სამეფოს მისცემდაო?“

სუქვა რუქამ არაკი:

20 მეფე და ვეზირი

იყო ერთი მეფე, ღმერთობას სჩემობდა და ვერცარავინ ეტყოდა, რომ ღმერთი არა ხარო. ერთი კეკიანი და კარგი ვეზირი ჰყვა. მან მოახსენა: „რადგან შენ ღმერთი ხარ, მე შენი ანგელოზობა მიბოძეო!“ უბოძა მან ღმერთმან თავისი ანგელოზობა. გამოჰხდა ხანი. უბრძანა მან ღმერთმან მისსა ანგელოზსა: „მოდი, სასწაული ვქმნათო!“ მისმა ანგელოზმა მოახსენა: „თუ მისმენ, უცხოსა და კარგს სასწაულს გაქმნევენბო“. დაუჯერა. დააცლევინა სახლები მეფისა; ნეხვით, ცხოვართ და ძროხათ ფაშ-ფუშით აავსო, გამოიხშა⁷ კარი. ზაფხულის ჟამი⁸ იყო. ათი დღე დაეყოვნა⁹, მეთერთმეტე დღესა მოვიდნენ: „ჩვენი ნაქმარი სასწაული ვნახოთო!“ გააღეს კარები, ჰნახეს: სრულ მატლი, კია და ფუნდურა¹⁰ დაჰხვეოდა, დიად აყროლებულიყო. მეფემ უთხრა ვეზირსა: „ეს რა გვარი სასწაულიაო?“ ვეზირმა მოახსენა: „შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არის და არც უფროსი გამოგვივაო!“

¹ ერგოს, შეხვდეს. ² მოშორდეს. ³ ტაიქი—ცხენი. ⁴ ფრიადი—დიდალი, დიდი. ⁵ უბოძა, აჩუქა. ⁶ კაბუჯი—გმირი. ⁷ გამოიხურა, გამოიქცა. ⁸ ჟამი—დრო. ⁹ დაიცადა, დაიგვიანა. ¹⁰ ფუნდურა—ნეხვის კია.

ჯუმბერ რომ უფლისწულია¹ და ლეონ ოსტატი, ესეც ღია, თხა-თიკანთ საქმე უსწავლებია, და ყოველს კაცს მოწონებაც გემართებს, თვარა დაუწუნოთ, შერაცხვინდება და მერმე ძროხა-კამბეჩთ საქმეს ველარ ასწავლის.

უთხრა მეფემ არაკი:

21 კუ და მორიელი

მართი კუ და ერთი მორიელი დამძობილდნენ, წავიდნენ გზასა და გასავალი წყალი დაჰხედათ. მორიელი დაღონდა, გასელა არ ეძლო. კუმ უთხრა: „ზურგს შემჯექ, მე გაგიყვანო!“ შეაჯდა მორიელი ზურგზე. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰკითხა: „ძმაო, რასა იქმო?“ მორიელმა უთხრა: „რა ვქმნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვკბენდეთო“. კუმ დაიყურყუმელავა², მორიელი წყალს მისცა და უთხრა: „ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი, თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გასივდება და მოჰკვდება“.

„რუქავ, შენი მსგავსნი ყოველნი მტრისა და მოყვრისა მკბენარნი არიან; მაგრამ შენ ეს მაინც დამიჯერე, ასეთს საკბენს უკბინე, ან კბილი მოჰკიდო და ან წყალში არ დაირჩო. მელი პირუტყვია და ესოდენი კკუა აქვს, რა მრავალი რწყილი დაესხმის, იცის შემაწუხებენო, პირში ჯღანს³ დაიკერს და კუდს წყალში ჩაჰყოფს; რა კუდის რწყილი ტანში შემოვა, მერმე ტანს ჩაჰყოფს, რა ტანიდამაც თავში ავა, ჯღანზე გამოსხდება, თავსაც წყალში ჩაჰყოფს და ჯღანს რწყილებიანს წყალს მისცემს. თუ ბევრი რწყილი სულიერს შეაწუხებს, ბევრის კაცის მტერობა, ჰნახე, კაცს რას უზამს? ამდენს სულში კაცს ერთი მოყვარე არა ჰყვეს, დიდი სიავე არის“.

შემდეგ მიუბრუნდა თავის შვილს და უთხრა: „შვილო ჩემო, შენთვის ღმერთსაც მოუწოდებია და მეც მომიცია ადგილი და სამეფო ჩემი, და დღეის წაღმა უფლებდე ყოველსა ზედა, ნუმცავინ არს მტერი შენია“.

მოახსენა რუქამ არაკი:

¹ უფლისწული—მეფის შვილი. ² ჩაყენთა, განგებ ჩაიძირა წყალში. ³ ჯღანი—ძველი ფეხსაცმლის ტყავი.

22 მეპატრონე და მემარნე

მრთი მეპატრონე შევიდა მარანსა თვისსა ნახვად ღვინისა. ჰნახა, ჭურის პირსა ერთი ჯამი იღვა. ჰკითხა მემარნეს: „რად სდგას ჯამი ესე აქა?“ მან მოახსენა: „რაოდენჯერ შემოვალ, თითოს ამით ღვინოს 'მევსვამ'“. ეწყინა მეპატრონეს და ეგრე სთქვა: „ჩემი ღვინო ამ კაცს აუოხრებიაო“. ერთი კაცი სხვა დააყენა თავს, რომე მაგოდენს ღვინოს ნუ ასვამო. მეორეზე რა შევიდა მარნად, ჰნახა, ორი ჯამი იღვა ქვევრთან. ჰკითხა მემარნეს: „ეს რა უნდა იყოსო?“ მან მოახსენა: „ერთი ჩემია, რომლითა ვსევმდი, და მეორე მაგ ჩემს ამხანაგს მოუნდებო, ახლა რომე დააყენო“.

„აჰა, მეფეო! შენ შეილს კარგი სამეფო მიეც და ერთი მაგდენი სამეფო ლეონსაც უშოვე, თვარამ ორთავ ერთი კი არ ეყოფათ“.

ღიღად ეწყინა ჯუმბერს და სთქვა არაკი:

23 მკალავი და ვირი

მრთი მკალავი იყო. ვირს საფქვავეი აჰკიდა, წისქვილში წავიდა, დაფქვა და გამობრუნდა. გზაზედ ვირი დაუდგა. რა ველარ დასძრა, ჯიბეში ნიშადური¹ ეღვა, ქვაზედ დანაყა და ვირს მოსცხო, ეგება დასწვას, დააჩქაროსო. რა ნიშადური მოსცხო, ვირი ესეთი გაიქცა, მკალავი ველარა მოეწია. დაღონდა: ვირი არავინ მომტაცოსო, დამეკარგებაო. ცოტა ნიშადური თითონაც მოიცხო: ეგება ვირს მოვეწიოო. ასე გაშმაგდა² მკალავი, ვირსაც გაუსწრო, სოფელი და თავისი სახლიც გაირბინა; ცოლს მისძახა: „ჩემი ნიშადური ცხაჭი იყო, მე ველარ დამდგარვარ და ვირს ეპატრონეო!“

„რუქავ, შენც ნიშადური წავისვამს, იგი გაჩქარებს, თვარამ მეფის წინაშე შენგან და ანუ სხვისგან მაგ რიგი ვითარ იკადრება?“

24 აღზრდის დასასრული

მერმე ჯუმბერ დადრკა, მამას ეთაყვანა, მიწას აკოცა და ეგრე მოახსენა: „დამბადებელიმცა შენი კურთხეულ არს, სვემცა³ შენი

¹ ნიშადური—ნიშადურის სპირტია (ცხარე სუნინი,) რომელიც კალას ადვილად აღნობს. ² გახელდა, გაღირია, გაგიჟდა. ³ სვე—ბელი.

ბედითურთ ამალღებულ არს, სახელიმც შენი ნუ დაილევის! შენის სიმაღლის მდაბლის გულითა ჰბრძანებ, თვარამ მე შენის პირის-პირ ჳერეტასაც არა ღირს ვარ, არა თუ ეგეთსა წყალობასა. მე თუცა შენი მოწყალე ბრძანებანი მესმიან, ყოველთა ღიდებათა უღიდესად მიჩნს, მე თუ რამ სიკეთე მაქვენ—შენგან, თვარა ვინ ჰნახა: ჳერიმა¹ ღაითესოს და უბრენიკი² მოიმკოს, ანუ ეკალი დაერგოს და ხურმა მასზედ მოეკრიფოს. კეთილი ხე კეთილს მოიბამს, თვარამ თავით თვისით ხილი უნერგო კარგი არ იქნება, და არც ალქატი³ ხე რწყვით და კაზმვით გაკეთდება. არაკად თქმულა: „ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძერუკასარო“. ჩემს სიკეთეს მე ნუ მაკეცებ და ნუც მე მადებ. კალატოზმან რომ ნატიფად⁴ სახლი აღაშენა, —სახლის სიკეთეა, თუ მაშენებელისა? მხედარმან რომ კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს,—კვიცი საქებელია, თუ მხედარი? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი; ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე—შენგან, და წვრთილება—ლეონისაგან“.

ბ. რჩეული არაკები:

25 ზარმაცი მცურავი

მცურავი ერთი მოჰქონდა წყალსა. სთქვა: „ღმერთო, მიშველეო!“ მეორე ამხანაგმა უთხრა: „ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველი იქმნებიო!“.

26 ქორი და იხვი

მართმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ჳამა ენება. იხვი ეგრევე უვნებელი, ცოცხალი ეპყრა. ზეიღამ მონადირისაგან შეშინებულმან ერთმან კაკაბმა⁵ ჩამოუარა. ქორი წაეტანა: ამასაც დავიჳერო. იგი იხვიც ჳანგიღამ⁶ დაეხრწია, წაუვიდა, და ველარც კაკაბს მოეწივა. ორივე დაეკარგა.

¹ ჳერიმა—ფეტვი ღომის მსგავსი. ² უბრენიკი—თეთრმარცვლოვანი ღიკა. ³ ალქატი—უხვირო. ⁴ ნატიფად—მშვენიერად, მოხდენილად. ⁵ კაკაბი—გარეული ჳათამი. ⁶ ჳანგი—კლანჭი.

27 მეხილე და მწყემსი

ბაღდადის ქალაქსა წესი იყო: რა მეხილესთან კაცი მივიდის, ორი ფული მისცის, რაც ენების, ეგოდენი ხურმა შესქამის. ერთი გარედ მყოფი მწყემსი მივიდა, განწესებული¹ მისცა, დაჯდა და ნახევარ მარჩილისა² ხურმა შესქამა. მეხილემ უთხრა: „ძმაო, ბევრს ნუ სქამ, გულოს დაგწავსო“. მწყემსმა უთხრა: „შენ ნუ იურავი³, ვისაც გული დაეწვის, მე ვიციო!“

28 მოხერხებული ვირი

მრთი მგელი მოუხდა⁴ ვირსა, შექმას ჰლამოდა⁵. ვირმა უთხრა: „ვიცი, შემეკამ და ეს ანდერძი⁶ აღმისრულე: ქაჩაჩში⁷ ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამომიღეო!“ მგელმა პირი მიჰყო, უნდა აღმოაუღლოს. ვირმა ტყუპად წიხლი ჰკრა, კბილები ჩაამტერია. ვირი ველარ შექამა მგელმან და სთქვა: „მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას⁸ რა მრჯიდაო?“

29 ძაღლები და მგელი

მრთი მძოვრი⁹ იღვა ადგილსა ერთსა. შვიდი-რვა ძაღლნი ეხვიენ, სქამდენ მძოვრსა, იღრინებოდენ, შულლობდენ და ჰკბენდენ ერთმანერთსა. ჰნახეს მგელი მომავალი. მათ შულლი¹⁰, ღრენა და კბენა გაუშვეს, ერთად შეუტივეს¹¹ და მგელი გააძეს¹². მოიქცნენ¹³ და მასვე მძოვრზე ისევ შულლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს ჰნახავდენ, მას ერთპირ დაუხვდიან და მერმე ეგრევე შულლობდინ.

30 ქურდი მკერვალი

მრთი მკერვალი იყო დიად ქურდი. რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის. დამესა ერთსა ჰნახა სიზმარი: პირთა ხე ამოსვლო-

¹ განწესებული—დაწესებული. ² მარჩილი—სამი აბაზი (ძველი ფულია). ³ ურვა—ზრუნვა, წუხილი. ⁴ მოხდომა—მოხტომა, მოვარდნა. ⁵ ლამა, ლამევა—სურვილი, ნდომა. ⁶ ანდერძი—უკანასკნელი სურვილი (სიკვდილის მოლოდინში). ⁷ ქაჩაჩი—გაუპოპელი ჩლიქი ცხენისა, ჯორისა, ვირისა და სხვათა. ⁸ ნალბანდი—ნაღების მკეთებელი, საქონლის დამკვიდი. ⁹ მძოვრი—ლეში. ¹⁰ შულლი—ჩხუბი. ¹¹ შეტევა—მისევა. ¹² გაძება, გაძევა—გაგდება, განღვენა. ¹³ მობრუნდნენ.

და. ყოველი ნაპარევი ნაქერი ზედ ეკიდა რტოთა. რა გაედვიძა, შეშინდა, შვილს უთხრა: „როდესაც შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, ხე მომავგონეო!“ ერთმან დიდებულმან ერთი უცხო ოქროქსოვილი გამოაქრევიანა. რა პარვა დაიწყო, შვილმა ხე მოავგანა. ეწყინა მკერვალსა, მაკრატელი პირში ჩასცა და ეგრე უთხრა: „ამისთანა ნაქსოვი როდის ეკიდა მასზედაო?“

31 კატა და ლომი

მართი კატა დაიარებოდა. ჰნახა: ერთი ძუ¹ ლომი მომკვდარა და ერთი ლეკვი დაპრჩომია. წაიყენა და ზრდა დაუწყო. რა გაზარდა, დიდი შეიქმნა. დაიწყო ნადირობა და ნადირის ქამა. დღესა ერთსა ნადირი ვერ იშოვნა, თავისი გამზრდელი კატა მოინდომა შესაქმელად. კატამ რა შეიტყო, ხეზედ გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა; უთხრა: „ჩემო დედის უსაყვარლესო და დამარჩენელო გამზრდელო! ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზედ გასვლა რად აღარ მასწავლეო?“ კატამ უპასუხა: „ეს ჩემთვის შევინახე: რა ესრე გამიჭირდება, მომეხმარებაო“.

32 იხვი და მყვარი²

მართს მთაში ერთი მომცრო, წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო. მივიდა ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა. ერთი მყვარი დაემოზილა იხვსა და ერთად იყვიან და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდინან. რა მზე გაცხელდა და ზაფხულმან სიტფო³ მოუმატა, წყალმან კლება შექმნა. იხვმან უთხრა მყვარს: „მოდი, ადგილი ვიცვალათო!“ მყვარმან უთხრა: „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დაუტყევებო“. იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა. მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა. ცოტას ხანს უკან იხვმა სთქვა: „წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქმსო?“⁴ მოვიდა: გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: „ძმობილო, მაგისთანა სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო!“

¹ ძუ—დედალი (მგელი, ლომი, ვეფხვი, ძაღლი და მისთანანი). ² მყვარი—გომბაშო. (ბაყაყია). ³ სითბო.

33 გლახაკი და ერთი ქილა ერბო

მრთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო ჰპოვა. აილო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიღო. დაიწყო გზა-გზა სვლა და გულთა ამასა უბნობდა: „აწ გამდიდრება ჩემი მოინება ღმერთმან. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად¹ გავჰყიდი; მით თორმეტ სამამლე წიწილას ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავეყვარავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავჰყიდი. მერმე მით საეშვე² გოკებს ვიყიდი, დავასუქებ, დავკერატავ³ და ორ-ორ მარჩილად გავჰყიდი. მერმე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, ხარებს დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქნები“. ამ გულისთქმაში⁴ შეშა დაუღვა და ქალაქს გასასყიდად წამოიღო. ერთი ხიდი დაჰხვდა. სთქვა მან კაცმან: „აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავსცეო“. შესძახა: „ერიო!“ დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხნდა.

34 აქლემი და ვირი

მრთი აქლემი და ერთი ვირი, დიად დაღლეტილი⁵, დამობილდნენ, თავის პატრონს გაეპარნენ, წავიდნენ აგართა⁶ ადგილთა, დიდად გასუქდნენ მთასა მას ზედა. დაავიწყდათ სიმკლევ და ზურგის სიმპალე მათი. ვირმა უთხრა აქლემსა: „ძმაო, სიმღერა მინდა ვსთქვაო“. აქლემმა დაუშალა: „ნუ, ძმაო! აღარ გახსოვს, რა ქირში ვიყავით? არამც ახლოს კაცნი იყვნენ, ხმა ესმას, წავგიყვანონ და უარესი გვიყონო“. არ დაიჯერა ვირმან და დაიყოყანა. მეტად მაღალი სიმღერა მოუვიდა. თურე ახლოს მგზავრნი იყვნეს, აქლემები და კარაულები⁷ დასცივივნოდათ. ესმათ მათ ხმა ესე, გაუხარდათ დიდად და სთქვეს: „მივიდეთ და ვნახოთ, ან შენობა იქმნება, ანუ ქარვანი, ეგების ულაყი⁸ გვიმიზდონ⁹“. მივიდნენ, ჰნახეს ერთი აქლემი და ერთი ვირი მსუქნები, უპატრონონი იყვნენ. წაიყვანეს და

¹ ნახევარი მარჩილი—ექვსი შური. ² ეშვი—ტახი, მამალი ღორი. ³ კერატი—დაუკოდავი ტახი; დაკერატება—ღორის დაკოდავა. ⁴ გულისთქმა—სურვილი, წადილი. ⁵ დაღლეტილი—ზურგადატყავებული. ⁶ აგართა—სახანაი მინდორი; ან საზაფხულო ბინა; აქ კი ეს სიტყვა ნახმარია საძოვარი მთიანი ადგილის მნიშვნელობით. ⁷ კარაული—სახედარი, ვირი. ⁸ ულაყი—მამალი ცხენი ან ვირი. ⁹ მიზდი—ქირა; გვიმიზდონ—გვაქირავენ.

ორთავ მძიმედ აჰკიდეს. რა გზა გაგრძელდა, ვირი დამძიმდა და დადგა. კაცთა მათ აღიღეს ვირი და მისი ტვირთი, ორივე მას აქლემს დაადვეს. წაიარეს, ერთი ვიწრო გზა დახვდათ, დიდი კლდე ვარდასავარდნელი იყო. აქლემმა უთხრა ვირსა: „ძმაო, მინდა დაეროკდე¹ და სამაია-ცეკვა² ექმნაო“. ვირმა უთხრა: „რა სამაიას ალაგი არისო?“ აქლემმა უთხრა: „იმისთანა სიმღერას ამისთანა ადგილის ცეკვა უნდაო!“ ჯავრით აემართა აქლემი, ვირი კლდეს გარდაადგო და დაჩხხა.

35 თხა და მელა

მართი თხა და ერთი მელა დამშობილდნენ და საზიაროდ ყანა დათესეს. რა ამოვიდა, დია კარგი ყანა მოვიდა. მომკეს, გალენეს და გაანიავეს. ხვავი ცალკერძო დააგროვეს და ბზე ცალკერძო. მელამ უთხრა თხას: „ხვავი მე და ბზე შენაო“. თხამ უთხრა: „არა, სამართალი ეს არის, ორივე შუა ვავიყოთო“. მელამ უთხრა: „მაშ მე წავალ, ბიძა ჩემს მოვიყვან და მან განგვიყოსო“.

ვირემდის³ მელი ბიძას მოიყვანდა, თხა წავიდა, ცხვრიდამ ორი დიდი ქოფაკი⁴ მოიყვანა და ბზეში დამალა.

მოვიდა მელა; ერთი ასეთი მგელი მოიყვანა, თხას თვალთ დაუბნელდა. უთხრა მგელმა თხასა: „ჩემს დისწულს რატომ აჩივლებო?“ თხამ უთხრა: „მაშ რადგან მოწმად მოჰყოლიხარ, მეც მამა-ბიძანი აქ მისაფლავიან, მის საფლავზე შედეგ, ისულე⁵ და მართალი მოწამე იქნებო“. მგელმა რა თხის შექმა მოინდომა, მივიდა და ზედ ძაღლებს შეადგა. წამოხტნენ ძაღლები, მელი და მისი მოწამე ასე გახადეს, შარშანდელიც დაავიწყეს, არამც თუ წლეული ემოვნათ.

36 ორნი ძმანი

ორნი ძმანი იყვნენ. უხუცესს ცოლ-შვილი ჰყვა, მრწემი⁶ უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ველარ დადგნენ. ყოველივე განიყვეს, რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთის ორმო⁷

¹ როკვა—თამაში. ² ცეკვა. ³ სამაია—ქალთ ფერხული. ⁴ ვიღრე, სანამ. ⁵ ძაღლი. ⁶ ისულე—დაიფიცა. ⁷ მრწემი, უმრწემესი—უცროსი. ⁸ ორმო—იგულისხმება ხორბლის შესანახავი ორმო.

კალოს აქეთ იყო და მეორისა კალოს იქით. უხუცესი მოიპარეედის თავის ორმოდან პურსა, ძმისაში ჩაპყრიდის და იტყოდის: „მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომგებელნი მყვანან. მას ძმას არა რა ჰყავს, ესე მისი იყოს და მან სკამოსო“. იგი უმრწემესი ძმა მოიპარეედის თავის ორმოდამ და უხუცესისაში ჩაპყრიდის: „მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ, ადვილ არს; იგი, ძმა ჩემი, წვრილშვილი არს და მას უფროსი უნდება და მისი იყოსო“. ესრეთ დაჰყვეს ყოველნი ღღენი. ღმერთმან ორთავ გაუმბრავლა ყოველი, და არა მოაკლდა საზრდო მათ.

37 ორმოში ჩაგდებული მეფე

ორნი მეფენი შეიბნენ. ერთმან მეორეს სძლო, შეიპყრა და ორმოში ჩააგდო. გამოჰხდა¹ ხანი. მივიდა ერთი მეცნიერი² კაცი, ენება აღმოყვანება და გაპარება მისი. ჩასძახა ორმოსა შიგან და უთხრა: „კარგად არა ვიქმ, რომ გაგაპაროვო?“ მან მეფემ მადლი უბრძანა. თოკით ამოზიდა და აღმოიყვანა. კიდევ უთხრა: „კარგად არა ვქმენ, რომ აღმოგიყვანეო?“ მეფემ კიდევ მადლი უბრძანა. მესამედ კიდევ უთხრა: „კარგად ვქენიო?“ ეწყინა მეფესა და დაიძახა: „ვინ ხართ, ამ კაცმა გამაპარაო!“ მოვიდენ მცველები, შეიპყრეს ორნივე. ჰკითხეს მეფესა: „რად გაამელავენე და არ გაიპარეო?“ მან სთქვა: ვირემ ამომიყვანდა, საყვედურით ამავსო; თუ შინ მიმეწივა, კიდევ დამარჩობდა, — აქავ ყოფნა ვირჩიეო“.

38 სამნი ძმანი

სამნი ძმანი იყვნენ. ორნი ბოროტნი და ხარბნი და ერთი მართალი და ღეთის მოსაევი³. გაიყარნენ. აენი ძმანი ერთად დადგნენ, კარგი ძმა ცალკერძ⁴ გააძეს⁵. წავიდა კარგი ძმა, ჰნახა: ერთს ადგილს ერთი დიდი ქილა ფლური⁶ ჰპოვა. ერთპირობით ვერ ჰზიდა. წამოვიდა შინ მას ღამესა, ცოლს უთხრა: „ამ ადგილს ფლურები ვნახე და ხვალ წავალ, საკიდარს წავიყვან და მოვიტანო“. თურე ძმანი ერდოლამ ერთად უმზერდნენ, დახარბდნენ მასვე ღამეს,

¹ გამოხდა — გავიდა. ² მეცნიერი — მცნობი, ნაცნობი. ³ მოსაევი — მოიხედე. ⁴ ცალკე — გააგდეს. ⁵ ფლური — ოქროს ფული (შვიდაბაზიანი).

ხვალ ჩვენმა ძმამ არ დაგვასწრასო. ლამპარი აანთეს, ჰნახეს, ქილა სრულებით გველითა და ღრიანკალითა¹ სავსე ეჩვენა. მათ ძმათ ესრეთ სთქვეს: „ჩვენმა ძმამ გვიღალატა. ეს უნდოდა, ჩვენთვის ესმენინა, მოვსრულიყავით, გვენახა და ეკბინა, თვარა რა ჩვენს ზერაში² სთქვა იგი ამბავიო“. პირს მაგრა მოაკრეს ორთავ ძმათ, აიკიდეს, ესრეთ სთქვეს: „მას ჩვენს ძმას ჩვენი სიკვდილი უნდოდა, და ჩვენ ცოლ-შვილით დავბოცოთო“. წაიღეს ქილა და ბანიდამ ჩაუგდეს. სთქვეს: „ქილა შეიმუსვრის³, გველი და ღრიანკალი სახლს მოიციავს და ყველაყას⁴ დაჰხოცს“. მეორეს დღეს კაცს გაეღვიძა, ჰნახა: გუშინდელი ფლურები სახლში უგროვია. მათ ძმათ მისი წახედენა⁵ მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ფლურები შინ გაურჯელად მიუტანა.

39 ვირი და ვეფხვი

მრთი ვირი გლახაკისა კაცისა, მიჰირებულის⁶ და მკლე, გაეპარა პატრონსა თვისსა და წავიდა, ერთსა მალალსა ადგილსა დაიხადგურა⁷. ესეთი ადგილი იყო: დიდი წყალი ჩადიოდა, წყალთა პირსა ხენი მშვენიერნი იდგნეს, დიდნი კლდენი მოსცივიდნენ⁸, კორდნი⁹ მწვანენი ყვავილოვანნი. თურე ვეფხვის სამკვიდრო იყო, და მუნ¹⁰ დადგა. ვეფხვი ნადირობასა იყო, მოვიდა, ჰნახა, დიდად ეუცხოვა და დიდად შეშინდა. რა ვირმა ვეფხვი ჰნახა, თავისი სიკვდილის მოციქულობა ეგონა, ყურნი წაიკვიტა და დიდად დაიყვირნა. ვეფხვს ესეთი შიშის ზარნი დაეცა, გზათაკვალი ველარ გაიგო, კლდეზე გარდაიქრა და გაიქცა. მიმავალს მელი შეჰხვდა. სცნა, შეჰკირებულის მივიდოდა, თაყვანისცა და მოახსენა: „ნადირთ მეფეო, სად მიხვალთ, ანუ რად დაგიღრეჯიო¹¹?“ მან უთხრა: „ჩემსა სამეფოსა ერთი უცხო ბუმბერაზი¹² მოსულა, მისის შიშით ველარ დავდეგ და გამოვეცალე, მით დამიღრეჯიო.“ ჰკითხა მელამ მისი ამბავი. მან ყველა უამბო: სახე მისი, ოთხფეხობა, ყურდილობა, ხმამაღლობა, ფერი და, რა რამე სჭირდა, ყველა. მელამ მოახსენა:

¹ ღრიანკალი—მორიელი. ² ზერევა—თვალეირება. ³ შემუსვრა—დამსხვრევა. ⁴ ყველაყა—ყველა. ⁵ წახედენა—დაღუპვა. ⁶ შეწუხებულის. ⁷ დაბინავდა. ⁸ გარს ერტყნენ. ⁹ კორდი—გორაკი, სერი. ¹⁰ იქ. ¹¹ დაღრეჯა—მოწყენა, დაღონება. ¹² ბუმბერაზი—დიდი გმირი, გოლიათი.

„ეგე ვირია, ნუ მირბი, მას გავაძებ და შენ უზრუნველად განისვენო.“ ვეფხმა არ მოუსმინა; მელიც თან გაჰყვა, წავიდნენ. შემოეყარათ მგელი, თაყვანისცა და მერე მელას ჰკითხა: „რად შექირვებულა, ანუ სად მივა?“ მელამ მგელს ყოველივე უამბო: „ვირის გამოქცეული მირბისო, ვუშალე და არ დაიშალა“. მგელმა მოახსენა: „ნუ სწუხარ, ჩემი სადილია, დია მშინ, წავიდეთ, მის საქმეს მოგახსენებო!“ ვეფხმა ეგრე უთხრა: „თუ ჩემი ღალატი არ გნებავენ და მართალსა მეტყვით, ერთი თოკი მოიღეთ!; შუა მე მოვებში და აქათ ერთი მოებით და იქით მეორე. ერთად მივიდეთ და, რაცლა დაგვემართოს, სამთავ სწორედ დაგვემართოსო!“ წავიდა მელი, თოკი მოიპარა, მოიტანა, სამნივ გამოებნეს და ერთად მივიდნენ. რა ვირმა ესენი ერთად მისულნი ჰნახა, ვაება გაუმრავლდა, შექმნა ყვრილი და ზახილი². ვეფხვი შეშინდა, მრჩეულებს აღარა უსმინა რა, თოკს მოიზიდა, ორნივ დაარჩო, თვით გარდაიხვეწა³. ბოლოს სთქვა: „თუ არ მას ადგილს, ჩემი დარჩომა არ იქმნება, წავიდე და მას ბუმბერაზს ვეყმოო, ეგება დამინდოს, და ჩემს ადგილს კიდევ ვნახვიდე ხოლმეო“. მივიდა ვირთან დიდის კრძალვით⁴, შეეხვეწა და ეყმო. ვირს მისგან ეშინოდა და მას უფრო ვირისგან. უბრძანა ვირმა: „რადგან მეყმე, კარგად დაგარჩენ, ჩემის სახლის უხუცესობას⁵ მოგცემ, ორს შეცოდებასაც შეგინდობ და მესამეს ერიდეო!“ იყვნენ და განისვენებდნენ. გამოჰხდა ხანი, ვირს ეძინა, ვეფხვს ნავარდი მოუნდა, წყალს გახლტა, მქველს⁶ კული დაჰკრა, ვირს წუნწკლი შეასხა; გაიღვიძა, იწყინა და დიდად დატუქსა⁷. მეორეზე ვირი წყალში ჩავიდა, წყალი დიდი იყო, ვირი წაიქცა და დაილუპა. შეიქრა⁸ ვეფხვი, ვითომ ბატონს მოეხმარა და გამოიყვანა. ვირი მიზეზს ეძებდა, თუცა გავიცალოვო, გაუწყრა: „მე კალმას ვნადირობდი, შენ რად გამომიყვანეო?“ ვეფხვს მესამეს შეცოდების რიდა ჰქონდა და გარდაიხვეწა. იგი ადგილი ვირმა დაიმკვიდრა.

¹ მოიტანეთ. ² ზახილი—ძახილი. ³ გადაიკარგა, წავიდა. ⁴ კრძალვა—მორიდება, ხათრი. ⁵ უხუცესობა—უფროსობა. ⁶ მქველი—ტალღა. ⁷ დატუქსა—შერისხვა, გაწყრომა. ⁸ შექრა—შევარდნა.

40 კაცი და გველი

მართი კაცი მოვიდოდა გზაზედ. ჰნახა: ერთს ძეძვეს¹ ცეცხლი შემოჰგზნებია² და ზედ გველი გასულა; წასავალი გზა არ აქვს, ღონობს და წივის. ჰნახა მან კაცმან, შეეწყალა³ და სთქვა: „ამ გველს მოვარჩინ, მალღია ჩემთვისაო“. მივიდა, შუბის წვერი მიუშვირა. გველი ზედ შემოეხვია, მხარზე შეახლტა და ყელს შემოედღლარქა, მაგრა მოუქირა. ჰკითხა მან კაცმან: „რა გაწყინე, რატომ მიზამ? სიკვდილს მოგარჩინეო!“ გველმა უთხრა: „კარგისათვის კარგი არავის უქმნია და მეც ესე გიყავო“. კაცი შეეხვეწა: „ამდენი მაცალე, იგი ჰანდარი⁴ რომ სდგას, მუნამდინ მივიდე და მას ვკითხოთ: თუ ჩემის ცოდვით ხემაც ხმა ამოილოს და დაგიშალოს, გამიშვი, თუ არა, რაც გინდა, მიყავო!“ ცოტა მოუფონა⁵ გველმან და მივიდნენ ჰანდართან. ჰკითხა მან კაცმან: „ეს გველი სიკვდილს მოვარჩინე, აწ ასე მიზამსო“. მან ჰანდარმა აგრე უთხრა: „ამ ცხელს მინდორში მარტო მე, ერთი ხე, ვდგევარ; მგზავრი, თუ არ ჩემ ზღილში, ვერ განისვენებს. მოვლენ, მოიგრილებენ და ვაჩრდილებ. მერმე შტოებს დამამტვრევენ, ზოგს დასწვენ, ზოგის კოლოფებს აკეთებენ და იტყვიან: «ეს რა კარგი ხეაო!» კარგისათვის კარგი არავის უქმნია, მოუქირე, გველოო!“ მოუქირა გველმან ყელსა. კიდევ შეეხვეწა კაცი გველსა: „ცოტა მოუშვიო, აგერ ხარი სძოვს და მას ვკითხოთო!“ წავიდნენ, ხარს ჰკითხეს. ხარმა უთხრა: „მოვხნავ, დაეფარცხავ, გავლენ, ზაფხულ-ზამთარ სულ კაციასათვის ვმუშაობ, დამაწვენენ და დამკვლენ: რაო და, სტუმარი მომივიდაო! კარგისათვის კარგი არავის უქმნია, მოუქირე, გველოო!“ მოუქირა გველმან ყელსა. შეეხვეწა კაცი: „ცოტა კიდევ მაცალე, აგერ. მელა არას და მასაც ვკითხოთო!“ მივიდნენ, მელას ჰკითხეს. კაცმან თავის საჩივარი უთხრა, გველმან ხისა და ხარის მოწმობა მოახსენა. მელამ უთხრა გველს: „ლომ ნადირთ ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი⁶ ვარო; ყელზე შემოჰხვევიხარ და ისე მესამართლები, როგორ იქმნებაო? მოუშვი, შენც დამიჩოქე და ამ კაცმაკაო!“ რა გველი შემოეშვა, დაბლა ჩამოვიდა, დაჰკრა მელამ

¹ ძეძვი—ეკლიანი ბუჩქი. ² მოჰკიდებია. ³ შეებრალო. ⁴ ჰანდარი—ხეა, ჩინარი. ⁵ მოფონება—მოშვება. ⁶ მდივანბეგი—მოსამართლე.

ტოტი¹ თავში, გველი მოჰკლა და სთქვა: „გველის სამართალი ეს არისო!“ მერმე მან კაცმა ის მელა არ დაინდო, შუბის შეცემა მოინდომა: „კარგი რამ ტყავი აქვსო“. შეუტყო მელამ, გაექცა და თავს აბრალა²: „დავაშავე, მოვარჩინეო!“

¹ ტოტი—თათი, ფეხი. ² დააბრალა.

« ძ ი ლ ი ლ ა დ ა ლ ა მ ა ნ ა »

1

ძილილამ თქვა არაკი

მაიმუნი და მხერხავი

ნათქვამია: ერთმა მაიმუნმა ერთი მხერხავი ნახა, ერთს ძელ-ზედ¹ იჯდა და მას ხერხავდა. ორი სოლი ჰქონდა მას ძელის ნახერხში: ხან ერთს ჩაარქმევდის და ხან მეორესა, რათა მისი გაკვეთა² გაიადვილოს და ხერხის ტარებას გზა ხსნილად ჰქონდეს; და, რა ხერხსა ძელის ნაკვეთი მოუჭირებდა, წინა სოლს ამოიღებდის და უკანა დაარქმიდის. მაიმუნი ამას გულსმოდგინედ³ სინჯვიდა.

ხუროს⁴ საქმე რამ გამოუვარდა, ადგა და წავიდა.

მაიმუნმა რა სამუშაო უკაცური ნახა, ჩავიდა და ნახერხის მხარეს დაჯდა და ცალი ფეხი ნახერხში ჩაეკიდა. მას ნარკობს სოლს, ხუროს ბაძით, კიღება დაუწყო: სხვაგან დარკობა უნდოდა. რასოლი მოგლიჯა; ძელის ნაპობმან პირი პირს მოუჭირა და მაიმუნის ფერხი შიგ დაჰყვა! მაიმუნი, ტკივილისაგან შეიწრებულ⁵, ტირილით იტყოდა:

„ჩემი საქმე ხილის ქამა იყო, არათუ ხერხის ხმარება; ჩემი მუშაკობა⁶ ქერქთა შეძრობა იყო, არათუ სოლთა დარკობა და კვეთებაო⁷!

„ვინც უქმნელი ქმნას,
ჩემებრ შეიქმნას!“

მაიმუნი რა ამ დაჭირებაში იყო, ხურო მობრუნებული მოვიდა, მოხმარების ნაცვლად სიკვდილს მისწია.

¹ ძელი—ხე მოკრილი. ² გაკვეთა—გაჭრა, გაშობა. ³ ყურადღებით. ⁴ ხურო—სახლების მა შენებელი, დურგალი. ⁵ შეიწრებულ—შეწუხებულ. ⁶ მუშაკობა—მუშაობა, სამუშაო ⁷ კვეთება—ცემა, დარტყმა.

ამისთვის უთქვამს:

«ქია¹ რად ჰბაძავს ხუროსა?

ხამს² ხილი წაიხუროსა».

ესე არაკი ამისთვის ვთქვი, შეიტყოთ, რომ ყოველმა სულიერმა მისი შემსგავსებული³ საქმე უნდა ქმნას და თავისი ფერხი მაგალითიდან არ გარდასდვას.

2

დამანამ თჳმამ არაკი

მელი⁴ და ტაბლი⁵

მრთი მელი ერთს ტყესა შინა იარებოდა, მძორთა⁶ პოვნისათვის ყოველგნით დაცანცალეზდა. მუნ⁷ ერთი ხე იდგა, და მას ხეზედა ტაბლი ვისმე ჩამოეკიდა და დარჩომოდა. ესრე ეკიდა, რომე, რა ქარი მოვიდის, ხის შტო შეიძრის, ტაბლს მოხედის და დიდი ხმა გამოვიდის.

მის ხის ძირს მელმა ქათამი ნახა, რომე საკენკთა კენკდა. მას პარვა დაუწყო, მონადირებას⁸ ცდილობდა. ანაზღად⁹ ტაბლის ხმა შემოესმა; მიხედა—ერთი დიდტანოვანი, მეტად მსუქნის მსგავსი და საზარელხმიანი ხეზედ ნახა.

მელმა სიხარბით აღარა გასინჯა რა და თქვა: „მისი ხორცი და ტყავი მისის ხმის ოდენი იქმნებაო“. ქათამი იგი გაუშვა და პირი ხეს მიაპყრა¹⁰. ქათამმა შეუტყო და გაექკა.

მელი ათასის ხრიკით მას ხეზე გავიდა, ტაბლი გახია, ნახა: ცოტას ხისა და ხმელის ტყავის მეტი არა იყო რა! ქათმის მოშორვების ცეცხლი გულთა მოეგზნა¹¹ და თქვა: „ვაიმე, რომ ამ დიდტანოვანისაგან უცოდინრად მოვტყუედი და ჩემი უცოდველი ნადირი უვნებლად გაუშვი და მისის შეენიერის სახისაგან სარგებელი ვერა ვნახეო!“

1 ქია—მაიმუნი. 2 ხამს—უნდა, ჯერარს, რიგია. 3 შემსგავსებული—შესაფერისი. 4 მელი—მელია. 5 ტაბლი—ტყავისაგან გაკეთებული ნადირთა საფრთხობელა. 6 მძორი—ლეში, მკედარი ცხოველის ხსეული. 7 მუნ—იქ. 8 მონადირება—დაქერა. 9 ანაზღად—უცბად, მოულოდნელად. 10 მიპყრობა—მიშტერება, მიშეერა. 11 გზნება—ნთება, მოკიდება.

„მაღლა ხმობს¹ დაფი², ყვირის დაფდაფი³
მოსავლად; გიძღვნის არას სარგებლად.
ვაქებ მრიგავთა მძებნელთ, იგავთა
სახეს არ აჰყვეს შესაზარებლად“.

3

ღ ა მ ა ნ ა მ თ ძ ვ ა ა რ ა კ ი

კუ და ღრიანკალი⁴

მრთი კუ და ერთი ღრიანკალი გამყოლნი იყვნეს და ნიადაგ
ერთმანეთს არ მოშორდებოდენ. ასრე მოყვარულნი იყვნეს, კუდი-
კუდსა გარდაბმული ჰქონდათ და წამსაცა არ გაიყრებოდეს.

„დილით მწუხრამდე აღერსი მათ ჰქონდათ გაუწყვეტელად,
სალამოთ გათენებადღე ჯდომით თვალდაუბლეტელად⁵“.

ესეთი დრო შემოუარდათ⁶, რომე მუნ ყოფით სხვაგან წასე-
ლის საქმე მოუხდათ. რა გაემართნენ, სვლასა შინა ერთსა მდინარესა
მიადგნენ. ღრიანკალსა მას შიგან გასვლა არ შეეძლო, დია⁷ და-
ღონდა და მოეწყინა. კუმ უთხრა:

— ჰე, საყვარელო ძმაო! რა გეუფლა⁸, რომე სულთა სა-
ყლონი საგონებელის ხელთა მიგიცემიეს და გულისა სიმხიარუ-
ლისა და ლხინის კალთაზე აღგიკეციეს⁹? ღრიანკალმა უთხრა:

— მე ამ მდინარესა გასვლა არ ძალმიცი¹⁰, და ამის ზრუნვისა
მოარევთა შთავარდნილვარ, არცა გაღმა გასვლა შემიძლია, და ვერ-
ცა გაყრისა და მოშორებების ნაღველი დამითმენიაო.

კუმ უთხრა: „ნურას იურვი¹¹, მე ამას მდინარესა გაურჯელად
და მშვიდობით გაგიყვან. ჩემსა ზურგსა შენთვის გავახომაღდებ და
ჩემთა მუცელთა შენისა ჰირისა ფარად შევიქმ, ამისთვის რომე ერ-
თისა მოყვრისა ძნელია ათასის ცდითა ხელთა ჩადგება და მერმე
ადვილად გაშვება“.

¹ ძახის, ხმაურობს. ²⁻³ დაფი, დაფდაფი—დოლი. ⁴ ღრიანკალი—მორიელი. ⁵ დაბ-
ლეტა—განძრევა; დაუბლეტელად—გაუძრეველად. ⁶ შემოუყვარდათ—ეწვიათ, დაუღვათ, შე-
ეშთმავთ. ⁷ დია—დიად, დიდად. ⁸ რა გეუფლა—რა გაგობატონდა, რამ დაგიმონა. ⁹ აღკეც-
ვა—ადგომა; მოკეცვა—დაჯდომა. ¹⁰ ძალიმიცი, ძალმიძს—შემიძლია. ¹¹ ურვა—ზრუნვა, წუწილი

მაშინ კუმ ღრიანკალი ზურგთა აღისეა, მკერდი წყალთა და-
აპყრა და ცურვა დაიწყო. ცურვათა შინა კუს ხმა რამე ესმა და
ღრიანკალის გარდაქრისაგან¹ შეშინდა. ხმა უყო:

— რაისა ხმა არს, რომე მესმისო? ღრიანკალმა უპასუხა:

— ჩემსა შაშართა² წვერთა შენთა ტანსაცვამთა ჯავშანთა³
ზედა გამოვსცდიდი და ვსინჯევედიო.

კუს ესე დიახ ეწყინა და უთხრა:

— შენ მუხთალო⁴! ჩემი სული შენთვის საკვდავად მორევთა
ჩავადე და ზურგი ნავად შეგიმზადე და ამა მდინარეთა შინა უზ-
რუნველად მიმყავხარ, და ამასაც არად შემიბრაცხ⁵ და პირველთაცა
შეგებთა⁶ დაივიწყებ, მაგა შაშართა ჩხელეტას რაღას მემართლებიო?
ესეცა ხომ იცი, შენი საწერტელი⁷ მე ვერარას მავნებს და შენი
ნაწრთობი⁸ შაშარი ჩემსა ზურგსა ვერა განჰკვეთსო!

„ვინცა გამწყრალმან მჯილითა⁹ კლდესა სცეს გარისხებულმა, —
ხელს იტკენს, მას ვერას ავნებს, არ იცის ვავლახებულმა?“

ღრიანკალმა უთხრა: „ნუ ექვ, მე ესე შენთვის სააოდ არ მიქმ-
ნია, და არცა ეგეთსა საქმესა გულთა ჩემთა გაუვლია, მაგრამე ჩემ-
თა გვართა შაშართა ხმარება მოსდგამსთ: მოყვარეთა ზურგი არს ანუ
მტერთა მკერდი — უნდა ვახმაროო“.

„თუ ვისმე მოდგმა ბოროტი აქვს ოდენ მისის გვართა,
რომ არ უნდოდეს ავის ქმნა, არ წასცდეს, იქმნას არითა.

ვითა ქვას ვერას დააკლებს გასახვრეტელად სართა,
მაგრამ კვლა უცემს კუდითა გესლიანიითა, მწართა“.

კუმ უთხრა: თუცა შენი მოდგმა შაშართ ჩხელეტაა, ჩემი ყურ-
ქუმელი¹⁰ არისო. ჩაიყუნთა¹¹ წყალთა, წყალს წააღებინა და თქვა:
„ბრძენთ ნათქვამია: ვინცა გვარქებული არ არის, მისგან უიმედო
იყო, და, ესეგვარსა კაცსა რომე კეთილი უყოს კაცმან, იგი კეთი-
ლისათვის ბოროტსა მიაგებსო: მან თუცა კაისათვის ავი არ ქმნა,
კლდედაც მიაჩნიაო“.

¹ გადაქრა — გადავარდნა. ² შაშარი — ნეშტარი. ³ ჯავშანი — ჯაკვი (ჩასაცმელი). ⁴ მუხ-
თალი — გაუტანელი, მოღალატე. ⁵ შერაცხვა — ჩათლა, ჩავდება. ⁶ შეგება — ლხენა, სიამოვნე-
ბა. ⁷ საწერტელი — საჩხელეტელი, მწერთა გესლიანი ისარი. ⁸ ნაწრთობი — გამოპირული,
გალესილი. ⁹ მჯილი — მუშტი. ¹⁰ ყურქუმელი — წყალში ჩაყენთვა, თავით ჩაშალვა წყალში.
ე. ი. ჩაიყენთა, ჩაიშალა თავით წყალში. 11

„უგვანო კაცსა რად მისცე საინახენი¹ ზემონი²?
ვინც გველი უბედ ჩაისვას, საქმე ჰყოს გასაჩემონი³.
ქილი⁴ აკეთო, ვერ მოგცეს შაქრის ლერწმისა გემონი,
ვარდის მოკრეფას ნუ ელი, ძეძვისა⁵ რწყო გარემონი“.

4

მეფე და ქორი

იტყვიან: ერთსა მეფესა ნადირობა დიდად ჰყვარებია, და დღე-
ყოველ ნადირობისა ნდომისა ცხენსა არბევდა და საწადლის მშვილ-
დის საბელთა კინწთა⁶ გარდაიკმობდა. მას მეფესა ერთი ქორი ჰყვა⁷,
რომელი ერთხელ მოფრენით ფასკუნჯსა⁸ ყაფისა-მთისაგან⁹ ჩამოიტა-
ცებდა. მისის კლანჭისა შიშითა ცისა მფრინველნი თვისთა ბუდეთა
იმალებოდიან.

„თუ ფრთე¹⁰ და ბოლო გაშალის ჰაერთა გასაფრენელად,
მის გაკვირვებას მოეცვა მიწყვი¹¹ ცა მოსაწყყენელად.
რა ეთერისკენ¹² შეფრინდის ანაზღად¹³ შესაფრენელად,
ორბსა ნაკრტენი¹⁴ დასცვივდის, არწივს ფრთა ჩამომდენელად!“

მეფეს ქორი იგი დიდად უყვარდა და დღე-ყოველ მას სწვრთნი-
დის¹⁵. ერთსა დღესა ნადირობაჲ გავიდა და ქორი იგი ხელთ უჯ-
და. ერთი ქურციკი¹⁶ წაუხლტა, მეფე მოკირვებით¹⁷ მას გამოეკი-
და. რბენაში ქურციკი თვალთაგან მიეფარა და თვით სპათა თვის-
თა მოსწყდა¹⁸. ვიეთნი¹⁹ ცხენქენებითა სდევდენ, მაგრამე მეფისა
მალე რბოლასა²⁰ დილის ნიაფი, რომელი წამსა ერთსა ქვეყანასა მო-
ვლის, იგიცა ვერ ეწეოდა.

¹ ინახი—საჯდომი ადგილი სუფრაზე; საინახე—საჯდომი, ² ზემო—ზევითი, საპატო.
³ გაჩემება—გაშტერება; გასაჩემო—გასაშტერებელი. ⁴ ქილი—ჩალაბალანხია, ქაობში იზრ-
დება. ⁵ ძეძვი—ეკლიანი ბუჩქი. ⁶ კინწი—კისერი; აგრეთვე შვილდის იქით და აქეთ ბოლოებ-
ში ნაქდევები, რომლებზედაც მშვილდის თოკს ან ლარს გადააცვამენ ზოლზე. ⁷ ჰყვანდა.
⁸ ფასკუნჯი—ფრინველია, ყანჩი. ⁹ ყაფის-მთა—კავკასიის მთა. ¹⁰ ფრთე—ფრთა. ¹¹ მიწყვი—
მუღამ. ¹² ეთერი—ფრიად თხელი და უხილაფი ნივთიერება, რომლის მოძრაობისაგან წარ-
მოდგება ნათელი. ¹³ ანაზღად—უცბად. ¹⁴ ნაკრტენი—ფრთების ქვეშ წმინდა ბუმბული.
¹⁵ წრთენა—გამოზრდა, ვარჯიში. ¹⁶ ქურციკი—გვირანი, გარეთხა. ¹⁷ მოკირვება—დიდი მე-
ცადინობა, დიდი ცდა; ზოგჯერ—მოთმენა. ¹⁸ ჩამოშორდა. ¹⁹ ვიეთნი—ზოგნი. ²⁰ რბოლა—
სირბილი.

საზომის გზათა გასცილდა, თვალთაგან გაუჩინარდა,
კვალი არა ჩნდა ეპოვათ, ვინ არა მოიწყინარდა.

მეფეს წყურვილისა ცეცხლი მოემატა, და ცხენის ქენებითაქა-
იქ წყლისა საძებრად ველთა ზომდა. ერთისა მთის კალთისა კერ-
ძოთა¹ შეხვდა, კლდესა ზევიდამ კამკამი წყალი ჩამოსწევთდა. მეფემ
უნაგრის თასი ამოიღო და მას კლდესა მიუდგა. და მას წვეთს მა-
ნობამდი მიუპყრა, ვირე² თასი აივსებოდა. რა აავსო და შესმას
ლამოდა³, ქორმა მოიფეთქა და წყალი სრულობით დაუთხია⁴. მე-
ფეს დიდად ეწყინა და, წყურვილისაგან შეღონებულმა⁵, მეორედ
მიუპყრა⁶, და რა სავსე პირად მიიღო, აგრევე ქორმა შეიფეთქა,
სავსე თასი დაუქცია.

სწყუროდა, წყალსა ვერ სმიდა, სხეულსა სრულ შეისვრიდა!

მეფე წყურვილის მეტნობამა ესრე შეაქირვა⁷, აღშფოთდა და
ქორი ქვეყანასა⁸ დააწყვიდა და მოჰკლა. ზედა მეავეანდე⁹ მოესწრა,
ქორი მოკლული და მეფე მოწყურვებული ნახა. საწყვეტით¹⁰ მა-
თარა¹¹ მოიხსნა და თასი გარცხა¹² და მეფის მირთმა მოინება. მე-
ფემ უბრძანა:

— მე მის კლდეზედ ნაწვეთის წყლისა ესეთი ნდობა მაქვს,
სხვა არ მინდაო. მოცდის გაძლება არა მაქვსო, ვირე აქა წვეთისაგან
აივსებოდეს, კლდესა აპხედ, და მას ზეით გუბისაგან აავსე და მო-
მართვიო. რა იგი კლდესა ავიდა, ნახა წყარო ერთი, რომელი
გულღრტუ¹³ კაცსავით უცვაროდ ათასის პირით გამოსდიოდა, და
ერთი გველეშაპი მას წყაროზედ მკვდარი იდგა, და მას სიცხე აღ-
ნობდა და გესლიანი ქონი მას წყალსა ჩარევიდა, და ამას კლდესა
იგი ჩამოსწევთდა. რა მეავეანდემა ნახა, შეშინებული, შმაგივით¹⁴,
კლდეთა ჩამოიქრა¹⁵ და ესე საქმე მეფეს მოახსენა. მეფემ მკმუნვა-
რედ¹⁶ სული ითქვნა¹⁷:

ასეთი საქმე მომიხდა, ზრუნვა მაქვს მოულებენია.

ვიჩივლო, კაცთა მრცხვენინან, თვარა ვერ მომითმენია!

¹ კერძო—ნაპირი, მხარე. ² ვიღრე. ³ ლამოდა—აპირებდა, სურდა. ⁴ დათხევა—დაღვრა.
⁵ შეღონება—შეწუხება. ⁶ მიპყრობა—მიშვერა. ⁷ შექირვება—შეწუხება. ⁸ ქვეყანა—მიწა. ⁹ მეავე-
ანდე—მსახური, რომელიც თავის ბატონს ავეანდას დაუწევდა ხოლმე და ცხენზე შეჯდო-
მას შევიდოდა. ¹⁰ საწყვეტი—წყლზე საკიდი თასმა. ¹¹ მათარა—წყლის ტურქული მეშისა
ტყავისა. ¹² გარცხა—გამორევსა. ¹³ გულღრტუ—ჭუნწი, გაუმეტებელი, ძვირი. ¹⁴ შმაგი—
გიჟი. ¹⁵ ჩამოქრა—ჩამოსვლა (სიჩქარით), ჩამოვარდნა. ¹⁶ მკმუნვარედ—მწუხარედ. ¹⁷ სულის
თქმა—ამოხენეშა.

მერმე თასის დაცარიელება და ქორის მოკვლა ყოველივე უამბო და ქორის სიკვდილის დამძიმება¹ უთხრა: «მე ამა უმართებულო რბევამან ასეთსა დროსა დამანანა, სინანულისა სარგებელი აღარ მომხედაო».

სულმოკლე კაცი მოისპობს თავსა, სულსა და ცნობასა;
სულგრძელება სჯობს უცილოდ ლალ-მარგალიტთა წყობასა.
გულსწრაფი ელვის მსგავსია ანაზღად² გამოჩენითა,
მერმე ფიფქსაფით³ გადნება ადვილად ცრემლთა დენითა.
სიჩქარით ხელის გამხრელი თავსა დაიყრის ქვიშასა,
ლხინშია ფეხსა მოიტეხს, დააქცევს ღვინის ქიშასა⁴!

¹ დამძიმება—წყენა. ² ანაზღად—უცბად, მოულოდნელად. ³ ფიფქი—თხელი თოვლი.
⁴ ქიშა—საწლე (ხადვინე კურკელია).

XIII დავით გურამიშვილი

1705—1787

თავადი დავით გურამიშვილი დაიბადა სოფ. გორისუბანს (თფილისის ახლო) 1705 წლის მახლობლად. განათლება შინაურული მიიღო. 1724 წელს, როცა იგი თავის მოყვრისას იყო სოფ. ლამისყანას, ლეკებმა შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს დაღისტანში, საიდანაც გაიპარა და თერგის ხეობით რუსეთში გადავიდა. იმ დროს სამშობლოდგან გარდახვეწილი ქართლის მეფე ვახტანგ მე-VI-ე იმყოფებოდა, რომელმაც დავითს ჯაბადარბაშობა (არსენალის უფროსობა) უბოძა. შეიდწლოვანი ომის დროს (1756—1763 წ.), რომელშიაც რუსებთან ერთად იქ მყოფი ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას, გურამიშვილი გერმანელებმა დაატყვევეს, მაგრამ თანამემამულეებმა მალე გამოისყიდეს, რის შემდეგაც დავითმა კიდევ კარგა ხანს იცოცხლა და 1787 წელს გარდაიცვალა, როცა იგი 82 წლის მოხუცი იყო.

დავით გურამიშვილი მე-XVIII-ე საუკუნის საუკეთესო მგოსანია. მიმართულებით ქართველ მგოსანთა იმავე ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც არჩილ მეფე და სულხან-საბა ორბელიანი ეკუთვნოდნენ. მხოლოდ მის ეროვნულ-ლიდაქტიურს მიმართულებას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობა. მის თხზულებათა კრებულს ზოგი «დავითიანს» ეძახის ზოგი «გურამიანს». ჩვენ უკანასკნელს ვამჯობინებთ და იქიდან სანიმუშოდ რამოდენსამე აღვიღოს მოვიტანთ, რომელთაც შინაარსის მიხედვით ოთხ ჯგუფად დავაწყოთ: ა) ისტორიული ლექსები, ბ) ავტობიოგრაფიული ლექსები, რომელთაც აგრეთვე საისტორიო მნიშვნელობაცა აქვს, გ) ლიდაქტიური ლექსები და დ) სასულიერო ოდები. ამ ჯგუფებს წინ წარვეძღვანებთ ავტორის „წინა და ბოლოსიტყვაობიდან“ ამოღებულს რამოდენსამე ხანას, რომლითაც მკითხველი გაიცნობს გურამიშვილის შეხედულებას თავისი ნაწარმოების მნიშვნელობაზე და მიზანს, რომლისთვისაც სხვა და სხვა დროს ნათქვამი თავისი ლექსები პოეტს ერთ წიგნად შეუკრებია. დასასრულ, მოვთავსებთ ორ ნაწყვეტს პოემიდან „მზიარული ზაფხული“, რომელსაც სხვანაირად „ქაცვია მწყემსი“ ეწოდება.

«გ უ რ ა მ ი ა ნ ი»

წინა და ბოლოსიტყვაობიდან:

ღმერთო, რომელსა გაქონან¹ არსის საყდართა² ჯდომანი, რომელმან მოეც მიჯნურთა³ ტრფიალთ სურვილის ნდომანი, რიტორთა⁴ ლექსი, გულისა სიღრმე, სიბრძნისა ზომანი,— შენ მიმახედინე⁵ წადილსა, არ მაქენდეს ცუდად ცდომანი!..

ერთბამად⁶ ფრინველთ უწოდენ შავარდენსა და ძერასა; არ სჩხრეკენ ყვათა ჩხავილსა, ბულბულთა ტკბილად მღერასა, ფარშამაგისა შევნებას, ბუციოტისა⁷ ბღვერასა:

აწ რომ არ მიხმონ მელექსედ, მემართლებიან მე რასა?

შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება, მეფე ვახტანგ და იაკობ⁸ დაბლა ზილს⁹ მიეტკბურება; ბეგთაბეგ, ნოღარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება; დვრინვენ¹⁰ ყარან და მამუკა¹¹, მე მსურის მათი ყურება.

ბევრთა და ცოტას მწველელნი სწორეთ გაელიან ბერასა¹²; განაყენებენ მშრალს¹³ ცალკე, ამაღ¹⁴—მოიწველს ვერასა. სჯობს ქვემო-ბოლოს შინდგომა შიგნით გარედამ მზერასა: მღერენ და მეც ბანს შევაწყობ,—დამემობენ ამაზე რასა?!..

ცხენი მარტო მორბენალი მუხლმოკლელიც გამაღდების; საღ მაღალი არსად იყოს, მუნ დაბალი გამაღდების; თვალად ნასსა¹⁵ აღამაზებს, ვის ლამაზი არ ახლდების: ამ წიგნს წიგნად მოიხმარებს, ვინც სხვას წიგნსა ვერ მიხედების¹⁶.

¹ გაქვს. ² საყდარი—ტახტი. ³ მიჯნური—შეყვარებული. ⁴ რიტორი—პოეტი; ორატორი. ⁵ მიხედენა—მიხედრა; ასრულება. ⁶ ერთბამად—საერთოდ, ერთბაშად. ⁷ ბუციოტი—პატარა ბუ (ფრინველი). ⁸ იაკობ შემოქმედელი (სასულიერო მგოსანი). ⁹ ზილი—წერილი ხმა გალობაში, ალტი. ¹⁰ დვრინნი—ბოზი ხმა, ბანი. ¹¹ ყარან და მამუკა—პოეტები იყვნენ. ¹² ბერა—„შუა გასაუღელი“ (საბ. ორბ.); მობურთაღთა და მოთამაშეთა დასასვენებელი ადგილი სავარჯიშო მოედანზე. ¹³ მშრალი ფური, რომელიც არ იწველის. ¹⁴ ამაღ—ამისთვის, ამიტომ. ¹⁵ ნასი—უშნო, უღამაზო. ¹⁶ მიხედომა—შეხედრა; შოვნა.

მე საწუთრომ ბერწოვენება¹ მომახვედრა თავში კომბლად:
ძე არ მომცა, არც ასული, შემქმნა სახლ-კარ დასამზობლად;
ამ ლექსთ თავი მოეუყარე, საცა მეთქვა თვითო ობლად:
აგების რომ ბრძანოს ვინმე სიტყვა ჩემთვის შესანდობლად.

ა. ისტორიული ლექსები:

1 ქართლ-კახეთის გასაჭირი

ძართლის კირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამქვერი²!
იფქლი³ ღვარძლად⁴ გადაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი⁵.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბვერი;
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღეთისგან შენაწვერი.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი⁶, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი⁷.
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუღდა ძმასა ყისტი⁸;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი⁹.

შექმნათ დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავენობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,
აეაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება, ქვრივთა, ობოლთა, მწირისა¹⁰!

კახელების აღმახსნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნვილი¹¹ დარჩა კაბდო¹², აღარ გარცხეს¹³;
ძმამ ძმას სახრე გადუჭირა, მტერთ კომბალი თავში დასცხეს;
ორნივე ერთად შეხრინკულნი¹⁴ დასცეს ქვეყნად¹⁵, დაანარცხეს!

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორივე დაღალულნი ძალღმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

¹ ბერწოვენება—უშვილობა. ² ენამქვერი—მკვერმეტყველი, კარგი მოლაპარაკე. ³ იფქლი—წმინდა ხორბალი. ⁴ ღვარძლი—მაწყინარი ხორბალი, მწარე პური; შური, მტრობა. ⁵ კვერი—პურის საღლეი იარაღი. ⁶ ლილივი—მთის ხალხია კავკასიაში. ⁷ ქიშტი—მუშტი. ⁸ ყისტი—შეიძლება უდრიდეს სიტყვას „ყიშტი“, რომელიც ნაშნავს სავაქროზე დადებულს ბაეს, გადასახადს (ორბ.; ჩუბინ.) ⁹ ხიშტი—გრძელწვერიანი შუბი. ¹⁰ მწირი—უცხოობაში მყოფი; ბერი. ¹¹ დასერილი ტალახით. ¹² კაბდო—ფარცხის წინ მიკრული გრძელი ფიცარი. ¹³ გარცხეს. ¹⁴ შეხრინკული—მოხრუკული, მობღუნძული (შეხრუკული). ¹⁵ ქვეყანა—მიწა.

შახ-თამაზი, პეტრე I დიდი და ვახტანგ მე-VI-ე

იჯდა ყეენად¹ შახ-თამაზ, ძე ძისა შა-აბაზისა;
მან შექნა ბილწად დრანჯობა², ბევრი ღვინო სუა ვაზისა;
აღარ ახსოვდის სიმთვრალით ხელში მირთმევა არზისა³;
მით სამართალი დაფასდის ცხრა ქანქარად⁴ ცხრა აბაზისა...

მისგან წამხდარი საქმენი სხვა მოგახსენო რალანი?
სამხრეთით აღძრა ოსმალო, აღმოსავლეთით ავღანი⁵,
ჩრდილეთის მხარეს რუსეთსა გილანი⁶ მისცა დავლანი,
დაღისტნით ქართლსა-კახეთსა წაართო ყუმაშ-ყავლანი⁷.

მით გასახმილდა⁸ წინწკალი⁹, გრიგლად¹⁰ გარდიქცა სიონი¹¹;
მისგან შეირყა მეტეხი¹², მისგან დაიქცა სიონი¹³;
მან ვახტანგ, ძე ლევანისა, შეიპყრა ბაგრატიონი,
უპატიოდ ყვნა შვილ წლამდის იგ დიდად საპატიონი.

იყო ჩრდილეთის ხელმწიფე, თეთრის რუსეთის მჭირველი,
თვითმპყრობელობის მიმღები, პეტრე ცხებული პირველი,
პირველქმურ¹⁴ ხრმალრბილპირბლაგვთა¹⁵ მწთობელი¹⁶, გამომ-
| პირველი¹⁷.

ადიდოს ღმერთმან სულითა! ბევრი ჰყავს მლოცველ-მწირველი...

კურთხეულმცა არს ღვთისაგან პეტრეს ხელმწიფის ხსენება!
რა საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება;
ზღვა გავლო, დაჰკრა ავღანთა; სოლალს¹⁸ დაუწყოა შენება,
დაღისტანს მიხვდა¹⁹ ღვთის რისხვა, მრავალგზით განაწყენება...

ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: „მოდი, მიგიჩნევ მამადო!
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო!
გიჯობს, მე ზურგი მომეყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზედ მიმიძღვე, ვით თივას, ცეცხლებრ მამადო!“

¹ ყეენი—შაჰი, სპარსელთა მეფე. ² დრანჯობა—ურცხვად სიძვისმოყვარეობა“ (ორბ.), მრუშება. ³ არზა—თხოვნა. ⁴ ქანქარი—ტალანტი, ოქროს ფული. ⁵ ავღანი—ხალხია სპარსეთის აღმოსავლეთით (ავღანისტანში). ⁶ გილანი—სპარსეთის პროვინციაა კასპის ზღვის სამხრეთ-დასავლეთის ნაპირას. ⁷ ყუმაშ-ყავლანი—დაღისტნის ოლქის სიმაგრეები და მაზრები. ⁸ სახმილი—დიდი ცეცხლი. ⁹ წინწკალი—ნაპერწკალი. ¹⁰ გრიგალი—დიდი ქარი. ¹¹ სიონი—ნელი ქარი. ¹² მეტეხი—ციხე თბილისში. ¹³ სიონის ღვთის მშობლის ტაძარი თბილისში. ¹⁴ პირველ-ქმურ—პირველხანად, თავდაპირველად. ¹⁵ ბლაგვი—ჩლუნგი. ¹⁶ წთობა—ცეცხლში გამოწევა, გახურება. ¹⁷ გამომპირვა—პირის აღწევა. ¹⁸ სოლალი—სოლალის სიმაგრე თერგის ოლქში. ¹⁹ მიხვდა—წილად ხვდა, ერგო, ეწია.

მდივანთ¹ ხელმწიფის ბრძანება, რა შეასრულეს წერიტა, დაბეჟდეს, შეკრეს, შეხვიეს ზარქაშის² მონაქერიტა; კვლავ ჩაფარ-ელჩიტა უწოდეს სასწრაფოდ გულის ძგერიტა, უთხრეს: „ტუ ჩქარად არ ივიოიტ, ვერ გასძღეთ მზისა ცქერიტა!“

სალამოს ქამსა ხალვატად³ მეფე თვით იჯდა მარტოდა; ქვეყნის არევის მიზეზით გულს სევდა მას მომატოდა; მალლიდგან ნახა, სირბილიტ კაცი კიბეზე ახტოდა; რასაც ის კაცი იტყოდა, გულიტაც იმას ნატროდა.

ვით სიტბოტ ვარდმან—ყვავილი, სუნი გამოსცეს იამა, დაბუხებულმან⁴ ნაზამტრმა მხარი აღისხას ქიამა, დიდის სიცხიტა მაშერალსა⁵ ამოს სიო-ნიაემა,— ეგრეთ ხელმწიფის ბრძანება მეფეს, რა ესმა, იამა.

მ ვახტანგ-მეფის დარბაზობა

შეკრბენ ქართლის ბატონ-ყმანი, ერთად თავი მოიყარეს; დასხდენ რიგით, ივეზირეს⁶, წინ წიგნები დაიყარეს. ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს, იმატ არად განიხარეს, თქვეს ტუ: „უფრო წაეხდებიტო!“ მაგრამ ზოგტ კი განიკმარეს⁷.

განკმარველტა უპასუხეს: „გეტყვიტ, ძმანო, ვერ გეტნებიტ⁸, ვერა ბრძანეთ ეგე რჩევა კაის კკუიტ, კაის მცნებიტ; ქრისტიანის ხელმწიფისა ხელდებულნი⁹ შევიქნებიტ,— ჩვენ მაგაზე რად წაეხდებიტ, ტუ არ უფრო გავკეთდებიტ?!“

მატ მიუთხრეს: „ტუ უქკვო ვართ, ნახავთ ბოლოს გამოჩნდების; არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, ტუ ეგ საქმე მალ მოხდების; მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების; ვირემ¹⁰ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგებების!“

ვითარ ირემსა მაშერალსა¹¹ წყაროსა წყალი სწყუროდა, ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა;

¹ მდივანი—სეკრეტარი, მწერალი. ² ზარქაში—ოქროსი ან ვერცხლის სირმა, აგრეთვე ფარჩა. ³ ხალვატად—თავისუფლად, შინაურულად ჩაცმული. ⁴ დაბუხებული—დასიებული. ⁵ მაშერალი—მოქანტული. ⁶ ივეზირეს—ითაბიზირეს, არჩიეს. ⁷ განკმარვა—არ დათანხმება, უარის თქმა. ⁸ თნება—პირფერობა, პირმოტნეობა. ⁹ ხელდებული—დანიშნული (ხელის დადებით), ვისიმე მფარველობის ქვეშ მყოფი. ¹⁰ ვიდრე, სანამ. ¹¹ დალილისა.

ამჯობინებდა წასვლასა, თუმცა არ მიეშუროდა.
ვინც არ ემოწმის მახედა, ერთგულად არ უყუროდა.

მართლაც, ვახტანგმა არ ისმინა თავის დიდებულთა ერთი ნაწილის გაფრთხილება, შეჰყარა დიდძალი ჯარი და, პეტრე დიდის დასახმარებლად, გაემართა განჯისაკენ.

ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!
შემოიყარა ლაშქარი, თვალს ვერეინ გარდაწვდინებდა,
წავიდა განჯის მიდამოს, სისხლის ღვართ მოადინებდა.

‡ ქვეყნის აოხრება

ძვირად დაუჯდა ვახტანგ-მეფესა და მთელს ქართლ-კახეთს მისი აჩქარებული მოქმედება: მოლოდინის წინააღმდეგ, განჯის მხარეს მას რუსის ჯარი არ დაუხვდა. ამას გარდა, შინაურმა ჯაშუშებმა ვახტანგი შაჰთანაც დააბეზლეს: გლალატობსო. ამით ისარგებლა ყვენმა, ვახტანგს ქართლი ჩამოართვა და მისცა «ერეკლეს ძეს კოსტანტინეს», რომელსაც იმის წინად კახეთიც ჰქონდა ყვენისგან ნაბოძები. ამ გარემოებამ სასტიკად გადაჰკიდა ერთმანეთს ქართლი და კახეთი. გაჯაერებულმა ვახტანგმა საშველად ოსმალეთის ხვანთქარს მიმართა. მართლაც, ოსმალეთის ჯარი შემოესია აღმოსავლეთის საქართველოს და დაიპყრო იგი: ვახტანგიცა და კოსტანტინეც დარჩნენ ცარიელზე. ვახტანგი რუსეთს წავიდა, კოსტანტინე კი ოსმალთა საწინააღმდეგო აჯანყების მოთავედ გახდა, რასაც თან მოჰყვა უზომო სისხლის ღვრა და ქვეყნის აოხრება. პოეტი ამახედ მოსთქვამს:

ჰი იმ დღისა დამსწრებსა! აწ სათქმელადაც ძნელია:
კაცთაგან თვისი აუგი¹ საზარლად საუბნელია!
კოდემ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია;
ხელში ნაქერი კეთილი შეგვექნა საძებნელია...

წაღმა მბრუნავემა დრო-ყამმა უკულმა შექნა ტრიალი,
ფრთა მოჰკრა ქართლსა, კახეთსა, შეეპნევიანა ხრტიალი²;
მამლები ტურამ დაჰამა, დედლები დარჩა ტიალი³;
მიდგა ყვაფი და ყორანი, დააწყებინა წკრტიალი⁴.

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად ტრამლადა⁵;
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში⁶ მოურჩათ წამლადა;

¹ აუგი—ძრახი, სარცხეველი სიტყვა ან საქმე. ² ხრტიალი—სულთმოპოვების ხენე-შა, ზრიალი. ³ ტიალი—უპატრონო. ⁴ წკრტიალი—კრიახი; წრიპინი.. ⁵ ტრამალი, ტრიაშელი—გრცელი და დაუმშუშევებელი მიწდორი. ⁶ შამბი—მაღალი ბაღახი, ან ლერწმის ტყე.

დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა,
აღარ ვინ დარჩა ფარსავი¹ პატრონად ქვეყნის მამულადა²!...

რაც მოგახსენე, მოგვეგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლაში!
ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლაშმა³;
მით ჩვენმან სისხლმან ნაღვარმან ხევენები სულ ამოლაშმა⁴,
სუნით მოიცივა მთა-ბარი ჩვენის მკედლის მძორთა ყროლაში!..

ბ. ავტობიოგრაფიული ლექსები:

5 ლეკთაგან დატყვევება

მო⁵, ყური მიგდე, მოგიტხოვბ ტყვედ ჩემსა წამოყენასა:
ქვეყნის წახდენის მიზეზით ვცხოვრობდი სხვის ქვეყანასა;
სადაც უხმობენ⁶ სახელად ქსნის ხევზე, ლამისყანასა⁷,
მუნ⁸ მოყერის მუშას თავს ვადექ, მკას ვუპირებდით ყანასა.

დილაზედ ავდექ, წინა-წინ წაველ კაცითა ორითა;
ვსთქვი: „მუშას სადილს ვუშხადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა“.
არ შეყრილიყო ჯერ მუშა: იყენენ მოსასვლელ შორითა.
ჩვენ, თურმე, გვენახეს, მოგვემართეს ლეკთა ირტოზის-გორითა.

მუნ ახლო წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადა,—
იქ მოგვეპარენ, დაგვისხდენ თხუთმეტი კაცი გზირადა⁹.
ავიხსენ თოფი და ხმალი, მივყუდე მუხის ძირადა,
იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადა:

შემიპყრეს, წამომიყენეს, ხელ-ფეხს მომიდევს გენია¹⁰,
გადმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია,
მუდამად თვალთა ნაკადი მდულარე კრემლი მდენია;
მაქამეს ღუმა და ხალი¹¹, მახვრიტეს¹² ხინკლის წვენია¹³.

მიმიყენეს არალირსთა, ღირსეულად მიმსახურეს:
არც მასვეს და არც მაქამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს;

¹ ფარსავი—გამოსადეგი, რიგიანი, ხეირიანი. ² ე ი. მომვლელად. ³ მოლა—მულლა, მაშადიანთ სასულიერო პირი. ⁴ ლაშა—დაღვრა, მორწყვა; ამოლაშმა—მორწყვა, დასველა, დააღბო. ⁵ მოდი. ⁶ ეძახიან. ⁷ ლამისყანა—ადგილის სახელია ქსნის ხეობაში. ⁸ იქ. ⁹ გზირი—მხვერავე, მეთვალყურე. ¹⁰ გენია—ცეცხლი. ¹¹ ხალი—დახალული მარცვალი. ¹² ხვრიტა—ხვრება. ¹³ ხინკალი—მოხარული ცომი.

უსასყიდლოდ¹ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს;
გავიპარე, დამიკირეს: „რად წახველო“, დამპალურეს.

მარტო ვიყავ; არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი;
არცა მაქვნდა საიმედოდ საკურველნი² სამხედრონი;
ღმერთს მივენდევე, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი:
ხელმეორედ გავიპარე, რაკი ვპოე ჟამი-დრონი.

6 ტყვეობიდან გაპარვის წინ სიზმარი

ხმა მესმა ძილსა შინაო: „რას ხვრინავ, რასა ფშვინაო!
აქ რას უწევხარ საძილოდ, რატომ არ წახვალ შინაო?“
ფეხი წამომკრა წყნარადა, ჯოხითა დამიშინაო:
„რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ შეგაშინაო?...
აღეკე, იარე, წავიდეთ, მე წავიძღვები წინაო!“...
მძინარეს ასე მეგონა: ცხადია, არ სიზმარია;

ესტქვი, თუ: „ტყვე ვინმე მოსულა ჩემსავით პატიმარია³“.
მე ვუთხარ: „თუ რამ შეგეძლოს, შენს თავსა მოეხმარია;
არ გეშინიან, გზა იცი; შენ წადი, მე კი მარია!“

„მე მითხოვნია ღვთისათვის, რაც ჩემი სათხოვარია;
აწ ჩემი წინამძღომელი არს ქრისტე-მაცხოვარია,
მან მწყემსკეთილმან მომნახოს მე, წაწყმენდილი⁴ ცხვარია;
შენ ვერ გენდობი, ვერ გიცნობ, არ ვიცი ვინა ხარია!“

მან მითხრა: „ვისაც შენ ამბობ, შენზედ წყალობა მისია:
შენად ჯოხითა საცემრად მე იმან გამომისია⁵,
მან ბრძანა: ფარებთ⁶ გარეთა რად დაგდებულა ისია?
რად არ ეშინის მგელთაგან: ღამეა, განა დღისია?“

მე ვუთხარ: „თუმცა აგრეა, კაცი ყოფილხარ წმინდაო,
ოღონდ ამდენი მაცალე, ვიშოვნო ქალმან-წინდაო⁷:
ფეხთა ჩავიცვამ, წამოვალ, აქ ყოფნა მე არ მინდაო!“
ღუმნა⁸, აღარა მითხრა-რა, დიდ ხანს ხმა გაიკმინდაო.

¹ უფასოდ. ² საკურველი—საომარი იარაღი. ³ პატიმარი—ტუსალი. ⁴ ე. ი. მატარე.
⁵ დაკარგული, დაღუპული. ⁶ გამოგზავნა. ⁷ ფარები—ცხვრების სადგომი ბინა. ⁸ ქალმანი—
ქალამანი. ⁹ გაჩუმდა.

ერთი ეს კი თქვა: „არ ვიცი მე შენის ქალმან-წინდისა; გზას გაძლევს ცრემლი მოყვასთა, უკან ძმისა და წინ დისა; ჩემგნით ეს იყო მოთხრობა, ნიშნად მოცემა წინდისა¹: თუ მიენდობი, დაგფარავს მადლი სულისა წმინდისა!“

7 ტყვეობიდან გაპარვა

ღლისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით ვუქვერეტდი² მთვარესა, მივენდვე შეიღთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა; ღამით შიშველს მთას მოვადევ შუა დაღისტნის არესა, მუნ ჟამსა³ რასმე შევესწარ სიცოცხლის დასამწარესა:

ასტყდა ქარი და დაიწყო სეტყვა, ელვა და ქუხილი; წამდაწუმ ელვის ზარითა⁴ თვალებმა შექმნეს წუხილი: არსად ჩნდა თავის საფარე, მაზედ შემექნა წუხილი: თავს დავიხვიე სარტყელი, წავსწევ, ტანს არას ვუფრთხილი.

სეტყვისა თავში დაცემის შიშითა პირქვე მხობილსა, გულმა მთქვა: „ადექ, იელვებს, იპოენი გამოქობილსა!“ ავდექ, იელვა, მივადევ მთახერელს, ლოდგამოძრობილსა, მიველ და მაშიგ უკუესძვერ⁵, ვმადლობდი მხოლოდშობილსა⁶...

სეტყვამ გადილო, გამოველ, უფალსა მსხვერპლი შევწირე: არ მყვანდა სამღეთოდ ზვარაკი⁷, მხურვალეს გულით შეესტირე; არც მაქნდა სამღეთო წერილი, ცოდნაცა მაქნდა მე მცირე, «ღმერთო, დამიხსენ მტერთაგან!» ეს ლოცვა გავიზვიპირე...

აწ ყველას წვრილად ვერ მოვსთვლი, რაც მაშინ გარდამხედია: სამი დღე შამბში ვწოლილვარ, მალსა არ ამიხედია, წინ გზისა შეკერის შიშითა წასვლა ვერ გამიბედია, შიმშილისაგან მუცელი მიმკვრია ფერღზედ, ფერდია.

ჩემს უკან მღევართ გადვურჩი იმ წოლით დღითა სამითა, ხუთი დღე-ღამე ვიცხოვრე შეიდის ტყვემალის ქამითა; დღისით ჯაგნარში⁸ ვსძვრებოდი, მინდვრად ვიდოდი ღამითა, დღე თერთმეტამდის ვიარე ყოფაქცევითა ამითა...

¹ წინდი—საწინდარი, გირაო. ² ვხედავდი. ³ ჟამი—დრო. ⁴ ზარი—შიში. ⁵ ჩაქვერ, შექვერ. ⁶ მხოლოდშობილი ძე უფლისა, ანუ იესო ქრისტე. ⁷ ზვარაკი—სამსხვერპლო ცხოველი. ⁸ ჯაგნარი—ბუჩქნარი.

მეთორმეტეს დღეს მოვადექ წყლის პირსა მე უქალოსა¹.
შამბში ვსძვერ, ვითა ნიბლია², ვსტყვი: „არვინ არ ამბქალოსა³!“
შავხედე: გაღმა ლეწევდენ მათრახის ცემით კალოსა.

ვსტყვი, თუ: აგების⁴ უფალმან აქ მიხსნას საკანკალოსა⁵!

ცოტას ხანს უკან მომადგა მე ორი კაცი ნავითო.

მეგონა ამას მკითხვედენ: „მანდ რას აკეთებ, დავითო?“

ისევ გაბრუნდენ: შეშინდენ ჩემის უქოჩროს თავითო...

მე მუნვე დავრჩი, დავლონდი, ვტყვი თუ: წავიდე საითო?

რა მნახეს, მათის შიშითა მეც ამეშალა ბალანი,

მუხლი მომექრა, წამერთო ტანში ღონე და ძალანი,

შორს ველარ წაველ, უკუვსწევ⁶,—მუნ ახლოს იყო ჩალანი,—

გარდავიხადე იგიცა, რაც ღეთისა მეღვა ყალანი⁷...

დალაბდა. სხვა დღე გათენდა. არვინ ჩნდა ჩემი მღვეარი.

დილაზე ადრე წამოვსდევ უძილო, ღამის მთევარი.

წამოველ. გზაზედ უფალმა მიბოძა საზრდო მღღვეარი⁸:

ორი კიტრი და საზამთროს ნაქერი მე ნახევარი.

საზამთრო სიცხით დამქენარი, ხელში მეჩვენა მე ცხლადა:

წყალი ახლოს მხვდა მდინარე, ვიკავე⁹ გასარეცხლადა;

კიტრი უბიძამ გამცივდა, გულზედ მამედვა ცეცხლადა:

რომ მომეყიდა, მიღირდა ას ოქროდ, ათას ვერცხლადა.

წყალმან წაილო; მივდივე; ვეცადე, ვერ დავიჭირე;

ბეწვი მწყა¹⁰, მისის დევნითა მეც წყალში არ დავიძირე.

ღვთისაგან გულსა შემაკლდა, ვაყვედრე, ასე ვიტყვი:

„თუ მომეც, რაღად წამართვი, აწ¹¹ ასე რად გავიწირე?“...

8 სამშვიდობოს გასვლა

აწ შეისმინა უფალმან ხმა ვედრებისა ჩემისა:

დაღონებულსა მომაგო¹² ჟამი ნუგეშისცემისა,

ხმა სამღერლისა¹³ მასმინა, არა თუ ზართაცემისა¹⁴,

საყდარს დარეკეს, გამოხდა ზრიალი ზართა ცემისა.

¹ ქალა—დაბალი ტყე წყლის პირას. ² ნიბლია—პატარა ჩიტია. ³ ამბქალება—ბრკალებით მოტაცება. ⁴ ეგებო. ⁵ შიშა. ⁶ ჩავწევ. ⁷ ყალანი—ბეგარა. ⁸ მღღვეარი—ღლიური, ერთი დღის საყოფი. ⁹ დავიხარე. ¹⁰ „ბეწვი მწყა“—ცოტა დამაკლდა, კინაღამ. ¹¹ აწ—ახლა. ¹² მომაგო. ¹³ სამღერელი—საკრავი. ¹⁴ ზარცემა—თავზარის დაცემა, შეშინება.

რა შემომესმა ზარის ხმა, გულმან დამიწყო ძგერანი!
ზეზე წამოვდეგ, დავიწყე ბურვილით გამომზერანი.
შევხედე: საყდრის კარზედა პირჯვრის დაიწყეს წერანი!
ვთქვი, თუ: „უცილოდ აქ არის ჩემი ბედი და წერანი“...

კიდევ შევხედე, გავშინჯე, გარჩევით დავინახეო:
თავთ იალქანი¹ ქალთანი დევთა² რქად გამოესახეო;
ვთქვი, თუ: „ვაი თუ მაცდურმან დამირწყო³ რამე მახეო“;
მუნ მისვლა ველარ გავბედე, შორს წასვლა განვიზრახეო.

მუნ⁴ ბალში ხილი დავკრიფე, საგრძალი მოვიმზადეო;
ზოგი უბეში ჩავიწყე, ზოგი კალთაში ჩავდეო.
კვლავ სინიღისმა მამხილა: „ბინდამდის მოიცადეო;
ღლისით ნუ წახვალ: არამცა მოგიღვას ვინმე ბადეო!“

წაველ უკუვსწევ ჩალასა, სად უფრო იყო ხშირია.
ღმერთმან თქვენს მტერთა შეჰყაროს, რაც მე ამიტყდა ქირია:
წამოდგა კოლოს ლაშქარი, რა შევესძარ ჩაღის ძირია;
მე დამარჩობდენ უცილოდ, თუ არ დამეცო პირია.

რა შემაწუხეს მეტადრე, ვიტყოდი გაჯავრებული:
„ვინც უნდა იყოს, მივიღე სიცოცხლე გამწარებული“.
აღარ დავდივე, წამოვხტი, წამოველ გაჩქარებული;
მუნ ახლოს კალოს ლეწევდენ, მიველ ვით დაბარებული.

მიუცხოვეს და შემოკრბენ მუნ ჩემი გამშინჯვარები,
შემომეხვიენენ გარშამო კაცთა და ქალთა ჯარები;
მარტო პერანგით მოსილთა ყელზედ ეკიდათ ჯვარები;
მიველ და ჯვარსა ვემთხვიე, ვიწერე ზედ პირჯვარები.

ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებაო ლაზარი!“
„ხლება“ რა მესმა, დამეცა მე სიხარულით თავზარი;
მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექნა ზანზარი⁵,
ველარ დაიდგნეს სვეტებმა და გარდაიქვა ტაზარი⁶.

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო;
სანამღის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო;

¹ იალქანი—შუბლის სამკაულია. ² დევი—ბორჯი სული, ქაჯი. ³ დამიგო, დამიღვა.
⁴ იქ. ⁵ კანკალი, რყევა. ⁶ ტაზარი—ტაძარი, აქ იგულისხმება ტანი, სხეული.

რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო¹:

ამ სიხარულმან დაშალა ჯაგერით შეყრილი კონაო.

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მომიარაო,
როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო;
შეებრალდი, გულზედ მიმირქვა², მკოცნა და ცრემლი ღვარაო,
სწრაფად მოენედ³ მომგვარა ფხოვლეელი⁴ იანვარაო⁵.

წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში მიმიყვანესო,
დამაწერინეს პირჯვარი, ხატებსა მათაყვანესო;
კვლავ მიხმეს სამდიენო⁶ შია⁶, მაყვირეს-მაყაყანესო,
მკითხეს: «ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამისყანესო?»

ხაშვილობოს გასული დავით გურამიშვილი პირდაპირ მოსკოვში წავიდა,
სადაც იმ დროს ვახტანგ-მეფე ცხოვრობდა. ამას შემდეგ რა მოხდა, ბიოგრაფი-
იდან გაქვთ შეტყობილი.

8. დ ი ღ ა ძ ტ ი უ რ ი ლ ე ძ ხ ე ბ ი :

9 სწავლა მოსწავლეთა

ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ—ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლოსკამ დანანებასა,—

პირს მყოფი, ლხინში შესული შევბად⁷ მიითვლი ვნებასა...

სწავლა სიკედილმდე⁸ შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერაინ: არ არის გასაყოფელი;
სხვას ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი⁹;
თუ კაცსა ცოდნა აზა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი...

ვსძებნე და ვერა ვპოვე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავისუფლება, სოფელში ყოფა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე¹⁰ თან ექნებისა;
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექმნებისა¹¹.

¹ მოფონება—მო შევება, დარდის გადაყრა. ² მირქვა—მიწვევა, მიყრდნობა. ³ მოენე—
თარჯიმანი. ⁴ ფხოვლეელი—ფშაველი. ⁵ იანვარა—საკუთარი სახელია კაცისა. ⁶ სამდიენო—
კანკლარია. ⁷ შევბა—ლხენა. ⁸ სიკედილამდე. ⁹ „გასაყოფელი“—წარმოდგება სიტუვისაგან
„გაყოფა“, ვ. ი. შეყოფა (მაგალ. თავისა). ¹⁰ საუნჯე—სიმდიდრე. ¹¹ მოეხვევის.

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა, ხუცესი წირვით, ვაჰარი შორს წასვლით, მოსვლით ძნელითა, მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხენელი ოფლითა ცხელითა, გლახა კარის-კარ თხოვნითა, შენა გწადს აწ რომელითა?

ზოგი ხომ ძოღან¹ გაჩვენე შვიდიოდ სარჩოს ძირობა²; მერვე—ხელმწიფე დარჩების, ვისაც აქვს ქვეყნის მქირობა³; მეცხრეა—არჩენთ მწყემსობა,---უქნიათ მენახირობა,— მეთე—მიჯნურთ სურვილი, ტრფიალთა შენამზირობა.

მიჯნური, მწყემსი, ხელმწიფე, გლახაკი, გინა მხენელია, მოლაშქრე, ვაჰარ, ხუცესი, ოსტატი, ბრძენსიტყველია,— ათისაე თვითო მოგიტხრა, რომელი რისაც მქნელია; რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია.

მიჯნურმან უნდა ტრფიალი გულმართლა შეიყვაროსა; მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით, აროდეს გაეყაროსა; უმისოდ ჰირად სახევედეს ყოველსა გასახაროსა, ტკბილად სჩნდეს მისთვის სიკვდილი, სიცოცხლე გაიმწაროსა.

მწყემსობა უნდა სიფრთხილით, აქენდეს მკირედი ძილია; მუდამ მხნედ სამწყსოს უფლიდეს, დღე ყინული თუ თბილია. „მწყემსმან კეთილმან ცხვართათვის დასდვასო სული ტკბილია“, ვინც ბრძანა⁴, მან მე მარიდოს უხილავთ მხეტთა კბილია.

ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია, ბრძენი, უბვი და მოწყალე, მრისხეელი⁵ ზომიერია; სჯულმტკიცედ, სწორეს სამართლით იყოს და ყვანდეს ერია, მწყსიდეს, მწყემსობის ნიშანი ხელთ სკიპტრა⁶ მას უქერია.

გლახაკი უნდა მდაბალი, ტკბილისა ენა-პირისა, მლოცველი ყოვლის სულისა, სულ დიდისა და მკირისა; უყვარს, ვით იობ, უფალსა გლახა მომთმენი ჰირისა, სძულს ღმერთსა ამპარტაენობა მეტადრე გლახა-მწირისა.

უნდა მხენელთა და მთესველთა, მწიდნელთა⁷, გინა მბარავთა, მზის ამოსვლითგან ჩასვლამდე შიგ არ შეხედონ კარავთა; ცხელის ოფლითა დამწვართა, ჩირდილ ქვეშ მიუყარავთა, რაც იმუშაონ, ჰამონ და აჰამონ ქვეყნის მფარავთა.

¹ ძოღან—წოდან, წინათ. ² სარჩოს ძირობა—თავის სარჩენი ხელობა. ³ მქირობა—პურობა, ხელში კერა, მფლობელობა. ⁴ იგულისხმება ქრისტე. ⁵ რისხვა—წყრომა. ⁶ სკიპტრა—სამეფო ჯოხი. ⁷ წიდნეა—გასხლული ვაზის გადარგვა.

მოლაშქრე უნდა ქაბუკი¹, თამამი, თავმდაბლოვანი, მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, სამართლოვანი, მხნე, ამხანაგთა მოყვარე, მამაცი, ძალ-გულოვანი, გულსრულად² მებრძოლთ მებრძოლი, არ სუსტი, მაგარმკლოვანი.

ვაჟარი უნდა სარფისა³, სამთვრალოს არა სვემდესა, ყომარაზობას⁴ ერიდოს, სიწმიდით თავსა სცევდესა, მეტად უზომოდ არამსა⁵ ალაღში⁶ არა რევდესა, სწორეს აღლსა⁷ და სასწორსა ხელში არ ამრუდებდესა.

ხუცესი უნდა მამაცი, არ თუ ჯაბანი⁸, მხრდალია⁹; ხუცესს არ ეთქმის: „ქირშიგან ვერ შევეალ, სარიდალია!“¹⁰ ხუცესმა უნდა დამარხოს, თუ კაცმა სული დალია; ხუცესიც ბევრს რიგს დააკლებს, თუ მეტი ღვინო დალია.

ოსტატი¹⁰ უფლის მოშიში დავითმან ქებით შამოსა; ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ქამოსა; ცოლით არს, ვით მსხმო ვენახი კიდესა სახლ-მიდამოსა, შვილნი ხელ ზეთისხილისად ურგს ტაბლის¹¹ გარეშამოსა.

აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმიდა ბერია, ცხოვრებდეს, ერთ¹² ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია: ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია: ბრძენის ურიგო ქცევითა ბაძით წახდების ერია.

ათივ, ეგ იყო, მოგიოთხარ, სხვა არ ამისგან კიდეა¹³: რომელიც გინდა, ირჩიე, აილე, ხელი ჰკიდეა; გერჩიოს, გლახად იარე, გერჩიოს ყანას მკიდეა. მე შენთვის აღარ მცალიან, ყმაწვილის ვალი მკიდეა.

10 სწავლა და უსწავლელობა

ვით, ძნიალ¹⁴ წნორი¹⁵ ბერფუყი¹⁶ დაიგრიხების წნელადა, ეგრეთვე კაცი მსცოვანი¹⁷ განისწავლების ძნელადა;

¹ ქაბუკი—გმირი, რაინდი. ² გულსრულად—გამბედავად. ³ სარფა—სარგებლობა, ხეი-რი. ⁴ ყომარაზობა—საიხედლო თამაში (მაგალ., ბანქოსი ან ნარდისა). ⁵ არამი—უსამართ-ლო, უკანონო, აკრძალული. ⁶ ალაღი—სამართლიანი, კანონიერი. ⁷ აღლი—არშინი. ⁸ ჯა-ბანი—შშიშარა. ⁹ მხრდალი—მხდალი, მშიშარა. ¹⁰ ოსტატი—ხელოსანი. ¹¹ ტაბლა—მაგიდა, სუფრა. ¹² ერთ, ხალხს. ¹³ კიდე—გარდა. ¹⁴ ძნიალ—ძნელად. ¹⁵ წნორი—გარეული ტირიფი; ნერკა. ¹⁶ ბერფუყი—დაბერებული და ფუტუროიანი. ¹⁷ მსცოვანი—მოხუცებული

ვით ახალმორჩი¹ ვაზისა ხელს მიჰყევს საფურჩნელადა²,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს³ გასაწრთენელადა⁴.

ნუ გენაღვლები სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კვილი:
მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების⁵ ტკივილი;
რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ შექმნას ყვილი, —
უფთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექმნა ჩივილი...

უწვრთელი ძალის მიხვდების⁶ გარეთ სიცივით თრთოლასა,
საქმლითაც არვინ განაძლებს, პილწად⁷ დაიწყებს წრწოლასა;
გასწავლებული⁸ პატივით შტაქუნზე⁹ შეიქმს წოლასა.
სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთელის შვილის ყოლასა.

ძალის უწვრთელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა,
რომ შვილი ბრიყვი, უცები¹⁰ დედ-მამას განათავებსა?
უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქს ავებსა,
გვარსა და ნათესავეებსა სირცხვილი სჭრიდეს თავებსა.

პატრონსა ძალის უწვრთელი მეტს ვერას ჰკადრებს წყენასა:
ან პურს მოსტაცებს, ან ხორცსა, ან წყალს ამოჰკრავს ენასა;
მშობელთა შვილი უწვრთელი აროდეს მისცემს ლხენასა:
სულთა წარწყმედას და ხორცთა მიუთხრობს¹¹ მით შერცხვენასა...

ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების,
უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების¹²,
რიკ-ფაინის¹³ დრო გარდუა, ველარ გაჰკრავს, ჩაჰრბილდების.
სწავლის ძირი მწარე არის, კენწვროში გატკბილდების.

11 თავის გაფთხილება და სიმხნე

სავარგონია¹⁴, მგონია, ეს სიტყვა გასავგონია:
ბალ-წალკოტისა¹⁵ მოქმედთა ვარდი დათესონ, რგონ ია;
თუ სნეულებას უფთხოვდე, ჰამე-სვი შესარგონია;
თავს გაუფთხილდი, არ უყო საქმენი ურიგონია;

¹ ახალმორჩი—ნორჩი ყლორტი. ² ფურჩნა—ფოთლების დაგლეჯა. ³ ოსტატი—
აქ ნიშნავს მასწავლებელს, მწრთენელს. ⁴ გაწრთენა—აღზრდა, სწავლება. ⁵ წყლული—იარა,
კრილობა. ⁶ მიხვდომა—შეხვდომა. ⁷ პილწი—საზიზღარი, საქაგელი. ⁸ გაწვრთნილი, ნასწავ-
ლი. ⁹ შტაქუნი—ქვეშსაგები. ¹⁰ უცები—უცოდინარი, უფიცი. ¹¹ ეტყვის. ¹² გაწბილება—შერ-
ცხვენა. ¹³ რიკ-ფაინი—ჩილიკა, სათამაშო ჯოხი. ¹⁴ სავარგო—სარგო, სისარგებლო. ¹⁵ წალ-
კოტი—ყვავილების ბალი.

დალივე საბრძნო წამალი, დაღვარე საშმაგონია¹;
ღვთად ნუ გწამს გამობერილი დასია, ბილ და გონია²;
ის გწამდეს ვინც რომ დაგბადა, მოგცა კეჟუა და გონია,
მას სთხოვე, ყველა მან მოგცეს, არს შენი რაც სარგონია!...
დავითის მცნება ისმინე, განაგე გასაგონია!

ეს არ კორია,—სწორია, რაც სიტყვა გითხარ ორია;
მცონარი³—ბევრის მქამელი გაუმადლარი ღორია;
ყურმძიმე—ლაფში დაფლული, ზანტი⁴ უღონო ჯორია;
თუ ჩაწვა, ძნელად ადგების, თავშიც რომ სცემო ტორია⁵;
ვერ მქმნელი, დიდთა მეტყველი, ენითა ვით რიტორია⁶...
ძალმოკლებულ⁷ არს მცონარი, ვითა მდინარე მღორია⁸;
მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორია:
მხნე იყავ და განძლიერდი,—დავითს რაც უთქვამს, სწორია!
მხნე იყავ და განძლიერდი,—დავითს რაც უთქვამს, სწორია!

12 სიტყვა ღვთისა

მო, მეო, აქეთ მომხედო!

რას მომითხრობს საყვარელი, ყური დაუგდეო:

«არავინა არს უფროსი ღვთისგან უდიდეო⁹!

ღვთის სიტყვასა, კაცთა ძესა, სიტყვას მისმენდეო:

გზასა რომელსა ხვილოდე, წინ დაიხედეო,

ფათერაკიანს¹⁰ საფრხესა¹¹ არსად ჩავარდეო;

თავს ასეთზედ ნუ იხარებ, ბოლოს ინანდეო;

ასეთს ნურას მოივაკრებ, რომ დაზიანდეო!

«მცან: მე ვარ შენი მოყვარე, შენ მე გიყვარდეო,

ნურაოდეს დამივიწყებ, მუდამ გახსოვდეო;

ვინც გირჩევდეს ჩემს გაყრასა, ჰკარ და განაგდეო!

ვინც მე მომდევს განუყრელად, მეც იმასა ვსდეო.

მე სულ ყოველთვის შენი ვარ, თუ შენ გინდოდეო;

ვარ ქირნახული¹² შენზედა, თორემ რას დაგდეო...

¹ შმაგი—გიჟი, სულელი. ² დასია, ბილ, გონია—ყერაბის სახელებია. ³ მცონარი—ზარმაცი. ⁴ ზანტი—ზარმაცი. ⁵ ტორია—ხელი. ⁶ რიტორია—ორატორი. ⁷ ძალმოკლებული—დასუსტებული, უღონო. ⁸ მღორე, მღორე—წყნარი, აუჩქარებელი. ⁹ უდიდესი. ¹⁰ ფათერაკი—ძოვლოდნელი უბედურება. ¹¹ საფრხე—დაბრკოლება; ფეხის მახე. ¹² ქირგამოვლილი.

რასაც მე შენთვის გავსჯილვარ, ვითარ მოვსთვლიდეთ!
აწ მე როგორ არ მეწყინოს, წახდე, გასკრუვდეთ?
მე დამთმო, აღარ მინდომო, სხვას მიუხვიდეთ,
ან მტერმან სადმე დაგორგუნოს¹, მოკვდე, წარმიწყმდეთ?

«აწ ნუ ხარ გაუბედავი, გიჯობს, გაბედეთ,
გაქსუებული² ნუ ხვალ შორს, ახლოს მამენდეთ!
ნუ გრცხვენის ჩემთან მოსელისა, ნუ დამერიდეთ;
თუ ჩემ საწყენსა რაშიგმე³ თავი ჩანაგდეთ,
ან გემთხვა რამე სოფლისა, მით დაიკოდეთ⁴,—
აწ ეს არს მისი წამალი, წყლოლზედ დაიდეთ:
ჩემს სახლამდის მოაწიო, ამდენს ეცადეთ,
რაც მაწყინე, მისი მითხარ: „გცოდე, შემინდეთ!“
თუ გულმხურვლად ეს ბოდნიში შენ მოიხადეთ,—
მერე შენი განსვენება ჩემზედ მოაგდეთ,
თუ ვითარ გაგაყმაწვილო, აღარ დაბერდეთ,
არა გაქენდეს რა საჯავრო, სულ იხარებდეთ!
თუ არ სხვას ვისმე უცხოთა, მარტო მე მხადეთ⁵,—
ეს ყველა შენთვის მზა არის, რაც რომ გიქადეთ⁶!

«მე შენ სხვას არას გენუკვი⁷: ღმერთი აღიდეთ,
მე, შენთვის ნებსით⁸ მომკვდარსა, მამიგონებდეთ,
რაც რომ ანდერძად⁹ დამეგდოს, აღასრულებდეთ:
ღარბს აკმევდე მშიერსა, მწყურვალს ასმევდეთ,
შიშველს შემოსდე, უძლურსა სნეულს ნახევდეთ,
საპყრობილეში მკმუნვართა¹⁰ ნუგეშსა სცემდეთ,
პატიმარს¹¹, ტყვესა უცხოთა შეიწყნარებდეთ¹²!

«შეიმსუბუქე ცოდვანი, ვირემ¹³ აესწონდეთ,
ასეთის სახით მეჩვენე, გნახო, მამწონდეთ;
ასეთს ცოდვილს ნუმცა გნახავ, რომ გაგირისხდეთ:
მაქვს საპყრობილე ასეთი, თუ შიგ შეგაგდეთ,

¹ დათრგუნვა—ფეხით დათელვა; დაჩაგრვა. ² გაქსუებული—გაველურებული. ³ რაში-მე.
⁴ დაკოდეთ—დაკრა. ⁵ მხადე—დამიძახე, მომიწოდე, მომმართე. ⁶ ქადება—დაპირება. ⁷ გეხვე-
წები. ⁸ ნებსით. ⁹ ანდერძი—უკანასკნელი სურვილი (სიკვდილის მოლოდინში გამოთქმული).
¹⁰ კმუნვა—მწუხარება. ¹¹ პატიმარი ტუსადი. ¹² შეწყნარება—შებრალება, მიღება. ¹³ ვიდრე,
სანამ.

დაუშრეტლის¹ ცეცხლითა უნდა იწოდეთ,
გკამდენ გველნი და ბაყაყნი, მატლში ეფლოდეთ;
ემშაქნი ცეცხლის მათრახთა გცემდენ, მიძახდეთა:
„ვამე, დავიწვი, მიშველე, ღმერთო, მომხედეთ!“...
ისევ ხორციით შეინანე, რაც ხორციით სცოდეთ,
თორემ სულით ვერას ირგებ, შენ ეს იცოდეთ!...
დავით მისთვის მოგახსენებ: ამას უფრთხოდეთ!
დავით მისთვის მოგახსენებ: ამას უფრთხოდეთ!..

დ. სასულიერო ოღები:

13 ღმერთი

მართი არს ღმერთი ყოველთა ქმნულთა, მის მიერ ქმნულისა²!
ბრძენიც არა სჩანს აღმრაცხი მის სარიცხველთა ნულისა³:
ვითარ შესწვდების გონება უცებით⁴ ქვედანთქმულისა!
აქეთ და გაქექთ ნულარას, გესმოდესთ ჩემის თქმულისა!

ვითა ტორუა⁵ ქვეყნითგან ცამდის შეიწყებს სტვენასა,
ვერ უწევს, ქვევე ბრუნდების, რომ ველარ შესძლებს ფრენასა,—
ეგრეთვე კაცი რიტორი⁶, რაზომც ამქვევრებს⁷ ენასა,
დაშვრების⁸: ვით ხამს⁹, ვერ აქებს მას ერთსა ღმერთსა ზენასა¹⁰.

საფუძველი არს ყოველთა დაუსაბამო¹¹ პირველი,
მამა ყოვლისა მპყრობელი, ცათა და ქვეყნის მპირველი,
მიუწოდომელი, უზომო, გამოუთქმელი, მბრწყინველი,
ღმერთი, აბელის მსხვერპლისა კეთილად შემაწირველი.

მას აქებენ: ანგელოზნი, ცა, ქვეყანა, ბნელ-ნათელი,
ზღვა, ხმელეთი, ხე, ბალახი, მთა, ბორცი¹², ტყე, მალნარ-ველი¹³,
პირუტყვ-მხეცნი, მფრინველ-თევზნი, ვეშაპ, ყოველ ქვემძრომელი,
ცეცხლი, ქარი, წყალი, მიწა, კაცი ცხოვლად¹⁴ პირმეტყველი...

ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყველა ჩვენთვის განაჩინა:
თვალ-მარგალიტ, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი თუ ქვა და რკინა;

¹ დაუშრეტელი—დაუქრობელი, დაუფერებელი. ² ქმნული—გაჩენილი. ³ ნული—
მეთე ნიშანი არაბული ციფრებისა. ⁴ უცება—უციკობა. ⁵ ტორუა—ტოროლა. ⁶ რიტორი
—ორატორი. ⁷ მქვერი—ტკბილი მოლაპარაკე. ⁸ დაშვრომა—დაქანცვა. ⁹ ხამს—უნდა, რი-
გია. ¹⁰ ზენა—ზეციერი, უზენაესი, მაღალი. ¹¹ ვისაც არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული.
¹² ბორცი—გორაკი, სერი. ¹³ მალნარი—წიროი ტყე მთაში. ¹⁴ ცხოველი—ცოცხალი.

ქიაც ჩვენთვის ამუშაკა, ჭიქნაური¹ აპარკინა²;
ჩვენცა გვმართებს ღმერთს დაუთმობთ, სწავლად გვემით³ რაც გვა-
| ტკინა;

ვიდგეთ, ვიჯდეთ, ანუ ვიწვეთ, — ხანსა ცუდათ არ დავზმიდეთ⁴;
ესტიროდეთ, თუ ვიცინოდეთ, ვლექობდეთ თუ, ანუ ვზმიდეთ⁵, —
ღმერთს ვაქებდეთ, ღმერთს ვამკობდეთ, ღმერთს დიდებას შევასხმიდეთ,
ღმერთს მივსცემდეთ მადლობასა, პურს ვსკამდეთ, თუ წყალსა
| ვსმიდეთ!

14 ქება უფლისა

მაქოთ, ვადიდოთ ვინაო? ღმერთი მალალთა შინაო,
ვინცა შეამყო ქვეყანა, ღამე დღედ განაბრწყინაო,
ზღვით, ხმელით, ხითურთ, ბალახით მთა-ბორცვი აღმოვინაო,
ყოველი ნივთისაგანი მაშიგან განაჩინაო,
ჩვენ კაცნი — მიწა და წყალი — შეგვზილა, აღგვადგინაო,
მოგვცა სიბრძნე და დაგვიდგა ქმნული ყოველი წინაო!
ჩვენც გვმართებს, მსხვერპლი შევსწიროთ, — დავით თქვა, — ამისთვისინაო!

აქე, აღიდე, შენაო, ვინცა შენ აღვაშენაო,
შენ — შავი მიწა-ტალახი — რომ აგრე დაგაშენაო.
ჩაგიდგა სული ცხოველი⁶, დაგაწყებინა ქშენაო,
გალაპარაკა, გასმინა, მოგცა პირი და ენაო,
დღე გაგიტენა ნათელი, გიბოძა თვალში ჩენაო,
ნდომა ცოლ-ქმრობის სურვილით, საკმელ-სასმელით რჩენაო!
მას ღმერთსა მსხვერპლი შესწირო, — დავითმა მოგახსენაო.

15 ჯვარცმულ მაცხოვარს

მაი, რა კარგი, საჩინო⁷ რა ავად მიგიჩინესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვრებელი შენ მათი წამწყმედლად მიგიჩინესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

¹ ჭიქნაური — აბრეშუმი. ² აპარკინა — პარკად გააკეთებინა. ³ გვემა — ცემა. ⁴ დაზმა — დაყოფა, დარჩობა. ⁵ ვზმიდეთ — ზმებს ვიტყვოდეთ. ⁶ ცხოველი — ცოცხალი. ⁷ საჩინო — გამორჩენილი, სახელოვანი.

ღვთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოც-დაათ ვერცხლად გაგიდეს, ისიც კი დანაბნიესო;
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი¹ მოგახვიესო,
მაგრა შეგიკრეს ხელები, უფალსა არა გთნიესო²!

ავაზაკხედა³ გაგცვალეს, ბარაბა⁴ მათ ირჩიესო,
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო;
ფრჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები⁵ აგატკიესო,
ყვრიმაღს გცეს თვალეზაკრულსა, გკითხეს: „ვინ გცემა, თქვი ესო?“

ბრალი ვერ გპოეს და გსაჯეს, პილატე მოგისიესო,
ბრალობის სისხლი თავზედა შეილითურთ გარდინთხიესო⁶;
ხელდაბანილთა შოლტი გცეს, მსხვერპლს სისხლი შეურიესო,
დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო.

შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი⁷ მოგახვიესო,
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწიესო;
წყალი ითხოვე, მოგართვეს, ძმარში ნალველი რიესო,
წმიდასა შენსა საღმრთოსა გვერდსა ლახვარი⁸ მიესო.

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო:
მოგკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო⁹,
თავს კრეტსამბელი¹⁰ განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო;

ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგვრაგნეს¹¹, ტილოში შეგახვიესო,
დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდენენ: თავს მცველი შემოგახვიესო.
ჰქმენ სულგრძელება¹² მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!..

1 საბელი—თოკი. 2 თნევა—მოფერება. 3 ავაზაკი—ყაჩაღი. 4 ბარაბა (სახარებიდგან) ყაჩაღი, რომელიც ქრისტესთან ერთად განასამართლეს და განათავისუფლეს. 5 ნუნა—ფრჩხილების ირგვლივ ტყავი. 6 გადიღვარეს, გადიკიცეს. 7 ქლამინდი—სამეფო მანტია, წამოსასხამი. 8 შუბი. 9 დაფრქვევა—დაურა, ფანტევა. 10 კრეტსამბელი—აღსავლის კარების ფარდა (ეკლესიაში). 11 წაგვრაგნა—შეხვევა. 12 სულგრძელება—მოთმინება.

აკომედიზან

«მხიარული ზაფხული»

1 ზაფხულის გამარჯვება

იჯდა ზამთარი ბროლის¹ ტახტზედა;
ხელი ზედ ედვა ფარ-ხმალ-ლახტზედა²;
მზად ყვანდა ლაშქარი—
თოვლ-ყინვა მას, ქარი—
მოსწონდა თავი...
სადაც ბანაკად დგა გაზაფხული
ხმალ გალესილი, შუბ გამახული, —
მიმართა ზამთარმან,
ჯავრით, ვით აფთარმან³,
მას შეუტივა.
ზაფხულს მიუგო ავი სიტყვანი,
გარდააყარა თავსა სეტყვანი.
ზაფხულმან თოფხანა⁴
სტყორცნა⁵, თავს მოფხანა
მეხით ზამთარსა.
მზემან მსახურა ზაფხულს კეთილად:
ზამთრის სიცივე შესცვალა თბილად.
გაიქცა ზამთარი,
რაშს⁶ სტაცა ფაფარი,
დასცა კიეინა...
ზამთარს წაუხდა აწ ქირნახული⁷.
ზურმუხტის⁸ ტახტზედ დაჯდა ზაფხული:
შემოკრბენ ყოველნი
მუნ სულნი ცხოველნი⁹
და მიულოცეს.

¹ ბროლი—მალალი ღირსების შუშა. ² საომარი იარაღებია. ³ აფთარი—მხეცია. ⁴ თოფხანა—თოფების საწყობი, არსენალი. ⁵ ესროლა. ⁶ რაში—მერანი, ცხენი. ⁷ ნაშრომი, შრომა, ცდა. ⁸ ზურმუხტი—მწვანე ფერის ძვირფასი ქვა. ⁹ ცხოველი—ცოცხალი, სულიერი.

გაცვდა, გაძველდა ცივი ზამთარი,
შემოეცარცვა ტანთა საფარი.

ზაფხული განახლდა,
საცმელი თან ახლდა
ფერად-ფერადი.

ზამთრით გაცრცვილნი¹, შიშველ-ტიტველნი
ახლით დამოსა, გახადა ძველნი;

მისცა მან ბრძანება,
დართო სულად მან ნება
პატიმრად² მყოფთა.

ტანთა ჩანაცვნა მწვანე კაბანი,
არ აქვთ სიცივით თრთოლა-ბაბანი³.

თბილნი ქარნი ჰბერვენ,
ხმით მფრინველნი მღერენ,
განაქვთ ჭიკჭიკი.

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული;

შაში ამბობს ზილსა⁴,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დვრინავს⁵ ქედანი⁶.

სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა;
ქვემძრომთ ხმა ესმისა, სახლს ხდიან ბანსა:

ჩაყრილნი ხაროდა⁷

ზე გასახაროდა
ამოძვრენ ველად.

მზიარულს ზაფხულს მოჰყავს ყვავილი;

მოწყენილს ზამთარს თან გაჰყვამ თრთვილი⁸.

აწ მწყემსნი ხარობენ:

ვინ ვისა ჰყვარობენ,
პირობას სდებენ.

¹ გაცრცვილი—ნახევრათ შიშველი. ² პატიმარი—ტუსალი. ³ ბაბანი—კანკალი (სიცივისაგან). ⁴ ზილი—წვრილი ხმა (გალობაში). ⁵ დვრინვა—ბოხი ხმით გალობა. ⁶ ქედანი—გარეული ტრედი. ⁷ ხარო—ორმო. ⁸ თრთვილი—შეყინული ცვარი.

2 მამის დარიგება ცოლ-ქმრობის შესახებ

ამ საერთო მხიარულების დროს ერთი მწყემსი-ქალი დაშორდება თავის ამხანაგებს და ყვეაილების საკრეფად იქვე მახლობელ ქალაში შედის; აქ მოულოდნელად თავს წააწყდება ერთ ახალგაზდა მწყემსს, რომელიც სტვირს (სალამურს) უკრავდა. ერთმანეთი მოეწონებათ და ცოლქმრობის პირობასა სდებენ. ვაჟი მიდის თავის მამასთან ცოლის შერთვის ნებართვისა და ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მამა შეიღს ლოცავს, მაგრამ საკიროდ სთვლის, საცოლოს არჩევის შესახებ დარიგება მისცეს:

შვილო, მონახე ქალი ასეთი,
ქეშმარიტებით სწამდეს მას ღმერთი.
მოიყიდე კაცი,
გინა დედაკაცი,
მას აძებნინე!
ერიდე კახას, ურცხვს, ლოთს და კაპას,
თორემ გიგინებს დედ-მამას, პაპას:
მალ-მალ გიზამს ჩხუბსა,
გაიმახევეს შუბსა,
გაძგერებს გულსა...
საითაც უნდა, იქითკენ წარებს¹,
გარდმოგიკირებს მათრახებს მწარებს;
აგიღებს აღვირებს,—
გატირებს, გაყვირებს,—
ისე გატარებს.
თუ ცოლს მიეცა ქმარზე უფლება,
ქმარი ლიაში² უკუეფლება,
გაისერება ლაფით,
მის ქუქკს საპნის ქაფით
ველარვინ გარეცხს.
«ისო ზირაქში³» ბრძენმან დასწერა
დედაკაცისა პყრობა და ქერა;
კარგგვარად ქადაგებს,
აქებს და აძაგებს
ისო დედაკაცთ...

¹ წარებს—წავა. ² ლია—წუმე, თხელი ტალახი. ³ „ისო ზირაქი“ წიგნია ბიბლიაში.

ქალს ნუ უარყოფ თვალად ნასობით¹,
თუ გსურს სიცოცხლე წელთა ასობით.
ოლონდ ფხიზლად ვლიდეს,
ქმარს არ სხვაზედ სცელიდეს,
არ იყოს ანჩხლი.

ამგვარი ცოლი არ გიორგულებს,
გაუფრთხილდების შენს ბალში რგულებს²;
დასცავს, დაიფარავს,
არას მოიპარავს
შენს საქონელსა...

არვინ წაგართმევს შენ იმას ძალით,
არცა მოგპარავს მას ქურდი მალევით.
არ გექნების შიში,
მისთვის კენესა-ვიში³,
არც არა ფიქრი...

ლამაზის ცოლის პატრონი კაცი
არს ფიქრისაგან შორს წარნატაცი;
მისთვის შიშნეულობს
და მისთვის სნეულობს,
შინ არს, თუ გარეთ;

ფიქრობს: „ვაი თუ დედალი ჭრელი
ვიდოდეს სადმე ფრთადაუჭრელი;
ჩემთან კი ბუდებდეს,
სხვათა კვერცხს უდებდეს,
მე კი ვკვებევდე!“

იტყვის „ვაი თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ქორსა;
იმან ითვალტვინოს⁴,
მე კი ამადრტვინოს⁵
მისის ნაღვლითა!!..“

შენ გეყოლების შავი დედალი,
შენს საქათმოში კვერცხის მდებალი;

¹ნასი—უშნო, ულამაზო. ²რგული—ხეხილი, მცენარეები. ³ვიში—მწუხარება. ⁴ე. ი. თვალები და ტვინი ამოაცალოს. ⁵დრტვინვა—ღელევა, აღშფოთება; საყვედური.

ამას იტყვის ქურდი:
«შაფია და ცული,
რათ მოვიპარო!!»
შენს კარ-მიდამო შეიქს კაკანსა,
მოგართმევს კვერცხით სავსეს ბაკანსა¹;
გიჩეკს წიწილებსა,
გიზრდის წვრილ შვილებსა.
სხვა რაღა გინდა?!...
ღმერთმან გაკურთხოს დამბადებელმან,
ცათა და ქვეყნის ამაგებელმან²...
სააქოსა გახაროს გულით,
საიქიოსა გაცხოენოს სულით!..

¹ ბაკანი—ჯამი ზისა. ² ამაგებელი—ალმაშენებელი, შემოქმედი.

XIV ბესარიონ გაბაშვილი

1750--1791

ბესარიონ გაბაშვილი ჩვენს მწერლობაში უფრო ბესიკის სახელით არის ცნობილი. იგი დაიბადა 1750 წელს. მამა მისი, დეკანოზი ზაქარია იობიან-გაბაშვილი ცნობილია ჩვენს მწერლობასა და ისტორიაში, როგორც ჩინებული მცოდნე ძველი მწერლობისა და ფრიად გავლენიანი პირი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. ზაქარია დეკანოზი თეიმურაზ მეფისა და ერეკლე მე-II-ის მოძღვარი იყო; ამიტომ მისი ოჯახი ძლიერ დაახლოებული იყო მეფის ოჯახთან. ამას მოჰყვა შედეგად ბესარიონის დაახლოება ერთ-ერთ ბატონიშვილთან, თეიმურაზ მეფის ქალთან ანასთან, რომელიც წინად დიმიტრი ორბელიანზე იყო გათხოვილი და, 1772 წელს დაქვრივებული, თავისი ძმის ერეკლე-მეფის სასახლეში ცხოვრობდა. დაახლოება სიყვარულად გადაიქცა, და ახალგაზდა მგოსანმა აგზნებული ლექსებით დაუწყო შემკობა ტურფა ქვრივ-ბატონიშვილს. ეს შეუტყო ერეკლე-მეფემ და ბესიკი სასახლიდგან დაითხოვა. მაგრამ ბესიკი არა ცხრებოდა: მოხდენილი, ლამაზი, თარისა და ჩანგურის ჩინებული დამკვრელი, საუცხოვო მომღერალი და მოქეიფე, იგი თფილისის ბაღებსა და ქუჩებს აყრუებდა თავისი ახალ-ახალი სატრფიალო სიმღერებით. მაშინ მეფემ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მაგრამ ბესიკმა გაასწრო და იმერეთში გადავიდა. იქ სოლომონ I-ელმა სიამოვნებით მიიღო და რაქაში მამულებიც უწყალობა. შემდეგ სოლომონ მეფეს არა ერთხელ გაუგზავნია ბესიკი ელჩად სპარსეთსა და რუსეთში. სოლომონის მომდევნო მეფეებიც ასეთისავე პატივით ექცეოდნენ ბესარიონ გაბაშვილს. 1790 წელს იმერეთის მეფემ დავითმა იგი რუსეთში გაგზავნა, საიდგანაც ბესიკს მოუხდა ქალ. იასაში (მოლდავიაში) გამოვლა, გენერალ პოტემკინის სანახავად; აქ იგი ავად გახდა და გარდაიცვალა 1791 წლის 21 იანვარს.

განახლების პერიოდის ქართულმა პოეზიამ ორგვარი მიმართულება მიიღო: ა) ეროვნულ-დიდაქტიური და ბ) კერძო-რომანტიული. უკანასკნელი მიმართულების დამწყები თეიმურაზ I-ელია (†1663 წ.), რომელიც უმთავრესად სპარსულ თარგმანებს იძლეოდა („ვარდ-ბულბულიანი“, „სანთელი და პეპელა“, „ლეილ-მეჯუნინი“ და სხვანი), ხოლო ამ მიმართულების დამამთავრებელი და საუკეთესო წარმომადგენელი ბესარიონ გაბაშვილია. მისი საუკეთესო ლექსები მის სიყვარულს შეეხება, თუმცა ამასთანავე თანამედროვე ისტორიულ მოვლენებსაც უწყვეს ანგარიშს: ერთი მხრით იგი დაჰმღერის გრძნობათა მეფეს—სიყვა-

რულს, მეორე მხრით—ქებას ასხამს ქართველ მეფეებს: ერეკლესა და სოლომონს. აგრედვე თავის დიდ მეგობარს დავით ორბელიანს. მისი ლირიკა მისი სულის სარკეა; მისი პოეტური სურათები აღმოსავლეთურ მწერლობის საპოეტო სურათებია: „ვარდი“ ნიშნავს სატრფო ქალს, „ბულბული“—შეყვარებულ ვაჟს. ბესიკის მდიდარ რითმას ქართულ მწერლობაში ბადალი არ მოეპოება. შინაარსის მხრით მისი ნაწერები ორ ჯგუფად შეგვიძლია გავყუთოთ: ა) სატრფიალო ლექსები და ბ) საისტორიო ოდები.

ვბეჭდავთ ორივე ჯგუფის საუკეთესო ნიმუშებს.

ა. საბრწყინლო ლექსები:

1 ანა დედოფალზედ

მარ უცხო ვინმე ყარიბი¹ ამა სიტყვათა მზომობელი²,
ამა მუხთლისა³ სოფლისა მაგინებელი, მგმობელი;
მონა ვარ მისი მუდამყამ და მისი შემამყობელი:
იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი!

ფფუცავ⁴: მე არვინ მიხილავს, რომ არს შვენებით ანაო;
მთვარესა ეზრახებოდა⁵: „შენ ვერ ხარ ჩემისთანაო!“
ვარსკვლავნი მუდამ სამონად გარს უდგენ თანისთანაო...
მხილველნო, დაგვემოწმენით: კარგი ყოფილა განაო?..

ცნობა მიმილო⁶ და გული, სევდით შემზლულა ანამან,
კვლავ მომკლა მისმან ციალმან⁷ და წელთა მიმოტანამან...
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან აპკურა⁸ ცრემლი, ანამა...
სჯობს, რომ არ ჰყვანდეს მიჯნური⁹, ან მოჰკლას ამისთანა მან!..

2 ვნახე პირმზე

ვნახე პირმზე, ბაგე¹⁰ ვარდობს და ლალობს¹¹;
ლომის ბურჯზედ¹² აღმობრწყინდა არია¹³;
მონარნარობს¹⁴, ზილფ-გიშრითა¹⁵ დალალობს¹⁶;
უზადოა¹⁷, უბრყვილოა¹⁸, არია¹⁹!

¹ ყარიბი—უთვისტომო, უცხო. ² მთქმელი. ³ მუხთალი—მოღალატე, გაუტანელი.
⁴ ფფუცავ. ⁵ ეზრახებოდა—ეუბნებოდა. ⁶ მიმილო—წამართვა. ⁷ ბრწყინვალეზამ. ⁸ კკურე-
ბა—წვეთ-წვეთად დასხმა, სხურება. ⁹ მიჯნური—საყვარელი, სატრფო. ¹⁰ ბაგე—პირი, ტუ-
ჩები. ¹¹ ლალი—წითელი ფერის ძვირფასი ქვა. ¹² ლომის ბურჯი—ვარსკვლავთა ჯგუფია,
ლომის ზოდიაქი. ¹³ არია—არეა, პლანეტა მარსი, მარიხი. ¹⁴ ნარნარი—ნაზი და მშვენიერი.
¹⁵ ზილფი—კავები ქალთა; გიშერი—შავი ქარვა; ზილფ-გიშერი—შავი კავები. ¹⁶ დალალი—
ნაწნავი (თმა). ¹⁷ უზადო—უზინჩო, უნაკლო. ¹⁸ უბრყვილო—წმინდა, სუფთა, ულაქო.
¹⁹ „არია“—არეა: არე—გაზაფხული; მაშასადამე: არე—გაზაფხულია.

ბროლის¹ ცაზედ ზანგთ² ლაშქარი ისრულებს³;
მელნის ტბათა⁴ მშვენიერად ისრულებს⁵;
შვიდ ციურთა⁶ მერვე მნათი ისრულებს⁷;
ის აპოლო⁸, ის კეკელა⁹ არია!¹⁰

უებროს¹¹ ლაწვს¹², ყელს აღმასი ისურა¹³;
კეკლუცობა სატრფიალოდ ისურა¹⁴;
რადგანც პლანიტს¹⁵ დააყენებს ისურა¹⁶,
მალრიბთ¹⁷ დასნი ანაწევრა¹⁸, არია.

საროტანი¹⁹, წელზარიფი²⁰ ახევდა²¹;
სევდა ჰქონდა, მწუხარებით ახევდა²²;
მისი სხივი მქვერტელთ გულთა ახევდა²³;
რაზარინობს²⁴, კინამოა²⁵, არია!

ოდეს შუქნი განვიცადე²⁶ მისია, —
მისად ქებად აღმეველინა, მესია²⁷.
მას ჰფარვიდეს არსთა მბალი მესია²⁸!
მაშრიყს²⁹ მკვიდრობს, მან ქვეყანა არია!

3 ეტრფის მთიებსა

მეტრფის მთიებსა³⁰ შესამკობლად გული ურვილი³¹,
სწყურის გონებას სამარადოდ მისი სურვილი,
სული რბის სწრაფით მისკერძ³² სრბოლით³³, სევდაქურვილი³⁴,

¹ ბროლი—წმინდა შუშა, თეთრი და გამსკვირვალე; ბროლის ცა—თეთრი შებ-
ლი. ² ზანგი—შაქანიანი ხალხი (ნეგრი); „ზანგთ ლაშქარი“—შავი წარბები. ³ ისრულებს—
მშვილდით ისარს ისვრის. ⁴ მელნის ტბა—შავი თვლები. ⁵ „ისრულებს“—ისარულებს,
შემოსარული აქვს (წამწმებით). ⁶ ციურნი—შვიდი მნათობი ცისა. ⁷ ისრულებს—ემატება და
რეად შეისრულებს. ⁸ აპოლო—აპოლოლო, ღმერთი მზისა და მისი სინათლისა. ⁹ კეკელა—
მეშენიერი, მოხდენილი, ლამაზი. ¹⁰ არის. ¹¹ უებრო—შუუდარებელი, უმაგალითო. ¹² ლაწვი—
ლოყა. ¹³ „ისურა“—სურასავით გამოიბა. ¹⁴ „ისურა“—სურათივით მოიხდინა, და შევნდა.
¹⁵ პლანიტი—პლანეტა, აქ იგულისხმება მთვარე. ¹⁶ ისუ—ისუ ნავინი, რომელმაც დააყენა
მზე და მთვარე. ¹⁷ მალრიბნი—დასავლეთის მცხოვრებნი. ¹⁸ ანაწევრა—დაჰყო, გაფანტა.
¹⁹ სარო—კვიპაროზის სწორი და მაღალი ხე. ²⁰ ზარიფი—მშვენივრათ აზრდილი. ²¹ ახევდა—
სწორედ აიპართა. ²² ახევდა—ოზრავდა. ²³ უხევდა, ჰგლეჯდა. ²⁴ რაზარინი—რიზარინი, მი-
რონის სურნელი. ²⁵ კინამო—სუნნელი ყვავილია, რომელზედაც ამბობდენ, ვითომც მძინა-
რეს გულისპისუსხს ათქმევიანებდეს, ცხელს აგრძობდეს და სხე. ²⁶ განვიცადე—ვიხილე, და-
ვინახე. ²⁷ მესია—მოშესია (იგულისხმება „შუქნი“). ²⁸ მესია—ქრისტე, ღმერთი. ²⁹ მაშრიყი—
აღმოსავლეთი. ³⁰ მთიები—მნათობი ცისა. ³¹ ურვილი—მწუხარე, სევდიანი. ³² მისკერძ—
მისკენ. ³³ სრბოლა—ჩქარი სვლა, სირბილი. ³⁴ ქურვილი—აღქურვილი, დატვირთული.

თვალი ვერა სკერეტს, ხამს, დაბნელდეს ბინდმობურვილი, თუ დავალებულს¹ გულსა შეხედეს მისი წყურვილი.

სცვენ ჰინდთა ჯარნი² დარაზმულნი ბროლისა ეელსა, მუნიდგან³ ისრის გამტყორცელნი დაჰკოდენ ხელსა⁴:

ვარდი, ზამბახთა შერეული, ნამსა სცერის თხელსა, სადაფნი ძოწსა⁵ მოუზღუდაეს გონებაჰველსა.

განვჰკრთი მკერეტელი, თავრეტებად მინაწურვილი⁶!

ტანაკვეთსრულო, ალვად⁷ რგულო, შაშპრა-სოსანო⁸, ნარდო-ზმირინო⁹, ხმასირინო¹⁰, ამოდხმოსანო¹¹,

ზილფოკასიაე¹², ნამქხასიაეკინამოსანო¹³,

დათხზულდალალო¹⁴, ბროლ და ლალო უფასოსანო,

შენსა ვერმკერეტსა თვალთა სდიან ცრემლი წურვილი!

მეყნოსა ოდეს სურნელგება თმისა შენისა,

მყისვე გაცუდდეს მრავლადობა ჩემის სენისა;

ამოდ და წყნარად სიტყვა მესმა მზისა ენისა,

შევსვი შარბათი¹⁵ ბაგეთაგან არსაწყენისა:

მისთვის შემექნა გული მუნვე¹⁶ მინაწურვილი¹⁷!

ჰე, გულო კრულო¹⁸, ისარკრულო, ბედსა ხარ მწარეს!

გიხმს¹⁹, თავო ზღვათა შესართაო, რბოდე მის არეს²⁰,

ლარიბად²¹ ვლიდე, კართა სცვიდე, თუ შეგიწყნარეს;

სადა ჰინდოთა ბნელ-ბინდოთა სათნი²² შესარეს,

მონებდე ხლებით, მისსა თნებით²³, სტრფოდე ურვილი²⁴!

¹ დავალებული—შეწუხებული. ² ინდთა ჯარნი—ინდოელთა (შავხალხთა) ჯარი, ე. ი. წამწამბი. ³ მუნიდან—იქიდან. ⁴ ხელი—გივი. ⁵ ძოწი—წითელი მარჯანი. ⁶ მიწურული. ⁷ ალვისხედ. ⁸ შაშპრა—რქანი, შაშქელავი (სურნელოვანი ყვავილია); სოსანი—სწორი და მაღალი საამური ფერის ყვავილი. ⁹ ნარდი—სუნელი მცენარეა; ზმირინი—გუნდრუკი, საკმეველი. ¹⁰ სირინო—სირინოზი, ზღაპრული ტყბილად მომღერალი ქალთვეზი. ¹¹ ამოდ—საამურად. ¹² ზილფი—დალალი, კავი (თმისა); კასია—კასი, ფრიად სურნელოვანი ქერქია; დარიჩინი. ¹³ კინამო—ფრიად სურნელოვანი ყვავილია; ხასია—ხასი, ყრდელი (მცენარეა); ნამქ—შემკობილი. ¹⁴ დალალი—ნაწნავი (თმისა). ¹⁵ შარბათი—ტყბილი სასმელი. ¹⁶ მუნვე—იქვე. ¹⁷ ე. ი. გაშურებული, მოსწრაფებული. ¹⁸ კრული—დაწყველილი. ¹⁹ გიხმს—გინდა, შენთვის საკირთა, რიგია. ²⁰ არე—მზარე. ²¹ ლარიბი—უთვისტომო, უცხო, მწირი, ყარიბი. ²² სათი—გიშერი (აქ ნიშნავს შავ თვალებს). ²³ თნება—თნევა, ამება; ვათნე—ვაამებ, ვასიამოვნებ. ²⁴ ურვა—ზრუნვა; ურვილი—მზრუნველი.

4 მე შენი მგონე

მე, შენი მგონე, კირს შემკონე, დამწვი, მალ ალო¹,
ზილფო² ნაშალო, შემაშალო, მკვლელო დალალო³,
მთიებო პირო, მიჯნურთ⁴ კირო, ბროლო და ლალო,
კეკლუტო, ნაზო, შენ ლამაზო, ბროლ-ფიქალალო⁵,
მე, შენსა ყარიბსა⁶ მიჯნურსა, მაქეს საეალალო⁷!

ხამს⁸, შენთვის ხელმა⁹, სოფელს მვლელმა, თავი კირს არას¹⁰,
შენნი უწყალო ჰინდ-ლაშქარნი¹¹ გარშეისაროს,
მათგან დაზიდულს მშვილდსა უძლოს, გულსა ისაროს,
დაქრილი ჰრბოდეს, ცხოველობა¹² გაიმქისაროს¹³!
მაგრამ უბრალოდ სისხლი შენზედ არს სააღალო¹⁴!

ღოს მოგახილე¹⁵, მყის¹⁶ შევიქენ თავისა მტერი!
რად არ ვიცოდი, არა გყვანდა შენი საფერი¹⁷?!
ყოვლი¹⁸ მოყვარე შენგან ჩივის, ყმა¹⁹ თუ ბერი²⁰!
რა გაამების, არ ვინ იცის, ვსცან ვერაფერი!
ღროა, თუ მომკლავ შენ, სიკეთედაუთვალალო²¹!

ძნელი ყოფილა, დამაშერალსა²² შეხედეს წყურვილი:
მზისა სიცხოველე²³ მირაქირდეს²⁴, შექმნას ურვილი²⁵.
ვაჟ ჩემსა ბედსა! იცი, მე ვარ სულმიწურვილი²⁶.
მიკვირს, რად აღარ დამაკარვენ სათნობურვილი²⁷?
ჰგავს, რომ მოყვარე არად გინდა, მიუთვალალო²⁸!

1 მალ ალი—მალი (სწრაფი) ალი. 2 ზილფი—კავები (თმისა). 3 დალალი—ნაწნავი (თმისა). 4 მიჯნური—შეყვარებული. 5 ფიქალი—ქვისფიქარი; ბროლ-ფიქალი—ბროლის ფიქარი. 6 ყარიბი—შწირი, უთვისტომო. 7 საეალალო—სატრიალი, სამწუხარო. 8 ხამს—უნდა, რიგო. 9 ხელი—გახვლებული, გაგიჟებული. 10 არას—(რება)—იაროს, ატაროს. 11 ჰინდ-ლაშქარნი—ინდოელებივით შავი წამწამების ლაშქარი. 12 ცხოველობა—სიცოცხლე. 13 მქისე—დაშხამული; ველური, გაქსელებული. 14 სააღალო—სამართლიანი. 15 დაგინაზე. 16 მყის—უცბათ, იმწამსვე. 17 შესაფერი. 18 ყოველი. 19 ყმაწვილი, ახალგაზდა. 20 ბერი—ბე-ბერი, მოხუცი. 21 სიკეთე-დაუთვალავი—სიკეთე-დაუთვლელი, ე. ი. უზომო (უთვალავი) სიკეთით შემკობილი; სიკეთე—სიმშვენიერე. 22 დამაშერალი—დადლილ-დაქანცული. 23 სი-ცხოველე—სიმხურვალე. 24 მირა-სქირდეს—რა მისქირდეს; რა რომ შეაწუხოს. 25 ურვილი—წუხილი. 26 სულმიწურვილი—სასიკვდილოდ მიწურული. 27 სათი—გვირი (აქ ნიშნავს შვე თვალებს). 28 მიუთვალალო—შეწყენარება, მიღება; შებრალება.

მე შენმა თვალმა გარდამბირა¹, როს გნახე მთვარე;
შვიდნი ციურნი² მოციმციმელ³ არ შეგადარე.
შენის ბაგისა⁴ ორნი მეცნენს⁵: ტკბილი და მწარე.
ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე!
შენი ბესიკი რად დამაგდენ, შეუბრალოა?

5 ტანო ტატანო

ტანო ტატანო⁶, გულწამტანო⁷, უცხოლ მარებო⁸!
ზილფო-კავებო მომკლავებო, ვერსაკარებო!
წარბ-წამწამ-თვალნო მისათვალნო⁹, შემაზარებო¹⁰?
ძოწ-ლალ-ბაგეო¹¹ დამდაგეო¹², სულთწამარებო¹³!
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!
თვალთა ნარგისი¹⁴ დამდაგისი¹⁵ შეგშენვის მწველად,
ყელსა ბროლებსა უტოლებსა გველი¹⁶ გყვა მცველად,
გესხნეს ხალები მაკრძალები¹⁷ ამარტის¹⁸ ველად,
ნარინჯნი¹⁹ ორნი ტოლნი-სწორნი მიქმოდენ ხელად,
მიწვევდენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!
ალფაო²⁰, გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხვევლნი,
მკლავნი მომკლავნი, თითნითლილნი, მოსახვევლნი;
ზარიფსა²¹ წელსა დაეკვირვნეს²² ქვეყანად მელელნი.
ოდეს გნახვიდი, შევიმატნი ათასნი წელნი.
აწ დამლევიან ყოვლნი დღენი, უცხოლ ვარებო²³!

¹ გარდაბირვა—შიზიდვა, შიტყუება. ² შვიდნი ციურნი—შვიდი მნათობი ცისა: მზე, მთვარე, არა (მარიხი), ოტარიდი (==მერკური), ასპიროზ (==ვენერა), მუშთარი (==იუპიტერი), კრონოსი (==ზული ანუ სატურნი); ჩენი ძველები მარტო ამ შვიდ მნათობს იცნობდნენ: ნებტუნი და ურანი ჯერ მათთვის უცნობი იყო. ³ მოციმციმე—ბრწყინვალე. ⁴ ბაგე—ტუჩები. ⁵ მეცნენს—ესკან, გავიცანი. ⁶ ტატანი—ვიარსკვლავივით მანათობელი გამჭვირვალე სხეული. ⁷ გულწამტაცო, გულის წამრთმეო. ⁸ მარები (რება)—მსვლელი. ⁹ მისათვალნი—თვალმისასპურობი. ¹⁰ შემაზარები—თავზარის დამცემი. ¹¹ ძოწი—წითელი მარჯანი; ლალი—წითელი ძვირფასი ქვა; ბაგე—ტუჩები. ¹² დამდაგე (დაგვა)—დამწველი. ¹³ სულთწამარები—სულის წამყვანი, წამრთმევი. ¹⁴ ნარგისი—ყვავილია (პოეტურად ნიშნავს: თვალს). ¹⁵ დამწველი. ¹⁶ იგულისხმება—ნაწნავეები. ¹⁷ მაკრძალები—კრძალვის (==ხათრის, შიშის, რილის) აღმძვრელი. ¹⁸ ამარტა—იასპი, მოწითალო ფერის ქარვა; „ამარტის ველი“—ნიშნავს დაწვებს, ლოყებს. ¹⁹ ნარინჯი—ნარინჯის ფერი (თეთრ-წითელი); აქ უნდა იგულისხმებოდეს იგივე ლოყები. ²⁰ ალფა—ალვის ხე. ²¹ ზარიფი—მშვენიერად აზრდილი. ²² დაკვირვება—გაკვირვება, გაოცება. ²³ ვარებ—ვიარები, დავდივარ (რება).

ბაგემდუმრიად გიაღერსებ, ბაგეო ვარდო!
 თვალთა ჰსურიან ხილვა შენი, კეკელამარდო!
 გულსა ჰსწყურთან დამაშვრალსა, რას შეგათარდო?
 თუმცა შენ დაგთმო, ვინლა ვჰპოვო, სად გაეიზარდო?
 უშენოდ ხილვა არვისი მსურს, შეეიზარებო²!
 შენმა გონებამ³ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს;
 სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.
 მოდიო, მიჯნურნო, შემბირალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
 მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
 ვაჟ, სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარებო⁴!

6 სევდის ბაღში

სევდის⁵ ბაღს შეველ შენაღონები:
 მოკრეფად მსურდა ვარდის კონები,
 ვარდმა შემბრისხა თავმომწონები,
 ისარი მტყორცნა დასამონები,
 სრულად მიმილო⁶ ყოელი ღონები;
 მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები,
 მისთვის იქნები დასაყოენები⁷!“
 ვერ მიეხვდი მახვილგანაწონები⁸,
 მისთვის შევიქენ კრემლთა ფონები⁹.
 იასა ვკითხე,—მუნ¹⁰ იღვა ნაზი:
 „ვარდსა რა უქმენ კართა სარაზი¹¹,
 ამაყად მწყრალი ენახე ლამაზი!“
 მანცა განმაგდო: „გარეგან, გაზი¹²!...
 „შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი...
 „სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი¹³,
 „შენს გულსა ჰკითხე, მიაპყარ გაზი¹⁴,

¹ შეფარდება—შედარება, მიმსგავსება. ² შეეიზარებ—შეზიზღება, მძულს. ³ ე. ი. მოგონებამ, ფიქრმა. ⁴ დანაცარები—წარმოდგება სიტუვისაგან: „დაცარვა“—დარღვევა, დაშლა; დანაცარები—დანარღვევი, დარღვეული, დაშლილი. ⁵ ნაღველი, დარდი, მწუხარება. ⁶ წამართვა. ⁷ დაყოენება—დაგვიანება. ⁸ მახვილგანაწონები—ხმლით (მახვილით) გაკვეთილი ფონი—თხელი მდინარე. ⁹ იქ. ¹⁰ იქ. ¹¹ სარაზი—დასაკეტი. ¹² გაზი—გადი, გაიზი, მოშორდი. ¹³ დაზი—დაიზი, დაიწი. ¹⁴ გაზი—ლურსმნის ან კბილის ამოსაძრობი იარაღი.

„შენის გონებით იქნება რაზი¹:

„ჩვენ დაგვთმო და სხვას ემონები“.

რა ია გაწყრა, ნარგიზს მიემართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე,

ვეუბნებოდი: „შენ წარმიმართე,—

„იწროს² გზის პოვნად გზები გაქვს ფართე,—

„ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე³,

„ვარდს მამუდარე⁴, ალერსი ჩართე,

„შავ გულსა ლხინი შენ მოუსართე⁵,

„შემომითვალოს, რა ეუკუღმართე⁶,

„რად მომიგონა მოუგონები?“

ნარგიზი ვნახე შებრალებითა,
ცრემლსა სცვარვიდა მორიდებითა:

მითხრა: „ყარბო“, — მონაზებითა, —

„ვარდი მით არის გულდაკლებითა,

„რომ შენი იყო თავდადებითა...

„შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?

„თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა;

„ნაცვალი⁷ მოგხვდა დასახსოვნები.“

დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალები,
ბალის კარს დავეჯექე შენაძალები⁸.

ცრემლით ამევსნენ მწირნი⁹ თვალები,

ვიყავ ბედისა დამაბრალები;

ვინცა მნახვიდენ დამაშვრალები¹⁰,

შეიქმნებოდენ კირნაკრძალები¹¹.

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრქალები,

ბესიკი სიკვდილს არ ვემალები:

თავი მაქვს მისთვის შენაწონები¹².

¹ რაზი— შეიძლება ნიშნავდეს დაკეტულს, დარაზულს. ² იწრო— ვიწრო. ³ ხელის შემართვა— ხელის მომართვა, ხელის შეწყობა, დახმარება. ⁴ შემახვეწე. ⁵ მოუმატე. ⁶ ეუკუღმართე— ეუკუღმართობა (დანაშაული) ჩაივლინე. ⁷ სამაგიერო. ⁸ შენაძალები— დაძლეული, დამარცხებული. ⁹ მწირი— მშრალი, გამოფიტული. ¹⁰ დამაშვრალი— დაქანცული (ცხოვრებისაგან). ¹¹ კირნაკრძალები— კირს მორიდებული, მწუხარება მოკლებული. ¹² შენაწონები— შეწონილი, შეზომილი.

7 წყლული ბულბული

ბულბული მოდის მწუხარებით, ცრემლის დენითა:
ვექობ, მებაღეს დაუტუქსავს¹ ცეცხლმოდებითა.

ბულბულო, გადი ამ ბალიდამ შენის ნებითა,
თორემ კრაზანა შენ დაგჩაგრავს ყოვლის გზებითა!

წადი, ბულბულო, შენ მებაღეს შეჰფიცე რჯული,
კრაზანს ავედრე, მოგიტეოს დანაშაული;
ნარგისთან კაცი გააგზავნე: სრულ ჰქმნან აღთქმული,
მებაღესთანაც დაგეხმაროს ვარდის ენითა.

ადე, ბულბულო, ვარდის სიტყვით მებაღე ნახე:
თუ წყრომით იყოს, გარს შემოვლე, თავს დაემარხე;
ბალში, ეგები, შეგიყვანოს, ნარგიზი ნახე:
კოკობი ვარდი არ მიგიღებს თავის ნებითა!...

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის სული:
მებაღემ დასწყლა² და დაჰკოდა ბულბულის გული!
მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე, ჩამიდგი სული,
თუგინდ, მიწასაც მიმაბარე მოყვრის ენითა!

ბ. ს ა ი ს ტ ო რ ი ო ო ლ ზ ე ბ ი :

8 ირაკლი მეფის ქება

ღმერთო! მოეც დიდი დღე,
მტერზე განძლიერე
ობოლთ, ქვრივთა, გლაბაკთ მწე³
ირაკლი!

ვამკოთ ქართველთ ცხებული⁴,
ღვთისგან განმეფებული,
დავითის შტო ქებული,
ირაკლი!

როს ქართლს აღმოუბრწყინდა,
ყოვლი მძლავრი შეშინდა,
მით სახელი განდიდა

ირაკლი!

¹ დატუქსავა — შერისხვა, გაჯაერება. ² დაწყლა — დაჭრა. ³ მწე — შიმშილი. ⁴ მირონცხებული — მეფედ ნაკურთხი.

ალაყვავა სჯულია,
ქრისტეს ბრძანებულია,
მოსცა მსჯავრი¹ სრულია

ირაკლი!

ღმერთო! მოეც დიდი ღღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლთ, ქვრივთა, გლახაკთ მწე

ირაკლი!

მარადის² ებრძვის სპარსთა,
მახმედისა მოსავთა³:
ბევრგზის სძლია ოსმალთა

ირაკლი;

ეზრახვის⁴ რუსთ-ხელმწიფე,
აღუთქვამს, ექმნას შემწე,
რადგან ოსმალთ არის მძლე⁵

ირაკლი!

ღმერთო! მოეც დიდი ღღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლთ, ქვრივთა, გლახაკთ მწე

ირაკლი!

9 ასპინძის ომზედ

დავით სარდლისადმი *

ა

ასპინძის⁶ მიწა გიწამებს, — ურგებ არს ჩემგან თქმულები!
რუს-ქართველ-კახნი მოადგენენ აწყურსა⁷ დარაზმულები;
მუნით⁸ წყალს—ღვენი რჩეულნი, დაღისტანს ბიკად თნულები⁹,
და ოსმალთ რაზმნი ურიცხვად, მათთანვე შენართულები!

¹ მსჯავრი—სამართალი. ² მუღამ. ³ მოსავეი—მოიშვედ, მორწმუნე. ⁴ მოლაპარაკება აქედან და პირობასა სდებს. ⁵ მძლე—მძლეველი, დამამარცხებელი. ⁶ ასპინძა—სოფელია. ⁷ აწყური—ესეც ცნობილი საისტორიო სოფელი და ციხე-სიმაგრეა. ⁸ მუნით—იქიდგან. ⁹ თნული—მიღებული (თნევა); ბიკად თნულები—კარგ ბიკებად, კარგ ვაჟაკებად მიღებულები.

* დავით ორბელიანი სარდალი იყო იმ ჯარისა, რომელიც ასპინძაში იბრძოდა. ასპინძის ომი მოხდა 1770 წელს, 20 აპრილს.

იქითი პირი მტკვარისა და ველნი მეწამულობდეს¹:
ოსმალთა დელიბაშები² წითელ-ყვითლითა მკულობდეს;
აბჯართა³ ოკრო და ვერცხლი ხვანთქრის⁴ ხაზინას სძულობდეს;
კვლავ ლეკთა ყაწიშ-შაშხანა⁵ მცირედრე ხვარაზმულობდეს⁶.

რუსნიცა წითელ-მწვანითა და ლურჯით შეხამდებოდენ:
თითბრის ჩანთანი ბრწყინვიდენ, ვარსკვლავთა ეგვანებოდენ,
ზარბაზნის გრგვინვა და თოფის ცის კიდეთ⁷ ეუბნებოდენ;
თვით მეფე ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ⁸.

ბ

შაჰ! მის ღლისა მომხსენმან ვითარ ვინ რით განვაქიქო⁹?!
ცილი დასდევს მეფეს რუსთა: „ჩვენთვის კეთილს არა იქო!“
ღრაფი¹⁰ ჯარით გამობრუნდა, — მით სახელი ვერა იქო;
სხვა პასუხი არვის მისცა: „სითაც მოველ, წავალ იქო!“

რა ნახეს ლეკთა და ოსმანთ რუსისა გამგზავრებანი,
წელმაგრად შეხვდათ ნიშანი, აუხდათ დანატრებანი:
დაფ-ზურნა-საყვირს უხშირეს, შეიქმნა საოცრებანი,
ვის ჰქონდის მკლავთა იმედი, სრულად დაჰკარგეს მცნებანი¹¹.

უიქოდ ჰგონეს ლეკ-ოსმანთ თქვენიცა გაბრუნებანი:
დას-დასად დროშა გაიყვეს, მცირე ხანს ჰქონდათ ბქობანი¹²...
ანაზღი ელდა¹³ დაეცათ ქართლ-კახელთ, ექმნათ გმობანი¹⁴:
ვინ ვის უსწრობდა, მორბოდეს... ვითა ვთქვა მათი მკობანი?

მაშინ გულს დაჰკარ მჯიღეითა¹⁵, მიწანი შესძრენ რყევითა:
ცხენმან შეგატყო შექმენა, შემზადა ტანი ნძრევითა;
თვალნი ნაკვერცხლად შეგექმნეს, აშეთლი¹⁶ სისხლმორვეითა;
ცვირისა ნესტეთა მოჰქროდენ ქარნი ქვეყნისა ნგრევითა.

¹ მეწამული—წითელი; მეწამულობდენ—წითლად იყვნენ დაფარული ოსმალების წითელი ქულებისაგან. ² დელიბაშები—რჩეული ჯარისკაცები. ³ აბჯართი—საომალი იარაღი. ⁴ ხვანთქარი—სულთანი. ⁵ ყაწიში—ხმლის ჩამოსაკიდი თასები; შაშხანა—თოფი. ⁶ ხვარაზმული—ხვარაზში (სპარსეთის ჩრდილო პროვინცია) გაკეთებული, ე. ი. საუკეთესო ღირსების იარაღი. ⁷ კიდე—ნაპირი. ⁸ ხლდომა—ხტომა. ⁹ განიქიება—დაგმობა, შერცხვენა. ¹⁰ იფლისსმება გრაფი ტოტლებენი, რომელიც რუსეთის დედოფლის ეკატერინე მე-III-ის მიერ იყო დანიშნული საქართველოში გამოგზავნილის რუსთა ჯარის უფროსად, სარდლად. ¹¹ ე. ი. ცნობა, გონი. ¹² ბქობა—რჩევა, თათბირი. ¹³ ანაზღი—უეცარი, მოულოდნელი; ელდა—შიში. ¹⁴ გმობა—შერცხვენა, გაწბილება. ¹⁵ მჯიღი—მუშტი. ¹⁶ აშეთება—შეთება, გახელება, გაგიყება.

მედგრად¹ გაქუსლე² მიდამო, თეთრი გეაჯდა³ რბევასა; სახლისა შეილნი იახლენ, ვინ იყვნენ შენთან ჩვევასა, ათნი-სამ გინათუ ოცნი⁴ გისმენდენ ომსა რჩევასა...

შავგულო, სად ხარ? შენ გეტყვი, ვინ იყვის⁵ ჯილდო ძლევასა!

მომართ⁶ უყივლე⁷ გაქცეულთ, იცნეს ხმა, შედგეს შენითა, ყველაი შენთვის დაბრუნდა, თუ ვინ სად ჰრობდა ქშენითა, გაქცეულთ თათართ ვერლასით გაგასწრეს წყალსა ცხენითა, ხიდის ისარსა⁸ მისჯარენ⁹ სუნ-თათარ-ლეკნი¹⁰ რბენითა.

ზოგმან შემართა¹¹ შიშითა წყალს გასვლა უფონობითა, ზოგნი ერთმანერთს ხოცდიან, სრულად მიხდილნი ცნობითა¹², არ იცოდინან, რამც ჰქმნიან, ვერ იყვენენ ჰკუბარძნობითა, მიდამო ჰკაფდი უწყალოდ, მკვრეტნი გაქებდეს მხნობითა.

არ მიეც გზანი სავალად, ოდენ ისარი¹³ საცოცად: ერთი რა შედგის, უკანა წყალს გარდაადგის სახოცად, ძვირად შეექმნათ თავაზი, მუხლს გეხვეოდნენ საცოცად... ერთისა უიმედოთა ქართველთ აშოვე ას-ოცად.

8

ზრმალი ჩააგენ მაძლარი, უბრძანე ალაფობანი¹⁴: გახდა ზრიალი, იპყრობდნენ, ვით ცხოვართ¹⁵ სადმე ჩობანი¹⁶, მეურდოეთა¹⁷ მოჰყვანდეს მათნი გმირებთა მჯობანი, მოულოცვიდნენ მეფესა, იეფდა კაცის ძღვნობანი...

ცხენნი მოჰყვანდეს ძვირფასნი, მისრის¹⁸ ნასყიდი ფლურებით¹⁹; წყლის მინაქონთა ვინ რიცხვდა, მომშთეართა თავმოძულებით, თოფნი და ხმალნი რჩეულნი, ყაწიმ-ძეწკვებით²⁰ კრულებით. მაშინ დაგთქოდნენ შაირსა სიბრძნით შემწყობნი მკულებით!..

¹ მედგრად—გაანწილებით, გაბრაზებით. ² გაქუსლეა—ცხენის გაქენება. ³ თეთრი—იყულისხმება ცხენი; გეაჯდა (აჯა)—გეხვეწებოდა. ⁴ „ათნი-სამ გინათუ ოცნი“, ე. ი. სამი ათნი (ე. ი. 80), გინდ სამი ოცი, ე. ი. 80 („იგულისხმებიან „სახლის შეილნი“—დავით ორბელიანის სახლიშვილები, თანამოგვარეები). ⁵ იყვის—იყო; მიიღო, დაიმსახურა. ⁶ მომართ—აქეთვე. ⁷ ყივილი—კივილი, ძახილი. ⁸ ხიდის ისარი—ხიდის ბოძებზე გადებული გრძელი ხეები (მაშინ იქ ხიდს, ერეკლეს ბრძანებით, იატაკი აყრილი ჰქონდა). ⁹ მიჯარვა—მირევა, მიყრა (ერთად). ¹⁰ სუნნი—სუნიტები, მაშადიანთა ერთს ნაწილს ასე ეძახიან; მეორე ნაწილს—შიიტები ჰქვია. ¹¹ შემართვა—შებეღვა. ¹² ცნობამიხდილი—ცნობა (გონება)-წართმეული. ¹³ ე. ი. ხიდის ისარი. ¹⁴ ალაფი—ომში ნატაკი საქონელი ¹⁵ ცხოვარი—ცხვარი. ¹⁶ ჩობანი—მეცხვარე; მენახირე. ¹⁷ მეურდოე—მებაანკე; ურდო—ბანაკი (ჯარისა). ¹⁸ მისრი—მისრეთი, ეგვიპტე. ¹⁹ ფლური—ოქროს ფული (შვიდაბაზიანი). ²⁰ ყაწიმი—ხმლის ჩამოსაკიდი თასმები; ძეწკვი—გულსაკიდი წვრილი ჯაჭვი.

1780 წელს

ა

მიმართვა

ათინურთ², ენა ქველშესაძენა³,
 შესხმის⁴ მოცალედ გშენს წამის-წამად!
 პლატონ, უმიროს, პროკლეთურთ⁵ იროს⁶,
 არისტოტელი ჰყვეს დასაწამად⁷!
 ბრძენნი და მძენნი, ფრანგნი, ბერძენნი,
 ჩრდილო-სამხრელნი ხმაშენადგამად⁸
 მოკრბით სეფისდა⁹ ქებად მეფისდა,
 სოლომონისდა¹⁰ ხილვად, სალამად!

ბ

ომი ფიცხელი და მეფის გამარჯვება

აწ ნახეთ ომი მკვრეტელთ სანდომი¹¹:
 მიდგნენ მარცხნივთა მარცხად¹² მცირენი;
 კეისართ¹³ ტოლი, შავ ჩოხით მძლოლი,
 თეთრსა ზედან ზის თავგამწირენი;

¹ რუხი—ციხე სამეგრელოში, ზუგდიდის მახლობლად, ენგურის პირად. რუხის ომი მოხდა 1780 წელს აფხაზებსა და მეგრელებს შორის; აფხაზებს შველოდნენ მთიულები, მეგრელებს—იმერეთის მეფე სოლომონ I დიდი, რომელმაც დიდად ისახელა თავი ამ ომში. ოდის შესავალი სწორედ ამ მეფისადმია მიმართული. ² ათინური ფილოსოფოსნი. ³ ქველი—კეთილი, კარგი. ⁴ შესხმა—შემკობა. ⁵ პლატონ—ბერძენთ დიდებული ფილოსოფოსი; უმიროს—ბერძენთა დიდებული მგოსანი; პროკლე—ესეც ფილოსოფოსი იყო (ნეოპლატონური). ⁶ იროს—იაროს. ⁷ დასაწამად—მოსახმარებლად; ჰყვეს—თან მოჰყვეს. ⁸ ხმაშენადგამად—ხმაშეწყობილად, შეთანხმებით. ⁹ სეფე—მეფე, დიდებული; სამეფო სახლი ან სასახლე. ¹⁰ სოლომონ I დიდი (1752—1784 წ.). ¹¹ მოსანდომი. ¹² დამამარცხებლად. ¹³ კეისარი—ასე ეძახდნენ ქართველები ბერძნის იმპერატორებს; ხელმწიფე.

გაპყვა ვინ გულით, მის თანა ბმულით,
ქირსა ქირობდეს არცუდმღირენი¹.
გნოლო² ჯოგთა ქორნი ფრთაშენასწორნი
როს ნახეს, გაფრთხნენ ანატირენი...

რა ნახეს მეფე მიქრილი³,
გულსა შეაქნეს ბაბანი⁴,
დაჰყარნეს ყოვლნი სახმარნი⁵,
გზა ძიეს გასასწრაფანი.
ლეკურსა⁶ დრო ჰხვდა, მიჰკაფდა,
ვით ნახა ზურგი ჯაბანი⁷;
ჰაერსა შიგან ფრინვიდა
ხრმალი, სისხლითა ნაბანი!

8

სარდალი წერეთელი

აწ შენი მსურს ქების კონვა,
ვინ სარდლობდი, წერეთელო!
მაშინ ჰგავდი მებთატეხას⁸
ჯგუფთა, რაზმთა განმზნეველო,
ელვის სახედ მტერთა თვალის
დამხუქებო, შემზარელო,
გმირის ხმითა დამქუხებო,
თხემთა⁹ ტვინის დამთხეველო¹⁰!
შაბაშ, შაბაშ! შენდა ვაშა¹¹!
თუმცა გამკე ვერა დია¹²,
შენი გვესმა მცირე ცეცხლი,
დიდთა ხეთა მწველადია.
ისპად¹³ მსროლო თოფისაო,
ლეკურის ხარ ბელადია¹⁴.

¹ ცუდმღირე—უხეირო, უღირსი; არცუდმღირე—ღირსეული. ² გნოლი—კაკაბის გვარი ფრინველია. ³ მიქრილი—მისული. ⁴ ბაბანი—კანკალი. ⁵ სახმარი—რაც საქირო და გამოსადეგია. ⁶ ლეკური—ბმალი. ⁷ ჯაბანი—შშიშარა, მხდალი. ⁸ მებთატეხა—ქექა-ქუხილი დამხუხის დაცემა. ⁹ თხემი—თავი, თავისქალა. ¹⁰ დამთხევა—დაქცევა, დაღვრა. ¹¹ შაბაშ! და ვაშა!—ბარაქალა! ¹² დია—ღიახ. ¹³ ისპად—გმირულად; ისპაბა—გმირობა. ¹⁴ ბელადი—მატარებელი, გამძლოლი.

ბრძენთა ენამ როდის გაქოს
ყოვლთთვის შესაფერადია?!

ღ

რომან ჩიჩუა

მას დღეს მსგავსი ავთანდილის,
შექურვილი¹ ჯაქვით, ზუჩით²,
კისკასი³ და მკლაფეუებრო
მისდევს ხმლისა ხლაჩი-ხლუჩით⁴;
ზოგნი ჩივან აფხაზები:
„სით გავექციეთ, ვერ გადავურჩით!“
ზოგთა წყლიდგან წამოითრევს,
ვით მეთევზე თევზს ლაყუჩით⁵.

მ

მნათობთა შური

მზეს შეშურდა, მთვარეს იხმობს⁶.
მოდგენ იგიც განაკიდე.
ვარსკვლავთ რაზმნი კიყინს სცემდენ;
სხვადა გითხრა განა კიდე:
მარისს⁷ ხმალი სამესისხლო⁸
მოეწვადა განნაკიდე⁹,
ცისა-მშვილდსა¹⁰ გარდაეცვა
კილო¹¹ ისრის განაკიდე...
ვერძი¹² მშვიდი, რისხვით მრქენი,
სისხლის მსმელობს, ვითარ ღვინის;
კურო¹³, მედგრად მისეული,
დამთხვეელობს მათის ტვინის;

¹ შექურვილი—შეიარაღებული. ² ზუჩი—მუზარადი, ჩაჩანი, რკინის ჩაბალახი. ³ კის-კასი—ცქვიტი. ⁴ ხლაჩი-ხლუჩი—ჩეხის ხმა, ჩეხვა. ⁵ ლაყუჩი—თევზის ღრანკები, ყბებს ქვეშ ნაკეციები წყლის გამოხსაშვებად. ⁶ ეძახის. ⁷ მარისი—პლანეტა მარსი. ⁸ სამესისხლო—სისხლის მღვრელი. ⁹ გან-ნაკიდე—განზე დაკიდებული, მოშორებით დაკიდებული. ¹⁰ ცისმშვილდი—ვარსკვლავთა ჯგუფს (ზოდიაქს) ეწოდება ასტრონომიაში. ¹¹ კილო—მშვილდის ლარის გარდასაცმელი ყური. ¹² ვერძი—ესეც ზოდიაქია. ¹³ კურო (ხბო)—ზოდიაქია.

მარჩბივი¹ რთავს ფათერაკთა²,
კალოს ლეწავს მკვდართა ზეინის;
ლომი³ ხმითა სასტიკობს და,
ტოტს ჰკრავს ვისცა, მიაწვინის!
კირჩხიბი⁴ სწყლავს⁵ ოროლითა⁶,
შუამუცლად გამპობელობს;
ქალწულს⁷ ლმობა⁸ შეშლოდა და
ქვას ჰკრავს, სისხლით დამლტოლველობს⁹;
ღრიანკალი¹⁰ გესლთა სწვიმდა,
კუდის წერტით¹¹ დამსწრობელობს;
თეფზი¹² წყლისა მონაქონთა
ბოლორტყმითა მაშობელობს¹³;
საქანელი¹⁴ ღრუბელთ ჯარი
სისხლის წვიმად გარდუქცივნა;
თხის-რქას¹⁵ ვაქებ: გრძლად იბრძოდა,
მიკვირს, თავი არ ეტკინა;
მშვილდისანმან¹⁶ ჯილდო¹⁷ ირგო:
ტყვე ხუთასნი გარდიჩივნა;
სასწორი¹⁸ სწონს ნაალაფევს¹⁹,
სარგებლამდის მიაწივნა²⁰!

¹ მარჩბივი (ტუუბი)—ზოდიაქია. ² ფათერაკი—მოულოდნელი უბედურება. ³ ლომი—
ესეც ზოდიაქია. ⁴ კირჩხიბი ზოდიაქია (ნიშნავს კიბოს). ⁵ სწყლავს—სკრის, დაჰკოდს.
⁶ ოროლი—ორპირი და გრძელტარჩინი შუბი. ⁷ ქალწული—ესეც ზოდიაქია. ⁸ ლმობა—
გულმტკივნეულობა, სიბრალული. ⁹ დამლტოლვა—დამტობა, დასევლება. ¹⁰ ღრიანკალი
(მორიელი)—ზოდიაქია. ¹¹ წერტი—ჩხვეტა. ¹² ესეც ზოდიაქია ცისა. ¹³ შობა—დაღრჩო-
ბა. ¹⁴ საქანელი—„წყლის საქანელი“ (ზოდიაქია). ¹⁵ ესეც ზოდიაქია ცისა. ¹⁶ მშვილდოსა-
ნიც—ერთი ზოდიაქიაგანია. ¹⁷ ჯილდო—საჩუქარი. ¹⁸ სასწორი—ცისსასწორი (ზოდიაქია).
¹⁹ ნაალაფევი—ომში ნაშოვნი (ნატაცები) ქონება. ²⁰ ე. ი. მიაწი, მივიდა.

საღმრთო

პოეზია

შენსავალი

ზღვასავით ვრცელი და დაუღვეწელია, ბუნებასავით მრავალგვარი და თვალგაღწეწდენელია ქართული ხალხური პოეზია. ამიტომ აზრად არა გვაქვს, ჩვენსპატარა ქრისტომატიასში ამ დიდი ზღვის სრული სურათი წარმოვადგინოთ. წიგნის სიერცეც რომ ნებას გვაძლევდეს, ეს ამჟამად არც მოსახერხებელი იქნებოდა, რადგან ჩვენი ხალხური სიტყვიერების შეკრება და შესწავლა სულ ახალი საქმეა: ჯერ-ჯერობით მასალის მხოლოდ უმცირესი ნაწილია შეკრებილი და გამოქვეყნებული და კიდევ უფრო მცირე ნაწილია შესწავლილი და გამოკვლეული; მისი უუდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ ხალხშივეა დარჩენილი და მკვლევარის ხელი არ შეჰხებია. ამიტომ ქვემოდ მხოლოდ ის გვაქვს წარმოდგენილი, რაც დღემდე გამოქვეყნებულს მასალაში უფრო მეტს ყურადღებას იქცევს, სიტყვიერების ნამდვილ შედეგს წარმოადგენს, როგორც ენის სიმშვენიერით და მუსიკალობით, ისე შინაგანის აზრითა და გრძნობის სიციხველით. მცირეა ეს მასალა რაოდენობით, მაგრამ დიდია თავისის ღირსებით და მნიშვნელობით. ამ მცირე მასალიდანაც მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ქართულ ხალხურ პოეზიას განვითარების უუმაღლეს ხარისხამდე მიუწევია: მისი ბადალი არათუ ახალ ქართულ (და მით უმეტეს განახლების პერიოდის) მწერლობაში, კლასიკური პერიოდის ნაშთებშიაც ძლიერ ცოტა მოიპოვება. მხოლოდ რუსთველის გრძნეულ ჩანგს შეეძლო მოეცა და კიდევაც მოგეცა მისი საბადლო მარგალიტები. მაგრამ ხშირად აქაც სადავო ხდება, რომელი რომელსა სჯობს: რუსთველის ღვთაებრივი საგალობელი ხალხისას, თუ ხალხურის პოეზიის ობოლი მარგალიტები რუსთველის ღვთაებრივს პოეზიას? დაე, თვით მკითხველის საკუთარმა გულმა და შეგნებამ გადასწყვიტოს ეს ფრიად დიდი და დიდადმნიშვნელოვანი

საკითხი! ქვემოდ მოტანილი ნიმუშები საკმაო მასალას იძლევა საამისოდ.

მთელი მასალა ჯგუფებად გვაქვს დაყოფილი. ყოველ ნაწარმობებში პროვინციალური სიტყვები დატულია და ახსნილი; მაგრამ ისეთი საგრამატიკო დიალექტიზმები, როგორცაა, მაგალ.: „წეილო“, „მოიტანა“ და სხვანი ყველგან უარყოფილია უფრო სწორი ნორმების მიხედვით: „წაილო“, „მოიტანა“ და სხვათა. ჩვენა გვგონია, ისეთ სახელმძღვანელო წიგნში, რომელიც საშუალო სასწავლებელთათვისაა დანიშნული, ნაადრევად უნდა ჩაითვალოს ამგვარის დიალექტიზმების შეტანა. ამავე მოსაზრებით სვანურ-მეგრული ზღაპრები და ქანურ-ინგილოური არაკებიც ქართულად ნათარგმნი შემოგვაქვს.

I

ლექსები და შაირები

1. უჩველესი ღოცვა-საგალობლები და საოჯახო ლექსები:

1 მზის საგალობელი

ახალშობილის აკვანზე

მზე შინა და მზე გარეთა, მზევე, შინ შემოდის!
უყვივლია მამალსაო, მზევე, შინ შემოდის!
ძილო, რასა მეძინები? მზევე, შინ შემოდის!
გათენდი, თუ გათენდები! მზევე, შინ შემოდის!
ტანს პერანგი არ მაცვია¹, მზევე, შინ შემოდის!
მზე შინა და მზე გარეთა, მზევე, შინ შემოდის!

2 ბატონების² საგალობელი

ავადმყოფის საწოლთან

იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!
ბატონებისა დედასა, იავ-ნანინაო!
უდგია ოქროს აკვანი, ვარდო-ნანინაო!
შიგ უწევს ბატონიშვილი, იავ-ნანინაო!
უსხია ოქროს ქოჩორი, ვარდო-ნანინაო!
ხან და ხან გადაარწებენ, იავ-ნანინაო!

¹ ცხადია, მთელს საგალობელში მღერალი ბავშვის (ახლადშობილის) მაგივრად ლა-პარაკობს. ² მდაბიო ხალხი ყვავილს, წითელას, ხველას. მუცელას და ამგვარს გადაძღვებ ავადმყოფობას „ბატონებს“ ეძახის.

ტკბილათ ეტყვიან ნანასა, ვარდო-ნანინაო!
იავ-ნანა, ბატონებო, იავ-ნანინაო!

დატკბით, დატკბით, ბატონებო, იავ-ნანინაო!
შაქრათ, შაქრათ დასიამდით, ვარდო-ნანინაო!
—თეთრი ზღვიდან გიახელით, იავ-ნანინაო!
შვიდნი და-ძმანნი ბატონნი, ვარდო-ნანინაო!
შვიდ სოფელს შევეფინენით, იავ-ნანინაო!
ასე დავდივართ სოფელში, ვარდო-ნანინაო!
კაცი არ დავვიწვენია, იავ-ნანინაო!
ჩიტყც არ აგვიფურენია, ვარდო-ნანინაო!
იავ-ნანა, ბატონებო, იავ-ნანინაო!

ჰ დედა ობლების დამყრელი¹

დედა, ობლების დამყრელი, კაცის მკვლელს ედარებოდა:
უბეში უჯდა გველები, ძუძუებს ეტანებოდა!

† ქალის სიზმარი და დედის მოთქმა

ა. ქალის სიზმარი:

წუხელი სიზმარი ენახე, ნეტა, დედავ, რააო?
აღვის ხე წაქცეულიყო, ნეტა, დედავ, რააო?
ორი ტოტი მომტერეოდა, ნეტა, დედავ, რააო?
ფურცელიც მთლად გასცვენოდა, ნეტა, დედავ, რააო?
წყაროს თვალი² დაესილიყო, ნეტა, დედავ, რააო?
წყალს კიღობანი³ მოჰქონდა, ნეტა, დედავ, რააო?
თან სამოსელიც⁴ მოჰქონდა, ნეტა, დედავ, რააო?
ბერი ხარი მობლაოდა, ნეტა, დედავ, რააო?
ბოსელში ფური ღმუოდა, ნეტა, დედავ, რააო?
ორი გვრიტი ღულუნობდა, ნეტა, დედავ, რააო?
წვრილჩიტები მოფრინავდენ, ნეტა, დედავ, რააო?
წინ ყორანი მოუძლოდა, ნეტა, დედავ, რააო?

¹ იგულისხმება ქერიეი, რომელიც გათხოვდება და ობოლ შეიღებს სხვისანაბარად დასტოვებს. ² წყაროს თვალი—ის ადგილი, საიდანაც წყარო გამოდის. ³ კიღობანი—გამომცხვარი პურის შესანახი სკივრი. ⁴ შინ მოქსოვილი ბამბეული მატურია, რომლისგანაც იმერეთში უმთავრესად საკვლებს იკრავდნენ.

ბ. დედის მოთქმა

სამი დღის შემდეგ ის ქალი მოკვდა და დედამ ასე დაატირა:

პლვის ხე რომ წაქცეულა, შეილო შენი ტანი არი,
ვაჟ შენს დედასაო!
ტოტები რომ მომტვრევია, შეილო, შენი მკლავებია,
ვაჟ შენს დედასაო!
ფურცლები რომ გასცვენია, შეილო, შენი თმები არი,
ვაჟ შენს დედასაო!
წყაროს თვალი რომ დავსილა, შეილო, შენი თვალებია,
ვაჟ შენს დედასაო!
წყალს კიდობანი მოჰქონდა? შეილო, შენი კუბო არი,
ვაჟ შენს დედასაო!
თან სამოსელიც მოჰქონდა? შეილო, შენი სუდარია¹,
ვაჟ შენს დედასაო!
ბერი ხარი რომ ბლაოდა, შეილო, მამა-შენი არი,
ვაჟ შენს დედასაო!
ბოსელში ფური ღმუოდა? შეილო, დედა-შენი არი,
ვაჟ შენს დედასაო!
გვრიტები რომ ლულუნობდენ, შეილო, შენი დები არი,
ვაჟ შენს დედასაო!
ჩიტები რომ მოფრინავდენ, შეილო ასაბია² არი,
ვაჟ შენს დედასაო!
ყორანი რომ მოუძლოდა, შეილო დეკანოზი არი,
ვაჟ შენს დედასაო!

¹ სუდარი—მკვდრის შესახვევი ქსოვილი. ² ასაბია—მიცვალებულის პატივსაცემლად მოსული სტუმრები.

ნ ცოლის სიზმარი

შალმა სთქვა: «სიზმარი ვნახე დამდეგს ენკენისთვისასა:
ცა წითლად-ყვითლად ელავდა, სეტყვას ისვრიდა ქვისასა,
თავზედ მაქცევდა ჩარდახსა¹ დახურულ ყაფარისასა,
წინაც სანთელსა მიქრობდა ჩამოსხმულ კელაპტრისასა².
ბაღში ხეხილსა მიმტერევედა, დარგულსა ალვის ხისასა³.
ნეტა ვიცოდე, რა არის?»—სიკვდილს იტყვიან ქმრისასა!

¹ ჩარდახი—პატარა ოთახი სართულს ქვეშ. ² კელაპტარი—დიდი წმინდა სანთელი
³ „ალვის ხედი“ აქ, ალბად, იგულისხმება ხეხილის დამრგველი მამაკაცი.

2. საბრწყინალო ლექსები:

1 ქალის სიტყვები:

ა

იმა გზობა შობითა, ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა¹ ძუძუ გაწოვა, შეგამკო სურნელებითა!

ბ

იმერეთი დამივლია, ქართლი შემეიჯერებია²,
არ მინახავს შენისთანა: ყელი მოგიღერებია,
წამწამსა და წამწამ შუა ბალი გაგიშენებია,
შიგ სურვილი ჩაგისახავს, ყველა გაგიშტერებია.

გ

ხომალდში ჩავეკე, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები³ ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი, ვერ ვნახე შენი სახეო!
ანთებულ სანთელს გამსგავსე, დილით ცისკარზე გნახეო:
ხელში გეჭირა. ყმაწვილი, ფარსაგ⁴ ვერ დაგინახეო;
შენს ლოყას ვარდი ყვაოდა, გშევენოდა ღია ფერია,
ლაწეს⁵ მოციმციმე⁶, ხალივით, ნამი ცით მონაბერია;
შურით დაგფრფენდა⁷ ნიავი, გირხევედა დალალ-კავებსა⁸,
წარბი, წამწამი ყორნისა ჰბურავდა გიშრის თვალებსა;
თვალსა, რა თვალსა? ცის მნათსა, წყვდიადში მოვლევარესა,
მოვლინებულსა ამ ქვეყნად, ნუგეზად დამაშვრალებსა⁹!
ტუჩს დაქდომოდა ღიმილი, აღისფრად მოლადლადესა,
კბილ-მარგალიტი აფრქვევდა შუქურს¹⁰ მიდამოს და ველსა.
რა თამარ? რაა ქეთევან? ვით შეგადარო ეთერსა?
ისარს დაუსომ გულს მნახველს, ხელად¹¹ დარბოდეს ტყე-ველსა.

¹ ნარგიზი—სურნელოვანი თეთრი ფერის ყვავილია ლენტეხეთში გრძელი ფოთლებით. ² შეეჯერება—შემოწმება, თავის თვალთნახვა, გაცნობა. ³ „ფრანგის ქვეყნები“—იულისხმება ევროპის სახელმწიფოები. ⁴ ფარსაგი—კარგ, გვარიანი, ხეირიანი; ფარსაგ—კარგად. ხეირიანად. ⁵ ლაწესი—ლოყა. ⁶ ციმციმი—ბრწყინვალეობა. კამკამი. ⁷ თავს გველვებოდა. ⁸ დალალი—ნაწნავი (თმა). ⁹ დამაშვრალი—დაღლილი, დაქანტულ-მოწყვეტილი. ¹⁰ შუქური—ძლიერი შუქი. ¹¹ ხელი—გივი.

ფრანგის ქვეყნები დავადღე, მივძარ-მოვძარი ზღვებია:
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს ეგრეთსა, შენ რომ გხლებია!

2 ძალა სიყვარულისა:

ა

თუნდ ასე სთქვან, თუნდა ისე, ღამე მაინც ბნელიაო.
ნურც დამძრახავ, ნურც გამკიცხავ: სიყვარული ძნელიაო!

ბ

ზზა სიარულმა დალია, სიპი ქვა¹—წყლისა ჩქერამა:
ყმაწვილი ბიჭი და გოგო ერთმანეთისა ცქერამა.

გ

ჭალ, შენის მოლოდინითა თოლს² ძილი მოსდის აღარა,
თმა გამითეთრდა და გული ნაღველ-ტიალამ დაჰლარა!

დ

• ზოგომ ფიჩხი ჩააყარა, თონე აპირიალაო,
მორჩა საქმეს და დამღერა, ხმები ააწყრიალაო;
რომ შევხედე, შემომხედა, რეტმა³ დამატრიალაო.

ე

ჟვეშ-ქვეშ შემოგცქერს, თოვლს შეგყრის, ეუუუნა⁴, სვილის⁵ ფერია,
თავს დახრის, წყნარათ გაივლის, ვითომდა არაფერია!
ეტყვი: „რათ დამქერ?“ იძახის: „ბეჩა, რა ჩემი ბრალია?“
—კვესო⁶, შენ ცეცხლსა მიაყრი და ნუ იფეთქებს ფალია⁷?!..

ვ

ჭალავ, მაგ შენმა მერდინმა⁸ ჰაერში გაიფრიალა:
სახე გამოჩნდა, თოლებმა⁹ ელვასებრ გაიკრიალა,

¹ სიპი ქვა—რიყის ქვა. ² თოლი—თვალი. ³ რეტი—თავის გაბრუნება უეცარის შემკრით. ⁴ ეუუუნა—თვალეუუუნა, ღამაზი თვალეზიანი. ⁵ სვილა—სვილი, ქვაყი (მცინარეა საპურე). ⁶ კვესი—ცეცხლის ასანთები ფოლადის ნაქერი. ⁷ ფალია—ძველებური თოფის ნაწილია, რომელზედაც თოფის წამალს აყრიდნენ ხოლმე ასაფეთქებლად. ⁸ მერდინი—აბრეშუმის თხელი ქსოვილი თავზე მოსახვევად. ⁹ თოლებმა.

ცხელმა ნიაგმა დამქროლა, გზად შენკე დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემომამყარა და ჩალად ამბრიალა!

3 ქალ-ვაჟის ნატვრა:

ა

ამოიქროლე, ნიაგო ქვევითის მინდვრებისაო,
თან მოგვიტანე სურვილი ლამაზის ქალებისაო!

ბ

ძალო, ლამაზათ შეყრილო¹, ალვის ხეს ჰგევხარ ტანადა!
ნეტავ, ეს გული ტიალი თავს შემოივლო შანადა²!

გ

ხელსახოცსა გადმოგიგდებ, ოქრომკედით მოქარგულსა:
შიგ გავახვევ ჩემსა გულსა, შენთვის დამწვარ-დადაგულსა!

დ

ძალ, ვარდი მოგიკრეფია, უმზეოთ დაგიფენია.
აჰკრიფე, თორემ დაჰნამავს, ცასა ღრუბელი ჰფენია!

ე

ძალ, შენეული ბარათი ვერ ენახე ამის მეტათა,
დავინახე და დამადგა გულზე ნათელი სვეტათა!

ვ

ძალო, მითხარი: „შენი ვარ“; გულ რაღად დამეხურება?
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს, ნისლით არ დაიბურება!

ზ

ძალო, ნეტაი შენი ხმა ავამთყოფს გამაგონაო,
ექიმად შენვე გაქცია, შენს ახლოს დამაღონაო!

¹ შეყრილი—ტანყერილი, ტანყერილი, გაზრდილი. ² შანა—თავს შემოსავლები ფული, რომელსაც შემდეგ ხატზე დაჰკიდებდნენ ხოლმე.

6

ნეტაი ვარდათ მაქცია, შენს წინა გაეიშლებოდე!
 პატარა ჩიტათ მაქცია, უბეში ჩაგიძვრებოდე!
 შაქარ-ყინულათ მაქცია, ენაზე დაგადნებოდე!
 მას უკან მომკლა, — რა მგამა! — შენს კეთილს მოვესწრებოდე!

7

შერცხლისამც თასად მაქცია, რო ღვინით აგვესებოდი,
 დაფერილი მქნა წითლად, შემსმევედი, შეგერგებოდი!
 ანა მქნა ვერცხლის სათითე², რო ხელზე ჩაგეგებოდი!
 ან შენის ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე³ შეგეკრებოდი!
 ანამც მქნა ვარდი-ყოილი⁴, ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი,
 ან შენი ნანდაური⁵ მქნა, გულს ჯაფრად ჩაგეკრებოდი,
 ანამც ძმა ვიყო მოწილე, ცოცხალს არ გაგეყრებოდი!

4 თავფარავნელი⁶ კაბუკი

თავფარავნელი კაბუკი ასპინძას⁷ ქალსა ჰყვარობდა;
 ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა;
 კაბუკი წყალში შეცურდა, მიდის და მიუხაროდა,
 ცალ მკლავზე გელაზი⁸ ეცვა, მარჯვენას ისე ხმარობდა.

ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა;
 ერთი სულმყრალი ბებერი აქრობდა, აბეზარობდა⁹.
 კაბუკი წყალმა დააღრჩო, ზედ ნიაღვარი ჩქარობდა;
 კაბუკის ძუძუ-მკერდზედა ორბი იჯდა და ხარობდა.

¹ „რა მგამა“ — რა მენადლევა. ² სათითე — ბეჭედი. ³ ფხა — ნამგლის ან ხანჯლის მოლესილი პირი. ⁴ ყოილი — ყუაილი. ⁵ ნანდაური — სასურველი, საყვარელი. ⁶ თავფარავანი — სოფელი და ტბა ჯაფახეთში. ⁷ ასპინძა — სოფლის სახელია. ⁸ გელაზი — წისქვილის ქვა. ⁹ აბეზარობა — თავის მობერება, მოთინებიდგან გამოყვანა.

3. სავაჟაგო და საისტორიო ლექსები:

ა. სავაჟაგო ლექსები:

1

მაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი¹ უნდა ხისაო,
თვალნი ქორებულ მხედველნი, მუხლები შავარდნისაო!

2

ბიკო, რას ჰფიქრობ, მშიშარა, მშობელი დედის მგმობია?..
თავლათდასხმულსა სიცოცხლეს სიკედლი არა სჯობია?!...

3

თემის გამტეხსა² ვაჟკაცსა ნუ დაეღვევა კირიო,
შეურცხვეს იმას უღვაში და გაუშავდეს პირიო!

4

ბიკნო, ყველასგან დევნილნო, ძმა ძმას რათ ვუწევთ მტრობასა?
ისა სჯობს, მხარი მხარს მიესცეთ, უფრო შეშენის ძმობასა!

5

ძაცი, ამ ქვეყნად დევნილი, ყველგან იზოვის ბინასო:
უჯობს არაფერს შეუღრკეს, გული უგავდეს რკინასო!

6

მთის შვილო, მთაში გაზრდილო, ხმალს როდის მოგიშვიდება?
ომში შეხვალ და გამოხვალ, გული არ შეგიშინდება.
სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი არ მოგიცურდება,
უკან დახევა არ იცი, გული რო შეგიხურდება!

¹ აბჯარი—საომარი იარაღი. ² თემი—ქვეყნის ერთი კუთხე ან ტომის (ერის) ერთი ნაწილი; „თემის განტეხი“—თემური წუობილებისა და ზნე-ჩვეულებათა დამარღვეველი, მოლაღატე.

ნეტა, რა დედამ გაგზარდა ეგეთი მშვენიერიო?
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი, ბრძენი და გონიერიო!
გისდება პრტყელი მხარ-ბეჭი, წერილი, წერწეტა წელიო,
ტურფა სახეზე თვალ-წარბი, შავი ულვაში, წვერიო,
მოდმისთვის თავის გაწირვა, საქირნახულო დღენიო,
იარალ-ჩაკიპულობა¹, ცქეტი, მფრინავი ცხენიო,
გული ამაყი, ფოლადი, მკლავი, მტრებისა მსერელიო!
ქვეყნის ორგულთა დამსჯელო, ხარ მათი სისხლის მსმელიო!
ნეტა, რა დედამ გაგზარდა ეგეთი მშვენიერიო?
მოყვარე ღმერთმა გიცოცხლოს და გაგიწყვიტოს მტერიო!

ბ. საისტორიო ლექსები:

1 თამარ-მეფე

თამარ-მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა.
იალბუზზე ფეხი შესდგა, დიდმა მთებმა იწყეს ღრეკა.

2 ერეკლე-მეფე და ლევან-ბატონიშვილი

ხმალი სკრის ბაგრატიუნისა მეფისა ირაკლისაო.
ნეტავი გამაცნობინა, ლევანს² უქებენ, შვილსაო;
აჯობა თავის მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო;
ურჯულო გამოამტერია, როგორც ნაპირი ტყისაო.
თუ ლევან იქით მიბრუნდა, საქმე სკირს დაღისტნისაო!

3 გლოვა ერეკლე-მეფისა მთიულთაგან

აღსდგე, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს: მტერთა ისმიან ხმანია!
გრძლად ძილსა ჩვეულ როდი ხარ, მიგვიხმე უნჯნი³ ყმანია!
არ გვნახოს მტერმა ძაბუნად⁴, ვსდევნოთ ვაკვეცნეთ თმანია!
ვართ ბრძოლად მათდა მოსულნი ზოგთაგან ოთხნი ძმანია!

¹ იარალ-ჩაკიპულობა—შეკურვა, შეიარაღება. ² ლევანი უფროსი ვაჟი იყო ირაკლი მე-11-ისა. ³ უნჯი—განძი; ძვირფასი. ⁴ ძაბუნი—მხალე, მშიშარა.

გაშალე დროშა მძლეველი, წვერმახვი, მტერთა ზარია:
მოყმეთა ნახონ ფრიალნი¹, მუნ² მოსქდეს მთა და ბარია,
ქუხდეს მაჟარი³, შაშხანა⁴, ვით ზეცით მეხის გვარია;
განვჟვანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ სასმელი მწარია.

განიფროთხე ძილი, ზე აღსდგე, შთაიცივ წვრილთვალა რკინისა⁵,
აღილე ხელთა მაჟარი, მტერთა განმზნევი ტვინისა!
წინ მივალთ შენი მექურნი⁶, ვითა მეგონნი ღბინისა:
შევსვამთ სისხლსაცა მტერთასა უტებეს კახეთის ღვინისა!

მტერს წინ წარვიქცევთ დიაცებრ⁷, უკან იხედდეს ველარა...
ყოვლთვის ყოფილა ეს ესრეთ, ვინ შენზედ დაიკვება რა?
წარვუღებთ სრულად საუნჯეთ⁸, მთად ვგზავნით, დიაცთ ეხარა...
არ განიღვიძებ, ბატონო? მოყმეთა რამცა გვეხარა!

აღვიღოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, ვასმინოთ ჩაჩქანთ⁹ ჩხერანი¹⁰;
დავსხდეთ, დავიწყოთ ღრეობა¹¹: უყვარდის ჩვენნი მღერანი¹²!
ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა, კაზმული ტურფად მერანი¹³.
არ განიღვიძებს?! მოსრულ არს ბედისა ჩვენის წერანი!

მეფე ერეკლე სცოცხლებდინ აწცა და უკუნისამდე,
მტერთა თავმტეხი მეხისა, მოყმეთა¹⁴ მცველი აქამდე!
აწ სძინავს ბრძოლით მაშერალსა¹⁵ და განიღვიძებს დილამდე;
თუ სადმე წარვალს, წარგვიყვანს, არა დ¹⁶—გაგვიშვებს შინამდე.

გათენდა დილა, ბატონო! დრო არის მტერთა დასხმისა,
აღკაზმვა ცხენთა და ჯოროთა და მათი აღვირ-ასხმისა,
კვეთა თავ-მკლავთა მტერთასა და სისხლის ველად დასხმისა!..
უბრძანე ბუკთა¹⁷ ტარციალი¹⁸ ბანაკით ჯართა განსხმისა!..

მზეცა აღმოხდა¹⁹ ქვეყანად, ჩვენთვის კი მაინც ბნელია;
თუ შენ არ განახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წასვლა ძნელია:
არ ჩვენ ვცრემლეობთ²⁰ მარტონი, სტირს შენთვის მთა და ველია!
დავლეწნეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, რადლა გვეყრების ხელია?!

¹ იგულისხმება დროშების ფრიალი. ² მუნ—იქ. ³ მაჟარი—შაშხანა, თოფია ერთგვარად. ⁴ „წვრილთვალა რკინისა“—ჯაპეის პერანგი. ⁵ მექური—მცველი, მფარველი, (საქურე-საფარი). ⁶ დიაცი—დედაკაცი, ქალი; დიაცებრ—დედაკაცურებ, ქალურებ, ქალსავით. ⁷ სასაუნჯე—საგანძობი; განძი, სიმდიდრე. ⁸ ჩაჩქანი—მატარა მუზარადი, რკინის ჩაბალახი. ⁹ ჩხერა—ჩხარა-ჩხური. ¹⁰ ღრეობა—მოქვიფეთა ხმაურობა. ¹¹ მღერა—თამაში, გართობა. ¹² მერანი—ცხენი. ¹³ მოყმე—ყმა, ქვეშევრდომი. ¹⁴ მაშერალი—დადლილი. ¹⁵ „არა დ“—არა და. ¹⁶ ბუკი—საყვირი. ¹⁷ ტარციალი—ბუკის ერთგვარი ხმა. ¹⁸ აღმოხდა—ამოსვლა. ¹⁹ ცრემლსა ეღვრით, ვტირით.

ვიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით¹:
მიპრულებია² ნეტარსა, წარსულარს ღვთისა წოდებით³.

შევბღაველოთ ცრემლთა ფრქვევითა⁴, თუმცა ისმინოს, გოდებით⁵!
აწ წარხდა ჩენი ცხოვრება, გულითაც დავიკოდებით⁶!

რალადმე გვკვიდავ⁷ ფარ-ხმალნი? უმისოდ⁸ ცუდი ბარგია!
დამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწამ შესჰამნეს, კარგია!..

იგი არა გვეყავს საქერეტლად⁹, სხვა ვილა ვსძებნოთ ვარგია¹⁰?
ჰოჲ, წარხდი, ჩენო ნუგეშო! დიდებავ, დაგვეკარგია!

წარვიდეთ პირთა ხოკითა¹¹, სახლთა მიეუთხრათ გლოვანი;
ვაგლოვნეთ მთანი და კლდენი, დავობლდით ჩაღმა-წოვანი¹².

ჩვენთანა ფშავნი, ხევსურნი, ყრმანი, ქაბუკნი, მხცოვანი¹³!

ნუ შეგშვრინ ცრემლნი თვალთაგან და გულთა მისი ხსოვანი!

დაშინენ¹⁴ მას ძენი, ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ მკობასა:

გმირნი მამაცად აღზრდილნი ჰყოფენ კეთილსა ძმობასა,

შტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანახმობასა!..

აწლა გამოვსცნათ, მო, ძმანო, ვინცა იქმს ერეკლობასა!

¹ ლოდი—ქვა. ² რული—ძილი; მიპრულებია—ჩასძინებია. ³ მიწოდებით. ⁴ ფრქვევა—
ზნევა. ლერა. ⁵ გოდება—მოთქმით ტირილი, რომელიც მთებში და დასავლეთ საქართველოში
აბლაც დარჩენილია. ⁶ დაკოდვა—დაქრა. ⁷ გვიკიდა. ⁸ უმისოდ, ე. ი. უერეკლეოდ. ⁹ საქერ-
ლად. ¹⁰ ვარგი—განოსადეგი. ¹¹ ხოკა, ხოკვა—დაკაწერა, დაფხაქნა. ¹² წოვა—თუშების ნა-
წილია. ¹³ მხცოვანი—მოხუცი. ¹⁴ დარჩენ.

II

ანდაზები და გამოცანები

1. ზამოცანები:

1

მართი სტუმარი მეწვია მისდღეში უსტუმრებელი;
ორი ულუფა მივართვი სუფრაზე დაუდებელი¹.

2

შსულო რამე ორსული, სულიერისა მშობელი,
შვილსა შობს, დედა მოკედება, ვინ არის გამომცნობელი?²

3

ჭორქოლამ დაიქორქოლა, გარს შემოისხა შვილები:
არც იყო მისი შვილები, არც მისი შვილი-შვილები³.

4

სქრის და არ აკაკუნებს⁴.

5

მართი წევს და არა დგება, მეორე ჰამს და არ ძღება, მესამე
მიდის, არ დგება⁵.

6

თავი ქვისა, ტანი ხისა, ფოთოლსა სკამს, ნაცარს ჰყრისა⁶.

¹ ბეწვი და ძუძუები. ² კვერცი და წიწილა. ³ ყვერული და წიწილები. ⁴ ცეცხლი.
⁵ კერა, ცეცხლი და კიამლი. ⁶ ყალიონი.

7

მამა დაჯღარკული, დედა--ლამაზი, 'შვილი - გადარეული¹.

8

მეთრად დავიბადე, წითლად ავიზარდე, შავათ დავბერდი².

9

შეიქნა ხმა და ძახილი, მრავალი წაიქცევისა,
უწყალოდ ჰყრია დაქრილი, სისხლი არ დაიღვრებისა³.

10

მალლიდგანა წამოვიდნენ ხაპა-ხუპით ცხენოსანნი:
სულ აქეთ-იქეთ მიჰფანტეს ქვეითი და ცხენოსანი⁴.

11

აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავიღე, მთვარით დავდგი⁵.

12

წყალში ზის—თევზი არ არის, ბალახს სძოვს—ძროხა არ არის,
ლულუნობს—მტრედი არ არის⁶.

13

მართი თხა მყავდა, ე რაო⁷: შუაზედ ება ენაო,
მისმა სიტყვა და პასუხმა ქვეყანა შეაჯერაო⁸.

14

მეთრი ხნული, შავი თესლი; თესლი მთესვარს ეუბნება⁹.

15

მოვიდა თეთრი მოზვერი¹⁰, გაავლო შავი მოზვერი¹¹.

¹ ვაზი, ყურძენი და ღვინო. ² მყავალი. ³ პურის მკა. ⁴ სეტყვა. ⁵ ყინული. ⁶ ბაყაყი.
⁷ „ე რაო“—ეს რაო. ⁸ სასწორი. ⁹ წიგნი. ¹⁰ მოზვერი—სახარე ხბო. ¹¹ დღე და ღამე.

16

მთხით დაეწყე, ორზედ გადვედი,
ორმა მიმტყუნა—სამს ვანდე ბედი¹.

17

მრთი დედა ზრდის შეილებსა, დიდსა, პატარას, წვრილებსა;
დაზრდის და თვითონვე დასქამს, კიდევ ილესაევ კბილებსა².

18

შვიდათ შეკრული შვიდი ფიცარი,
ვერც გახსნის მეფე, ვერც მისი ჯარი³.

19

მრთსა აღვისა ხეზედა თორმეტი ტოტი ასხია;
სცვივა და სცვივა ფურცელი, ისევ იმდენი ასხია⁴.

20

თორმეტმა არწივმა, ორმოც და თორმეტმა კაქკაქმა და სამას
სამოც და ექვსმა ჩიტმა ერთი კვერცხი დასდეს⁵.

¹ ადამიანი სამ ქასაკში. ² დედა-მიწა. ³ დიდმარზვა. ⁴ წელიწადი, ⁵ ნაკიანი წელიწადი.

2. ანდაჯები და სიტყვის მასალა:

ადამიანის პირის კანი ძალიან თხელია, მაგრამ თუ ერთხელ გაიხა, კამეჩის ტყავზე უფრო გასქელდება.

აღრე ამდგომსა კურდღელსა ვერ მოეწევა მწვეარიო.

ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაიჭერსო.

ავი კაცი აღდგომასაც ავიაო.

ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.

ავი შემნახავი ქურდის ამხანავიაო.

ავი ძალი არც თვითონ სკამს, არც სხვას აქმევსო.

ათასად გვარი დაფასდა, ათათასად ზრდილობა; თუ კაცი თვითონ არ არის, რას არგებს გვარიშვილობა?!

არა გყავდეს მოახლეო¹, თავი მოიმოახლეო.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა.

ასეთი ხიდი გასდე, შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო.

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო.

აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო.

ახალს კიტრს და ახალს ამბავს ძვირად ნუ იყიდი: მალე გაიაფდება.

ახალი ცოცხი კარგად ჰვეის, ძველი მოატანს ქვიშასა.

ბალი წვერში გამწარდებაო.

ბელაური² ცხენი მათრახს არ დაიკრავსო.

ბედი ხნავს და ბედი სთესავს, ბედი მოიყვანს ყანასაო.

ბევრი გამდლის ხელში ყმაწვილი დაიჩაგრებაო.

ბუზი ბევრი ბზუისო, ფუტკართან ყველა სტყუისო.

ზადი-გამოდი, გუჯანო! ღირღიტავ³, ბანი უთხარო!

ზამხიარულდი, ბუხარო, გულჩახვეული ნუ ხარო!

ზარეულმა ქათამმა შინაური გააგდოვო.

ზაქირება მიჩვენეო, მე გაქცევას გიჩვენებო.

¹ მოახლე—მოსამსახურე. ² ბელაური—კაი გვარის, კარგი ჯიშის. ³ ღირღიტა—გუთნის მგორე პატარა გოგონა.

ღათემა კბენა არ იცოდა, კაცმა კბენა ასწავლაო.
ღელაკაცს სანამ ქმარი ჰყავს—ამირანია¹; და როცა ქმარი მო-
უკვდება—ამირანთ ამირანიაო.
ღედინაცვალიო—თვალში ნაცარიო.
ღედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
ღიდ აღმართს დიდი თავდაღმართი აქვსო.
ღიდ სიყვარულს დიდი სიძულელი მოსდევსო.
ღილას ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ
ხანი დაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი.
ღღევანდელი კვერცხი მიჩვენია ხვალინდელ ქათამსა.
მნა ტბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდებიო.
მრთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.
მრთი კაცი პურისქამაშიაც ბრალიაო.
მრთი მერცხლის ქიკიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
მს ფონი² კარგია, მაგრამ ერთს ადგილს ახრჩობსო.
მს ქათამი ჩვენსა კაკანებს და სხვაგან კვერცხსა სდებსო.
მშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშაო.
მისი გავეყარეო, ვუის შევეყარეო.
მინც მოითმენსო, ის მოიგებსო.
მინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
მინც რომ კაცია—ჩოხაც ჯაქვია³, ქუდი ნაბდისა—ჩაბალახია⁴.
მირს რქა არ გამოუვიდა, თავი პატარა ეგონა, ხბორებში
გაერია.
მირის წიხლი არ უნდა გეწყინოსო.
მირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.
მისაც შვილი არ მოჰკლამია, შვილის სიკვდილს ნუ შესჩიე-
ლებო.
ზოგი ქირი მარგებელიაო.
ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.
ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავ-
დებაო.

¹ ამირანი—ზღაპრული გმირი (იხ. ქვემოთ ზღაპრებში). ² ფონი—თხელი ადგილი მდინარეში, სადაც ფეხით გაისვლება. ³ იგულისხმება ომში ჩასაცემელი ჯაქვის პერანგი. ⁴ იგულისხმება საომარი რკინის ჩაბალახი ანუ მუზარადი.

ზღვა კოვზით დაიღვეაო.

თავმა თხარა, თხარაო, კატა გამოსთხარაო.

თავად არ იყო ძმარია, შიგ გაურიეს წყალიო.

თევზი წყალში არ დაფასდებაო.

თევზმა თევზს უთხრა: «პატარა იქით მიიწიეო»; და: «საით მი-
ვიწიო, ორივე ერთს ტაფაში ვიწვითო».

თევზმა სთქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა
მაქვს საესეო.

თეთრი კბილი და შავი გულიო.

თივაში ცეცხლი არ დაიმაღლებაო.

თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იქმებაო.

თუ მასპინძელი არ მღერის, სტუმარსაც მოეწყინებაო.

თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყარე, მტერი გაგიჩნდებაო.

თურაშაულის¹ პატრონი ტყეში დაეძებს პანტასაო².

თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე.

თხას თხა ურჩევნია ათას სულს ცხვარსაო.

იმედიანი შიმშილიც კარგიაო.

ისე მგელი არ მოკვდება, რომ თხის დასამარხი გახდეს.

ქაი მთქმელს კაი გამგონი უნდაო.

ქამბეჩის მოკიდავე ხარს რქა არ შერჩებაო.

ქარგი შეილი დედის გულის ვარდიაო.

ქატა ვერ შესწვდა ძეხვსაო: „პარასკევია დღესაო“.

ქაცია და გუნებაო.

ქაცი კაცის წამალიაო.

ქაცი ბკობდა³, ღმერთი იცინოდა.

ქაცის თვალი ხარბიაო.

ქაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს; განა
კაცი ეჩო⁴ არის, სულ თავისკენ მიითლიდეს?

ქედელს ცერკვი შეაყარე და მგელს კრავი შეაბრალოო.

ქეიცი გვარზედა ხტისო.

¹ თურაშაული—დიდი კაი გვარის წითელი ვაშლია. ² პანტა—პანტავაშლი, წერილი ტყის
ვაშლი. ³ ბკობა—რჩევა, თათბირი. ⁴ ეჩო—სადურგლო იარაღია, რომლითაც ფიცარსა
სთლიან.

ძოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებაო.

ძუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო.

ძუმ ფეხი გამოჰყო: მეც ნახირ-ნახირო¹.

ლიტრას ეუბნებოდნენ, და, კოკავ, შენ გესმოდესო!

ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო.

მადლი ჰქენი და მარილიც მოაყარეო.

მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

მამალმა სთქვა: მე კი ვიყივლებ და თუნდ გათენდეს, თუნდ არაო.

მარტი რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.

მადლარს მშვიერიც მადლარი ეგონაო.

მგელი ცხვარში გაერია, ვაი ერთის პატრონსაო.

მგელმა სთქვა: ჩემ დამპყერ ძალღს ერთი შეხედვით ვიცნობო.

მგელს მგლობა დაერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგლოო.

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვიანო.

მგორავს ქვას ხავსი არ მოეკიდებო.

მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა: სიზმარი იქნებო.

მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო.

მელამ თავისი კუდი მოწმად მოიყვანაო.

მელას, რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო.

მეტის მეტმა სიწმინდებმა საბერძნეთი დააქციაო.

მზეს ვინც ტალახს ესვრის, მზეს ვერ მიუწყევს, მასვე თავზე დაეცემაო.

მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო.

მიზეზ-მიზეზ—დოს² მარილი აკლიაო.

მიმპარავი ძალლი მყეთარზე უარესიაო.

მინდორს თვალი აქვს და კედელს ყურიო.

მკვდარი მკვდარს აეკიდა: სამარემდინ³ მიმიტანეო.

მოგება და ზარალი ამხანაგები არიანო.

მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა.

¹ ნახირი—ჯოჯი; „ნახირ-ნახირ“—ჯოჯში; „მეც ნახირ-ნახირო“—მეც ჯოჯში ეურევივარო. ² დო—ნადღებები (ე. ი. კარაქგამოკლილი) მაწონია, რომელსაც სრულიად უმარილოდ ხმარობენ სასმელად ან კიდევ დონხალად აკეთებენ. ³ სამარე—საფლავი.

მოჰკლას ხარი თივამაო.

მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს—პირს უკანაო.

მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ—ლორიაო.

მხზავანა კატა თავეს ვერ დაიჭერსო.

მძინარეს გველიც არ უკბენსო.

მწვადი ასე შესწვი, არც მწვადი დაიწვას და არც შამფურიო.

ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდაო.

ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგებდებაო.

ნუ დასცინი სხვასაო: გადაგხდება თავსაო.

ნუ დაადებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.

ნუ იქმ ავსა, ავის ნუ გეშინიან.

ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ ვამოხვალ, ნუ თრთიო.

ობლის მამა ღმერთიაო.

ობლის კვერი¹ ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა და კარგათ გამოცხვაო.

ობრი კურდღლის მღევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო.

ობხერს² ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო.

პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო.

პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო.

პურმარილის დასწავლა ქვამაც იცისო.

პურმარილი ქვაზედ დასდევ, გამოივლი—იქ დაგხედებაო.

რა ჰქნას კარგმა მონარდევმა³, თუ დუშაში⁴ არ მოუფა.

რაც აღხანაო—ის ჩაღხანაო⁵.

რაც არ მერგებაო, არც შემერგებაო.

რასაცა დასთეს, იმას მოიმკიო.

როგორცა ჰქუხს, ისე არა სწვიმს.

რომელ თითსაც მოვიჭრი, ყველა მეტკინება.

სადაც არ იყოს, ცოტაც კმარიყოსო.

სადაც ძალა შევა, სამართალი ბანიდამ⁶ ავაო.

სადაური სადა კვდება, სად უთხრიან სამარესა.

¹ კვერი—პატარა მრგვალი პური. ² ოხერი—უპატრონო. ³ მონარდე—ნარდის მოთამაშე. ⁴ შაში—ექსი; ექს-წერტილიანი სათამაშო ძვალი (ნარდში); დუშაში—ორი შაში, უდიდესი რიცხვია ნარდის თამაშში. ⁵ აღხანა—ლახანა, თავდახვეული კომბოსტო; ჩაღხანა—კარდალი პატარა ქვაბი. ⁶ ბანი—სახლის სახურავი, ერდო.

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან.

საიღამ საღაო, წმინდაო საბაო.

სამართლით მოქრილი ხელი არ მეტკინებაო.

სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო.

სანამ თორნე ცხელია, პური გამოაცხვე: განელდება—ალარ
გამოაცხოზსო.

სანამ ყმაწვილი არ იტირებს, ძუძუს არ აწოებენო.

სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავსო.

საქმეს წაახდენს რეგვენი¹, ფათერაკს² დააბრალებსო.

სიკედლი და სიკოცხლე ამხანაგები არიან.

სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო.

სიცილს ტირილი მოსდევსო.

სიცილი გადამდებიაო.

სისხლი სისხლით არ გაიბანებაო.

სოფელი ვნახე უძალლო. გამოვიარე უჯოზო.

სხვათა ქირიო—ლობეს ჩხირიო.

ტრედს მისი სიმშვილით ნისკარტი მოსკრესო.

ტყუილის მთქმელს რა სარგებლობა აქვსო? და—მართალსაც
ალარ დაუჯერებენო.

ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო.

შბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო.

შრემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდებაო.

შაფის შეშინებული დოს უბერავდაო.

შერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.

შებერვალი ბერავსო, მარტი ტყავსა ჰკერავსო, აპრილი გა-
ჩქარებულა, სახნის-საკვეთს ჰფერავსო.

შიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

შიონი გასვლის შემდეგ უნდა დალოცოო.

შიურმა იწველა, იწველა, ბოლოს ფეხი ჰკრა და დაღვარაო.

შიათამი წყალს დაღევს და ღმერთს შეხედავსო.

შიარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო.

¹ რეგვენი—სულელი, გვი. ² ფათერაკი—მოულოდნელი რამ უბედურება, უცარი განსაცდელი.

ძორა ბევრისა მღევარო, ბევრჯელ დარჩები მშვიერი!
ძრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო.

ძურღმა ერთი ცოდვა ჰქნა, დამკარგავმა ათასიო.

ღარიბის კაცის პურისქამა მადლიანიო.

ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობიაო.

ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიქსალბობდნენო.

ღმერთი უხვია, ღარიბო, გული ნუ შეგიღონდებო!

ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.

შბედი ვინ მოღალა, და—მუნჯმაო.

შვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო.

შველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლქმრობა კი ზეცაშიო.

შველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება.

შველი და პური—კეთილი გული.

შურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდნენო.

შავი გული და თეთრი კბილიო.

შეგნებულ კაცთან ომი სჯობს შეუგნებელთან ღვინსაო.

შინ შევიღები გიტროდეს, გარეთ ტაბლას¹ რა უნდაო?

შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდი.

ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო.

ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო.

ჩხუბში ისეთს სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგებაში შერგ-
ცხვესო.

ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნადო.

ცხე შეგნიდან გატყდებო.

ცდა ბედის მონახევრეო.

ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო.

ცული პატარა არის, მაგრამ დიდ ხეს წამოაქცევსო.

ცხვარი ცხვარია და, თუ გაცხარდა, ცხარიაო.

ძალა აღმართსა ხნავსო.

¹ ტაბლა—სახოგადოდ ნიშნავს მაგიდას; აქ კი ნახმარია სანოვაგის (საქმელის) მნიშვნელობით; კერძოდ „ტაბლა“ ეწოდება მიცვალებულის საფლავზე დასაქურთხებულ ყველიანს პურს, რომელსაც სასაფლაოდგან შინ აღარ მოიტანენ, არამედ მღვდელ-დიაკვნას და უცხოებს დაურიგებენ ზოლმე.

ძალი ხსენებაზედაო.

ძალსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო.

ძმა ძმისთვინაო შავ დლისთვინაო.

ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები იყვნენო.

წინა კაცი უკანა კაცის ხილიაო.

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

წყალი რომ დაგუბდება, აყოლდებაო.

წყალწაღებული ხავსს ექიდებოდაო.

წყალგაღმა წაედავე, რომ წყალგამოღმა დაგრჩესო.

შამა ქონებაზე ჰკილიაო.

შიას რომ ფეხს დაადემენ, ისიც ხმას ამოიღებსო.

შირს გაძლება უნდაო.

ხელმა ხელი დაჰბანა, ორივემ—პირიო.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

ხმა ღეთისა—ხმა ერისაო.

ჯერ ძილო, მერე სიზმაროო.

ჯოჯობეთს ერთი მუგუზალი¹ აკლდა და ისიც მიუმატესო.

ჰჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

ჰკითხე ასსა--ჰქმენ გულისა.

¹ მუგუზალი—ნაგუზალი, შემის ღერო ცეცხლმოკიდებული.

III

ზღაპრები და არაკები:

1 წიქარა

ფშავში გაგონილი

იყო ღა არა იყო რა. ღეთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა: ვაჟი დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსაველეად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვლის ხელში ჩავარდა. უდიერი¹ დედინაცვალი ჰყავდა: მუღამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში.

დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა, ქმარმა-კი არ იცოდა; ვაჟმა იცოდა და დედინაცვალსაც გულით იმიტომ უნდოდა ვაჟის მოშორება.

კაცს ერთი ხარი ჰყავდა—წიქარა. ვაჟსა და წიქარას ერთმანეთი საშინლად უყვარდათ. მუღამ დადიოდა წიქარასთან, აძოვებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა.

დედინაცვალი-კი დროს ელოდა, რომ ვაჟი თავიდან როგორმე მოეშორებინა. ერთხელ მოიავადა² თავი და დაიწყო ტყუილად კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა: რა გიშველისო? ცოლმა უთხრა: შენის შვილის გულ-ღვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო! მამა ცოტა შეწუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ, რო მეტი ღონეც არა ჰქონდა, ირჩია ცოლი შვილსა და დაკვლა დაუპირა.

¹ უდიერი—თავისნება, უჯათი, ახირებული, შეუძლებელის მდომი. ² მოიავადა—მოიავადმყოფა.

მეორე დილაზე ვაჟი ჰხედავს, რომ მამა დანებსა ჰლესავს. — „რად გონდა, მამავ, ეგ დანა, რო ლესავ?“ ჰკითხა ვაჟმა.

— წაიყვანე, შვილო, — ეტყვის მამა ვაჟს, — წიქარას წყალი დაალევიანე, უნდა დავკლათო.

წაიყვანა ვაჟმა წიქარა წყალზედ. ასმევს წყალს და ტირის, ტირის, რომ იმის ცრემლები წყალთ ეწევიან.

რა გატირებს, ჩემო მეგობარო? ჰკითხავს წიქარა: რაზედ ითხრი თვალებს, შემოგველოს შენი წიქარა თავს!

— დაკვლას გიპირებენ, დაკვლას! ეტყვის ვაჟი.

დაღონებული წიქარა ამოიდგამს ენას და ეტყვის ვაჟს: „მე-კი არა მკვლენ, შენ გიპირებენ ყელის გამოჭრასაო. წადი, წამოიდე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ც ბოთლი წყალი, შემეჯექ და წავიდეთო“.

წავა ვაჟი, მოიტანს ყველაფერს, რაც წიქარამ უთხრა, და მოვა. შეჯდება ვაჟი წიქარაზედ და გაქუსლავს.

გაიგო ვაჟის მამამ შვილის წასვლა, შეჯდა ერთს წყეულს ლორზედ და გამოუდგა. მირბის წიქარა, მიაბრენს პატარა მეგობარს, მისდევს მამაც, ლორზე მჯდომი, დალესილი დანებით; მისდევს და, ის არის, უნდა დაეწიოს.

წიქარამ უთხრა ვაჟს: „რალას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგა, გადაღვარე წყლიანი მინაო!“ გადააქცევს წყალს ვაჟი, გაჩნდება საშინელი ზღვა. ჰღელავს შავად ზღვა, გაბრაზებულთა, ტალღები სიკვდილს უქადიან ყველას, მაგრამ ლორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მისცურავს. სანამ ლორი ზღვას გადაცურდება, წიქარა და მისი მეგობარი კარგა გზას გაივლიან. ბოლოს გამოვა ლორიც. წიქარა ეტყვის ვაჟს: თავი მიიბრუნე, აბა მოდის თუ არაო?

მიიბრუნებს ვაჟი თავს; შორს ბუზივით რალაც მორბის და მოფრინავს. წიქარას ეტყვის: ბუზის ტოლად კი სჩანს რალაცაო!

— ეგ ლორია და ზედ მამაშენი ზისო, ეტყვის წიქარა და გაეშურება: წავიდეთ, მეგობარო, გავექცნეთ უსამართლობას, როდესაც იმის წინააღმდეგი ფარი არა გვაქვსო!

მირბის წიქარა და მიაქროლებს პატარა ვაჟს; მორბის ლორი

და მოაგვეღებებს ვაჟის მამა დაათორებულ დანებს... ცოტა კიდევ და ღორი დაეწევა წიქარას!!

— გადააგდე სავარცხელიო! შესძახა ვაჟს წიქარამ.

გადააგდო ვაჟმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. სკრა კბილით ღორმა, სკრა და გავიდა. წიქარა და ვაჟი კი მირბიან.

კარგა გზა აქვთ გავლილი. მოიხედავს ვაჟი: შორს ბუზივით რაღაც მოჩანს.—ღორი მოგვდევსო! ეტყვის წიქარა... ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი წიქარას დაეწევა; მაგრამ გადააგდებს ვაჟი საღესავს და აიბართება საშინელი თვალაუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. სკრის ღორი, სკრის, რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს კლდეში საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილში რო მივიდა ღორი, ჩააქრა კლდის ფხას¹ ფეხი და თავის მხედრით უფსკრულში კი ჩაინთქა... წაილო ჩემიცა და თქვენი ქირიც! ვაჟსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ.

იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ვაჟი ერთს ტრიალს მინდორზედ². იქ ერთი ალვის ხე იდგა, რომ იმის წვერი ცასა ჰხვედა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საქირო, ერთი სალხინო და უთხრა: „მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრებზედ. ვძოვ, დავირჩენ თავსა, შენ აქ იჯექ: გაგიქირდეს, დაუქარ საქირო სალამური და მე მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს, დაუქარ სალხინო სალამური, საქმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცაო“. გამოეთხოვა და წავიდა წიქარა.

ვაჟი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს. გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, საშინლად მოეწონა და გადაჰყვიტა იმისი შოვნა. მიჰყვა სალამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა, რომ ბიჭი სალხინო სალამურს უკრავს, პეპელები კი მოგროვილან იმასთან და სალამურის ხმაზედ თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით თვალეები გადმოუბრუნდა: ვაჟს დაუძახა: „ჩამოდი ძირს, სალამური მაჩვენე, რისაა გაკეთებულიო“. მაგრამ ვაჟი არ ჩავიდა: წიქარასგან ჰქონდა ნათქვამი, რომ ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეთ. ვაჟმა არ გაუგონა მეცხვარეს და არ ჩავიდა.

¹ ფხა—მოლესილი პირი ან ზურგი. ² ტრიალი მინდორი—უდაბური მინდორი.

ადგება შურიანი მეცხვარე და წავა ხემწიფესთან. ხემწიფეს მოახსენა: ამა და ამ ადგილას ერთი ვაჟი ზის ალვის ხეზედ და ისე უკრავს სალამურს, რომ იმის დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო. ხემწიფემ მაშინვე დაიბარა თავის ნაზირ-ვეზირი¹ და უთხრა: ან თქვენ უნდა მოიყვანოთ ის ვაჟი და ან უნდა კაცი იშოვოთ იმის მომყვანიო.

ნაზირ-ვეზირმა ხემწიფესთან ერთი ბებერი მიიყვანეს. ბებერმა უთხრა: „მე მოვიყვან იმ ვაჟსო“. ადგება ბებერი, წაიყვანს ერთს თხას, ერთს სადგისს წაიღებს და მივა ალვის ხის ძირში. ვაჟი ზის ალვის ხეზედ და უკრავს სალხინო სალამურს. ბებერი ალვის ხის ძირში დგა, ჰჩხვლეტავს სადგისით თხას და აჩხავლებს. ვაჟი დაინახავს, რომ ბებერი თხას აჩხავლებს, და დაუძახებს: „რასა ჰშვრები, დედილო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?“

— დაკვლა მინდა და ვერ დამიკლავს. ამდენი სიკეთე მიყავ, ჩამოდი, დამიკალიო!

ვაჟი რას მოიფიქრებდა, თუ ბებერს ლალატი ელვა გულში? ჩავიდა ძირს. ბებერმა დაათრო და დააძინა.

წაიყვანეს ხემწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში². ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავის თავი დატყვევებული და დალონდა. დაიწყო ტირილი, ინატრა თავის სალამურები, მაგრამ იმის სალამურები ალვის ხეზედ იყვნენ ოხრად დარჩენილები. ვაჟი ფანჯარასთან იჯდა და გაჰკეპროდა ცასა. ცხრაკლიტულს ყვავმა გაუარა გვერდზედ. დაინახა ვაჟმა და შესძახა: ყვავო, ყვავო! სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენის შეილების მზეს, მინდორთ რო ალვის ხე დგას, იქ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანეო!

— მე რო ლეშსა ვკამდი და შენ-კი ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას.

გააყოლა თვალი ვაჟმა და ჩამოჰყარა ცრემლები.

გაუარა ყორანმა.

— ყორანო! ყორანო! წადი შენის შეილების მზეს, ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და აქ მომიტანეო! გასძახა ვაჟმა ახლა ყორანს.

¹ ნაზირი—სასახლის ზედამედველი, მოურავი; ვეზირი—მეფის უუახლოესი მოხელე-მინისტრი. ² ცხრა-კლიტული—ისეთი ოთახი ან კოშკი, რომელსაც ზედი-ზედ ცხრა კარი აქვს გაკეთებული და ცხრავე დაკეტილია.

— მე რო წიქარას ლეში გთხოვე. და არ მომეცი, სალამურს რად მოგიტანო? ჩამოსძახა ყორანმა, გასცილდა და თავის სიშავით უფრო გააშავა ისეც შავი და მწარე ღღე პატარა ტყვისა.

გადაუარა არწივმა.

— არწივო! არწივო მხარკვერიანო! გასძახა ვაჟმა: ფრინველთ მეფე ხარ; სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუდარია. მაშ წადი და, მინდორთ ალვის ხე დგა, იქ სალამურები დამრჩა და მომიტანეო.

— მე ჩემი საქმე მაქვს: შენგან კრავი როდის მიმიღია საჩუქრად, რო მე სალამური მოგიტანო! უპასუხა არწივმა და მხრების შხლარტუნით გასცლა.

გადმოიფრინა ჩიტმა. ამასაც შესძახა ვაჟმა: ჩიტო, ჩიტო, შენის ბარტყების გაზდას, მინდორთ სალამურები დამრჩა და მომიტანე!

— შენ რომ მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი! მე ვერ მოგიტან. სხვას სთხოვეო. უთხრა ჩიტმა და გასცლა ჟივილ-ხივილით.

გააყოლა თვალები ვაჟმა და ჩამოსცივდა კრემლები.

ბოლოს მერცხალი დაინახა, ვაჟმა შესტირა: „მერცხალო, მერცხალო, გაზაფხულის მახარობელო! მინდორთ სალამურები დამრჩა და მომიტანეო“.

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები.

დაუკრა საკირო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და გაეშურა ვაჟისაკენ. გააფთრებულ¹ ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა. დაღონდა წიქარა. ისე თავის რქას არა სჩიოდა, როგორც თავის მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა.

ერთი თავი გამოძვრა და წიქარას უთხრა: „რას მომცემ, რომ რქა მოვაბაო? შენს ლეშს ხო მაქმევეო?“

— გაქმევეო, უთხრა წიქარამ. თავმა გაუმთელა რქა. ეცა წიქარა და შეღლეწა მეცხრე კარიც. შევიდა ვაჟთან, შეისვა ზურგზედ მეგობარი და გააშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ვაჟი ალვის ხეზედ და თვითონ კი ისევ მინდორში წავიდა.

¹ გააფთრება—გაშავება, გაბრაზება, გაანჩლება.

არის ვაჟი აღვის ხეზედ, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს მოაგონდება წიქარა, მოუნდება იმისი ნახვა, დაუკრავს საქირო სალამურს, დაუკრავს, მაგრამ არსად არის წიქარა! ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსად ჩანს წიქარა! დაღონდა ვაჟი, ჩამოვიდა ძირს. დაუკრა საქირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმის ცოდვით ბალახნი ტიროდენ, პეპელებიც აღარა ფრინაედენ და ცრემლებსა ჰღვრიდენ, ხეებიც აღარ ინძრეოდენ. უკრავდა სალამურს, და ცივ კლდეებსაც ცხელი ცრემლები სდიოდათ. უკრავდა სალამურს, და შავი ყორანი-კი ნალეშარით საითლაც მიეშურებოდა. წავიდა ვაჟი, ეძება წიქარა და ბოლოს მინდორში მკედარი იპოვა: შავს ყორანსა და უგვარო სვავ-ყაყირებს¹ თვალები დაეთხარათ, ყვავ-კაკაკებს გამოეხრათ. დასტირა ვაჟმა წიქარას, დასტირა ცხარედ; აღარც სალხინო და აღარც საქირო სალამური არ დაუკრავს, შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან.

კირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა!
ელასა, მელასა,
ქიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსაც და გამგონებელსაც,
ღმერთი გწყალობდეს ყველასა²!

2 მარგალიტის ცრემლი

ქართლში გაგონილი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?

იყვნენ, სცხოვრობდნენ ერთად ორნი ძმანი. ორნივე ცოლიანები იყვნენ, მაგრამ ერთს ჰყვანდა შვილები და მეორე კი უშვილო იყო. კარგა ხანს სცხოვრობდნენ ერთად უშფოთრად და ტკბილად. მაგრამ წამოეზარდნენ შვილები ამ ერთს ძმას, და აი, შედის ცოლი ქმართან და ეუბნება: „უნდა შენს ძმას გაეყარო, დაბერდა, რაღას გვარგიაო“.

¹ სვაი და ყაყირი მტაცებელი ფრინველებია. ² ესა და ზომღვენო სამი ზღაპარი ანუ-
ღებული გვაქვს თ. რაზიყაშვილის მიერ ქართლ-კახეთსა და ფშავში ჩაწერილ ზღაპართა
კრებულებიდან.

ქმარი გაუჯავრდა ცოლსა: „რას ამბობ, დედაკაცო, ღმერთს რად აწყენინებ? დაბერდნენ, ეხლა სადღა წავლენ? სანამ ახალგაზდები იყვნენ, შრომობდნენ ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის, მაშინ არ ვერეკებოდი: და ეხლა გინდა მაგათი მოშორება, როდესაც ჩვენი საცხოვრებელნი გახდნენო?“.

— „არ იქნება და არ იქნება: თუ არ გაეყრები ძმას, შე წავალ და წყალში თავს ჩაეხრჩობო“.

რალას იზამდა საწყალი კაცი? წავიდა და უთხრა ძმას. უშვილო ძმა ძლიერ დალონდა და უთხრა:— „რად უნდა გამაგლო, ძმაო, ამ სიბერე-სიკვდილის დროს? შენი ძმა ვარ, ცოდვად დაგედება; თუ იმასა ჰფიქრობ, რომ შეგიქამ რასმე, ჩემი წილი მე კი არა, მთელს ოჯახს ეყოფაო; შვილები არა მყავს, ჩემს წილს განა სამარეში წავიღებ, შენს შვილებს არ დაუგდებო?!“

— „რა ექნაო, უთხრა ძმამ, შენი რძალი მაგაზეა გადამდგარი: «თავს მოვიკლავო», ამბობს, თორემ მე, ხომ იცი, არ მესიამოვნება შენი მოშორებაო“.

რალას იზამდა უშვილო ძმა? წავიდა, უთხრა ცოლს და მეორე დღეს გაუდგნენ გზას უარარაოდ. იარეს, იარეს და მივიდნენ ერთს ტყეში. ეძებეს თავის შესაფარები, მაგრამ ვაჟიდა ორი-სამი დღე და ვერსად იპოვნეს. მესამე დღეს ერთი სახლი ნახეს; შიგ არავენ არ იყო, ღვინო და პური კი რამდენიმე წლის საქმაო იყო; ბერიკაცი თავის ცოლით შევიდა იმ სახლში, დადგა შიგ და სთქვა: „ნეტავი პატრონი დევი მოვიდეს, დაგვხოცოს და მოგვარჩინოს ტანჯვასაო“.

ვაჟიდა თევები, მაგრამ პატრონი არავენ გამოჩენილა. კაცმა და დედაკაცმა დაიწყეს ცხოვრება ახალს სახლში და ახალს ქვეყანაში. ბერიკაცი და დედაკაცი ტკბილად სცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგჯერ კი დაიწყებდნენ ჩივილს: „ვინ დაგვმარხავს, ვინ დაგვიხუქავს თვალებს, რო დავიხოცებითო?“

ვაჟიდა რამოდენიმე თვე, და ერთხელ ამ დედაკაცმა იგრძნო, რომ მუცელში ბავშმა შეითამაშა. დედაკაცი დალონდა, წავიდა ქმართან ტირილით და ქვითინით. ქმარმა რაკი დაინახა მტირალი ცოლი, ჰკითხა ტირილის მიზეზი. ცოლმა უთხრა: „შენც ხო იცი, შენთან ვარ დაბერებული, რომ მე არც შენი მოლალატე ვარ და არც ვყოფილვარ; თუ ექვს რასმეს აიღებ, ვიზედ რას იფიქრებ, ვინ

არის აქ? ან რაღა ჩემი შვილოსნობის დრო არისო? ეს მატირებს, რომ ასე უდროოდ დავორსულდიო“.

„ნუ იჯავრებო, უთხრა ქმარმა, ღმერთი როგორც გააჩენს კაცს, ისე დაარჩენსო; ალბად, ღმერთი გვაძლევს და, აბა, ჩვენ როგორ უარეყოთო!“

მართლაც, მოკლე ხანში გაუჩნდა მოხუცებულ დედაკაცს მშვენიერი ქალი. მოხუცებულებმა დაუწყეს ზრდა, მაგრამ მალე მონათელის დრო მოვიდა, და, აბა, სად იშოვნინდნენ ან მღვდელს ან ნათლიას? ღმერთმა კი, როგორც მისცა ქალი, ისე მღვდელიც და ნათლიაც გამოუგზავნა. ღმერთმა გამოგზავნა სამი ანგელოზი მტრედის ფრად ქალის მოსანათლადად. ანგელოზები დასხდნენ ბერიკაცის კარებზედ, ჩამოსხდნენ ძირს: ერთი მტრედი მღვდლად იქცა, ერთი დიაკვნად და ერთიც ნათლიად. ბერიკაცს ძლიერ გაუხარდა, რომ მღვდელ-დიაკვანი სახლში მოუვიდა, და უბრძანა მაშინვე ცოლს ყველაფრის მომზადება.

ქალი რო მონათლეს, მღვდელმა ჰკითხა ნათლიას: „შენ რას დაანათლებო?“ ნათლიამ უთხრა: „დევ, ჩემმა ნათლულმა რო იტიროს, ცრემლად მარგალიტი აფრქვიოსო“. დიაკვანმა სთქვა: „როდესაც გაიცინებს, ისეთი ვარდი და ია გადმოუვიდეს პირიდან, რომ სიკვდილად მისული გამოაბრუნოს იმათ სუნმაო“. „მამე მე ისეთს ყელზესადებს კრიალოსანს დავანათლიებ, რომ, სანამ ის ეღება ყელზედ, იცოცხლოს, და როდესაც მოიხსნას, მოკვდესო“, სთქვა მღვდელმა.

გაათავეს ეს სიტყვები ანგელოზებმა და გაჰქრნენ. დარჩნენ გაკვირებულნი და გახარებულნი მოხუცებულები.

დაუწყეს ცოლმა და ქმარმა ქალს ზრდა. ერთხელ ბავშვმა რაღაზედაც იტირა და გადმოშალა მარგალიტი. ბერიკაცმა აკრიფა, წაიღო ქალაქში და უყიდა ქალს ტანისამოსიც, საგებ-სახურაეიც და სხვა-და-სხვა ქალის მორთულობაც. ამრიგად, როდესაც იტირებდა რაზედმე ქალი, ცრემლად მარგალიტი სცივივოდა. გამდიდრდა ბერიკაცი და გაუკეთა ქალს მშვენიერი სახლი. დროც გავიდა; ქალიც გაიზარდა და მოიყარა თოთხმეტ-ხუთმეტის წლისა. ისეთი ლამაზი იყო, რომ იმის მნახველს წუთისსოფელი¹ დაავიწყდებოდა.

¹ წუთისოფელი—საქაო სიცოცხლე, ამქვეყნიური ცხოვრება; ეს ქვეყანა, საქაო.

მთელ იმ ქვეყნის ხელმწიფის შვილი სანადიროდ წამოსულიყო იმ ტყეში, სადაც ბერიკაცის სახლი იყო, და წამოეყვანა თან ნაზირ-ვეზირიც.

მთელი დღე ინადირებს ხემწიფის შვილი, ვერაფერს მოჰკლავს ერთის ხოხობის² მეტს; ეტყვის სალამოხედ ნაზირ-ვეზირს: „თქვენ უნდა წახვიდეთ, ეს ხოხობი სადმე შემიწოთ: ამაღამ აქ უნდა დავრჩეთ; ხვალ თუ არაფერი მოვკალ, სირცხვილით ქალაქში როგორ დავბრუნდებიო“.

ნაზირმა წაიღო ხოხობი და წავიდა ბერიკაცის სახლში. ბერიკაცმა დიდის სიამოვნებით მიიღო ხემწიფის შვილის ნაზირი, გაუმასპინძლდა კარგათ და ჰკითხა: „რატომ, თუ ამხანაგები გყვანდნენ, ისინიც არ მოვიდნენო?“

ნაზირმა უთხრა: მე ხემწიფის შვილის ნაზირი ვარ და ეს ხოხობი უნდა შეუწვა ბატონის შეილსაო.

ბერიკაცს უნდოდა ხოხობის გამოართმევა და შეწვა, მაგრამ ნაზირმა უთხრა: მე თვითონ უნდა შეეწვაო.

გაახურეს ცეცხლი; ააგო შამფურზე ეს ხოხობი და დაუწყა წვა. ამ დროს ბერიკაცის ქალიც შემოვიდა. ნაზირს ზედ დარჩა თვალები. ქალი იდგა, ნაზირი იმას შესცქეროდა და ხოხობი ნახევარზედ კი დაეწო.

წამოუღო ნახევარზედ დამწვარი ხოხობი თავის ხემწიფის შეილს. ხემწიფის შეილმა ჰკითხა: „რა გიქნია, რაზედ დაგიწვას ეს ხოხობიო?“

„ბატონი შეილო, რა მექნა, ბერიკაცი მშენიერად გამიმასპინძლდა, მთხოვა: თქვენი ბატონიც აქ მობძანდესო, ხოხობსაც აქ მოუხრაკავთო, მაგრამ მე არ დავთანხმდი, მინდოდა მე თვითონ შემეწო; დავიწყე კიდევ ხრაკვა, მაგრამ, იმ ბერიკაცს ერთი ქალი ჰყოლია, გამოვიდა ის, და მეც ვეღარ მოვაშორე თვალი, და აი ხოხობიც დამეწვაო“.

ხემწიფის შვილი ნაზირ-ვეზირით წავიდა ბერიკაცთან. ბერიკაცი ძლიერ გულგახსნით დახვდა ხემწიფის შვილს და, რაც რამ ჰქონდა, ყველაფერი წინ მიართვა.

¹ ხოხობი—გარეული ფრინველია.

როდესაც ვახშამზედ სხდებოდნენ, ბერიკაცმა წყალი ჩამოატარა სტუმრების ხელების დასაბანად; როდესაც ხემწიფის შვილთან მიიტანა, იმან უარი უთხრა: „უფროსს კაცს ხელებს როგორ დავაბანიებ? უმცროსი ვინმე გეყოლებათ, იმან დაგვაბანიოს ხელებით“.

ხემწიფის შვილს უნდოდა, რომ ბერიკაცის ქალს დაებანინა ხელები. წყალი ახლა ბერიკაცის ცოლმა ჩამოატარა, მაგრამ არც იმას დაასხმინა წყალი ხემწიფის შვილმა. ბოლოს ქალს დაუძახეს. გამოვიდა ქალი ლიტრით, და ხემწიფის შვილსაც, იმის მნახველს, გული წაუვიდა. ქალს ხემწიფის შვილის ამგვარს საქციელზედ გაეცინა, და ია და ვარდი გადმოუვიდა პირიდან. ამ ვარდით და იით მოაბრუნეს ხემწიფის შვილი, და დასხდნენ ვახშამზედ.

ვახშმის შემდეგ ხემწიფის შვილმა ქალი სთხოვა ბერიკაცს ცოლად. ბერიკაცმა მოახსენა: „ბატონიშვილო, ჩვენ თქვენი ღირსნი არა ვართ, და, თუ კი გვიკადრებთ და ჩემს ქალს ცოლად შეირთავთ, თქვენზე უკეთესს ვის კიბოვიო“. გახარებული ხემწიფის შვილი იმ ღამესვე დაინიშნა ქალზედ და მეორე დღეს გასწია დედამისის სახარებლად ქალაქში.

დედ-მამამაც არაფერი უთხრეს: — „თუ შენ მოგეწონა, შვილო, არც არაფერი მეტი ჩვენ გვინდაო“.

ხემწიფის შვილს ერთი ავი გამზრდელიც ჰყავდა: იმ გამზრდელს ერთი ნაბუშარი¹ ქალი ჰყავდა და უნდოდა როგორმე შეერთო ცოლად ხემწიფის შვილისათვის. საცოლის მოსაყვანად ხემწიფის შვილმა ის გამზრდელი გაგზავნა და გააყოლა თან ნაზირ-ვეზირი. გამზრდელმა ეტლში დამალა თავისი ყორანივით შავი ქალი და გასწია ხემწიფის შვილის საცოლესთან.

მივიდნენ ბერიკაცის სახლში, წამოიყვანეს ქალი და წამოვიდნენ. გზაზე ორი ლიტრა წყალი ჩაიდგა გამზრდელმა ეტლში ჩუმათ; აქამა ქალს ისეთი საქმელი, რომ წყურვილით დაიწყო ქალმა კვდომა. შეევედრა გამზრდელს: „წყალი დამალევინეო“, მაგრამ გამზრდელი გაუჯავრდა: „აქ წყალს რა უნდა? ერთს ყრუვ ტყეში ვართო“.

„რაც გინდა, გამომართვი და წყალი კი დამალევინეო“, სთხოვა კიდევ ქალმა ძიძას.

¹ ნაბუშარი—ნაბუკვარი, ბუში; ან ისეთი ქალი, რომელსაც ბუშიჰყოლია.

„თუ ერთს თვალს გამოითხრი და მომცემო, უთხრა გამზრდელმა ხემწიფის შვილის საცოლეს, გასმევ წყალსაო“.

„გამომთხარეო, უთხრა ქალმა, ოღონდ წყალი კი დამალე-ვინეო“.

მისცა ერთი სურა წყალი გამზრდელმა და სამაგიეროდ გამოსთხარა ერთი თვალი და შეინახა. ქალმა მთელი სურა დასცალა, მაგრამ მალე ისევ მოსწყურდა. ქალმა კიდევ სთხოვა წყალი. გამზრდელმა გამოსთხარა მეორე თვალიც და მისცა მეორე სურაც.

გამზრდელმა უბრძანა ნაზირ-ვეზირს: წინ წადით, ქალი უნდა დავასვენოთო.

ნაზირ-ვეზირი წავიდნენ. ჩამოვიდა გამზრდელი, გადმოათრია ბრმა ქალიც, გაჰხადა ის ტანისამოსი, მიიყვანა ერთს ხესთან და დაპტოვა იქ. იმისი ტანისამოსი ჩააცვა თავის ქალს, მოისვა გვერდზედ და მიიყვანა სასახლეში.

ხემწიფის შვილს ქორწილი გაემართა საცოლის მოლოდინში, დაეპატიჟა სტუმრები, მაგრამ აი, მოუყვანეს ერთი ვიღაც საძაგელი გომბიო. ბერიკაცის ქალის მნახველს აბა რას მოეწონებოდა ვიღაც ყორანივით შავი ქალი? მაშინვე უბრძანა გამზრდელს: „რა უყავ ჩემი საცოლე, ეს ის არ არის, სად დაპლუპეო?“

„დიდებულო ბატონო,—უთხრა გამზრდელმა: ეს ქალი გახლავსო თქვენი ქალი, დედ-მამის გამოთხოვების დროს ბევრი იტირა და ფერი შეეცვალაო“.

ხემწიფის შვილი მაინც ეერ დააჯერა და ვერ მიაკარეს გამზრდელის ქალს ახლოს. ცოლი ცალკე ცხოვრობდა და ქმარი ცალკე.

ესლა იმ ბრმა ქალს დაუბრუნდეთ, თვალედათხრილი რო დაპტოვა ხესთან ხემწიფის შვილის გამზრდელმა. უშტრად¹ დარჩენილი და სინათლეს მოკლებული ქალი იღვა ხესთან და ტიროდა. ჩამოდიოდა კრემლი, იყინებოდა მარგალიტად, და ქალი იმალებოდა მარგალიტში. ბოლოს მარგალიტი მკერდამდე მიაღვა და დაუმალა ერთიან წელს ქვეითა.

¹ უშტრად—მარტოდ-მარტო, უპატრონოდ.

III

იმ ტყის ახლოს, სადაც ქალი დაპტოვა გამზრდელმა, ერთი ქალაქი იყო. იმ ქალაქში ერთი საწყალი ბერიკაცი ცხოვრობდა. ბერიკაცს ერთი ვირი ჰყავდა. დილით წავიდოდა ბერიკაცი ტყეში, აპკიდებდა ფიჩხს ვირსა, მოიტანდა ქალაქში, გაპყიდდა და ფულს გლახებს დაურიგებდა; წავიდოდა შუადღის დროს, მოპკრეფდა ფიჩხს, აპკიდებდა ვირს, გაპყიდდა ქალაქში და ფულს საყდარში შეიტანდა და შესწირავდა; საღამოზედ წავიდოდა, მოიტანდა, გაპყიდდა და იმაში აღებული ფულით თვითონაც და იმის ცოლიც ირჩენდნენ თავს.

ერთხელ ბერიკაცი ტყეში იყო. ვირი გაეშო დაუბმელად. და თვითონ შეშასა სჭრდა. როდესაც ფიჩხი მოამზადა ასაკიდებლად, ნახა, რომ ვირი არსად იყო. ბერიკაცმა ძებნა დაუწყო ვირს და ერთს ადგილს ნახა, რომ ვირი მისულა ერთს ხესთან, დამდგარა და შესტკერის ნახევრამდისინ მარგალიტში ჩაფლულს ქალს. ბერიკაცი გაუჯავრდა ვირს გასარეკად. ქალმა გაიგონა კაცის ხმა და სთხოვა: „ძმა ხარ, თუ მამა, მიშველე რამ, გარს კლდე მაქვს შემოვლებული, შემომამტვრიე“.

ბერიკაცი მივიდა ქალთან, მოაშორა მარგალიტის ყინული და წაიყვანა სახლში. წაიღო მარგალიტიც. ბერიკაცი საშინლად გამდიდრდა. ქალს ჩააცვა მშვენიერად და მისცა ცალკე ოთახი.

ერთხელ ქალის ახლო კრუხმა ჩაუნისკარტა რაზედღაც წიწილას. წიწილამ წიწინი დაიწყო; მამალი მოვარდა უცებ და დაუწყო კრუხს ჩხუბი: „რადა სცემ ჩემ შვილსაო“. ქალმა გაიგონა ეს ლაპარაკი ქათმებისა და გაეცინა. პირიდან ია-ვარდი გადმოუვიდა და დადგა ოთახში მშვენიერი სუნი. ბერიკაცი რო შევიდა ოთახში, ძლიერ გაუკვირდა: „ამისთანა ია და ვარდი საიდან მოვიდაო?“ ქალმა უთხრა ბერიკაცს: „წაიღე, მამაე, ეს ია-ვარდი ხემწიფის ქალაქში, დაატარე გასასყიდად; თუ ვინმე შეგვევაქროს, ნუ მიპყიდი, რაც უნდა ბერი ფული მოგცენ. ხემწიფის გამზრდელს აქვს ჩემი თვალები, და, თუ შეგხვდა, ის იყიდის ამ ია-ვარდს თავის ქალისთვის; უთხარ, რომ თვალზედა ვყიდიტქო, ის მოგცემს ერთს თვალს და მომიტანეო“.

ბერიკაცმა წაიღო ეს ია-ვარდი ქალაქში, მაგრამ არავის მიპ-

ყიდა, თუმცა ბევრი ვაჰარი გამოუჩნდა. ბოლოს შეჰხვდა ხემწიფის შვილის გამზრდელი და ჰკითხა: „რაზედ ჰყიდი, ან როგორ ჰყიდი მაგ ია-ვარდს, ბერიკაცოვო?“ გამზრდელს ია-ვარდი თავის ქალის-თვის უნდოდა, რომ ხემწიფის შვილისთვის ეთქვა: „აი ჩემს ქალს პირიდგან რა ვარდი და ია გადმოუვიდაო“.

ბერიკაცმა უთხრა: „კაცის თვალზე ვყიდიო“. გამზრდელმა მისცა ქალის ერთი თვალი და გამოართვა. მაგრამ ხემწიფის შვილი მაინც არ მიჰკარებია იმის ქალს.

ბერიკაცმა წაიღო ეს თვალი და მიუტანა თავის ნაშვილებს. ქალმა ჩაისვა თვალი, გაღვსა მარგალიტი და ია-ვარდი და გადისხა ზედ; თვალი გაუმთელდა და გუუსაღდა ისე, როგორც წინათ ჰქონდა. ერთი თვალი აახილა ქალმა, მაგრამ მეორით ისევ ბრმა იყო. ეხლა როგორმე მეორე თვალი უნდა ეშოვა. ქალმა მოიმზადა კუბო, ჩაწვა შიგ, და ბერიკაცს კი უთხრა: „ეს მძივი, რომ მიძევს ყელზედ, შემხსენ, წაიღე და მეორე თვალი იყიდე; მე მოგვკვდები, წამიღე ამ კუბოთი და, სადაც მიპოვნე, იქ დამდგო“.

ბერიკაცმა იყიდა მეორე თვალიც ხემწიფის შვილის გამზრდელისაგან, მოიტანა, გაუკეთა ქალს, მიმკვდარებულს, და ტირილითა და ვიშით წაიღო იქ, სადაც პირველად იპოვნა. ქალი ხემწიფის შვილისაგან ორსულად იყო და კუბოში გაუჩნდა მკვდარს ვაჟი. ვაჟი მკერდზე აჯდა დედას და ისე სწოვდა ძუძუს.

IV

ხემწიფის შვილი გლოვობდა თავის საცოლეს და არ ეკარებოდა გამზრდლის ქალს. ერთს დღეს ხემწიფის შვილი სანადიროდ წავიდა, რომ გართობილიყო. გაიარა ტყე, და ერთგან მშველი წამოხტა; ხემწიფის შვილმა ესროლა ისარი, ვერ დაჰკრა; მშველი გაიქცა; დაედევნა ხემწიფის შვილიც. ირბინა მშველმა, ირბინა ხემწიფის შვილმა; გადახტა კუბოზედ მშველი და გაქრა. მივიდა ხემწიფის შვილი კუბოსთან, ჩაიხედა შიგ და თავის საცოლე კი დაინახა, ქალი ისე იწვა, თითქოს სძინავსო. ვაჟი გადაეხვია თავის მკვდარს ცოლს და დაუწყო კოცნა და აფრქვია მრავალი ცრემლი. ბევრი ცრემლი ღვარა, მაგრამ ცრემლით რას უშველიდა?

რაკი ტირილით გული მოიჯერა, ვაჟმა დააგლო თავის შვილს

ხელი და წაიყვანა სახლში. გამზრდლის ქალმა შეიყვანა თავისთან ეს პატარა ბავშვი, უნდოდა ხემწიფის შვილის გული მოეგო. და დაუწყო თამაშობა; რაკი აიყვანა ხელში, ვაჟი სწვდა იმის ყელზედ ჩამოკიდებულს მძივს ხელებით, მოებლაუჟა და დაიწყო ტირილი. ვაჟი უნდოდათ მოეშორებინათ, მაგრამ ის არ უშვებდა ხელს. ხემწიფის შვილმა უბრძანა გამდლის ქალს: „მიეც; ნუ ატირებ მაგ ბავშს, რასაც გთხოვსო“. ქალმა მოიხსნა კრიალოსანი და მისცა ბავშვს. ბავშვმა დედისკენ დაიწყო წევა და ტირილი. ხემწიფის შვილმა შემოისვა ბავში ცხენზედ და გაჰქუსლა კუბოსკენ.

ბავშვმა, რაკი დაინახა დედის კუბო, დაიწყო ღიმილი და ხელების ქნევა. ხემწიფის შვილმა დასვა ბავში დედასთან და დაუწყო ცქერა: ვნახოთ, რას იზამსო. ვაჟი შეაფოფხდა მკედარს დედას და ეს კრიალოსანი კისერზედ კი გადაუგდო. შეეხო თუ არა კრიალოსანი, ქალმა მაშინვე გაახილა თვალები და წამოდგა. განხარებულმა ხემწიფის შვილმა აღარ იცოდა, რა ექნა. შემოისვა ცხენზედ ცოლიც, შვილიც და გასწია სახლში.

„აი ჩემი ცოლიო!“ დაიძახა ვაჟმა, როგორც კი შევიდა სასახლეში. გამოეგება ხემწიფე, დედოფალი და სიხარულით გადაჰკოცნეს თავისი რძალი. შევიდა ქალი სასახლეში, მოაგონდა თავის წარსული და კრემლებმა დაუწყეს თვალებიღვან შლა; იატაკზედ გაიშალა აუარებელი მარგალიტი. ნახა ქალმა გამზრდლის ქალი, გაეცინა იმის საძაგლობაზედ და გადმოუვიდა პირიდან ია და ვარდი. გამზრდელი და იმისი ქალი ცხენის კუდებით ათრიეს, და ხემწიფის შვილმა თავის წინანდელი საცოლვე შეირთო ცოლად.

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა.
თქვენ აქ დატკბით სიცოცხლითა,
ისინი იქ ცხონებითა!

3 მზის ქალი

კახეთში გაგონილი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო სამი ძმაკაცი. მოხნეს. სამი დღის მიწა და დათესეს: ერთმა იქით,

ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზედ. მოვიდა მშვენიერი ჯეჯილი; აღელ-
და ყანა ზღვასებრ. აღელდა პატრონის გულიც სიხარულით, იმ ყა-
ნის მნახველი.

მაგრამ, დახე უბედურებას! ერთ მშვენიერ დღეს მოიქურუმა¹
ცამ პირი, დაუშო სეტყვა და შუალა² ყანა სუ მიწაში ჩაიტანა. ის
ორი ნაპირისა კი გადარჩა. მოვიდა პატრონი, დაჰხედა ყანას და
ჩაჰწყდა გული; მიინც აღარათფერი სთქვა, აიღო ნამგალი, გადიღო
მხარზედ და გაუდგა გზას ბედის საძებნელად.

იარა, იარა და ერთ მდიდარ კაცთან მივიდა; ასი დღის ყანა³
ედგა იმ მდიდარ კაცს. მივიდა და უთხრა: „რას მომცემ, რო ეგ
ასი დღის ყანა ერთ დღეს მოგიმკოვო?“

— „შუაზე გაგიყოფო“; უპასუხა მდიდარმა კაცმა.

წავიდა ჩვენი ნაცნობი ვაჟი და დაუწყო ულოს⁴ გრეხა. შუა-
დღემდის ულო გრიხა, მერე მოუღო ნამგალი და გაუსო. ის იყო,
ერთი ძნა-ლა ჰქონდა შესაკრავი, რო ჩავიდა მზეც. მოუხადა ვაჟმა
ქული მხეს, შეევედრა: „ნუ ჩახვალ ჯერ, ცოტა მოიცადეო“, მაგ-
რამ მზემ აღარ მოიცადა. შეკრა ის ძნაც, და მოვიდა ყანის პატ-
რონიც; ძალიან გაუკვირდა ასეთი იმისი მკა და უთხრა: „გავიყოთ
შუაზედ ეხლა, როგორც პირობა გვაქვსო“. მაგრამ მომკალმა არ
უსმინა, გადუგლო ნამგალი და უთხრა: „მიინც ბედი არ მაძლევს
და არ მაძლევს. პირობა ვერ შევასრულე დროზედ. შენ შენთვის
და მე ჩემთვისო“. წავიდა, წავიდა...

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ხემწიფესთან და-
უდგა მეცხვარედ ოთხი წლის ვადით, იმ პირობით, რომ არც მგელს
რამე შეეკამა იმ ოთხ წელში, არც ჰირს მოეკლა, ერთი სიტყვით,
ბეწვი არ უნდა დაჰკლებიყო; ბოლოს შუაზედ გაიყოფდნენ: ნახე-
ვარს ერთი წაასხამდა⁵, ნახევარს მეორე; თუ დააკლდებოდა რამე, მე-
ცხვარე ცარიელი უნდა წასულიყო. დადგა ვაჟი მეცხვარეთ. გავი-
და ოთხი წელი, ერთი თიკნის ყური არ დაჰკლებია; ისე ააშენა
ცხვარი, რომ მიწას უმძიმდებოდა. ის იყო, ბაკში⁶ ერეკებოდა მე-
ცხვარე ცხვარს გასაყოფად, რომ უცებ ერთი მგელი გამოიქცა,

¹ მოქურუშება—მოღვრემა, მოღრუბლეა. ² შუალა—შუანა, შუაში მყოფი. ³ „ასი
დღის ყანა“—ასი დღის სამუშაო, ასი დღის სამკალი. ⁴ ულო—მნის შესაკრავი გრძელი ჩა-
ლა. ⁵ წაასხმა—წყაყანა ბევრის რისამე. ⁶ ბაკი—ნაზირთ სადგომი შემოღობილი ადგილი.

ერა ერთ ცხვარს, მოიტაცა და გააქანა ტყისაკე. ხემწიფე მაინც შუაზედ უყოფდა ცხვარს, მაგრამ მეცხვარემ გაღუგლო კაეი და წა-ვიდა თავის გზაზედ.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ მდინარესთან, და-ჯდა და დაისვენა. გაიხედა და დაინახა, რომ სამი მზის ქალი ჩა-მოსულან და ებანებინან წყალში; ისეთი მშვენიერებია, რომ კაცის თვალი იმათზე კარგს ველარასა ჰნახავს. ადგება ეს კაცი, მიეპარება ამ ქალებს, მოიპარავს ერთს და გამოიქცევა. ირბენს ბევრს, ირბენს, გაიყვანს ქალს ერთ ტრიალ მინდორზედ, გაუკეთებს ქოხს და და-დგებიან იქ. მაგრამ არათფერი კი არ ებადებათ. ქმარი აღარც სამუ-შაოდ წავიდა: „სადაც ვიყავ, რასაც ხელი მოვკიდე, კი არ იყო ჩემი ბედი და ეხლა სადღა უნდა წავიდეო“.

ქალს ერთი ნატერის ბეკედი ჰქონდა. მისცა ის ბეკედი ქმარს და უთხრა: „ჩემი ქრთამი და მზითევი ეს არის, ამის მეტი მე არა-ფერი მბაღია და არც შენაო. მიწაზედ დაჰდებ, სუფრა გაიშლება, სუფრაზედ დაჰდებ სასმელ-საქმელი ჩამორიგდებაო. ჩამოიტან ქვე-ვით, ქურქელი დარიგდება, აიტან და ჩამორიგდებაო“.

ღიახ გაიხარა ქმარმა. უსაზომო შეგებას მიეცა. ხემწიფის დაპა-ტიება ჩაიდვა გულში. ცოლმა უშალა: „შენს ქერქში იყავ, მიუ-წედომელს ნუ ეწვდები. ხემწიფის სტუმრობა ადვილი ნუ გგონიაო. აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო. ეგ ერთი ბეკედი გვიგღია, და გაკვირებით გინდა ეგეც თავიდან მოიშოროვო?“

— „არ იქნება და არ იქნებაო“, გაუნთქა¹ ქმარმა: „უნდა დავ-პატიყოთ და ჩვენი გლეხური ცხოვრება ვაჩვენოთო. ნახონ, რომ ჩვენც შეგვიძლიან ხემწიფეს გაუმასპინძლდეთო“.

ადგება მეორე დღეს ეს კაცი და გაჰწევს ხემწიფესთან დასა-პატაეებლად, მიართმევს საჩუქარს და ჰთხოვს: „გაგვაბედნიერეთ და მობრძანდით ჩვენსა სადილადაო“.

ხემწიფეს გაეცინა: „შენ რა ხარ, შენი სადილი რა უნდა იყ-ვესო“. მაინც უთხრა, რომ მე კი ვერ წამოვალ და ნაზირ-ვეზირს გამოგაყოლებო.

ხემწიფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უბრძანა: „წადით, ნახეთ,

¹ გაუნთქა—დაუთინა.

ეს კაცი რო მეპატიეება, რაზედ მეპატიეება, აქეს რამე თუ აბუჩად მიგდენსო“.

გაუძღვება კაცი და გაჰყვებიან ნაზირ-ვეზირიც ჯარით. გზაზედ რო მიდიან, ჯარსაც და ნაზირ-ვეზირსაც პური მოჰშივდათ. მოკლეს ერთი ხოხობი, მისცეს ბიჰს და გაგზავნეს შესაწველად ქოხში.

სწვავს ხოხობს ბიჰი, თვალი მზის ქალზედა აქეს. ისე მოხიბლა ქალმა, რომ სრულებით დაავიწყდა თუ ხოხობსა ჰწვავდა. ნახევარი ხოხობი სულ ჩაებუგა. წამოულო ნაზირ-ვეზირს დამწვარი ხოხობი. ჰკითხვენ მიზეზს: „რად დაჰწვი ხოხობიო?“

— ღმერთმანი, ესე, ესე: ერთი ქალი იყო ამ კაცის ქოხში, ისე მომტაცა გონება, რომ ველარაფერი გავიგეო.

ნაზირ-ვეზირმა დააჩქარეს ჯარი, შესხდნენ და გაჰწიეს იმ ქოხისაკე, ქალის ნახვა მოუხდათ. მივიდნენ შორი-ახლოს და ჩამოხტნენ. ჩამოურიგა მზის სიძემ ბეჰედი ცხენებს; და სათითაოდ თივა დაედო და ქერიანი თოფრები ჩამოეკიდა. აატარა მერე და ცარიელი თოფრები ჩამოჰხსნა. დადვა ბეჰედი და გაეშალა სუფრა ჯარს. მოვიდა და მოვიდა საქმელი და სასმელი, სულ ახალი და ახალი. ნაზირ-ვეზირი გაკვირვებულეები იყვნენ: სახლი კი არსად უდგა, არაფერი უჩანს და ეს რა ამბავიაო. ნახეს ახლა იმის ცოლი და სულ ჰკუაზედ შეიშალნენ. გაუმასპინძლდა მშვენიერად მზის სიძე და გააკვირვა ნაზირ-ვეზირი.

მოვიდნენ ხემწიფესთან ნაზირ-ვეზირი.

— „როგორ გაგიმასპინძლდათ ის ჩემი ყმაო?“ ჰკითხა ხემწიფემ.

ნაზირ-ვეზირმა ძალიან უქქეს: „სულ უცეცხლო საქმელები გავიკეთაო; მაგრამ იმას რომ ცოლი ჰყავს, იმისთანა კი აღარაფერი იქნებაო. ის იმას კი არ უნდა ჰყავდეს, ხემწიფეს ეკადრებაო. იმას ცოლი წაართვით და თქვენზე ბედნიერი აღარავინ იქნებაო“.

— „როგორ წავართვაო?“ ჰკითხა ხემწიფემ: „უმიზეზოდ ცოცხალი არ დამანებებსო“.

ნაზირ-ვეზირმა ურჩიეს: „დაიბარე ის კაცი და შეუკვეთე: მზეს რო ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანეთქო. ის იქ წავა, იქიდან ველარ მოვა, და ცოლი შენ დაგრჩებაო“.

მაშინვე დაიბარა ხემწიფემ მზის სიძე და უთხრა: „უნდა წახვიდე და, მზეს რო ოკროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანოვო“.

დაბრუნდა შინ მზის სიძე, შეჰჩივლა ცოლს: „ხემწიფე მზესთანა მგზავნის, ოკროს ერკემალი უნდა მოვუყვანო“.

— „ეხლა რალა ეშველებაო,—უთხრა ცოლმა,—ეგ წინათვე უნდა გეფიქრა, ეხლა ჯაერობით ველარაფერს გააწყობ, ისევე ისა სჯობია, აპდკე და შეუდგე გზასაო“. მიჰცა ნიშანი და გაგზავნა.

ბევრი იარა მზის სიძემ, ბევრი ქვეყანა გაიარა, გაათავა სახმელო და სამზევოს მოება. იარა, იარა და მივიდა იქ, სადაც მზე და მთვარე იყვნენ. მზე სამგზავროს ყოფილიყო; ქვეყანაზე წასულიყო სანათობლად. მთვარემ ნახა მზის სიძე, იცნო და ძალიან გაუხარდა. დედას ახარა: ჩვენი სიძე მოვიდაო.

გამოჰკითხა სიძეს მისვლის მიზეზი. სიძემ უამბო ყველაფერი. მთვარემ უთხრა: „მზე მოვა, შენ ვერ გაუძლეხ იმის ნათელს და დაიწვებიო“; აქცია ნემსად და შეარქო ბოძში.

სალამოზედ მოვიდა მზეც. — „სულიერის სუნი მოდისო,—დაიძახა მზემ,—ვინ მოსულა ჩვენს საბრძანებელშიო?“

-- „რას ამბობო, გაუჯავრდა მთვარე, ქვეყანაზედ შენ დაჰდიხარ, შენ მოგყვებოდა სულიერის სუნიო. მართლა, შენი სიძე რო იყვეს აქ, ხომ არ დაჰწვაო“.

— არაო, უფიცა მზემ, ოღონდ თვალით კი მაჩვენეთ, როგორი კაცია ჩემი სიძეო.

აქცია მთვარემ სიძე ისევე კაცად და წამოაყენა მზის წინ. მზე მიეალერსა სიძეს და გამოჰკითხა მისვლის მიზეზი:

— „ხემწიფე შენს ქალს მეცილებო“, უთხრა სიძემ: „გაუგონია, მზეს ოკროს ვერძი ჰყავს, და გამომგზავნა იმის მოსაყვანადო“.

— ფიქრი ნურათურისა გაქვსო,—გაუმაგრა გული მზემ: წამოდი, ჩემს ბაღში დაისვენეო.

შევიდა ბაღში ვაჟი; ნახა, სადაც რამ იყო, საშინლად მოეწონა. მართლაც მშვენიერი რამ იყო: ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოჰდიოდა.

— მზემ უთხრა სიძეს: „აქ ბაღში იყავ, და სადილს მგელი და ელია მოგართმევენო“.

მოჰშივდა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყა მოლოდინი. მოვი-

და მგელი და მოუტანა სუფრა; მოვიდა ელია და მოართვა სასმელსაქმელი. მზის სიძეს ერთი კომბალი ჰქონდა; გაიკითხა¹ მგელი იქით და ჰკითხა: „მე რომ ოთხი წელიწადი ერთი თიკნის ყურიც არ დამკლებია, ისე უფლიდი ცხვარს, და ყავლის გათავების დროს შენ რომ მოხველ და მომტაცე, რადა ჰქენ ეგ საქმეო?“ წაუდო და წაუდო მგელს, იმდენი ჰცემა, რამდენიც ენება.

მერე გაიკითხა ელია და იმასაც ჰკითხა: „მე რომ სამს მამულში შუა მამული მეკირა, შენ წამოუშინე სეტყვა და სულ მიწაში ჩაატანინე ჩემი ყანა, რადა ჰქენ ისეო?“ დაუდო და დაუდო იმასაც. ჰკრა კომბალი თვალეებში და გამოაჩიჩქნა; დაჯდა მერე და შეექცა სადილს. მერე ადგა, დაურიგდა² მზის ბაღს და ამტვრია და ჰკრა ხეხილი, გაატიალა და გაავერანა ერთიან. მერე დაჯდა და დაისვენა.

წავიდნენ მგელი და ელია მზესთან საჩივლელად. მივიდა მზე სიძესთან და ნახა, რომ ბალიც ისე გაუვერანებია, რომ მტერს აეტირება.

— რათა ჰქენ მანგრეო? ჰკითხა სიძეს.

— „თქვენ რადა ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი მამული მეგდო, წამოუშინა ელიამ სეტყვა, გამოიხრა; ოთხი წელიწადი ხემწიფეს ტყუილად ვემსახურე, წილი დამაკარგვინა მგელმაო; ან მე რომ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოვმკე, შევეკონე, ერთი ძნალა მქონდა შესაკრავი, გთხოვე, მოიცადე, ნუ ჩახვალო, და შენ ყურიც არ შეიბერტყეო“.

მზემ ველარაფერი უთხრა; მიჰცა ოქროს ვერძი და გაისტუმრა მშვიდობით.

მოუტანა ოქროს ვერძი ხემწიფეს. ხემწიფეს იმედი დაეკარგა ქალის ხელში ჩაგდებისა; ნაზირ-ვეზირს ჰკითხა: „რადა მეშველებაო“?

ნაზირ-ვეზირმა ურჩია: „საიქიოს გააგზავნე: თქვენმა მშობელმა დედამ რომ ბექედი წაიღო, ის მოგიტანოსო“.

დაიბარა ხემწიფემ მზის სიძე და უბრძანა: „საიქიოს წადი, ჩემმა დედამ საიქიოს ბექედი წაიღო, და ის მომიტანეო!“

მივიდა ცოლთან მზის სიძე და შეჰჩივლა: „ხემწიფე ახლა საიქიოსა მგზავნის, შენი თავი უნდა წამართვასო“.

¹ გაიხშო. ² დაურიგდა—რიგ-რიგად ჩამოუარა.

კოლმა ერთი ვაშლი მიჰცა და უთხრა: „გააგორე ეს ვაშლი, და, სადაც ის წავიდეს, გაჰყევ შენც კვალზედაო“.

აიღო ვაშლი მზის სიძემ, გააგორა და გაჰყვა კვალზედა.

მიგორავს ვაშლი და აი გამოვა ერთ ტუზ მინდორზედ¹. ერთი ირემი დგა, რქები ცამდისა აქვს აწვდილი.

— გამარჯობა შენო, — ეტყვის მზის სიძე ირემს.

— გაგიმარჯოსო, უპასუხებს ირემი. სად მიჰდინხარ, აქ რამ მოგიყვანაო? ჰკითხა კიდევ ირემმა.

— საიქიოს მივდივარ, ხემწიფის დედას ბექედი უნდა გამოვართვა და მოვეტანოვო. — მეც რამე წამალი მომიტანე, რქებს ველარ ვზიდავო! შეეხვეწა ირემი.

გაჰცდა ირემს მზის სიძე და მოვიდა ერთ კლდესთან. შიგ ერთი ხარი აბია; არც სასმელი წყალი აქვს, არც საკმელი ბალახი, მაგრამ ისეთი მსუქანია, რომ ხორცი ასკდება სიმსუქნით. მზის სიძეს ძალიან გაუკვირდა, ხარსა ჰკითხა: „არაფერს კი არა ჰქამ, და რამ გაგასუქა მაგრეო?“

„რო ჩამოვილი, მაშინ გეტყვიო“, უპასუხა ხარმა.

გაჰცდა ამას მზის სიძე და ერთ მშვენიერად მორთულ მინდორზე გამოვიდა. ნიავის ქროლაზედ ბალახი ზღვასავით ღელავს; წყაროებს ჩუხჩუხი და ღურღური მიაქვს ბალახების შუა. მინდვრის შუა ერთი ხარი სდგას, პირაკრულია, ვერც არაფერსა ჰქამს და ვერც არაფერსა ჰსვამს. ისეთი მკლეა, რომ კაკაკი ვერაფერზე გამოეზიდება. გაკვირვებული მზის სიძე იმასაც ჰკითხავს: „რამ გაგხადა მაგრე, ასეთი სასმელი და საკმელი წინა გაქვსო“.

ხარმა არაფერი უპასუხა: — ამელელი ბევრი მინახია, გამომელელი კი აღარც ერთიო!

მზის სიძე გაჰცდა მკლე ხარს და ერთ მღვდელს შეჰხვდა: ზურგზედ საყდარი ჰკიდია, დადის და, სადაც ერთ კაცს ჰნახავს, დაჰდგამს და ულოცავს. მზის სიძე მღვდელსაც მიესალმა. მღვდელმა მგზავრობის მიზეზი ჰკითხა, და მზის სიძემ კიდევ საყდრის ზურგზედ აკიდებისა. მღვდელმა ჰთხოვა: „საიქიოს რაკი მიხვალ, შემიტყე, რა უყო ამ საყდარს, მუდამ ზურგზედ ხომ არ მეკიდება, ამბავი მომიტანეო“.

¹ ტუზი მინდორი — გამარტოებული მინდორი.

გაჰცდა იმასაც ვაჟი და წავიდა; ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ადგილას: ცულის ტარზედ ცოლი და ქმარი წვანან; ერთმანერთს ეხვევიან, ჰკოცნიან და ცულის ტარი იქით და აქეთ კიდევ გადაქარბებულია. მზის სიძე გაკვირებული შესცქეროდა საკვირველ ცოლ-ქმარს.

— თუ ღმერთი გწამსთ, ეგ როგორ არის, რომ ცულის ტარზე ჰწევხართ ორი სული და იქით და აქეთ კიდევ ადგილია დარჩენილიო?

-- ამვლელი ბევრი გვინახია და ჩამომვლელი კი აღარავეინაო! უპასუხეს ცოლ-ქმარმა: აიარე, ჩამოიარე და მაშინ ყველაყერს გიამბობთო.

გაჰცდა ამათაც გაკვირებული მზის სიძე და წავიდა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ცოლ-ქმართან: კამეჩის ტყავზედ დაწოლილან, ერთი იქით გორავს, ერთი აქეთ და კიდევ ერთმანერთს ჰწინლავენ: იქით მიწეკ, მიიწიე, იქით მიწეკო! მზის სიძე მივიდა, სალამი მიჰცა და ჰკითხა: ეგ რა უბედურებაა თქვენ თავს, რომ კამეჩის ტყავზედ ჰწევხართ და კიდევ ვიწროდ გეჩვენებათო.

— ამვლელი ბევრი გვინახია, ჩამომვლელი კი აღარავეინაო! უპასუხეს ცოლ-ქმარმა: წადი და, თუ ჩამოივლი, მიზეზს მაშინ შეიტყობო.

გაჰცდა ამათაც მზის სიძე და მიდის. გზაზედ ერთი დედაკაცი შეჰხვდება: მოუგროვებია კვერცხები და კოშკს აშენებს. აიყვანს ცოტად, ააცილებს მიწას, იგრიალებენ კვერცხები და ჩამოცვივიან დაბლა. ის ხელახლად მოჰყვება და აშენებს კოშკს. მივა იმასთან მზის სიძე და გაკვირვებით ჰკითხავს: „რას შვრები, კვერცხების კოშკი სხვას ვის აუშენებია, რომ შენ ააშენოეო!“

— „ჩამოიარე და მაშინ გეტყვი მაგის მიზეზსაო“, უპასუხა დედაკაცმა.

გაჰცდა ამ დედაკაცსაც მზის სიძე და წავიდა თავის გზაზედ. გზაზედ ერთ თონეს მიადგა. ერთი დედაკაცი სდგას და აცხობს პურს. ჩააკრავს თეთრ პურს, როგორც ბამბა, და ამოიღებს ისეთ შავს, როგორც ნეხვი. მზის სიძე მივა იმასთან და გაკვირებული

ჰკითხავს: „ეგ რისგან არის, რომ თეთრ პურს ჩააკრავ და შავს, საძაგელს ამოაკრავო?“

— „ჩამვლელი ბევრი მინახია, ამომვლელი აღარც ერთიო“, უპასუხა პურის მცხობელმა დედაკაცმა: „ჩაიარე და, თუ ამოივლი, მაშინ გეტყვიო“.

გაჰცდა იმასაც მზის სიძე და წავიდა. გზაზედ ერთი კაცი ნახა: ხეზედ ხიდადა ძევს; ვირც გაივლის და გამრივლის, ყველა იმაზედ გახდება და გამოხდება.

— ეგ რა ამბავია შენს თავსაო? ჰკითხა მზის სიძემ კაც-ხიდას.

— „ჩამვლელი ბევრი მინახია, ამომვლელი აღარც ერთიო“, უპასუხა კაც-ხიდამ: „ჩაიარე და, თუ კიდევ ამოივლი, მაშინ გეტყვიო“.

გაჰცდა იმასაც მზის სიძე და მივიდა ხემწიფის დედასთან.

— „შვილმა დაგიბარაო“, უთხრა ხემწიფის დედას: „მანდ რო ბეკედი წაიღე, ის გამომიგზავნეო“.

მიჰცა ბეკედი მზის სიძეს ხემწიფის დედამ და უთხრა: „წაიღე, მიეც ჩემ შვილს და უთხარ: დედამ დაგიბარა: რადგანაც აქაც არ მაძლევ მოსვენებას და მაშფოთებ, შენამც იქნები წყეულო. შენი საქმე ისე მოვიდეს, რომ შენმა ვეზირებმა შეგკამონო!“

მზის სიძემ ჰკითხა: „ესე, ესე: გზაზედ ერთი ირემი ენახე, რქები ცამდისა ჰქონდა აწვდილი, სიარული აღარ შეეძლო, წამალი დამაბარა და, თუ შეიძლება, მასწავლეო. ერთი მღვდელი იყო კიდევ, ზურგზედ საყდარი ეკიდა, სადაც ერთ კაცსა ჰნახავდა, მიიტანდა, დაძგამდა და იქ ულოცავდაო. იმასაც დაუბარეთ, რა უყოს იმ საყდარსაო“.

ხემწიფის დედამ უთხრა: „ირემმა მაისის წყალი დალიოს და გაჰცვივა რქებო; მღვდელმა კიდე წაიღოს ის საყდარი, დადგას შუა სოფელში; დაჰკიდოს ზარები, ვისაც ლოცვა უნდა, მოვა და ილოცავსო; ვისაც არ უნდა—არ მოვა,—შენი ბრალი არ იქნებაო“.

წამოიღო ბეკედი და წამოვიდა მზის სიძე. გზაზედ კაც-ხიდას შეხვდა. ჰკითხა მიზეზი ისე ტანჯვისა. კაც-ხიდამ უთხრა: „მე ხიდი მებარა, ზედ არავის გვაატარებდი უფასოდ, საწყალი და გაჭირვე-

ბული არ ვიცოდი, ყველას ერთნაირად ვაძრობდი ტყავს და, აი, ეხლა, ხომ ჰხედავ, როგორა ვარო“.

გაჰცდა ამას მზის სიძე და წამოვიდა თავის გზაზედ... პურის მცხობელმა დედაკაცმა უთხრა: „მე იმ ქვეყნად ისეთი წუწუკი ვიყავ, რომ, პური რო ჩამეკრა და იმ დროს ან მშიერ მგზავრს გამოეველო ან გლახაკს, თვალებს ჩაეწვავდი თონეში, რომ არ დამენახა ისენი და პურის მიცემა არ მომდომოდა. ეხლა ესე ვარ; როგორიც უნდა თეთრი პური ჩავაკრა, მიწად მექცევისო“.

კვერცხების კოშკს რო აგებდა, იქ მოვიდა. დედაკაცმა უთხრა: მე იმ ქვეყნად კვერცხებს ვიპარავდი და აი ეხლა ესე ვიტანჯებიო.

დაპტოვა მზის სიძემ კოშკის მგებელი და წავიდა თავის გზაზედ. ბევრი იარა, ცოტა იარა, მოვიდა კამეჩის ტყავზე მწოლელ ცოლ-ქმართან. იმათ უთხრეს: „იმ ქვეყნად ჩვენ ერთმანერთი გვძულდა; ქვეყანა ჩვენთვის ვიწრო იყო, ვერ ვთავსდებოდით და აი ეხლაც კამეჩის ტყავზედ ვერ ვეტევითო. რამდენიც უნდა გვძულდეს ერთმანერთი, ვეღარ მოვშორდებითო“.

მზის სიძე ცულის ტარზე მწოლელ ცოლ-ქმართან მივიდა. იმათ უთხრეს: „იმ ქვეყნად ერთმანერთი გვიყვარდა და აქაც გვიყვარსო. მოყვარულ ცოლ-ქმარს ცულის ტარიც არ ეპატარავება საცხოვრებლად, ოღონდ ერთმანერთი ჰყვანდით ცოცხალიო“.

ბევრი იარა მზის სიძემ, თუ ცოტა იარა, მოვიდა იმ მღვდელთან, ზურგზედ რო საყდარი ეკიდა, და მოუტანა ამბავი, ხემწიფის დედის დაბარებული.

გაჰცდა მღვდელსაც და იმ ხართან მოვიდა, მშვენიერ მდელი-ზედ რომ ება, სასმელი და საკმელი მრავალი ჰქონდა და მკლე კი იყო. ხარმა უთხრა: „მე ჩემ პატრონს არაფერში გამოვადეგო, არაფერს უკეთებდი და აი ეხლა ესე ვარო“.

მკლე ხარს რო გაჰცდა, კლდეში რო მსუქანი ხარი ება, იმასთან მოვიდა. მსუქანმა ხარმა უთხრა: „მე ჩემი პატრონისთვის თავდადებული ვიყავ, ხარს არა ვღალატობდი და პატრონიც კარგა მივლიდაო. ეხლა, თუნდა არც არაფერი ვქამო და ვსვა, მაინც მსუქანი ვიქნები და მაინცაო“.

გაჰცდა ამასაც მზის სიძე და წამოვიდა. ირემთან მოვიდა, მო-

იტანა ამბავი: „მაისის წყალი დალიე და გაგცვივავო“. დალია ირემმა მაისის წყალი და გაცვივდა რქები. მოვიდა და მოუტანა მზის სიძემ ხემწიფეს დედის ბეჭედიც და წყველაც... იქცა ხემწიფე კურდღლად, ნაზირ-ვეზირი მგლებად და შექამეს. სახემწიფო და ტახტი მზის სიძეს დარჩა.

ქირი იქა და ლხინი აქა,
ქატო იქა და ფქვილი აქა!

‡ ნაცარქექია

ქართლში გაგონილი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო, არათრის გაკეთება და მუშაობა არ შეეძლო: სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ექირა და ნაცარს ჰქექავდა; ამისთვის ნაცარქექია დაარქვეს.

რძალი ეუბნებოდა: „კაცო, აქეთ მოდევ, იქით მიდევ, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო!“

რძალმა ვერაფერი ვერ გააწყო: მაზლი სულ ბუხართან იჯდა და კარში ვერას გზით ვერ გაიტყუა. აღდგომა დღეს ნაცარქექია ძლივს წირვაზე წავიდა და, წირვის შემდეგ სახლში რომ დაბრუნდა, რძალმა კარი ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა.

ნაცარქექიამ რძალს საგზაოდ ერთი გუნდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა—არ ვიცი, ერთ დიდ წყალს კი მიადგა და მეორე ნაპირას უშველებელი დევი დაინახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ნაცარქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ექნა: ერთი გზის მეტი არ იყო. იმ გზით ისევ შინ რძალთან უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა და—დევის საუზმედ უნდა გამხდარიყო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ესე მოიგონა: აბა გავივლი და მტვერს დავაყენებო. ნაცარქექიამ გულდას სადგისი უჩხვლიტა, გახვრიტა და რომ გაიარგამოიარა, დიდი მტვერი დადგა.

დევი გაჰკვირდა. შეშინდა კიდევ, ქვა აიღო და უთხრა: „აბა,

ამ ქვას წყალი გამოადინეო“. ნაცარქექიამ უცბად ახალი ყველი ამოიღო, მაგრად ხელი მოუქირა, თქრიალით წყალი გამოადინა და დევს შესძახა: „აბა აქეთ გამოდი, მხარს შემისვი და წყალს გამიყვანე, რადგან ფეხის დასველება არ მინდაო!“ დევი მაშინვე გამოვიდა, ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა: „ოჰ, რა ძალიან მსუბუქი ყოფილხარო!

ეს მიტომ, რომ ერთი ხელი ცაზედ მაქვს მიბჯენილი და, თუ ხელი დაუშვი, მაშინ ველარც კი დამძრავო.

— „რა კი ეგრეა, აბა დაუშვი ხელიო“, უთხრა დევმა.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო, დევს კისერში ჩაურჭო. დევმა საშინელი ყვირილი. მორთო და სთხოვა, ხელი ისევ ცისათვის მიებჯინა.

როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა: „წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო“. ნაცარქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა, უთუოთ უნდა წაპყლოდა.

დევისას რომ მივიდა, ნაცარქექიას დევის მოსახლობა ძალიან მოეწონა. დაინახა ვეება კეცი, ხშიადით ბუხარში შედგმული იყო. დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა ხშიადისთვის ყური ეგდო, არ დამწვარიყო.

ნაცარქექიას უნდოდა კეცი მოებრუნებინა, რადგან დაინახა, ერთი გვერდი ძალიან შეწითლებულიყო. როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა, და ნაცარქექია შიგ მოჰყვა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კეცის ქვემოდან ვერ გამოძვრა. ბოლოს დევები შემოვიდნენ ოთახში და ნაცარქექია კეც ქვეშ მოყოლილი ნახეს; გაჰკვირდნენ.

— „კაცო, ეგ რა გიქნია?“ შეეკითხა ერთი დევი.

— „მუცელი ძალიან ამტკივდა და თბილი კეცი მუცელზე დავიდე, ეგება როგორმე ტკივილმა გამიაროს-მეთქი. ეხლა კარგადა ვარ, და აიღე კეციო!“ უთხრა ნაცარქექიამ.

შემდეგ სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოეღიათ. აიღეს ღიდი კოკა და ნაცარქექიას უთხრეს: „თუ ძმა ხარ, გადი, ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო“.

ნაცარქექიას შეეშინდა, უშველებელი ღიდი კოკა რომ დაინახა, მაგრამ მაინც გავიდა ეზოში და ღიდახანს აღარ დაბრუნდა. დევებს

ცდა მოწყინდათ, გავიდნენ და ნახეს: ნაცარქექიას ხელში ბარი აე-
ლო და ქვევრის გარშემო მიწას სთხრიდა.

— „მაგას რას შერებო?“ ჰკითხეს დევებმა.

— სჯობია, მთლათ ამოვიღო ქვევრი და ისე დავლიოთ, თო-
რემ პაწაწინა ხელადით მოტანა ადამიანს მოსწყინდებაო.

დევებმა იფიქრეს: „ჩვენ ცხრა ძმათ ძლიეს ჩავსვით ცარიელი
ქვევრი, და ეს კი მარტო აპირებს სავსე ქვევრის ამოღებასაო“. შემ-
დეგ თვითონ დევებმა აავსეს ხელადა ღვინით და შეუდგნენ სადილსა.

ამ დროს ერთმა დევმა დაახველა და ნაცარქექია ჰერს მიეკრა.
დევებმა მალლა აიხედეს და ნახეს, ნაცარქექია ჰერის კოქს¹ ეკიდება.

— კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებო?!

ნაცარქექიამ უთხრა: „როგორ გაჰბედეთ ჩემ წინ დახველებო? ეს
წყებლა უნდა ჩამოვიღო და სულ გვერდები ავიწვათო!“

დევები ძალიან შეშინდნენ: „ჩვენ ცხრა ძმათ ძლიეს დავსძ-
ლიეთ თითო ხე, და ეს კი წკებლას ეძახისო!“ შეშინებული დევე-
ბი სახლიდან გავარდნენ და დაიფანტნენ.

ნაცარქექია, როგორც იყო, ბობლვით ჩამოძვრა და დევების
ოჯახს თარეშობა² და პატრონობა დაუწყო.

ერთ დევს გზაზედ მელა შეხვდა და უთხრა: „დევო, სად მი-
ბიხარ, რა დაგმართნიაო?“

— „რალა სად მივრბივარ? ჩვენთან ერთი კაცი მოვიდა, კი-
ნალამ გადაგვკლაპაო“. დევმა უამბო, როგორი იყო ის კაცი.

მელიას გაეცინა:

— ეს ხომ ნაცარქექიაა, საცოდავი კაცი! რადგან არას აკე-
თებდა, რძალმა სახლიდან გამოაგდო, მე იმათ კარგათ ვიცნობ: რაც
ქათმები ჰყავდათ, სულ მე გაუჩანაგე³. წამოდი, როგორ შეგაშინა
მაგ ლაჩარმაო!

— „ვერ გენდობო“, უთხრა დევმა.

მელია ბერს ეხვეწა.

— მაშ, რომ არ მილალატო, მოდი, ამ თოკით წელზედ გა-
მომებიო. მელიამ თითონ მოიბა თოკი და მერე დევს გამოაბა. დე-
ვი ისე დაბრუნდა თავის სახლში თოკგამობმული.

¹ კოქი— ედლებზე გადასადები გათლილი ხე. ² თარეშობა—ცარცვა-რბევა. ³ გაჩანა-
გება—გაწყობა.

ნაცარქექიამ რომ მელია და დევი დაინახა, ძალიან შეშინდა, მაგრამ რალას იზამდა. მაშინვე კარში გამოეგება და მელას უთხრა: „აჰ, შე საძაგელო! ჩემი თორმეტი დევი გემართა და ბეთ მარტო ერთი მოგყავსო!“ დევს ისე შეეშინდა, რომ თოკი დაგლიჯა, მელია სულმთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

ნაცარქექიამაც დევების სარჩოსა და სიმდიდრეს, რაც რამ ჰქონდათ, სუმთლად მოჰხვია ხელი, აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო; რძალი გაამდიდრა, ერთად ტკბილად ცხოვრება დაიწყეს.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა!
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა!
ჩიტი გაფრინდა ცხრაფრთანი.
ასი ტყუილი, ერთი მართალი!

5 გველვაჟი

იმერეთში გაგონილი

იყო და არა იყო რა. ღეთის უკეთესი რა იქნებოდა?

იყო ერთი დედაბერი. ხანგადასულს გაუჩნდა შვილი, მაგრამ რომ სულ არ გაჩენოდა, ის ერჩია: გველი დაეებადა. დედას მაინც უყვარდა თავისი გველშვილი, ძუძუს აწოვებდა, უვლიდა და ზრდიდა. გველიც გაიზარდა, დამსხვილდა, ბუხუნხალა¹ შეიქნა.

ერთხელ ამ გველმა ენა ამოიდგა და უთხრა დედას: „წადი ჩვენს მეფესთან და მოახსენე: ჩემმა გველვაჟმა შემოგითვალა, შენი მხოლოდ შობილი მზეთუნახავი. ქალი მომათხოვე-თქო“.

დედა შეშფოთდა: შეეშინდა, რომ მისი შვილი, და ისიც გველი, მეფეს უბედავს დასიძებას, და კიდევ მეტად იმან შეაშინა, რომ

¹ ბუხუნხალა—ფუნჩულა და მსხვილი.

გველმა ენა ამოიღვა და კაცივით ლაპარაკი დაიწყო. მაგრამ მეტი ჯანი არ აყო, ვაჟი არ აძლევდა მოსვენებას: წადი და უთხარიო.

— „მომკლავს, შეილოვო“, — ეუბნებოდა დედაბერი, მაგრამ არც არაფერი ამ უარმა გააწყო. ბოლოს წავიდა, — გაბედა დედაბერმა.

მივიდა დედაბერი მეფესთან სასახლეში. მიიწოდა მეფემ და ჰკითხა: „რა გნებაეს, დედაკაცო?“

— „ჩემმა გველვაჟმა მოსვენება არ მომცა, თქვენს ქალს გთხოვსთ საცოლოთაო“, და მოუყვა ყველაფერს.

მეფემ არ გაიკვირვა, გულდასმით მოუსმინა და პასუხათ უბრძანა: „ყველა ჩემმა ხელქვეითმა იცის, რომ მე ვარ ერთი ღარიბი მეფე. მომძაღებია ერთი მოსამზღერე მეფე და განადგურებას მიქადისო. ახლაც გამოუგზავნია შუაკაცები და სამ კითხვას იძლევა ასახსნელათ; თუ არ აუუხსნი, დამარბევს და დამაქცევს. უთხარი შენს ვაჟგველს: თუ მოახერხებს და ახსნის ამ სამ კითხვას, ქალსაც მივათხოვებ, რადგანაც განსაცდელს ააშორებს თავზე ჩემს ქვეყანასაო“.

პირველი კითხვა: „მე მყავსო, — ითვლევინება ის მეფე, — ცხენის ჯოგი: გამოიციანი, რომელია დედა და რომელი შეილებიო“.

მეორე: აგზავნის ქვასანაყს¹ და ითვლევინება: „ამაზე ამოკერით ათასი წყდა² თანმა და გამომიგზავნეთო“.

მესამე კითხვა: „ჩემ ქვეყანაში ერთი უწყლო მხარეა, წყარო არსადაა და გაუჩინეთო“.

დედაბერმა სთქვა: „თუ გადავიკიდე ქირი, ახლა გადავიკიდეო“ და კუნკულ-კუნკულით გამოქანდა შინისკენ.

— „რა ჰქენიო?“ კითხა გველვაჟმა.

— „რალა რა ვქენიო“, მოუყვა ნერწყვებამშრალი დედა: „სიკვდილი გველისა, მეტი არაფერიო. ამ ბოროტებას შენ გადამკიდეო“ და დაიწყო ქვითინი.

— „რა დაგემართა, რა იყო?“ — ჩააცივდა გველი: „მე ის ხელმწიფე ვერ მომერევა, თუ ძალაზეაო“. დედას ამ სიტყვების გაგონებაზე სულელივით გაეცინა:

— მეფე ვერ მოგერევა ერთ ღვაფს³ გველფუშსაო?

¹ ქვასანაყი — წვრილი და მოგრძო რიყის ქვაა, რომელსაც სხვანაირად ფილთაქვას ეძახიან. ² წყდა — წურთა, საზომია — მკლავის ნაწილი ნიდაუვიდგან შუათითის წვერამდე. ³ ღვაფსი — ძალიან პატარა, ერთი ბეწო, დალეული.

— „ვერაო!“ დარწმუნებით უთხრა გველმა.

„აბა, კარგი და აუხსენი ახლა ეს კითხვებო“ და მოუყვა, რა კითხვებიც იყო ასახსნელი.

გველი ერთს წუთსაც არ ჩაფიქრებულა და უთხრა დედას:

— წადი ახლავე და მოახსენე მეფეს: „გაგზანე შენი ვეზირი იმ მეფესთან და დააბარე—რამისხო თასმა უნდა, ნიმუში ამოკერი ამ ქვასანაყზე და მეც იმ ზომისას გამოვკრიო“. ვერ აკრის ამ ქვასანაყზე ნიმუშს და შერცხვენილი დარჩებაო. ცხენები დააწყურონ სამ დღეს და, როცა გამოუშვებენ, რომელიც დიხვიხვინებს, ის იქნება დედაო. სადაც დამწყურვალებულია ხალხი, იმ ქვეყანაში ერთი მუხაა ამა და ამ ადგილას, მოთხარონ ის მუხა და ამოიღონ იქღრმა ორმო, სანამ წყალი არ ამოვიდეს. ის იქნება ჭა და მისი წყალი იხმარონო.

გაფრინდა დედა მეფესთან. მივიდა. მთელი სასახლე დამწყურებული და უიმედო იყო. როცა მივიდა დედაბერი, ყველას სიცილი აუტყდა ამ გაკირვების დროსაც. მაგრამ როცა პასუხი გაიგეს, დიდი მოწიწებით მიიღეს; ეს ყოველივე გადასცეს შუაკაცებს, თან გაატანეს ვეზირი, და პირში ჩალაგამოვლებული დარჩა შარიანი მეზობელი მეფე; ეს კი გადარჩა გასაქირს, და კიდევ გაიწვია თავისთან, პირობის თანახმად, სახელგანთქმული გველვაჟი.

შემოზოზდა სახლში ბურუნუნა¹ გველი. დიდი თავაზით მიეგება ყველა: უფრო ემინიათ მისი, ვიდრე მოსწონთ. შიშის ხათრია, რომ ეალერსებიან. მოუჯინეს² გველს დედოფალი, მზეთუნახავი, გვერდით და გამართეს ქორწილი.

ისეთია დედოფალი, რომ დანა კბილს არ უხსნის: მის მწუხარებას ზომა არა აქვს, მაგრამ რა გეეწყობა--პირია მიცემული და, ალბათ, მისი ბედი ყოფილა!

გაიყვანეს ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი სანთიობოში³. მიხურა მამა-მეფემ სანთიობოს კარები თუ არა, წაივლო თმაში და წვერში ხელები და ბურქვა-ბურქვა⁴ იბღღენიდა: „შემქამს ის წყეული გველი ჩემ ქალსაო!“

¹ ბურუნუნა—ბუნჩულა, მსხვილი. ² მოუჯინეს. ³ სანთიობო—ახლად ჯვარდაწერილთა ღამის გასათევი ოთახი. ⁴ ბურქვა-ბურქვა—ბლუჯა-ბლუჯა.

მაგრამ სანთიობოში კიდე უფრო ძნელი საქმე ხდებოდა: მზეთუნახავს კისერზე შემოხვეოდა გველი და ეალერსებოდა. ქალი სულს ლევდა—აღარც მკედარი იყო და აღარც ცოცხალი, გაცივებულიყო და თითქმის აღარაფერი ესმოდა. გველი კი ეუბნებოდა: „ნუ შემიზიზღებ, ნუ დამერიდები, იქნებ ისეც მოხდეს, რომ შენ მეალერსებოდე და მე-კი აგრე ვავიყინო“. ამ ალერსში და ეშხში რომ არის, გაძვრა მეტის-მეტი სიყვარულით კანში და,—ჰოი, სასწაულა!—მზესავით მანათობელი ყმაწვილი გამოვიდა. ახლა კი შეაკუსა¹ თვალეზი მზეთუნახავმა, გულმა საშინლად დაუწყუო ძგერა და ცეცხლი აენტო სახეზე; აპრიალდა, აპრიალდა, მზესავით ანათებდა. ამათ ნახვას აღარაფერი სჯობდა. ვაჟის ოქროს თმა მზის სხივებივით ბრქვენივდა და ქალი სინახით უსვამდა შიგ მარგალიტივით თითებს. ამ დროს კიკიტალადან² შეიხედა სანთიობოში ერთმა გადიამ: „ეს რა სინათლე მოდის იქიდანაო? ვაი თუ ცეცხლი ამოუშვა გველმა პირიდან და დასწვა დედოფალიო!“ მაგრამ რა დინახა? აღარაფერი სჯობდა სანახავათ ვაჟს, და ორივეს ნეტარება აღარ ითქმოდა.

გამოიქცა გადია მტირალი მეფისთვის ამ ამბის მისახარებლად. შეიქნა ხმაური, ჟრიამული, მითქმა-მოთქმა; გაქანდენ სანთიობისაკენ. მეტის-მეტი სიხარულით ჩამტვრიეს კარები და მეფე ეცა გველის ხალთა-კანს.

შეკრთა ვაჟი, შეშინდა... დააპირა მალლა ახტომა, ჰაერისკენ შენავარდება და... გადაიქცა სპეტაკ ტრედათ. დაიწყუო ფრიალ-ფრიალი სანთიობოში, ეძებს გამოსაფრენს კარს, ან საარკმელს. მზეთუნახავი უკან დაედევნება და უნდა მისი დაქერა, თან გული მიუდის, ეშინია: არ დამეკარგოსო. თან ჩამოსდის ცრემლეზი, თანაც იციინის. ბოლოსაც იშოვნა ტრედმა ღია კარი, და გამოძვრა შიგ, გამოფრინდა, მიფრინავს ნელ-ნელა. მზეთუნახავმა თხოვა მამა-მეფეს თავისი რაში. იმანაც მაშინვე მიაგება. შეჯღა ზედ მზეთუნახავი და გაჰყუა ფრენა-ფრენით თავის ტრედს.

მიფრინავს ტრედი და მიღულუნობს, მიფრინავს რაში და მისდევს ტრედს კვალ-და-კვალ მზეთუნახავი. შეჯღდება ხეზე ტრედი, მივა მზეთუნახავი, ტრედი აფრინდება და ნელა, აუჩქარებლათ, მიფრინავს კიდევ იქით. აშნაირი ფრენა-ფრენით მივიდენ ზღვის

¹ შეაკუსა—შეაკუიტა. ² კიკიტალა—კუკრუტანა, პატარა ნახვრტი.

პირზე. ზღვაში პაწაწა კუნძული იყო კიდის მახლობლათ. კუნძულზე იდგა ერთი კოდალივით¹ სწორი მაღალი ალვის ხე; ამ ხეზე შეფრინდა ტრედი და დაიწყო ლულუნი. გადააქანებს ნიაფი ალვის ხის წვერს, თან გადაჰყვება ლულუნით სპეტაკი ტრედი, გადმოაქანებს—თან გადმოჰყვება. გააქანა მზეთუნახავმა რაში, ისკუპარაში² კიდიდან კუნძულზე, მაგრამ იმდენი ადგილიც აღარ იყო, რომ ოთხივე ფეხით დატეულიყო, მხოლოდ წინა ფეხებით დაეკიდა კუნძულს. ალვის ხემ ქედი იხარა; წაატოტინა ტრედისკენ ხელი მზეთუნახავმა, ტრედმაც ისკუპა, შეაჯდა მხარზე მზეთუნახავს და დაუწყო ყურებთან ლულუნი. ისკუპა უკანვე რაშია, დახტა ზღვის კიდეზე. ტრედი ხან თავზე ევლება მზეთუნახავს და ხან ფეხებზედ აჯდება, მაგრამ ყოველივე ცდა მზეთუნახავისა, რომ მოიგდოს ხელში ტრედი, ამაოდ რჩება. დღესაც ასე დაფრინავს რაშით მზეთუნახავი და ტრედიც თავზე ევლება, ხან მხრებზე აჯდება. იმათი ფოფინი² და ფორთქინი დაუსრულებელია.

კირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა³!

¹ კოდალი, ყოდალი—წვერმრგვალი ისარი. ² ფოფინი—ტრფიალი, ალერსი. ³ ეს ზღაპარი ჩაწერილია ზემო იმერეთში ს. გაჩეჩილაძის მიერ („ძველი საქართველო“ I).

6 ამირანი

უმთავრესად სვანეთში და ფშავში გაგონილი¹

«გიაბობთ ამირნისასა,
თუ ზღაპრად მოგეწონებათ,
ბადრის, უსუპის ამბავი
მალი-მალ მოგეგონებათ!».

I

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო შა-
შვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი!

იყო ერთი მოხუცი მონადირე, სახელად სულ-კალმახი. სახლი
ედგა ისეთის უდაბური ტყის მახლობლად, რომ ხის წვეროები ცას
ებჯინებოდნენ. შინ ჰყავდა ცოლი დარეჯანი და ორი პატარა
ვაჟი—ბადრი და უსუპი. ერთი უფროსი ვაჟი შორეულ ქვეყანაში
ჰყავდა გადახვეწილი.

ერთ დღეს სულ-კალმახს ნადირობაში შემოაღამდა. ბინად ერთ
მაღალ კლდეს მიაშურა, სადაც გამოქვამული ეგულებოდა.

ეს წვრილი და მაღალი კლდე კოშკით იყო ამართული და
ზემოთ და ქვემოთ გამოქვამულები ჰქონდა გამოკვეთილი. ქვემო
გამოქვამულში სულ-კალმახს უწინაც ბევრჯერ შეუფარებია თავი.
ახლაც ამას მიაშურა.

ღამე მშვიდობიანად გაათია, მაგრამ განთიადისას რაღაც კვი-
ლი შემოესმა: ქალის ხმასა ჰგავდა. წამოიჭრა ზეზე, გამოვარდა გა-
რეთ და აშკარად შენიშნა, რომ ხმა ზემო გამოქვამულიდან ჩამო-

¹ ამირანის ზღაპარი ჩვენს ხალხში ძლიერ გაერთელებულია. მაგრამ სხვა და სხვა
კუთხეში ამ თქმულებისა სხვა და სხვა ნაწილი შენახულა. აქ ეს ნაწილები შეერთებულია
მცირედენის ცვლილებით. ამას გარჯა ცხადად ეტყობა, რომ დღევანდელს „ამირანში“
ქართველ ხალხს ორგვარი სულ სხვა და სხვა დასაბამისა და გვარის თქმულება შეუნახავს:
თქმულება კეთილს გმირზე, რომელიც ბოროტ ძალებს ებრძვის და ხალხს შეარველობს,
და თქმულება ბოროტ არსებაზე, რომელიც კაცობრიობას ემტრება და თვით ღმერთსაც
კი ომს უცხადებს. ჩვენ შევეცადეთ, ეს ორგვარი ხასიათი თქმულებისა ქრისტომატიანისა
დაგვეცვა.—თვით სახელს „ამირანი“ ზოგი მკვლევარი აწარმოებს ბოროტი ღვთაების „არი-
მანი“-ს სახელისაგან, ზოგიც კეთილი ღვთაების „მიორა“ (=ამიორა) ანუ „მითრა“-საგან.
„ამირანის“ ფშავური ვერსია ჩაწერილია თ. რაზიკაშვილის მიერ, ხოლო სვანური—თავისუფ-
ალი სვანის მიერ; დანარჩენი ვერსიები იხ. „ამირან-დარეჯანიანის“ დამატებანი (თბილ-
ისი 1907 წ.).

დიოდა. დააპირა ასვლა, მაგრამ გამოქვაბული ისე მაღლა იყო, რომ თვალის ძლივსა სწვდებოდა, ასავალი კი არსაიდან ჰქონდა.

დაბრუნდა სახლში. ცოლს უბრძანა: „ხვალისათვის საგზალი დაიმიზადეო“ და თვითონ მკედელთან გასწია, რომელსაც ერთი რკინის ხვედა¹ და ერთი გუდა სატეხე² შეუკვთა. მეორე დღეს აიკიდა საგზალი და გუდა და გასწია კლდისაკენ. მივიდა კლდის ძირში და დაუწყო სატეხეებს კლდეზე მიკედვა: რამდენ სატეხესაც მიაკედდა, იმდენ საფეხურს აკეთებდა და სულ ზევით-ზევით მიდიოდა. ბოლოს. როცა სატეხეები გამოვლია და ხვედაც გაუცვდა,— გამოქვაბულსაც მიაღწია. შევიდა შიგ და გაცეხული დარჩა:

გამოქვაბულში ნადირობის ქალღმერთი დალი იწვა. ტანთ არაფერი ეცვა და მხესავით ნათელ სახეს ოქროს მოკლე თმები უმშვენებდა: ეტყობოდა, თმები წაქრილი ჰქონდა, რადგან ისეთივე ოქროს გრძელი ნაწნავეები იქვე ეყარა. ქალი საშინლად კიოდა და აქეთ-იქეთ აწყდებოდა. მოხუცი მონადირე რომ დაინახა, თვალელები გაუბრწყინდა და კივილი შესწყვიტა. მონადირე მოწინებით მიუახლოვდა, თაყვანი სცა და ჰკითხა: „ხომ არაფერს მიბრძანებო?“

ქალმა თავი დაუქნია და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით შემდეგი უამბო: „ჩემი საყვარელი ბინა ეს გამოქვაბულია, ჩემი საყვარელი სანადირო ეს ტყეა; მთელი ჩემი ღონე ჩემს ქალწულობაში და ამ ოქროს ნაწნავეებში იყო, მაგრამ ახლა აღარცერთი აღარა მაქვს და ჩემი აღსასრულიც მოახლოვებულიაო. ერთ ღამეს, ღრმა ძილში რო ვიყავი, აქ ვილაც მონადირე შემოპარულიყო, ოქროს ნაწნავეები ჩემივე ოქროს მაკრატლით წაეპრა და გვერდში მომწოლოდა; რო გამომეღვიძა, წინააღმდეგობა ველარ შევიძელი და შემაცდინაო. ახლა ჩემი სათხოვარი ეს არის: რადგან სიკვდილი არ ამცდება, ამ ცოდვის შვილს მაინც ნულა ჩამატან საფლაგში; აიღე ჩემი ჯაყვა³, გამკერი მუცელზე და ბავშვი გამოიღეო; თუ ვაჟი იყოს, ამირანი დაარქვი და, თუ ქალი იყოს, რაც გინდა ის დაარქვიო. ჩემი შვილი გმირი გამოვა. მას რომ მუცელში დრომდე დასცლოდა, ისეთი იქნებოდა, თვით ღმერთს შეებმოდა, ახლა კი ნაკლები იქნებაო. როცა მუცლიდან გამოიღო, სამს თვეს დეკეულის⁴ ფაშე-

¹ ხვედა—ურა, დიდი ჩაქუჩი. ² სატეხე—სადურგლო იარაღია რკინისა. ³ ჯაყვა—ჯიბის დანა, მოსაკეცი დანა. ⁴ დეკეული—წლის ფური, წლის ძროხა.

ში შეინახე და შემდეგ კიდევ სამ ჯეხს—კუროს¹ ფაშეში, რომ, რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოსო“.

მეწუხება მონადირე, გაქრაზე უარი სთქვა, მაგრამ დალი არ მოეშვა და ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო: გაუქრა ხელეების კანკალით მუცელი და იქიდან მზის მსგავსი ვაფი გამოვარდა. აიხუტა ბავში გულზე მონადირემ, დაუყვა რკინის საფეხურებს და დაბრუნდა სახლში. ცოლის დახმარებით, იქ სუყველაფერი ისე შეასრულა, როგორც დალისაგან ჰქონდა დაბარებული. ბავში საოცარის სისწრაფით იზრდებოდა: ერთი დღისა ერთი კვირისას ჰგავდა, ერთი კვირისა—ერთი თვისას და ერთი თვისა—ერთი წლისას. დარეჯანს ისე შეუყვარდა პატარა ამირანი, რომ თავის შვილებს ერჩივნა და, ამიტომ, ამირანს «დარეჯანის შვილს» ეძახდნენ.

რადგან სულ-კალმახი ხანში შესული იყო და დღე-დღეზე სიკვდილს მოელოდა, გადასწყვიტა ამირანი მდიდარი კაცისათვის მოენათვლინებინა: „როცა მოკვდები, ამირანს ნათლია წაიყვანს და გაზრდისო“. მართლაც, დაპატივეს ნათლიად მდიდარი კაცი, მაგრამ ნათლობის დღეს სულ-კალმახის სახლში გლახად ჩაცმულმა ქრისტე-ღმერთმა ჩამოიარა და სთხოვა მასპინძელს: „ამირანი მე მომანათვლინეთო“. სულ-კალმახმა უარი ვეღარ უთხრა და მონათვლინა. ქრისტე-ღმერთმა ამირანს დაანათლა: გაქანებულის ზევის სიმარდე, თორმეტუღელა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბალობით სისაწყლდე და სიბეჩავე, ვაჟაკობაში ომი და ქრისახადიელი.

დიდხანს არ გაუვლია, მოკვდა სულ-კალმახი; მალე დარეჯანიც თან მიჰყვა. დარჩენ ობლები მარტოდ-მარტო. ამით ისარგებლეს სულ-კალმახის ძველმა ბებრებმა—დევებმა, დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცუცხლის ალი აადინეს, ააოხრეს და გადაბუგეს. დევების დაშინებული, ძმები სულ გადაიკარგნენ, სადღაც ჩაბალხეთში ჩაიხვეწნენ და დღე და ღამე ცის ქვეშ ეყარნენ, კერანაკარი ენატრებოდათ:

ბადრი, უსუბი, ამირან ობლები დავიყარენით;
დევების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარენით;
ღველფ² არ გვინახავს, კერაი, საჩაღეს მოვიზარდენით.

¹ კურო—კურატი, დაუკოდავი ხარი. ² ღველფი—ნაღვერდალი, ცხელი ნაკარი.

II

გავიდა ხანი. დაიზარდნენ ობლები. დავაჟკაცდა ამირანი და ისეთი ღონიერი ვახდა, რომ მიწას უმძიმდა მისი ტარება. საოცარი სმა-ჰაჰა იცოდა. თვალები საცრის ოდენა ედგა და ერთი კბილი ოქროსი ჰქონდა. უსუბი და ბადრი მშვენიერები იყვნენ.

ცოტა¹ კაცია ამირან, ცოტა სმა-ჰაჰა ეყოფა:

სადილად ბულა კაჩეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა,

უსუბი—ბროლის ციხესა, თავბოლო გამაგრებულსა,

ამირან --- შავსა ღრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა.

ერთხელ ამირან და მისი ძმები სანადიროდ გავიდნენ. ერთ ირემს დაედევნენ და მიყრუებულ მთაში „ბროლის კოშკს“ წაადგნენ. შიგ ბადრისა და უსუბის ძმისწული გმირი ცამცუმი ესვენა და თავზე ცოლი და დედა დასტიროდნენ.

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი;

გადიარეს ცხრანი მთანი, მეთენი ალგეთისნი².

მინდორს კვალნი გაუკვლიეს დანაქლიკნი³ ეშმაკისნი.

მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო რქანი მისნი.

უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი.

გაუარეს გარეგურგვლათ⁴, ვერ იპოვნეს კარი მისი.

სადაც რო მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისი, —

კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეიბა კარი მისი.

კოშკში ლომი⁵ წოლილიყო, გამძრევ არვინ იყო მისი.

იმას თავით რაში⁶ ება, ტოტით მიწას სთხრიდა ისი;

მარცხნივ რო შუბი ეყუდა, წვერი ცასა ხევედა მისი;

მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა აღმასისი;

ერთ კუთხეში ოქრო-ვერცხლი, ნაგროვები ცამცუმისი⁷.

გვერდით ეჯდა თავის დედა, ცრემლად დასტიროდა შეილსა,

თავით ერთი ქალი ეჯდა, ზღვას ერევა ცრემლი მისა.

თითებსა და თითებს შუა წიგნი ჰქონდა ქალალდისა.

¹ ცოტა—პატარა. ² ალგეთის მთები—ქართლშია, თბილისის სამხრეთით. ³ დანაქლიკი—ნაფეხური. ⁴ გარეგურგვლათ—გარეშემო, ირგვლივ. ⁵ ლომი—აქ გმირს ნიშნავს (იგულისხმება ცამცუმი). ⁶ რაში—მგრანი, ზღაპრული ცხენი. ⁷ ცამცუმი—იმ მიცვალებულის სახელია; როგორც ქვემოთ სჩანს, ცამცუმი ბადრისა და უსუბის ძმისწული ყოფილა.

წაიკითხეს, შიგ ეწერა: «ძმისწული ვარ უსუპისა;
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შევეკამე ჯაფრი სხვისა.
მოვეკედი, მხოლოდ ჯაფრი გამყვა ერთის დევის ბაყბაყისა.
ვინაც მოჰკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შუბი ალაღ¹ მისა,
ვინც მახარობლად მომივა, ჩემი ხმალიც ალაღ მისა;
ვინც დედ-მამას დამიმარხავს, ჩემი თული ალაღ მისა;
ვინაც რომ დებს გამითხოვებს, ოქრო-ვერცხლი ალაღ მისა;
ვინც მე მომივლის, დამმარხავს, ცოლიც, რაშიც ალაღ მისა!».
ეს რო ძმებმა წაიკითხეს, სახეზე მწუხარება დაეტყუოთ, რად-
განაც ცამცუმი მათი ნათესავი გამოდგა. ამირანმა უჩჩათ:
„აქ რაღას ეუდგევართ? იმ ბაყბაყ-დევის ხომ მოვეკლავთ და მოვეკ-
ლავთ!... მიცვალებული, როგორც წესია, დაემარხოთ, ავიღოთ
ბარემ ეს თულები, ქალი და რაში წაეყვანოთ და წაეიდეთო; ან-
დერძიც ხომ ესეაო“. ძმებმა დაუშალეს: „სირცხვილია, ვინ რას
იტყვისო!

ნუ, ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისი,
თორემ გმირნი დაგძრახავენ: მკვდარი გაუცარცვავს სხვისი“.
მკვდარს მოუარეს, დამარხეს, კოშკის კარი გამოხურეს და
წაიღდნენ ბაყბაყ-დევის საძებნელად. მართლაც, გზაზე ბაყბაყ-დევი
შემოჰხვდათ: გაეგო, ცამცუმი მომკვდარაო, და შესაქმელად მოდიო-
და. ამირანმა შეუტია:

— „სად მიდიხარ, შე აყროლებულო, საითკენ მიეჩქარებიო?“

— „უსუპის ძმისწული, ცამცუმი, მომკვდარა და იმისი მძოვ-
რის საქმელად მივალო!“ — უპასუხა.

ამირან, დევი-ბაყბაყი ჩასაუბრობენ მტრულადა.

ხმალზე ხელი აქვს ამირანს, ცხარე ომი აქვს გულადა.

— შენ ქრისტიან კაცს არავინ შეგაქმევსო, — უთხრა ამირანმა:
ტყუილად მიხვალ და მიეხეტებიო!

მაშ შენ დამიქერ გზასო? უპასუხა დევმა დაციწვით და
ექგერნენ ერთმანეთს.

ამირან, დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი;

ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი,

დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი.

¹ ალაღი — სამართლიანი, კანონიერი; სიმართლით მოპოვებული და შესარგო.

დევი შეშინდა და შეეხვეწა:

„ნუ მომკლავ, დარეჯანის ძევ, ხელი გაფიცო ხმლიანი, მანდილი¹ დედი-შენისა, თაკლია² ოქროიანი!

ზღვას გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანი;

საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი,

შვიდეკირეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი.

წასვლა აღვილი იქნება, მოსვლა გახდება გვიანი

მოყვარული ხარ ომისა, გზა იქ გექნება მტრიანი.

თან შიკრიკს³ გამოგაყოლებ, ვაჟია ლალატრიანი!“

ამირანს უნდოდა დევი ცოცხალი გაეშვა, მაგრამ ძმებმა უთხრეს: „თუ არ მოჰკლავ, ცუდ საქმეს გიზამს; დევი არ დაიზავებაო⁴“.

ბაყბაყ-დევი სამთავა იყო. ამირანმა უსმინა ძმებს: ორი თავი მოსჭრა, და მესამესაც რომ დაუწყო ჭრა, ბაყბაყ-დევემა სთხოვა:

— ხომ მკლავ და მკლავ, ეს მაინც ამისრულე: ჩემი თავებიდგან სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დახოცავეო.

მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც. ბაყბაყ-დევის თავებიდგან მართლა სამი ჭია ამოძვრა. უსუპმა უთხრა ამირანს:

— რაკი ერთი ჭირი მოიშორე თავიდან, ბარემ მეორეც თან გააყოლე: ეგ ჭიები სასიკეთოდ არ ამოძვრნენ დევის თავებიდგან, ეგენიც დახოცეო.

— „რას ამბობო, უპასუხა ამირანმა: დევმა რა მიყო, ჭიები რას მიზამენო? «ქამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო?» ერთი თხოვნა ხომ შენ აგისრულე, ეს ერთიც დევისათვის ამისრულეზიოა“. არ დახოცა ჭიები, გაანება თავი.

რაკი ბაყბაყ-დევი მოიშორეს, ამირანმა უთხრა ბაყბაყის მოცემულ შიკრიკს: „აბა, შიკრიკო, გვასწავლე გზა ყამარისკენ სავალიო. აჩქარდი, ფეხი ააჩქარეო“.

გაუძღვათ წინ შიკრიკი და გასწიეს.

III

ბევრი დღე და ღამე იარეს, მაგრამ გზას დასასრული აღარ უჩნდა: შიკრიკი ერთ გზაზე რომ გაატარებდა ძმებსა, სხვა გზით

¹ მანდილი—თავშალი, წამოსასხამი შალი. ² თაკლა—ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად არ ვიცით: შეიძლება თაკლა თავის სამკაული იყოს. ³ შიკრიკი—ჩქარამავალი მუამბე. ⁴ დაზავება—შერიგება.

დააბრუნებდა და იმაზედვე წაიყვანდა. უნდოდა მათთვის გზა აერია და დაეხოცა. უსუპმა შეატყუა შიკრიკს ლალატი და გავლისას ერთ კუნძს ისარი დაჰკრა. მართლაც მეორე დღეს შიკრიკმა ძმები იმავე გზაზე გამოატარა. უსუპმა თავისი ისარი იცნო, აემღერა სისხლი, გაუშვირა ხელი ამირანს კუნძისაკენ და უთხრა:

„ვერ გავიგია, ამირან, არგამარჯვების ნიშანი?
მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რო დავკარ ისარი!“
ამირანი გაჯაერდა და შიკრიკს შეუტია:

„შიკრიკო, გზანი გაიხვენი¹, თუ არ ხარ თავის მისანი²,
თორე აგიღე, გაგთალე, რო საკილობნე ფიცარი³!“

გაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთს ტრიალ მინდორზედ. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამი ჰია, ბაყბაყის თავებიდგან რომ ამოცოცდნენ, ვეშაპებად ქცეულიყვნენ: ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი და ერთიც შავი; მიდიოდნენ და მიიმღეროდნენ.

მინდორში სამნი ჰიანი მიდიან, მიიმღერიან.

თვალს უცემს დარეჯანის ძე: „მაგათთან ომი მწადიან!“

— „აბა, ძმებო, მეტი ღონე არ არის, მაგ ვეშაპებს უნდა შეეებათო!“ მაგრამ ბადრმა და უსუპმა ძლიერ შორს დაიქირეს:

— აკი გირჩიეთ და არ დაგვიჯერე!.. ახლა, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცო:

შენისა ცოლის გულისთვის სულ ძმები დავილიენითო.

მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა:

„ჩემო ხმალო და აბჯარო, საძალედ მომეშველენითო!“

და დაუწყა ვეშაპებს სასტიკი ომი. მოჰკლა თეთრი, მოჰკლა წითელიც და

შავსა შეება მაშვრალი⁴.

მაგრამ შავმა ვეშაპმა ჩაყლაპა დაღალული და თავის დედას (ზღვას) მიაშურა:

შავმა აილო, ჩაყლაპა, შავის ზღვისაკენ გასწია.

¹ გააღე. ² მისანი—გრძნეული, გულთმისანი. ³ „რო საკილობნე ფიცარი“—როგორც კილობნის ფიცარი. ⁴ მაშვრალი—დაღლილი.

ეს რო ძმებმა დაინახეს, გული მოუბრუნდათ ამირანზე და გამოუდგნენ შავ ვეშაპს. უსუპმა სტყორცა ისარი და ცხრა ადლი კუ-ლი მოსწყვიტა. ვეშაპს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა; როცა ვისმე ჩაჰყლაპავდა, მივიდოდა, ამ ბოძს შემოეხვეოდა, დაამტვრევდა და მოინელებდა. ახლაც ამ ბოძს მიაშურა, შემოეხვია, მაგრამ კუდი პირში აღარ მოსწვდა, რადგან მოწყვეტილი ჰქონდა, — და გადარჩა ამირანი დამტვრევას.

ვეშაპმა დედას შესჩივლა: „მუცელსა მგვრემს, თითქოს ცეცხლი მეკიდებო“.

— ვაიმე, შვილო, თუ დარეჯანიანი ჩაჰყლაპე ვინმე, იმათ კაცს შენ ვერ მოინელებო! რა კაცი იყო, რა ფერი ჰქონდაო?

— „საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს კბილი ედგა“.

— ამირანი ყოფილა, შვილო, დარეჯანისძე, და შენი შველა აღარ ეგებო.

მართლაც, ამირანს ჩექმის ყელში აღმასის დანა ედო, ამოი-ლო, გამოსქრა ვეშაპს მუცელი და გამოვიდა.

ძმები ისევ წავიდნენ ყამარ-ქალის საძებრად. ათასი თავგადა-სავალი გადახდათ, ათასგან იომეს და ჰღვარეს სისხლი. ბოლოს მია-დგნენ ცხრა ძმა დევის კარს. ეს დევები ძალიან გახვიებულები¹ იყვნენ: ერთი უზარმაზარი ოჯახი ჰქონდათ, უთვალავი ქალი და რძალი ჰყავდათ, ბალები და მოხუცებულები. მუდამდღე აუღებე-ლი სუფრა ედგათ, არცა მუშაობდნენ და სულ უქმად ეყარნენ. ამირანი მივიდა დევების კარზე; გაიღის და გამოიღის და უყუ-რებს დევების კარებს. ერთმა ქალმა დაინახა ამირანი, შევიდა და უთხრა დევებს: „აქ ვილაც კაცი მოსულა, კარებზე დასეირნობს და აინუნშიაც არ იგდებს, რომ აქა ხართო“. დევებმა სთქვეს: „ის თუ იქნება, დარეჯანისძე იქნება, სხვა აქ ვერავინ მოვიდოდაო“. გამო-გზავნეს ერთი ქალი და უთხრეს: „გადი, გაუარ-გამოუარე, გაუცი-ნე და, ეგები, იმანაც გაგიცინოსო; თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა, შემოდი, შეგვატყობინე: თავდარიგი უნდა დავიჭიროთ, თორემ და-რეჯანის ძე ადვილი სასტუმრო არ არისო“. გამოვიდა დევის ქალი.

¹ გახვიებული — გაზრდილი, გამრავლებული.

გაუელის და გამოუელის ამირანს, გაუელის და გაუცინებს. ამირანმა უთხრა:

„რას იცინი, დევის ქალო, რას მიელვი თეთრსა კბილსა? გამიელი და გამომიელი, გამისინჯავ ბაგე-კბილსა!

სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან, დავკარგე და ვეძებ ვირსა;

დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი, ჩემი ბედიც ასე სკირსა!“

ქალი შევიდა შინ და მოახსენა დევებს: „ოქროს კბილი და საცრის ოდენი თვალეები აქვსიმ კაცს, ვირები დაუკარგავს და დაეძებსო“.

სანამ ქალი ლაპარაკს გაათავებდა და დევები იარაღს აისხამდნენ, ამირანი შეუვარდება დევებს და წაიკაფიავენს¹:

«ვაჟიკაცო გულოვანო, ღვინის ფერო, მცინარეო!

ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო!»

დაერია დევებს თავისი შოკლე ხმლით და სულ ერთიან ამოქულიტა. დევების სისხლით სახლი თავამდე აივსო. სისხლის გუბე-ყელამდე მოადგა ამირანს, შეიკრა, შეკუთდა და დაარჩობდა კიდევ, რომ ბედისაგან გაწირული უოფილიყო. ბედად სისხლში ერთი დაქრილი დევი ფართხალობდა ამირანის ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, ესროლა სახლის კარებს და გაამტერია. სისხლმა ერთი დაიქექა, დაიგრიალა და ბურთივით გავარდა კარში. რაკი სისხლი მოშორდა, ამირანმა მხრები გაიწია, გაიბერტყა და თავისუფლად ამოისუნთქა. გაწმინდეს ძმებმა სახლი, მიალაგ-მოალაგეს, მოაწყვეს და დაიწყეს შიგ ცხოვრება.

IV

მაგრამ ამირანს დიდხანს არ დაუდგა გული სახლში: ცხადადაც და სიზმარშიც თავისი ყამარი აგონდებოდა. ბადრს თეთრონი² სთხოვა: „უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად მივდივარ; და, თუ იმოდენა სიკეთეს მიზამთ, თქვენც წამოხვალთ, ეგ ხომ ყველაფერს ემჯობინებაო:

„ბადრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევეითა,

გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი მზე ვითა,

თან ყურძენ გამოვაყალო, ტკბილია დედის რძე ვითა!“

¹ კაფია—შაირი; წაიკაფიავენს—შაირს იტყვის. ² თეთრონი—ცხენის სახელია.

ათხოვა ბადრმა თეთრონი, ძმებიც გაჰყვნენ და წავიდნენ ყამარის მოსაყვანად.

ამირანმა ძმები ზღვის გამოღმა დასტოვა, თვითონ კი თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში. გააპო ზღვა, გავიდა გაღმა და გააშურა ცხენი ყამარისაკენ. ყამარს დედ-მამა ცაში ჰყავდა და მისი კოშკიც ცაზე იყო ჯაჭვით ჩამოკიდებული. ამირანმა ჰკრა დეზი თავის ცხენს, შეახტუნა მალლა, მისწვდა ჯაჭვს თავისი ხმლით, გასწყვიტა და კოშკი მიწაზე ჩამოვარდა. მიაგლო ამირანმა ცხენი ფანჯარასთან და შესძახა:

— ჩამოდი, ყამარო, ჩვენსა წავიდეთო!

ყამარი ჯამ-ქურქელს რეცხდა და არ ეცალა. ჩამოსძახა: „ამოდი, ცოტა შეისვენე, მეც ჯამ-ქურქელს დავრეცხ და მერე წავიდეთო“.

ამირანმა დააბა რაში ძირს და თვითონ ყამართან წავიდა. ყამარმა დარეცხა ჯამები და ამირანს უთხრა: „შენ-კი დააწყეო; ფრთხილად დალაგე, არაფერი გასტეხოვო“.

აწყობს ამირანი ჯამებს და ერთი ჯამი, რამდენჯერაც ამირანი პირქვე დასდგამს, იმდენჯერ გადმობრუნდება გულაღმა. გაბრაზდა ამირანი, დასცა წიხლი ურჩს ჯამს და დაამსხვრია. გატყდა თუ არა ჯამი, მთელმა მთელს უთხრა, ნატეხმა ნატეხს, დადგა ერთი ყრიაბული და ხმაურობა, აიშალა ქურქელი და სულ ერთიან გასწია ცისაკენ, ყამარის მამისაკენ: „ყამარი მოიტაცეს, მიეშველენით, დაგვეკარგა, მღევარიო!“

ყამარმა უთხრა ამირანს: „ის ქურქელი ჩვენ კარგს არ დაგვაცურის: მამა-ჩემი გამოგვიდგება და ადვილად ვერ გადაურჩებით, თუ ჩქარა არ წავედითო“. შემოისვა თეთრონზე ყამარი ამირანმა და გაქუსლა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ავარდა, გრიგალი ასტყდა. ამირანმა აიხედა მალლა და სთქვა: „ამ ცაში-კი არაფერი ნიშნებია და ამ მიწის პირზე რაღა ამბავიაო“. — კარგა გზა გაიარეს და დაუშვა წვიმამაც. ამირანმა კიდევ აიხედა ცაში და სთქვა: „დიდება შენტვის, ღმერთო! წელან ცა ვათვალიერე, საავდრო ჰაერი არ იყო და ეხლა საით მოვიდა წვიმაო!“

— „ეგ ქარი მამიჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო“, — უპასუხა

ყამარმა: „ეს წვიმა კიდეც დედიჩემის ცრემლია, ჩემს დაკარგვასა სჩივიანო. აჩქარდი, ამირანო, აჩქარდი!“ დააჩქარა ყამარმა:

„ამირან, გვალე-გვალესა¹, მუხლად გაქებენ მალესა!
ამბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალედვე მოგეწვივინ, ომს გაგიწივენ ცხარესა!“
ამირანმა შეაგულიანა ყამარი: ამოდ იარეო!

ამოდ იარე, ყამარო, გზათა ვერ დაჰლევ ბრძოლითა.
არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა;
არცა ვარ ქალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწვევრითა;
არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქართა;
მოვლენ და მეც აქ დაეხედები ამ ჩემის გორდა² ხმალითა;
უსიპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა.

სუყველას თავებს დაგიჭრი საპურყველია დანითა.

იმ მამიშენის ლაშქარსა, დაუმადარსა ღომითა,
მარტო გაუხედი³ ჩხუბადა, მარტო ვეყოფი ომითა!“

გამოვიდა ამირანი ზღვას, გამოიყვანა ყამარიც. მოდგა და მოდ-
გა მდევარი ჯარიც ყამარის მამისა ხომალდებით. გაივსო ზღვის მი-
დამო.

ბადრს უთხრა ამირანმა: „შეკაზმე, ძმაო, შენი თეთრონი, შე-
ჯე, ჩადი და, აბა, რამდენი ხანი დაგელევა ლაშქრის შემოვლაშიო“.
ბადრის თეთრონი ისეთი იყო, რომ ერთის წლის სავალს ერთს
სათში გაირბენდა; ზღვა და ხმელი იმისთვის ერთი იყო. ადგა
ბადრი, შეკაზმა თავის თეთრონი, შეჯდა და ჩავიდა. დაარქო ერთს
ადგილს ისარი, რომ იქვე მოსულიყო, საითაც წინა-წინ გააქცია
ცხენი. ჩაარქო ისარი, გააქცია ცხენიც, მაგრამ ეშმაკებმა მოგლი-
ჯეს ისარი და უკან გამოუდგნენ ბადრს (ყამარის მამის ლაშქარი
სულ ქაჯებისა და ეშმაკებისაგან იყო შემდგარი). არბენინა ბადრმა
დიღხანს თავის თეთრონი, მაგრამ ისართან მაინც ვერ მივიდა. ბო-
ლოს დაბრუნდა ამირანთან და უთხრა: „ტყუილად ვირბინეო!“

„ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე, გარსა ვერ მაშირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვისა ოფლი არ შემიშრენია⁴,
ამ ჩემი მათრახისთვისა ფოჩი არ შემიჩრენია!“

¹ გვალე—იარე! ² გორდა—მოკლე. ³ გაუხედები, მიუხეტები. ⁴ არ შემიშრენია—არ შემიშვრია.

მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად. დაარკო ისარი და გააფრინა თეთრონი. მოკვიდნენ ეშმაკები, დაე-
ბლაუქნენ დარეჯანის ძის დასმულს ისარს, მაგრამ ვერ ამოაძრეს.
შემოურბინა ამირანმა ლაშქარს ერთს წამიერა ხანს და მოვიდა
ძმებთან. უსიპს უთხრა: „ჩაღი, უსუპო, იომე, მერე ჩვენც მოგე-
შველებითო!“

ჩავიდა ვაჟი უსუპი, ჩავიდა სახელიანი, ჩავიდა და ჩაზომა სა-
ლაშქრო გზები, შეუტია ჯარს, იომა, იბრძოლა, გაანახევრა ჯარი,
მაგრამ თითონაც იქ დადვა ვაჟკაცურად თავი. მოჰკლეს უსუპი.
ამირანს გულმა გაუგო, უსუპის თავს ჰირიაო, და ბადრს უთხრა:

„ან ჩაღი, ბადრო, ან ჩავალ, ან გამიღესე ხმალია;

ჩავალ და ველარც ამოვალ, ვაიმე შენი ბრალია!“

ამირანის წესი იყო: სადაც ომში ჩავიდოდა, ან გაიმარჯვებდა
და ან მოკვდებოდა: „სირცხვილიანის შინ მისვლას, სიკვდილი
სჯობს სახელოვანო“,—იტყოდა ხოლმე ამირანი.

შეჯდა ახლა ბადრი და ჩავიდა ძირს სისხლის საძებრად. იომა
ბადრმაც, მაგრამ მოჰკლეს ისიც. მაშინ ყამარმა უთხრა ამირანს:
„შენი აბჯარი მე მომეც, მე ჩავალ საომრადო“. — „რას ამბობო“,
გაუჯავრდა ამირანი: „დედაკაცებს თავის საქმე ნუ გავიწყდებათ!
რა შენი საქმეა ხმალი? ხმლიანი მე ვარ, მე ჩავალო. ეგ რა ნამუ-
სია, ან სახელი ჩემთვის, რომ შენ იომო და მე აქით გიციქროდეო!“

„მაშ თუ ჩახვალო“, უთხრა ყამარმა: „არ დაიშალო, ეს მაინც
ამისრულეო: ომშით¹ რო გამოდიოდე, ხმალს ნუ ჩააგებ, ჩემთან
ხმლიანი ამოდიო“. ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა
სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხვრებსავით თავები, გასწყვიტა მთელი
ლაშქარი და შეხვდა ბოლოს პირის-პირ სიმამრს. შეუტოვს ერთმა-
ნეთს ამირანმა და ყამარის მამამ. სცეს ერთურთს ხმალი, ფარი უფარეს.
ორივეს ბექტორები² ეცვა: ვერც ერთის ხმალი ვერა სჭრიდა ჯაჭვს.
ამირანის ხმალი ყამარის მამის მუწარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერ-
წკლის ცეცხლი ენთებოდა: ყამარის მამის ხმალი ამირანის ბეგთარს
რომ მოხვდებოდა, ჯაჭვი გველივით წიოდა. უცქეროდა ყამარიც
დიდხანს ამირანისა და მამის უნაყოფობას, ჰხედავდა, რომ ამირანს

¹ ომშით—ომითგან. ² ბექტარი—ჯაჭვის ჩასაძმელი (საომარი).

გაუქირდებოდა და უქირდა კიდევ ქაჯთ ბატონის მოკვლა; შეუ-
შფოთდა გული ყამარს და შეკვმო ამირანი:

„ამირან, ცოლ-დედა მკედარო, ომი ვერ იცი კილოსა,
მალა-კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰქარ რბილოსა:
დააწყდებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა:

ბოძნი რო დაეკრებიან, დარბაზნი დაეცემიან!“

გაიგონა ქალის სიტყვები ყამარის მამამ: მამისად ღალატი,
ქმრისად მხრის ქერა; გული აემღერია და დაუძახა ყამარს ყვედრებით:

„უყურეთ კახა ქალასა: ქმარი ირჩია მამასა!

ქმარი ხეს ასხა ფოთლად, მამას ვინ მისცემს საწყალსა?!

რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწოებდა ძუძუსა, გირწებდა აკაენასა?“

„დედაშენს რო შობამდისევე გასწყალეზიყავ მუცელში, ან ძალ-
ლი ეშობა და გაეზარდა შენს მაგიერ, ისა სჯობდა შენს გაჩენასა
და შენს გაზღას, ის უფრო ნამუსი და სახელი იქნებოდა, ძალლი
უფრო ერთგული იქნებოდაო!“

ყამარმა უპასუხა:

„არცრა გამზარდა დედამა, არცრას მეტყოდა ნანასა;

მიმაგდის სახლის ყურეში თავგების ანაბარასა...

არცარას მათირებდოდით², არცრას მეტყოდით ნანასა,
დამსოდით დავიწყებული, მალირებდოდით დანასა!

მაგას გაზღას ეძახით, რომ ერთხელაც არ მიბრუნებდით
თავს, ტირილით რომ მომკვდარვიყავიო?“

ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოჰქრა ქაჯთ ბატონს
ფეხებში ხმალი და დასქრა. მოჰკლა სიმამრი, გასწყვიტა იმის ღაშ-
ქარი და გამარჯვებული და გახარებული მიდიოდა ყამართან. წინ
ერთი ქალი შეხვდა: ნახა ხმალამოდებული ამირანი და უთხრა:

„ნეტა ხმლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქამაო?“

გასწყვიტე ცოლეურები, ვინ ვითხრა ბარაქალოა?

შენ თუ კაცი იყო, ხმალს ჩააგებდი და წახვიდოდი ძმების
სამებნელადო“.

¹ აკაენა—აკენი. ² თირება—პირში ჩადება (მაგალითად, ძუძუსი). ³ თარაქამა—მდა-
ბიო ხალხი, თურქენი (ზორბა ტანის ხალხია).

მოაგონდა უსუბის სიტყვა ამირანს: „შენის ცოლის გულისთვის სუ ძმები დავილიენითო“, დააფიქცა ყამარიც, თავის თავიც და გამარჯვებაც. იმის გულში მარტო ძმების საგონარს ჰქონდა ადგილი: „მაშ თქვენი ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ არ გიპოვნოთ, მკვდრები იქნებით თუ ცოცხლებიო“, გაივლო გულში ამირანმა: „ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან გავიხარებ, მკვდრები და მეც თქვენთან გავითხრი სამარეს და თქვენთან მოვკვდებიო“. ესა სთქვა ამირანმა და გავიდა მკვდრებით მოფენილს ველზე ძმების საძებნელად. თვალგადუწვდენელი მინდორი დახოცილი ლეშით იყო შერთული და შეფარული. ყვავი და ყორანი ხარობდა მტრების მძოვრზედ. ცალკე ნადირნი ხარობდნენ უპატრონო მკვდრებზედ და ცალკე ცის ფრინველნი. სისხლი რუებად მიდიოდა. ეძებდა ამირანი თავის დახოცილ ძმებს მკვდართა შორის, მაგრამ იმოდენა ღუნია¹ მკვდრებში ეგრე ადვილად როგორ იპოვნიდა? ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა მკვდარი უსუბი, აიღო ხელში ამირანმა და წავიდა ახლა ბადრის საძებნელად. დიდის ძებნის შემდეგ იპოვნა ბადრიც, ისიც მკვდარი. დააწყა ერთად მკვდარი ძმები ამირანმა, დაჯდა თითონაც იმათთან და ერთხელ კიდევ ჩასძახა მკვდარს ძმებს: „ძმებო, ნუ დამემღურებით, მეც თქვენთან წამოვალო!“, — და დაიწყო გულოში თავის მოკლე ხმალი: უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი, მაგრამ ხმალმა არ გასჰკრა: ამირანი არ მოკვდებოდა, თუ ნეკა-თითს არ მოიქრიდა. „დაჯდა ამირანი მკვდარ ძმებთან და დაიწყა ტირილი: „სიკვდილიც აღარ მელირსა თქვენთანაო; ღმერთი სიკვდილსაც-კი იშურებს ჩემთვისაო“.

ზის ამირანი და გარს ორად ნაკაფი ქაჯები ჰყრია. წამოიწვეს ერთი მკვდარი ქაჯი და გადასძახებს მეორე მკვდარ ქაჯს: „ადე! ადე! რა მოვიხილე: ამირანს თავის მოკვლა უნდოდა, ხმალი დაიწყო გულში, მაგრამ არ მოკვდაო. ამირანი ისეთი რეგვენი ყოფილა, რომ არა სცოდნია როგორ მოკვდებოდა. იმან რომ ნეკა-თითი მოიქრას, მეტიც არ უნდაო!“ გაათავა ეს სიტყვები მკვდარმა ქაჯმა, მიღვა თავი და ისევ მიწვა. დადგა ისევ სიჩუმე და სიკვდილი. გაიგონა ამირანმაც იმათი ლაპარაკი, ამოიღო ხმალი და მოიქრა ნეკა-თითი. უდინა სისხლმა და მიწვა იგიც ძმებთან.

¹ ღუნია—ქვეყანა.

„ყამარო, დამსხენ ძუძუნე, შენც ჩემთან დასთმე თავიო:
ცოცხალსა სიარსამულსა! მე გირჩევივარ მკედარიო!“
ეს სიტყვები კიდევ მოასწრო და მიაბარა სული.

ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა აღგეთის ქალა გაექნა;
უძმოსა, უმამისძმოსა ამირანს თავი მოეკლა.

მივარდა ყამარიც ცრემლის შლით, დასტირა და დაჰგლოვა
ამირანს, მაგრამ ვინ იყო იმის მეშველი!

ზის და ტირის ყამარი. იმისი ცრემლები ზღვას ერთვიან, იმი-
სი ცოდვით ხეებს ფოთლები სცივია; ამირანი-კი გღია უმეშველო...
უცებ გამოძვრება ერთი თავგი და დაუწყებს ამირანის სისხლს ლოკ-
ვას. მოუფა გული ყამარს, გაიძრობს ქოშს ფეხიდან, დაჰკრავს თავ-
ში თავეს და იქვე მოჰკლაეს. თავისი სიკვილიზე გამოვარდება იმი-
სი დედა და დაუწყებს ჩხუბს და ლანძღვას ყამარს: „შე, კახპავ,
შენა! შენის გულისათვის შენმა მამამ მოიკლა თავი; შენი ქმარ-მაზ-
ლები წინ გიწყვია მკედრები; ამდენი ჯარი გაწყდა და შენ კი არ
შეგრცხვია! იქნება ისა გგონია, რომ მეც არ მენანებოდეს ჩემი შვი-
ლი, როგორც შენ შენი მამა და ქმარ-მაზლები! ბრალი შენი, შენ
რას უზამ მაგდენს მკედრებს, თორემ მე ჩემს შვილს მალე გავაცო-
ცხლებო!“ ესა სთქვა თავგმა, გაიქცა, მიირბინ-მოირბინა, იპოვნა
რალაც ერთი ბალახი, მოიტანა, წაუსვა შვილს, გააცოცხლა და
კისერში კინწისცემით გააქანა სოროში. ადგა ყამარიც, მოძებნა
იგივე ბალახი, იპოვნა, მოიტანა, წაუსო ამირანს და გააცოცხლა.
ადგა ამირანი, მოიფშენიტა თვალები და სთქვა: „ოჰ, რა ბევრი
მძინებილა!“ - „ბევრი მაშინ გეძინებოდაო, — უთხრა ყამარმა, — რომ
თავგი არ გამოგვიჩენიყო.“ მერე მოჰყვა ქალი ყველაფერს და
უამბო, რაც საქმე გადახდა. გააცოცხლეს ბადრიც, უსუპიც და ოთხ-
ნივე წავიდნენ სახლში.

ნეტავი ძმათა მრავალთა, ცხარე მზე ამოუხდება²,
ვერც ვინ წაართმის დიაცსა, ვერცვინ შინ შემოუხდება!..

¹ სიარსამული—სიასამური, სამური, ხაზიდი, მტაცებელი ნადირია, რომლის ბეწვიც ძვირად ფასობს. ² ამოუყვა.

V

ზავიდა კარგა ხანი. ამირანმა ბევრი რამ გადაჰყარა¹, ბევრს დევს დაუბნელა წუთისოფელი, ბევრი გველ-ვეშაპი გამოასალმა ქვეყანას. ამირანს თავის მომრევი აღარავინ ეგონა ქვეყანაზე. ერთ ღროს იქაპდის მიიყვანა საქმე, რომ დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი ველური ღორი და სამი მუხა დასტოვა. თავის სიცოცხლეში ღმერთსაც ბევრი აწყენინა. მაგრამ უკანასკნელი დანაშაული ყველას აღემატებოდა: გაამაყებულმა ამირანმა სთქვა „ის ჩემი ნათლია, ღონე რო მომცა, ნეტაი ერთი მაჰიდა, მეცადა—რა ვაჟაკაიაო“. ერთხელ, მართლაც, წინ ქრისტე-ღმერთი შეხვდა. ამირანმა უთხრა: „ნათლიავ, შენ იმოდენი ღონე მომეცი, რომ ქვეყანაზედ ველარავინ მიწონს, და მოდი, რაც იქნება—იქნება, ერთი მექიდეო“.

— „ამირანო, ფილაფოზი² კაცი ხარ და მაგდენი როგორ არ იცი, რო ნათლიას არ უნდა ექიდეო?“—უთხრა ქრისტე-ღმერთმა.

— „არა, უნდა მექიდეო“, დაიყენა ამირანმა.

--- „მაშ კარგო“,—უთხრა ქრისტე-ღმერთმა: „მე ამ ჯოხს, ხელში რო მიჭერია, დავარკობ და, თუ ამოიღებ, გამარჯვებულნი იქნებიო“.

— „კარგო“, უთხრა ამირანმა: „მაგრამ ეგ ჯოხი თუნდა ამომიჭერია, თუნდ არაო“.

დაარკო ქრისტე-ღმერთმა ჯოხი. მივიდა ამირანი, დაეკიდა და ადვილად ამოიღო. დაარკო კიდევ მეორედ ჯოხი ქრისტე-ღმერთმა, და ამირანმა კიდევ ამოსწია და ისევ ადვილად ამოიღო.

„ეჰ, რას მეთამაშებო!“ უთხრა ქრისტე-ღმერთსა: „თუ გინდა, მექიდე, თუ არა და—თავი დამანებეო“.

მაშინ აიღო ქრისტე-ღმერთმა თავისი ჯოხი, დაარკო და უბრძანა ისეთი ფესვები გაედგა, რომ მთელ ქვეყანას სარტყელივით შემორტყმოდა. მერე უბრძანა ამირანს: „ამოსწიეო!“

დაეზიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ტყუილად: ძვრაც ვერ უყო.

მაშინ დასწყევლა ღმერთმა ამირანი, კავკასიონის ქედზე უზარმაზარი რკინის პალო ჩაასო და ზედ დიდი ჯაკვით მიაბა. ამირანთან მიაჯაკვა ღმერთმა ყურშა-ძაღლიც, რომელსაც ბევრი ღვთის

¹ „ბევრი რამ გადაჰყარა ამირანმა“—ბევრი რამ გადაჰხდა ამირანს. ² ფილოსოფოსი, ბრძენი.

საყვარელი ჯიხვი გაეწყვიტა. ეს ყურშა ყორნის ნაშობი იყო და ზურგზედ ორი ფრთა ესხა, ამიტომაც არა ნადირი არ გაეცდებოდა, ვერ წაუვიდოდა. ამირანს დღეში ერთი პური და ერთი ქიქა ღვინო აქვს გაჩენილი, რომელსაც ყოველდღე ყორანი უზიდავს. წლის განმავლობაში ამირანი და ყურშა სკიმავენ რკინის ჯაქვს და პალოს ზევით-ზევით სწევენ, იქამდის მიიყვანენ, რომ ეს-ეს არის ამოძვრება მიწიდანო, მაგრამ ამ დროს ღეთის განგებით ბოლოქანქალა-ჩიტი მოფრინდება და პალოზე დაჯდება. ამირანმა იცის, ვინც არის ეს ჩიტი. გულმოსული მოუქნევს ჩიტს რკინის უროს, ჩიტი აფრენას მოასწრებს, ურო პალოს მოხვდება და ისევ ძირამდის ჩაარქობს. ასეა მუდამ-წელს. რკინის ჯაქვიც ცვდება, თხელდება უფრო მისგან, რომ ყურშა ძალიან განიადაგებით ლოკავს და ათხელებს; წელიწადში ერთხელ ჯაქვიც მიდგება ხოლმე გაწყვეტაზე, მაგრამ მთელი ქვეყნის მკედლები დიდხუთშაბათ დღეს გრდემლზე კვერს დაჰკრავენ ხოლმე (ასეთია მათი ადათი) და გასაწყვეტად გამზადებული ამირანის ჯაქვი ისევ სქელდება. იქვე ახლოს უძევს თავისი მოკლე ხმალი ამირანს, მაგრამ ველარცარას ის არგია: ისიც ჟანგისა და მიწის შექმულია. ასეთ ყოფაში არიან: ამირანი, მისი ერთგული ყურშა და იარაღი. „ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამირანს აეწყვიტოს, თორემ მთელს ქვეყანაზე საშინელებას დაატრიალებდაო“, — ამბობს ქართველი კაცი: „ყველაზე უწინ მკედლებს დაერეოდა და მერე, თვით ღმერთზე გულაყრილი, მთელ ქვეყნიერებასაც დაატყვედაო“.

ქირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

ელასა, მელასა, ქიქა მეკიდა ყელასა;

მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გეწყალობდეს ყველასა!

მთას ურემი ავიტანე, წამოვიდა გორებითა,

აქ სიცოცხლით დაგვიძეხით, საიქიოს—ცხოვნებითა!

7 ხათაგანი და შვათაგანი

სამეგრელოში გაგონილი

იყო და არა იყო რა. ღეთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი მეფე. ჰყავდა სამი ქალიშვილი. ამათ თავის დღეში მზე არ ენა-

ხათ: მამას ოთახში ჰყავდა დამწყვედელი და ყოველ მესამე დღეს ასწონიდათ ხოლმე.

ერთს დღეს უმცროსმა ქალიშვილმა უთხრა თავის დებს: „დებო, მოდიოთ, იატაკის ერთი ფიცარი ამოვაგდოთ და ვნახოთ, მზის სინათლე როგორიაო!“

დებმა მიუგეს: „ვინც პირველად სთქვა, იმან ამოაგდოსო!“

ადგა უმცროსი და ამოაგდო იატაკის ერთი ფიცარი, გაიხედა და დაინახა: მოშორებით, ზღვის პირას, ერთი წითელი ვაშლი ეგდო; მოუვიდა სურვილი იმ ვაშლის ქამისა; სთხოვა დებს წაჰყოლოდენ იმის ამოსატანად, მაგრამ დებმა უთხრეს: „ვინც ნახა, იმან მოიტანოსო“.

წავიდა უმცროსი და მოიტანა ვაშლი; გათალა, დასკრა და მიაწოდა თავის დებს საქმელად. მაგრამ დებმა უთხრეს: „ვინც ნახა, მოიტანა და გათალა, იმან ქამოსო!“ აიღო და შექამა უმცროსმა დამ; შექმისათანავე დაორსულდა.

მესამე დღეს მეფემ ჩვეულებისამებრ ასწონა ისინი და, რა ნახა, უმცროსი ქალიშვილი ზომას გადაცილებულია, განრისხდა და უბძანა ვეზირს: „შეუკარი ამ უნამუსოს ხელ-ფეხი, აუხვიე თვალები, წიყვანე უდაბურს ტყეში და იმისთანა ადგილზე დასვი, სადაც არც მამლის ყვილი ისმოდეს და არც ძაღლის ყეფა; იქ ახვეული თვალი აუხსენი, წინ ჯოხი დაუდევი და შენ აქ მოდიო“.

ვეზირმა მეფის ბრძანება ასრულა.

გავიდა დრო; მოახლოვდა შვილის დაბადების დღე. მეტის-მეტე მწუხარებისაგან დაიწყო ქალმა ტირილი. მაგრამ გადმოვიდა ზეკით ანგელოზი, აიღო მის წინ მდებარე ჯოხი, დაჰკრა მიწას და გაჩნდა თორმეტსართულიანი სახლი. დაიბადა ყრმა, თვით ანგელოზმა მონათლა და დაარქვა სახელად ხათაგანი. ანგელოზმა დალოცა ხათაგანი, დაუტევა მშვილდ-ისარი, ერთი ფინია ძაღლი და გაფრინდა.

ხათაგანი დედასთან გაიზარდა, ისწავლა მშვილდოსნობა, და, როცა დავაჟკაცდა, დაიარებოდა ტყეში სანადიროდ; და, რასაც ესროდა, არ დააცდენდა; ფინია ძაღლიც თან დაჰყვებოდა, ნანადირევი ყოველ დღეს ბლომად მოჰქონდა დედასთან და გაკვირვებუ-

ლი იყო, რომ არ ჰყოფნიდა. თურმე დედასთან დადიოდა დევი; ხათაგანმა კი ეს არ იცოდა.

გახდა დედა ორსული ამ დევისაგან; დაებადა ვაჟიშვილი და დაარქვეს სახელად შვათაგანი. გაიზარდა შვათაგანი, შეუყვარდა თავისი ძმა ხათაგანი და გახდნენ ძმა-მეგობარნი: ყოველთვის ერთად დადიოდნენ ყველგან, ერთმანეთს არ სცილდებოდნენ, ერთმანეთის მოშორება უმძიმდათ.

დევს დაებადა შური ანგელოზის მონათლულისა და ურჩია დედას მისი მოკვლა. დედამ ჯერ შორს დაიქირა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა და შეეკითხა დევს: „როგორ მოვკლათო?“

დევმა მიუგო: „მაგისი ფიქრი ნუ გაქვს; როცა იმათ დაეინახავ ნადირობიდან დაბრუნებულთ, მე მაშინვე გველად გადავიქცევი, კართან მივიმალეები და, ხათაგანი რო შემოვა, ფეხებზე ვუკბენ და იქვე გავაგორებო“.

სალამოს მოვიდნენ ორნი ძმანი და, კიბეზე რო ავიდნენ, შვათაგანმა სთხოვა ხათაგანს: „თუ ძმა ხარ, ზურგზე შემომაჯექი და ისე შევიდეთ სახლშიო“.

ხათაგანი დასთანხმდა, შეაჯდა შვათაგანს ზურგზე და შევიდნენ სახლში. ამ დროს დევმა, რომელიც გველად გადაქცეული კარებთან იყო მიმალული, რა დაინახა თავისი შვილის ფეხი და ხათაგანი კი მის ზურგზე მჯდარი, თავის შვილს ვერაფერი უყო. ამით შვათაგანმა გადაარჩინა ხათაგანი სიკვდილს.

მეორე დღეს, ძმანი რო სანადიროდ წავიდნენ, დევი მიუბრუნდა თავის საყვარელს და უთხრა: „მე გადავიქცევი ისევ გველად, ავალ და კარების ზევით შევეჯდები; ისინი რომ მოვლენ, ისე მოიქცევიან, როგორც წინეთ, და, რა დაეინახავ ხათაგანს შვათაგანის ზურგზე მჯდარს, დავეცემი ხათაგანს ზევიდან თავზე, ვუკბენ და იქვე გავაგორებო!“

მაგრამ იმედი გაუმტყუნდა: სალამოს რა მოვიდნენ ძმანი, შვათაგანმა უთხრა ხათაგანს: „ძმაო, გუშინ მე რომ შეგიჯინე ზურგზე, ახლა მე შემიჯინე და ისე შემიყვანე სახლშიო!“ ხათაგანმა შეისვა ზურგზე შვათაგანი და შევიდნენ სახლში. დევმა, რომელიც, გველად გადაქცეული, კარებზე იყო შემჯდარი, რა დაინახა თავისი

შვილის თავი ზევით, ვერაფერი უყო და ამით შვათაგანმა მეორეთ გადაარჩინა სიკვდილს ხათაგანი.

მესამე დღეს ორივე ძმანი ისევ წავიდნენ სანადიროდ. დევმა მესამედ სხვა ხრიკი მოიგონა და უთხრა თავის საყვარელს: „როცა ხათაგანი მოვა, მიეც იმას ეგ მსხვილი თოკი და უთხარი: თუ ვაჟკაცი ხარ, ამით შეიკოჰე ხელ-ფეხი და გაწყვიტე-თქო. თუ ეს გაწყვიტოს, მერმე მიეც ჯაჰვი, და ბოლოს თავისი შვილდ-ისრის დაღეწვა უთხარი; და, თუ ამათგანს რომელიმეს ვერ მოერიოს, მაშინ მე დამიძახეო“.

სალამოს ჟამს ნადირობისაგან დაქანცულნი ძმანი მოვიდნენ შინ. ხათაგანმა გაასწრო შვათაგანს და მარტო მივიდა სახლში. დედამ მიუაღერსა თავის შვილს, მოუტანა თოკი და, როგორც დევმა დაარია, ისე უთხრა. ხათაგანმა შეიკოჰა ხელ-ფეხი თოკით და ერთი გაწევიტ გასწყვიტა.

ამას შემდეგ დედამ ჯაჰვი მისცა. ხათაგანმა ესეც გასწყვიტა.

ბოლოს თავისი შვილდ-ისრის დაღეწვა უთხრა. გათამამებული ხათაგანი ამასაც სწვდა. შეიკოჰა ხელ-ფეხი შვილდ-ისრით და უნდოდა დაეღეწა, როგორც თოკი და ჯაჰვი, მაგრამ ვერ მოერია. ეს რო დედამ დაინახა, დაუძახა თავის საყვარელ დევს. დევმა მაშინათვე სიხარულით მოირბინა, დაჰკრა ფეხი მიწას და უმანკო ხათაგანი ქვესკნელში ჩასძირა.

ამას შემდეგ შვათაგანიც მოვიდა და, შინ რომ ხათაგანი არ დაუხვდა, ტირილით გასწია ტყეში თავისი ძმა-მეგობრის საძებრად. ეძებდა ერთი კვირა, ორი კვირა, სამი, ოთხი, მაგრამ ხათაგანი არსად სჩანს.

ხათაგანს, რომელიც ქვესკნელში იყო, ანგელოზისაგან მოცემული ფინია ძალი უზიდავდა ნანადირევის ხორცს, ჩაუგდებდა ორმოში და ამითი იკვებებოდა ხათაგანი. იმ მინდორში, სადაც ხათაგანი იყო, დაბინავდნენ მეცხვარეები; ამ მეცხვარეებს შეეჩვია ფინია. ერთხელ, საკმლის ჰამის დროს, მივიდა ფინია მეცხვარეებთან და წკმუტუნით სთხოვა პური; იმათაც მიუგდეს ცოტა ნაჭერი. ფინიამ სტაცა პირი და გასწია იმ ამოთხრილ ალაგისკენ, სადაც წყნული მდევისაგან უმანკო ხათაგანი იყო დატანჯული; ჩაუგდო პური და ხელახლად მოირბინა მეცხვარეებთან. იმათაც შენიშნეს ძალ-

ლის საქციელი; მეორედ უფრო მოზრდილი პური მიუგდეს; ეხლაც იმ რიგად მოიქცა. აღგნენ მეცხვარეები, მივიდნენ იმ ადგილას და ჩასძახეს: „აღამიანი ხარ თუ პირუტყვიო?“ მათ მოესმათ აღამიანის ხმა; შეეცოდათ მეცხვარეებს, ჩაუშვეს თოკი ორმოში და ამოიყვანეს ხათაგანი. ხათაგანმა მადლობა უთხრა მეცხვარეებს და გასწია შვათაგანის საძებრად. დიდის ძებნის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს და მეტის-მეტო სიხარულისაგან მორთეს ორთავ ტირილი. შემდეგ ინადირეს და საღამოს ჟამს გახარებულნი დაბრუნდნენ შინ ნანადირევით.

დევმა რო ხათაგანი ცოცხალი დაინახა, გაუორკვედა შური. მეორე დღეს, როცა ძმები, ჩვეულებისამებრ, სანადიროდ წავიდნენ, დევმა უთხრა თავის საყვარელს: მე ეხლავე ღრუბლად გარდავიქცევი, მოვიყვან თხლისა¹ და სისხლის წვიმას და ორივეს ერთად დავახრჩობო. საყვარელიც დაეთანხმა. იქცა დევი ღრუბლად, დაიდევნა მათ და დაიწყო ისეთი თხლის და სისხლის წვიმა, რომ ნახევარ საათის განმავლობაში ერთ არშინამდე აიწია თხლებ და სისხლმა სიმაღლით. შვათაგანმა უთხრა ხათაგანს: „თუ ძმა ხარ, ესროლე შენი ისარი იმ ღრუბელსო!“ ხათაგანმა ესროლა ღრუბელს ისარი და, რომ მოხვდა, მათ წინ წივილ-კივილით დაეცა დევი.

ხათაგანს ეგონა, ზეცას ღვთის ქმნილებას შეეეხეო, და ტირილი დაიწყო, მაგრამ შვათაგანმა ანუგეშა და უთხრა:

„ეს არის მამა ჩემი, რომელსაც შენი სიკვდილი უნდოდა. გახსოვს ერთ დღეს რომ ზურგზე შეჯდომით შეგიყვანე სახლში? ის იმიტომ ვქენი, რომ მაშინ ეს, მამა ჩემი, გველად გადაქცეული, კართან იყო მიმაღული და როგორც კი შესდგამდი ფეხს, გიკბენდა და მოგკლავდაო. მეორე დღესაც მე რომ შეგაჯექი ზურგზე და ისე შევედით სახლში, ის იმიტომ ვქენი, რომ მაშინ ეს, მამა ჩემი, იმ სახით ზევით კარებზე იყო ჩამოწოლილი და ზევიდან თავზე დაცემას გიპირებდა. მესამედ, ამას ხომ შენი თვალთ ხედავდი, როგორ ჩაგძირა ქვესკნელში! მეოთხედ, ხომ ხედავ ახლა, ორივეს დალუპვა უნდოდა, მაგრამ ჩვენ დავასწარიო. ახლა ამისი დარდი ნუ გაქვს, წავიდეთ, მოვშორდეთ ამასო“.

¹ თხლე—ღვინის ნაღული ქუქუი, ნალექი.

საყვარელმა. გააგონა თუ არა დევის სიკვდილი, გასწია წივილ-კივილით სანახავად, მაგრამ რას უშველიდა! ბევრი ტირილის შემდეგ, მოსკრა თავი დევის და იმისი ტვინით უნდოდა მოეწამლა იმისი მკვლელი.

მოვიდა სახლში, გამოაცხო სამი პური. ერთ პურში დევის ტვინი ჩასდო და სხვა ორი წმინდად გამოაცხო და შეინახა.

როცა მოვიდნენ ხათაგანი და შვათაგანი, ასწია დედამ ეს ტვინიანი პური და ხათაგანს მისცა, თავისთვის წმინდა პური დაიკავა და შვათაგანსაც წმინდა პური მისცა.

ამას მიხვდა შვათაგანი, მიუბრუნდა ხათაგანს და წყლის მოტანა სთხოვა; დედას ხათაგანის შეილდისრის მოტანა სთხოვა. ესენი რომ წავიდნენ თავთავიანთ საქმეზე, შვათაგანმა შესცვალა უცებ პურები: ტვინიანი პური დედას დაუღვა წინ და დედის წმინდა პური ხათაგანს.

შემოვიდნენ დედა და შვილი და მოიტანეს, რის მოტანაც სთხოვა შვათაგანმა. შემდეგ დასხდნენ და დაიწყეს პურის ჭამა. მესამედი პური რომ შეკამა დედამ, მკვდარი დაეცა. მაშინ შვათაგანმა უამბო ხათაგანს ყველაფერი, თუ რა მიზეზით მოკვდა დედა: დედა რო დაასაფლავეს, შესხდნენ რაშებზე¹ და გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ჯვარედინ გზაზე. აქ შვათაგანი მიუბრუნდა ხათაგანს და უთხრა: „ძმაო ხათაგან! მე ვარ დევის შვილი; შენ კი ვისი შვილი ხარ, არ ვიცი, მაგრამ ანგელოზის მონათლული ხარ და მე ღირსი არა ვარ შენთან სიარულის; ამ გზაზედ მარჯვნივ შენ წადი, მარცხნივ მე წავალ და გავშორდეთ ერთმანეთს. თუმცა გვიძძიმს დაშორებაო“.

ბევრი ევედრა ხათაგანი: „ერთად ვიცხოვროთ, ნუ დავშორდებით ერთმანეთსო“, მაგრამ შვათაგანი, რადგან თავისთავს იმასთან სიარულის ღირსად არ სცნობდა, არ დასთანხმდა. მაშინ ხათაგანმა აჩუქა თავის სახსოვრად შვათაგანს ანგელოზისაგან მოცემული ფინია; იმანაც მადლობა უთხრა. მერმე გამოემშვიდობენ ერთმანეთს ტირილით და გაუდგნენ თავ-თავიანთ გზას. გამოთხოვების დროს შვათაგანმა უთხრა ხათაგანს: „გზაზედ შენ შეხედები მდინა-

¹ რაში—ზღაპრული ცხენია, ბედაური.

ნარეს; იმაში შენც დაიბანე ტანი, შენი რაშიც აბანავე და ამოსვლისათანავე ოქროს ტანისამოსით შეიმოსებო“.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა ხათაგანმა, შემოეყარნენ წინ მეცხვარეები. ამათგან ხათაგანმა იყიდა ცხვრის ტყავი და გაუღდა გზას.

ცოტა ხნის შემდეგ შეხვდა ერთ მდინარეს; შევიდა მდინარეში, დაიბანა ტანი, რაშიც აბანავე და ამოსვლისათანავე ოქროს ტანისამოსით შეიმოსა. შეჯდა რაშზე და გაუღდა გზას.

იარა, იარა და მივიდა ერთ მინდორში. ჩამოხტა რაშიდან, გაიხადა ოქროს ტანსაცმელი, ჩაალაგა რაშის ყურში, ლაგამი იქვე ფულურო ხეში მიმალა და გაუშვა რაში საბალახოდ. თვითონ ჩაიცვა ცხვრის ტყავისაგან შეეკერილი ტანისამოსი და გასწია მეფის სასახლეში, რომელიც იქვე მახლობლად იყო.

მივიდა მეფესთან, თაყვანისცა და სთხოვა მებღაღობა. მეფემ თავისი ბაღის დარაჯად დააყენა.

ამ მეფეს ჰყავდა სამი ქალიშვილი. ერთხელ, როცა მეფის უმცროსი ქალიშვილი ბაღში დასეირნობდა, დაინახა ხათაგანი, რომლის სილამაზემ და სახის მამაცურმა გამომეტყველებამ მოხიბლა მეფის ქალიშვილი, და შეუყვარდა ამ ქალიშვილს ხათაგანი.

გაიარა ამის შემდეგ რამოდენიმე ხანმა. მეფემ შეჰკრიბა თავის საბრძანებელში ყველა წარჩინებულნი, მისცა თავისს ქალიშვილებს თითო ვაშლი და უთხრა: „ვისაც რომელი ყმაწვილი მოგეწონოსთ ქმრად, იმას ესროლეთ თქვენ-თქვენი ვაშლიო“.

უფროსმა დებმა ამოირჩიეს ორი წარჩინებული და მშვენიერი ყმაწვილი, და იმათ ესროლეს ვაშლი. უმცროსმა ქალიშვილმა ხათაგანს ესროლა ვაშლი; იმანაც დაიქირა. მეფემ რო გაიგო უმცროსი ქალის საქციელი, დიდად ეწყინა, მაგრამ რას იზამდა, რადგან ნება ჰქონდა მიცემული.

დააქორწილეს სამივე თავიანთ არჩეულებზე, ქორწილის გათავების შემდეგ, მეფემ უფროს სიძეებს უბოძა უმაღლესი ადგილი თავის საბრძანებელში, და მესამე უმცროსი სიძე, ე. ი. ხათაგანი, თავისი ცოლით მიუჩინა მათ მოსამსახურედ. ამის გამო ხათაგანს მუდამ ეჩიჩინებოდა თავისი ცოლი: „თავი გამოიჩინე, მუდამ ტყავში გახვეული ნუ დადინარო“; მაგრამ ხათაგანი ყურადღებას არ აქცევდა.

გავიდა ხანი. გახდა მეფის ცოლი ავად. ექიმებმა ახლად მო-

კლული ტახის¹ გული გამოუწერეს. ამის გამო უფროსი სიძეები წავიდნენ ტახის მოსაკლავად. ხათაგანიც მივიდა და სთხოვა მეფეს ცხენი. მეფემ გაიცინა და ფეხმოტეხილი ცხენი მისცა. შეჯდა ხათაგანი და წავიდა ტახის გულის მოსატანად. მივიდა იმ მინდორში, სადაც თავისი რაში ჰყავდა გაშვებული; გამოიღო ხის ფულუროდან ლაგამი, დააჩხარუნა და მაშინვე იქ გაჩნდა იმისი ბედაური. ამოიღო ბედაურის ყურიდან უნაგირი და შეკაზმა. მერე ამოიღო ოქროს ტანისამოსი, გაიხადა ტყავის ტანისამოსი და ის ჩაიცვა. მეფისგან მიცემული ფეხმოტეხილი ცხენი იქ დასტოვა, თვითონ შეახტა რაშს, და სულ ფრენით გასწია ტყისკენ. იქ ჩამოჯდა ერთ ალაგას, ამოიღო ბედაურის ყურიდან ჩონგური, დაუკრა და დაიწყო სიმღერა. რა მოესმათ ჩონგურის ხმა და სიმღერა მხეცებს ქვეწარმავალთა და ფრინველებს, შემოიკრიბნენ ყველანი ხათაგანის გარშემო და დაუწყეს სმენა.

უფროსმა სიძეებმა ბევრი იარეს, მაგრამ ტახი თვალითაც ვერ ნახეს. ბოლოს დაინახეს ხათაგანი, ჩონგურს რომ უკრავდა და გარშემო ყოველნაირი ცხოველი შემოკრებილი ჰყავდა. ქვისლებმა ხათაგანი ვერ იცნეს, მივიდნენ და მდაბლად თავი დაუკრეს. ხათაგანმა, თუმცა იცოდა მათი ვინაობა, განგებ დაუწყო ვინაობის გამოკითხვა. იმათაც ყველაფერი უთხრეს, და ბოლოს სთხოვეს ტახის გული.

„საფასედ რას მომცემთ, ტახის გული რომ მოგცეთო?“ ჰკითხა ხათაგანმა.

— „სულის მეტს ყველაფერსო“, მიუგეს.

ადგა ხათაგანი, დაჰკლა ტახი. ამოიღო გული, მისცა მათ, და საფასედ ერთს სიძეს პატარა თითი მოსჭრა, მეორეს— ყური, მესამეა ესენი ქალაღში და ჩაიღო უბეში.

ქვისლები რო გაშორდნენ ხათაგანს, ადგა, ამოარჩია ფრინველებში ფეხმოტეხილი ბელურა, წამოიყვანა და წამოვიდა. მოვიდა თავის მინდორზე, სადაც ფეხმოტეხილი ცხენი ჰყავდა დაბმული. იქ გამოიცივალა ტანისამოსი, შეჯდა ფეხმოტეხილ ცხენზე და მოვიდა სასახლეში. ეს ფეხმოტეხილი ბელურა თავისი ცოლის ხელით შეუგზავნა მეფეს. ამ დროს სიძეებიც მოსულიყვნენ და, ფეხმოტე-

¹ ტახი—გარეული ღორი.

ხილი ბელურა რო დაინახეს, დაიწყეს ერთი ამბავი, სიცილ-ხარხარი: „გლახას მეტი რა შეეძლოო“, ამბობდნენ. იმას კი არ ფიქრობდნენ და არ აცხადებდნენ, თუ რამდენად დაუჯდათ ტახის გულის მოტანა.

დედოფალი ცოტ-ცოტათ გვარიანად შეიქნა და ბოლოს მორჩა. გაიარა დიდმა დრომ დედოფლის მორჩენის შემდეგ. დაეცა მეფეს მტერი. მეფემ საწინააღმდეგოდ გამოიყვანა ურიცხვი ჯარი უფროსი სიძეების წინამძღოლობით. ასტყდა ომი. მთელი თვე ომობდნენ, მაგრამ ჯერ გამარჯვება არ სჩანდა; ბოლოს საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ სამეფო ერთობ უნდა აეკლო მტრის ჯარს. ხათაგანმა რო გაიგო ეს ამბავი, გასწია იმ ალაგას, სადაც თავისი რაში ჰყავდა. გამოიღო ფულუროდან ლაგამი, დააჩხარუნა, მოვიდა რაში; შეჰკაზმა, თვითონაც შეიმოსა თავისი ძვირფასი ტანისამოსი, სულ ფრენით გასწია მტრის ბანაკისაკენ, დაეცა მტრის ჯარს და სულ ამოწყვიტა. ბოლოს ნეკი გაიჭრა განგებ და სისხლმა უწყო დენა. ეს რომ მეფემ დაინახა, მაშინვე ამოიღო თავისი ძვირფასი ხელსახოცი და შეუხვია თითი. თითის შეხვევისათავე ხათაგანმა ჰკრა დეზი თავის რაშს და ფრენით წავიდა. ეს რომ მეფემ და მისმა მხლებლებმა ნახეს, გაუკვირდათ, რადგანაც ზეკით მოვლენილი ანგელოზი ეგონათ. გზაზე სიარულის დროს სულ ამ ამბავში იყენენ. ბოლოს მოვიდნენ სატახტო ქალაქში, ღმერთს მადლობა შესწირეს და გამართეს ნადიმი¹.

ხათაგანს ცალკე ქოხი ედგა და იქ ცხოვრობდა თავისი ცოლით. ამ ნადიმის დროს, რადგანაც მას არავინ პატივობდა, გაიხსნა შეხვეული თითი და ჰკრილობიდან დაუწყო სისხლმა დენა. ხათაგანის ცოლმა შემოიხედა გარედან და, რო დაინახა მისი ქმარი ოქროს ტანისამოსით შემოსილი ზის სკამზე, ერთი ხელიდან სისხლი მისდის და მეორეში მეფის ხელსახოცი უკავია, ჯერ განცვიფრდა და მერმე სიხარულით თავის დებს უთხრა ეს ამბავი. დებმა იუკადრისეს: „როგორ ბედავ ჩვენთან ამნაირი ტყუილის თქმასო?“ და გაჯავრებულებმა თოთხმეტსართულიან სახლიდან გადმოაგდეს თავისი უმცროსი და. როცა ეს წივილ-კივილით ეშვებოდა ზევიდან, ხათაგანს შემოესმა ცოლის ხმა, შეახტა თავის რაშს, ერთი გადახ-

¹ნადიმი—წვეულება, ლხინი.

ტომით ცოლთან გაჩნდა, სტაცა ხელი ცოლს და შეხტა აივანზე; მერე მიუბრუნდა თავის ცოლისდებს და უთხრა: „არა გრცხვენიათ, რომ თქვენი უმცროსი და უდანაშაულოდ სასიკვდილოდ გაიმეტეთო?“

ამ ხმაურობის გამო, მეფე და სიძეები აივანზე გამოვიდნენ და, უცხოთ მოწყობილი კაცი რო დაინახეს, გაუკვირდათ. მეფემ მაშინათვე იცნო ხათაგანი, გადაეხვივნენ ერთმანეთს და შეექმნათ-დიდი სიხარული.

ბოლოს ხათაგანმა უთხრა ქვისლებს: „ვინ მოგვით თქვენ თქვენის სიდედრის ავად ყოფნის დროს ტახის გული და ან საფასეთ იმ კაცმა რა გამოგართვათო?“

ქვისლებმა მიუგეს: „რა ვიცით, ბატონო, თქვენისთანა ადამიანი ბრძანდებოდა და საფასეთ ერთს ერთი თითი გამოგვართვა და მეორეს ყურიო“.

„ჰა შენი თითი და ჰა შენი ყურიო“ და მისცა ხათაგანმა.

მერმე მეფეს თავისი ხელსახოცი დაუბრუნა.

ამისთანა ამბავი მეფეს მეტის-მეტად იამა; თავისი ტახტი ხათაგანს დაუთმო, აკურთხა ორივე ცოლ-ქმარი, უფროსი სიძეები კი იმათ მოსამსახურეთ გახადა.

ხათაგანმა თავის მეფობის დროს ბევრი ეძება თავისი ძმა-მეგობარი შეათაგანი და, ბოლოს, რო გაიგო იმისი სიკვდილი, ბევრი იტირა, და სახსოვრად აუგო შეათაგანს მშვენიერი ძეგლი თავის სატახტო ქალაქში.

გუშინ იქ ვიყავი და დღეს აქ გამომგზავნეს, ქირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე¹.

8 ჩვენ ამ წუთისოფლის სტუმრები ვართ და ერთმანეთს რისთვის უნდა ვაწყენინოთ? ერთი ამას მოუხმინეთ, რა არ გადაჰხედია თავს! ერთ დროს-კი ესეც ჩვენსავით ადამიანი იყო.

ქანეთში გაგონილი

ამ ქვეყანას ერთი კაცი ცხოვრობდა. ას წელიწადზე მეტი ჯანსალად გაატარა და შემდეგ გარდაიცვალა. მისი სხეული მიწად იქცა.

¹ ეს ზღაპარი ანოდებულა აკაკის „კრებულებიდან“, 1808 წ. პ. 12, ვნის მცირე-ფენის შესწორებით.

ამ ადგილს კრამიტის საკრელი ქარხანა გამართეს და კრამიტის ქრას მიჰყვეს ხელი. ერთი კრამიტი ამ კაცის მიწადქეულ სხეულიდან გაკეთდა. შემდეგ ეს კრამიტი ერთს სახლს დაჰხურეს.

ორასმა წელმა განვლო. კრამიტი სახურავიდან გადმოვარდა და ისევ მიწად იქცა. ახლა სხვა კაცმა ამ კრამიტის მიწისაგან ერთი ქოთანი გააკეთა. ქოთანში ასის წლის განმავლობაში სხვადასხვა საქმადს ხარშავდენ; შემდეგ—გატყდა; აიღეს და გადაავდეს. ისევ მიწად იქცა.

ახლა მეაგურე მოვიდა იმ ადგილას, ამ მიწიდან აგური გააკეთა. ერთი კაცი სახლს აშენებდა; ეს აგურიც წაიღო სხვათა შორის და სახლის ერთ კუთხეში დაატანა.

სახლის პატრონი გარდაიცვალა და ორი ვაჟი დარჩა. ვაჟებმა საცხოვრებლის გაყოფას ხელი მიჰყვეს, ყველაფერი გაიყვეს; სახლი დარჩათ გაუყოფელი. ერთმა სთქვა:

— სახლი ჩემი უნდა იყოსო!

მეორემ სთქვა:

— არა, ჩემი უნდა იყოსო!

საქმე გამწვავდა, ძმები წაიკიდენ და ერთმანეთს ჰკლავდენ. ამ დროს სახლის ერთი კუთხიდან ხმა მოესმათ:

— არ მოჰკლათ ერთმანეთი! რად გინდათ ეს სახლი? ამ ქვეყნიური სიმდიდრის სიყვარული რათა გაქვთ და იმისთვის ძმები ერთმანეთს რათა ჰკლავთო?

ძმები შიშის კანკალმა აიტანა და ჩხუბს თავი დაანებეს.

— შენ ვინა ხარო? ჰკითხეს ძმებმა ამ უცნაურ მამხილებელს.

— „მეც თქვენისთანა კაცი ვიყავი და ახლა აგური ვარ. თქვენც ჩემისთანა ბედი მოგელითო“,—უპასუხა აგურმა და, რაც თავს გადაჰხედოდა, ყოველივე უამბო ძმებს.

ძმებმა ჩხუბზე ხელი აიღეს და ერთმანეთს შეურვიდენ¹.

¹ ეს არაკი ჩაწერილია ქანეთში ბნის იოსებ ალ. ყიფშიძის მიერ და ქართული თარგმანიც მას ეკუთვნის.

9 კატა და ლომი

საინგილოში გაგონილი

ერთმა კაცმა კატა წაიყვანა და სახნავეზე წავიდა. კატამ იქ ხანა-ხანავისა და ტყის პირებზე იტრიალა, ინადირა, ჩიტები და თაგვები დაიქირა. უცბად ტყიდგან ლომი გამოვარდა.

— გამარჯობა, ძმაო!.

-- გაგიმარჯოსო!

--- როგორა ხარ? კარგადა ხარო?

— მადლობა ღმერთს! როგორ უნდა ვიყო, ვარ ჩემთვის, ვცხოვრობ. როგორც შეეფერება ჩემისთანა კატა-მატასო.

--- მიკვირს, მე მგეხნარ, წვერ-ულვაში და სახე ჩემი გაქვს, და რატომ ვერე პატარა დარჩომილხარო?

— ჩემ ბატონს რომ იცნობდე, გაიგებდი, რატომაც ასე დაბალი ვარო.

— ვინაა შენი ბატონი, ერთი ჯაფრი ამოვიყაროო!

— ჩემი ბატონი—კაციაო.

— ვერ მიჩვენებო?

-- რატომ ვერ გიჩვენებ? გიჩვენებო!

— სად არისო?

— აგე! იქა ხნავსო?!

ლომი კაცთან მივიდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! საიდან მოდიხარო?

--- ემანდ ტყეში ვიყავ, თქვენი ხმა მომესმა, გამოველ, მოველ, ე ჩემი ბიძაშვილი დამიხვდა, აქ შენთან მომიყვანაო.

— ბედნიერი იყოს შენი მოსვლა, კეთილი იყოსო!

— მადლობა ღმერთს! ჩემი ფეხი ძალიან მოუხდება შენს საქმეს. გამიგონია: კაცი ბუმბერაზი რამეა, დიდი ღონე აქვსო; შენ კი თვალში პატარა მეჩვენები, ღონეც პატარა გექნებაო.

— დავიქიდოთ და მაშინ ვნახავთ, მე და შენში ვინ უფრო ღონიერიაო!

— კარგი, ჩემი სურვილიც ეგ იყო!

ნახნავეში მოქრილი ხე ეგდო. კაცმა უთხრა ლომს: „მე ჩემი ლონით ამ ხეს გაეხეთქავო“. დაჰკრა ცული, სოლი ჩაუგდო, კიდევ დაჰკრა და ხე შუამდინ გააპო. ლომს უთხრა: „აბა, ახლა დანარჩენი შენ გახეთქეო!“

ლომმა თათები ნახეთქში ჩაჰყო; კაცმა სოლს გამოჰკრა და ამოაგდო. მერე სახრე აიღო, უშხივლა და უშხივლა ლომს, იმდენი ურტყა, რომ ლომი შეეხვეწა: „გამიშვი! ჩემზე ლონიერი ყოფილხარო!“

კაცმა შეიბრალა და გაუშო. ლომი წამოხტა, ერთი კი მიაძახა კატას: „ძმაო, შენი ბატონი მართლაც ლონიერი ყოფილა! მაგის ხელში შენოდენიც ვერ გაეიზრდებოდიო!“ და შევარდა ტყეში.

10 ძეძვის ბუჩქი ორ სამარეს შუა

საინგილოში გავონილი

ბაჰირდა წყლის გაყვანა მდინარე ქურმუხიდან ქურმუხის მაღალ ფერდობზე, საცა თვით წმიდა გიორგის საყდარია. ძრიელ საჰირო კი იყო, წყალს იქნობამდე ედინა, რადგანაც უწყლოდ წმიდა სალოცავის კარ-მიდამოში არა ხეირობდა-რა და თვით მლოცველებსაც აწუხებდა უწყლობა. ბევრჯელ სცადეს რუვის¹ გაყვანა, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა და მიატოვეს მუშაობა.

სწორეთ ამ დროს კაკში² ცხოვრობდა მღვდელი ხუციშვილი. დიად ლამაზი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. იმისი სილამაზე ერთმა შორეულმა თათარმა გაიგო, მივიდა და მღვდელს შეეხვეწა: „მაგის სიყვარულით ვიწვები და მომათხოვეო“.

მღვდელმა უთხრა: „მაჰმადიანს როგორ მოგათხოვო ქრისტიანი? წადი, დაიკარგეო!“

თათარიც ლამაზი ვაჟკაცი იყო: მღვდლის ქალს მოეწონა, იმაზე გათხოვება მოინდომა.

¹ რუვი, რუი, რუ—წყლისადენი არხი. ² კაკი—სოფელია საინგილოში.

მღვდელმა, თათარი რომ თავიდან მოიშოროს, შეუძლებელი საქმის გაკეთება დაავალა, უთხრა:

„თუ ქურმუხის საყდარზე წყალს გაიყვან, ქალს მოგატხოვებ, თუ არა—თვლით აღარ დამენახო, წადი—საითაც მოსულხარო!“

თათარი შეუდგა საქმეს. გასკრა მთა და ღელე, ღღეს თუ ხვალ წყალსაც გადაუშვებდა.

მღვდელი დაღონდა. ეგონა: არხს ვერ გაიყვანს, ჩემს ქალსაც ვერ ითხოვსო, მაგრამ მოსტყუვდა.

მღვდელი რომ ამ მწუხარებაში იყო, ერთმა კუდიანმა ბებერმა უთხრა:

„თუ ქალის დახსნა გინდა, ცხვარს ბატკნები დააშორე, ძროხას ხბორები, სამ ღღეს ცალ-ცალკე ამყოფე, ნურც საკვებს მისცემ; კარგა რომ დაიმშვიდონ, მე თათართან წავალ, შენც საქონელი გამოუშვი, ერთმანეთში გაპრიე, ბლავილს დაიწყებენ: დედა შვილის ძებნას დაიწყებს, შვილი დედისას, აუბლავლდებიან ერთმანეთს. ამ დროს თათარს ტირილით ვეტყვი: „ხედავ, ჩვენი მღვდლის სახლში რა ვაი-ვიში და ტირილ-ჟრიაბულია: მღვდლის ქალი შენმა მოლოდინმა მოიღწა, ღღეს გარდაიცვალა, და ეხლა იმაზეა ეს ცეცხლი, ეს გლოვა-ტირილი და ღმუილ-ყვირილიო!“


მღვდელს მოეწონა ბებრის ქართული და ასეც მოიქცა.

თათარმა რომ გაიგო, მღვდლის ქალი მომკვდარაო, არხის თხრას თავი გაანება, ერთი ამოიკვნესა, წერაქვი დაიკრა თავში, არხშივე დაეცა და დაღია სული.

მღვდლის ქალმა რომ ეს ქურმუხის აქეთა ნაპირიდან დაინახა, მუხლები იქვე ჩაეკეცა და იმ ვაჟკაცის სიყვარულით ისიც გარდაიცვალა.

ორნივე ქურმუხის თავზე დამარხეს: ერთი—თათრის განათხარი არხის აქეთა ნაპირას, მეორე—იქით. იმათ სამარეებზე ვარდ-ყვავილი ამოვიდა. მთელ ხალხს ისე შეეცოდა ეს უმანკო ქალ-ვაჟი, რომ იმათი უდროვო სიკვდილით იწვოდნენ და კუდიან ბებერს ემუქრებოდნენ: „შენა ჰქენ ეს უღმერთო საქმეო!“ ბებერსაც შიშით გული გაუსკდა და მოკვდა. წაიღეს და იმ ქალ-ვაჟის საფლავებს შუა არხში ჩაფლეს, ზედ მიწა წააყარეს. ბებრის სამარეზე ძეძვ-ეკალი ამოვიდა;

გაიზარდა, შეყვარებულების ვარდ-ყვავილებს შუა ჩადგა. გამოზაფხულზე ეს ყვავილები ერთმანეთისა სწვდებოდნენ, იკოცნებოდნენ; ახლა კი ძეძვი გაეჩხირა შუაში და ერმანეთის ხვევნა-კოცნა მოუშალა. მართალი უთქვამთ:— „ცული ადამიანი აქაც ცულია და იქაცაო“.



¹ როგორც ეს, ისე წინა არაკი ინგილოურად ჩაწერილია ბნის მ. გ. ჯანაშვილის მიერ („ძველი საქართველო“ ტ. II).

**ქუთაისი, თ. ა. მთავრიშვილის და აშხ. წიგნის მალაზიის
საკუთარი გამოცემანი:**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება	20 კ.
2) დ. კარიკაშვილი. ხუტური ანბანი, მეორე გამოცემა	20
3) მლ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებ- ბითი შკოლებისათვის, ფასი 10 კ., ყლით	15
4) ქართული მოძრავი ანბანი ქალაღღზე იგივე, კარღღზე გაკრული	10 „
იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი	25
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი	50
6) Архим. Цесторъ. Учебникъ Закона Божия	3
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, ნ. I, ისტო- რიული ქართით., მეორე გამოცემა, ყლით	20
8) ალ. გარსევანიშვილის თხზულება „Поеть Грузин Акакии“	35 „
9) К. Мачавариани. Цѣлебные минеральные источ- ники въ Кутаисской губернии	10 „
	20 „

აქვე იმყოფება საწყობი შემღევი წიგნებისა:

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხ. წიგნი, შედ. ი. ოცხელისა, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, ყლით	85 „
2) ს. ხუნდაძე. ქართ. გრამატიკა პირველდაწყებითი შკოლებისათვის, ყლით	20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეო- გრაფიის სახელმძღვანელო, ყლით	50 „
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღეთო სჯულის სწავლებაზე	30
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში	50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუღები მე-XIX-ე ს. ქართ. ლიტე- რატურის შესახებ, ტ. I..	70 „
7) მისივე. იგივე, ტ. II	70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბე- ლინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა	20 „
9) მლ. ალ. გერსამია. ლოცვანი ფასი 10 კ., ყლით	15 „
10) ა. კიკინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფ. ფ. 50 კ. ყღ.	60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე	10 „
11) პროფ. ჯავახიშვილი. ქართვ. ერის ისტორია, წ. I და II. 3 მან.	

**რუსული და ქართული კატალოგები მსუარველთ უშა-
სოდ გაეგზავნებათ.**

ფასი უდრით 1 მან. 20 კაპ.